

ალექსანდრე ხახანაშვილი.

ქართულის სიტყვიერების ისტორია

(უძველესი დროიდან მე-XVIII საუკ. გასულამდე)

გამოცემა მეორე.

ტ ვ ი ლ ი ს ი

სტამბა სპ. ლოსაბერიძისა. მოსკოვის ქუჩა. საკ. სახლი, № 5.

1 9 1 3

წინასიტყვაობა.

როგორც მთელი კაცობრიობის, აგრეთვე კერძო რომელიმე ერის განვითარება და წინსვლა გამოიხატება ორგვარ გაუმჯობესებულს ყოფა-ცხოვრებასა და კულტურაში. პირველს გვარს კულტურას ვუწოდებთ ნივთიერობითს ანუ მატერიალურს კულტურას და მეორე გვარს—სულიერობითს ანუ გონებითს კულტურას. ნივთიერობითი კულტურის წინსვლა უსწრობს სულიერობითს კულტურას. თავშესაფარის შექმნა ავდრისაგან დასაცველად, ტანთსაცმელის შემოღება დროთა ვითარების შესაფერ, ცხოველების შეჩვევა და სამსახურში ჩაბმა, იარაღის მოგონება, მიწის შემუშავება, საქმლის დამზადება, — როგორ სწარმოებდა უძველესად და რა გაუმჯობესობა შეიტანა კაცმა ამ ჩამოთვლილი პირობებისა თავის საკეთილდღეოდ თანდათან, დროთა განმავლობით, — შეადგენს საგანს ნივთიერობითი კულტურისას. მას შემდეგ, როგორც კი შექმნა კაცმა ოჯახი და საკუთრება, — პირვანდელ უბინაოდ წოწიალის და განურჩევლად სხვისი თუ თავის ნაშოვარით დაკმაყოფილების მაგივრად, — მან წასდგა ნაბიჯი უმაღლესს საფეხურზედ, ჩაუყარა საფუძველი სახელმწიფოს მოწყობას და მოიკრიფა ღონე განუწყვეტელი წინსვლელობისა.

ზემო მოყვანილი სიტყვებიდან, რა თქმა უნდა, ის დასკვნა არ გამომყავს, რომ ვითომც იყო ისეთი დრო კაცობრიობის ცხოვრებაში, როდესაც მან მხოლოდ ნივთიერობითს კულტურას მიაქცია განსაკუთრებითი ყურადღება და შეალია ძალ-ღონე მხოლოდ ამ მხარეს თავის ცხოვრებისას. კაცობრი-

ობასთან ერთად, რაგინდ უძველესი ხანა მივილოთ მხედველობაში, დაიბადა ენაც, ჯერ განუფითარებელი, ბავშური, ღარიბი აზრის გამოსახატავად, მაგრამ პირველ ჟამად საკმარისი და დამაკმაყოფილებელი მარტივი, უდიდშინაარსო ველური კაცის მოთხოვნილებისა. ენა იზრდებოდა თვით კაცობრიობის ზრდასთან ერთად. რამდენადაც რთული შეიქმნა ცხოვრება, იმდენად განვითარდა ენაც, როგორც კაცთაშორისი დამოკიდებულების იარაღი. ენით სწარმოებდა აზრთა გადაცემა, საქონლის გაცვლა, ქირის და ლხინის გამოთქმა. ენასთან დაკავშირებულია უძველესი წარმოდგენა ქვეყნიერებაზედ და კაცზედ, რწმენა და პოეზია. ვიდრე წერას მოიგონებდა კაცი, გულში ნადებს, გამოცდილებას, შთაბეჭდილებას გადასცემდა მომავალს თაობას ენით, პირადად. მას შემდეგ რაც წერა-კითხვა შექმნეს, მეხსიერებას დაეკარგა პირვანდელი მნიშვნელობა, როგორც საისტორიო საღაროს, და მან გადასცა თავის როლი წიგნს, ქვაზედ ან ტყავსა და ქალღვრზედ დაწერილს,

ჩვენ განვიზრახეთ მკითხველს გავაცნოთ ის ხანა ჩვენი სულიერობითის კულტურისა, როცა საქართველოში წერა-კითხვა გავრცელდა, და დავასურათოთ უმთავრესი წერტილები ქართული მწერლობის ისტორიისა. ამ წერითს სიტყვიერებას წინ გაუუმძღვარეთ ზეპირ-სიტყვაობის განხილვა. მწერლობითი სიტყვიერების ისტორია ჩვენში იწყება შემდეგ ქრისტიანობის გავრცელებისა მეოთხე საუკუნის დასაწყისში. წარმართული დროების ნაშთთა ჩვენამდის არ მოუღწევია, თუმცა „ქართლის ცხოვრების“ მოწმობით უკვე მესამე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდის მეფე ფარნავაზმა შემოიღო ანბანი,—ხუცური თუ მხედრული, ამას არ გვაუწყებს,—და არსებობდა კიდევ სხვადასხვა წიგნები სამღვთო წერილის ქართულად გადმოღებამდე. უძველესი ნაშთნი, ქართულად ნაწერნი, ეკუთვნიან მე-V საუკუნეს ქრისტეს დაბადების შემდეგ. თუ ჩვენი მატიანის გადმოცემა სარწმუნო არის, ჩვენ გვაკვირვებს ის გარემოება,

რომ რვა საუკუნის განმავლობაში (სამი საუკ. ქრ. წინ და ხუთი საუკ. ქრ. შემდეგ) არც ერთს ქართულს ნაწერს არ მოუღწევია. ასეთმა დაგვიანებულმა მწერლობის განვითარებამ ჩააგონა ზოგიერთს ჩვენი წარსულის მადიებელთ ის აზრი, რომ „ქართლის ცხოვრების“ მოწმობა ფარნავაზის მიერ ქართული ანბანის გამოგონების შესახებ სიმართლეს მოკლებულია და დასაწყისი მწერლობისა უნდა ვაკუთვნოთ საქართველოს ქრისტიანობის მიღების ხანას. ამ გვარ დასკვნას ამტკიცებს შედარებაც ხუცური და მხედრული ანბანისა. შედარება გვარწმუნებს, რომ ხუცური ანბანი უძველესია და წინაუსწრობს მხედრულს, და ეს უკანასკნელი მომდინარეობს ხუცური ანბანიდან, პირველად მეტად წააგავს ხუცურს ასოებს და მხოლოდ დროთა განმავლობით მიიღო ის სახე, რომელიც ახლა შერჩა.

ჩვენი ლიტერატურა დაიწყო სამღვთო წიგნების ქართულად გადმოღებით. ამით აიხსნება, რომ სასულიერო მწერლობის უყურადღებოდ დატოვება არ შეგვეძლო და ვეცადეთ ქრისტიანობის სწავლის გავლენით შექმნილი ნაწარმოებიც გაგვეთვალისწინებინა. პირველი ნაწილი ჩვენის წიგნისა ამგვარად შეიცავს ზეპირ-სიტყვაობის და სასულიერო მწერლობის ზედმოქმედებით შექმნილი მწერლობის განხილვას. მეორე ნაწილში მოვაქციეთ უძველესი ლიტერატურის ნაშთნი მეცამეტე საუკუნის დასაწყისამდე. მესამე ნაწილი ვუძღვევით მე-XIII—XVIII საუკ. მწერლობის შესწავლას, დაგვრჩა ახალი XIX საუკ. ლიტერატურა განზედ და ამ ხანას ჩვენი განვითარებისას კიდევ დაეუბრუნდებით.

ეს „ქართული ლიტერატურის ისტორია“, რომელიც წერა-კითხვის საზოგადოების მონდობილობით დავწერეთ, პირველი ცდაა ჩვენს მწერლობაში. ამიტომ მკითხველის წინაშე ბოდიშს ვიხდით, თუ სრულიად ვერ დააკმაყოფილებს მის მოთხოვნილებას. ამ წიგნის შემდგენელი ხელმძღვანელობდა აკად. პიპინის აზრით, რომელიც მან გამოსთქვა ერთს თა-

ვის წერილში. სრულიადაც სავალდებულო არ არისო, ამბობს გამოჩენილი მეცნიერი, უცადოს ლიტერატურის ისტორიის დამწერმა იმ დროს, როცა ყველა ხელნაწერები გამოცემულ და შესწავლილ იქნებიან. შეცვლა და შესწორება შესაძლოა შემდეგ ახალ გამოკვლევათა თანახმად. იმ იმედით, რომ მკითხველს სურს იქონიოს წარმოდგენა ძველს ჩვენს მწერლობაზედ, თუნდ ეს წარმოდგენა სრული და უნაკლოა არ იყოს, გაგზედეთ შემოკლებით გადმოქართულება ჩვენი რუსულად გამოცემულისა სამს წიგნად „Очерки по истории грузинской словесности“ (მოსკოვი, 1895, 1897 და 1900). ქართულად დაწერილს წიგნში შევიტანეთ ზოგიერთი ახალი მასალაც, რომელიც რუსულად არ გვქონდა მოხსენებული, რადგან დასახელებული მასალა გამოქვეყნდა ჩვენი წიგნების აღბეჭდის შემდეგ. ადგილ-ადგილ შევცვალეთ მასალის განხილვა და შეხედულებაც.

ა. ხახანაშვილი.

1904 წ. 21 აპრილი.

მოსკოვი.

სახალხო სიტყვიერება.

სიტყვიერება საერთოდ ეწოდება მთელს რომელისამე ერის სიტყვიტოს ნაწარმოებს. იგი შეიცავს ყოველგვარ მეცნიერულს ნაწერს ქვეყნიერების შექმნა-მოწყობილებასა, კაცის ყოფა-ცხოვრებასა და კანონმდებლობა-ადმინისტრაციაზედ. სიტყვიერებასვე ეკუთვნის უხელოვნო საერო ნაწარმოები ვიდრე ხელოვნურ ქმნილებამდე დრამის, ლირიკის და ეპოსისა. სიტყვიერებას კერძოდ ვუწოდებთ ლიტერატურას, ბელეტრისტიკას (belles lettres), ანუ ნაწერებს პოეზიისა და ენამეტყველებისას. მაშასადამე სიტყვიერების ისტორიის საგანს შეადგენს შესწავლა ორგვარი დარგის სიტყვიტოი ნაწარმოებისა: საერო ქმნილებისა და სალიტერატურო ანუ ნაწერი ნაშთებისა. ამ ორ სიტყვიერების დარგთა შორის ორგვარი განსხვავებაა. საერო ნაწარმოები შექმნილია მთელი ერის ღვაწლიტ, სალიტერატურო ნაშთი დაწერილია კერძო პირის შემოქმედებითი ძალიტ. პირველი გვაცნობებს ხალხის გრძნობას და აზროვნებას, მეორე კი მხოლოდ დამწერის სულის მოძრაობას, საქვეყნო შეხედულებას. გარდა ამ არსებითი განსხვავებისა საერო და სალიტერატურო მწერლობის შორის შესანიშნია გარეგანი განსხვავებაც, სახელობრ: საერო ნაწარმოები გადადის ერთი თაობიდან მეორე თაობამდე ზეპირად, ჩაუწერელად; სალიტერატურო ნაშთი კი იწერება შექმნისათანავე რადგანაც საერო ნაწარმოების შემქმნელი არ მოსჩანს, ამიტომაც მას არ ამჩნევია პიროვნების გავლენა, — იგი აღბეჭდილია სულგრძელობით, გულის დამშვიდებით, მიუდგომელობით

ანუ ობიექტივიზმით. სალიტერატურო ნაწერი გამსჭვალულია წინ აღებული აზრით ანუ ტენდენციით, წარმოშობილია პირადი სულის კვებების ძალდატანებით.

სიტყვიერების ისტორიის დანიშნულება ის არის, რომ შემუშავებულ იქნას თანდათანობითი განვითარება ჩვენი ერის ლიტერატურისა ერთად მის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და აზროვნებასთან. ლიტერატურა და ცხოვრება გადაბმულნი არიან მტკიცე კავშირით, დაახლოვებულნი არიან ურთიერთის ზედგავლენით. რამდენადაც სისწრაფით, სრულიად, მარჯვედ მიდის წინ საზოგადოებრივი ცხოვრება, იმდენად სავსეა და მდიდარი მახვილგონიერულის შინაარსით სალიტერატურო ქმნილებაც. წინსვლა ცხოვრებისა წინ სწევს ლიტერატურასაც, აძლევს ახალს მასალას დასასურათებლად, აფართოებს მის სარბიელს. აგრეთვე სიტყვიერებაც თავის შინაარსით ემსახურება საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებას: იგი ავრცელებს საზოგადოებაში ახალს სამეცნიერო ცოდნას, უნერგავს ბრწყინვალე იდეებს გამოჩენილ მოაზრეთა და პოეტთა. ლიტერატურა არის უტყუარი სარკე საზოგადოების კულტურულის მდგომარეობისა, რომლის სურვილი, ვნებანი, მიდრეკილებანი გამოიხატება სავსედ და ცოცხლად. მაშასადამე ისტორია ლიტერატურისა აშუქებს ერის სულს და გულს, ანუ ერის ფსიხოლოგიას. ჯერ არ არსებობდა წერა-კითხვა, როცა ერი თავის ბედს და მწუხარებას, აზრსა და გრძნობას აფრქვევდა ლექსად და არაკებად, მოწიწებით გადასცემდა ზეპირად შემდეგს თაობას, სახსოვრად და დასაცველად. აი ეს ჩვენამდის მოწეული მთელი ხალხის ზეპირი ნაწარმოები არის დასაბამი ისტორიისა და მისი ლიტერატურული განვითარებისა. საერო სიტყვიერება დროთა განმავლობით იცვლებოდა და ხასიათი ამ ცვლილებისა შეთანხმებულია საზოგადოების განვითარებასთან. ერის განვითარებაში და მაშასადამე მის სიტყვიერებაშიაც შენიშნულია სამი ხანა ანუ პერიოდი: მითიური, გმირული და ისტორიული.

მითიური პერიოდი არის უძველესი ეპოქა ერის ცხოვრებისა, როდესაც იბადება მითები ანუ ამბები ქვეყნის, ღმერთების და ხალხის გაჩენის შესახებ. მითები გვიხსნიან, ერის შეხედულებით, ღმერთების ხასიათს და მოქმედებას და მათს დამოკიდებულებას ქვეყნიერებასთან. კრება ამ გვარის ამბებისა შეადგენს მითოლოგიას, რომელშიაც დაკულია ერის რელიგიური რწმენა, კოსმოგონია ანუ მსოფლიოს შექმნა, მისი ცოდნა და ფილოსოფია. მითოლოგიაში აღნიშნულია ორი ეპოქა—სტიქიური, როდესაც ხალხი სტიქიურ ძალას სთვლის მაღალ არსებად, აპიროვნებს მას ღვთის სახით, უპორჩილებს ყოველსავე ბუნებაში და თავის საკუთარ ცხოვრებაში. მეორე ეპოქა—ანთროპომორფიზმი, როცა ერის ფანტაზია ღმერთების მოქმედებას და ცხოვრებას სახავს კაცურის ფორმით და თვისებით. სტიქიურს მხარეს ავსებს ზნეობითი ხარისხი ღვთაებისა, ღმერთები ხდებიან სხვა-და-სხვა ზნეობრივ თვისებათა გაპროექციულ არსებათ: ერის ფანტაზია ჰქმნის ღმერთებს მართლმსაჯულებისას, პოეზიისას და სხვა. ზესთა-ბუნებითი ელემენტი შეადგენს ხალხის ცხოვრების მითიური პერიოდის განმასხვავებელს ხასიათს. ის ქართული არაკები, რომელნიც მოგვითხრობენ ცის მნათობების, ქვეყნიერების გაქვავების და გველეშაპების შესახებ, ეკუთვნიან ქართველთა მითოლოგიის ნაწყვეტს.

გმირული პერიოდი არის პირველი ნაბიჯი ყოველი ერის ისტორიაში, როცა საზოგადოება, განცალკევებულ თემებად დაყოფილი, შეუსვენებლივ ებრძვის თავის ქვეყნის ბუნებას და ნელნელა, დიდის წვალდებით იმორჩილებს მას მოთხოვნები-სამებრ, ებრძვის მეზობელ თემებს, რათა გაათართოვოს თვისი მამული ანუ დაიცვას უკვე ოფლით შექმნილი ავლადიდება. ერის ფანტაზია იმ პირთ, რომელნიც იღებენ გამოჩენილ მონაწილეობას ამ არსებისთვის ბრძოლაში, ხდის გმირებად, ზესთა-ბუნებითს არსებად, ნახევარ-ღმერთებად. ამ გმირების სურათით ერი გვიხატავს თვისს იდეალებს სილამაზის, ღონის

და მამაცობისას, ხერხიანობის და სიმარჯვისას, ანუ მოკლედ იდეალს ფიზიკური და ზნეობრივი ძალისას. ერი იცავს მადლობით მოგონებას ამ გმირებისას, გარდასცემს შემდეგს თაობას მათ სურათს, გაზვიადებულს და ღვთაებრივის შუქით ამალღებულს. გმირული პოეზიის ნიმუშად დავასახელებთ ლექსებს ამირანის, როსტომის, აბესალომ და ეთერის შესახებ.

ისტორიული პერიოდი ხალხის ცხოვრებიდან იწყება იმ დროიდან, როცა ერი სტოვებს თემურს მდგომარეობას, ითვისებს მოქალაქურს ცხოვრებას და აღგენს საზოგადოებას სახელმწიფო მოწყობილობის ფორმით. როცა ხალხი დიდის ხნის გამოცდილების შემდეგ გაიცნობს და დაუახლოვდება ბუნებას, მაშინ რწმენა „საკვირველისა“ სუსტდება, ბუნების მოვლენანი ჰკარგავენ ღვთაებრივ პიროვნებას და წარმოუდგებიან თვისის ნამდვილის სახით. ეს სამი პერიოდი გაიარა ჩვენმა ერმა. მითიური და გმირული შინაარსის მოთხრობანი შეიცვალნენ ისტორიულს ლექსებად. საქართველოში აქამდის მღერიან ერეკლე და არჩილ მეფეზედ, მოგვითხრობენ ამბებს თამარის და ლევანის შესახებ, ახსოვთ ამილახვარი, ზურაბ არაგვის ერისთავი, შიოლა ლუღუშაური, ზეზვა, თორღვა და სხვა. მითიურს და გმირულს პოეზიას ამ ოცდაათი წლის წინად გადამეტებულს მნიშვნელობას აძლევდნენ. მითოლოგიური თეორიით ცდილობდნენ აეხსნათ ზეპირი სიტყვიერების ყოველგვარი ნაწარმოები. საერო პოეზიის საფუძველს ეძებდნენ განსაკუთრებით ბუნებითი მოვლენის გაპიროვნებაში. ეს მიმართულება, რომლის წარმომადგენელი იყვნენ დასავლეთს ევროპაში გრიმმი, მანჰარტი, ა. დეგუბერნატიისი და რუსეთში ორ. მილლერი და აფანასიევი, შეზღუდულ იქმნა ბენფეის, ალექსანდრე ვესელოვსკის და სხვათა მიერ, რომელთაც აღიარეს თეორია ლიტერატურული შეთვისებისა. ერთგვარი ხასიათი პოეზიისა და რელიგიისა სხვა-და-სხვა უნათესავე ერთა შორის ამ ჟამად იხსნება საერთო ფსიხოლოგიური თვისებებით და შინაარსის გარდაცემით ერთი ერისაგან მეორე მოსამზღვრე

ერისადმი ესრედ წოდებული მოსიარულე სიუჟეტებისა (მაგ. „კატის ომი“). ხალხის სიტყვიერების ქმნილებას ეკუთვნიან: 1, ზღაპრები და ლეგენდები; 2, გამოცანები; 3, იგავები და არაკები; 4, შელოცვანი; 5, გარდაცემანი და 6, ლექსები. პირველი ჯგუფი გვიხსნის ერის ფანტაზიას, მეორე — მის მახვილგონიერებას, მესამე — ცხოვრების დაკვირვებას, მეოთხე — რწმენას, მეხუთე — მეხსიერებას და მეექვსე — უმათავრესად გრძნობას. ხალხის სიტყვიერებას ვუწოდებთ აგრეთვე ხალხურ პოეზიას.

საერო ლექსებს ვუწოდებთ მხოლოდ იმგვარ ლექსებს, რომელთაც ერთპიროვანი შემქმნელი არ მოეძებნება, — მისი სახელის დარქმევა არ შეგვიძლიან. პოეზია ბუნებრივი თვისებაა კაცის არსებობისა და პოეტური გრძნობა და მისი გამომეტყველება შეთანხმებულია საზოგადოების კულტურულ მდგომარეობასთან. რამდენადაც ერი ნაკლებ გასცილებია განათლების პირველს ნაბიჯს, იმდენად მასში ნაკლებია მნიშვნელობა კერძო პირისა, უხილავია კერძო ზნეობრივ თვისებათა გამოაშკარავება და ძლიერია ერთგრძნობა, ერთცნება და ერთზნეობა მთელი საზოგადოებისა. ამ პირვანდელს მდგომარეობაში პოეზიას არ ახის ბეჭედი პიროვნულის ქმნილებისა; პოეტური ზეგარდმო შთაგონების ნაყოფი ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩასახული არ იწერება დასაცველად, როგორც ერთის პირის საკუთრება, მწერლობა ჯერ კიდევ არ ემსახურება კერძო აზრების გამოხატვას და მათს საზოგადოებაში გავრცელებას, პოეტური ნაწყვეტი, შექმნილი უცნობი პირისაგან, გადადის ანუ გადაეცემის მეორეს, მესამეს და ამ უკანასკნელთა პოეტურ აგებულების გავლენით იცვლება პირვანდელი ხასიათი ლექსისა. ემატება ახალი შედარება, აკლდება ერთი-ორი თვისება. ერთის ნათქვამს მეორე ითვისებს, როგორც საკუთარ ქმნილებას, თავის გულიდან აღმოცემულს და ამიტომაც დაუბრკოლებლივ, გაუგებრად უმატებს სხვისგან შეძენილ ლექსს და ამბავს თავის საკუთარი სულის მოძრაობას.

ასვამს ახალს ბეჭედს გარემოცულის საზოგადოების და ბუნების შთაბეჭდილებათა თანხმად. ოდესღაც შექმნილს ტაეპს:

გაუსვი და გამოუსვი,
ვითომც ჭიანურიათ, --
მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლეპ,
ისიც შინაურიათ,

უცნობმა პირმა დაუმატა თავის მხრით: „ბანი მითხარით ბიჭებო, სათამაშო ვთქვათ სმიანი“. ერთხელ ჩასახულნი ლექსნი, დამატებულნი, გაშალაშინებულნი იზრდებიან და შეეჯახებიან სხვა ადგილას გამოთქმულს ლექსებს, ერთდებიან და მთელდებიან. ერთი ლექსი გადებმის მეორეს, ერთი არაკის ნაწილი ჩაერთვის მეორე ამბის შინაარსს და ამ გვარად ითხზება გრძელი ლექსები და ზღაპრები გარეგანის შეხედულებით ერთის შინაარსისა და დაბოლოებისა. ასე შეივსო ხალხური „ვეფხისტყაოსანი“ არაკით, რომელიც ჩაწერილი აღმოჩნდა შემდეგ განცალკევებულ ამბად. ზღაპრები და ლექსები ტარიელზედ შემოიკრიბნენ სხვა და სხვა ტოტიდგან და ნაწყვეტიდგან. თუმცა ხელოვნურად გადაბმულს ლექსებს ეტყობათ სიმტკიცე და შეურყევლობა, მაინც ხალხში ტრიალის დროს პირადის გარდაცემის გავლენით მათ არ აკლდებათ შესწორება, დამატება და გამოკლება—და ამ ცვლილებათა მიზეზით ირღვევიან კიდევ სრულებით და უტოვებენ თავიანთს ელემენტებს ახალ ლექსების და არაკების შესადგენად. რაკი ერთხელ გამორკვეულ იქმნა ხასიათი ზღაპრისა და ლექსებისა, მაშინ, საჭიროა მხოლოდ ერის ფანტაზიამ გადააბას ერთმანეთს ნაწყვეტები, რომელნიც მის მეხსიერებაში დაცულნი არიან. ამით აიხსნება, რომ პროცესი ლექსების და არაკების შექმნისა აქამდის სწარმოებს იმავე სახით, როგორც უძველეს დროს. ჯარში გასულმა ქართველებმა იუცხოვეს თავიანთი შეუჩვეველი მდგომარეობა და შექმნეს რამდენიმე ლექსი, რომელიც ახასიათებს „საღდათის ფსიხიკას“, სულის მოძრაობას.

დალოცვილმა ხელმწიფემაც კი რა საქმე მოგვიგონა!
ბიჭები სალდათში მიჰყავს, გოგონები დაგვიღონა...
მე რა კენჭი ამოვიდე, მაშინ იყო შავი დღეო,
ზოგსა დანიშნული ჰყავდა. ზოგსა ხელში დარჩა ბეო.
ზოგი ღმერთს ეხვეწებოდა: ღმერთო რაზუნდ დამბადეო! *).

სამსახურის და საბანაკო სიმღერაში ჯარისკაცი და-
წერილებით და ცოცხლად აგვიწერს „სალდათის“ ცხოვრებას.
„ქაში და ბორში“ საქმელად, „ჩექმა გარდ-გარდმო შეეკრი-
ლი“ ჩასაცმელად, „პენას“ სიმღერა, ლაგერში რანცების
ტარება, „ნაჩნოიში“ წელმოკაკვით წასვლა—იმგვარი სურა-
თები, რომელნიც პირდაპირი, მკაფიო სურათია ახლად დამყა-
რებული წესწყობილებისა.

მითოლოგიური სახალხო ლექსები, ჩვეულებებითან დაკავშირებული.

ლექსი უძველესი ფორმაა ერის ქმნილებისა. შედარე-
ბითმა შესწავლამ ხალხთა ნაწარმოებისა დაგვიმტყიცა ის
დასკვნა, რომ ლექსი—ლოცვა საწარმართო ღმერთთა წინაშე
პირვანდელი სახეა საზეპირო პოეზიისა. ლექსად ყოფილან
ჩვენში ის ლოცვები, რომელსაც წარმართი ქართველი მიმარ-
თავდა თვის ღვთაებას. ამას მოწმობენ სხვა და სხვა გვარი
შელოცვანი და ჩვეულებანი. ლექსად-ლოცვად ერი აფრქვე-
ვდა მას, რაც სულს და გულს უკვნესებს, ლექსს სთხუზავდა
და სთხუზავს იმიტომ, რომ აღელვებულს გრძნობას შესაფერი
გზა მოუძებნოს, — და მისი გრძნობიერება ხომ გამოწვეულია
ცხოვრების და ბუნების მოვლენით. წარმართთა ლოცვა ჩვენ-
თვის ახლა ლექსია, გაუგებარი და აზრს მოკლებული. ძველს
დროში კი იგი შეადგენდა ღვთის მსახურების აუცილებელს
რიგს. ამ ლოცვით—ლექსით გამოითხოვდნენ ბედნიერებას და

*) „ივერია“ 1903 წ. № 137.

დღეგრძელობას, იცავდნენ თავს უწმინდურთა ბოროტი განზრახვის და გავლენისაგან. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ საწარმართო ლოცვა—ლექსი დავიწყებას მიეცნენ, ან შეუერთდნენ საქრისტიანო ვედრებას. თვით ძველი ღვთის მსახურება ჩვენთვის შეიქმნა მამაპაპათა ჩვეულებად. ქართველთა საწარმართო სარწმუნოება დამყარებული იყო კეთილის და ბოროტის ღმერთთა ბრძოლაზედ. კეთილის ღმერთი იყო მზე, რომელიც უხვად აპყურებდა დედამიწას სინათლეს და სითბოს. მზის პატივსაცემლად იმართებოდა დღესასწაული, როცა იგი გამარჯვებული სუსხიან ზამთრის წყვდიადზედ გადმოიხრებოდა გაზაფხულისკენ. ქრისტიანობის დროს ეს დღესასწაული შეუერთდა ქრისტეს შობის დღეს. სვანეთში აქამდის დარჩენილია საყურადღებო ჩვეულება ქრისტეს შობის ღამეს ასასრულებელი. ამ ღამეს სვანები უწოდებენ შობ. თვით შობა დღეს იმართება ნადიმი, რომელზედაც სავალდებულოა დალოცვა მოწვეულ სტუმართა და გალობა ქრისტეს შობის ამბისა ბეთლემში, სადაც მღვდნი მთართმევენ ძღვენს *). გურიაში და სამეგრელოში ეს მზის დღესასწაული ქრისტეს შობის დღიდან გადატანილია საახალწლოდ, რომელსაც იქ უწოდებენ კალანდობას (calendae, რუსების კალიადა). ქართლში და კახეთში ჩვეულებად აქვთ ალილოზზედ **) სიარული.

ოცდახუთსა ამ თვესა ქრისტე დაბადებულა.

სახლო, საღვინოდ ნაკებო, სახლო; ღმერთმა აგაქმნოს.

სიტყვა ალილო უთუოდ წარმოსდგა სიტყვიდან ალილოია, თუმცა შესაძლოა, რომ მის ფესვი დავუნათესავოთ არალოს (არი, ალალო), სიმღერის დასკვნას ჩვენს დროში და მთას

*) გაზ. „შრომა“ და „დროება“, სადაც დაბეჭდილია წერილები თავისუფალი სვანისა.

**) რა კილოზედ მღერიან ამ შობის ჰიმნს კახეთში ნახე ქართული სახალხო სიმღერები, ნოტებზე გადაღებული ი. გ. კარგარეთელის მიერ. ტფილისი 1899 წ.

აწარუ ანუ უარტუ, რომელიც იყო საფუძველი არალეზების მითისა.

ახალწლის ჩვეულებანი საინტერესონი არიან იმ მხრით, რომ აქ შევხედებით შერევას ქრისტიანულ რწმენისას უძველესს საწარმართო წარმოდგენასთან. ბატონიშვილი ვახუშტი აგვიწერს ამ დღესასწაულს შემდეგი სიტყვებით: „ახალწელს პირველს იანვარს უწინარეს ცისკრის ლოცვისა უკვლევდა მეფესა ჰყონდიდელი ჯვარსა და ხატსა და სამკაულსა. მეფესა და დედოფალსა და სანუკარსა შაქრისასა. ხოლო შემდგომად წირვისა სრულიად ერისთავნი, ხელის უფალნი და დარბაზის ერნი თვისთვისთა ბარებულთა, ესე იგი არს ბაზირეთ უხუცესი შავარდენ-ქორსა და თავსა ველურის ეშვისასა მოოქროვილსა; მეჯინიბეთ უხუცესი ცხენსა აღკაზმულსა ოქრო მოოქლითა. ხოლო ერისთავნი ცხენსა არა კეთილთა, და კვალად ესენიკა და სხვანი სრულიად ისარსა და შეაჩვენიან კრულვით ორგულსა მეფისასა, მეტყველნი: მრავალ ჟამიერ ჰყოს ღმერთმან მეფობა თქვენი მრავალს წელსა და ისარი ესე გულსა შინა განერთხას მეფობისა თქვენისა ორგულსა. და შემდგომად სრულიად სპათა მოლოცვისა შექნიან პურობა დიდი განცხრომითა და სახიობითა; ხოლო ცხენთა მათ ერისთავთა მორთმეულსა განიყვანიან ბაზიერთ ხუცესი, სადა იყო სანადირო მეფისა, შემოლობილი ახლოსა მეფისა სამყოფისა და დახოცის ცხენნი იგი მწუხრსა მას შემოლობილსა მას შინა და მას ღამეს აღივისს შემოლობილი იგი მელითა, ტურითა, მგლითა; და დილასა მცველმან მისმან ჩამოხურის კარნი და დაამწყვდივის მას შინა; ხოლო მეორესა დღესა შეჯდის მეფე წარჩინებულთა თვისითა და მივიდის ადრიან მუნ. მაშინ გამოუშვიან მხეცნი იგინი და უწყიან ისრითა სროლა და სიკვდილი მათი. ესრედ იკვლევდიან და შემოვიდიან მხიარულნი სანადიმოდ“.

აქამდის საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში დარჩენილია შესანიშნი ახალ-წლის დღესასწაული. მეკვლე, რომე-

ლიც შემოდის სახლში მოსალოცად, იტყვის: შემოვდგი ფეხი, გწუაღობდეს ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა. აბრამიანის ღორის თავი სავალდებულო შესაწირია ამ დღეს. გოზინაყი და ტკბილეულობა, თეთრი ფულით დასაჩუქრება, ბედის კვერის „ბასილას“ (წმ. ბასილის მოგონება) გამოცხობა ცოცხლად და ხელშეუხებლივ სწარმოებს ქართლ-კახეთში, როგორც კალანდობა ჩიჩილაკით გურია-სამეგრელოში. როგორც ჩვეულება, ისე ლოცვა, რომელიც ამ დროს წარმოითქმის, ერთის მხრით წარმართულს დროს გვაგონებს, მეორე მხრით იგი შედეგია ქრისტიანობითი სარწმუნოების გავლენისა. „ღმერთო, დაგვიფარე ეშმაკისაგან“, ამბობს ოჯახის უფროსი და თან იღერებს რკინის კეტს და ამავე დროს იხსენიებს წმ. გიორგის და მთავარ-ანგელოზს მიქელს. ბედის ჰურის გამოცხობა და საქონლისთვის ახალ-წლის მილოცვა, ცეცხლის გაღვივება და ნაპერწკლების წამოყრა სიტყვების დამატებით: „ამდენი ხარი, ამდენი ძროხა, ამდენი წელიწადი სიცოცხლე!“ უჩვენებს იმ დროს, როცა კერას ჰქონდა განსაკუთრებითი მნიშვნელობა და ცეცხლი იყო თავყვანსაცემი ღვთის პიროვნების გამომხატველი. ღორის თავის დართვა ტაბლაზე მოწმობს წმ. ბასილის სწავლის გავლენას. გარდა ამისა ყველიერის წინა შაბათს იმერეთში დღესასწაულობენ ბოსლობას და წარმოსტკვამენ ამ დროს ლოცვას, რომლითაც მოითხოვენ ღვთის დალოცვას მიწის მოსავალზედ და მიულოცავენ საქონელს კვერცხს. რაქაში იკიან გოჭის ხუთ-შაბათის დღესასწაული ყველიერის ერთი კვირის წინ და ლოცვაში გამოსტკვამენ სიხარულს, რომ ბრუნდება გაზაფხული. წინად ესეც მზის მობრუნების პატივსაცემი დღე იყო.

წარმართული დღესასწაულების მოგონება შერჩენია ქართველს ხალხს ყველიერის დროს გატარებაში (დათო-დათვი, ბერიკობა, ჩაღიჩობა), დიდმარხვის ორშაბათს ყუენობის დაწესებით და სხვ. ყუენობა გვაგონებს ბრძოლას ზამთრის და გაზაფხულისას, ბრძოლას, რომელიც თავდება გაზაფხულის

გამარჯვებით. თვით სახელწოდება კი ამ დღესასწაულისა გვარწმუნებს, რომ ძველს წარმართულს ნაშთს დაერთო რალაც ისტორიული მოგონება სპარსეთის გავლენის დროისა. პირგათხუპნული ყეენის წყალში ჩაგდება ნიშანია მასზედ გამარჯვებისა, სულ ერთია აფხსნით ამ გარემოებას ისტორიულად თუ სიმბოლიურად.

გაზაფხულის დადგომას სიხარულით შეეგებებოდა ხოლმე წარმართი ქართველი და მზის გაბრწყინებულს სახეს მიმართავდა აქამდე დარჩენილი სიტყვებით: „გაზაფხული დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო, ჩიტმა ჩიორამაო, საძირკველი ჩადგაო“. თუმცა თებერვლის სითბო ჯერ კიდევ საიმედო არ არის: როცა „თებერვალი ჰბერავს, მაშინ მარტი ტყავსა ჰკერავს“.

დიდ-მარხვის ვნების კვირის ოთხშაბათს დაგვრჩენია ძველი ჩვეულება ცეცხლით განწმენდისა მავნე სულთა გავლენისაგან. ააპრიალებენ ამ დღეს თივას ან ბურბუშელას, ზედ გადაახტებიან სამჯერ დიდი თუ პატარა და თან ამბობენ: „აღუღი კუდიანებსა“, ესე იგი ალი კუდიანებსაო. ამ დღეს კუდიანები ხალხის გარდმოცემით შავს კატებზედ გადამსხდარნი მიეშურებიან იალბუზზედ ტარტაროზთან თავიანთი წლიური მოქმედების ანგარიშის მოსახსენებლად.

დიდს შაბათს მიღებულია ქონაზედ სიარული და კვერცხების მოკრეფა. მეკალათე ან ბანიდან ჩაჰკიდებს კალათს, ან მომღერალთა გუნდით მიაღდება ოჯახის კარებს და შემდეგ ჩამოლოცვას მღერიან:

ღმერთო, ააშენე ეს ოჯახი, მიეცე მშვიდობა, დღეგრძელობა, მარხვა სინანულისა კვლავ მოჰკვარე, აღდგომას სიხარულისს შეასწარი, ქრისტე ღმერთო! ორთლობა—ორი სახარება შეეწიოს ამ ოჯახსა.

მოახსენეთ ბუღბუღებო!

აღათასა ბაღათასა,

ჩამოვიდებ კაღათასა,

ადექ, ქალო, კვერცხი ჩადე,

დმერთი მოგცემს ბარაქასა.
ჩვენ შორის გზიდან მოვსულვართ,
შეესწარით აღდგომასა,
გთხოვთ რომ მალე გაგვისტუმროთ,
შინც გუპირობთ მილოცვასა.

მზეს არამც თუ თაყვანსა სცემდნენ და აპიროვნებდნენ,
—მასვე სწირავდნენ ზვარაკს და მადლობას უძღვნიდნენ აღ-
მობრწყინებისათვის. ახლაც გაიგონებთ წვიმის დროს შემდეგს
ლექსს, რომლითაც ბავშვები მიმართავენ ხოლმე მზესა:

მზეო, მზეო, ამოდი, ცხვარს დაგიკლამ მაკესა,
შეგიწვამ, შეგიმარილებ, წინ დაგიდგავ ტაბკითა.

მზის პატივსაცემად არსებობდა ფერხული, რომლის მოძ-
რაობა გვაგონებს ირგვლივ მზის მოძრაობას. დელა, დელა,
ფერხულის სიმღერაში ჩართული, შესაძლოა წარმომდგარიც
იყვეს სიტყვიდან დილა და გვაგონებდეს მზის პირველი სხივე-
ბის დიდებას.

გაზაფხულის დღესასწაულს ეკუთვნის აგრეთვე ჩვეულებ-
ა წითელი კვერცხების გატანისა მიცვალებულთა საფლავზედ
დიდ პარასკევს და კვირაცხოვლის სამშაბათს. მიცვალებუ-
ლებს ძველად მიულოცავდნენ გაზაფხულის დადგომას წითელი
კვერცხებით.

გ მ ი რ უ ლ ი ლ ე მ ა ს ე მ ბ ი.

1. ამირანის მთაში და ბარში.

მითოლოგიური ლექსების შემდეგ გადავიდეთ გმირულს
ნაწარმოებზედ. გმირული ლექსები შეიძლება გავყოთ ორს ჯგუ-
ფად: პირველის დედაძარღვს შეადგენს ამირანის ამბავი, მეორე
შემოკრებილია როსტომის გარს. ამირანზე ლექსებს მღერიან
და ამბად მოგვითხრობენ სხვა-და-სხვა ადგილას. უფრო ხში-
რად ლექსი და პროზა ერთად გვხვდება. იქ, სადაც ხალხს

ლექსით მოთხრობა დავიწყებია, პროზას მიმართავს და ამ გვარად აკავშირებს მის მეხსიერებაში ღარჩენილს რითმიულს ამბავს.

სამნი ძმანი წამოვედი:
ბადრი, უსუფ და ამირან,
ათი მთა გადავიარეთ,
მეთერთმეტე ალგეთისა.
იქ რომ ერთი კოშკი იყო,
ანაკები სული კლდისა,
სამი დღე ღამე ვუარეთ,
ვერ ვიპოვეთ კარი მისა...
საცა ამირან იუხი ჰქვრა,
იქ შეიბა კარი მისი.
შიგ ერთი მკვდარი ესვენა,
საწყაღი და საბრაღისი,
თითებსა და თითებს შუა,
წიგნი ეღო ქაღალღისი.
გამოფართვით... წავიკითხეთ,
შიგ ეწერა გვარი მისი:
არც ასე დაკარგული ვარ—
ძმის-წული ვარ უსუფისი,
ვინც ჩემს ცოლ-შვილს შეინახავს,
ჩემი ღახტი ალალ მისი,
ვინცა ბაუბაუ დევს მომიკლავს,
ჩემი შუბი ალალ მისი,
ვინც ჩემს გვამს მიწას მიაყრის,
ჩემი სახლიც ალალ მისი.

ამ წერილის წაკითხვამ ძმები მეტად შეაწუხა, რადგანაც მიცვალებული მათი ნათესავი გამოდგა. უმცროსმა ძმამ, ამირანმა, თავს იღო მისი დამარხვა, უფროსები თავიანთს საქმეზედ წავიდნენ. ამირანმა დამარხა გვამი და გზას გაუღდა. ამ

დროს შეინძრა მიწა, გამოჩნდა უზარმაზარი დევი, რომელიც გამგელებული მოიძახოდა:

ვინ დამარხა ჩემი მსხვერპლი
თავსედმა და დედა-ბილწმა.

ამირანმა შეუძახა:

შორიდან ნუ მოიყუევი,
ახლო მოდი, ჰასუს გაცემე,
მე დავმარხე ნათესავი
და წესიც მას მოითხოვდა.

ამირანი და დევი შეიბრძოლნენ. პირველად დაიჭნია დევმა და ჩასვა ამირანი ფეხის ცერამდის, დაიჭნია ამირანმა და ჩასვა კოჭამდის. მეორედ დევმა კოჭი დაუმალა, ამირანმა მუხლამდის ჩასვა მიწაში. დიდის ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა ამირანმა და ჩასვა ყელამდის. მერე ხმალი ამოიღო და თავის მოკვეთას უპირებდა. დევმა შიშით შებღავლა:

მატა, ამირან, ნუ მომკლავ,
გასწავლი წყალ გადმით ქაღსა,
ქაღსა ღამაზსა, კამარსა.
მიხვიდე, გამოიყვანო—
ტკბილია დედის რძინი.

დევი მაინც მოჰკლა, რადგანაც იგი დაუშლიდა კამარა-ქალის მოპოებაში. გავიდა თუ არა ამირანი წყალს და მიატანა კამარას სახლს, ქალმა ჭურჭლის რეცხას თავი დაანება და კარი ჩაიკეტა. რადგან ამირანის თხოვნაზედ, კარი გაეღო, ქალმა უარი უთხრა, კარი შეუმტვრია წიხლით და შევიდა.

ამირანმა შესვლის უმაღლვე უთხრა ქალს: ტანთ ჩაიცივი და გამომყეო. ქალმა ჯერ უპასუხა: მამაჩემს და მის აუარებელს ჯარს სად დავემალეებითო, მაგრამ რაკი ვერა გააწყლრა, მიიწვია ამირანი ჭურჭელი დაემხო. ამირანმა ერთი ჯამი რამდენჯერაც დაამხო, იგი იმდენჯერვე გადმობრუნდებოდა. გაბრაზებულმა ამირანმა დაჰკრა ფეხი და დაამტვრია. ჯამის ნამტვრევები გაქანდნენ კამარას მამის ჯარში და იძახდნენ:

კამარ ქალი წაიყვანეს! მამამ ჯარი გამოუყიდა. სამი დღის
გზა ჰქონდათ ამირანს და კამარას გაელილი, როცა შენიშნეს
მომავალი ორი კაცი. ამირანმა შესძახა:

რომელი მოხვალთ მე მთასა,
ფეხი მიგიგავთ კაჭკაჭსა,
მოკაღი, კბილთა ავტეცხლი,
მინდორს მისდევდა ალათა.

ეს ორი კაცი ამირანის ძმები გამოდგნენ. გასწიეს ერთად
და მიუახლოვდნენ მაღალს კოშკს. ამ დროს ღრუბელი წამო-
ეწიათ, რომელიც კამარას სიტყვით იყო მისი მამის ჩრდილი.
შემდეგ წამოეწიათ წინწყალი, — ეს ფეხის ნამი იყო ჯარისა,
რომელიც ზღვას გამოვიდა. ციხესთან რომ მივიდნენ, კამარამ
უთხრა:

ამირან, გვაღე გვაღეო,
თმში გაქებენ ხოლმეო, (!)
გმირები მოგეწევიან,
თმი იციან მწარეო.

ამირანმა უპასუხა:

არა ვარ ჭადის კურდღელი,
რომ მეშინოდეს მწევრისა,
არცა ვარ ჭადის ხოხობი,
რომ მეშინოდეს ქორისა.

ავიდნენ თუ არა კოშკში, ჯარი მას გარს შემოერთყა.
ბადრმა უთხრა ძმებს: ჯერ მე ჩავალ საომრად; ცაში რომ
ფრინველმა დენა დაიწყოს, ჩამომეშველენითო. ბადრი ჩავიდა
და თითქმის მესამედი ჯარისა დახოცა. ფრინველი აირია.
უსუპი ჩაეშველა. როცა ჰიანქველა დენას დაიწყებდა, ამირა-
ნიც უნდა ჩარეულიყო. უსუპმა დახოცა ნახევარზედ მეტი
ჯარი და აირია ჰიანქველა. ამირანი წავიდა საომრად, გაწ-
ყვიტა ჯარი და მხოლოდ კამარას მამა გადარჩა, რადგან თავ-
ზედ ქუდად წისქვილის გელაზი (ქვა) ეხურა. ხმლის დაკვრა-

ზედ გელაზი ნაპერწყლებს ისროდა. ბოლოს, დიდი ბრძოლის შემდეგ კამარამ დაუძახა ამირანს:

ჰეი ამირან, ამირან! ოში არ იცი კიფოსა,

ზეით რათა სცემ სპილთსა, ქვეით დაუშვი რბილთსა.

ამირანმა ჩაჰკრა მუხლებში და კამარას მამამ, ვიდრე სულს დაღევდა, ქალს დაუძახა:

აი, შე კახა კამარო, გურო ირჩიე მამასა?

რისთვის გაგზარდა დედამა, რისთვის გეტუოდა ნანსა?

ქალმა უპასუხა:

არცა გამზარდა დედამა, არცა მეტუოდა ნანსა,

კერის ჰირას მიმაგდებდენ, ძიძა მეტუოდა ნანსა.

კამარას მამამ დალია სული. ამირანმა და კამარამ დახოცილთა გვამებში დაუწყეს ძებნა ხანჯლის წვერებით ბადრს და უსუპს. ბადრი ცოცხალი ყოფილიყო, მაგრამ ძებნაში ხანჯლის წვერით იმათ მოეკლათ, უსუპი კი ვერ იპოვეს. კოშკში დაბრუნებას აპირობდნენ, რომ მათ წინ დაეცა შეილდ ბოძალი. ამირანმა იგი ვერ შესძრა. მოვიდა ერთი უზარ-მაზარი დევი და თითოთ ამოაძრო. შეექმნათ ბრძოლა ამირანს და დევს და გათავდა დევის გამარჯვებით. ამირანი მოკვდა და დევი გახდა კამარას პატრონი. ვიდრე შენ წაიძინებ, ამირანს კუბოს მოვუმზადებო, უთხრა კამარამ დევს. მღევმა ერთი კვირით იცოდა ძილი. კამარამ დაინახა, რომ თაგვის პატარა წრუწუნა ამირანის სისხლს სვამდა. გაიხადა ფეხიდან ქოში, დაარტყა და მოკლა. თაგვის დედა გამოვარდა და ლანძღვა დაუწყო კამარას:

მეტი რა მოგეთხოვება,

გურო ირჩიე მამასა.

უსვინდისომ გვარი დაჰკმე

და გაუდეგი შარასა.

თაგვმა მოგლიჯა ძურწა ბალახნი, გადაუსვა წრუწუნას და გააცოცხლა. კამარამაც ამის მიხედვით ძურწა გადუსვა ამირანს და გააცოცხლა. ამირანმა თვალვებზე ხელი მოიხვია

და სთქვა: უუ! რამდენი მძინებიაო. კამარამ გააცოცხლა ბადრიც. ამირანი წავიდა უსუბის საძებრად და მივიდა ერთს ალაგს, სადაც მიწას ხნავდნენ. ძმობასა, აქეთ კაცი ხომ არ გინახავთ ჩამოვლილიო, ჰკითხა ამირანმა. ერთმა უპასუხა:

ერთმა ჰირ-ქუშმა ვაჟუცმა,
მხარ-მარჯვნივ ჩამოგვიარა,
გუთნუელს ხელი გაგვიკრა,
წყალ გაღმით გაგვისრიალა.

მეორემ უთხრა, რომ ის კაცი ახლოს წყაროს პირს წვესო. აქ იპოვა ამირანმა უსუბი და სიხარულით წამოვიდნენ კოშკისაკენ. გზაში ამირანმა შიმშილი ველარ მოითმინა და გადუხვიეს დევების სადგომისაკენ, რომ იმათგან პური გამოეტანათ. დევებმა რძალი გამოგზავნეს, — წადი და ნახე ჩვენი საკბილო არის თუ არაო. რძალმა ფეხებ წინ გადუგდო ამირანს ისარი და დაუძახა: ძმობასა, ეგ ისარი აილე და გადმომიგდეო. ამირანმა ყური არ ათხოვა. გადმოხტა დევის რძალი და გაუცინა. ამირანი გამოეხმაურა:

რას მიტინი, დევის რძალო,
უნებურად მიჩენ კბილსა?
თუ შემოველ, აგიტირებ
ქმარსა, მაზღსა უმაწვილ-წვრილსა.

რძალი შემობრუნდა სახლში დაღონებული და სუყველა უამბო დევს. ამათ ბავშვი ჩააწვინეს აკვანში, ვიდრე ამირანი და უსუბი შემოვიდოდნენ. ცეცხლზე შემოდგმული იყო მთელი ირემი და იხარებოდა. დევებმა სუფრა გაშალეს და ამირანს უთხრეს ქვაბი გადმოედგა ცეცხლიდან. ამირანმა ქვაბი ნეკებით ასწია. დევებმა ერთმანეთს შეხედეს. ამ დროს აკვნიდან წამოიძახა ბავშვმა:

თითქო ამირნის ხანჯალსა
წელზე შენ შეკაბმევენებ,
ბადრ უსუბის ბარკაღსა
სადილათ გაგახრევენებ.

ამირანმა მრისხანედ შემოართყა აკვანი კედელს და გაანადგურა. დევები დახოცეს, რძალს კი უთხრეს: შენ ცოცხალი იყავ და გახსოვდეს უცხო კაცს კბილი აღარ გამოუჩინო. ამირანი და უსუპი დაბრუნდნენ კოშკში და დაიწყეს ერთად ცხოვრება.

ფშავში ამირანის ამბავს უფრო ვრცლად მოუთხრობენ. ამირანი სულკალმახის და დარეჯანის უმცროსი შვილი და ქრისტე ღმერთის ნათლული იყო. ქრისტე გლახად ჩაცმული მივიდა ნათლობის დღეს და სთხოვა სულკალმახის საყვარელი შვილი მისთვის მოენათვლინებინა. ქრისტემ დაანათლა ამირანს დაგორებული ხის სიჩქარე, სიმარდე გაქანებულის ზვავისა, თორმეტი უღელა ხარ-კამეჩის ღონე, მგლის მუხლი, ბაღლო-ლით სისაწყლე და სიბეჩავე, ვაჟკაცობაში—ომი და ქირ-სახ-დიელი. დაეხოცა ამირანს დედ-მამა და დარჩა ობლად ორი ძმით, ჰადრით და უსუპით. დევებმა დაუნგრის სახლი, ობლები ცის ქვეშ აღამებდნენ და ათენებდნენ. კერა-ნაცარი ენატრებოდათ.

ბადრი, უსუპი, ამირან—

ობლები მოვიყარენით,

უგელფურ გვინახავ, კერაი,

სახაღეს მოვიზარდენით.

ვინაც კარგ გვიყვა ობლთა

მუშაში დაგეტანენით.

ვინაც აგვიყვა ობლთა

იშას შინ შეგეტანენით.

დედამ დარეჯანმ გვაბარა,

დეგებს ნუ შეგერებიით,

თუ შეეყაროთ დეგებსა,

ადვილ ნუ გეგერებიით.

სამნი ჩვენ სამას დეგები

ჩაბაღხეთ შავიყარენით,

თავს მოვხდით ბაღხის კარავსა,

ობლოში გავიყარენით.

ომის ვერა გავიგეთ,
ფარის ქვეშ მოვიმაჯენით.
დავსხედით ღვინის სმაზედა,
ზოგნ დევნიც დავიტანებით.
ვინაც სვა ღვინო ჩვენთანა,
ძმებურად გავიუარებით,
ვინაც არა სვა ღვინოი,
დავკარით, არ ვიწყალებით,
დევებ ხო არა უოფილან,
სულ ხმაღს ქვეშ მოვიტარებით.

ამირანი ასეთი ღონიერი გაიზარდა, რომ მიწას უმძიმდა იმისი ტარება. ბადრი და უსიპი შშვენიერები იყვნენ.

ცოტა კაცია ამირან,
ცოტა სმა-ჭამა ეუოფა,
სადილად ბუღა კამეჩი,
ვანშმად არც სამი ეუოფა.
ბადრი ქალსა ჭკავს ღამაზსა,
საქმარედ გამზადებულსა,
უსიპი—ბროლის ციხესა,
თავბოლოდ გამაგრებულსა,
ამირან—შავსა დრუბელსა,
საყდროდ დამზადებულსა.

ერთხელ ნადირობისას მეთე მთის გადასავალზედ უზარ-მაზარი ჭრქიანი ხარი-ირემი გამოუხტათ. ესროლა ამირანმა და დასჭრა:

სანადიროდ წამოვიდნენ
ამირან და ძმანი მისნი,
გადიარეს ცხრანი მთანი,
მუათენი აღგეთისნი,
მინდორს კვალი გაუკვდიეს,
დანაჭლიკი ეშმაკისი.
მთას ირემი წამოუხტათ,

ოქრო იყო რქანი მისნი.
უცხოის მთაზე კოშკი ნახეს,
ანაგები ბროლის ქვისი.
გაუარეს გარე გურგულათ,
ვერ იპოვეს კარი მისი.

აქ ნახავენ უსუპის დისწულის ცუმცუმას გვამს, რომელსაც თითებში უჭირავს წიგნი თავის ჩამომავლობაზედ, როგორც ქართლში ჩაწერილს ვარიანტშია მოთხრობილი. ცუმცუმა დამარხეს და გზაში შეხვდნენ სამ-თავა ბაყბაყ დევს, რომელიც იმის შესაქმელად მოდიოდა. ამირანი და დევი შეებრძოლნენ ერთმანეთს:

დევი და ამირან შეიბნენ
• მიწას გაჰქონდა გრიალი.
ამირანმა დევი დასცა,
ადგილი შესუდა ქვიანი,
დასცა და მხარი მოსტეხა,
დააწეებინა დრიალი.

დევი ამირანს აფიცებს „ხმლიანს ხელს“, „დედის მან-დილს“, „თაკლასი ოქროიანს“ ნუ მოჰკლავს და ჰპირდება ასწავლოს „ზღვას გაღმა ქალი სახელად ყამარ (ქართლში ჰქვიან ამ ქალს კამარ). ამირანმა არ დაინდო და ორი თავი უკვე გააგდებინა, როცა ბაყბაყ დევი შეევედრა: ეს მაინც შემისმინე, რომ ჩემი თავებიდგან სამი ჭია ამოძვრება და იმათ ნუ დაჰხოცავო.

უსიპი სთხოვს ამირანს დევის თავიდგან ამომძვრალი ჭიებიც დახოცოს. ამირანმა არ გაუგონა და ბაყბაყ დევის შიკრიკს დაავალა „ყამარისკენ სავალი გზა“ ეჩვენებინა. შიკრიკი ეცადა მათთვის გზა აერია და ერთს და იმავე ბილიკებზედ ატარებდა. უსიპმა შენიშნა ეს თვისი ნასროლი ისარით:

ვერ გაიგო, ამირან,
არ გამარჯვების ნიშანი?

მესამედ იქვე მოვედით,
გუშინ რა დაგუარ ისარი.

შეშინებული შიკრიკი გაუძღვა და მიიყვანა ტრიალს მინდორზედ, სადაც დევის თავიდან ამომძვრალი სამი ჰია ვეშაპებად ქცეულიყვნენ: ერთი იყო თეთრი, მეორე წითელი, მესამე შავი. ამირანმა ძმებითურთ დააპირა ვეშაპებთან ბრძოლა:

თეთრი ბადრს, წითელი უსიპს,
შავი ჩემდ გინებებიათ.

უსიპმა უთხრა: აკი გითხარ, ინანებო, ახლა—თეთრიც შენ და წითელიც, შავიც შენ ნაგონარიოა. ბადრმაც უარი უთხრა მიშველებაზედ. ამირანი „ხმლით და აბჯრით“ შეიარაღებული შეებრძოლა გველეშაპებს: „თეთრი მოჰკლა და წითელი, შავსა შეება მაშვრალი, შავმა აიღო ჩაყლაპა, შავის ზღვისაკენ გასწია“. გაჭირებულს მდგომარეობაში ჩავარდნილს ძმას ბადრი და უსიპი მიეშველნენ. ესროლა უსიპმა და ცხრა ადლი კუდი მოსწყვიტა შავს გველეშაპს. ამ ტკივილს გარდა გველეშაპს ქარცეცხლს მუცელს გლეჯდა ამირან დარეჯანის ძე. ქარცეცხლს ერთი რკინის ბოძი ჰქონდა; ამას შემოეხვევოდა და ჩაყლაპულს დაამტვრევდა და მოინელებდა. მაგრამ ახლა კუდი პირში აღარ მოსწვდა, რადგან უსიპმა მოსწყვიტა. ქარცეცხლმა დედას შესჩივლა მუცელს ცეცხლი მეკიდებოა. ვაიმე, შვილო, თუ დარეჯანიანი ვინმე ჩაყლაპე, იმათ კაცს შენ ვერ მოინელებო. დევმა აუწერა ჩაყლაპული კაცი: საცერივით თვალები ჰქონდა და ერთი ოქროს კბილი ედგაო. —ამირანი ყოფილა, დარეჯანის ძეო, უთხრა დედამ.

ამირანს ჯიბეში აღმასის დანა ედვა. უსუპის რჩევით ბადრმა ჩასძახა ამირანს:

მაუდის დარეჯანის ძეო,
ჯიბეს ჩადება დანისა,
ამოღება და გამოჭრა
მაგ შავის გველეშაპისა.

ამირანმა ქარცეცხლს გამოსკრა მუცელი და გამოძვრა თმა-წვერ-გაცვინული „ხუხულა გოჭივით“. ამირანმა უსიპის დაცინვაზედ უპასუხა:

კაცი გამოვა კაცობრი,
წვერი არ დაესაყსოსო;
თხასაც ასხია ბაჯანი,
მაზმანი დააფასებსო.

ბადრმა დაამშვიდა გაჯავრებული ამირანი, ნუ იწყენ უსიპის სიტყვებს, იგრი ბატონთან წავიდეთ და ის გაგიკეთებს წვერ-ულვაშსაო. იგრემ ხელმწიფის ბრძანების მოტანა მოსთხოვა. ხელმწიფემ ამირანი ამაყად მიიღო და გამოგდება დაუპირა. ამირანმა წაგლიჯა თავი და კალთაში გახვეული მოუტანა იგრის. ამან გაუკეთა წვერ-ულვაში და ძმები წამოვიდნენ ისევ ყამარის საძებნელად. დიდხანს უბინაოდ იარეს. უსიპმა ურჩია იქ ჩასულიყვნენ, სადაც დევებს ქორწილი ჰქონდათ. როგორც ქართლში ჩაწერილს ვარიანტშია, ამირანი და მის ძმები შევიდნენ დევების სახლში, ისადილეს, „ლოგინით პატარა შვილის“ კნავილზედ, ამირანი მოჰკლავს მას და დევებს დახოცავს. ამათ სისხლში კინალამ თითონაც დაიხრჩო. დაჭრილი დევის მძოვრი ესროლა კედელს და გაამტვრია: სისხლი გარეთ გავარდა და ამირანმაც თავს უშველა. აქ ცოტა ხანს დასახლდნენ, მაგრამ ამირანმა ჩქარა მოიწყინა, მოსთხოვა ბადრს თეთრონი და დააპირა წასვლა ყამარას საძებნელად. ძმები ზღვის პირას დარჩნენ და თვით ამირანი კი თეთრონზე შეჯდა და შევიდა ზღვაში. გაღმა გავიდა და მიადგა კოშკს, სადაც ფანჯარასთან ყამარი ჭურჭელს რეცხდა. აქაც, როგორც წინათ მოვიხსენეთ, ერთი ჯამი ამირანმა ვერ გააჩერა, გაჯავრებულმა დაამსხვრია და მისი ნამტვრევები წავიდნენ ყამარას მამასთან მოციქულად. მამა ჯარით დაედევნა ამირანს და მასთან გაპარულს ყამარას.

ამირან, გვაღე-გვაღესა,
მუნჯად გაქებენ მაღესა,

ამბრნი, უმბრნი და არაბნი
ცხენს შესხდებიან ჩქარეს,
მალედეგ მოგეწევიან,
ომს გაგიწევენ ცხარესა.

აჩქარებს ამ სიტყვებით ყამარა ამირანს, რომელიც მას ამხნეებს და ეუბნება:

იმ მამიშენის ჯაშქარსა,
დაუმადარსა ღომითა
მარტო გაუხდი ჩხუბადა,
მარტო ვეყოფი ომითა.

ამირანმა დაარქო ისარი და გაგზავნა ჯერ უსიპი სომარად. ამან გაანახევრა მტრის ჯარი და თითონაც მოკლულ იქმნა. შემდეგ მოკლეს ბადრიც და ჩავიდა ძმების სისხლის ასაღებად ამირანი. ყამარამ სთხოვა ომიდან გამოსვლის დროს ხმალი არ ჩაეგო და ხმლიანი ასულიყო მასთან. როცა ყამარამ შეატყო, რომ ამირანი სცემს ხმალს იმის მამის მუხარდს, რომელიც ნაპერწკლებს ჰყრის, ურჩია შორიდან: „მაღლა კი ნუ სცემ სხილას, დაბლა შემოჰყარ რბილას“. მამა უსაცვედურებს, რომ „ქმარი ირჩია“ ქალმა. მაგრამ ყამარას მისი ამაგი არ ახსოვს, არც „დედის ნანა“ მოაგონდება. ამირანმა გაიგონა ყამარას სიტყვები, შემოჰყრა ხმალი ფეხებში „ქაჯთ ბატონს“ და მოკლა. ხმალი-ამოღებულმა გასწია ყამართან. ამ დროს შემოხვდა ერთი ქალი, რომელიც ეკითხება ამირანს:

ნეტა ხმლიანი სად მიხვალ,
ამირან თარაქაშაო.

გასწევიტე ვოლეურები,
ვინ გითხრა ბარაქალაო?

თუ კარგი კაცი ხარ, ხმალი ჩააგე და ძმები მოძებნეო. დაუწყო ამირანმა ძმებს ძებნა დახოცილთა შორის. იპოვნა ჯერ უსუპი, მერე ბადრი. დააწყო ერთად და დაიწა გულში ხმალი, უნდოდა იმათთან ერთად სიკვდილი. მაგრამ ხმალმა

არ გასჭრა. ამ დროს ერთი მკვდარი ქაჯი გადასძახებს მეორეს: რეგვენს ამირანს არ სკოდნია, როგორ მოიკლას თავიო: ნეკა-თითი მოიჭრას და მეტი არ უნდაო. ამირანმა გაიგონა ესა და მოიჭრა ნეკა-თითი.

ყამარო, დამხსენ ძუსენი,

შენ ჩემთან დასთმე თავიო.

ცოცხალსა სიარსამულსა

შე გირჩევივარ მკვდარიო.

ამ სიტყვებით მიაბარა სული. ყამარა გაჩნდება ამირანის გვამთან. მოჰკლავს თავის წრუწუნას, რომელიც მის სისხლს სვამს. თავის დედა გააცოცხლებს ბალახით წრუწუნას და ამავე ბალახით ყამარა ამირანს, ბაღრს და უსუპს. ამას შემდეგ ამირანმა ბევრი დევი და გველეშაპები გაწყვიტა ქვეყანაზედ. ამირანს თავის მომრევი აღარავინ ეგონა დედამიწაზედ. ერთხელ ამირანს გზაში შეხვდა ურემი თორმეტ ხარ-კამეჩიანი, რომელიც ძლივს მიათრევდა მის მიცვალებულს მტერს ამბრის:

ამბრი ჩაჰქონდა დედასა,

თორმეტ უღელსა ხარსაო;

გადმოფარდნობდა ბარკადი,

მიწას არღუევედა მუარსაო.

მკვდარს ამბრს დედა მისიღედა. დედამ გამოსაცდელად სთხოვა ამირანს ამბრის ბარკალი შეედო ურემზედა. ამირანმა ძრევა ვერ უყო ამბრის ბარკალს. დედაკაცმა ამ სიტყვებით გაკიცხა დარეჯანის ძე.

ა ის ქვეყანაც კრულია,

სადაც შენ ამირანობდი,

თავს იხურავდი ჩაჩქანსა,

ბოლოზე ჰქაჰციანობდი...

დმერთმ იცის, ჩემო ამირან,

ამბრის ვერ ეღარებოდი;

ვერც სმაში, ვერცა ჭამაში,

ვერც ომში ედარებოდი.
შეკვდარმა გაჯობა ცოცხალსა,
ცოცხალს რას ედარებოდი?
თუ მაგის შეტი არ იუაჳ,
ჩემს შვილს როგორა მტერობდი?!

შეწუხდა ამირანი და ნატრობდა სიკვდილსა ნამუსიანსა:
საბნელის ჩაჯდა ამირანს,
შამაიკრიფა ფეხები,
თუ კი ამის შეტ არ ვიუაჳ,
სამზეს რას ვეხეხები?

ჩაჯდა ამირანი საბნელოს, ადამიანს აღარ ეკარებოდა. მაშინ ღმერთმა მოუმატა მას ღონე სამი აღიდებული წყლისა და ძალი-სიმარდე სამი ფერდოს ზვავისა. ახლა ამირანის მომრევი აღარავინ იყო. გაამაყდა იგი და თვით ნათლიასთან — ღმერთთან მოინდომა ქიდილი. შეხვდა ამირანი ნათლიას და ჩააცივდა — უნდა მეჭიდავოო. „კარგო“ — უთხრა ქრისტე ღმერთმა, — „მე ამ ჯოხს, ხელში რომ მიჭირავს, დავარკობ და თუ შენ ამოიღე, გაშარჯვებული შენ იქნებო“. ორჯელ ადვილად ამოაძრო ამირანმა ჩასმული ჯოხი. მესამედ ქრისტემ დაარკო ჯოხი და უბრძანა ისეთი ფესვების გადგმა, რომ მთელს ქვეყანას ირგვლივ სარტყელივით შემორტყმოდა. ამირანმა ახლა კი ჯოხს ძვრაც ვერ უყო. მაშინ ღმერთმა დააბა ამირანი იმ ხეზედ და წამოახურა თოვლ-ყინულიანი გერგეტი და ყაზიბეგის მთა. მას შემდეგ მოწყვეტილი სინათლეს იქ არის მიჯაჭვული ამირანი. ღღეში ღვთისაგან ერთი პურა აქვს და ერთი მინა ღვინო. ყოველ ღღე ყორანი მიუტანს და დაუდგამს წინ. ამირანს იქ ჰყავს ყორნის ნაშობი გოშია. დაჟანგებულს ჯაჭვს გოშია ჰლოკს და ათხელებს რკინას. მიდგება ჯაჭვიც გაწყვეტაზე, ამირანის გულს განთავისუფლების იმედი მიეცემა, მაგრამ ამ დროს წყეული მკედელი დაჰკრავს კვერს დიდს ხუთშაბათს გრდემლსა და ჯაჭვი ისევ სქელდება. იქავე ახლოს უძევს თავის მოკლე დაჟანგებული

ხმალიც ამირანს. წელიწადში ერთხელ გაელება ამირანს საბნელოს კარი გერგეტის მთაში, მაგრამ ამირანს შველა არ აქვს. გერგეტზე ერთი გაქვავებული გველეშაპია. ის ამირანის მტერი იყო და წამოსულიყო იმის შესაქმელად. ქრისტემ გააქვავა იგი და მას შემდეგ იმ ადგილს არ ეკარება თოვლყინული, არც ჯიხვები შეეფარებიან მას წვიმა-ავდარში.

ამ ყოფაში ამირანი ერთხელ ჯიხვებზედ მონადირეს ჭნახა. მისგან დაქრილი ჯიხვი შეიხიზნა ერთს ხეში. მზე ჩავიდა და მონადირე დიდის წვალებით ღრეებში მიადგა ერთს კლდეს, საიდანაც მოესმა კენესა და გმინვა. შეკრთა, მაგრამ სიბნელეში გაქცევას, ისევ გაშინჯვა არჩია, ვინ არის და რას შერებაო. შევიდა კლდეში და ნახა უზარმაზარი ღვევივით კაცი, ჯაჭვით კლდეზედ მიბმული; თმა-წვერი ესხა ისეთი, რომ დაბლა ლოგინად ჰქონია, გოშია გვერდს უდგია და ჰლოკს ჯაჭვებს. დაჯაჭულმა გმირმა დაუძახა: თუ ქრისტიანი ხარ, ნუ გაიქცევი, დაჯაჭული ვარ, რას გიზამო. მონადირე ახლოს მივიდა. გმირმა უთხრა: მე ამირანი ვარ და ნუ შეშინდებიო. ის ჩემი ხმალი მომაწოდე, ცრემლად რომ ივსებაო და მერე მე ვიციო. მონადირემ ხმალი ადგილიდან ვერ დასძრა. ამის დანახვაზე ამირანმა ისე დაიკენესა, რომ მთები შეიძრნენ. ამირანმა უბრძანა მონადირეს: დაწევ მიწაზედ, ხელები ხმალს მოავლე და ფეხები შე ხელში მომეცი, მე შენ დაგეზიდები და ხმალს ისე მოვათრევეო. როცა ამირანმა მოსწია მონადირეს, ამან ტკივილისაგან ყვირილი დაიწყო: გაეწყდიო. ამირანმა მაშინ ურჩია საიდანმე მოეტანა ჯამბარა და საკიდელი, ჩუმაღ-კი, რომ არავის გაეგო. მონადირემ გათენებისას სახლიდან წამოიღო ჯამბარა-საკიდელი. ცოლი გამოეკიდა წივილით: სად მიგაქვს, კაცო, ეგ ჯამბარა-საკიდელიო. ჯერ ხმას არ სცემდა, მაგრამ რაკი თავი მოაბეზრა, დაბრუნდა, მიტყიპა ცოლი და შემდეგ წამოვიდა ამირანთან. მაგრამ აღარსად იყო გამოქვავული, აღარც ამირანი. დარჩა ეს გმირი ისევ დამწყვდეული მთაში.

თუშეთში სპეროზის მთას ეძახიან ამირანის მთას. აქ მიჯაჭულია ამირანი დევების მტერი, რომელსაც გვერდით უდგია ძაღლის ლეკვი, ლოკავს ჯაჭვს, აწვრილებს. ჯაჭვი ქრისტეშობის ღამეს მკედლებს ჩაქუჩის დაკვრით ისევ მთელდება. ვაი მკედლებს და დედაკაცებს, თუ ამირანი განთავისუფლდა! ამათ წყალობით გმირი იტანჯება დაუსრულებლივ.

სვანეთშიაც იციან ამირანის ამბავი. იგი იყო შვილი ერთი მონადირის (დარჯელანისა, სახელად) და დაღისა, რომელსაც, შეხედება მთის წვეროზედ, გამოქვაბულში. დარჯელანის ცოლმა მოასწრო ქმარს დაღთან, რომელთანაც მონადირემ სამი ღამე გაატარა, მიეპარა და მოსჭრა თავის მეტოქეს თმები. გამწარებულმა დაღმა გამოიღვიძა და უთხრა დარჯელანს: გითხარ, შენი ცოლი ამას მიზამდა, ახლა ჩემი სიცოცხლე აღარ ღირს, გამიჭერ მუცელი, რადგან შენგან დავვორსულდი, და გამოიღე შვილი. თუ ვაჟია, დაარქვი სახელად ამირანი. ჩემი შვილი ქაბუკი (გმირი) გამოვა; მუცელში რომ დასკლოდა, ისეთი იქნებოდა, რომ ღმერთსაც შეებმოდანო. შვილი სამი თვე დეკეულის ფაშეში და სამი თვე კუროს ფაშეში შეინახე, რომ რაც დედის მუცელში დააკლდა, ის შეივსოს და გამოიშუშოს. შემდეგ აკვნით წაიღე იამანის (კაცის სახელია) წყაროზედ და დადგი. იქ მისი მომნათლავი გამოივლის და მონათლავსო. მონადირემ ეს ყოველი შეასრულა. ბევრმა ჩამოიარა იამანის წყაროზე და ეკითხებოდნენ ბავშვს ვინაობას, ის კი სუყველას უპასუხებდა: დედ-მამა არ ვიცი ვინ არის, მომნათლავი-კი ბატონი ანგელოზიაო. როცა მოვიდა მასთან ანგელოზი, ამანაც ეს პასუხი მიიღო ბავშვისგან. მონათლა ანგელოზმა და დაარქვა სახელად ამირანი. მისცა ხანგარი და დაუბარა, პაიჭში შეენახა, ვიდრე ძლიერ არ გაუჭირდებოდა. დაღოცა ანგელოზმა და უთხრა, შენი მომრევი ქვეყანაზედ არავინ იქნებაო. შემდეგ მოვიდნენ მის აკვანთან და დაცინვა დაუწყეს. ამირანი ადგა აკვნიდგან, თავები ერთმანეთს უხალა და ქურქილი დაუბრკვია. უამბეს ეს იამანს. ამან წაიყვანა

აკენით ბავშვი სახლში და თქვა: ეს ჩემი შვილების ბაღის და უსიპის ძმად გამოდგებაო. იამანის ცოლმა ამირანის აკვანი ჩადგა ბაღის და უსიპის აკვანს შუა და უბძანა იგინი ერწია. როცა დედა შვილებს გასცილდა, ამირანმა მონახა სადგისი და ჯერ ბაღს და მერე უსიპს უჩხვლიტა. ბავშვებმა ტირილი მორთეს. დედამ შესძახა, ამას ჩემს შვილებს დალის შვილი ამირანიც ვერ გაუბედავსო. ამირანმა დაბალის ხმით წაიღუდუნა: დალის შვილი ამირანიც მე ვარო. გაიგონა ეს იამანის ცოლმა, დაკოცნა ამირანი და მას შემდეგ გახარებული მას შეილსავით უვლიდა. სამი ბავშვი წამოიზარდნენ და გამვლელ-გამომვლელს ლახავენ. ერთხელ მათ შემოსძახეს: თქვენ თუ კარგი ქაბუკები იყვნეთ, გაიგებდით მამი-თქვენის, იამანის, თვალს რა დაემართაო. ბავშვებმა დედასთან მიიბრინეს და გამოჰკითხეს იამანის თვალის ამბავი. ორჯელ დაუმალა დედამ ნამდვილი მიზეზი იამანის უთვალობისა. შემდეგ ეს ხერხი იხმარეს ამირანმა და უსიპმა: გამოიღეს ორი ცხელი პური და ძუძუებზე დაადეს: გვითხარი ნამდვილი ამბავი ან არა-და ძუძუებს დაგწავათო. მაშინ დედამ გამოუცხადა, რომ ერთმა დევმა ბეგარა დაგვადვა და, უსიპი და ბაღრი რომ დაგვებადნენ, მოგვთხოვა ერთ-ერთი შვილი. იამანმა შვილი ვერ გაიმეტა და მის მაგიერ არჩია თვალის მიცემა.

ამირანმა იშოვნა ცხრა ოყა რკინა და ამის შვილდ-ისარი გააკეთებინა და გასწიეს ძმებმა დევის საძებნელად. შეხვდნენ გზაში ერთი დევის სავაშლეს. ამირანმა დევის მოწოდებით შვილდ-ისრით ვაშლი ძირს ჩამოჰყარა და მერე შეაყარა. შემდეგ იმისივე ჯოგიდან ერთი ცხვარი ააყენა და მეორე დააწვინა თავის ნებაზე. უსიპმა და ბაღრმა ესეები ვერ შესძლეს. დევს-კი გული მოუვიდა ამირანზე, მოსდვა ჯოგს ხელი, ამირანიც შიგ მოატანა და თავის სახლში შეყარა და კარი ჩაკეტა. ბაღრი და უსიპი გარედ დარჩნენ. ვახშმად დევმა ოთხი ცხვარი მოიხარშა; ხორცს სჭამდა და ძვლებს კუთხეში ჰყრიდა, სადაც დაბმული ჰყავდა თავისი დაი. დაწოლის

დროს დევმა სთქვა: ხეალ საუზმედ ამირანი მექნებოა. დევმა დაიძინა. ამირანი მივიდა დაბმულ დასთან და სთხოვა ხერხი ესწავლებინა დევის მოსაკლავად. ჩემს ძმას მისივე ხმალი მოჰკლავს, რომელიც მაგრად ზეთში აქვს დაბმულიო. ჯერ მომიტანე წემაში (ჯამბარა), მისი ერთი წვერი ხმალს მოაბი და მეორე წვერზე მე მომაკიდებინე ხელი, ორივე წამოვწვეთ და ხმალსაც ამოვიღებთო; მერე ხმალი დაადევ კისერზე და თვითონ მოსჭრის თავსაო. დევის დამ ქრისტე სთხოვა ამირანს თავდებად, რომ როცა დევს მოჰკლავდა, იგი აეშვა და არა ევნო-რა. ამირანმა მისცა ქრისტე თავდებად, ხმალს მოაქრევიანა დევის კისერი, გასტება სიტყვა და დევის დაც მოჰკლა. ძმებმა გასწიეს და ერთს ნაძვნარში შევიდნენ. აქ კლდის თავზედ შენიშნეს დევი, რომელიც მატყლს ართავდა. თითისტარად ნაძვის ხე აქვს, ჯარაიათ—წისქვილიან ქვა. ამ დევს წაელო იამანის თვალი. დევმა დაუძახა შორიდან ამირანს და მის ძმებს: ვილაც სამი ბუზი მოღიხართ, დაბრუნდით, თორემ შეგქამთო. ძმებმა არ დაიწიეს უკან. განრისხებულს დევს და ამირანს ბრძოლა შეექმნათ. დევმა დაალო პირი და ამირანი გადაყლაპა. როგორც ფშავურს ვარიანტში, სვანეთშიაც დევის მაგივრად სხვა თქმულებით გველეშაპი გადაჰყლაპავს ამირანს. აქაც ბადრი დევს მოსჭრის კულს. დევი მუცლის ტკივილით მივა დედასთან. სვეტს უხახუნებს მუცელს, მაგრამ ვერ მაგრდება სვეტზედ, რაკი კული მოჭრილი აქვს. ვაი შენს დედას, თუ დალის შეილი ამირანი გადაჰყლაპეო. დევის სახლს მოუახლოვდებიან ამირანის ძმები და მოაგონებენ პაიჭში შენახული ხანგარბ მოიხმაროს, ამირანმა შემოჰკრა ფერდში ხანგარი, დევმა ყვირილი მორთო: ნუ მომკლავ და გინდ პირიდან ამოგიშვებ, გინდ უკანიდამაო. ამირანმა ორივე გზა იუკადრისა. მაშ ორი ძვალი გვერდისა გამოიღე და იქიდან გამოდიო. ამირანმა მთელი გვერდი გამოიღო და გამოვიდა. მაგრამ ერთი თვალი აკლდა. შეშინებულმა დევმა უთხრა: ცოტა ღვიძლს და ფილტვებს მომქერ, მოისვი და

უკეთესი თვალი მოგებმისო. ამირანს თვალი დაუბრუნდა. დევს-კი გვერდის მაგიერ ხის ჩელტი მიუყენა. ამირანმა იამანის თვალიც მოსთხოვა. დევმა უთხრა: სვეტში კოლოფი დგას, კოლოფში—კოლოფი და იმაშია შენახული იამანის თვალიო. იამანს თვალი მოუტანეს და შეუყენეს.

სახლში დასვენების შემდეგ ამირანი ძმებითურთ წავიდა კეკლუცა კეისრის ქეთუს საძებრად. გზაში ზღვას შეხვდნენ. დევმა-ქალმა ნაწნავი მოიჭრა და ხიდად გაუღო. გავიდნენ ძმები და როცა დევი-ქალი შედგა ხიდზედ, ამირანმა დაჰკრა და გასწყვიტა. დევი ზღვაში ჩავარდა. აქ მეორედ ქრისტეს თავდებობას გადუღვა: წინად დევს მისცა სიტყვა თან წავიყვანო. მინდორში შეხვდნენ ერთს დიდს კაცს, სახელად ანდრერობს, რომელსაც ცხრა უღელი ხარი და აუარებელი ხალხი ძლივს მოათრევდნენ ურმით. ანდრერობი მიჰყავდათ დასამარხად, რადგან სიკვდილის შემდეგ სიმძიმის გამო საფლავამდე ველარავინ მიიტანდა და დაუმარხავი დარჩებოდა. ერთი ფეხი გადმოვარდნოდა, რომელიც გუთანსავით თხრილს სტოვებდა. ამოდენა ხალხს ფეხი ურემში ვერ შეედოთ. ამირანმა შეილდი მოსდო და ფეხი ურემში შეუღო. ანდრერობს გაუკვირდა და ხელი სთხოვა ამირანს. ამირანმა წინდახედულად ხელის მაგიერ ფიქალი ქვა მისცა. ანდრერობმა მოუჭირა და წვენი გააშვებინა. მეორედ-კი მისცა ამირანმა ხელი. ანდრერობმა სთხოვა მისი შვილი ეძმო. ამირანმა ქრისტე თავდებად დაუყენა. ამირანის ძილის დროს ანდრერობის შვილმა ხელით დაიჭირა ორი ირემი და ჩამოჰკიდა ხის შტოზე. გაეღვიძა ამირანს და ეწყინა ეს საქციელი. ჯერ ყმაწვილია, ამას ჩადის, რომ დავაეკაცდება, მე მაჯობებსო. ადგა და მოჰკლა ანდრერობის შვილი. ამნაირად კიდევ გასტეხა ქრისტეს თავდებობა.

მიუახლოვდნენ კოშკს, რომელშიაც ქეთუ იყო. კოშკიცაში ჯაჭვით ეკიდა. უსიპმა და ბადრმა ვერ ჩამოსწყვიტეს კოშკი. შეხტა ამირანი, ჰკრა ჯაჭვს ხანგარი, გასწყვიტა და

ძირს ჩამოუშვა კოშკი. ქეთუმ და ამირანმა დანახვისათანავე ერთმანეთი შეიყვარეს. ქეთუს მამამ კეისარმა-კი ჯარი შემო-
არტყა კოშკს. ფშაფურ და ქართლურ ვარიანტში მოხსენებული
ჯამის ნამტვრევების მეფე-კეისართან მოციქულად წასვლა აქ
არ არის მოხსენებული. ომში ქეთუს რჩევით ამირანმა დაჰკრა
კეისარს ოქროს „განთხზე“, რომლითაც დამაგრებული იყო ღო-
ლებშირა თავზედ და მოკლა. დახოცილი ბადრი და უსიპი ქეთუმ
პირსახოცით გააცოცხლა. გაბატონდნენ ამირანი და იმისი ძმები.
ქვეყანაზედ სამი დევი, სამი გარეული ღორი და სამი მუხა-ლა
დაანარჩუნეს. ამირანმა ღმერთსაც ბევრჯელ აწყენინა, სამჯერ
უარპყო ქრისტეს თავდებობა. ამისათვის ღმერთმა დასაჯა იგი:
შეაბა რკინის ჯაჭვი და რკინისავე პალოს მიაბა. ამირანთან
დააბა ღმერთმა ძაღლი ყურშაც, რომელსაც ბევრი ღვთის
საყვარელი ჯიხვი გაეწყვიტა. წლის განმავლობაში ამირანი
და ყურშა ყოველ დღე სჭიმავენ რკინის ჯაჭვს და პალოს
ზევით და ამოძრობას დააპირებენ, მაგრამ ამ დროს ღვთის გან-
გებით ჩიტი მოფრინდება და პალოზედ დაჯდება. გულ-მო-
სული ამირანი მოუქნევს ჩიტს რკინის კვეყოს, ჩიტი აფრინ-
დება, კვეყო პალოს მოხვდება და ისევ ძირამდის ჩაერქობა.
ასე იმეორებს ყოველს წელს. ყურშა ორბის ლეკვია. ორბს
სხვა ბარტყთა შორის ერთი ლეკვიც ეყოლება. ამ ლეკვს
დედა ორბი მაღლიდან მიწაზედ დაახეთქებს, რომ კაცს ხელ-
ში არ ჩაუვარდეს. ამირანის ყურშა ერთს მონადირეს უშოფ-
ნია. ბექებზედ ფრთები ჰქონდა და ორს ნახტომზე ჯიხვს
დაეწეოდაო. ბევრი ჯიხვი გაწყვიტა და ღმერთმა იგი ამირან-
თან დააბა. სვანური ლექსით ყურშას ყურ-ტუჩი ოქროსი ას-
ხია, თვალები მთვარეს მიუგავს, ყეფა რუხუნსა, ტოტები
კალოს, ნახტომი დიდს მინდორს. მისი საკმელია ქაბაბი,
სასმელი—ბადაგი, ღვინო, ლოგინი—ბუმბული; აღმა ლომია,
დაღმა—კაკაბი, ხმელეთს ფალავანდი და ზღვაში ხომალდი.

ამირანი იმერეთში როკაპად არის გადაქცეული. როკაპი
უმსგავსი ბებერია, ოთხი დიდი ღრჯოლით, ჯაგრიანის კუდით

და ლოყებ-ჩაცვინული. რადგანაც იგი ავი არსება იყო, ამიტომ ღმერთმა მიაბა ჯაჭვით დიდს კეტს, რომელიც მიწაში ჩაარქო. როკაპი ცდილობს კეტი ამოაძროს მიწიდან, მაგრამ როგორც-კი კეტი ამოძრობას მიახლოვდება, მოფრინდება ჩიტი და დაჯდება კეტზედ. როკაპი მოუქნევს ჩაქუჩს, ჩიტი გაფრინდება, ჩაქუჩი მოხვდება კეტს და ჩაიწვეს ისევ ძირს. ასე იტანჯება ამირანივით როკაპი.

ამირანზე ლექსს და ამბავს გაიგონებთ ყველგან, როგორც ბარში, აგრეთვე მთაშიც. ზემოდ მოთხრობილი სხვადასხვა თქმულებანი რომ შევადაროთ ერთმანეთს, შეგვიძლიან რამდენიმე საერთო მხარე აღმოვაჩინოთ. ამირანის თქმულება ორკეცია, ერთის მხრით იგი გამოდის კეთილის ღმერთად, მეორე მხრით იგი ავი სულია. ამირანი ღვთის, ქრისტეს ნათლულია, იგი მუსრს ავლებს დევებს, ცდილობს დაამყაროს სამართლიანობა ქვეყანაზედ, დაუმკვიდროს კაცს პური რძიანი და არა სისხლიანი, როგორც ერთს ვარიანტშია მოხსენებული. ეს კეთილი საქციელი და განზრახვა ამირანისა ვერ დაგვირგვინდება: მას მიჯაჭვავენ საყორნიას მთაზედ^{*} და როგორც ბერძენთა ღმერთს პრომეთოსს, მასაც გულს წლითი წლობით უღრღნის არწივი. მაგრამ ამასთანავე თქმულებაში ამირანი ამაყი და დიდგულა კაცია, იგი ებრძვის თვით ღმერთს— ქრისტეს, ლამობს ქვეყნის წალეკვას, ადამიანთა ამოწყვეტას. ამირანის ბრძოლა ქრისტესთან დაბადების (ბიბლიის) მოთხრობის იაკობის ღმერთთან ბრძოლის შორეული მოგონებაა. გარდა ამისა სახელი ამირანი შესაძლოა გადაკეთებულნი არიან იყოს, ღმერთი ბოროტისა, რომელიც მტერი იყო არმაზისა (აპურამაზდისი სპარსეთში). არიმანის მორჩილი და მსახური ეშმა (როგორც რუსთაველი ხმარობს) ანუ ეშმაკი დარჩენილია ქართულს ზეპირს სიტყვიერებაში. რადგან სპარსეთიდან წვეთვისეს წარმართმა ქართველებმა ზარატურეტრას სარწმუნო-

^{*} ნახე ჩემი Очерки по ист. груз. с.т., 1, 40.

ნოებრივი მცნება, გადმოიტანეს არმაზის თაყვანისცემა, ეშმაკის კეთილთან მტრობა, თქმა არ უნდა, ეშმათა ბატონს არი-მანსაც არ დაივიწყებდნენ. ამირანის ბოროტი საქციელი მოგონებაა არიმანის მოქმედებისა.

ამირანზედ თქმულებანი უძველესს დროში იკოდნენ კავკასიელმა ხალხებმა. ბერძნებმა ეს თქმულება გაიცნეს და თავიანთი ღმერთი პრომეთეოსი, რომელმაც უმაღლესს ღმერთს მოჰპარა ცაში ცეცხლი და კაცთ გადასცა ამათ სადღეგრძელოდ და საბედნიეროდ, მიჯაჭვეს კავკასიის მთებზედ. ამავე თქმულებას ეტყობა როგორც ქრისტიანული, ისე ებრაული გავლენაც. ამირანს აკენით იამანის წყლის პირას დგამენ, როგორც მოსეს დაბადების გადმოცემით. ამირანის ამბავი, ბრძოლა დევებთან მისი ჩაცმა-იარალით გამოქანდაკებულია სვანეთში ეკლესიის კედელზედ ლაშხვერში. სიძველეს ამავე თქმულებისას გვიმტკიცებს ის გარემოებაც, რომ მეთორმეტე საუკუნეში მოსე ხონელმა ისარგებლა ამირანის გმირული მოქმედებით, დასწერა მოთხრობა „ამირან-დარეჯანიანი“ და შიგ ჩაურთო საერო გადმოცემანი.

2. როსტომი (სვანური, ფშაჟური და იქუ-რული ვარნიანტი).

როსტომზედ საქართველოში დარჩენილია რამდენიმე თქმულება. ლექსებში როსტომი ბევრგან იხსენება, მაგრამ სრული გარდმოცემა მის მოქმედებაზედ ჩაწერილია სვანეთში, ფშავეთში და იმერეთში. როსტომ ჭაბუკი, სვანური ვერსიით, თურანელი იყო, სცხოვრობდა ქექვევზ კეისრის საბრძანებელში—ადგილსა „ყარაიას“. როსტომს ორი ძმა ჰყავდა—გივი და გურგენი და ერთი ძმისწული—ბეჟანი, გივის შვილი. ქექვევზ კეისარი დიდს პატივს სცემდა როსტომს, რადგან იგი მამაცად ეომებოდა დევ-მხეცებს და გარეულს ღორებს, რო-

მელნიც მის ქვეყანას აწუხებდნენ. შეეხვეწებოდა ქექევაზი როსტომს და ესეც გასწმენდა სამეფოს მხეცთა და მტერთაგან. ქექევაზს ეშინოდა, რომ მოხუცებული როსტომი უშვილოდ არ დარჩენილიყო. იმისი შვილი მამის საქმეს გააგრძელებდა. მაგრამ როსტომი ქალს არ ეკარებოდა. კრებაზედ, სადაც კეისარი ამ საგანზედ ხალხს ებაასებოდა, დაესწრო ერთი ქალიც, რომელმაც თავს იღვა როსტომის მოტყუება. ქექევაზ დიდს ჯილდოს დაჰპირდა, თუ დაპირებას შეასრულებდა. ქალმა როსტომი ვახშმად დაჰპატიჟა და დიდი თხოვნის შემდეგ ღამით მოსვენებაც სთხოვა. ძილის დროს ქალი როსტომს მიუახლოვდა. ჰაბუკს ეწყინა ეს საქციელი, რადგან ღვთისაგან აკრძალული ჰქონდა ქალთან დაახლოვება: ჩვენი საქმე ჰაბუკობაა და არა ქალების არშიყობაო. როსტომი მეორე ლოგინში, შემდეგ მესამეში ჩაწვა, ქალი აქაც არ ეშვებოდა. როსტომმა სახლიდგან გასვლა დააპირა, მაგრამ ქალმა შეარცხვინა: მე არ ვიცოდი, თუ შენ, ჰაბუკს, მამაკაცობა არ გქონდაო.— დაგწყევლა ღმერთმა, ქალი ყოველთვის ეშმაკიაო, თქვა და დაწვა ქალთან. დილით დააბარა ქალს, თუ ვაჟი გეყოლოს ზურაბი დაარქვიო და, როდესაც ჰაბუკობა მოინდომოს, ერთი „შარნი“ (მძივი) ყელზედ შეაბი, ჰეშმა ახალუხის ჯიბეში ჩაუდევინა და მუზარადი უნაგირის ტახტაზედ დააკრე. ამით ვიცნობ ჩემს შვილს, და შენ კი ნუ გაუშვლავნებ გაჰირვებამდის, თუ ის ჩემი შვილია. თუ ქალი გეყოლოს, რაც გინდა, ის დაარქვი და როგორც გინდა, ისე გაზარდეო. როსტომი განშორდა. ქალს ვარსკვლავივით ღამაში ვაჟი ეყოლა. დაარქვა სახელად ზურაბი. ვაჟი მალე წამოიზარდა: დღე ტკაველს მატულობდა, ღამე—ოთხს თითს. შეიქნა ვაჟკაცი და ყველას ლახავდა. ერთს დღეს ქექევაზის შვილებმა წამოსძახეს: შენ თუ კარგი ჰაბუკი ხარ, მამაშენი მოძებნეო. დედას დაეკითხა ამის ამბავს. ძალ-დატანებულმა დედამ უამბო როსტომის განთქმული ჰაბუკობა. ზურაბმა მაშინვე გაიქვდა რკინის შვილდ-ისარი და გზას გაუდგა. დედამ, როსტომის

დაბარებისამებრ, ყელს შარნი შეაბა, ჯიბეს ჰეშმა ჩაუღდა და მუზარადი უნაგირის ტახტაზედ დაუკრა. ყარაიის გზაზედ ზურაბს შემოხვდა ერთი ქაჯი ქალის სახით და დაუძახა: რა კარგი კაბუკი ხარ, რომ ყელს ქალის საბმელი არ გეხას, ჯიბეს ქალის სამკაული არ გედვას და უნაგირის ტახტაზედ მუზარადი არ გეკრას. ეს ქაჯი სხვანაირად ჩაცმული კიდევ მეორედ და მესამედ დაუხვდა და გაუმეორა იგივე, რადგან ზურაბმა იმის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია. ზურაბს გული მოუვიდა, შარნი ყელზედ შემოიწყვიტა, ჯიბეში ჩაიღდა და მუზარადი უნაგირ ქვეშ დამალა.

ზურაბმა მიაწია ყარაიას, სადაც იმდენი ნადირი გაწყვიტა, რომ სალამოს ძეღლებისაგან კარავი გაიკეთა, ყავრით გადახურა და ლამის სათევად შიგ შევიდა. როსტომს ესმა ესა და გაიფიქრა, ... ამაზედ უკეთესი ნადირობა არც მე მიქნიაო. მეორე დილას მოვიდა ზურაბის კარავში, ახედ-დახედა, მაგრამ ზურაბს ვერც შარნი უნახა ყელზედ, ვერც უნაგირი ტახტაზე დაკრული. როსტომმა ზურაბი საჭიდაოდ გამოითხოვა. ისე ეცნენ ერთმანეთს, რომ იქაურობას მტვერი ადინეს. მოიქნია როსტომმა ზურაბი, მუხლამდის მიწაში ჩაფლა. ზურაბმა როსტომი წელამდის ჩაფლა. მეორე დღესაც ზურაბმა აჯობა. იწყინა როსტომმა. მივიდა მჭედელთან და ორი შუბი გააკეთებინა და პაიჭებში ჩაიტანა. როცა მესამე დღეს საჭიდაოდ გამოვიდა, ზურაბმა დასცა როსტომი და ამან ქვეილგან ამოჰკრა შუბი მუცელში. ზურაბმა დაიკივლა: „შე ბოროტო, ჩემს მოკვლას მამაჩემი როსტომი არ შეგარჩენს: კლდეში შეხვალ—ჯიხვად გადაიქცევა, ზღვაში—კალმახად და მიწაში—თავვად“. როსტომს თავზარი დაეცა და ჰკითხა: „შენ თუ როსტომის შვილი ხარ, სადა გაქვს შარნი, ჰეშმა და მუზარადიო“. ზურაბმა უჩვენა ესენი და მათი დამალვის ამბავი უამბო. შეწუხდა როსტომი, რომ საკუთარი შვილი მოჰკლა. ზურაბი ხელებზედ დაიდვა, დაიჩოქა და ქვეყნის პატრონს (ღმერთს) შეეხვეწა: თორმეტი წელიწადი ორმოში ჩავალ, მზეს არ დავინახავ, ოღონდ ჩემი

ზურაბი გამიცოცხლეო. გაითხარა 12 მხარის სიღრმე ორმო, ჩავიდა შიგ და ჩაიტანა ზურაბიც და იყო უსმელ-უქმელი ღეთის ხეწნაში. ქექვეაზ კეისარს კი დიაკონი გაუგზავნა უკვდავების წყლის სათხოვნელად. ქექვეაზმა უარი ვერ გაუბედა, უკვდავების წამალი თასით დიაკონს გამოატანა. ამასთანვე დააბარა, როცა როსტომთან მიახლოებულიყო, ფეხი ფეხზედ დაედგა, დაცემულიყრ და წამალი დაექცია, თორემ როსტომი შვილით ჩვენ კეისრობას წაგვართმევსო. როსტომი მიხვდა დიაკვნის ეშმაკობას და ამოსძახა ორმოდან: თუ ამოსვლა მელირსა, მაგიერს გადაგიხდი შენც და კეისარსაც, რომელსაც უჩემოდ ასჯერ შესჰამდნენ დევ-მხეცებიო. ორმოში როსტომი ათი წელიწადი დარჩა და მოელის ზურაბის ღეთისაგან გაცოცხლებას. წვერი ფეხებამდის გაეზარდა. წვერის თმიდან სიმები დასკვნა, ზურაბის მკლავებზედ მოაბა და ქიანური გაიკეთა. ქიანურზედ დასტირის თავის თავგადასავალს და შვილის მოკვლას. ქექვეაზის სამეფოს ამ ღროს მოედო გარეული ღორები. ესენი აკვნებიდგან ბავშვებს იტაცებდნენ. როსტომის ძმები გურგენ და გივი ვერაფერს შველიან ქექვეაზს. გურგენი გლახაკი და ჩანჩურაა; გივი ჰკვიანი ვეზირია, მაგრამ ჰაბუკობა არ შეუძლიან. გივს ყმაწვილი შვილი ჰყავს, სახელად ბეჟანი. ამას გზავნიან საჰაბუკოდ და გურგენს გაატანენ გზა უჩვენოს გამოუტდეღს გმირს. ბეჟანმა იმოდენი ღორი გასწყვიტა, რომ მათი ეშვებით ასი ურემი დატვირთეს. გურგენი ამ ღროს შიშით ხეზედ შესკუბდა და სეირს უყურებდა, მხოლოდ ღორების დახოცვის შემდეგ ეშვების ამოღებაში დაეხმარა. დაბრუნების ღროს გურგენმა უთხრა: ჰაბუკობაში ბიძაშენს როსტომს არ ჩამოუვარდები, გირჩევ, **ერანელთ** კეისარს **აფროსიუანს** მზეთ-უნახავი ქალი მარუჯანი ჰყავს, ის როგორმე იშოვნეო. გურგენმა იცის, რომ ერანელები და თურანელები მოსისხლე მტრები არიან. უნდა, რომ იქ მოჰკლან ბეჟანი და დაინარჩუნოს დახოცილი გარეული ღორები. ბეჟანმაც ქექვეაზთან გაატანა ღორების ეშვები და

ითონ კი მარუჯანის საძებრად წავიდა. გურგენმა ქექევას მოახსენა, რომ ღორები თითონ დახოცა, ბეჟანი კი ვითომც შეშინდა, გამოიქცა უკან, დაეწია ერთი ღორი და ეშვით გამოფატრა. ქექევას ეწყინა ბეჟანის უდროოთ დალუპვა. გურგენი კი ამის შემდეგ დიდის პატივით აცხოვრა.

ბეჟანი მივიდა კეისრის სამეფოში. აფროსუანს თავისი ქალიშვილი მარუჯანი კოშკში ჰყავს. დაინახეს მარუჯანმა და ბეჟანმა ერთმანეთი და სიყვარულით გაიმქვალნენ. მარუჯანმა მოახლეს დაავალა ბეჟანი კოშკში შემოეყვანა. შევა თუ არა საღამოზედ ბეჟანი მარუჯანასთან, ვაჟი და ქალი ერთმანეთს გადაეხვევიან. მეორე დღეს აფროსუანა გაიგებს ამ ამბავს და ჯარს კოშკს შემოართყამს. ბეჟანი შეებრძოლება და ჯარს გაანახევრებს. ვეზირების რჩევით მეფე აძლევს ქალს ბეჟანს, რომ შემდეგ იგი მოჰკლას. ღამე, როცა გახარებულს ბეჟანს მარუჯანასთან სძინავს, ბორკილს გაუყრიან. ბორკილებს დილით დაამსხვრევს და შეაშინებს ამით მეფეს. გადასწყვეტენ ბეჟანისგანვე შეიტყონ, რითი შეიძლება მისი დაბორკვა. შეაჯინეს ერთი მოახლე, რომელმაც გააგებინა, რომ ბორკილად ბეჟანს მხოლოდ მისი შვილდის ძუის ბაწარი გაუძლებს. ძილში ბეჟანს ხელებს თეძოებზედ უკრავენ. ბეჟანი ველარას ახერხებს და ეუბნება გახარებულს აფროსუანს:

ნეტავი ხელი ხელთ მქონდეს,
მძიმე ლახტი ხელში მქონდეს,
ერანელთან ჩამარია,
ერთ კაკალი გაგარჩინო.

თურანელებში შერცხვენილი ვარო. აფროსუანი მიუგებს:

შეხედეთ ბრეუკსა, რეკვენსა,
ხელთა მკავს, გულთა ქაღელაბს.

მეფეს ერთი თურანელი ვეზირი ჰყავს, სახელად შევლახა. იგი იცნობს როსტომს და მის ძმებს. ვეზირი ურჩევს აფროსუანს ბეჟანი მოკვლის მაგიერ ორმოში ჩააგდოს და მარუჯანას დაავალოს ყოველ დღე ჩაუგდოს ბეჟანს პური, რომ

მელიც თითონ უნდა იშოვნოს. აფროსუანმა ქალაქს „ნართს“ გაათხრევეინა ორმო და იქ ჩაადგებინა ბეჟანი.

გავიდა ათი წელიწადი, რაც როსტომი ორმოში ზის და ელის ზურაბის გაცოცხლებას. დევ-მხეცები ამ დროს მოედგნენ ქექვევაზის საკეისროს. შეწუხებულმა ქექვევაზმა დიაკონს დაუბარა, ეგებ როგორმე როსტომი ორმოდგან ამოიყვანოო. დიაკონი მივიდა, შედგა ორმოს ქვაზედ და დაუძახა: ამოდი, შე ბებერო, თორემ დევ-მხეცებმა შეგვკამესო. იუკადრისა როსტომმა დიაკონის სიტყვები, ისე გაბრაზდა რომ მუხლებზედ მდებარე ზურაბი, რომელსაც სიცოცხლის ნიშნები ეტყობოდა, გადაადგო. ზურაბი ხელ-მეორედ მოკვდა. როსტომი ამოვიდა ორმოდგან. დიაკონს მოატანინა სამართებელი და ტყვიით დატვირთული ვირიც მოაყვანინა. როსტომმა წვერი მოიპარსა და შემდეგ დიაკონს უთხრა ვირს ქვეშ დაწოლილიყო. დიაკონი დაწვა. როსტომმა აიღო თავისი ხმალი და სთქვა: თუ ვემართლებოდე ამ დიაკონს, ერთი მოქნევით ეს ტყვიით დატვირთული ვირიც გაუჭრია ჩემს ხმალს და დიაკონიც. ხმალი მოიქნია და გასჭრა ვირი, დიაკონი და 12 მხარი მიწა. „ეს შენ, რადგან ჩემი ზურაბი მეორედ მომაკვლევინეო“. შემდეგ როსტომი წავიდა ქექვევაზთან. ქექვევაზი ორი შვილით გამოეგება როსტომს. ამან ორთავეს თავები მიურახუნა და გაუკყლიტა, რომ ქექვევაზს ეგრძნო, რა მწარეა შვილის მოკვლა. როსტომის გვარეულობას ჰქონდათ „საწუთროს ჟამნი“. იმაში ქვეყნიერებას ხედავდნენ. ჩაიხედა როსტომმა, — დაინახა თავის ძმისწული ბეჟანი ორმოში ზის ნართის ქალაქის ახლოს. როსტომმა იშოვნა ექვსი ჯორი, 12 კაბუკი, რომელნიც ტომრებში ჩასვა და ისე აჰკიდა ჯორებს. მივიდა ნართის ქალაქს: აქ შეხვდა ბეჟანის ცოლს, რომელმაც გადასცა ქმარს, რომ ნახა ერთი კაცი, იმისი მსგავსი. ბეჟანმა სთხოვა იმ კაცისთვის რაიმე ნიშანი გამოერთმია. როსტომი როცა დარწმუნდა, რომ ქალი ბეჟანის ცოლია, ატანს ბეჟანთან საცერს (ცერის ბეჭედს), წერილს და ერთს ქათამს. ბეჟანი იცნობს ბი-

ძას, რომელიც წერილში ჰპირდებოდა, რომ 12 ქაბუკით ამაღამ მოვალ და გაგათავისუფლებო. ბეჟანის ცოლი, როსტომის ჩვენებით, ცეცხლს ანთებს ბეჟანის ორმოს ახლოს. ღამე მივიდნენ ორმოსთან. 12 ქაბუკმა ვერ ასწია ქვა, რომელიც ორმოს ახურავს. მაშინ როსტომი მარტო ასწევს ქვას, გაისვრის აფროსუანის კოშკისკენ, მოამტვრევს თავს, მერმე ხედება კლდეს და ბრუნდება ნართის ქალაქისკენ და ანგრევს ამას. ბეჟანი ორმოდან ამოჰყავთ და მიდიან სახლში. აფროსუანი ჯარით დაედევნება უკან. როსტომმა ბეჟანი და 12 ქაბუკი გაისტუმრა. თითონ კი ამოაძრო ნაძვი, გაუსვა ხელი და ერთი შტო არ შეარჩინა. ეს ნაძვი ესროლა ცხენზედ მჯდომს აფროსუანს. ნაძვმა უნაგირს ქვეშ გაიარა, დაიტანა აფროსუანის კალთები, ერთის ბოლოთი მიწას დაესვა და აფროსუანი ცხენიანად მიაკრა მიწას. ჯარი დაესია, რომ მიწიდან აეხსნა იგი. ამასობაში როსტომი და მასთან მყოფნი კარგს მანძილს გაივლიან. აფროსუანი ბრუნდება სახლში. როსტომი და ბეჟანი მიაწევნენ ქექვეაზ კეისართან. ბეჟანი გულმოსულია გურგენზედ და იმის მოკვლას განიზრახავს. როსტომი არ უწონებს ამ აზრსა. როსტომი და ბეჟანი ნახავენ კეისარს, მოხუცებულ გივს და გურგენს, გამოეთხოვებიან და წავლენ ყარაიას საცხოვრებლად. როსტომი მოხუცდა, მთელი დღე კარავშია. დევი გაიგებს ამას და მოვა როსტომთან საჭიდაოდ. როსტომს რცხვენიან უარის თქმა, მაგრამ მარცხდება. თუ ხვალაც წამაქციე, რაც გინდა, ის მიქენიო, ეუბნება როსტომი. საღამოს უამბობს თავის თავგადასავალს ბეჟანს და სთხოვს სახლში მოიცადოს და დევის შეეჭიდოს. მეორე დღეს როსტომის ტანისამოსით საჭიდაოდ დევთან გადის ბეჟანი. დევი ამან დასცა. შენ როსტომი არ უნდა იყოო, ჰკითხავს ბეჟანს დევი. ბეჟანი მიუგებს: ჩვენ ისეთი გვარისა ვართ, რომ დღეს რომ მოხუცებული ვართ, ხვალ ვყმაწვილდებითო. დევმა დაიჯერა. როსტომ ამას შემდეგ აღარ ჰაბუკობს. ის განუ-

შორებლივ სცხოვრობს ბეჟანთან. როსტომის სიკვდილის ამბავს სვანები არ მოგვითხრობენ.

ამ გვარივე ვრცელი გარდმოცემა დარჩენილია ფშავებშიაც. აქაც როსტომს ეყოლება შვილი ზურაბი. როცა იგი უკვე დაშორდა, ეტყვის ქალს ნიშანი დააკეროს, რომ იმით იცნოს შვილი. ამხანაგების წამოყვედრება ზურაბს მამის საძებნელად გამოისტუმრებს. ერთი მოხუცის დაცინვა დაამალვინებს ზურაბს დედისაგან მიცემულს ნიშანს და მამას შეხვდება საჭიდაოდ. მეორედ დამარცხებული როსტომი ჩასცემს დანას ზურაბს, რომელიც სიკვდილის ქამს უჩვენებს „ლიშანს“: გამიხსენ ჩაფურასტები, იღვია ნახე იქ არის! და ამით გამოუცხადებს მამას, რომ მან საკუთარი შვილი მოჰკლა.

სუღიმც კრულია, ზურაბო,
მუცელი ღედაშენისა,
რად არ შეგაბა ეელზედა
მუზარდისა ჩემისა?!

აქაც გაგზავნის როსტომი მკედელს ქეხხას (მაქანაძეს) უკვდავების წყლის მოსატანად, მაგრამ მოუახლოვდა თუ არა თავის მტერს როსტომს, ამან განგებ დააქცია „წყალი“, რაისაგამოც როსტომმა ორი შვილი გაუქვეყნა და თითონ ზღვაში ჩავარდა, მაგრამ კი ვერ დაიხრჩო. მოტყუებით როსტომი ზღვიდან გამოიყვანეს. ფშავეურს გადმოცემას ჩართული აქვს შავი და წითელი არაბის მტრობა და ამ შუღლში როსტომის მონაწილეობის მიღება. ეს არაკი დამატებია როსტომის ამბავს სხვა მოთხრობიდან. როსტომის მიერ სახლის ქუჭრუტანიდგან ზურაბის გაშინჯვა მოგვაგონებს სპარსული ეპოსის სიტყვებს, როგორც მივიდა როსტომი ციხეში, სადაც ზურაბია ჩამომხტარი. საერთოდ როსტომის შესახებ ნაწყვეტი ამბავი დაახლოვებით მოგვაგონებს იმ მოთხრობას, რომელიც სპარსულად შეიმუშავა გამოჩენილმა პოეტმა ფირდუსმა. როსტომი უცხოელი გმირია, მაგრამ მის შესახებ უძველესის დროიდან გავრცელდნენ ლექსები საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში. ფშავეთში ამბობენ მაზედ:

როსტომ აქვა: დღეიმც კრულია
დაბადებისა ჩემისა, —
სიურმე სიბერედ ვაქციე,
დღე ვერა ვნახე ღზინისა;
ვერ გავინარე კისერი,
უღელი შედვა რკინისა.

ან კიდეც აი ნიშანი მის გაქართველებისა:

როსტომ თქვა: ერთი ქართული
ჩინეთს ქვაზუდა სწერია:
ვისიც მე ვიუჯ ერთგული,
ის უფრო ჩემი მტერია!

რამდენად საგულისხმოა მისი ბედი და თავგადასავალი,
ამას მოწმობენ შემდეგი სიტყვები:

როსტომ თქვა: გმირი მეც ვიუჯ,
ჯირითი მეც შევისრიე,
სოფელში ამაუბასა
ისევე დათმობა ვირჩიე.

იმერეთში როსტომს როსტომელა დაერქვა და მის შვილს
აბრამელა *). შინაარსით როსტომელას ამბავი უახლოვდება
ფშავეურს გარდმოცემას. იმერელს „როსტომელაში“ მოთხრო-
ბილია ბრძოლა ორი გმირისა დედაკაცის შესაპყრობად. ეს
ამბავი ფირდუსის არ აქვს მოხსენებული და იგი ამიტომ დასა-
მტკიცებელი საბუთია იმისი, რომ როსტომის გმირობაზედ
ლექსები გავრცელდა საქართველოში უძველესის დროიდან.
შოთა რუსთაველმა იცის როსტომის სახელი. ავთანდილზედ
ამბობს დიდი პოეტი:

ისრითა მოჰკლეს ნადირსა
როსტომის მკლავ უგრძესითა.

როსტომი ახსოვთ მოხევეებსაც. ამაზედ იგინი ამბობენ:

*) არაკები და ზღაპრები, შეკრებილი კ. ოცხანელის მიერ. ახალ-
სენაკი. 1895.

როსტომ სთქვა: ერთი არა სჯობს
ამ ჩემსა მოგონებასა,
ერთხელ სჯობია სიკვდილი
სულ მუდამ დაღონებასა.
როსტომ სთქვა: მიწა გრილია,
სიტყვას მით უნდა გრილობა;
ვაჟკაცს რა გაუჭირდება,
მაშინის უნდა ცდილობა.

თუშებისაც დარჩენიათ ის ეპიზოდი, რომელიც შეეხება როსტომის მიერ ზურაბის მოკვლას. როსტომის სახელი გვესმის მესხეთში შეკრებილს ლექსებშიაც.

თუმცა როსტომის და ზურაბის შესახებ თქმულება უცხო ქვეყნიდან არის შემოსული, მაინც იგინი მეთუთვისებია ჩვენს ერს და ნაციონალურს ქაბუკებად გადაუქცევია. ქექვევაზი, სვანურს ვარიანტში მოხსენებული კეისარი, სპარსეთის პოეტის ფირდუსის მიერ აწერილი ქეიქავუზია, თუმცა წვრილმანი განსხვავება ამათ შორის იმის საბუთია; რომ ფირდუსის და სვანურს ამბავს როსტომზედ სხვა-და-სხვა რედაქციით უსარგებლნიათ. როსტომი, ირანის ფალაფანი, გახდა თურანელებისა იმიტომ უთუოთ, რომ საქართველოს მტრებისათვის (სპარსელთათვის) წაერთმიათ ეს გმირი. სვანურს ამბავში როსტომის ბრძოლა შვილთან და ბეჟანის გათავისუფლება ხდება ქექვევაზის დროს, სპარსული გადმოცემით კი ქეიხოროს მეფობაში. აფროსუანის ქალი მარუჯანა ეთანხმება სპარსელს მენიყეს. ბეჟანის გმირობა ტახებზედ აღწერილი აქვს ფირდუსისა. მოხსენებულნი არიან აგრეთვე გივ და გურგენიც. როსტომის ლექსები ერთი იმ თვალსაჩინო საგანთაგანია, რომელიც მოწმობს სპარსეთის გავლენას საქართველოზედ და აღმოავლეთის „რუსტემიადის“ ზეპირ-თქმულებათა გავრცელებას.

3. აბესალომ და ეთერი.

გმირულთ ლექსთა ჯგუფს ეკუთვნის აბესალომ და ეთერის ამბავი. „ეთერიანი“ ახსოვთ შემდეგ ადგილებს: ქართლს, კახეთს, იმერეთს, სამცხეს, ხევსურეთს, და ქ. მოზდოკს. იოსებ ელიოზიშვილმა თავისებურად გადააკეთა „ეთერიანი“ და დაბეჭდა „მნათობში“ (1869 წ.). პეტრე უმიკაშვილმა შეცვლილად დაბეჭდა ხალხური „ეთერიანი“ 1875 წ. (ნახე გამოცემა 1902 წ., ოზურგეთი). ხელშეუხებლად ფშავში ჩაწერილი „ეთერიანი“ გამოაქვეყნა დ. ხიზანაშვილმა (ივერია 1888, № 274). ფშავური ნიმუშით ვისარგებლეთ „ეთერიანის“ შინაარსის გადმოცემაში.

იყო ერთი ხელმწიფის შვილი, სახელად ელურსამელი. ამას ჰყავდა ერთი ყრმა შერელომა, ეშმაკებთან გაფიცული. ელურსამელს უნდოდა შეერთო ცოლად გლეხის ქალი. ესმა, რომ ერთი ლამაზი ქალი, ეთერი, მეწისქვილეს მესაფქვედ უდგია. ელურსამელმა ამაზნად უთხრა დედას:

ბაღდადს რომ უფლის ყანა დგას,

ბრინჯაოს ადგა ნათელი,

ქარის წისქვილებ უბრუნავს,

მესაფქვეთა ჰყავს ეთერი,

ის მომეწონა, დედავო,

ის არის ჩემი საფერი.

დედამ შვილი ეთერთან გაგზავნა. ქალმა ელურსამელს მის სიტყვებზედ—

გაღამაყოლე, ეთერო,

ეგ შენი კაბის სახელი—

უპასუხა:

დამეხსენ, ელურსამელო.

არა ვარ შენი საფერი,

შენ დიდი ხარ, დიდებული,

დედა-მამითაც ქებული,

მე გლახა ვარ, გლეხის ქალი,
გლეხურათ თავდადებული,
შენ რო შენი ჰქნა, წახვიდე,
გამწირო წყლის წადებუდი?!

გაიბმის დიალოგი ეთერს და ელურსამელს შორის. ეს ლექსები საუკეთესო ნაწყვეტია ერის დრამატული ნაწარმოებისა. ამგვარი დიალოგები გახდებოდნენ ნაციონალური დრამის თესლად.

ელურსამელი მიუგებს ეთერს:

ეთერ, შენს მოღალატეს
ზეცით ღმერთიმც გაუწერება,
მტრისად მოქნეული ხმალი
ვაღაშიამც გაუტედება,
იაღბუზის მინდორზედა
ქალიშხალიმც აუტედება,
ძალიან მოწუერებულსა
წყაროს წყალიმც დაუშრება.

ეთერი დარწმუნდება ვაჟის სიყვარულში:

ამ ჰურმა და ამ მარილმა,
ამ ღვინომა ვაზისსმა,
სახნისმა და საკვეთელმა,
კაწეულმა ხარისსმა,
შენ მეტი ბიჭი არ მინდა...
ფიცმა რა ქნას ქალისსმა.

ეთერი გაჰყვა ელურსამელს. ამის უმას შერელომას შე-
შურდა ლამაზი ქალი და დაიბარა ეშმაკები. ჩემმა ბატონმა
ეთერი მოიყვანა, მაგას ააშორეთ და მე დამრჩესო, უთხრა
შერელომამ ეშმაკებს. ამათ აიღეს ერთი მუქა ფეტვი, შეუ-
ლოცეს და გადასცეს შერელომას: ეს მიაყარე და სულ მკბე-
ნარად აჩნდება და დაიწუნებსო. მართლაც ასე მოხდა და
ველარაფრით ვერ უშველეს ეთერს. მაშინ სთქვა ელურსამელმა:

ქალი ვის გინდათ ეთერი,
მე ხელს ავიღებ, წავალო.

შერელომა უპასუხებს:

მე მინდა შერელომასა,
შენი ერთგული უმა გარო.

შერელომამ წაიყვანა ეთერი. ერთხელ სანადირო ტყეში
ელურსამელი მოიგონებს ეთერს და ჰკითხავს შერელომას:

შერელომა, შენსა მზესა,
შენი ცოლი რა ფერია?

შერელომა უპასუხებს:

რას იკითხავ, ცათა სწორო,
ცოლის ქება აუგია.

ხო შენც იცი, ბროლის ციხე
როგორ ცამდის მდაღია;

შიგა ზის ქალი ეთერი,
უელი მოუდურებია,

ცხვირი სტვირი, კბილი მძივი,
ბაკე ხახვის ფურცელია.

კარზედ უდგან ცხრანი მაზღნი,
ფეხ-ასხმულნი აფთარნია,

თავით უზის მამამთილი,
გველ-ვეშაპის მულაპავია,

ფეხთით უზის დეღამთილი,
აბრაშუმის საცერია,

გვერდით უზის თავის მული,
ცით ჩამოსულ მასკვლაფია,

ველ-უური მძივით სავსე აქვს,
შიგ ურევნია გიშერი,

არ შესცდე და არ წახვიდე,
თორემ ვეღარ გიშველი.

დალონებული დაბრუნდა ელურსამელი სახლში. სურვი-
ლისაგან შეწუხებული შეიქმნა. წამალი დედ-მამამ ვერა მოუ-

ძებნა-რა. ავადმყოფობის მიზეზს თითონ კი მაღავედა. ერთმა მკითხავმა დედას ასწავლა ხორცის ქადა გამოუცხე და რო მიუტანო, მაშინვე კარებს უკან დაიმალო და ყური დაუგდგო. მართლაც, როცა ელურსამელომა ქადას შემოსკრა, სთქვა:

რა ღამაზი ხარ ქადაო,
წვენი გიდეგა წურვილივითა,
შაგხვრიტო, გულზედ მეწები
ეთერის სურვილივითა.

დედა უპასუხებს:

შვილო, ვისი გკლავს სურვილი,
ძილს არ გაძინებს მძინარსა,
წაფალ და იმას გიპოვნი,
წუალს ჩავუდგები მდინარსა.

ელურსამელი ამაზედ ეტყვის:

ადეგ, უშტარო დედაო,
ეთერსა კარად უარე,
ჯერ კი ატირდი ბრაფადა,
მერმე თავ შეაპუარე.

ტირილით მივიდა ბებერი ეთერთან და ეუბნება:

გამამევე, ქალო ეთერო,
მზესა იმ შენის ძმისასა,
კარზედ აგიგებ ჩარდასსა
სულ მარილისა ქვისასა,
გაგიფლებ ეაჭ-აბრაშუმსა
საჩრდილობელსა მზისასა,
გაგიფენ ხალიჩებსა
სულ ფურად-ფურადსებსა,
ზედ შენი გაგაფლებ, ეთერო,
ფეხი არ დაჭკრა ქვიშასა.

ეთერმა ვერ გაბედა წასვლა. ახლა მოვა ელურსამელის დაი და შესტირის:

ეთერ, არ გებრალეობია?
რძალს გეუბნები დობასა.
ერთი ძმა შეუანდა, მიკვდება
შენის სურვილის ნდობასა,
უელში გაფიგლებ დანასა,
შენ შემოგაური ცოდვასა.

ეთერი წყრომით შენიშნავს:

რას ამბობ, შუქურ-ვარსკვლავო,
რას ფილოფოზობ ენითა?
განა შენ თითონ არ იცი,
რადღა გინდარის ჩემი თქმა?
დეთისკან დადგმულ გვირგვინი
გადიგდო თავის ხელითა.

ეთერი მაინც არ წავიდა, თუმც გულით უნდოდა სატრფოს
ნახვა. შერელომა აშინებს. ამ დროს მოხდა ლაშქრობა
ინდოეთისკენ. შერელომა ასის-თავი იყო და იქ წასვლა უნ-
დოდა. ეთერს ეუბნება:

შემიხვიე, ქალო ეთერ,
ქუძუ მკერდსა ბროლისსა,
ხვალე ლაშქართ უნდა გაუყვე
დიდის ინდუეთისსა,
გადადიან გალაფანსა
ორდობეთა ფიჩხისათა,
გადადიან, გადაჭყრიან
ნამტვრევებსა ლოდისებსა;
ვინც იქ წავა, ვედარც მოვა,
ვაი დედას ბიჭისსა!
ჩაკვიხოცენ უმაწვილებსა,
უჩველებსა ომისებსა.

ეთერი მიუგებს:

სამი წელია, შერელომ,
არ ვიცი თავის დადება,

მოხვალ და მაშინ შეგიხვევ,
მინდა ავ-კარგის გაგება.

შერელომა *) გააწყვეტინებს სიტყვას:

შენი ბრალა, ეთერო,
მზის ქონით გრილში ბერება,
შენ ამიკრძალე ის წესი,
რაც ცოლ-ქმართ შეეფერება.

ეთერი შენიშნავს:

მახატივე, შერელომა,
ჯერ სხვას მივეც დიდი აღთქმა.
გვიდალატე წამლებითა,
დმერთმა გთხოვოს ჩემი წართმა,
წუთისოფელ დამიმწარე,
საბნელში ვზივარ რათა.

წავიდა შერელომა ომში. ეთერი წავიდა ელურსამელთან,
ბანზედ შედგა და გამოითხოვა იგი გარეთ:

იგი შეწუხებული ამბობს:

ვინ თქვა, თუ ეთერ მოვიდა,
მზე გორთა დილა მავალი,
ეთერსა აქ მოსვლისადა
ცხენი უბოძეთ სადარი, **)
თან კვიცი გამოუყვანეთ,
ძუა-ნადები, მადალი.

ქალი ეტყვის:

ეთერსა ცხენი არ უნდა,
დანა მიეტით ჯავარი,
შენ აღეჭ, კარზედ გამოდი,
რო ხარ სულ-ამომავალი.

*) შერელომა შესდგება ორი სიტყვისგან: შერე+ლომი. პირველი სიტყვა სპარსული ფესვისაა?

**) ს ა ლ ა რ ი - შუბლზე თეთრ-ნიშნიანი.

ბატონიშვილი ელურსამელი მიუგებს:

თუ მოხვალ, შინაც შემოდი,
მოკლე გაქვს შემოსავალი;
მე კარზედ ვეღარ გამოვალ,
სული წავიდა მთავარი.
გიდალატე, ქალო ეთერ,
ჭირ ჩემ თავს მიეცე მრავალი,
რო მკლავდა შენი სურვილი,
ვინ იუო ჩემი წამალი.
ეთერო, დანა დაიეც,
ჩემთან შენც დასთმე თავია,
ცოცხალსა შერელომას
მე აქ გერჩივნო მკვდარია,
ცაღ-ცაღკემც დაგჰადირებენ,
ერთამცა დაგვმარხვიანო,
ფოთოლთამც მოგვადირებენ,
მიწათამც მოგვაყრიანო.
საფლავზედ ჩვენზედ იანი
ფოთოლსამც გადაშლიანო,
შერელომანს საფლავზედ
ეკაღნიმც იქნებიანო,
ნარიმც ამოვა, ეკაღი,
ვირებიც მასძოვდიანო.
ჩვენ თავით ცივი წყარუა,
შიგ ვერცხლის თანსი დგიანო,
შამავალ-გამავალ მკზავრნი
შენდობას გვეტყოდიანო.

დაუთავებია-რა ეს ლექსი, ბატონიშვილს სული დაუ-
ლევია; ეთერს გულზედ დანა დაუტია. ერთად დაუმარხნიათ.
ორს ეშმაკს ეს-ლა უთქვამთ:

რა მშვენიერები სეუნიან,
ისევემც ადგიბიანო.

ადგომა წესიმც ნუ არის,
სუფითაც ცხონდებიანო.

ამათ საფლავზედ, სხვა გადმონაცემით, ამოვა ვარდი და ია და გამოჩუხჩუხებს წყარო, რომელშიაც დაცურავს ოქროს თასი. გამეღვლე-გამომეღვლენი იკლავენ აქ წყურვილს და ლოცვენ მათ სახელს. მურმანის ბედი სულ სხვა იყო. მობრუნდა-რა უკან ინდოეთიდგან, ცოცხლად დაიმარხა თავი. იმის საფლავზედ გაჩნდა ეკალი და გამოძვრენ ძაღლის ლეკვები. როცა ია და ვარდი ეთერის და ელურსამელის საფლავზედ (ანუ აბესალომისა, სხვა გადმონაცემით) დაიხრებიან ერთმანეთისკენ მოსახვევად, მურმანის ეკალი გაჩნდება მათ შუა და გაჰყოფს. სიკვდილის შემდეგაც სტანჯავს აბესალომს და ეთერს. ასეთია ნაზი და ტრაგიკული „ეთერიანის“ შინაარსი, რომლის გადაქმნაც ნიკიერად მოახერხა ვაჟა-ფშაველამ.

4. ზეზვა, არსენა, ზვიადა.

ახლის დროის საგმირო ლექსები მოგვითხრობენ თორღვა თაღისძეზედ, გიგას, ზეზვას და სხვათა ბრძოლაზედ ქისტებთან, ლეკებთან, ჩაჩნებთან. ზეზვას სახელი გვხვდება იმ ლექსებში, რომელშიც აღწერილია ბახტრიონის ციხის ადება. ბახტრიონის ციხის აღწერა ბატონიშვილს ვახუშტისაც მოჰყავს. ციხე მაგარი და მიუვალი იყო. იგი დაიჭირეს თათრებმა და შეურაცყოფა მიაყენეს ორს პირიქითელ თუშს. ამათ შეჰყარეს ფშავ-ხევსურ-თუშნი და გასწიეს ბახტრიონისკენ. მტრის მოსატყუებლად ცხენები უკუღმა დაჭედეს და ისე მიეპარნენ ციხეს. ზეზვა პირველი ავიდა ციხის კედელზედ, გაუღო მოსულს ჯარს კარი და ამოსწვიტეს თათრები. ქართლში და კახეთში შესტვირეები ახლაც მღერიან ლექსებს არსენას ბიჭობაზედ. იგი იყო ემა ბარათაშვილებისა. ამათ მოსტაცებს არსენა გოგოს, რომელიც ბატონმა ნებით არ დაანება შესართავად. არსენა ოქელაშვილი გაჯარდება ეჩადად და ხდება ხალხის მსახურად. იცავს

გლებს შევლევუელთაგან, შემწეობას აძლევს ღარიბს და სწყაღს. ნათლია ფარსადანა ბოდბისეველი ჩაუგლებს შეზარხოშებულს არსენას მთავრობას ხელში. არსენა გამოიპარება სატუსაღოდგან და ერთი ცბიერი ქართლელისაგან მოიკვლის. „მარმარილოს ქვა დასწერეს, დასწერეს და დაადგესა, აქაც კაი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა“. ასე ათავებს ხალხი არსენას ქებას. სოფლაზე დაწქე-ნილა ლექსები მესხეთში. გათქმულია იგი თავის ვაჟკაცობით. სტამბოლში წავა და აქ ვეზირის სურვილით დაექიდება არაბს და მოჰკლავს მას. ხონთქარი აჯილდოვებს. მას და ჰპირდება ახალციხის ფაშობას. სოფლა უარს ამობს ამ დიდებაზედ. ამ ლექსში მოსჩანს ისტორიული კვალი მესხეთის და ოსმალეთის კავშირისა, რომელიც აქ გამტკიცდა მე-XVII საუკუნეიდგან.

იმერეთში გრძელი ლექსია აქამდის გავრცელებული მებატონე არეშიძეთა ამოწვევტაზედ:

პირველ საყმონი ვყოფილვართ
ჩვენ ორის ბატონისაო,
ორთა ძმათ არეშიძეთა,
ნუ სწყალობს პირი ღვთისაო.
არ დაზოგავენ ქვრივ-ობოლთ,
ცოლებს ართმევენ ყმებსაო.

ზვიანდა ლომჯანიძე მოთავუდ ხდება აჯანუებისა. ზვიანდა აგონებს, რომ სირცხვილია: „ჯვარს იწერთ, ცოლები მოგყავთ, უწინ ბატონთან მიგყავთო“. კაცი უნდა კაცი იყოს, ფეხქვეშ არ ეტებოდეს ვეკლასაო. დროა ჰასუხი გავცეთ და ამოვუწმინდოთ თესლიო. დაქრთამეს მოურავი გაცნია, რომელმაც წამოიყვანა ბატონები ჯიხვებზედ სანადიროდ, და თითონ ჩაუსაფრდნენ ღამით ჭაღაში. მოურავს ბატონები დასთანხმდებიან, თუმცა ცუდი სიზმრები უნახავთ. ზმანებიანთ ისარი მოშხამული, რომელსაც სიცოცხლე გაუშწარებია. გაცნია ახსნის ამ სიზმარს და ეტკვის, რომ ეგ იმის ნიშანია, რომ „ბლომად დახოდრავთ ჯიხვებსა“. როცა ბატონები ბოკირზედ შემოდგნენ, დაეცნენ ღებელები ზვიანდას შეთაურობით და

და ამოსწევიტის არეშიძეები. ზვიადას „არ დაეღუვა შენდობა“ ამის-
თვის. ღვინო დალიეს ბევრი და „გულითაც აღდეგრძელეს“.

ისტორიული ლექსები.

(თამარი, ერეკლე, დავით აღმაშენებელი).

ისტორიული ხანა საერო პოეზიაში იმ დროიდგან იწყება,
როცა ხალხის მებსიერება უკეთესად იცავს წასულთ დროთა
მოქმედ პირებს, მათ მოღვაწეობას და დამახასიათებელ თვი-
სებებს. საქართველოში უკვდავნი არიან მეფეები თამარ, ირაკლი,
ვახტანგ, რომელთა სახელებსაც გაიგონებთ სხვა-და-სხვა მხარეს,
ხშირად დაწვრილებითი აღწერით. თამარს მთელი საქართვე-
ლო თაყვანს სცემს და მისს სახელს მოწიწებით იხსენიებს.
ერს ახსოვს მისი ღვთიური სილამაზე და ქველი მოქმედება:

საქართველოს დედოფალი,
დედა ქართლისა თამარი,
სიმშვენიერით მოსილი,
ამომავალი მზის დარი,
დავით სოსლანის მეუღლე,
რომელს უმშვენა მან მხარი.
დიდუბეში იქორწინა,
სადაც რომ საუდარი არი,
ნადიმობა გაუმართა,
მთიწვია თავის ჯარი;
ასი სული ცხვარი დაჰკლა
და ორასი ნიშა ხარი,
ღურჯი სუფრა გაუმალა,
იქნებოდა ასი მხარი,
ქვირვი-თბლებსა უწუალობა
ოქრო-ვერცხლი დიდი ქალი.

თამარის გამარჯვებით ომიანობაზედ და მტერთან ბრძოლაზედ გაისმის ლექსი ეხლაც:

თამარ მეფე და ხონთქარი
მაღალმა ღმერთმა წაჭკიდა;
ზღვაში ჩაუშვა ხომალდი,
ზედ აღმასუბი დაჭკიდა.
შიგ ჩასვა ქართუკლთ ლაშქარი,
მრავალს წყალობას დაჭპირდა.

ეპიტაფია თამარ მეფისა მოწმობს იმის სახელგანთქმულს მოღვაწეობას:

უბისს ავაგე საუღარი,
უწულოსა წყალი ვადინე,
ისპანს დასდევ ბეგარა,
სტამბოლს ხარაჯა ავიდე,
თეთრს ზღვაში რკინა ჩავაგდე,
ხმელეთი ჩემკენ მოვიგდე;
ამღენის სიქმის მოქმედმან
ცხრა აღდი ტილო წაგიდე.

სხვა ვარიანტებში მოხსენებულია თამარის გამარჯვება შამხორს, მისი გადაცვლა ვარდციხეს, მანგლისის აშენება და სხვა. ეს ფაქტები მთლად მართლდებიან ისტორიული წყაროებით და მაშასადამე საერო ისტორიული ლექსი იცავს უტყუარს ცნობას, მხოლოდ ხალხის წარმოდგენით შეცვლილ და დაფერადებულს.

მეფე ირაკლის მოქმედებაც უკვდავია ხალხის მეხსიერებაში. ერის წარმოდგენით იგი არც კი მომკვდარა, მან მიიძინა და აღსდგება, როცა საქართველოს გაუჭირდება...

„მეფე ერეკლე ზედას არს,
ღმერთთან არს წიღნაყარია“.

თუშ-ფშავ-ხევსურეთში ჩაწერილია გლოვა ლეთივ განსვენებულის მეფისა.

აღსდგე, გმირთ-გმირო, ნუ გძინავს,
მტერთა ისმიან ხმანია,
გრძლად ძილსა ჩუეულ როდის ხარ,
მიგვიხმე უნჯნი უმანია;
არ გნახოს მტერმან ძაბუნად,
ვსდევნოთ, ვაკვეცნეთ თმანია,
ვართ ბრძოლად მათდა მოსრულნი
ზოგთაგან ოთხნი ძმანია.
გაშალე დროშა მძლეველი,
წვერ-მანგი მტერთა ზარია,
მოუშეთა ნახონ ფრიადნი,
მუნ მოსქდეს მთა და ბარია,
ქუნდეს მაჟარი შაშხანა,
ვით ზეცით მეხის გვარია,
განფანტოთ მტერნი ჩუეულად,
ვასვათ სისმელი მწარია.
განიფრთხე ძილი, აღსდგეგი,
შთაიცი წვრილ-თვალა რკინისა,
აღილე ხელთა მაჟარი,
მტერთა გამბნევი ტვინისა,
წინ მივალთ მეჭვრენი,
ვითა მეგონნი ღზინისა,
შევისვამთ სისწლსაცა მტერთასა
უტკბეს კახეთის ღვინისა.

მეომარნი მზად არიან აისხან ფარ-ხმალი, შესხდნენ
ცხენებზედ და სიმღერით გაჰყვენენ საყვარელს მეფეს მტრის
„ღიაცებრ“ გასათანტავად.

მეფე ერეკლე სტოცხლობდეს
აწცა და უკუნისმდე,
მტერთა თავ-მტეხი მეხისა,
მოუშეთა მცველი აქამდე.
აწ სძინავს ბრძოლით მაშგრალსა

და განიდვიძებს დილაშდე,
თუ სადმე წარვალს, წარგვიუვანს,
არღა გაგვიშვებს შინაშდე.

გათენდა დილა. ბატონი სდუმს და არ იწვევს ბუკთა
ტკრციალით ჯარის განსხმას ბანაკით.

„მზეცა აღმოსდა ქვეყანად,
მაგრამ ჩვენთვის კი ბნელაია...
დავლენეთ, ძმანო, ფარ-ხმალი,
რადღა გვეკურების ხელაია.

ჯარი ეძლევა განუსაზღვრელს მწუხარებას: „ვიგლიჯნეთ
თმა და უღვაშნი, თავშიგან ვიცეთ ღოდებით, შევბლავლოთ ცრემლ-
თა ფრქვევითა, პირთა ხოკითა სახლთა მიუუთხრათ გლოჟანი“.
ერეკლეობას ვინ გაუწევს საქართველოსა, ძენი და ძის ძენი
ვერ შეედარებიან მას:

დაშთენ მას ძენი; ძის ძენი,
მათსა ვიტყოდეთ ქებასა,
გშირნი მამაცად აღზრდილნი,
ჰყოფენ კეთილსა ძმობასა,
მტერთა მისცემენ პასუხსა,
მოუმეთა თანახმობასა,
აწ-ღა გამოვსცნათ, მოძმენო,
ვინმცა იქმს ერეკლეობასა.

პატარა კახად წოდებული ირაკლი მხნე და მამაცი მეო-
მარი იყო. ფშავში იმაზედ ამბობენ:

ერეკლე ბატონიშვილი
განა უბრალო კახია?
საგურამოში ღკისა
ჯარ მარტომ შუა კახია.

თუშეთში ირაკლის სიკვდილის გამო დარჩენილა ლექსი,
სადაც გამოთქმულია მწარე მწუხარება: „ქართველებს ვერ გა-
გიგათ, რკინის შეგესხნათ კარიო, მეუფე ერეკლე აღარ გყავთ ბაგ-
რატიონთა გვარიო, აღარ გაქვსთ ბაირადები, აღარ სჭექს ზარ-

ბასანიო. მას შემდეგ შეფე ადარ გეყავს მცველადო“. ირაკლის ოსმალებთან შებრძოლებაზედ მესხეთში ბევრგან ჩავწერეთ ლექსები, სადაც მისი გამარჯვება ასპინძის ომში ქება-დიდებით არის აღწერილი.

მეფე დავით აღმაშენებლის შესახებ აი რა ლექსი ჩააწერინა ნიკოლოზ ტარიელის ძემ დადიანმა. *)

გიაგობ სიფრიადესა
დავითის აღმაშენთასა,
მტკიცესა მკლავსა განმკესა,
წუაბასა სპარაზენთასა,
მადლით განცდასა ქვენათა,
ლაღვათა აღნაგზენთასა,
გითხრობ წმიდათა ადგილთა
ნიჭთა მათ მოსახსენთასა,
ხიდათ, გზათა და ზღუდეთა,
ხანაგათ, კვლავ საუენთასა,
მოწლედ სწულაობდის მოძღვართა,
ათონით მონაფლენთასა,
ათონსა სწვრთნიდის ჭაბუკთა,
იუღთოს მონასშენთასა.

ეს სურათი მეფისა ეთანხმება ისტორიულს ცნობებს მის მოღვაწეობაზედ.

თამარი ფშავ-ხევსურეთში გაღმერთებულია; იქ მას „პირიმხეს“ ეძახიან. ვახტანგი ახსოვთ იმერეთში. მრავალს ადგილს უჩვენებენ, სადაც ვახტანგს ვითომ პური უჭამია (სვირში, ზეკარში), ან სადაც ხომალდები დაუბამს რკინის პალოებით („ვახტანგის ნავთსადგური“). **)

*) მოგზაური, 1902.

**) ს ა ხ ა ლ ხ ო პ ო ე ხ ი ა მელიტონ კელენჯერიძისა, ქუთაისში, 1896, გვ. 20.

სალირიკო ლექსები.

ქართული საერო პოეზია მეტად მდიდარია სალირიკო პოეზიით. აქ გამოიხატება ერის გრძნობა, მისწრაფება, იდეალი. მას აზის თავისებური ბეჭედი სიმარტივისა, კილოსი, სულის მოძრაობისა. ამ პოეზიას შეზავებული აქვს მუსიკაც, საგალობელი მელოდიაც. სალირიკო ლექსები ატკობს და აკმაყოფილებს მთელს მის სულიერს მოთხოვნილებას. მას დამღერიან საკრავზედ, ხშირად იმავე სიტყვებით გამალებულნი ცეკვავენ რითმიული მიმოხვრით. რადგანაც ლექსს აქვს ამასთანავე რითმაც, ამისგამო იგი ატკობს სმენას პარმონიით, მუსიკალური წყობილებით. რითმი მაინც უსაჭიროებს თვისებას არ შეადგენს. ქართულს პატარა, ოთხტაეპოვან ლექსშიაც, სადაც ერის შეხედულება ბუნებასა და კაცზედ შეთანხმებულად არის გამოთქმული, დაცულია ესრედ წოდებული „პარალელიზმი“.

ყველა ფრინველი ხეზე ზის,
მწერი მიწაზე გოგდება, —
ქალი რად გინდა უცხო მხრის,
დასნეულდება, მოკვდება.

სტროფა განიყოფება შინაგანი აზრით ორ თანასწორ ნაწილად. პარალელიზმი სამწვერიანი და მრავალწვერიანიც შეიძლება.

თოვლი სთავს ბოროლანშია,
მზევ! რად არ ამოშუქდები?
შავო, რას დამეუფე, ყოჩანო,
განა შენთვის ვსუქდები?
შინვე მიუვალ დედასა,
თუ დმერთსაც არ მოვძულდები.

სალირიკო ლექსს ჰქმნის როგორც კაცი, ისე ქალი. ფნავეურს ლექსებში გვხვდება სახელები სახალხო პოეტებისა: „სახელად მქვიან თამარი, ეგრე თიკუნად ლელია“; ან მამაკაცი—

მგოსანი თავის ვინაობას აცხადებს: „ამა ქართულისა მოქმედი ერთი ზეგსური ვარია“.

სალირიკო პოეზიაში უმთავრესი ადგილი უჭირავს სიყვარულის ქება-დიდებას. ერს კარგად ესმის ეს დაუშრეტელი წყარო მგოსნობისა და ხელოვნობისა. ხალხის წარმოდგენით სიყვარული ფაქიზი გრძნობაა. ვისაც იგი გულში დაესახვის, მას უნდა ჰქონდეს სული ყოველსავე მწიკვლს განშორებული, ზენით დაჯილდოვებული ანგელოზებრივი ენა და წმინდა აზროვნობა. ეს გრძნობა საიდუმლოებაა ორთაშუა.

სიყვარულსა მადფა უნდა,
როგორც ცხენსა ნაპარავსა,
თუ კამოჩნდა, გლოფა უნდა,
როგორც გულის საყვარულსა.

სიყვარულის ძალა უძლეველია, იგი ღომია, სრული მფლობელი კაცის გულისა.

...ღონით ვეფხვი და ღომია,
ვისაც შებმია, სულ ევკლა
ვით კატა დაუმონია;
იმისი შებმული მტერი,
ჟერ არვის გაუგონია.

ღირსეული საგანი სიყვარულისა, „შაქარზედ უტკბილესი“, არის ქალი, როკორც ხატება მშვენიერებისა გარეგანისა და შინაგანისა. ქალის იდეალი ხალხს ვრცლად აქვს შემუშავებული. გარეგანის მხრით: ქალალდი კალამ-მოუსობელი, თვალი მაყვალი, წამწამი ვარდის წალამი, ლოყები— ალის პრიალი ან წითელი ყაყაჩო, სახე მოხდენილი, ჯავარ-სრული, ტანად ლერწამი, სარო, ძუძუ-მკერდი თეთრი ბროლივით, გაცი-ნება დილის გაშლილის ვარდისა, კბილი ხშირი მარგალიტი, თმა ხშირი ნახუქუქვევი, წელ-წვრილი, ვარდი ღამაზი. იგი უნდა იყოს: ნარდივით სათამაშო, წალკოტ პირმეტყველი, მზე ამოსული, შავ-თვალ-წარბ-გიშერ-თმიანი, უკვდავების წყარო, გულის წამალი, მარგალიტის კუნწულაზედ ამოსული იავუნდი,

ნათელი ელვარე მზიანი და მაშინ იქნება ციური ანგელოზი. საერო მგოსანი ამკობს მას პოეტური შედარებით:

შენ ჩემო დიდო იმედო,
კოშკო ნაკებო კირითა!
კახეთს მოჭრილო ისარო,
ქალაქს ნაღებო ინიითა!
წითელო მოვის ჰერანგო,
შვიდგან შეკრულო დილითა,
ცაჲ წმინდაჲ, ვარსკვლავიანო,
მზეჲ დაფენილო დილითა,
უკვდავებისა წუარო,
ნადენო ოქროს მილითა,
შენთანამც უოფნით გამძლო,
შენთანამც წოლა-ძილითა.

ასეთი მშვენიერი არსება ფაქიზი მოვლის ღირსია. გულ-შეტოკებული დამღერის მას:

იამა გშობა შობითა,
გარდმა გაგზარდა ქებითა,
ნარგიზმა ძუძუ გაწოვა,
შეგამკო სუნნელებიას.

ამ მიუწლომელს სიმაღლეს მშვენიერებისას მგოსანი მხოლოდ მიუახლოვდება და ნატრობს, რომ იქცეს თასად და საყვარელს არსებას ტუჩებზედ მიედვას, ან ღვინოდ იქცეს, რომ საყვარელმა შესევას, ან სათითედ, რომ თითზედ წამოეგოს, მისი ყანის ნამგლად, რომ ხელში შეეჭრას, მაისის ვარდად, რომ პირზე დაეყრებოდეს და წითელ პერანგად, რომ მკერდზედ დაედებოდეს. აი რა საუცხოვო სურათებით ხატავს ერი თავისს გრძნობას.

ნეტავი ვიყო მე ვარდი,
შენ წინა გავიშლებოდე,
პატარა ჩიტად მაქცია,
უბეში ჩაგიფდებოდე,

შაქარ უინუღად მაქცია,
ენაზედ დაგანებოდე.

მშვენიერება ახდენს ისეთს ფსიხოლოგიურს მოკმედებას,
რომელსაც უწოდებენ ესტეტიურს გრძნობას.

ქვემ-ქვემ შემოგტქერს, თოფს შეგყრის,

ჟუჟუნა სვილის ფერია,
თავს დახრის, წუნარად გაივლის,

ვითომ და არაფერია!

ეტუვი: რად დამჭერ? იძახის:

ბეჩა! რა ჩემი ბრალია?

კვესო! შენ ცეცხლსა მიაყრი

და ნუ იფეთქებ, ფაღია?!

ასეთი გრძნობა, სურათი, პოეტური შედარება დაუშრეტელი განძია ჩვენი ერის გულისა.

ჩვენს საერო პოეზიაში *) იქცევს ყურადღებას მის კილო, დაკავშირება ესტეტიკური გრძნობისა და ცხოვრების მოთხოვნილებისა. ცხოვრება და ხელოვნება ერთი მეორეს ავსებს და ასპეტაკებს. ქართველი ერი მოწამე იყო სარწმუნოების და ნაციონალური თვით-არსებობისთვის ბრძოლისა. ტანჯულმა და თავდადებულმა ამ ორის უმაღლესის დედააზრისთვის ერმა ლექსში გამოსთქვა თვისი კენესა, წუხილი, ელეგიური გრძნობა. ამით აიხსნება მელანქოლიური ძარღვი ჩვენი საერო პოეზიისა. მწარე ფიქრები გულში აღარ ეტევა, მღერის და ამ სიმღერაში ნაღველს ურევს.

განა ჯადი ვარ, რამა ვმღერ?

გულისა დარდსა ვიქარვი!

ვინც ჩემზედა თქვას, ჯადია,

ესეთი ჯადი ის არი!

საბრალოს გრძნობა მოუშხამავს ძმის და მამის სიკვდილს:
„ძმასაც მოუკვდენ ლეკები, მამასაც მათი ისარა“. ამ მოკლე პა-

*) ნახე მოხსენებული მ. კელენჯერიძის წიგნი.

სუბში ერი გადმოგვეცემს ისტორიულს ამბავს, შავი დღის მოგონებას საქართველოს წარსულიდგან. ერი შენატრის განვლილს დროს მამაკობისას და სასოწარკვეთილებით შესცქერის მომავალს. მტერზედ აღჭურვილი მხნე ქაბუკი ილუპება უბრალოდ, შემთხვევით.

სად მიხვალ, წყალო მდინარო,
ნაწურო მადლა მთისათ,
ჩამთქმელო ღურჯაისათ,
ზედ ლადის ჭბუკისათ,
ნაპირზედ გამოიტანელო
ქუდისა, მათრახისათ...
რა ბევრი მიტირებია,
რა ბევრი ცრემლი მდენია.

ერის გულიდგან ამონახეთქია ეს მწარე ცრემლები, მაგრამ იგი რჩება ისევ მხნედ და უცვლელად:

არც გული გამომიცვლია,
არც ამიღია ხელია.

როცა ნახავს საზარელს სურათს, მტრებისაგან დასახიჩრებულის ქაბუკს, ხალხი ტანჯვით მოსთქვამს:

ლომო, შენ, ლომის მოკლელო,
ხადხეორხაის ძირსათ,
ვინ შეგიღება მხარ-ბეჭი,
წითელი ჰერანგისათ?!
ვინ ამოგტეხა კბილები,
თეთრები ბრალივითათ?

როცა აღამიანი პასუხს არ აძლევს გულატოკებულს მგოსანს, მაშინ იგი აპიროვნებს ბუნებას და მოსაუბრედ მას იწვევს:

მარტო ვარ, მარტო ვიმღერი,
არაფინა მუაყს მობანე,
მაისის წვიმაჲ, ჩამოდი,
გული სევდისგან გაბანე,
ნიაგო, წყნარად დაჭქროლე,

ფოთოლს ტაშს დააკვრევიე...
სწორის არ გამტანს, უფალო,
ცხვირი სადმე წააკვრევიე!

უკანასკნელი ლექსი მაჩვენებელია ერის ზნეობითი შეხედულებებისა. იგი აფასებს ამხანაგურს გრძნობას, ქირში და ლხინში თანაგრძნობას და ერთგულობას. ხალხი პოეზიაში გვაცნობებს თვისს ეკონომიურს მდგომარეობასაც, გაჭირვებულს ყოფას, სიღარიბეს.

ეს ტიალი სიღარიბე
ჩემზედ არის ასეული.
სადაც წავაღ, თან დამეგება,
ტუავის კაღთას გახვეული,
ტანზედ მაცვაჲ შაღის ჩოხა,
მაუღს კი ვარ დაჩვეული.

გულგატეხილი ირონიულის კილოთი აღწერს თავის სიღარიბეს: სიღარიბეც ტიალო, მესამ-მეოთხე წელია ერთ ახალღი მცვიანო, შიგ მომიკრუხდენ ტილები, წიწილეებსა ზრდიანო, —საკვირველ ნაშენობა აქვთ. თითქოს ექვს ფეხი სხიანო; დამართეს სასახლეები, აღიან ჩამოდიანო, „ვაჟკაცი არის, შერცხება“, იმასაც არ იტყვიანო. უმწვერვალესს გაჭირვებას ერი ასე გვიხატავს:

ცეცხლს და წუაღშუა ვარ,
ორსავე ვარ ნებასა;
ცეცხლი მიპირობს დაწვასა,
წუაღი თან ჩაუოლებასა.

ერი მზად არის საქები აქოს და საგმობელი დაგმოს. გვისურათებს გლეხის ოფლის წურვას და მის მწარე ლუკმას, არ მალავს თავად-აზნაურობის ნებივრობას და სიზარმაცეს.

აზნაურობა მიუყარდა,
თოხი გამოვკარ ახოსა;
აქეთ-იქით ვიხედები,
არაჟინ დამინახოსა.

პოეზიაში განმარტებულია თავად-აზნაურობის ეკონომიურად დაქვეითება: „წინად აზნაურშვილები უწრუწუნებდნენ ქორებსა, ახლა უჭირამთ კომბლები, დასდევენ სოფლის ღორებსა“. ცხოვრებაზედ ხალხს რაინდული შეხედულება აქვს. საზოგადო საქმეს პირად ინტერესზედ მაღლა აყენებს: „ბრძოლად კაცს უნდა თუარ-ხმალი, გული და გამოცდილება, მოიფლის, — ღამაზს გოგოსთან შეერა და დაქორწინება“. ჯერ მამულის გამოხსნა და შემდეგ სატრფოსთან სიამოვნება. საზოგადო საქმეში შერცხვენა მისთვის სამარვა.

უმაწვილის გული ლაღია,
შორად გასტყუარცნა ისარი,
ვაჟი თუ სადმე შერცხვების,
იმის სამარე ის არი.

ან კიდევ:

მთიული ვარ, მთურად ნაჩევი,
მტერო, ვერ შეგიშინდები,
შვიდს ვირჩევ, შვიდჯერ სიკვდილსა,
ხელში არ ჩაგივარდები.

საერო პოეზია დიდს ყურადღებას აქცევს ზნეობრივს მხარეს, დიდაქტიკას. საფუძველი ხალხის ცხოვრებისა არის სენინდისი და სულიერთ ძალთა რიგიანად მოხმარება. „ზოგსა კაცსა კაცი ჭჭვიან, ზოგსა კაცსა კაცუნია“. პირველი არის იდეალი, რომელსაც უნდა ვესწრაფებოდეთ, მეორე კი მოკლებულია იმ ღირსებას, რაც ამკობს „კაცს“. ღირსეული კაცი შეიძლება იყოს განურჩევლად სქესისა, როგორც დაამტკიცა ერის წარმოდგენა შოთა რუსთაველმაც.

ლომი ღომია — ერთია,

ძუ იუოს, თუნდა ხვადია.

კაცობას შეამკობს ბიჭობა: კაცის სიცოცხლე ზღვა არის, გაქანდება-გამოქანდება, შეხვდება შავს ღღუებსა, გული იქ გამოაჩნდება“. ან კიდევ: „გაუსვი და გამოუსვი, ვითომ ჭიანურიაო, მე-ზოხლის ქალს ხელს ნუ ახლებ, ისიც შინაურიაო“. გმირობას თან

უნდა დასდევდეს სვინიდიისი: „ქალსა თუ კაცსა ნამუსი რამ უნდა-
ქქონდეს, ცხადია“. დაჩაგვრა ქალისა და მოხუცისა მოკლებულია-
სულლოვნობას და რაინდობას:

ბერი კაცი ვარ, რად მჩაკრავ?
ვევლა დაგიწობს გმობას,
გაკწირავს თემი, ქვეყანა,
აღარვინ გიზამს ძმობასა.

თავის ქება, განქიქება ერს არ მოსწონს: „კარგი ვარ, იმას
თუ იტყვი, თავს დაუწეება ქებასა, კარგი ჩვენც მოგვეწონება,
ცუდი არც თავის დედას“. ორპირობა და მოლაქუცობა დაგ-
მობილია: ტუჩით გკოცნის, კბილით კი გკბენს. უსინიდიისობას
ხან ბედიც სწყალობს: „ბედაურები იხოცებოან, ბურთ-მოკლანი ვი-
რებსა რჩებათ“. მაინც სიმტკიცე და მხნეობა ნუ მოგაკლდებაო:

ჭაფრს ნუ მიუშვებ გულზეა,
გულს ჟანგი მოეკიდება,
ჭაფრის მიმყოფსა ვაჟ-კაცსა,
რა კარგი წაეკიდება.

სოფა-ცხოვრებითი ლექსები.

ქართველს კაცს მრავალი სიმღერა შეუქმნია, სხვა-და-სხვა
ცხოვრების მხარესთან შეხამებულნი. იგი მღერის როგორც
სიმხიარულეში, აგრეთვე მუშაობის დროსაც. თოხენის დროს
მიჰმართავს ერთი შეორავს და სხვათა შორის იტყვის: *)

ვთოხნოთ და ვთოხნოთ სიმინდი,
მერმე უანის მკაც მოვაო!
გახედე, ჯექსო, ხოდაბუნს,
ხედავ, როგორ მოდელდაო.
ანწლის ხეო, დაბურვილო,

*) ქართული სახალხო სიმღერები, ნოტებზედ გადმოღებული ი. გ.
კარგარეთელის მიერ.

ცაცხლი მოგედოს გენა,
მე კი დამწვი და დამდაკე,
დაიწვას შენი დღენია.

თიბვის დროს სხვა ლექსია და სხვა ხმით სიმღერაში ჩაურევინ ლექსებს სატროფოზე და ან ცხოვრებაზედ.

დმერთო, რისხვა აგვატყუე,
ზეცით დარი მოგვივლინე,
მოუსვი ქასურს, მოპირე,
თავი წმინდად ათიბინე.

ამ ლეთისადმი ლოცვის გარდა სიმღერაში მუშის გამხნე-
ვება შოისმის:

გაუსვი და გამოუსვი,
ბიჭო, თივა მოითიბე,
თორემ კოჭუას სიმშილი
ეურებს ჩამაურევენებს.

მიჰმართავს ცას და ქალს ასეთი სიტყვებით:

ქალო კრულო, გეხვეწები,
წელიწადი გამოსულა,
ხეს ფურცელი გასცვივნია,
სხვა ახალი ამოსულა.
დაგა და დაგა, ცაცლაგო,
მზე ღრუბლებს მოეთარაო,
ნუ შეშინდებით, ხომ ხედავთ,
სიომაც დაჰკრა თანაო.

ნამგლების ლესვის დროს ან ფერხულში სხვა ლექსს ამბობენ. თუ ფერხულში ამბობენ, ერთი კაცი შევა წრეში და, ვითომც დათვია, ამოირჩევს მეორეს საცოლედ. გაუხდება ამორჩეული ავად, უვლის, აკმევს, ჩოხნას ხურავს, ხან ჩხუბი მოუვათ და ამ გვარად აცინებს ხალხს. ეს სახუმარო საქციელი გვაგონებს ძველი ბერძნების ღმერთის დიონისის პატივსაცემად შექმნილ ცელქს სიმღერას და უნდა ჩაითვალოს როგორც ჩვენში, აგრეთვე საბერძნეთში დასაწყისად კომედისა.

გღესავ და გღესავ, ნამგალო,
ნამგალო ჩემო რკინაო,
ქასური საღესავითა,
ნამგალო ჩემო რკინაო,
გაგღესავ და მიგაუუღებ,
ნამგალო ჩემო რკინაო.
გაგღესავ და გამიძეხი,
ნამგალო ჩემო რკინაო.
ახლა კი შემოეუარათ,
ჭარი ალალო,
დათო, დათო, ჩემო დათო,
ჩემო დათუნაო.
დათვი ხიდზედ როგორ გავა,
ჭარი ალალო,
ტოტს მთიწვეს, ისე გავა,
ჭარი არალო.

სიმღერას იტყვიან კიდევ სხვა-და-სხვა დროს ვენახის მუ-
შაობის, ქვევრის გარეცხის, ყურძნის დაწურვის, სახლის აშე-
ნების, მიწის ხვნა-დაფარცხვის, ყანის მომკის, ძნის მოტანის,
კალოს ლეწვის, ხვავის განიავებისა და სხვა დროს. ზემო ქართლ-
ში მკის დროს იციან ძველებურს კილოზე სიმღერა, თუმცა
სიტყვები მას არ შეეფერება: „უმა უმღერადი არ ვარცა, ჭაბუკი
უნელებელი, ჭაბუკს უნელებელს ქალი სჯობს უნსენებელი“. იციან
აგრეთვე მაყრული, მგზავრული და სუფრული: „მადვივართ, მო-
გვიხარაინ, მოგვაყვს დედადი ხახობი“. ამავე სიტყვებს უწოდებენ
მგზავრულს, რასაც მოწმობენ შემდეგი სიტყვები: „წასვლა სჯობს
წამავადისა, არ დახანება ხანისა“. იტყვიან „სუფრულს“, რომელ-
შიაც ქებას შეასხმენ მასპინძელს. გულუხვობისთვის, მოიჩი-
ლებენ სოფლის ამაოებას და დასკვნიან, რომ უკმაყოფილე-
ბის გამკურნი არის ლხინი. მეტად ძველს კილოზედ იციან
ლექსი:

მეფემა ბრძანა, დაფინეთ
საწოლი უფლის წულისა,
ტახტი დაუდგით ოქროსი,
წითლითა მადრიბუღითა;
მასუდან დასვით ჰირამზე
მსგავსი უფლისა მსგავსისა,
თავსა დადგით გვირგვინი
ერთობისა და ჯადისა.

სიმღერა იციან ცეკვის დროს „ცანგალად“ წოდებული და ბავშვის აკვანთან დედის ტკბილს ხმაზედ „ნანინა“. დედა მოსთქვამს თავის სიყვარულს და მერე დაუხატავს თავისებურს იდეალს, რომელიც მოზარდმა უნდა იქონიოს სახეში, რომ გამოვიდეს მხნე, კეთილი და სასარგებლო ქვეყნისა. ერთაწმინდაში იციან ერთი სიმღერა, რომლის კილოსაც ეძახიან სალდათობის კილოს. სიტყვები ამ სიმღერისა უძველესი დროისა უნდა იყოს,—აქ მოხსენებულია თამარ დედოფალი.

დახველებული ქართლის მზე,
დედა ქართლისა თამარი,
სიმშვენიერით მოსიჯი,
ამომავალი დღის მნათი,
სიკვდილის შემდეგ ობლებმა
შკვდარიც ვერ ჰპოვეს, სად არის.

ლექსში აღწერილია ხალხის შევიწროება, სხვათა ოჯახში ცხოვრება. „სხვისა მოჯამაგირობას ადვილად იტყვის ენათ, დილიდამ სადამომდისინ არ მქონდა მოსვენებათ, დილით ძროხაში გამგზავნეს, სადამოს დორისკენათ, თან მწევრები გამატანეს, იქ ინადირე შენათ, თუ კურდღელი დაიჭირათ, ხორცი ჩვენ ტყავი შენათ, თუ შეღია დაიჭირათ, ტყავი ჩვენ, ხორცი შენათ“.

საერო ლექსებში დახასიათებულია აგრეთვე ურთიერთი დამოკიდებულება ქმარს და ცოლს შუა, დედამთილსა და რძალს შუა, და-ძმათა და მეზობელთა შუა. „ერთი ნახვაც ცნობას, არი ნახვაც ძმობას“, ამბობს ხალხი. „ნეტა რა ვქნა, როგორა

ვქნა, ავი დედამთილი ხარო; არასა ვჭამ— უჭმელი ხარ, ვჭამ და ასე სვავი ხარო, ნელა დავალ, — ზანტს შეძახის, გავიქცევი, — ქაჯი ხარო; ძირსა ვზივარ, კუტს შეძახის, ზეზე ვდგევიარ, — სარი ხარო...

მოვიყვანთ კიდევ რამდენსამე სალირიკო ნიმუშს საერო ლექსთაწყობილების და ხელოვნების შესასწავლად. „გადმიში მთაო, გადმიში, რა ნისლი მოგიხვევია, მთას იქით ჩემი მიჯნური სხვას ვისმე ჩახვევია. — ვაჟკაცსა გული რკინისა, აზჯარი უნდა ხისაო, თვალნი ქორეულ მხედავნი, მუხლები შავარდნისაო, — ხმალს ნუ უუხრებ, ვაჟკაცო, ხმალი მშიერი მელაო, გაგიჭრის, გაგიხალისებს, ბოლოს საფლავის მთხრელია“. — სიბერე ძნელი ყოფილა, სიძი ქვას აწონების, დამჯდარა, ვეღარ ამდგარა, უავარჯუნს დაელონების. — ზამთარი ვარდსა დააჭნობს, ფურცელნი ჩამოსცვივიან, ზაფხულში მზისა სიახლე დასწავს, გვაღვასა ჩივიან, ლამაზის ჭლის თვალთაგან ცრემლები გადმოსცვივიან“. ლექსებში დასურათებულია გარეგანი ცხოვრებაც, სახლ-კარის მოწყობილება.

გურიაში ამბობენ:

მიუვარს თვცხა მე მეგრული,
მთა-კორტოხზედ წამოდგმული,
უფიცრო და უეფარო,
წვრიდის წნელით ჩახლართული,
და მისი ვარ მეც ერთგული,
მორჩილი და მოუვარული.

ლექსში გამოთქმულია რელიგიური მოწიწება, სარწმუნოებრივი გრძნობა წმინდა ადგილისადმი.

სვეტი-ცხოველო ცხოველო,
შენ სალოცავად მოველო,
ამ ჩემს დაჩაგრულს გუნებას
შენი წყალობა მოეთ.

ამ ლექსისავე გაგრძელებას წარმოადგენს პირუთვნელი თაყვანისცემა განსვენებულის მეფისადმი. „მცხეთას დგას ოქროს კუბოი, შიგ ნათობს კელეპტერია, შიგა წვეს მეფე ერეკლე, ბაგრა-

ტიონთა გვარია. გმირს დაუხუჭავს თვალები, მაგრამ არ არის მკვლარია; შვილებს გადუგდო ბეკთარი ფხა სისხლიანი ხმალია; სინამდის ვიყავ, კარგ ვიყავ, მიეძარ-მოეძარი ზღვანია, ეხლა თქვენთ ჩამიბარია, ქართველთ მთა და ტაძარია.

ა რ ა კ ე ბ ი .

ქართულს საერო ნაწარმოებში ლექსებს გარდა, რომელნიც გვისურათებენ ხალხის შეხედულებას ქალის და მოჩუკის პატივისცემაზედ, სიყვარულის და მეგობრობის გრძნობაზედ, გვიხატავენ მამულის და საზოგადოებისადმი ერთგულობის იდეალს, მისწრაფებას თავისუფლების და დამოუკიდებლობისადმი, სარწმუნოებრივი და ზნეობრივი სიმტკიცისადმი, — არა ნაკლებ დიდ-მნიშვნელოვანს განძს შეადგენს არაკები ანუ ზღაპრები.

ქართული არაკები შეიძლება სამს ჯგუფად გავყოთ: 1, ზღაპრები მითიური შინაარსით, რომელნიც სასწაულებრივი ანუ ფანტაზიური ელფერით არიან შემოსილნი; 2, ზღაპრები საყოფაქცეონი, სადაც კაცის ზნეობითი ღირსეულებაა დაფასებული; 3, ზღაპრები პირუტყვების მონაწილეობით შევსებულნი. ბრძოლა სინათლისა სიბნელესთან, დღისა და ღამისა, ზაფხულის და ზამთრისა შეადგენს დედაძარღვს მითოლოგიური არაკისას, როგორც ქართველთა, აგრეთვე სხვა ერთაცა. მოქმედნი პირნი ამ გვარ არაკებში არიან მზე, მთვარე, დევი სამ-შვიდ-თავიანი, როკაპი და ტყის კაცი. არაკი ახლა ხალხისათვის დროს გასატარებელი მოთხრობაა. არც მთქმელს და არც გამგონს არ სწამს მისი სინამდვილე და მითვლილია გამოგონებად, ოცნების ნაყოფად. ამას მოწმობს თვით არაკის დასაწყისი: „იყო და არა იყო-რა“, ანუ „იყო და არა იყო-რა, დვთის უკეთესი რა იქნებოდა“ *). აგრეთვე დასასრულიც უარ-

*) დასაწყისი ასეთივე შეიძლება: იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი თქვენი მწყალობელი, ერუსალიმი ღმერთთა, ღმერთის წყალობა ჩვენთა. ჩამოვარდა ფურცელი, ლექებს გაუსკდა მუცელი.

ყოფა არაკის ჭეშმარიტებისა და თვალსაჩინოდ ჰყოფს ხალხის
დაცინვითს კილოს საარაკო შინაარსისადმი.

ელასა მელასა,
ჭიქა შეკიდა ეელასა,
მთქმელსაც და გამგონებელსაც
ღმერთი გწუალობდეს უველასა.

ან კიდევ: მთას ურეში ავგორე, წამოვიდა გორებითა, აქ
სიტყვცხლით დაგვიძესით, საიქიოს ცხონებითა; ჭირი იქა, ლხინი
აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა. სვანური ზღაპარი თავდება ხოლმე
შემდეგი სიტყვებითა: სწამ ეს მართალი არ იყოს, მანამ არაფერი
კეტკინოს. მეგრულს ზღაპარში დასასრული უფრო ფანტას-
ტიურია: გუშინ იქ ვიყავ, დღეს აქ ვარ.

მითოლოგიური არაკები შეიძლება გავყოთ რამდენსამე
ჯგუფად. პირველს ეკუთვნიან ის არაკები, რომელშიაც მო-
თხრობილია ცის მნათობთა და ბუნების მოვლენათა შესახებ.
მზე და მთვარე, სვანების თქმულებით, ძმები არიან მამით.
მთვარე უმცროსი ძმა მზისა. ერთხელ ღმერთმა გამოუცხადა
მზის და მთვარის დედებს, რომ მათ ეყოლებათ ვაჟიშვილები,
ამათგან ერთი იქნება დღის მნათობლად და მეორე ღამისა,
იმის მიხედვით, ვინ გაიღვიძებს უფრო ადრე დედების დაუზმა-
რებლად. მთვარე, რათა გაეღვიძა ადრინადა, ჩაწვა ეკლიანს
ლოგინში, დიდხანს არ დაეძინა, მხოლოდ გათენებისას მიელო-
ლა. მზე კი დაწვა ადრე, ადრევე გაიღვიძა და მოჰფინა სხივი
დედამიწას. მთვარემ გაიღვიძა მაშინ, როცა დედა ცოცხალ
ლადა და გაბრაზებულმა ცომიანი ხელი გაჰკრა სახეზედ. ამის
შემდეგ მთვარეს ამჩნევია სახეზედ ლაქები. ღამით მზე
ზღვაში ჩადის და განთიადისას აღმოსავლეთით ამობრწყინ-
დების. — კახელების თქმულებით, მთვარე და მზე და-ძმა არიან.
მზე, როგორც ქალი, დღისით დადის, მთვარე კი, კაცი-
ვით ღამით დასეირნობს. ლაქები მთვარეს დააჩნდა დედის

კომიანი ხელით დარტყმისგან, როცა მან თავი მოაბეზრა პურის თხოვნით.

მზის და მთვარის დაბნელებას ხალხი იმით განმარტავს, რომ მათ ჰყლაპავს გველეშაპი. ამიტომაც დაბნელების დროს მოჰყვებიან თოფის სროლას, რათა გველეშაპს გააგდებინონ შეპყრობილი მზე ანუ მთვარე.—დედამიწა უზარმაზარ თევზის ზურგზედ დგას; თევზის კუდის გაქნევა ახდენს მიწის ძვრას, მისი გადაბრუნება ქვეყანას წალეკავს. ზეცა დედამიწასთან წინად იმდენად ახლო იყო, რომ მეხრე შოლტით სწვდებოდა ცას. ღმერთს და ხალხს დაახლოებული მისვლა-მოსვლა ჰქონდათ. მაგრამ მას შემდეგ რაც ერთმა დედაკაცმა ზეციდგან ჩამოვარდნილი ლავაშით ბავშვს უკანა ტანი გამოსწმინდა, ზეცამ დაიხუვლა და იმ სიმაღლეზედ მოშორდა ქვეყანას, რომელზედაც ახლა ვხედავთ. ღრუბელი ზღვიდან ზიდავს წყალს და წვიმად მოდის ქვეყანაზედ. სეტყვას ღმერთი, განრისხებული კაცთა ურწმუნოებაზედ, გზავნის ყანა-ვენახზედ. სეტყვის უფროსი არის ბრმა ელია, რომელსაც ავი სული ხშირად, მთავორათა მაგივრად, მოუძღვის ქვეყანად. ამიტომ რეკვენ ზარებს სეტყვის დროს, რათა ეშმაკი დააფრთხონ. ამ მითოლოგიურთ გადმოცემათა შემდეგ გადავიდეთ გაქვავებულის და ჯადოთი მიძინებულის ქვეყნების შესახებ არაკვებულ. „ივერიაში“ (1888, № 235 და 236) დაბეჭდილი იყო არაკი ორი ძმა. უფროსი ძმა გაათავისუფლებს მთელს სახელმწიფოს მავნე ფრინველისაგან, რომელიც სჭამდა მცხოვრებლებს და შეირთავს ცოლად მეფის ქალს. ერთხელ ნადირობაში შეხვდება ჭრელს ირემს, რომელიც გადიქცევა ბებერ დედაკაცად. ეს მიიწვევს ნარდის სათამაშოდ იმ პირობით, რომ თუ ვაჟი წააგებს, იგი გაქვავდება, ხოლო თუ მოიგებს, დედაკაცი მისცემს სამს ჩხირს, რომელთაგან ერთი აქვავებს, მეორე აცოცხლებს, მესამე სურვილს აღუსრულებს. ვაჟმა წააგო და ჩხირის (წკვპლის) დარტყმით იქმნა გაქვავებული. ამ დროს მისი ახალუხი დედის ოთახში ჩამოვარდა და ეს იყო იმის ნიშანი, რომ უფროს

ვაჟს ეწია უბედურება. უმცროსი ძმა გულთმისანი იყო. იგი წავიდა ძმის დასახსნელად. გზად შეჩერდა მის ცოლთან, რომელსაც იგი ქმარი ეგონა, რადგან ძმები ერთმანეთს გვანდნენ. ლოგინში უმცროსმა ძმამ თავის და ძმის ცოლის შუა ხანჯალი დასდო და განიზრახა მოეკრა ის ასო, რომლითაც რძალს შეეხებოდა (ეს მოტივი შეტანილია ერთს ვარიანტში ტარიელზედ საარაკო მოთხრობაში). ამ ფიცის ძალით დილით მან მოიქრა ფეხზედ დიდი თითი. გულთმისნობით მოაწია იმ დედაბერთან, რომელმაც გააქვავა მისი ძმა, მოუგო მას ნარდი და გააცოცხლა გაქვავებული ძმა იმ წყვლით, რომელსაც გაცოცხლების ძალა ჰქონდა.—იმერეთში ჩემ მიერ ჩაწერილს არაკში მოთხრობილია, როგორ გაქვავედა გიორგი ღვთის შვილი ბუმბულით, რომელიც მას დაეცა ხეზედ მჯდომი ფრინველისგან. ძაღლებმა ლოკეს და გააცოცხლეს. ამგვარი გაქვავება კაცის და აგრეთვე პირუტყვისა (ცხვარი, ლორი და სხვა) ხშირია უცხო ერთა არაკებშიაც.

მითიური გაქვავება გადაკეთდა შემდეგ ლეგენდებად. კახეთში მე ჩაეწერე ერთი ამ გვარი თქმულება. საბუენში ერთი დედაკაცი გოგოლაანთში ორი ძაღლით და ბავშვით აკვანში ლეკებმა წაიყვანეს ტყვედ. შეწუხებულმა მიჰმართა ღმერთს ლოცვით გაექვავებინა იგი. ღალადი მისი შესმენილ იქმნა და გაქვავებულს მის სახეს ახლაც უჩვენებენ ენისელის გზაზედ. ამ ქვას სასწაულმოქმედი ძალა შერჩენია, ხალხის თქმულებით. როცა უნდათ ზეცამ წვიმა აპყუროს დედამიწას, მაშინ ქვას უზამენ პირს ცისაკენ და, თუ კარგს დარს თხოულობენ, მაშინ დედამიწისკენ მიაბრუნებენ. ამ დროს საჭიროა დაესწროს ერთი ვინმე გოგოლაანთაგანი. იგი ეტყვის ქვას: ამყევ, წვიმა გვინდაო, ან და: დამყევ, დარი გვინდაო, — და სურვილი აღსრულებულ იქმნებაო.—ქრისტიანულ ლეგენდად გადიქცა აგრეთვე თქმულება გაქვავებულს ქალზედ, რომელსაც ჩვენ შევხვდით მანგლისის ახლოს. ლეგენდის გმირმა—ქალმა იფიკა ქრისტის რძლად, გაუთხოვრად დავრჩებო. მაგრამ

დედ-მამამ იმის დაუკითხავად საქმრო აუჩინა და ქორწილის დღეც დაუნიშნა. პატარძალი მიიყვანეს რა ურმით ეკლესიასთან, შეამჩნიეს, რომ იგი ვერ იძვროდა, გადმოიღეს ურმიდგან და განცვიფრებულთ თვალწინ ცოცხალი ქალის მაგივრად იყო გაქვავებული ქალი.

გველეშაპებზედ და დევებზედ არაკს გაიგონებთ სუყველგან. გველეშაპი მომხრეა არიმანისა და წინააღმდეგი არმაზისა, იგია მტერი სინათლისა და ადამიანისა. გველეშაპი დაიჭერს მდინარეს და თხოულობს კაკლის ნაქუქით წყლის დათმობაში ერთს კაცს მსხვერპლად. გველეშაპის მფლობელობიდან იხსნის უცხო ვაჟკაცი, რომელიც გადაარჩენს შექმას მდინარის პირას მოყვანილს მეფის ქალს, ჯერით განმზადებულს გველეშაპისთვის, და თვით გველეშაპსაც მოჰკლავს. ესეთი საარაკო თქმულება დაერთო წმინდა გიორგის ცხოვრებასაც. გველს აქვს ხალხის რწმენით ნატვრის თვალი. იგი ხან-და-ხან გამოდის წყლის პირას და ათამაშებს. ვისაც უნდა წაართვას ეს თვალი, უნდა პერანგის ამხანაგი ესროლოს, როცა თვალს მაღლა ააგდებს. თვალი გაეხვევა პერანგის ამხანაგში, გველი ველარ იპოვის და დარჩება ბედნიერს კაცს. გველს აქვს ერთი კიდევ კაცთათვის ფრიად საჭირო ნიჭი. მას შეუძლიან ასწავლოს ადამიანს მხეცთა და პირუტყვთა ენა. ამ საიდუმლოების წყალობით, კაცი დიდს სიმდიდრეს შეიძენს, მხოლოდ იმ პირობით, რომ არავის განუზიაროს ეს საიდუმლოება. ერთს არაკში ცოლი ჩააცივდება ქმარს, გააგებინოს, როგორ შეიძინა სიმდიდრე. ქმარი გადასწყვეტს გასცეს თვისი საიდუმლოება, მაგრამ გაიგონებს რა პირუტყვთა გაკიცხვას, რომ იგი ცოლს ასე ემორჩილება, გადაიფიქრებს და მეუღლეს დასაჯავს. გველს შეუძლიან კაცსავით შეიყვაროს ქალი. უცხო ზღაპრების გველის მაგივრად ქართულს ზღაპრებში ქალს და ხშირად თვით დედოფალს შეიყვარებს დევი და იმდენად შეაძულებს ვაჟიშვილს, რომ დევის ჩაგონებით უნდა მისი დალუპვა: თავს მოიპყადმყოფებს და მოსარჩენად გაგზავ-

ნის გულღვიძლის მოსატანად, ან სამი ვაშლის მოსაწყვეტად განშორებულს ხეზედ მიუვალს ადგილს; მოსიყვარულე შვილი შეასრულებს დედის მოთხოვნილებას, მაგრამ ავადმყოფი არ რჩება, რადგან შვილი ვერ დალუბა დევის სურვილისამებრ. შემდეგ გაიგებს, რომ ვაჟიშვილის ღონე მარჯვენა ხელის სამს ძარღვშია და ძილის დროს დევი და დედა გაუჭრიან ძარღვებს და ჩაადებენ ორმოში; შემთხვევით ქარაფანი შენიშნავს, ამოიყვანს ვაჟს ორმოდან და უკვდავების წყლით გააცოცხლებენ.

დევი უსხეულო არსება კი არ არის ქართველთა თქმულებით, როგორც ზარატუშტრას მოძღვრება ქადაგებდა, — იგია ხორციელი, დიდის ტანის არსება, რამდენიმე თავით, სამით, შვიდით, ცხრით, ცამეტით, მომეტებულს შემთხვევაში კენტი თავი აბია, როგორც ვნახეთ ამირანზედ თქმულების გარჩევის დროს. როგორც კაცი იგი სასიკვდილოთაც შეიძლება დაიქრას, მას ატყუებენ, აშინებენ; იგი უახლოვდება ადამიანს და ირთავს მიწიერ დედაკაცებს. იგი მაინც კაცის საქმელია. ცხოვრობს უდაბურს ტყეებში, გამოქვამულს კლდეებში, ხან კი დიდს სასახლეებშიაც. აქვს დიდი შეიძლება, ოქრო და თვალ-მარგალიტი, საუცხოვო ბროწეულები და ვაშლები, ჰყავს რამდენიმე ლამაზი ქალი, რომელთაც ირთავენ მომაკვდავი კაცები. ტანზედ გრძელი ბალანი ასხიათ და სახით ულამაზო და საშიშარნი არიან.

ერთს არაკში (ნაცარქექია *) ნაამბობია, როგორ გაიმარჯვა უბრალო კაცმა დევებზედ. ნაცარქექია სახლიდგან გამოდევნა უსაქმურობისა გამო რძალმა. მიადგა ნაცარქექია ერთს დიდს წყალს და მეორე ნაპირას უშველებელი დევი დაინახა. საგზოდ რძალმა ნაცარქექიას გამოატანა ერთი გუდა ნაცარი, სადგისი და ახალი ყველი. შეშინდა დევის დანახვაზედ და მხოლოდ ერთი საშუალება მოიგონა თავის დასახსნელად: უჩხვლიტა სადგისი გუდას და მტვერი დააყენა. დევი გაჰკვირდა

*) ზღაპრები. ტფილისი. 1902.

და მოსთხოვა, რომ ქვისათვის წყალი გამოედინებინა. ნაცარ-
ქექიამ ამოიღო ახალი ყველი, მოუჭირა და წყალი თქრიალით
გამოადინა. დევმა შეისვა მხარზედ და წყალს უნდა გაიყუა-
ნოს. მას გაუკვირდა, რომ ნაცარქექია სუმბუქი გამოდგა. ეს
იმიტომაო, რომ ხელი ცახედ მიბჯენილი მაქვსო. დევის სურ-
ვილით ვითომც ხელი დაუშვა და ამის მაგივრად სადგისი კი-
სერში ჩაურქო. დევმა ყვირილი მორთო და სთხოვა ხელი
ისევ ცისთვის მიებჯინა. დევმა სადილად თავის სახლში წაი-
ყვანა. აქ ნაცარქექიამ დაინახა ვეება კეცი ხმიალით ბუხარში
შედგმული. დევის შეპირებით ნაცარქექიას კეცის მობრუნება
უნდოდა, მაგრამ ვერ შესძლო და გადმოაბრუნა და თითონ
ქვეშ მოჰყვა. დაბრუნებულს დევს კი უთხრა, რომ მუცელი
ამტკივდა და ამიტომ დავიდეო. დევმა ახადა კეცი. სადილზედ
სთხოვეს დიდი კოკით ქვევრიდან ღვინო ამოელო. ნაცარ-
ქექიამ ეს ვერ მოახერხა და დაუწყო ბარით ქვევრის გარშემო
თხრა, ვითომ მთელი ქვევრი უნდა ამოაძროს. შეშინდნენ
დევები—ცხრა ძმამ ძლივას ჩავდგით ცარიელი ქვევრი და ეს
კი მარტო აპირებს სავეს ქვევრის ამოღებასო. სადილზედ ერთმა
დევმა დაახველა და ნაცარქექია ქერს მიარტყა. იმან კი
იქიდან დაუძახა: როგორ გაბედეთ ჩემ წინ დახველება, ეს წკეპლა
უნდა ჩამოვიტანო და გვერდები აგიწვათო. შეშინდნენ დევები,
გამოცვივდნენ სახლიდგან და დაუტოვეს ყოველივე თავისი
ქონება ნაცარქექიას.

დევებს გარდა მეგრელებს ახსოვთ ოჩო-კოჩი, ცალ-თვა-
ლა კაცი, თმით შემოსილი, როგორც ტყის კაცი ქართლ-
კახურს ზღაპრებში. ერთს ზღაპარში ოჩო-კოჩის ციხეს მიად-
გება მეფის. შვილი სანართია. ოჩო-კოჩს უნდა მისი შექმა,
მაგრამ სანართია დასძლევს მას როგორც დევებს სძლევენ.
ოჩო-კოჩის ზღაპარი ბევრნაირად საინტერესოა. პროფ. მილ-
ლერმა გაარჩია ეს ზღაპარი. იგი შეადგენს დაახლოვებულს
ვარიანტს ბერძენთა (ჰომეროსის) თქმულებისას პოლიფემზედ.
რვა ძმა ვიყავითო, ნაამბობია მეგრულ ზღაპარში; როგორც

მეთევზეები მთელი თვეობით დროს ვატარებდით გემზედო-
ერთხელ, როცა წილკავი გადვუგდეთ, შევნიშნეთ, რომ გემი
ჰშორდება ნაპირს და შუა ზღვაში შედის. რამდენიმე კვირის
შემდეგ დავინახეთ კლდოვანი ნაპირი, საიდანაც თაფლის წყა-
რო გამოდიოდა. ამ წყაროსთან თაფლის შესაქმელად გამო-
ცურდა ერთი დიდი თევზი, რომელსაც პირი სამს ადღზედ
განიერი ჰქონდა. თურმე ჩვენი წილკავი ამ თევზის ფრთებს
მოსდებოდა და ის მიგვათრევდა ზღვაში. როცა ამან დაიწყო
თაფლის სმა, ჩვენ მოვაქერით წილკავს თოკები და განვი-
ზრახეთ თაფლი და სანთელი შეკვეყრიბა და წამოვსულიყავით
ნაპირ-ნაპირ. დილით შევნიშნეთ, რომ წყაროს მოუახ-
ლოვდა ცხვრის და თხის ფარა, რომელიც მოუდიოდა ერთს
ცალთვალა ვაჟს. ამას ხელში ეჭირა ბოძის სიმსხო კეტი და
თითის-ტარივით ატრიალებდა. ცალთვალამ გამოათრია ჩვენი
გემი და ჩვენ თითონ ფარას გაგვადევნა. მივუახლოვდით დიდს
სახლს, რომელსაც რამდენიმე ქცევა მიწა ეჭირა. სახლს ისე-
თი ტყე ერტყა, რომ თვალი მის მწვერვალს ვერ ხედავდა.
აქ დაგვამწყვდია ჩვენ და თითონ ფარა წაასხა. საღამოთი
თხა, ცხვარი, ბატკანი და ციკანი თავ-თავის ადგილას ამ
სახლში დააბინა და ცეცხლი გააჩინა. ამოარჩია მსუქანი
ცხვარი და გაუტყავებლად შესწვა შამფურზედ. მეორე დღეს
საღამოთი ამოარჩია ერთი ჩვენთაგანი, რომელიც უფრო მსუ-
ქანი იყო, წამოაგო შამფურზედ და დაუდო ცეცხლს. როცა
ჩვენს ძმას თვალები დაუსკდნენ, ცალთვალამ მოგლიჯა მას
ფეხი და ჩვენ გადმოგვიგდო და თითონ დანარჩენი შესვლიძა.
ჩვენ ძმის ფეხი დავმარხეთ. ასე შექამა ექვსი ძმა და დავრჩი
მე უმცროსი ძმით. როცა უკანასკნელად გაძლა კაცის ხორ-
ციტ და მიიძინა, მე და ჩემი ძმა დავეჭიდეთ შამფურს, ძლივს
ამოვაძრეთ მიწიდგან, გავახურეთ წითლად ცეცხლზედ და
ვატაკეთ ცალთვალას თვალში. სიმწარით ისე ავარდა ქერამ-
დის, რომ თავი გაიტეხა. დაიწყო სირბილი სახლში და გვე-
ძებდა ჩვენ, მაგრამ ამაოდ, რადგან ვეფარებოდით. გათენე-

ბისას ცხვარმა და თხამ დაიწყო ბლავილი, თითქოს გარედ გაშვებას თხოულობსო. ცალთვალას ვერ მოუთმინა გულმა, დადგა კარებთან და ფეხებს შუა გაატარა თხა-ცხვარი და თან თავს, მუცელს და ხერხემალს უშინჯავდა. შუადლისას დაილა-ლა და მხოლოდ ხერხემალზედ უსვამდა ხელს. ჩვენ გავაძვირით ორს ცხვარს ტყავი, წამოვისხით და გამოვუძვერით ფეხებ შუა. შეესხედით გემზედ და წამოვედით. ცალთვალა დაგვედევნა და, როცა გაიგონა ჩვენი ხმა, გვესროლა ისეთი დიდი კეტი, რომ ზღვამ ლელვა დაიწყო. დიდი წვალეების შემდეგ დავ-ბრუნდით სახლში.

ამგვარი თქმულება ცალთვალაზედ ჩაწერილია დაღესტან-ში, ჩაჩნებს და ოსებს შორის. გარდა ამისა იგი შეტანილია არაბთა 1001 ლამის არაკებში, აქვთ ებრაელებს და სხვა აზიურს ხალხებს. მხოლოდ ცალთვალა ანუ ბერძენთა პოლი-ფემის თქმულება, სხვა-და-სხვა ერთა შორის გავრცელებული, არ არის დაკავშირებული და ვერ უპოვიათ შეპაერთებელი ძაღი. ქართულს და ბერძენთა თქმულებას კი კაცის მკვამელს ცალთვალაზედ ისეთი დაახლოვებული ნათესავობა აქვთ, რომელიც აქამდის არ იყო სხვა საზღვპირო ნაწარმოებში შევინე-ული. აი ამის საბუთებიც.

1) როგორც პოლიფემი მწყემსია, აგრეთვე ჩვენებური ცალთვალაც ცხვრის და თხის ფარის გამგეა.

2) პოლიფემს და ცალთვალას—„ოჩო-კოჩს“ დამწყვდე-ული ჰყავს ცალ-ცალკე თხა, ბატკანი და სხვა.

3) პოლიფემის კეტი ტოტია ზეთის ხილისა; ოჩო-კოჩს უჭირავს ხელში ბოძის ოდენა კეტი.

4) პოლიფემის სახლს გარს ერტყა შავი მუხა და ფიჭვი, ოჩო-კოჩის სადგურს უზარმაზარი ტყე.

5) პოლიფემი და ოჩო-კოჩი დაბრუნდებიან თუ არა სახლში, გააჩენენ ცუცხლს.

6) „ოდისეაში“ ნათქვამია, რომ დაიწყეს დილით ბლავილი საყვარელმა ცხვრებმა და პოლიფემმა გამოუშვა

იგინი; მეგრულს ზღაპარშიაც მოყვანილია, რომ ოჩო-კოჩი შეწუხდა პირუტყვთა ბლავილით.

7) პოლიფემს და ოჩო-კოჩს თვალს გამოსთხრიან შამფურით და კეტით.

ამგვარი დაახლოვებული მსგავსება ბერძენთა და მეგრელთა თქმულებისა გვაძლევს მიზეზს ვიფიქროთ, რომ ბერძნული პოლიფემის ამბავი გაავრცელა სამეგრელოში რომელმამე უცხოელმა იმ დროს, როცა შავი ზღვის პირას აყვავდნენ ბერძენთა ახალშენები (დიოსკურია, ფაზისი). მეგრული ზღაპარი ჩაწერილია ანაკლიაში, ზღვის პირას და მასასადამე შესაძლებელია აქ დარჩენილიყო ძველთაგანვე, რადგან ანაკლიას კავშირი ჰქონდა ბერძენთა კოლონიებთან. გამოურკვეველი რჩება მხოლოდ საგანი, შეითვისეს მეგრელებმა ეს ზღაპარი ზეპირად ნათქვამი ამბიდგან, თუ სამწიგნობრო წყაროდგან მომდინარეობს. ეს კი ეჭვს გარეშეა, რომ მეგრელების ოჩო-კოჩი სხვა ვარიანტს წარმოადგენს, ვიდრე პოლიფემის ამბავი ოდისეიაში. ბერძნებმა ოდისეს მიაწერეს პოლიფემის დაბრმავება და საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში თვით ბერძნებმა ისარგებლეს მოსიარულე სიუჟეტით კაცის მქამელს არსებაზედ და მასთან შეხვედრა გახადეს ერთს ეპიზოდად ოდისეს ტანჯულს მოგზაურობაში. უფრო შესაძლოა, რომ ბერძნებმა და მეგრელებმა ერთი საერთო წყაროდგან მიიღეს თქმულება ცალთვალა კაცის საქციელზედ.

ქართულს ზღაპრებს ბევრნაირი საერთო მხარე აქვთ სხვა ხალხთა არაკებთან. „ოქროს ბულბული“ ჩვენში ჩაწერილი გვაგონებს გერმანელების *Der goldenen Vogel*. ქართული ზღაპარი „ბულბული“, რომელსაც რაშის რჩევით დიდის წვალეებით მოიპოვებს გამგზავრებული, წააგავს რუსების ქარბტიცას. „აღამიანის სუნი მესმისო“, ამბობს კულიანი დედაკაცი, როცა ნახავს ვაჟკაცს, ოქროს ბულბულის საძებნელად წასულს. ასეთი სიტყვები გვესმის დევისაგანაც როგორც ჩვენს ზღაპრებში, აგრეთვე სომხურს არაკებშიაც. „ეს კარგი სამწვა-

„დე გაგვიჩნდაო“, იტყვიან დევები მისულს ადამიანზედ ჩვენს და ჩვენი მეზობლების არაკებში, თუმცა ბოლოს ადამიანი დასძლევს დევსაც და კუდიანსაც. აგრეთვე საერთოა ყველა ხალხთა ზღაპრებში უჩინ-მაჩინის ქუდი, გულთმისანი რაში, ნატვრის თვალი, კომბალი, საკვირველი სუფრა, რომელიც უცებ გაიშლება ყოველნაირი სანოვაგით და ხალიჩა, რომელზედაც გაფრინდება კაცი, საითაც უნდა. მოვიყვანთ ერთს ზღაპარს ამ საერთო სიუჟეტისას.

ერთი ნაცარქექია იყო, რომელმაც თავი დაანება კაპანს ცოლს და წავიდა შორს იმის ძალდატანებით საჩროს მოსაპოებლად. მიაღდა ერთს დიდს დარბაზს, სადაც დევები სცხოვრობდნენ. დევებს, რომელნიც დარბაზში ცეცხლს გარს უსხდნენ, ძმობა სთხოვა. ამიტომაც დევებმა მიიღეს იგი. ამათ ნატვრის თვალი ჰქონდათ. ინატრებდნენ სადილ-ვახშამს და ყველაფერი წინ გაეშლებოდათ. ერთხელ დევების ძილის დროს, ნაცარქექიამ აიღო ნატვრის თვალი და გამოსწია კარებისკენ. კარმა ჰრაქუნნი დაიწყო და იძახის: სტუმარმა ნატვრის თვალი მოიპარაო. ნაცარქექიამ ნატვრის თვალი დასდო თავის ადგილას, მიიბრინა ლოგინთან და თავი მოიბძინარა. კარების ძახილზედ დევებმა გამოიღვიძეს. ნახეს ნატვრის თვალი თავის ადგილას სძევს. მეორედ სცადა ნაცარქექიამ ნატვრის თვალის მოპარვა. კარმა ისევ ჰრაქუნნი და ძახილი დაიწყო. ნაცარქექია ისევე მოიქცა, როგორც პირველად, დევები კი დარწმუნდნენ, რომ თვალი არავის წაუღია. მესამედ ნაცარქექიამ მოიტაცა თვალი და გამოვიდა. თუმცა კარმა იძახა, სტუმარმა თვალი მოიპარაო, დევებმა აღარ დაუჯერეს. დილით აღმოჩნდა, რომ კარები მართლა აფრთხილებდა დევებს, მაგრამ გვიანლა იყო: ნაცარქექია გაჰქრა. ნაცარქექიას გზაში ერთი კომბლიანი კაცი შემოეყარა. ნაცარქექიამ ინატრა და მათ საუცხოვო სუფრა გაეშალათ. კომბლიანმა კაცმა უთხრა: გამიცვალე თვალი ამ კომბალში, რომელიც სიტყვაზედ „პურ კომბალ“ ეცემა და ცემით სულს

ამოართმევსო. ნაცარქექიამ გაუცვალა და, ცოტა რომ გაზო-
იარა, უთხრა კომბალს: „პურ კომბალო“ და წინანდელს პატ-
რონს მიუსია. დაბეგვილს კაცს ნაცარქექიამ ნატვრის თვა-
ლიც წაართვა. აგრეთვე მოექცა ხმლიანს კაცს; იმის ხმალს
შეეძლო თითონ ეომნა და ათასი სულისთვისაც თავი გაეგდე-
ბინებინა. შემდეგ შეხვდა ნაბლიანს კაცს. ამის ნაბლის ბეწვს
ისეთი ძალა ჰქონდა, რომ თავს ტანიდგან გაშორებულს თუ
მოუსვამდი, ისევე მოებმოდა. ნაცარქექიამ ჯერ გაუცვალა
თვალი ნაბადში და შემდეგ კომბალი მიუსია, დაბეგვა და
ისევე წაართვა ნატვრის თვალი. დაბრუნდა სახლში და ცოლს
მიუტანა ხმალი, ნაბადი და ნატვრის თვალი. ცოლს ეცოტავა
მოტანილი სარჩო და გამოლანძღა ქმარი. გაჯავრებულმა
ქმარმა მიუსია კომბალი და მიბეგვა ცოლი. თითონ კი შვი-
ლებში დაჯდა და ნატვრის თვალით მოითხოვა უცხო სადი-
ლი. ცოლი ჩუმად შეჰყურებდა, მერე მივარდა ქმარს და
ბოდში მოიხადა. ქმარმაც აპატივა. ცოლის ძალდატანებით
გამდიდრებულმა ნაცარქექიამ მოიწვია ხელმწიფე სადილად.
მეფეს ნატვრის თვალი მოეწონა და ჯარი მიუსია ნაცარ-
ქექიას წასართმევად. ნაცარქექიამ ჯარის გასაწყვეტად ხმალი
გაგზავნა და მეფეს კომბლით გაუსწორდა. მეფემ ხვეწნა და-
უწყო, ჯარი გამიცოცხლე და თვალი არ მინდაო. ნაცარ-
ქექიამ ნაბლის წვერით დახოცილი ჯარი გაუცოცხლა და
თითონ კი ცოლ-შვილით ბედნიერად დაიწყო ცხოვრება.

არის ისეთი ზღაპრებიც, სადაც ნატვრის თვალს წაართმე-
ვენ, მაგრამ თავის დახმარებით დაიბრუნებენ. თავი ცხვირში
კუდს მოუსვამს, მომპარაფი დააცემინებს და გამოაგდებს პი-
რიდგან დამალულს თვალს. დახოცილების გაცოცხლება მო-
ხდება უკვდავების წყაროს პკურებით, თვალთმაქცი ხელ-
ცახოცის მოსმით, ან განმკურნებელი ბალახით, როგორც
ვნახეთ ზემოთ ამირანის თქმულების გარჩევის დროს. უკვდა-
ვების წყლის მოსატანად ან იმგვარივე სასწაულმოქმედი ბრო-
წეულის მოსატანად წასული ვაჟკაცი ბევრს მწუხარებას გა-

მოივლის. ქვესკნელშიაც მოუხდება ჩასვლა, სადაც ორბის შვილების შემქმელს გველს მოჰკლავს და იქიდგან მალა ამოიყვანს მადლობელი ორბი, რომლის ფრთებზედაც შეჯდება და გზაში აქმევს პურს და ასმევს ღვინოს. როცა საზრდო დააკლდება, გამოიჭრის ხორცს ფეხიდგან და ჩაუდებს პირში. რადგან კოკლობას დაიწყებს ვაეკაცი, ორბი მისცემს თავის ფრთას, ყმაწვილი გამოისევამს და განიკურნება. ამგვარი შინაარსის ზღაპარი სხვა ხალხებსაც აქვთ.

მრავალი ზღაპარი გვაქვს იმ ჯგუფისა, სადაც ადამიანს პირუტყვად, ფრინველად და უსულო საგნად გადააქცევენ. ზღაპარი „ვახ რა კარგი ხარ“ ეშმაკი კაცის სახით გლეხის შვილს გადააქცევს მტრედად. დარიგებული შვილისაგან მამა იცნობს „მტრედს“ და წამოიყვანს. შვილი გზაში ძალღად იქცევა და კურდღელს დაიჭერს; შემდეგ ქორად, ცხენად, თაგვად, თევზად, ვაშლად და სხვად, რომ თავიდგან მოიშოროს უკან დადევნებული ეშმაკი მასწავლებელი, რომელიც მოსდევს მას ხან ჭრელ-თვალა კაცად, ხან კატად, ხან ბადედ და ბოლოს დანად. ვის არ გაუგონია ზღაპარი, რომ სამს ძმაში უმცროსმა ითხოვა ცოლად ბაყაყი, რომელიც შემდეგ ლამაზ ქალად გადაიქცა. ხშირია აგრეთვე დედაკაცის თევზად, გველად, მგლად, მამლად, ნაფოტად და ალვის-ხედ გადაქცევა. კუდიანებზედ ზღაპარი ჩაწერილია საქართველოს ყოველს კუთხეში. კუდიანს შეუძლიან თვალის კვრა, ქირანახულის წახდენა, ავთამყოფობის მოსევა, გულის ამოდება. კუდიანების წინააღმდეგ დიდს ოთხშაფათს ცეცხლს ალაგზნებენ და შავს კატას დაამწყვდევენ, რომ მოუსპონ საშუალება მის ზურგზედ იალბუზის მთისკენ გამგზავრებისა ტარტაროზის სანახაჲად.

არის ისეთი ჯგუფი ზღაპრებისა, სადაც რაიმე ზნეობითი აზრია გატარებული. ამგვარია ის ზღაპრები, სადაც დედინაცვალი სდევნის გერს, სტანჯავს მას და ბედი კი მწყალობელია დაჩაგრული ობლისა. ამის გულის შემატკივარი არის ძროხა, რომელსაც დედინაცვლისაგან დევნილი შესჩივის თა-


ვის გაჭირვებას და მიიღებს ძროხისაგან ბრძნულს დარიგებას. ზნეობრივი აზრი მოიპოვება იმ ზღაპრებშიაც, სადაც სამი და მოქმედობს. უმცროსი და უფროსებს არ უყვართ, ცდილობენ მის დალუპვას, მაგრამ ბედი იფარავს უდანაშაულო ქალს, იგი ხდება მეფის შვილის ცოლად და კეთილს ცხოვრებას ეწევა. აგრეთვე ზღაპარში „სამი ძმა“, უმცროსი ძმა, უფროსებისაგან ათვალწუნებული, ბოლოს გაიმარჯვებს და მტრად გადაკიდებულს ძმებსაც უშველის. საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს იმ ზღაპარსაც, სადაც სომხის ტერტერას მსუნაგობაა გაკიცხული. სხვა ხალხთა (მაგ. პოლონელების) ამგვარს ზღაპრებში მოქმედებს კათოლიკეთა ქსენძი.

განკერძოებულს ჯგუფს წარმოადგენენ არაკები პირუტყვთა შესახებ. დასაწყისი ამ ზღაპართა იმ დროს ეკუთვნის, როცა განუვითარებელი კაცი ახლო ცხოვრობდა პირუტყვთან და მხეტთან, აკვირდებოდა მათ ზნეს და ხასიათს. დაახლოვებულმა მათთან ცხოვრებამ შეჰქმნა რელიგიური შიშიც და მათი თაყვანისცემა. შემდეგ მითი გადაკეთდა ზღაპრად. ქართულს ზღაპრებში მოქმედებენ: მელა, დათვი, თხა, ცხვარი, ძაღლი, ძროხა, ცხენი, ტურა, მამალი. თვითეული ამ პირუტყვთაგანი გამოყვანილია შესაფერი თვისებით. მელა ეშმაკი და ვერაგია. იგი შუამდგომლობს და მეწისქვილისათვის ან მეფის შვილისათვის საცოლოს შოულობს. ზოგს ზღაპარში მოთხრობილია, როგორ გაჩნდა გუგული, ბულბული, ოფოფი და მოლალური. დათვს თაფლი უყვარს, მგელს თევზი, მელას ქათამი. კაცი ამათ სჯობნის ჭკუით და მოხერხებით. პირუტყვნი ზღაპრებში კაცის ენით ლაპარაკობენ. ზოგნი მისი მშველელი არიან: მაგ., რაში, ძროხა. ზოგს ზღაპარში გამოყვანილია რამდენიმე პირუტყვი ერთად და ემსახურებიან კაცს. ამ შინაარსისაა ლექსად დარჩენილი „საბრალო დედაბერი“.

საბრალო დედაბრისას

თავნი უანას მკიანო,

ლომნი უგრეხენ ულთს
და ვეუხენი შეუკვირანო,
დეგნი ურუმსა აბიან,
ირემნი ძნასა ჰყრიანო,
შველნი კევრებში შებმულან,
კალთს გარს დარბენიანო,
ზედ ანგელოზნი უსხედან,
წვრილ ხმაზედ დასძახიანო,
ჭინკები მარდად უჩტევენ,
უანასა გაჰტოცხიანო,
ტახნი მისდევენ კალთსა,
მელეები კუდით ჰგვიანო,
წერონი ანიაგებებ
და ბატნი დაჰკმაზიანო,
დათვებს ჰკიდიათ ტომრები,
თრმთში ჰურსა ჰყრიანო,
მგლეები წისქვილში გაგზავნეს,
ჰურს მალე დაუთქვიანო,
შაში ფქვილს მტკიცავს,
გნოლი ჰზელს, კაჭკაჭნი ამოჰყრიანო,
მტრედნი ჩააკვრენ ლავასა
და გვრიტნი ამოჰყრიანო,
ვარიები ამზადებენ,
იხენი სუთრასა შლიანო,
ზეტას ტოროლა გაგზავნეს,
ფრინველთა მოჰკრებიანო,
შენს მადლსა ჩხიკენი ნუ გინდა,
სუთრასა აგვიშლიანო,
სილამაზითა ხოხობი
შუაში ჩაისვინანო,
ბულბული გალობისათვის
სულ თავსა დაისვინანო,



საწყაღი ბერი ქედანი
ბოლოში მოიგდიანო,
ერთად სმენ, სჯამენ, ღხინობენ,
ჰარადეს დასძახიანო.

„დედა-ენაში“ პირველს გვერდზედ შეხედებით ერთს ხალხურს სიმღერას ზოგადი სიუჟეტისას. ერთს ინდოურს ზღაპარში მოხსენებულია, რომ თავგმა ქალად გადაქცეულმა მოინდომა უძლიერესი კაცი ქმრად შეერთო. განდევილი, რომლის ლოცვითაც თავგი კატად იქცა, მიჰმართავს ამ მიზნით მზეს, შემდეგ ღრუბელს, ქარს, მთას და ბოლოს თავგს, რომელიც უძლიერეს არსებად გამოდგება. ქართულს ზღაპარში კატა თავგსაც სჯობნის, რადგან მეორე გახდება პირველის დავლად. „მადი ვნახო ვენახი, რამ შეჭამა ვენახი, მიველ ვნახე ვენახი, თხამ შეჭამა ვენახი“. თხა მგელმა შექამა, მგელი თოფმა, თოფი ჟანგმა, ჟანგი მიწამ, მიწა თავგმა, თავგი კატამ.

ქართულს ზღაპრებში შეგვხვდება ისეთიც, რომელსაც ფილოსოფიური აზრი აქვს. ამგვარია მაგალითად ზღაპარი „მიწა თავისას წაიღებს“. ერთი ვაჟი წავა ისეთი ადგილის საძებნელად, სადაც სიკვდილი არ არის. მიუახლოვდება შუშის სასახლეს, სადაც სიკვდილი არ არის. მიუახლოვდება შუშის სასახლეს, სადაც ლამაზი სახის 15 წლის ქალი ზის. მეო, ქალი ეუბნება, დავიბადე ქვეყნის შექმნის პირველს. დღეს და აქამდის ვრჩები ასეთი ნორჩი. მე მეძახიან სილამაზეს. მე არასოდეს არ მოვკვდები. შენ შეგეძლო ჩემთან დარჩენა, მაგრამ მოგწყინდება განუწყვეტელი ცხოვრებაო. ვაჟი დარჩა. გაირბინა ათასმა წელმა, მაგრამ ვაჟი ვერ ატყობდა დაქცობას ქალის სილამაზეს. მოუნდა დედ-მამის ნახვა და ქალმაც გამოუშვა და თან გამოატანა სამი ვაშლი. სამშობლოში ველარვინ ჰპოვა ნაცნობი და ჯავრით შეპყრობილმა შექამა ერთი ვაშლი. თეთრმა წვერმა დაჰფარა იგი გულამდის. შექამა მეორე და მუხლს მოეკვეთა. დაუძლურებულმა სთხოვა გამვლელს ბავშვს ამოეღო იმის ჯიბიდან მესამე ვაშლი. შექამა ესეც და განუტევა მაშინვე სული. ბედისწერას ვერავინ წაუვაო, აი აზრი,

რომელიც გატარებულია იმ ზღაპარში, სადაც მეფის შვილი ირთავს იმ გლეხის ქალს, რომლის მოკვლაც უნდოდა. ლამე ჩასცემს ხანჯალს, რომ აიცილნოს იმ ქალის შერთვა, და ეს დაკერა გაათავისუფლებს მას წყალმანკისაგან, რომელიც ასახიჩრებდა მზეთუნახავს სადედოფლოს. როცა ნახავს ამ ლამაზს ქალს, მეფის შვილს ისე მოეწონება, რომ შეირთავს და ამგვარად ბედისწერა ასრულდება.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი .

ანდაზები შეადგენენ ხალხური მახვილ-გონიერობის ნიმუშს. აქ გამოთქმულია მოკლედ და აზროვნად ხალხის შეხედულება ბუნებაზედ, სარწმუნოებაზედ, ზნეობითს მოვალეობაზედ და მსოფლიო დაკვირვებანი, რომელნიც ერს დიდიხნის ცხოვრების განმავლობაში გამოცდილებით შეუთვისნია. ანდაზებში მოსჩანს კვალი წარმართული დროისაც და ისტორიული გარემოებათა მიმდინარეობისაც. მითოლოგიური ხანის ნაშთს ვხედავთ შემდეგს ანდაზებში: ერთი წუთით ძილი წყალსაც მოუვაო. თუ შთვარე ჩემს მხარეზეა, ვარსკვლავი რაღად შეჭირება. ბედი მომეც და სანახვეზედ გადამაგდე. ცოლ-ქმრობის ბედი ზეცაში სწედება. რწმენა მოსჩანს ასეთი ანდაზებიდგან, როგორც: ღვინო არსად იყო და ეშმაკები ტიკებს ბერაგდნენო. ეშმაკის მუშა დმერთმა დაფუშა. უპატრონო საყდარს ეშმაკები დაეპატრონენ. მიცვალებულთა კულტი და თაყვანისცემა დარჩენილია რამდენსამე ანდაზაში: შენი ჭირი შენს სეხნასა. ქრისტიანობრივ ხანას ეკუთვნიან: დმერთი დიდა, საწყალო. ერთი ალილო მღვდელსაც შესცდება. როგორც მღვდელი, ისეთი ერი. ისტორიული კვალიც დარჩენილია. არზრუმელი თათარი გოჭის თავს შედავებოდა. მოვიდა მესხ და მკვიდრი აუარა. თაფლი იყოს და ბუზი ბაღდადიდგან მოვა. „ქართლის ცხოვრებაში“ მოყვანილია ხალხური ანდაზა: უორდანაშვილი ქრაფინდა, ხელი ჭკრეს და გადაფრინდა. ბატონ-ყმობის დროს ეკუთვნიან: ბატონმა თქვას მუხას ვაშლი აბიო, უნდა დაუჯერო.

აზნაური მჭადს არა სჭამს, თუ მოშივდა უველასა სჭამს. დედა-
კაცის შესახებ ხალხი მაღალი აზრისა არ არის: თუ დედაკაცმა
გაიწია, ცხრა უდელი ხარი ვეღარ დაიჭერს. მოწმენდილი ცისა და
დედაკაცისა არა მწამს-რა. ცოლ-ქმრობის იდეალი მორჩილებათა:
აგია თუ კარგია, ქალო, შენი ქმარია. რძალ-დედამთილის დამო-
კიდებულება აღნიშნულია: კაი რძალი ვის უნახავს. ძაღლსა
სცემდნენ, რძალს ასმენდნენ. თემის მნიშვნელობაზედ ხალხი
ამბობს: ხმა ღეთისა და ხმა ერისა. კაცი უნდა ხერხი იყოს,
გაჭქონდეს და გამოჭქონდეს, განა უნდა ეხო იყოს, სულ თავისკენ
მოიჭრიდეს. ძველს სამართალს ხალხი ასე იგონებს: ქრთამი
ჯოჯოხეთსაც განათებს. სიმართლეზედ დარჩენილა: მართლის
მთქმელს ცხენი მზად უნდა ჰქუვდეს, შეჯდეს და გაიქცეს. გაცე-
მულს სიკეთეს ხალხი არ იფიწყებს. ძველი ჰურ-მარილი არ დაიკარ-
გება. ქურდობას ხალხი გმობს: ნევსის მომზარავი და აქლემის—
სულ ერთია, ქურდია. წარსულის პატივისცემა გამოიხატება ანდა-
ზაში: ნუ დაჭკარგავ ძველსა რჯულსა, ნურცა ძველსა შეგობარსა.

ზ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი .

გამოცანას ვეძახით ისეთ გარდათქმითს აზრს, სადაც ერთი
საგნის მაგივრად იხსენიება მეორე, დაახლოებული პირველთან
დაშორებული მსგავსებით. უძველესს გამოცანებში გადმოცე-
მულია კვალი პირვანდელი მითოლოგიური აზროვნო-
ბისა: ამათში ზოგიერთი უჩვენებს მოვლენათა და მნა-
თობთა ბუნებისათა ფრინველთა და მხეცთა სახით. ორბი
მოჟდა ორასი, ფრთა გაშალა სავსი, ნისკარტი ჰკრა ოთხასი,
კლდე გააპო ხუთასი (=მზე). ერთს ქვეყანას ორთა ძმათა, ორთავ
ერთი ფერი აქვთო, ერთი მუდამ სიურმეზედ დგას, ერთს სიბერე
ახლო აქვსო, ერთს ჯარი ჰყავს უთვალავი, ერთს კი მარტო ტახტი
აქვსო (=მზე და მთვარე). ეს რა არის, მასრა არის, მასრას
უკან კასრა არის, კასრას უკან კალოა, კალო მოტედილია, კვიცი
კაკრეჭილია (=ცა და ვარსკვლავები). აბლი-ბაბლი, გერცხლის

ტახტი, მზით ავიდე, მთვარით დავდგი (=ყინული). ერთი რამა სურიელი, უჩინარი და ხმინი, ზღვასა და ხმელეთს დაივლის, შინ მოიტანა გრიალი (=ქარი). მოვიდა თეთრი მოზვეკერი, გააგდა შავი მოზვეკერი (=დღე და ღამე). სამღვთო წერილის გავლენით ხალხმა შექმნა რამდენიმე გამოცანა: მე მშვა მამამ ჩემმა, მე ვშვა ასული ჩემი, ასულმა ჩემმა შვა მამა ჩემი (=იესო). ერთხელ შობილი, ორჯელ მკვდარი (=ლაზარე). გამოცანის ახსნა ქართულს ზღაპრებში ნიშანია როგორც სიბრძნისა, აგრეთვე სიმართლისაც. გამოცანა ღვთის სამსჯავროა: ის, ვისაც სიკვდილიდ დასჯა მიუსაჯეს, განთავისუფლებული იქნება ამგვარი დასჯისაგან, თუ ახსნა გამოცანა. „ქალ-ვაჟიანში“ რამდენიმე გამოცანაა მოყვანილი, როგორც შემდეგ ვნახავთ. ერთს ზღაპარში მეფე უპირებს დასჯას კათოლიკოზს, თუ იგი ვერ ახსნის სამს გამოცანას: რა ღირს თვითონ მეფე, რამდენი ვარსკვლავია ცაზედ და რას ფიქრობს ამ წამს მეფე. მზარეულმა დაიხსნა კათოლიკოზი. ის სამღვდლო ტანისამოსით მოვიდა მეფესთან და აუხსნა: მეფე ღირს 15 ვერცხლი, რადგან მაცხოვარი 30 ვერცხლად და იოსები 17 ვერცხლად გაყიდეს,—მეფე კი ორივეზედ ნაკლებს ფასობს; ცაში 10 მილიონი ვარსკვლავია, თუ არა სჯერა მეფეს, დაათვლევინოს; მეფე ფიქრობს, რომ მის წინაშე კათოლიკოზია იმ ღროს, როდესაც მის მაგივრად მზარეულია და მოიხსნა კათოლიკოზისებური წვერ-ულვაში. მეფემ დაასაჩუქრა კათოლიკოზიც და მზარეულიც.

შ ე ლ ო ც ვ ა ნ ი.

შელოცვანი ძველი წარმართული ლოცვაა, რომლითაც მიმართავდნენ ღმერთებს მათი წყალობის გამოსათხოვრად ან მათი ბოროტი მოქმედების მოსაგერებლად. შელოცვანი აქამდის დარჩენილია ჩვენში. ამით ცდილობენ მოარჩინონ სხვა-და-სხვა ავადმყოფობა, სულიერი და ხორციელიც. შელოცვის მთქმელი მიმართავს-რა ბუნების ძალთა, ანგელოზთა და წმიდათა,

მოიწვევს მათ კეთილ გავლენას და შეაყენებს აეს ძალას. შელოცვას ხმარობენ სხვა-და-სხვა მიზნით. იმ დროს, როცა ხალხი ნადირობით და მწყემსობით ცხოვრობდა, მაშინ შელოცვით სწავლობდათ მხეტია შეპყრობა. სვანებს აქამდის სწამთ, რომ არსებობს ღმერთი ნადირობისა (დალ), რომლის ნებადაურთველად მონადირე ვერ გაიმარჯვებს. ფშავეთში მხეტია მფარველი პატარა ქალად ჰყავთ წარმოდგენილი. ამ მხეტია მფარველს მიჰმართავენ ლოცვით მონადირე, რათა შეეწიოს განზრახვაში. შემდეგ, როცა მიწის შემუშავებითი ხანა დადგა, ერისთვის მზე და წვიმა გახდა სათაყვანებელი და მათი კეთილი ძალის მოსაწვევად საჭირო გახდა შელოცვა. შელოცვები უძველეს კარაბადინებში უკვე შეტანილნი არიან: შელოცვა და წამალი ერთად არიან მოხსენებულნი. შელოცვანი წარმოდგენენ შერეულს რწმენას: წარმართულს და ქრისტიანობრივს: ერთნაირად მიჰმართავენ ერთს და იმავე შელოცვაში იესო ქრისტეს, ღვთისმშობელს, წმ. გიორგის და რაღაც უცნაურს სახელებს, რომელთა მნიშვნელობა ჩვენთვის ხშირად გაუგებარია. შელოცვას წარმოსთქვამენ ტუჩების წყნარი მოძრაობით, ჩუმი ხმით; ნახშირი და შავტარიანი დანა საჭირო სამკაულია, რომ შელოცვამ გასკრას.

ლოცვა, რომლითაც გამოიწვევენ გვალვის დროს ცის ნამს, აქამდის წარმოითქმის ფეხშიშველი დედაკაცების პირით: ჯაზარ მოდგა კარსა, ახრიალებს თვალსა, მიდგა-მოდგა თაროსა, დაემგზავსა მთვარესა... ღმერთო, მოგვეც ტაფასი, ადარ გვიანდა გორასი. დედაკაცებს და ლაზარეს თოჯას მალლიდგან მსმენელები წყალს გადმოასხამენ. „უქმურის ლოცვა“ გურიაში შემდეგია: „შენ ივანე ანგელოზო, მომაკალო ღამით და მფარველო სულისო, ჯვარსა ვიწერდი ცხრითა ჯვართა, ცხრითა ანგელოზებითა, სოლომონის ბეჭდითა, ოთხი სხარებითა. წმიდაო გიორგი, შენ მათხოვე შენი და შენი სარტყელი, არსა და ხმალი, ოქროს ჯაჭვი, ზღვაში ვეშაპის გამხეთქელო, გველეშაპის გამტკველელო, შენ ღაიცევი, ღაიფარე, სამას-სამოც-და-სამო წმინდაო გიორგი, თვალ-

უჩინარი უქმურისაგან“. საყურადღებოა აქ მოხსენება სოლო-
მონის ბექლისა და შნშ წმ. გიორგისა. თვალის კვრას (გათვალვას)
აქვს შესათფერი შელოცვა: „შეგილოცავ თვალ-ურისსას, ავი
თვალისსას, ავი ყურისსას, შინაურისსას, გარეულისსას, ქალისსას,
კაცისსას, დიდისსას, ჰატარისსას, თეთრ-ფეროვანისსას, შავ-ფეროვა-
ნისსას, ყოველი სული დაბადებულისსას, მე მლოცველი ვარ, ქრისტე
მკურნალო, ღმერთო, აგრე; ლოცვა ჩემი, ბრძანება შენი“. ამ
ლოცვას სამი კიდევ ამოდენი ნაწილი აქვს. კბილის ამოძრობის
შემდეგ ბავშვები იტყვიან: აჰა, მზეო, ოქროს კბილი, მომე ჩემი
ვერცხლის კბილი. ბავშვის დაბანვის დროს დამბანი სამჯერ
გაიმეორებს: დათვი მჭლე და შენ მსუქანი. ზურგის გასამაგრებ-
ლად პირველს ქუხილზე ქვას დაიკრავენ ზურგზედ და იტყვიან:
ზურგი მაგარ, ყანა მაძარ. კუდიანების წინააღმდეგ: არი ურული
კუდიანებსა. ალი მტერია მშობიარე დედაკაცისა. ამიტომ იმის
წინააღმდეგ არსებობს შელოცვა, რომელსაც შეავსებს ხანჯლის,
ბადის და სავარცხლის დახმარება. აღნი სჰმი დანი იყვნენ:
აროზ-მაროზ, ემიროზ-ედვაროზ, ევმაროზ-ანტიოხოს. ეს შე-
ლოცვა წააგავს რუსულს და სხვათა ხალხთა შელოცვას და
შესაძლებელია, რომ იგი ბერძენთა შუამდგომლობით გავრცელ-
და საქართველოში. თვით ბერძენებმა კი შეითვისეს ასურელთა
სარწმუნოებრივთ წარმოდგენათაგან. ქართველებს ბევრნაირი
შელოცვა გვაქვს: ძირდიდასი, შაკიკისა, ქავილისა და სხვა.
ზოგს შელოცვას ჩვენთვის აზრი დაჰკარგვია და ხალხი წარ-
მოსთქვამს გაუგებრად, მაგალითად, მგლის წინააღმდეგ შე-
ლოცვა: კეკნია, ბეკენია, ბეკენს ხატი ასვენია.

ძველი სასულიერო მწერლობა და ქრისტიანობის ბავლენით შემქმნილი ხალხის ნაწარმოები.

საქართველოს მიერ ქრისტიანობის მიღება მეოთხე საუ-
კუნეში გახდა სათავედ ქართველთა ერის განათლებისა. ქრისტი-
ანობის წყალობით საქართველომ მოსპო კავშირი აღმოსავ-

ლეთთან და დაუახლოვდა ბიზანტიას, მცველს ძველთ ბერძენთა და რომაელთა განათლებისას. რადგან ქრისტიანობა ჩვენში ბიზანტიის იმპერიიდან გავრცელდა, ჩვენი ეკლესიაც ბერძენთა გავლენას შეეფარა. პირველნი ეპისკოპოსნი და მღვდელნი ბერძენთაგანნი იყვნენ. მღვდელ მთავრებთან ერთად საბერძენთიდგან მოვიდნენ სამღვდლო პირნი, რომელთაც მოიტანეს სამღვთო წიგნები. თვით ქართველნიც მიდიოდნენ საბერძენთში, პალესტინაში და ათონის მთაზედ სალოცავად და წიგნების გადმოსაწერად. ამ ორმა გარემოებამ და მასთანვე პოლიტიკურმა და აღებ-მიცემობითმა მისვლა-მოსვლამ განამტკიცა ბიზანტიის გავლენა საქართველოს მწერლობაზედ. ბიზანტიიდან გავრცელდა ჩვენში არა მხოლოდ სამღვთო-წერილი, არამედ სასულიერო ლექსები, ლეგენდები და აპოკრიფებიც. ბიზანტიამ თვისი ბეჭედი დაასვა საქართველოს განათლების მიმდინარეობას. მეტადრე მას შემდეგ, რაც დაარსდა ქართველთა ივერიის მონასტერი ათონის მთაზედ, საქართველო ხარბად დაეწაფა ღვთის-მეტყველებითს და რიტორებითს ბერძნულს ნაწერებს და დაულაღვად სთარგმნა ქართულად.

ვიდრე წიგნის ბეჭვდა შემოვიდოდა, წერითი სიტყვიერება ვრცელდებოდა დედნიდგან გადმოღებული პირით. გადაწერა ღვთის სათნო საქმედ იყო მიჩნეული. სულის საცხონებლად გადაწერა და ეკლესიისთვის შეწირვა ჩვეულებრივი წამაქეზებელი მიზეზი იყო კეთილმორწმუნე ქრისტიანისთვის. ღვაწლი წიგნის გადაწერისათვის მიღებული მით უმეტესად ფასობდა, რამდენადაც დიდი შრომა იყო გაწეული ლამაზად გადაწერისათვის ასომთავრული ასოებით. გადამწერი მკითხველისაგან მოწიწებით და მდაბლად ითხოვდა იმის სულის მოხსენებას. „უფალნო ჩემნო, ვინც მიემთხვივნეთ წმინდასა ამას სახარებასა, შენდობა ჰყავთ ჩემ ცოდვილისა ხარტონისთვის, რათა ნაცვალაგოს მეუფემან ყოველთამან“, — გკითხულობთ გელათის სახარების მინაწერში. წყევლა-კრულვას უგზავნის გადამწერი იმას, ვინც ამოშლის მის სახელს და მოუსპობს

ის არის, რომ კვირიაკე (=კვირა) იუქმოს ხალხმა, წინააღმდეგ შემთხვევაში იესო ქრისტე რისხვით მოაჟღინებს ცეცხლს, სეტყვას, გვალვას და განადგურებს კაცის ნაშრომს და ნაღვაწს. კვირიაკის უქმობის შესახებ ორი ტიპის აპოკრითია: ერთში მოხსენებულია იერუსალიმის ჰატრიარქი და მეორეში რომის პაპი. ჩვენი აპოკრითი მეორე ტიპისაა.

მე-XVII სუკ. ხელნაწერში მოყვანილია „გოდება დიდს ხუთ-შაფათს წმ. ღვთის-მშობლისა“. აპოკრითულია აგრეთვე „მიძინება უფლად წმინდისა ღვთის-მშობლისა, თქმული წმ. მამისა ჩვენისა ბასილი კესარიელისა“; აგრეთვე მოთხრობა „ალექსი კაცისა ღვთისა“. მოვიყვანთ ერთს აპოკრითს კიდევ ახალის აღთქმის შესავსებლად გამოკონიღს. ეს არის „ეპისტოლე ავგაროს მეფისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესაზედა წარწერილი“. შინაარსი მოკლედ გავიცნოთ: „ავგაროზი შავი იყო (სირიულად უკამა ნიშნამს შავს). მეურნაღსა სახიერსა, გამოჩინებულსა ქვეყანასა ზედა იერუსალიმისასა გახარებ! მესმა შენთვის და კურნებათა შენთათვის, რამეთუ არა არიან წამაღთა მიერ, არამედ სიტყვითა შენითა ბრმათა აღუხილავ, შეკლობელთა ავღინებ, კეთროვანთა განსწმედ, ყრუთა ასმენ, სულებთა და ეშმაკთა განასხმამ და მკვდართა აღდგინებ. ამისათვის დავიდეუ განზრახვასა, ვითარმედ ანუ დემონთა ხარ შენ, გარდმოსრულ ზეცით და იქმ ამათ, ანუ ვითარმედ ძე ხარ ღვთისა. მოწერე შენდა, რათა მოხვიდე ჩემდა მიმართ და თაყვანი ვსცე სიწმინდესა შენსა და განკურნო ტკივილიცა, რომელ მაქვს. მესმა, რამეთუ ურანი დრტვიზენ შენთვის და გლეჯიან და ჰსურთ შეურაცხება შენი. ხოლო მე მაქვს ქალაქი მცირე და კეთილი და ორთათვისვე კმარს დამკვიდრებად მას შინა და მშვიდობა შენდა“.

პასუხად ავგაროსმა უფლისკან მიიღო შემდეგი ეპისტოლე: „ნეტარ ხარ შენ, ავგაროს, რამეთუ თვინიერ ხილვისა გრწმენა ჩემდა მომართ... მოწერე ჩემდა, რათა მოვიდე შენდა მიმართ. მე ოდეს აღვიდე, მოგივლინო შენ ერთი მოწათეთა ჩემთაგან და ტკივილი ეგე, რომელ მაქვს, მან განკურნოს. ქვეყანა შენი იყავნ კურთხეულ და მტერი არა ეუფლას მას უკუნისამდე. ხოლო ეპისტოლე

ესე ჩემი, სადაც იპოვოს: გინა სამთავროს შინა, გინა ზღუას შინა, გინა თუ ვისმე ახურვებდეს, ანუ აძრწოლებდეს, ანუ თუ ხურვებისა- გან შეკრულიყოს, ანუ სხვათა რაისაგანმე სნეულებისა, ყოველივე დაიხსნას... ყოველივე ესე ხელითა ჩემითა დაწერილ არს და დავებულე შვიდითა ბეჭდითა“.

„მიიწია რა ეპისტოლე უფლისა ავგაროსის მიმართ მთავრისა და ესმა, ვითარმედ ურიანი ეძიებენ მოკვლად მისსა, წარაუღინა ავგაროს მხატვარი და მალემსრობლი ბჭეთა იერუსალიმისათა. შეემთხვია მათ იესო და ჰრქვა: კაცხო, მხატვარნი ხართ თქვენ? მიუგეს მათ და ჰრქვეს: ჩვენ მოუღინებული ვართ ავგაროს მთავრისა მიერ ხილვად ხატისა მისისა. ხოლო იესო სდგა შორის ერისა მრავლისა და ასწავებდა. ხოლო მხატვარი იგი დგა და ვერ ეძლო გამოსახვა ხატისა მისსა. მაშინ მოუგასმან მისმან ჰრქვა მას: მიეც ტილოი ეგე ხელთა მისთა. მივიდა კაცი იგი, შეუერთა ფერხთა და ყოველივე გამოუცხადა. ხოლო უფალმან მიიღო ტილოი, დაიდვა პირსა ზედა და შეუვსეულად გამოისახა ხატი მისი მსზედა. განკვირდეს ერი. ტილო იგი მისცა უფალმან თადეოს მოციქულსა და უბრძანა შემდგომად ამალეებისა მისისა წარსულად ედესია ქალაქად განკურნებად სენისა. წარვიდა თადეოს სიტყვისაებრ უფალისა. მიიწევნეს რა ქალაქსა იერაზოლს, დადგეს გარეშე ქალაქსა სავანესა შეკეცისასა. დადგეს ტილო იგი შორის ორთა კეცთასა, რამეთუ ემინოდა. და ვითარცა დაიძინეს, გამოჩნდა სვეტი ცეცხლისა ზეცით და დადგა ადგილსა მას ზედა, სადა იყო ხატი უფლისა. იხილეს სასწაული ესე მცველთა მის ქალაქისათა და აუწიეს მთავარსა. გამოვიდა მთავარი ერთთურთ და ჰპოვნეს ხატი უფლისა ორთა კეცთასა. ხოლო მალე მსრობლთა და მხატვარმან მიუთხრნეს, ვითარმედ ავგაროსისა არიან. მთავარმან აღიღო კეცი და მისცა ტილო მოციქულსა. მიივღინა თადეოს ქალაქსა ავგაროსისასა. ჰპოვა ვინმე ქვემდებარე, რომელი ითხოვდა ჰურსა. დასდვა ხელი მას ზედა და შეუვსეულად ხლდომით ვიდოდა და მივიდა დედისა თვისისა. იხილეს იგი და უკვირდათ. მიიწია სიტყვა ესე ავგაროსისასა. მან მოუწოდა ერმასა მას და ჰკითხა: ვინ განგკურნა შენ? მან ჰრქვა: კაცმან ვინმე მპოვა

გარეშე ქალაქისა, შემახო და განვიკურნე. ჰკონებდა ავგაროს, ვითარ-
მედ უფალი არს. წარავლინა და ჰპოვა თადეოს. მორავიდეც, შეიწყ-
ნარა იგი სიხარულითა. ავგაროს იყო ცხელარისა ზედა ექვს წელს.
მაშინ მიიღო ტილო იგი, რომელსა ზედა გამოსახული იყო ხატი
უფლისა და ამბორს უყო მას და შეეგსეულად მასვე ჟამს აღდგა და
ვიდოდა უვნებელი სრულიად. და ჰკრქვა თადეოზ მოციქულსა: რაი
ჟერ არს უოფად ჩემდა? მიუგო მან და ჰკრქვა მას: ჟერ არს ჰირვე-
ლად, რათა ნათელ-იდო. მან სიხარულით შეიწყნარა. შთაიყვანა იგი
წყაროდ, რომელსა ეწოდების ვერასაი და ნათელ სცა მოციქულმან
თადეოს ავგაროსს და ცოლსა მისსა და შევილთა. იხაროდენ უოველნი
და განიწმინდეს უოვლისგან სენისა“.

ავგაროსის მიწერა იესო ქრისტესთან და ჰასუხი უფლისა
გაგრძელებული აპოკრიფითა. იგი შესდგება ორი ნაწილისაგან: ჰირვე-
ლი მიწერ-მოწერა ავგაროსისა და მაცხოვრისა და მეორე—ხელთ-
უქმნელი ხატის წარმოშობა. ავგაროსი ისტორიული ჰირია. იგი
იყო მეთხუთმეტე მეფე ედესსაში. ცხოვრობდა ჰირველს საუკუნეში.
უძველეს დროშივე ეპგვი შეიტანეს ამ მიწერ-მოწერის სინამდვილის
შესახებ. ეს აპოკრიფი აქვს მოყვანილი მთხე ქორანცის და ცნობი-
ლია აგრეთვე არაბთა შორისაც. ბერძნულ-სლავიანური ტექსტი
გამოცემულია. ლეგენდა ჰირველად სირიულს ენაზედ შესდგა. ბერ-
ძნული და სომხური განცალკევებულს ვერსიას წარმოადგენენ. ქარ-
თული აპოკრიფი ბერძნული წყაროდგან მომდინარეობს. ახალი
აღთქმის აპოკრიფებს ვერ გავათავებთ, რომ ერთი შესანიშნი ნაშთი
არ მოვიხსენიოთ. ეს არის „ვენებისათვის და სიკვდილისა მაც-
ხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი“. ეს შეადგენს ესრედ წოდ-
ებულს ნიკოდიმის სახარების ნაწივეტს, როგორც „სიერმე უფლისა“
წოდებულთა თომას სახარებად და შობა წმ. მარიამისა ცნობილია
იაკობის სახარებად *).

„რამეთუ გცან უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი წიგნთაგან

*) ნახე ჩემ მიერ დაბეჭდილი ქართულად „მოგზაური“. 1903 წ.
№ V—VI.

საღთოთა *) და სარწმუნოებით გულის მოდგინედ ვისწრაფენ და ადვილად მოსახსენებელნი, რაი იგი თქვეს ჰურიათა ღვთისათვის პონტოელის პილატესზე — მსაჯულისა, რომელი იგი ადვილად წიგნითა ებრაულითა, ხოლო მე გარდმოვწერე წიგნითა ბერძნულითა“. ამ დასაწყისის შემდეგ ადვილად; როგორ „მოვიდნენ ანაი და კაიათა, გამაღიელ, იუდა და სხვ. პილატესსა და შესმენდეს იესოს და იტყოდეს: ესე ჩვენ ვიციით იოსების ხუროს ძეა და მარიაშისგან შობილ და იტყვის თავს თავისსა ძედ ღვთისა და შეუედ, შათათსა შეაკინებს და სჯულისა ჩვენისა ჰქნებას დარღვევა. შათათსა არა ჯერ არს კურნებაი. ხოლო ესე მკელობელთა და ბრმათა, კეთროვანთა და განრღვეულთა განკურნებს დღესა შათათს. გვედრებით, რათა წარმოადგინო იგი და ისმინო მისი. პილატემ გაგზავნა კაცი (ჰასენაკი), რათა მოიყვანოს იესო. ვითარ მივიდა ჰასენაკი, იცნო იგი და თაყვანი სცა მას, მოიღო ოლარი, რომელ აქვნდა ხელთა მისთა და დაუფინა ქვეყანასა (მიწაზედ) და მოუწოდა პილატესთან. ხოლო ურიათა დადად ჰუვეს პილატეს მიმართ: რად არა სეფე კაცთა (უფროსთა) ბრძანე შემოიყვანება მისი, არამედ ჰასენაკისაგან? მან თაყვანი სცა და დაუფინა ოლარი. პილატემ ჰკითხა ჰასენაკს: რაი უაჲ ესე? მიუგო ჰასენაკმან: ოდეს მიმავდინე მე იერუსალიმს, უბანთა ზედა ვიხილე ეგე მჯდომარე ვირსა ზედა და ურმანი ებრაელნი დადადებდეს და რტობი ზეთის ხილთა აქვნდა ხელთა მათთა. რომელნიმე დაუფინდეს სამოსელსა და იტყოდეს: გვაცხოვნენ ჩვენ, რომელი ხარ მადალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა. — რაი იცი შენ ებრაელებრი? იტყოდეს ებრაელნი. ჰრქვა მათ ჰასენაკმან: ვკითხე ვისმე მათგან, რაი არს, რასა ხმობენ ურმანი ებრაელნი და მან მითხრა: ოსანნაი — ესრე არს: გვაცხოვნენ ჩვენ. ურიათაც უმღწმეს პილატეს წინაშე, რომ „ოსანნა“ გამოითარგმნების „გვაცხოვნენ ჩვენ“. მაშ რას ემდურით ჰასენაკსო, ჰკითხა პილატემ ურიათა, ხოლო იგინი დუმეს. ჰასენაკი გავიდა ბრძანებისა-

*) მართლ-წერას არ ვიცავთ და აწინდელს ორთოგრაფიას მივღევთ.

შებნა ზილატისა და ჰრქვა იესოს: უფალო, შემოვედ, რამეთუ გზადის მსახურელი! შემოვიდა იესო. მუნ ეპურნეს დრაუჯნი ზილატისნი და მოდრიკნეს ძელნი იგი დრაუჯთანი და თაყვანის სცეს იესოს. ურიათა ჰკითხეს მათ, რომელთა ეპურათ დრაუჯნი: რასათვის მოდრკენით ძელნი იგი დრაუჯთანი? რასა ჰქავთ ესე?— ჰრქვა მათ ზილატემ. ხოლო მათ მიუგეს: ჩვენ კაცნი წარმართნი ვართ და ვითა თაყვანის ვცეთ მას?! ძელნი იგი დრაუჯთანი თავით თვისით მოსდრკეს და თაყვანის სცეს მას. ზილატემ ჰრქვა მთავართა კრებულისათა: გამთარხიებით თქვენთაგანი კაცნი მხნენი და ძლიერნი და იპურენით დრაუჯნი იგი. უკეთუ მოდრკენ თავით თვისით და თაყვანის სცენ მას? გამთარხიეს ძლიერნი კაცნი. კვალად შემოიყვანეს იესო და მეუფსეულად მოდრკეს დრაუჯნი და თაყვანის სცეს მას. შეეშინდა ზილატის. ხოლო ცოლმან მისმან მიაფლინა მისსა და ჰრქვა: რაი ძეს შენი და კაცისა მაგისა მართლისა? ფრად შევბო მაგისთვის ამასა ღამესა. ჰრქვა ურიათა და ლევიტელთა ზილატემ: თქვენ უწყით, რამეთუ ცოლი ჩემი ღვთის მსახური არს და ესერა მომიფლინა, მრქვა მე. მიუგეს ურიათა: მაცდური არს ეგე, სიზმარიცა მაჩვენებელი მიაფლინა ცოლსა შენსა. რასა იტყვი შენ? ჰრქვა იესოს. მან მიუგო: უკეთუ მტა არა აქვს ხელმწიფება, არამცა იტყოდეს; აწ კაცად-კაცადსა აქვს ხელმწიფება სიტყვად კეთილისა და ბოროტისა.

„მიუგეს მღვდელ-მთავართა: პირველად სიძვით შობილხარ, მეორედ შობასა შენსა ბეთლემს ურმათა სრვაცა იქმნა, რამეთუ მამა-შენი იოსებ და დედა-შენი მარია, ეგვიპტელ ივლტოდეს. ხოლო მუნ მდგომარენი კაცნი ღვთის მოყვარენი იტყოდენ: ჩვენ არა ვიტყვიით მაგას ბოროტ-მეოფელად, არამედ კეთილის მოქმედად. ანამ და კაიათამ მიუგეს, რომ აქებენ იესოს მისი მოწათენი ღაზარ, იაკობ და სხვანი. ათორმეტთა მათ კაცთა ჰრქვეს: ესე არს ცხოვრება სოფლისა, არა ბოროტის მოქმედი არს. ხოლო კრებული ვლადდებთ,— მიუგეს მას ურიათა,— ეგე წინა აღმდგომი არს კეისრისა და იტყვის თავსა თვისსა. ძელ ღვთისად და მეფედ. ჰრქვა ზილატე კერძოდ ათორმეტთა: რისა სჯიმისათვის უნებს მოკვლია იესოსი?—

შური აქვს, რამეთუ შათათს ჰკურნებს. ჰრქვა ჰილატე: კეთილისა საქმისათვის ჰნებაჲს მოკვლა მისი!

„აღივსო გულის-წყრომითა ჰილატე და ჰრქვა: მოწამე არს ჩემდა მზე, რამეთუ არცა ერთსა ბრადსა ვპოებ კაცისა ამისათანა... მიუვანეთ და სჯულითა თქვენითა განიკითხეთ. მიუგეს ურიათა: ჩვენნი არა არს მოკვლა არავისი. შევიდა ჰილატე ტაძრად და ჰრქვა იესოს: შენ ხარაი მეფე ურიათა? მიუგო იესო: შენ თავით თვისით იტყუი მაგას, ანუ სხვათა გითხრეს?... მეუფება ჩემი არა ამის სოფლისაგანი იუოს... ამისათვის მოვედ სოფლად, რათა უოველმა ისმინოს ჭეშმარიტება ხმისა ჩემისა. გამოვიდა ჰილატე გარედ და ჰრქვა ურიათა: მე არცა ერთსა ბრადსა ვპოებ ამისათანა. მიუგეს ურიათა: მაგან თქვა—შემსლებულ ვარ მე ტაძრისა (სოლომონისა) დარღვევად და შესაშესა დღეს აღშენებად. ჰრქვა ჰილატე: უბრადო ვარ მე სისხლისა ამისაგან უბრადოსა. ჰრქვეს ურიათა: სისხლი მაგისა ჩვენ ზედა და შვილთა ჩვენთა ზედა. ასმინდა ჰილატე მღვდელსა, ნუ იქმ ეგრე. მათ მიუგეს: უკეთუ ვინმე კეისარი აგინოს, თანამდებ არს სიკვდილისა... ჰრქვა ჰილატე იესოს: რაი გიუო შენ? მიუგო იესო: ესრეთ მოცემულ არს შენდა. მოსე და უოველნი წინასწარმეტყველნი წინათვე ქადაგებდეს სიკვდილისა და აღდგომისა ჩემისათვის... ჰრქვა ჰილატე ურიათა: ვითარ გნებაჲს, ეგრეტა ვავთ. მიუგეს მათ: ჯვარ ეცვას ეკე. იხილა ჰილატე, რამეთუ მრავალნი ცრემლეოდეს იესოსთვის და ჰრქვა: არა უოველთა უნებს სიკვდილი მისი. წამოდგა ნიკოდიმოს და ითხოვა სიტყვის თქმა. „მე ვარქუ ამა შესაგრებელსა: რასა ეძიებ კაცისა მისათანა. კაცმან ამას სასწაულნი ქმნა მიუწადომელნი, ნუ ზრახავთ მაგისთვის ბოროტსა. უკეთუ ჯვარივ არაან სასწაულნი ეკე მისნი, დაემტკიცოს, და უკეთუ საცდურ არაან, დახსნიდენ. ჰრქვეს ურიათა ნიკოდიმოსს: შენ მოწაფე იყავ მისი. მიუგო ნიკოდიმოს: ნუ უკვე მსაჯულიცა მოწაფე იუო მისი? ჩამოდგა განკურნებულნი იესოს მიერ მდებარე მამ წელი ცხედარსა ზედა, აგრეთვე ბრმა, მკვლობელი, დედაკაცი, შეწყალბულნი მისგან. ჰრქვა ჰილატე სიმრავლესა შეკრებილსა: ჩვეულება არს დღესასწაულსა ზატოკობისა ერთი ჰერობილთაგანი განტეგებად. ვისი

გნებას მგომადლო კაცის მკვლეელი ბარაბა ანუ იესო? მათ ჰქრქვეს: ბარაბა, ხოლო იესო ჯვარს აცუ. უკეთუ ეგა განუტეგო, არა ხარ მოუფარე კეისრისა. განრისხნა ჰილატე და ჰქრქვა მათ: გვარი თქვენი მარადის გაშოთებულ არს. ღმერთმან თქვენმან მოსუბისკან ეგვი-ტით გამოგიუვანათ, მანანი და მწეერი უდაბნოთა მოცა საჭმელად და კლდისკან წყალ გაღმოგიდინა, სჯული მოცათ და ამას უოველ-სა ზედა განარისხეთ ღმერთი თქვენი და ქმენით ხბო და აწ ძვირსა იტყვიით ჩემთვის, ვითარმედ მეფე მძულდეს მე.

„დალაღებდეს ურიანი: ჩვენ მეფედ არვინ ვიცით გარნა კეისარი და იესოს მოგვთაც ძღვენი მოართვეს, ვითარცა მეფეს. ესმა რა მოგვთაკან ჰქროდეს, ვითარმედ მეფე იშვა და უნდა მოკვლა მისი. ცნა იოსებ მამამან მისმან და წარიუვანა იგი ეგვიპტედ, ხოლო ჰქროდე მოსრა ერმანი ებრაელთა, რომელნი შობილ იუვნენ ბეთ-ლემს. ჰილატემ მოითხოვა წყალი და დაიბანა ხელნი და ჰქრქვა: უბრალო ვარ მე სისხლისა ამის მართლისა. ურიანი ეტყოდეს: სის-ხლი მაგისი ჩვენზედა და შვილთა ჩვენთა ზედა იუაუნ“.

განჩინება ჰილატესი სიკვდილიისა თვის იესოსი. „ნათესავ-თა შენთა თქვეს შენი მეუფეაი. ამისათვისცა განჩინა შენი სიკვდი-ლი. დამოკიდება მისი ბძანა მტილსა და მისთანა ორთა ავაზაკთა. ოდეს გამოვიდა იგი, განძარცვეს სამოსელი, შემოსეს ძოწეული და გვირგვინი ეკლისა დაადკეს თავსა და ორნი ავაზაკნი დამოჰკიდნეს. ხოლო იესო იტყოდა: მამო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან; და განიყოფდეს სამოსელსა მისსა. მღვდელთ-მოძღვარნი იტყოდეს: სხვანი აცხოვნა, ეცხოვნივე თავიცა თავისი, უკეთუ ძე ღვთისა არს. ჰილატე უბრძანა ფიცარსა რვალისასა დაწერად ბრალი მისი წიგნითა ბერძნულითა და ებრაელებრივითა, ვითარმედ მეფე არს ურიათა. ერთმან ავაზაკმან, რომელი დამოკიდებულ იყო მისთანა (გესპარა), ჰქრქვა: უკეთუ ხარ ქრისტი, აცხოვნი თავი შენი და ჩვე-ნიცა. მიუგო მეორე (დომასქი): არ გეშინის შენ ღვთისა, რამეთუ მასვე სასჯელსა შინა ხარ. ჩვენ სამართლად მოგვეკაბის, რაცა ვქმე-ნით, ხოლო ამან რაი ჰქმნა უჯერო?... მომიხსენე, უთალო, ოდეს მოხვიდე სუფევეითა შენითა. ჰქრქვა მას იესო: მართლად გეტყვი:

დღეს ჩემთანა იყო სამოთხესა. ხოლო ჟამი იყო მეექვსე და დაბნეულა მეცხრე ჟამამდე და მზე მოაკლდა. განიპო კრეტისამებელი ტაძრისა მის შუა და ხმა ჰყო იესო ხმითა დიდითა: „ობია დაქემიფორლო“, რომელი გამოითარგმნების: მამაო, ხელთა შენთა შეგვედრებ სუფსა ჩემსა, და ესა ვითარცა თქვა, აღმოუტევა სული. ესე იხილა ასის-თავმან, აღიღებდა ღმერთსა და იტყოდა: ჭეშმარიტად კაცი ესე მართალი იყო. ასის-თავი მოვიდა და უთხრა მსაჯულსა. შეწუხდა ჰილარტე და ცოლი მისი. არა ჭამეს და არა სვეს მას დღესა. მოუწოდა ჰილარტე ურიათა და ჰრქვა: იხილეთ, რა ესე იქმნა? მოკლება მზისა! მოვიდა კაცი ერთი—იოსებ, სახიერი და მართალი... და ევედრებოდა ჰილარტესა, მოსთხოვნა ხორცნი იესოსნი და გარდამოიხვნა, წაგრანა და დახსნა საფლავისა გამოკვეთილსა, რომელსა არავინ დადებულ იყო. ხოლო ეძიებდეს ურიანი იოსებს და ნიკოდიმოსს... ეჩვენა მათ ნიკოდიმოს და ჰრქვეს მას, ვითარ მოხვედ შესაკრებელსა? აგრეთვე წარმოდგა იოსებ და ჰრქვა: არა კეთილი საქმე ჰქმენით მართლისა მისთანა... შეიპურეს იოსები და ბრძანეს მისი დაკრძალვა ვიდრე შაფათამდე, ჟამი არა არს განკითხვისა, რამეთუ შაფათი განთენდების... უქალოდეს მიცემად ხორცისა მისსა საჭმელად ფრინველთა. მიუგო იოსებ: ესე სიტუვა ამჟამტაჲნისა გოლიათისა არს... და აწ შეშინის ნუ უკვე მოიწიოს რისხვანი თქვენს-ზედა, ვითარცა სთქვით თქვენ: სისხლი მაგისი ჩვენს-ზედა და შევილთა ჩვენთა. განმწარდნეს ურიანი და შეიუფანეს იოსებ საპურობილესა ბნელსა და კარნი დაბეჭდნეს. ზრანვა ჰქვეს, რომელითა სიკვდილითა მოჰკლან იოსებ. დასხდა კრებული. ბრძანეს მიუფანება მისი. განაღეს კარი, შინა არავინ ჰპოვეს. განკვირდეს, რამეთუ ბეჭედი ეგო და კლიტენი აქვდეს კაიაფას. მიერიტვან აღარა იკადრეს ხელის მიუოთჲად სხვათა, რომელნი იტყოდეს წინაშე ჰილარტესა იესოსთვის. ვიდრე იგინი სხდეს შესაკრებელსა... მოვიდეს დასისკანნი იგიცა, რომელი გამოეთხოვნენ ჰურიათა ჰილარტესკან დაცვად საფლავისა იესოსი, რამეთუ არა მოვიდენ მოწაფენი მისნი და წარიპარონ იგი. უთხრობდეს მთავართა და ლევიტელთა, ვითარმედ ძრვა იყო... ანკელონი გარდა-მობდა, გარდაგორა ღოღი კარისა საფლავისა და დაჰდა მასზედა.

სახსარს სულის მოსახსენებლად. გადამწერი უმეტეს-ნაკლებოდ ცდილობს გადმოიღოს დედნიდგან პირი და თუ შეცდომა შეეპარა უნებლიედ, შენდობას თხოულობს.— „უცებად წერი-სათვის ნუ მწყევთ“, ამბობს „უღირსი“ მწერალი გელათის სახარებისა. რადგან მეტად საშიში საქმე იყო, არ გარყვნი-ლიყო გადამწერთაგან სამღვთო წერილი, ხელნაწერში ხშირად ვკითხულობთ გაფთხილებას—არა შესცვალონ-რა და ისე გა-დიღონ პირი, როგორც დედანშია: თუ ვინმე საექვოდ სა-ცილოს სიტყვას მიემთხვიოს, სწრაფლ ნუ შესცვლით... უკეთუ სიტყვის შეცვალება ინებოთ, თქვენცა ორთა და სამთა შეა-მოწმეთ კეთილთა და მართალთა“.

თუმცა გადამწერი ცდილობდა შეცდომით არ გაერყვნა რომელიმე სიტყვა და ამით სული არ წაეწყმიდნა, მაინც უნებლიედ შეეპარებოდა აქა-იქა უსწორ-მასწორი ადგილი და ამრიგად ირღვეოდა სიმტკიცე პირვანდელი თარგმანისა. ამ გარემოებით გამოწვეულ იქმნა შედარება ქართული სამღვთო წერილისა ბერძნულ დედანთან ათონის ქართველთა ბერთა მიერ. წიგნის გადაწერას მისდევდნენ როგორც სასულიერო, აგრეთვე საერო პირნიც. ხელნაწერს ლამაზ სათაურს ასოებს და სურათებს დაურთავდნენ. სურათები ანუ მინიატურები სახარების და სხვა სამღვთო წერილის წიგნებში ძვირფასი ნა-შთია ჩვენი ხელოვნების შესასწავლად. უძველეს ხელნაწე-რებში ასომთავრული ხუცური ანბანია ნახმარი, შემდეგ წვრი-ლი ხუცური გვხვდება და ბოლოს მხედრული ასოები. ძველად სწერდნენ ხბოს ტყავზედ, მერე ესრედ წოდებულს ბამბიკინ-ზედ და ბოლოს ქალალზედ.

სამღვთო წიგნებს შორის სახარებას უპირველესი ადგი-ლი უქირავს, რადგან იგი ქვაკუთხედია საქრისტიანო მოძღვრე-ბისა. ამიტომაც ქრისტიანობის გავრცელებისათანავე ითარგმნა იგი ქართულადაც, ჩვენი მატთანის სატყვიით, მეხუთე საუკუ-ნეშივე არჩილ მეფის მეუღლისათვის. ჩვენამდის მოუწვევია უძველესს სახარებას, რომელიც გადაწერილია 897 წ.; იგი

ამ ჟამად დასულია სვანეთში და იწოდება ადიშის სახარებად. ეს ძვირფასი ნაშთი ჩვენი მწერლობისა იმითია კიდევ საყურადღებო, რომ ტექსტი არ წააგავს სხვა ხელნაწერებს და შეიცავს სახარების იმ თარგმანს, რომელიც მხოლოდ ამ ერთად-ერთს ძეგლშია შერჩენილი. სახარების თარგმნის ისტორიაში სამი ხანა გაირჩევა. პირველი იმ დროს ეკუთვნის, როდესაც ქართველები დამკვიდრდნენ (მეხუთე საუკ.) პალესტინაში, დააარსეს წმ. საბას მონასტერი და შეუდგნენ სამღვთო წერილის ქართულად გადმოღებას. იერუსალიმს და სინას აქამდის მრავალი ხელნაწერია ამ უძველესის დროისა. იმ ნაშთებს, რომელნიც ითარგმნენ საბას მონასტერში, ეწოდებათ საბაწმინდური. მეორე ხანა სახარების თარგმნისა მეათე—მეთერთმეტე საუკუნეს უწევს. ამ დროს აყვავდა ქართველთა მონასტრები ათონის მთაზედ და აქ მეორედ შეუდგნენ სამღვთო წერილის თარგმნას ანუ მის შესწორებას. წმ. ექვთიმემ (მიიცვალა 1028 წ.) სთარგმნა ქართულად ბერძნულიდგან სახარება უფლისა და ამავე მეთერთმეტე საუკუნეში მესამედ გადმოიღო ქართულად სახარება წმ. გიორგი მთაწმინდელმა. ხელახლად თარგმნა სამღვთო წერილისა დასჭირდა საქართველოს ეკლესიას იმ მიზეზისა გამო, რომელსაც უჩვენებენ ათონის მამანი. წინად ჩვენ წიგნები და სარწმუნოება გვქონდა წმინდა და შეუბღალველი, შემდეგ ღვარძლი შეაპარეს სომეხთა და ამიტომ დაგვჭირდა ხელახლა თარგმნა და განწმენდა ღვარძლისაგან სამღვთო წერილისაო. ზემოხსენებული ადიშის (სვანეთში) სახარება უნდა ეკუთვნოდეს საბაწმინდურს ხანას, რადგან იგი არ წააგავს არც წმ. ექვთიმეს და არც წმ. გიორგი მთაწმინდელის დედანს. რაც შეეხება ურბნისის სახარებას, რომელიც განსვენებული ბაქრაძის მიერ აღსარებულ იყო უძველეს თარგმანად, იგი ახლა დაკვირვების შემდეგ აღმოჩნდა ათონელთა მიერ ნათარგმნ ტექსტად, მაშასადამე იგი ეკუთვნის მე-XI საუკუნეს.

უძველესს სახარებას ეწოდება ოთხ-თავი: სახარება თავი მათესი, სახარება თავი მარკოზისა, სახარება თავი ლუკასი და სახარება თავი იოანესი. ენა და ორთოგრაფია ამ ნაშთისა განირჩევა აწინდელი სალიტერატურო ენიდგან და მართლ-წერიდგან. მოვიყვან აღიშის სახარებიდგან *) „მამაო ჩვენო“: „მამაო ჩვენო რალი (რომელი) ხარ ცათა შინა წმინდა იყავ სახელი შენი მოვედინ სოვეფეაჲ შენი იყავ ნებაჲ შენი ვა (ვითარცა) ცათა შინა ეგრეცა ქოვეყანასა ზედა პოკრი სამარადისოჲ მომეც ჩვენ დღეს და მოგვტევენ ჩნ (ჩვენ) თანანადებნი ჩოვნნი რა (რათა) ჩნცა (ჩვენცა) მიოვტეოთ თანამდებთა ჩოვნთა და ნუ შეგოვყევანებ ჩნ (ჩვენ) განსაცდელსა ად (არამედ) მიკნენ ჩნ (ჩვენ) ბოროტისაგან“.

თუ შეადარებთ ამ ძველი მართლ-წერით მოყვანილს „მამაო ჩვენო“-ს, შენიშნავთ დიდს განსხვავებას აწინდელთან. გარდა ამ გარეგანი და ფორმების განსხვავებისა, ორს ადგილას შეხვდებით სხვა სიტყვასაც. აღიშის სახარებაში ნახმარია პური „სამარადისო“ და ახლა მიღებულია, თანახმად მთაწმინდელთა თარგმანისა, პური „არსობისა“. შემდეგ აღიშის სახარებაში ვკითხულობთ: „რათა ჩვენცა მიოვტეოთ“, აწ მიღებულს ტექსტში მე-XI საუკუნიდგან: „ვითარცა ჩვენ მიუტევეთ“. ერთს განსხვავებას კიდევ ავნიშნავ. ახლანდელს სახარებაში ბერძნული ნაწევარი ყოველთვის ნათარგმნია ნაცვალსახელად, ამიტომაც აქ ერთი მეტი სიტყვაა, რომელსაც აღიშისაში (საბაწმინდურს, სირიულიდგან ნათარგმნში?) ვერ შეხვდებით. აწინდელშია: თანამდებთა „მათ“ ჩვენთა; აღიშისაში გამოტოვებულია სიტყვა „მათ“: თანამდებთა ჩვენთა. **)

გარდა აღიშის სახარებისა გვაქვს თარიღიანი სახარება ათონისა 913 წ. და ჯრუჭისა 946 წ. საყურადღებოა, როგორც ნათში იმ თარგმანისა, რომელიც უსწრობს ათონელთა

*) ნიშნები არ უზის.

***) ნახე ჩემი „სვანეთში მოგზაურობა“.

შრომას. მეათე საუკუნეს ეკუთვნის ივერიის მონასტერში გადმოწერილი ბიბლია (დაბადება), რომელსაც სამწუხაროდ რამდენიმე წიგნი ძველი აღთქმისა აკლია. ნაწილ-ნაწილ დაბადებას მოუწევია ჩვენამდის უფრო ძველი დროისას, მაგალითად „დავითნი“ გვაქვს მე-VIII—IX საუკ.

გარდა სამღვთო წერილისა ბიზანტიამ გადმოსცა საქართველოს წმიდა მამათა ნაწერები. ექვსთა დღეთათვის წმ. ბასილისა, თარგმანებანი ფსალმუნთა დავითისა კირილე ალექსანდრიელისა, იოანე ოქროპირის, გრიგოლ ნოსელისა „თქმულნი“ თარგმანებანი. ამათ მოსდევს დოგმატიური თხზულებანი, სადაც ახსნილია ქრისტიანობრივი სწავლა. ამგვარია კლემაქსი იოანესი (მე-XI საუკ.), იოანე დამასკელის ნაწერები, წმ. გრიგოლ ღვთის-მეტყველის სწავლანი ქრისტეს შობის და აღდგომის შესახებ და სხვა. ზნეობითი შინაარსისა არიან აგრეთვე წიგნები, წოდებულნი „მარგალიტად“ და „გვირგვინად“, რომელნიც შეიცავენ მოძღვრებას ლოცვის, მოწყალების, მორჩილების და სხვათა სათნოებათა შესახებ. ამავე შინაარსისა არის „ფუტკარი“, „სამოთხე“ და წმინდათა ცხოვრებანი.

ქრისტიანობის დასამყარებლად და მის გონიერად შესაგებლად გადმოითარგმნა ბერძნულიდგან სამღვთო წერილი და მისი განმარტება-„თარგმანებანი“. ისტორიული ცოდნის შესაძენად წმიდა მამათა გვითარგმნეს ქრონიკები და ხრონოგრაფები, მაგალითად, გიორგი ამარტოლასი. ხრონოგრაფი შემდეგ მე-XVII საუკ. კვლავ ითარგმნა ქართულად არჩილ მეფის დახმარებით. ისტორიული და ლეგენდარული ცნობანი ერთად შეზავებულნი გააფრცვლეს აპოკრითებმა და „ანთოლოგიამ“ გააცნო ქართველ საზოგადოებას საგულისხმო აზრები ძველი სასულიერო და საერო მწერლებისა. ანთოლოგია იყო პირველი წყარო, ბერძენ-რომაელთ ფილოსოფოსთ, რიტორთ და პოეტთა ნაწერებთან გამაცნობელი.

ძველი საქართველოს განათლების კერა და უძველესი ხელნაწერები.

რადგან ახალი განათლება საქართველოში დამყარდა ქრისტიანობის გავრცელების წყალობით, მწერლობამ ამის გამო მიიღო განსაკუთრებითი ხასიათი და მიმართულება. ქრისტიანობა გახდა სათავედ განათლებისაც და მწერლობისაც. რადგან განათლებულნი პირნი ძველად იყვნენ სასულიერო პირნი, მწერლობამ მიიღო სასულიერო მიმართულება. საეკლესიო და სამონასტრო სკოლები გახდნენ ბუდედ განათლებისა და მწერლობისა. ამიტომაც ჩვენი ძველი მწერლობის ნაშთებს შეადგენენ — მოძღვრებანი, სწავლანი, წმიდათა ცხოვრებანი.

პირველს ხანას ქართული წერითი სიტყვიერებისას მეხუთე საუკუნიდგან მოყოლებული ვიდრე მეცხრე საუკუნემდე აქვს ხასიათი სამზადისისა საერო ანუ სამოქალაქო მწერლობისა, რომლის მკრთალი ნიშანი ჩაისახება მეცხრე საუკუნეში. ბერძენთა მწერლობის გავლენით ქართული წერითი სიტყვიერება შეითვისებს სარწმუნოებრივ მიმართულებას. ამ გზას ადგიან ის სკოლები, რომელნიც დაარსდებიან ქართველთაგან როგორც პალესტინაში, სინას და ათონის მთებზედ, აგრეთვე შუაგულ საქართველოშიაც. აქვანად ქართული წერითი სიტყვიერებისა უნდა ჩაითვალოს წმ. საბას მონასტერი იერუსალიმში. მისს დაარსებას მე-V საუკ. მიაწერენ მეფე ბაქარის შვილს მურვანოსს, ბერობაში პეტრეს, ეპისკოპოსს მაიუმისას. წმ. პეტრეს ცხოვრება აღწერა მისმა მოწაფემ ზაქარიამ სირიულ ენაზედ და გადმოთარგმნა ქართველმა მღვდელმა მაკარიამ. მეფე ვახტანგმა მოილოცა ქრისტეს საფლავი და დაეხმარა ქართველთა სავანეს იერუსალიმში. აი სწორედ ამ წმ. საბას მონასტერში პირველად შეუდგნენ სამღვთო წერილის ქართულად გადმოღებას. აქ დაკუთლია ჩვენს დრომდის „სადღესასწაულო“ მე-VII საუკ. სახელგებს უძველესი აქაური მწერლებისას მო-

უწევია მ-XII საუკუნემდის: იგინი .. იყვნენ ანტონი და საბა. მეცხრე საუკუნეში აქ ცხოვრობდა ილარიონ ღონაური კახელი. ამას მიაწერენ მეტაფრასტის და წმ. სიმეონ მესვეტის ცხოვრების ქართულად გადმოთარგმნას.

გარდა წმ. საბას მონასტრისა იერუსალიმში აყვავდა მეორე ქართველთა მონასტერი—ჯვარის მონასტერი, განახლებული ანუ აღშენებული მ-XI საუკ. პროხორეს მიერ. ამ მონასტრის სკოლაში გადმოქართულებულია მე-XI' საუკ. სახარების თარგმანებანი იოანე ოქროპირისა, ცხოვრება და სწავლანი გრიგოლ ნაზიანზინისა და გრიგოლნი სელისა, ნაწერნი გაბრიელ და იოანე ბერების მიერ. ამათ გარდა აქვე მოღვაწეობდნენ მწერალნი მიხეილ და პავლე. ამ ორს მონასტერში ბევრი ძვირფასი ხელნაწერია დაცული და საყურადღებო ჩვენი მწერლობის ისტორიისთვის. მეფენი ბაგრატ მეოთხე, დავით აღმაშენებელი, დედოფალი მარია და სხვანი მე-XI—XII საუკ. დიდს მფარველობას უწევენ წმ. საბას და ჯვარის მონასტერს. ეხმარებიან ვერცხლით, ოქროთი და სხვა-და-სხვა სამკაულით. როცა იერუსალიმი აიღეს ჯვაროსნებმა, ქართველებს შერჩათ თავიანთი მონასტერი (*monasterium georgianum*). ამბობენ ჯვარის მონასტერში ბერად აღიკვეცა დიდებული პოეტი შოთა რუსთაველი, რომელმაც განაბრწყინა იგი მხატვრობით და თვით დაგვიტოვა კვალი აქ მოღვაწეობისა: იგი დახატულია კედელზედ დიდებული კაცის სამოსელში.

სინას მთაზედ ქართული მწერლობა აყვავდა მეათე საუკუნეში. აქ მოპოვებულნი ხელნაწერნი აკვირვებენ კაცს მშვენიერი ასოებით. აქ გადაწერილია უძველესი წერიტი ნაშთი, რომელსაც მოუწევია ჩვენამდის: ეს არის ფსალმუნი, მე-VII საუკ. დაწერილი პაპირუსზედ. მე-VII—VIII საუკ. ქორების მთის ახლოს ცხოვრობდნენ ქართველნი ძმანი (აბბა, მიქელ და სხვანი). ქართველებს ამ დროს ეკუთვნოდათ ორი ეკლესია: წმ. იოანე ღვთის-მეტყველისა და წმ. გიორგისა. დავით აღმაშენებელმა ააგო ეკლესია წმ. ილიასი მთასა ქორებისასა.

თამარ მეფე არ აკლებდა უხვს შესაწირავს სინას მონასტრებს. აქაური ქართული ხელნაწერები 100-დის არის.

იერუსალიმის და სინას მთას გარდა საქართველოს მწიგნობრობის ისტორიაში დიდი ღვაწლი მიუძღვის სირიას: შავს მთას, ანტიოქიის ახლოს, და კალიპოსის მონასტერს სიმონ მესვეტის მთასთან. აქ ქართველთა შორისაც აღმოჩნდნენ განდევილნი, კარ-ჩაკეტილნი ძმანი და მწიგნობარი. შავს მთას გადაწერილი სახარება მე-XI საუკ. ახლაც დაცულია რუისის ეკლესიაში. კალიპოსშიაც საუცხოვეო ასოებით დაუწერიათ სახარება ბაგრატ ნობილისიმოსის დროს (1027—1072). მეცამეტე საუკუნეში, როცა სირია დაიპირეს თურქებმა, ანტიოქია გადაიქცა მუსულმანთა ქალაქად, ხოლო ქრისტეს ტაძრები დაქცეულ და გვერანებულ იქმნენ.

მხოლოდ ათონის მთა-ლა ცოტად თუ ბევრად შეჰჩაჩა საქართველოს. აქამდის ათონის მთაზედ მკვიდრობენ ქართველთა ბერები, იმ დროს როდესაც იერუსალიმის და სინას მონასტრები უცხო ტომის მონაზონთ დაიპირეს. ათონის ივერიის მონასტერი დაარსებულია მე-X საუკ., როგორც ამას გვაუწყებს „ათონის კრებული“ 1074 წ. (ტფილისში დაბეჭდილი 1902 წ.). დამაარსებელი ამ წმინდისა სავანისა იყო იოანე ვარაზვაჩე (+988), რომლის თანამოზიარედ დასახელებულია თორნიკე ერისთავი, ქართველთა სპასალარი. ამან დაამარცხა ბარდა სკლეროსი, რომელიც წინააღმდეგ ბიზანტიის იმპერატორებს ბასილს და კონსტანტინეს. ამათ დედამ თეოფანამ დიდი საჩუქარი მიუძღვნა წმინდად მადლობისა თორნიკეს, ხოლო ამან ყოველივე ეს შესწირა ათონის სავანეს, წმ. ივერიის მონასტერს. მეორე წინამძღვრად ივერიის მონასტრისა იყო წმ. ექვთიმე (+1028), შვილი იოანესი, რომელმაც ბევრი იღვაწა მონასტრის გასამშვენებლად და გასაბრწყინებლად. ამის დროს ივერიის მონასტერში 300 ბერი ირიცხებოდა. თვით წმ. ექვთიმე იყო დაულალავი მუშაკი და სთარგმნა 30 წიგნამდე ბერძნულიდგან ქართულად. საუცხოვეოდ და საფუ-

ძელიანად იცოდა როგორც სამშობლო ენა, აგრეთვე ბერძნული. ამას მიაწერენ ქართულიდგან ბერძნულად გადათარგმნას იმ წიგნისას, რომელსაც ეწოდება „სიბრძნე ბალაფარისა“. ხელნაწერებში, რომელნიც დაცულნი არიან ათონის ივერიის მონასტერში, წმ. ექვთიმე სთხოვს წამკითხველს ილოცონ იმის სულისთვის და მოიხსენონ მამა მისი იოანნე. წმ. ექვთიმე თვით საქართველოშიაც მოღვაწეობდა: მეფე დავითის მოწვევით, მან გაატარა ოთხი წელიწადი სამშობლოში; ასწავლა ხალხს, ზნეჩვეულების განწმენდას ცდილობდა და დააარსა-რა მონასტერი წმ. სტეფანეს სახელობაზედ, დაბრუნდა ათონის მთაზედ.

ათონის მონასტერში ექვთიმეს შემდეგ არ შეწყვეტილა მწიგნობრობა. იმავე მეთერთმეტე საუკუნეში ივერიის სავანეში მოღვაწეობდა გიორგი მთაწმინდელი, ერთი იმ დიდებულთ პირთაგანი, რომელიც ბრწყინავს ძველს საქართველოს ისტორიაში. გიორგი მთაწმინდელი დაიბადა სამცხეში დაახლოებით 1014 წ.; ოც-და-ხუთი წლისამ მიმოიხილა წმ. ადგილები აღმოსავლეთში და ბერად აღიკვეცა წმ. რომანის მონასტერში, ანტიოქიის ახლოს. 1044 წ. მოვიდა იერუსალიმში და იქიდან გადავიდა ათონზედ, სადაც 7 წელიწადი გაატარა განუწყვეტლივ წიგნების ქართულად გადმოთარგმნაში. 1051 წ. იგი უკვე წინამძღვარია ივერიის მონასტრისა. იგი მოგზაურობს საქართველოს და აღმოსავლეთს შორის, მუდამ მოძრაობაშია და დაუღალავი შრომის მორევში ტრიალებს. ათონიდან წამოვა ანტიოქიას, სადაც შეხვდება ბაგრატ მე-IV მეფის დედას მარიამს, რომელიც გაატანს იერუსალიმში ძვირფასს შესაწირავს პალესტინის მონასტრებისთვის. იერუსალიმში შეხვდება პროხორეს, რომელიც ამ დროს აშენებს ჯვარის მონასტერს. იერუსალიმიდან დაბრუნდება და რამდენიმე ხანი რჩება სირიის ქართველთა მონასტერში და შემდეგ მოვიდა საქართველოში ხალხის გასაწერთნელად და სკოლების დასაარსებლად. საქართველოდგან წამოიყვანს 80 ბავშვს და კონსტანტინეპოლში და ათონის მთაზედ მისცემს სასწავლებელში. ამ მოკლე ცნო-

ბებიდგანაც საკმარისად იხატება ჩვენ თვალწინ გიორგი მთაწმინდელი, როგორც წხნე და ერთგული სამშობლოს მუშაკი. ხან დაყუდებული ბერია, ხან გამალეებული მოძრავე პირი, ხან მწიგნობარი, ხან აღმინისტრატორი. თუმცა ერთს საქმეს არ მოანდომა თვისი მდიდარი ნიჭი, მაინც როგორც მწერალმა დაგვიტოვა ოცზე მეტი ნათარგმნი თხზულება, მოამზადა რამდენიმე შეგირდი, რომელთაც განაგრძეს მისი საქმე. წმ. ექვთიმემ და გიორგი მთაწმინდელმა ხელმეორედ სთარგმნეს წმ. სახარება და სამღვთო წერილი, შესწორეს, რაც წინად იყო ნათარგმნი და დროთა განმავლობაში შეირყა და გაირყვნა.

ზემო ჩამოთვლილი ცნობებიდგან თვალსაჩინოდ დამტკიცდა მნიშვნელობა უცხო ქვეყნებში დაარსებულთ ქართველთა მონასტრებისა. თვით საქართველოში განათლების ბუდედ შეიქმნენ მონასტრები და მათთან დამყარებული სკოლები. მათე საუკუნეში ტბეთის კათედრასთან აყვავდა სკოლაც, სადაც გადაწერილია დავით ტ არხიპოსის მიერ საუცხოვო ოთხთავი (სახარება) 995 წ. დავით კუროპალატის დროს. სოფელს ხახულში იმავე დროს აყვავდა სასულიერო და სამწიგნობრო მოღვაწეობა ბერთა წრისა, რომელთა რიცხვი აღემატებოდა 15. აქ განითქვა სახელი მკერმეტყველმა მქადაგებელმა იოანე ხახულელმა, რომელიც წოდებულ იქმნა იოანე ოქროპირად. ამ მონასტერში მიიღო დასაწყისი განათლება გიორგი მთაწმინდელმა ილარიონ თულაელის ხელმძღვანელობით. სამწიგნობრო მოღვაწეობით განითქვენ აგრეთვე გელათი, პარხალი, ჯრუჭი, მარტვილი. პარხალში გადაწერილი სახარება მიუწევს 973 წ.; გელათში, „ახალ ათონად“ წოდებულს, გადაწერილია ბევრი შესანიშნი სახარება. ამგვარივე მნიშვნელობა ჰქონდათ მონასტრებს შემოქმედს, ოპიზას, შატბერდს (აქ გადაწერილია ძვირფასი „კრებული“, აწ დაკული „წერა-კითხვის საზოგადოებაში“), ოშქს, სადაც დაუწერიათ ახლა მესტიაში შენახული სახარება საუცხოვო სურათებით, შიომღვიმე, დავით გა-

რეჯა, მცხეთა, მარტვილი, იოანე ნათლის-მცემელი, მოწამეთა და სხვა-და-სხვა. ამ დასახელებულს საეანეებში შეიქნა ძველი ქართული სასულიერო და საისტორიო მწერლობა, აქ შემუშავდა ქართული სალიტერატურო ენა, აქედგან მოეფინა განათლება ყოველს კუთხეს საქართველოსას.

ა კ რ კ რ ი თ ე ბ ი.

წერთი სიტუვიერების წყალობით შემდეგ ქრისტიანობის გავრცელებისა შეიქმნა ერთგვარი ლიტერატურა, რომელიც მომდინარეობდა სამღვთო წერილის წყაროდგან, მაგრამ შემუშავებულ იქმნა ხალხის გამოგონებით ზეპირ-სიტუვიერების მსგავსად. ამგვარ სიტუვიერებას—ხანჯურად წერთს და ხანჯურად ზეპირს,—ეკუთვნიან აპოკრიტები, სასულიერო ლექსები და ლექანდები.

აპოკრიტს გუწოდებთ იმ ნაწერებს, რომელნიც შეიქმნენ ხალხის გამოგონებით შესავსებლად იმ ნაკლისა, რომელიც სამღვთო წერილში აღმოჩნდა. ხალხის მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებდა ადგილ-ადგილ მოკლედ მოხსენებულნი ცნობანი ამა თუ იმ პირზედ ანუ მოთხრობაზედ. შესავსებლად ამ ნაკლისა და დასაკმაყოფილებლად იმ საკითხისა, რომელიც სამღვთო წერილის შკითხველს ებადება და ჰასუხს კი ვერ პოულობდა, შექმნეს აპოკრიტები. აპოკრიტი ბერძნული სიტუვაა და ნიშნავს საიდუმლოს ანუ ფარულს წიგნს. აპოკრიტები წარმოიშობენ ქრისტიანობის დასაწყისშივე. სახარების შკითხველისათვის ბევრი გაუგებარი და მოკლედ მოთხრობილი ადგილი იყო. მაგალითად, შკითხველი ვერ პოულობდა ცნობას, სად და როგორ გაატარა მაცხოვარმა თავისი სიუმაწვილე ვიდრე სამქადაგებლო ასპარეზზედ გამოფილდა. აგრეთვე მის ცნობის მოყვარობა თხოულობდა დაწერილებითს სურათს ჯოჯოხეთში ტანჯვათა აღწერილობისას, რადგან სახარება მხოლოდ გაკვრით იხსენიებს: „მუნ იუოს ტირილი და ღრჭენა კბილთა“. ამ მოხსენებულ ცნობათა შესავსებლად წარმოსდგა ორი აპოკრიტი: „სიყრმე ქრისტესი“ და „წმინდისა ლეთის-მშობლისაგან კაცთა ცოდვილთა სატან-

ჯველთა ხილვა“. საიქიოს წარმოდგენა ივსება აპოკრიტით, რომელიც ნათარგმნია სომხური ენიდან. მას ეწოდება: „ბაასი გრიგოლ განმანათლებელისა ანგელოზთან“. გრიგოლ განმანათლებელი შეეხვეწა უფალს: „გვედრები სამი საათით ანგელოზი ჩემთან მომიუღინო და ვთხოვო, რაც მინდა“. ისმინა უფალმა ვედრება და მოუღინა ანგელოზი. რას თხოულობო? ჭკითხა ანგელოზმა. შეიტყობს სული თავის ჰატის ანუ ცოდვას, როცა ხმალს მიიტანს სულას ამოსართმევადო?— შეიტყობს, მიუგო ანგელოზმა. სული, განუმარტავს ანგელოზი, არის მსგავსი ცეცხლისა და ნათელისა, თუ კაცი მართალია, და ბნელი, თუ არსება ცოდვილია და სავსე ბორბუტებითაო. ჭკითხა გრიგოლ განმანათლებელმან, როგორ ამართმევ სულსა ცოდვილსაო? მიუგო ანგელოზმან: როდესაც მივალ ცოდვილთან, ვეჩვენები ავი ანგელოზივით საშინელ სანახავად და ხმალს ხელში მეჭირება. შეწუხდება ჩემის ნახვისაკან, ეხა დაებეება, თავს მომარიდებს, თვალბის ხუჭვას მოჭკეება და გაქცევას დაჰპირებს. მაგრამ სად წავა? მე სულ იმის თვალ-წინ ვიქნები და ველარ შეიძლებს, რომ ადგეს. საშინელი ხმალი ხელში მეჭირება და ნახამს გზას ძნელსა, ცოლ-შვილსა და გვაროვნობას თვალთ ანიშნებს, მაგრამ ვერას შეიტყობს. მე კი ვერაფერს მხედავს, კარდა ავათმოფიფისა, მე ცეცხლი ვარ და ხორცი არა მაქვს. ჭკითხა გრიგოლ განმანათლებელმან ანგელოზსა, როგორ ამართმევ სულსა მართალსაო?— მიუგო ანგელოზმან: მივალ და ვეჩვენები ისე ვითარცა ვნატიუობდე ქორწილში თავდაბლად და მშვიდობიანის სახით და, როდესაც დამინახავს, სული განსვენებაში განწესდება. მივიღებ ხელს მართლისასა, ვითარცა მზე ბრწყინვალე სავსე ნათლით და ხელში რომ დავიჭერ, თაყვანს ვსცემ სულსა მართლისასა“.

ეს აპოკრიტი საკმარისად გვიჩვენებს, რა მჭიდრო კავშირი აქვს წერითს სიტუაციებსა ხალხის რელიგიურ წარმოდგენასთან. ვის არ გაუტონია სულთამხუთავის ამბავი, რანაირად ართმევს სულს მომაკვდავს? ამ გვარადვე შეგვიძლიან დავუახლოვოთ ხალხის წარმოდგენა ჯოჯოხეთზედ და აპოკრიტი „წმინდისა ღვთის-მშობლი-

საგან კაცთა ცოდვილთა სატანჯველთა ხილვა“. აი მოკლედ შინაარსი ამ აპოკრიტისა.

ინება დედამან ქალწულმან მარიამ ხილვა სატანჯველთა, რომელთა დასჯილნი კაცნი იტანჯებიან ფერად-ფერადითა სატანჯველითა. აღვიდა მთასა ზედა ზეთის ხილთას და თქვა: გარდამოვიდინ ზეცით მთავარ-ანგელოსი მიხეილ, რათა მითხრას ვითარებანი ცისა და ქვეყნის შორის შეოფთა და მახილგოს ტანჯვანი ცოდვილთანი. შემდგომად ამა სიტყვისა გარდამოხდა მთავარი ანგელოსთა დასითა ანგელოსთათა. ჰრქვა მას უოფლად წმიდამან: გიხაროდენ, მთავარო ზეცისა, რომელი წინაშე წმიდისა სამებისა მდგომარე ხარ! გიხაროდენ, რომელსა გეგუფვების საუვირისა დაცემა და განღვიძება საუგუნითგან დაძინებულთა შვეიდრთა! მიუგო მიხეილ ქალწულსა: ეჭა ცასა ცათასა უმაღლესო, ქერაბინთა უდიდებულესო, რამეთუ განდიდნა სახელი შენი უფროს ვრცელისა სამეაროსა! ამ სიტყვა-პასუხის შემდეგ რქვა უოფლად წმინდამან: მიჩვენე, ერისთავო, უოფელნი სატანჯველნი ქრისტიანეთა და წარმართთა. მაშინ აღადგო ჯოჯოხეთმან პირი თვისი და იხილა ღვთის-მშობელმან ურიცხვი სიმრავლე მამათა და დედათა, რომელნი იტანჯებიან მას შინა და იყო ტირილი დიდი და ვაება. რა არის ცოდვა მათი? ესენი არიან, რომელთა მამა, ძე და სული წმიდა არა სწამთ და არ აღიღებენ ღვთის-მშობელსა. სხვასა ადგილსა იხილა ბნელი დიდი. მნებავს, ბძანებს დედა ღვთისა, რათა ვიხილო სატანჯველნი ამას შინა. „გერ შემძლებელ ხარ, — მიუგებს ანგელოსი, — რამეთუ ამათ მცნება აქვთ, რათა არა იხილონ ნათელი, ვიდრემდის გამობრწყინდება დიდებით ძე შენი მეორედ“. ამ ცოდვილებს სწავდა ცეცხლი აგზნებულნი. რა არს მათი ცოდვა? ამათ უბადრუკთა არა ესმათ ქადაგება წინასწარმეტყველთა. დედა ღვთისა და ანგელოზი განვიდრენ აღმოსავლეთით და მოვიდა სერაბინ-ქერაბინითურთ სხვასა ადგილსა, სადა იხილა სიმრავლე მამათა და დედათა იტანჯებულთა ცეცხლსა შინა, რომელნიმე მკერდამდე და რომელნიმე ფეხებამდე. ესენი არიან, მიუგო მიხეილმა, რომელნიც სარტულამდე სხედან ცეცხლში, ისინი, რომელთა მამისა წყევამოიღეს. მკერდამდე სხედან ცეცხლში ისინი, რომელნიც ნათელიდე-

დასა სიძვით და არა წმიდებით, მეძაობით შეაგინებენ. ესენი ვინ არიან, რომელნი თხემამდე სხედან ცეცხლსა შინა? ჰკითხა უოვლად წმინდამან.—ესენი არიან,—ჰრქვა მიხეილ,—რომელნი ხორცსა სკამუნ კაცისას.—ვითარ შესაძლებელ არს ჭამოს კაცმან ხორცი კაცისა? მიუგო ანგელოსმა: რომელნი უბრალოსა ტყუეს უსამართლოდ ჰყიდიან და ნაფაჭრსა სკამუნ, ესე არს ჭამა ხორცისა კაცისა. სხვა ადგილას იხილა ხორცსა კაცისასა მატლნი სკამდეს.—ესენი არიან, უოვლად წმიდაო, მექრთამენი, ვახშის მეძიებულნი. იხილა დედაკაცნი მოკიდებულნი ორთავე ძუძუთა და მხეცნი გამოვიდოდეს ჰირისაკან მათისა. ჰრქვა უოვლად წმიდასა: ესენი არიან, რომელნი მივიდოდეს მეზობელთა და უურის მიპერობითა ისმენდეს სიტყვათა მათთა და მიერ ახდენენ მრავალსა შუთოსა და ბოროტსა. შეწუნდა დედა ღვთისა და თქვა: უმჯობეს იყო მათდა, თუმცა არ შობილ იყვნენ,—ტიროდა და ეწყალებოდა ივინი. მიიუფანა ანგელოსმან სანახავად „დიდთა სტანჯუკელთა“. აქ იხილა ღრუბელი ცეცხლისა და მას შინა იყო სიმრავლე ღედათა და მამათა და ცეცხლის ფერნი ვეშანნი მოხვეოდეს ასოთა მათთა და დასწვიდეს მათ, ვითარცა კლურტს ხმელსა. ესენი არიან,—მიუგო ანგელოსმა ჰასუსად ღვთის-მშობელსა—რომელნი კვირიაკეს ქვე წვანან და ეკლესიად ღოცვად და წირვად არ წავდენ.

სხვა ადგილას იხილა უოვლად წმიდამან ძელი რკინისა კეიდა ენათა ცოდვილთა. ესენი არიან ცრუნი, უკან მზრახველნი. იხილა კაცნი ფრჩხილთაგან ტერფისა თხემამდე სისხლითა შეღებილნი და ენა-შეკრულნი ცეცხლის ალითა და ვერ შემძლებელ იყვნენ სიტყვისა კებად. ტიროდა დედა-ღვთისა და ითხოვდა შეწყალებას მათსა. ანგელოსმა გაუსხნა მათ ენა კრულებისა და აუწყა, რომ ესენი არიან ეკლესიის შემცოდნი. წავიდნენ ადგილს, სადაც მღვდელნი იტანჯუბიან. იხილა მღვდელნი ზემომოკიდებულნი და ცეცხლნი თხემისაკან მათისა გამოვიდოდა. ცოდვა მათიო ის არის, რომ მათ სამღრთოსა მსხვერპლისა შემწირველთ, ოდეს დაანაწილებდნენ საღმრთოსა ტარიგსა, გაუფრთხილებლობით ნაწილი ქვე სცვიოდათ. იხილა ადგილი, სადაც ცეცხლსა შინა მუთფთ კაცთა ფრთოვანი მხეცნი ჰბგებ-

დნენ. ესენი არიან დიაკონნი, რომელები წმ. სახარებასა და წერილთა და მოძღვრებათა აღმოიკითხვიდნენ და არა ჰყოფდენ მორჩილებასა ეკლესიისა და მღვდელთასა და არ ერიდებოდნენ ცოდვასა. სხვა ადგილას სხდეს ცეცხლსა შინა ისინი, რომელებიც ქვეყანას მღვდელ-მსაფრად იყვნენ ცოდვათა შეგონებულნი და არა ვიდოდნენ ზნათა სიმართლისათა. იხილა დედაკაცი მოკიდებულნი და ალი გამოვიდოდა მათი ჰირისკან. ესენი არიან სამღვდელთა კაცთა მეუღლენი, რომელთა შემდგომად მიცვალებისა მეუღლეთა მღვდელთასა სხვა ქმარი შეირთეს. სხვა ადგილას მამათა და დედათა ცეცხლში მღებარეთა სჭამდენ მხეცნი. ესენი არიან ენკრატისნი, რომელები ისიძვიდეს და ხორცი შეაგინეს და მონაზონობა არ დაიმარხის. გამოჩნდა მდინარე ცეცხლისა, მას შინა სხდეს მრავალნი დედანი და მამანი და ვეშაზნი ეკიდნენ ენათა მათთა. ესენი არიან მსიძავნი და მემრუშენი, შებეღებულნი და ავთა მქნელები, ცრუ-ფიცნი, სხვისა ნაშრომის მიმტაცებულნი და მჭამელები, რომელები მთავრობდეს გლახაკთა ზედა, ვერცხლის მოყვარენი, შექრთამენი, კაცის მკვლელები და ეკლესიის უმსახურონი. წაიყვანა ანგელოსმან უფროსთა სატანჯველთა სახანჯვად. მარცხენით კერძო იყო მდინარე ცეცხლისა და იყო ბნელი საშინელი. იყო ტირილი და ვაება. დუღდა ვითარცა ქვაბი, ზღვა განძინებულნი და ნაკურცხლი ცეცხლისა ჰსცემდა ცოდვილთა და მატლი ჰსჭამდა მათ. თქვეს ცოდვილთა ერთხმობით: უფალო, შეგვიწყალებენ!.. გიხაროდენ, ნათელო დაუღამებულო! ჰრქვა უოფლად წმიდამან: დიდად ვწუხვარ და საღმობითა აღმევისების გული. შეწუხდა და ტირიდა. შეწუხდნენ ანგელოსნი ტირილისათვის დვთის-შშობლისა. ხოლო ცოდვილთა ღაღად ჰქვეს: კეთილად მოხვედ ჩვენთვის უოფლად წმიდაო! თქვა დვთის-შშობელმან: ჰოი, ძნელები სახილველები განვიცადენ თვალითა ჩემითა. თქვეს ცოდვილთა: უფალო, შეგვიწყალებენ! შემდგომად ამა სიტყვისა დასცხრა დედა, რომელი იყო ცოდვილთა ზედა და კვლად გამოჩნდეს ცოდვილნი, ვითარცა ნდოგვის მარცვალნი. რა არს ცოდვა მსხდომარეთა ბნელსა შინა?—ესე არს ბნელი გარესნელი, რომელთა ჯვარს აცვეს უფალი ჩვენი იესო ქრისტე, რომელთა არა ნათელ-იდეს, არცა ჰრწმენეს მამა, ძე და

სული წმიდა და არიანცა, რომელნი ისვიდეს სვინდიკინისა (ნათ-
ლულსა და ნათლის დედას). მოსცა მდინარემან ოხვრა და ბნელი
დაეცა მათ და ცეცხლმა დაჭყარა იგინი. ჰრქვა ღვთის-მშობელმან:
ვაი ცოდვილთა და უღონოთა, რამეთუ დაუსრულებულ არს სატან-
ჯველი მათთვის. ღვთის-მშობლის თხოვნით მიხეილმა, „ერის მთა-
ვარმა“ წარაუღინა იგი, სადა იტანჯებოდნენ ნათელ-ღებულნი ქრის-
ტიანენი, ცეცხლითა და ბნელითა ბეულნი. ესენი არიან, რომელთა
ნათელ-იდეს და საქმეთა ეშაჰისათა შეუდგეს, სინანულისა ჟამი არ
იცეს, უღებთ იქცოდეს, ამისთვის იტანჯებიან ცეცხლის ტბას.
ღვთის მშობელმან ინება ქრისტიანეთათანა ტანჯვების მიღება...
ანგელოსმა ჰრქვა: ეოვლად წმიდაო, შენ სამოთხესა შინა განისვენე-
დედამ ღვთისამ სთხოვა მიხეილს: წარმართენ თანა მხედრობით
შენით და ილცეთ ცოდვილთათვის. მიუგო მიხეილ: ოდეს შეეწი-
რავთ ამათთვის ვედრებასა, არა ისმენს ჩვენსა ღმერთი. ეოვლად
წმიდამან ითხოვა, რათა აღიყვანონ ანგელოზთა მხედრობამა მამის
მიმართ სახიერისა. აღიყვანეს მხედრობათა წინაშე საუდრისა ღვთაე-
ბისა. მაშინ განიპურნა ხელნი თვისნი ქაღწულმან და ჰრქვა: შეგვიწი-
ვალენ ჩვენ ცოდვილი და მოგვხედენ თვალითა წყალბისათა ცოდ-
ვილთა ამათ ტანჯულთა, რამეთუ ვიხილენ და ვერ ვიტვირთე ტან-
ჯვასა მათსა. მოვიდა ხმა უხილავისა მამისა: ვერ შევიწვალებ, ეოვ-
ლად წმიდაო, და თუ ვისმენ ვედრებასა შენსა, გარდავხედავ სამ-
სკვალთა.

ამ შინაარსიდან სჩანს, რომ აპოკრიტებს ზნეობითი მნიშვნე-
ლობა ჰქონდა. მკითხველს აფთხილებდა ცოდვათა საქციელსა და
აგონებდა სატანჯველთა წარმოდგენით განმორებას ავი და უწმინდუ-
რი საქმეთაგან. მექრთამეების, ვახშის მძიებულების, ტყვეთა გამსყი-
დეკლთა დასჯა „დიდითა სატანჯველითა“ საკმარისი ქადაგება იყო
ამ უზნეო მოქმედებათა გასაკიცხავად. აპოკრიტი ხმას ამადლებდა
სიბილწეთა დასათრგუნავათ. როგორ იმოქმედა აპოკრიტმა ხალხის
რწმენაზედ. მოწმობს ფშავის მოგზაურობა „შავეთში“, სადაც ხე-
დავს იმ ტანჯვათა, რომელნიც აღწერილნი არიან „ღვთის-მშობლის
მიმობნილთაში“. აპოკრიტები გავრცელებდნენ საქართველოში ძველად-

განვე. წმ. ექვთიმე გიორგი ბერს სწერს, რა წიგნებს არ შეიწყნარებს ეკლესია და იმ სიაში მოხსენებულა აპოკრიფებიც *). ეს მოხდა მას შემდეგ, რაც აპოკრიფებით ისარგებლეს მწვალებლებმა და თავიანთი სწავლის გავრცელება აპოკრიფითა საშუალებით განიზრახეს. წმ. ექვთიმეს წერილში ჩამოთვლილია ეკლესიისგან აკრძალული წიგნები. ამთ რიცხვშია: „ანტიოქიის მოქცევაჲ არა შესწყნარებულ არს, აგრეთვე ადამის ცხოვრება, სიურმე უფლისა, მოციქულთა ცხოვრებანი გარუენილნი მწვალებელთაგან, წმინდის ანდრიასი და გიორგისა ცხოვრებაი არს ჭეშმარიტი და ეგვლად სხვაი რაიმე უცხოი—არა შესწყნარებულ არს. ორიგინეს მწვალებელსა და ევსები ზამფილესა განწვალებანი ჩაურთავთ, ამისთვის არა შეიწყნარებს ეკლესია“. აქ ჩამოთვლილთ წიგნთაგანი აწ გიციოთ ჩვენ „სიურმე უფლისა“, „ცხოვრება ადამისა“ და ცხოვრება წმ. გიორგისა და ანდრიასი. ესენი აპოკრიფები არიან. სხვებს კი—ანტიოქიის მოქცევას და ორიგინეს თხზულებას.—ქართულად ჩვენამდე არ მოუწვია.

ჩვენ არ შეგუდგებით აუარებელი ქრათული აპოკრიფები ავნუსხოთ და გაგარჩიოთ **). მოვიუკანთ რამდენსამე ცნობას ორიოდე აპოკრიფის შესახებ. შევჩერდეთ ჰირველად ნაწერზედ: მცნება და ბრძანება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელიც მიეტა საკვირველებით წმიდასა სიღიბისტრო რომთა ჰაჰსა. ამ აპოკრიფის აზრი

*) ამათ შორის „სიურმე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“. აქ მოთხრობილია, რომ როცა ყრმა იყო ხუთი წლისა, აღმოიღებდა თიხასა და შექმნიდა სირებად თორმეტად. მრავალნი ყრმანი იმღერდეს მას უამსა. დღეს ესე იყო შაფათი. ურიათა უამბეს იოსებს. იოსები რისხავდა მას, ხოლო მან აღაფრინა სირები, რომელნი წავიდეს წივილით. აი, აპოკრიფით პირველი სასწაული ქრისტესი.

**), აენიზნავთ მეცნიერთათვის საყურადღებო აპოკრიფთს: „წიგნი, რომელიც დაწერა იოსებ არიმათელმან მოწაფემან უფლისა ჩვენისა და თხრობაი აღშენებისათვის ეკლესიისა, რომელი იგი არს ლუდის შინა ქალაქსა“. ეს „წიგნი“ მესოპოტამიაში შექმნილი დაეწო საჩუღლად გრალის თქმულებას, როგორც დაამტკიცა აკად. ა. ნ. ვესელოვსკიმ.

იყო ხილვა, ვითარცა ელვაი და სამოსელი სპეტაკი, ვითარცა თოვლი. შიშისაგან ვიქმენით ვითარცა მკვლარნი. გვესმოდის ხმა ანგელოზისა, ვითარ ეტუოდან დედათა, რომელნი სხდეს საფლავსა იესოსას: ნუ გეშინიან თქვენ, უწეი, რამეთუ იესოს ეძიებთ ჯვარცმულსა. არა არს აქა, აღდგა—და... წინა გიძღვეს თქვენ გალილიას. ჰრქვეს: რომელი ჟამი იყო? მიუგეს: შუალამე იყო. — რად არ შეიპურენით დედანი იგი? — ჩვენ ვითარცა მკვლარნი ვიქმენით შიშისაგან და არა ვგონებდით ხილვად ნათელსა მზისასა. ვითარცა შევიპურენით დედანი! — არა გვრწამს თქვენი! — ესოდენი სასწაულები იხილენით და არა გრწამენა მისი და ჩვენებდა ვითარ გრწამენს!... თქვენ იოსებ შეაყენეთ საპროფეტოსა და... არა ჰპოვეთ იგი. აწ თქვენ იოსებ მოგვეცით და ჩვენ იესოს მოგვეცით. ჰრქვეს ურიათა: იოსებ თვისად ქალაქად წარვიდა. მიუგეს დასისაგანთა: იესოსაცა გვესმა ანგელოზისაგან, რომელმან ჰრქვა დედათა — წინა გიძღვის გალილიას, მუნ იხილეთ იგი. იტყოდეს ურიანი. ურთიერთას: ნუ უკვე განთქვას სიტყვა ესე და რწამენს უოველთა იესოსი. ზრახვა ჰქუეს და მოიდეს ვერცხლი დიდძალი და მისცეს ერისაგანთა მათ და ჰრქვეს: ესრეთ თქვით, ვითარმედ მოწაფენი მისნი ღამე მოვიდეს და წარიპარეს, ვიდრე ჩვენ გვეძინა... მათ მიიღეს ვერცხლი და ჰქუეს, ვითარცა ასწავეს“...

ეს აპოკრიფი კარგი ნიმუშია იმ შევსებისა და შესწორებისა, რომლითაც ხალხის გამოგონებით შემუშავდება სახარების მოთხრობა. აქ ეკლესიის მიერ მიღებული იესო ქრისტეს ვნებისა და აღდგომის აღწერა განდიდებულია გამოგონილი ცნობებით. ეს აპოკრიფი ამოწურეთ ცაკერში დაცული მე-XVI საუკუნის ხელნაწერი კრებულიდან. ამით ვათავებთ ახალი აღთქმის აპოკრიფების მოთხრობას და შევუდგებით ძველი აღთქმის აპოკრიფთა აღნუსხვას და შინაარსის გადმოცემას

ქველი აღთქმის აპოკრიფები

„ქალ-ვაჟიანი“ ერთი იმ მოთხრობათაგანია, რომელიც საქართველოში პირველად ხელნაწერად, შემდეგ ბეჭდვითი საშუალებით

გავრცელებული იყო ხალხში. აქამდის იგი იბეჭდება და ვრცელდება ათასობით. „ქალ-ვაჟიანში“ შეტანილია რამდენიმე აპოკრიფული ცნობანი: „ქალმა ჰკითხა ვაჟს: ის რომელი ელჩი იყო, რომ ღმერთმა აღამიანთან გაგზავნა. ვაჟმა მიუგო: უვაჟი იყო, რომ მივიდა აღამთან, როცა კაენმა აბელი მოჰკლა. აღამმა არ იცოდა, თუ რა ექმნა, მოვიდნენ ორნი უვაჟნი, ერთმა მეორე მოკლა, გათხარა მიწა და დამარხა. აღამმა იმათგან ისწავლა, გათხარა მიწა და აბელი დამარხა. — ერთმა მეორე მოკლა, მკვდარი ჯოჯოხეთში წავიდა, მკვლეელი სამოთხეში? ვაჟმა მიუგო: ღამეებს მოკლა კაენი, კაენი წავიდა ჯოჯოხეთში და ღამეები სამოთხეშია“. აღამის, აბელის, სეთის ამბავი მოთხრობილია რამდენსამე ძველს ხელნაწერში. როცა კაენი შეიქმნა 50 წლისა და აბელი 20 წლისა, მათ ერთხელ შესწირეს უფალს მსხვერპლი. მსხვერპლი აბელის უფალმან შეიწირა და კაენისა კი არა. ამიტომ განიზრახა კაენმა ძმის მოკვლა. გაიტყუა მინდორში და აქ დაიწიეს ცელქობა. კაენი დამარცხებული რჩებოდა. განრისხებულმა კაენმა ჩააკონა აბელს სათამაშოდ ერთმანეთი შეეკრათ ვაზის ტოტებით. კაენმა შეუკრა ძმას ხელ-ფეხი, აბელი მიხვდა, რა განზრახვაც ჰქონდა კაენს და ამიტომ დაუწყო ხეწვნა გათავისუფლებინა: ერთგული და მოსიუვარულე ძმა ვიქნებო. ვიდრე კაენი ფიქრობდა, როგორ მოეკლა ძმა, გამოჩნდა ორი უვაჟი: ერთმა აიღო წვეტიანი ქვა და მოჰკლა მეორე. კაენმა ამავე ქვით გამოსტკრა ეელი ძმას. ღმერთი გამოცხადა კაენს და ჰკითხა: სად არს ძმა შენი? კაენმა უპასუხა: განა მე იმის დარაჯი ვარო? უფალს უნდოდა, რომ კაენს მოენანია თავისი ცოდო, მაგრამ კაენმა ასე მკაცრედ მიუგო. ამისა გამო უფალმა შემდეგი სასჯელი მოუფლინა: 1) გამოუვიდა კაენს შუბლზედ რქა, რომელიც გაიძახოდა: კაენი ძმის მკვლეელია; 2) არ შეეძლო ჰური ჩაედო ჰირში, რადგან ხელები უკანკალებდნენ და ჰური ტალახში უცვიოდა; 3) დაჰკარგა ძილი; 4) დაუმუნჯდა; 5) დალიოდა ტირილით; 6) არ უნდა მომკვდარიყო და მისს მკვლელს ეწვეოდა იგივე სასჯელი. 800 წელი იცხოვრა კაენმა. ამაოდ ეძებდა სიკვდილს. ერთხელ ღამეებს შესვდა ხადირობას, გაეხვია ვეფხის ტყავში და დაწვა გზასკად. ღამეებს მოჰკლა

იგი, როგორც მხეცი. ყველა წყევლა ეწვია ლამეკს, მხოლოდ მისი ცოლის ღოცვით უფალმა აპატია.

ადამ და ევამ სცადეს აბელის დამარხვა, მაგრამ მიწამ არ შიიღო, რადგან ჰირველად უნდა ადამი ქცეულიყო მიწად. სანუკეშოდ მათთა უფალმა აჩუქა სეთი, რომლისაგანაც დიდი ჩამომავლობა მოეღოთ. ადამ და ევას ეყოლა 24 ვაჟი და 440 ქალი. სეთის ჩამომავალნი შორს იუვენენ კენის შემკვიდრეებისგან. ადამის შვილის-შვილმა ენოქმა ერთხელ ჰკითხა მას. რად სტირის იგი და ევა განუწვევებლივ. მათ უამბეს სამოთხიდან გამოსვლის ანბავი. ენოქმა განიზრახა დაკარგულის სხვა გზით მოპოება. ენოქმა არ შეირთო ცოლი, გააშენა საუცხოო ბაღი და გამჟღელ-გამომჟღელს მისცანება ესარგებლა იქაური ნყოფით. თავზედ ჩამოიცივა თვალუბადის რკინის ქუდი, რომ ნყოფმა არ წარიტაცოს. ამ ღვაწლისთვის უფალმა ხორციულად აიუვანა სამოთხედ. ენოქის მსგავსად სეთის ჩამომავალთაგანნი 440 სულნი განშორდნენ დედ-მამას და გადასახლდნენ მთაში ღოცვისა და მარხვისათვის. კენის ჩამომავალნი კი ფრიად გამრავლდნენ, ასე რომ ერთი კაცი ასს ქალზედ მდიოდა. დედა-კაცები შეებრძოლნენ მამაკაცთათვის და ართვედნენ ქმარს ერთმანეთს. როცა მამაკაცთა რიცხვი მეტად შემცირდა, მაშინ ქალებმა გამოიგონეს საშუალება: გააკეთეს სტვირი და ჭიანური, სახე ფერუმარილით მოიკმაზეს, გავიდნენ მთაზე და იქ დაუკრეს და დამღერეს. ამით შეაძენეს მამაკაცი ქვემოდ მლოცველნი და მხოლოდ ერთმა ნოემ დაიჭირა თავი.

ამ კეთილ-მორწმუნე ნოეს უბრძანა უფალმა კიდობანის გაკეთება, რათა თავი გადაერჩინა წარდგნისგან, რომელსაც ღმერთი მოუვლენს წასალეკად ცოდვილი ქვეყანისა. როცა მთახლოვდა დრო წარდგნისა და ხალხმა არ მოინანია წინაღმდეგ ნოეს ქადაგებისა, ამ კეთილ-მსახურმა კაცმა შემოჰკრა ორი ფიცარი ერთმანეთს, რომელთაგან გამოდიოდა ხმა: წარდგნა მოვა!.. ნიაღვარმა დაღუპა ქვეყანა და ნოეს კიდობანი გაჩერდა მასისის მთაზედ.

აქაც, როგორც ახალი აღთქმის აპოკრიტებში, ვხედავთ შეერთებას სამღვთო წერილის მოთხრობისას ხალხის გამოგონილ დამა-

ტებსთან. წუარო ამ აპოკრიტებისა, საიდანაც შეითვისეს სლავიანებმა, სომხებმა და ქართველებმა საერთოა—იგი მომდინარეობს საბერძნეთიდან.

ძველი აღთქმის აპოკრიტებს ეკუთვნის სლავიანურად ცნობილი „სოლომონ და კიტოფრასი“ და ჩვენში „სოლომონ და მებალური“. მოვიყვან ამ ლექსად თქმული აპოკრიტის იმ ვარიანტს, რომელიც მე ჩაწერე უიზღიარში 1888 წ.

სამნი კაცნი მოდიოდნენ,
სამნი მოსასვლელნი ჩვენდა,
ხელთ ეჭირათ ოქროს ბურთი,
ანათებდა ღამე ბნელსა.
წყლისა პირას დაულამდათ,
წყლისა პირსა ჩამოსხდესა.
მებადემ ბადე გაშალა,
სამი თევზი ბადეს ხვდესა.
მოსწიეს, გამოათრიეს,
სამივე ქვაბში მოხარშესა.
დააწყეს ოქროს სინზედა,
სოლომონ ბრძენს მიართვესა.
სოლომონ ბრძენ მეჯლიში ჰქმნა,
დაჰპატიეებს თავადებსა...
სიტყვას მოჰყვა მეტად ბრძენსა:
ავაშენებ სანთლის გუთანს,
შიგ შევაბამ უღელ-ღვესა,
ზღვაში ვხნავ და ზღვაში ვთესავ
ხმელად ვინადირებ თევზსა,
კინჰველას გოდორს ავკიდებ,
კამბეჩებს დაუყური ბხესა.
თუ ეს სიტყვა მართალია,
ჩემი თევზი გაცოცხლდესა.
გაცოცხლდა, ზღვას შეუტურდა,
ორი ისევ სინზე ძვესა.
რიგი მოჰყვა სამართალსა,
ებლა ნაზირ-ვეზირს ხვდესა.
ნაზირ-ვეზირ ამას იტყვის:
შენ გაგვზარდე, გაგვაკაცე,

შენ შეგვეყარე შეავსა დღესა...
დღეში სამჯერ მას ვამბობდით,
ჩვენ მოვკლავთ სოლომონ ბრძენსა.
ეხლა შევაფურთხებ ეშმაკს,
გავისტუმრებ ცარიელსა,
თუ ეს სიტყვა მართალია,
ჩვენი თევზიც გაცოცხლდესა.
გაცოცხლდა, ზღვას შეუტურდა,
ერთი ისევ სინზე ძევსა.
რიგით მოჰყვა სამართალსა, —
ეხლა დედოფალსა ხედესა.
შიშითა და სირცხვილითა
გულსა ღონება დაუწყო.
გულზე ასხმენ ვარდის წყალსა,
აფიცებენ მამის მზესა.
შე პირ მზეო, არას გერჩი,
თუ მტერსა მოვკიდებ ხელსა.
— მე ვლალატობ გვირგვინს ჩემსა,
შეუუღეგი ეშმაკებსა.
თორმეტი წელიწადია,
ვევარობ კუნძულთ ხელმწიფესა.
თუ ეს სიტყვა მართალია,
ჩემი თევზიც გაცოცხლდესა.
გაცოცხლდა, ზღვას შეუერთდა,
სინი ცარიელ დარჩესა.
სოლომონმა მეჯლიში ჰქმნა, —
დაჰპატიჟებს კუნძულელსა.
კუნძულელი რო მობძანდა,
ფურ-ბერწებსა დაუკლავსა.
წითელ ქვევრებს აუხდისა.
შუა ლხინში რო შევიდნენ,
მოახსენა კუნძულელსა:
კუნძულელო, სიტყვას გეტყვი,
შენთვის დიდად საამურსა.
ერთი სპილენძის კოკა მაქვს,
მიბარია მემამზლესა,
ვინც იმას საყმოთ გამიმსებს,

საყვარელი მას დარჩესა.
კუნძულელი სიხარულით
ფიცხლავ ფეხზედ წამოდგესა.
ფეხთ მაშინას არ უცდისა,—
აქეთ-იქით გადუძახა:
საცა ჩემი საყმო არის,
სულ ერთიან აქ წამოდით.
კოკლი, ბრმაცა არ დარჩება,
ბებრის ბებრები მოდიან,
მოათრევენ ნაბდის ძველსა...
სამი დღე-ღამე იდინეს,
კოკის ყელსა დააკლდესა.
კუნძულელო, შენც ჩაბძანდი,
საყვარელს მოჰკიდებს ხელსა
კუნძულელი რომ ჩავიდა,
თავს ზარფუშს გადახურებსა.
ოთხივ-კუთხივ გადაქედეს,
ასწიეს და წყალს მისცესა.
ღმერთმა ჰკითხოს მებადესა,
ღმერთმა ჰკითხოს მეთევზესა.
მებადემ ბადე გაშალა,
კოკის ყელი ბადეს ხედესა.
მოსწიეს—გამოითრიეს,
შუა ნაშეზე დაადგესა.
ერთმანეთსაცა შეჰფიცეს,
არ გავცემთ ბატონსა ჩვენსა.
თულუნგებით დაუშინეს,
კოკას ყელი მოსტეხესა
ღმერთმან დასწყევლა ეშმაკი,
მთელი ქვეყანა მოსდესა.
სოლომონ ბრძენი ბრძანებსო:
რაიმც რომ გამაჩინე მე,
მაჯას მომე დიდი ძალი,
სიცოცხლით დამარჩინე მე,
ქერივი ვახარე, ობოლი,
ბრმას თვალი ავუხილე მე,
სამი წლის ხმელი მამალი,

ხეს შეესვი, ავაყილე მე,
მწუყმსი მინდორში ვაძინე,
მტერი არ მიფუჩინე მე,
ამისთვის ავი კაცი ვარ,
ტყვენი არ ვასყიდინე მე.

კახეთში ჩაწერილი ვარიანტი ცოტა განსხვავდება ზემო მოყვანილი ლექსის შინაარსიდან. ამ ვარიანტით გამოდის, რომ ღმერთმა დასწიეგლა მეთევზე მას შემდეგ, რაც იმან გამოათრია კოკა ეშმაკებით გატენილი, მოსტეხა მას ჰირი და ეშმაკები ქვეყნას მიუსია. ქართლური ვარიანტი მოგვათხრობს, რომ სამს მგზავრს—მეთევს, დედოფალს და ვეზირს მოუხდათ წულის პირას (კახური ვარიანტი—ზღვის პირას) ჩამოხტომა და ამათ თანადასწრებით მეთევზემ გადააგდო ბაღე და არა თვით მგზავრებმა, როგორც ეიზლიარულ ვარიანტშია. სამსავე ვარიანტში თანხმად არის მოყვანილი „სიტყვა“ სოლომონისა: ავაშენებ სანთლის გუთანს, შიგ შევაბამ უღელ დევს... და სხვ. ქართლური ვარიანტი ასურათებს ხალხის წარმოდგენას, როგორ განდნენ სხვა-და-სხვა დარგის ეშმაკები:... „კოკას პირი აუხსნეს. ამოცვივდნენ ეშმაკები, კლდის ქაჯი მაშინ განდესა, ზოგი ზღვასა, ზოგი ველსა, ზოგი ღრესა, ზოგი კლდესა, ზოგი ტყესა, ზოგი მთასა, ზოგი წისქვილს შევიდეს. მეწისქვილეს წაუშინეს, რაც რომ შინდი მოგიპარავს, მიაბარე მესაფქვესა“. შინაარსი ამ ლექსისა აშენებულის იმ არაკაედ, რომ სოლომონს მეუღლე ჰქვალა-ტობს და მეფე ეძებს მეტოქს.

სოლომონის მიერ განსჯას კუნძულელის საქციელისას კავშირი აქვს ამ მეფეზედ მოთხრობილს ლეგენდებთან. საყურადღებოა მოხსენება სოლომონის ბეჭდისა, რომელიც დაუსაკუთრებიათ აზოკრიტებში ამ ბრძენი მეფისთვის. ამ ბეჭდით იგი ჰფლობს დევებს და ეშმაკებს, როგორც ჩვენი „კარაბადინი“ გადმოგვცემს. სოლომონზედ ხალხს ერთი ჰატარა ლექსიც სხვა აქვს: სოლომონ ბრძანა მეფემა, ღმერთო შენ დამარჩინეო, ქვრივი, ობოლი ვარჩინო, ბრმას თვალი აკუხილოო.

აზოკრიტულს თხზულებას ეკუთვნის ნათარგმნი ბერძნული

ენიდან თვალთა ეპითანე კვიპრელისა თქმული*). ეს თხზულება მოთავსებულია მეათე საუკუნის კრებულში, რომელიც შატბერდის კრებულად არის აწ ცნობილი. დასახელებულია თორმეტი ქვა (თვალი), სხვა-და-სხვა სენის მეურნალი: სარდიონი, ტაზიონი, ზმური, იაკინთე, საფირონი, იასპინი, ლვიგვირონი, აკატი, ამთვისტონი, ძოწიელი, ბივრილი, ფრცხალი. აი რას ვკითხულობთ სარდიონზედ: „სარდიონ... ხილვადი (ფერი) მისი შეწამულ (წითელი)... ასურასტანს იპოვების... დასდვიან საკურნებლად და განაცოცხლიან მით მსივანებანი და სხვადა წელულებანი. მახვილთა დასსხიან მისგანი და მოსცხიან და ცხებითა მით წელულებანი განიკურნებიან“. მესამე თვალი არის ზმური „მწვანე ხილვითა“. მას ჰმთულობენ ფისონსა (მდინარეა). მდინარე გამოვიდოდა ედემით, გვაუწყებს ანკრეთი მეოთხე თვალის, იაკინთის, განხილვის დამატებაში; ეს მდინარე განიუოფებოდა ოთხად თავად, სახელი ერთისა მის ფისონ. მერვე თვალი, აკატი, უსპეტაკეს არს ფერი მისი, ვითარცა სპილოს ძვალი და მარმარინოი. იპოვების თვალი ესე სკვითათი კერძო... ნალესავი მისი შესვარიან წელითა და მოსცხიან წელულთა და ნაცემთა მხეცთასა და განიკურნიან წელული ასპიტისაი და დრიანკალისაი. ანკრითის „თვალთა“ ჰქონდა ძველად კარაბადინის მნიშვნელობა. აქედგან იძენდნენ სამკურნალთ ცოდნას და მასთანავე ბუნების მეტყველებითი მცნებანი შეკეტილნი იუვნენ გამოგონილ აღწერილობასთან. აქაც, როგორც სამდგომო წერილის შინაარსის გარდაქმნაში, ხალხის ფანტაზიამ შეავსო ფანტასტიური წვრიმალი დამატებით.

ამ გვარივე ხასიათი აქვს ბერძნულიდანვე ნათარგმნს თხზულებას სახის მეტყველს (ფიზიოლოგს), რომელიც იმავე შატბერდის კრებულშია მოქცეული. ამ ნაშთში მოხსენებულია 34 მხეცი, ქვემძრომი და ფრინველი, განსაცვიფრებელი თვისებით შემოსილნი. „სახის მეტყველს“ ჩვენი ხელნაწერი მიაწერს ბასილ ეპისკოპოსს კესარიელს...

*) „სასწავლო წიგნი“, დაბეჭდილი მ. ჯანაშვილის მიერ კრებულში „მწერლობა მე-IX—Xსაუკ.“, წარმოდგენს თარგმანს ეპითანე კვიპრელის თხზულებისას, რომელიც რუსულად იწოდება „О мѣрахъ и вѣсахъ“.

ამ ოც-და-თოთხმეტი მუხლიდგან მოვიყვანთ რამდენსაჲ ად-
გილს. მეცხრე მუხლი: „მერმე თქვა დავითმან: განახლდეს ვითარცა
ორბი სიჭაბუკეი შენი. სხის მეტყველმან თქვა ორბისათვის: რაჟამს
დამედნის (=დაბერდების), დაუძიმდებიან ფრთენი მისნი და
განუქშენიან (=დაბრმავდებიან) თვალნი და ეძიებენ წყაროსა წყალ-
თასა. და აღფრინდის მიქცეულად მაღალსა ქარსა მძაფრისამდის
თვალსა წყაროდმი და განიხურნის ფრთენი და თვალნი და შევიდის
წყაროსა და დაიბანნის სამჯერ და განშავდნიან (განახლდის?). იუ
შენცა გაქვნიდა სამოსელი ძველისა კაცისა და მოგაკლდეს თვალი და
განიცარცვე ძველი იგი საქმითურთ მისით და შეიმოსე ახალი, რო-
მელ დმერთი დამეარებულ არს, ვისაიცა დავითმან თქვა: განახლდინ
ვითარცა ორბი სიჭაბუკეი შენი“. ეს მაგალითიც საკმარისად გვიჩვენ-
ებს, რომ „ფიზიოლოგი“ ფანტასტიური შინაარსის თხზულებაა,
შემუშავებული ზნეობითი მიზნით.

მეთოთხმეტე თავი შეეხება გველს: „უფალმან ჩვენმან. იესო
ქრისტემან თქვა სახარებასა შინა: იუენით თქვენ მეცნიერ, ვითარცა
გველი და უნოდველ. ვითარცა ტრედნი. სხის მეტყველმან თქვა:
სამი სახე არს გველისაი. ჰირველი სახე: რა ჟამს დაბერდეს, მარ-
ხვად დგას და იმარხვის გველმან მან ორმეოც დღე და ორმეოც
ღამე, ვიდრე ტუაფი განეფტის და განუთხნის. იძიის ნაპრაღი და
ზოვის კლდისაი იწროი და შევიდის იწროდ და დააგდის ტუაფი იგი
ძველი და განჭაბუნის. ისმინეთ, რომელმან იგი თქვა: ისწრაფეთ
შესვლად იწროსა მას კარსა და ძხელსა, რომელნი მიავლინებენ ცხო-
რებად საუკუნოდ. მეორე სახე გველისაი: რაჟამს მოვიდის მდინარედ
სვმად, არ მიიღის გესლი იგი მისი მისთანა, არამედ მუნ ქვასა
ანუ ხვრელსა დადებ: რეცა ჩვენდა დირს. რაჟამს შევკრები ეკლესიად
სმენად და სვმად წელისა ცხოველისა სამარადისოისა და სმენად
სადმერთთა სიტუვათა ეკლესიასა შინა და არცაღა ჯერ არს ჩვენ-
თანა მიღებად გესლი იგი ქვეყნისაი მის ბილწად სახვე თხლე შეზა-
ვებული გულის თქმაი და ზრახვაი უკეთურებისაი. მესამე სახე გვე-
ლისაი: რაჟამს იხილის შიშველი, ეტრფიადის და თუ იხილის
შემოსილი, ზედა მიუხდის და ჩვენ ესე გამოუჩინებლად გულის ხმა

ვეოთ. მამაი ჩვენი ადამი, ვიდრე შიშველ იყო სამოთხესა შინა, მუნ ვერ ჰკადრა ზედა მისლვად ბოროტმან ეშმაკმან“.

ზნეობითი დარიგება შეადგენს დედა ძარღვს „სახის - მეტეველისას“. შემდგენელი ცდილობს ისარგებლოს ბუნებითი თვისებით რომელიმე მხედისა, რომ მას შეუდაროს კაცის სულის მოთხოვნილება და დასკვნას ზნეობითი ამაღლებისა საჭიროება ქრისტიანობრივი სწავლის თანხმად. მხეცებს, ფრინველებს, ქვემომძრომს აქვსთ მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა. ფიზიოლოგი შეჰქმნეს ჰირველად ალექსანდრიაში მეორე და მესამე საუკუნის განმავლობაში. იგია ნაკოფი რამდენიმე ავქსონისა და დამყარებულთა სხვა-და-სხვა წყაროზედ: აქ შევხვდებით ბიბლიის, ტალმუდის (ებრაელთა წიგნის) და ეგვიპტელთა წარმოდგენის შეზავებას და შეთანხმებას. ფიზიოლოგი ცნობილია სხვა-და-სხვა ენაზედ: ბერძნულს, სირიულს, სომხურს და სხვ., ჩვენი ფიზიოლოგი (სიტყვა-სიტყვით ნათარგმნი ქართულად „სახის მეტეველი“) მოკლებულია დასკოებულს ნათესობას სომხურთან, რადგან სომხურში მოხსენებულია არა-ფიზიოლოგიური მხეციც ვეფხვი და სხვ.; არ უახლოვდება სირიულს, სადაც აღნიშნულნი არიან ძაღლი, მამალი, შოშია, ქართულში კი გამოტოვებული არიან. ჩვენი სახის მეტეველი გადმოღებული უნდა იყოს ბერძნულიდან, თუმცა არც ერთი რედაქცია, აქამდის ცნობილი, არ ჩაითვლება ჰირდაპირ დედნად ქართულად ნათარგმნისა. უძველესი ფიზიოლოგის რედაქცია იმითია შესანიშნი, რომ იქ თვითივეს თავს მიუძღვის სამღვთო წერილიდან ამოღებული რომელიმე ტექსტი. ეს ნიშანი ქართულში დაცულია. დასასრულ ჩამოვთვლი სიას მხეცთა, ფრინველთა და ქვემძრომთა ქართული სახის მეტეველისას; მსუენი, ლომი, ავთოლოფოს, დვინია, ხერხ ქალანდროს (ბერძნულად *chalandrios*), ვარხვი, ბუი, ორბი, ფინიქსი, ოფოფი, კანჯარი, ასპიტი, გველი, ჭინჭველი, ზღვის ქალნი (*syrenai*), ზღარბი, მელი, ავაზა, კუი, კაკაბი, ძერა, ღომ-ჭინჭველი, მარტო რქა, კასპურიოს (თახვი), აფთარი, იქნეუმონ, ჰერიდექსიონ (ხეა), უორანი, მტრელი, გურიტი, მერცხალი, ირემი. ამ სიიდან სჩანს, რომ ზოგი-ზოგი სახელები ქართულს სახის მეტეველში გადმოუთარგმნელად

დატოვებულია ბერძნული სახელწოდებით. ესეც ჰმოწმობს, რომ ბერძნული ფიზიოლოგი ჰქონია დედნად ქართულად გადმოძღვებს.

აზოკრიტული ცნობები შეტანილია „ქალ-ვაჟიანში“, რომელიც უდრის სლავიანურს მწერლობაში „სამთა მღვდელ-მთაყართა ბასს“. ქალი ეკითხება ვაჟს: დამისახელე სამნი, რომელნიც სვამდნენ, სჭამდნენ, მაგრამ დედისაგან კი არ იუვნენ დაბადებულნი? ვაჟმა მიუგო: ადამ, ევა და ცხვარი, რომელიც უთაღმა აბრახამს უბოძა.—ის ვინ იყო, რომლის მიახლოების გამო დედამ დაიძახა: მე ქალწული ვარ!—ვაჟმა ახსნა ეს გამოცანაც: დედამიწამ დაიძახა მე ქალწული ვარო, როცა აბელის გვამი სათუღაჳში ჩასვეწეს.—კითხვა: მამალმა დედალი შვა. მიგება: ადამმა ევა შვა. კითხვა: ვინ იუვნენ თეთრად დაბადებულნი და შერე გაშავებულნი. მიგება: ნოეს შვილები, რომელნიც მამის წყევლის შემდეგ გაშავდნენ. აზოკრიტები ძველად საქართველოში ძლიერ გავრცელებულნი იუვნენ. აზოკრიტებმა იქონიეს გავლენა ხალხის წარმოდგენაზედ და თვით აზოკრიტებიც შეიცვალნენ ქართულს ნიადაგზე ჩვენი ხალხის რწმენათა ზედ-მოქმედებით. აზოკრიტების ხსნიათი და გავლენა მოსჩანს სასულიერო ლექსების და ლეგენდების შექმნაში.

ს ა ს უ ლ ი ე რ ო ლ ე მ ძ ს ე ბ ი .

ქრისტიანობის გავრცელებამ შესცვალა საერო პოეზიის მიმართულება. ქრისტიანობამ წამოაყენა სასულიერო ლექსები, რომელთა გმირნიც, ებრძვიან ბოროტ ძალას, ჭაჯებს და ეშმაკებს. საერთოდ ქრისტიანობამ ვერ შესცვალა ხალხის შეხედულება. ძველი ღმერთები ისევ არსებობდნენ, მხოლოდ გადაიქცნენ ხალხის მავნებელ ძალად, ქრისტიანობის მტრებად. ქრისტიანობამ მოჭვინა სინათლე და შეიტანა ხალხში ახალი იდეები. ხალხს ეს იდეები უნდა შეემუშავებინა, შეეთანასწორებინა და შეეთანხმებინა შეთვისებულს კარდმოცემასთან, რელიგიურ რწმენასთან, მორალურ შეხედულებასთან: უნდა მომხდარიყო ბრძოლა ახალს და ძველს იდეებს შორის. წარმართულნი შეხედულებანი თითქმის შეუცვლელნი დარჩნენ, მხოლოდ მიიღეს ახალი

ყოფნა, შეიმოსეს ქრისტიანობრივი ელფერი. როდესაც ცხოვრებამ წამოაყენა წარმართული და ქრისტიანობრივი იდეალების შერიგების საჭიროება, მაშინ შესდგა სასულიერო ჰოეზია. ეს ჰოეზია არის ძვირფასი საუნჯე ერის კულტურის გამოსაკვლევად. სასულიერო ლექსებში აღნიშნულია ზნეობრივი მდგომარეობა და გონებრივი განვითარება ერისა. ამ ჰოეზიის შემწეობით შეგვიძლიან ვადევნოთ თვალი, როგორ ვრცელდება ერში ქრისტიანობრივი სწავლა. ლექსნი ნოეზედ, იობზედ, აბრამზედ, ქრისტეზედ და იოანე ნათლის-მცემელზედ, რომელნიც დარჩენილნი არიან ჩვენში, მშვენიერად ასურათებენ, რომელ მხარეს სახარების სწავლისას მიუპურია ერის ყურადღება. ამ ლექსებში გამოთქმული აზროვნობით ერი ხსნის საკითხავებს ქვეყნის შექმნა-გაჩენისა და თვისის მოვალეობისას. ღოგიკური აზროვნობით უგელას ვერ მიხვდება კაცი და შესაძლებელია, ამბობს ზროფ. კლიუჩევსკი, რომ ამ გვარი აზროვნობით ვიკებდეთ სრულიად მცირე ნაწილს მიუწოდამელისას; ამ შემთხვევაში დიდად საყურადღებოა შესწავლა სასულიერო ჰოეზიისა, რომელსაც შეუძლიან აგვისხნას სალიტერატურო ისტორიის საკითხავები და აღნიშნოს ერის კულტურის მდგომარეობა.

„სასულიერო ლექსების“ სიუჟეტი აღებულა, როგორც ძველი, აგრეთვე ახალი აღთქმიდანაც. აი რა ლექსია ქაშდის ჩვენში გავრცელებული იობის შესახებ.

იობ იღა ღვთის ლოცვაზედ,
თავის უფალს მადლი მისცა.
გუნდნი იწვის შენის ცხვრისა,
რა გატირებს უგუნურო,
ვალი გადგიხდია ღვთისა!
ი დაწყევლილი ეშმაკი
მონაძლევედ შეადგისა;
ზეკით ალი გამოუშვა
ი წყული ეშმაკისა.
ვენახს ცეცხლი მოუკიდა,
ნაკეთები იობისა.
ზვარი დაეწვა, ვენახი,

ნაკეთები შვიდის წლისა.
ჯორი დაეწო, აქლემი,
ნალურსმალი ნალი მისა.
და სასახლე სულ გადაწვა,
ქვა და კირი მიწად იქცა.
გუთნეულებიც დაეწო.
მეხრეც აღარ დარჩა ძირსა.
ი დაწყველილი ეშმაკი,
მონაძლევედ შეადგისა.
იობსა კაცად ერვენის,
ნამტირალი თავის ზერისა.
იობ დაგეწვა ვენახი,
ნაკეთები შვიდის წლისა.
ჯორი დაგეწო, აქლემი,
ნალურსმანი აღმასისა.
გუთნეულებიც დაგეწო.
მეხრეც აღარ დარჩა ძირსა.
სასახლეს სულ გადაგეწო,
ქვა და კირი მიწად იქცა.
იობ დადგა ლოცვაზედა,
თავის უფალს მადლი მისცა.
რა გატირებს, უგუნურო,
ვალი გადახდილა ღვთისა!
ი დაწყველილი ეშმაკი
მონაძლევედ შეადგისა.
იობ არას ინადვლისა,
თუ მის შვილებს არა სჭირს-რა
შენ დაწყველილო ეშმაკო,
წადი ისინიც დახოცე,
თუ კი ათქმევენებ ძვირსა.
იობს ჰყვანდა შვიდი ვაჟი:
სამი ქალი სახე მზისა.
ათივ ერთს დღეს დაეხოცა,
ერთი აღარ დარჩა ძირსა.
ი დაწყველილი ეშმაკი,
მონაძლევედ შეადგისა.
იობს ერვენის კაცათა,

ნამტირალი არის ისა.
იოზ, გაგიწყდა შეილები,
ერთიც აღარ დარჩა ძირსა.
იოზ დადგა ლოცვაზედა,
თავი დაახალა ძირსა.
ქეშმარიტად ღეთის ბრძანებაჲ
ჩემი ბედი არც კი ღირსა.
რა გატირებს, უგუნურო,
ვალი გადგიხდია ღეთისა.
ცოლსა კაცი გაუგზავნა;
ნუ იტირებს, ნუ იგლოვებს,
თუ შიში გაქვს მალლი ღეთისა,
მიწანია მიწად წაველენ;
ნუ იტირებს მიწის შეილსა.
თავს სუდარა დაახვიე,
მოქსოვილი ფეიქრისა.
ი დაწყველილი ეშმაკი
მონაძლევედ შეადგისა.
იოზ არას ინაღვლისა,
თუ იმის ცოლს არა სჭირს-რა.
წადი და ისიც მოკალი,
თუ კი ათქმევიანებ ძვირსა.
იოზს მოუკვდა მეუღლე,
დაწოლილი თავის მხრისა.
ი დაწყველილი ეშმაკი
მონაძლევედ შეადგისა.
იოზ მოგიკვდა მეუღლე,
დასაწოლი შენი მხრისა.
იოზ ლოცვა არ გაუშვა,
არც ვედრება მალლა ღეთისა.
რა გატირებს, უგუნურო,
ვალი გადგიხდია ღეთისა.
ი დაწყველილი ეშმაკი
მას საცდელად შეუდგისა.
იოზ არას ინაღვლისა,
თუ იმის ჯანს არა სჭირს-რა.
წადი ჯანიც გამოართვი,

თუ კი ათქმევინებ ძვირსა.
იობს მატლი დაეხვია,
ათასფერად გასაზღისა.
ერთი ჭია ისეთია,
იძვრის, საცა დავარდისა,
ისევ ზედვე დაისვისა.
სანამ იყოს ძვალი ხარით,
ხორცი ჭამეთ იობისა:
სარჩოდ მოუცია ღმერთსა.
ი დაწყევლილი ეშმაკი
მუხლის ძირსა მივიდისა.
რა აამე მეუფესა,
რომე აგრე გაგაკეთა.
შენ დაწყევლილო ეშმაკო,
ეს საქმე შენგნითა მჭირსა.
ეშმაკი დაიწივლებსა,
ნაცრის გორად გადიქცისა.
ზეცით ანგელოსნი წავლენ,
მომღერალნი ტკბილის ხმისა.
იობს ყავარჯენ გადაჭკრენ,
ფერი ედოს ვაჟაკისა,
ელია და ზაქარია
შვილებია იობისა.
ღრუბელი უფროსნი არიან,
ქექვა-ქუხილი იცისა.
ზეციდან მესხსაც ისვრიან,
ჯაერი სჭირთ თავის მტრისა.

იობის შესახებ ლექსად მოგვითხრობენ მესხები და ჰროზად ქართლელები. ქართლში გადმოგვცემენ, რომ იობი შესჯამა ჭიამ და მწერმა. უფალმან სჯამარისად სცნა ეს განცდა და გამოუგზავნა ანგელოსის ხელით ერთი თეთუში წყალი მრავალ-ტანჯული იობის საპყურებლად. ანგელოსმა შეასრულა უფლის ბძანება და იობი განიკურნა. წყალი, რომლითაც იგი განიკურნა, შესვა ღრუბელმა, რომელიც აწვეთებს ამ უკვდავების წყაროს დედამიწის გასაპოხიერებლად. სულ-კრძელმა იობმა შევედრა უფალს, რომ არ გაწვევტილიყო მისი მწვალებელი ჭია და მისცემოდა მას ძალა კეთილი. უსმანა უფალმა

და მას შემდეგ გაჩნდნენ ქვეყნად კაცისთვის სასარგებლო ფუტკარი, წურბულა და სხვ., ის ჭიანი, რომელიც იობის ტანზედ იძროდნენ, გადიქნენ აბრეშუმის ქიად. აი ამასეუდ არის დაშუარებული ფეიქრების წარმოდგენა, რომ იობი მათი მთარგველი და ჰატრონია.

აბრამის ლექსი მოუგანილია მეცხრამეტე საუკუნის ხელნაწერში და ცნობილია ხალხში:

აბრამ იყო ღვთის მლოცავი,
მაგრამ შვილი ენატრება.
საქონელი ბევრი ჰქონდა,
არ ვინ იცის, ვის დარჩება.
აბრამს შვილი ძლიერ უნდა,
ღლე და ღამ ღმერთს ევედრება.
— ღმერთო, ერთი შვილი მომეც,
ისიც შენთვის გაიზრდება.
შვიდის წლისა სამღვთოთ მითქვამს,
აღთქმა ჩემი არ გატყდება.
უსტუმროთა პურს არ სკამდა,
ჩვეულებად ეს ექმნება.
ოც-და-ათი ღლეუ გავიდეს,
ის პურს არსად შეეხება.
ეშმაკმა გზა სრულად შეკრა,
კაცს არსილამ მიესვლება.
კაცისგან არ შეიძლება,—
ღმერთი მგზავრობს, ესტუმრება.
მეორმოცე ღლეს სამება,
იმის კარზედ მობრძანდება.
აბრამს კაცები ჰგონია,
ყველას სთხოვა დაბრუნება.
სტუმრებს სუფრა მოუტანა,
მზიარულად დაუხვდება.
პურს აიღებს ერთი მგზავრი,
გასტეხავს, დაილოცება.
ამ ოჯახს დალოცავს ღმერთი,
სარას შვილი ეყოლებს.
აბრამსაც დალოცავს ღმერთი.
სარა კარაეთან დადგება.

ამას სარა გაიგონებს,
დიდად უკვირს, ეცინება.
დრო უკვე გადასულია,
გაგონებაც ეზარება.
წინააღმდეგ სიტყვისათვის
სამება როდი გაწყურება.
არ ირწმუნეთ, ძენი თქვენი
ეგვიპტეში დატყვევდება.
ანგელოზებსაც უბრძანებს,
სოდომ-გომორი იწვება.
ლოტი თავის ცოლ-შვილითა
ცეცხლისაგან დაიხსნება:
აბრამს შვილი გაუჩნდება,
სამამულედ დაურჩება.
იმ მეორე წელიწადსა
თავს იმედი დაედება.
იმ მესამე წელიწადსა
ყოველთაგან ეზარება,
იმ მეთხუთსე წელიწადსა
დედას იმედი ექმნება.
ხუთის წლისა რო შვიქნა
ცხენზედ ჯდომა შეეძლება.
დიდათ უკვირს ყოველს კაცსა,
ეს ყმაწვილი რათ იზრდება:
იმ მეშვიდე წელიწადსა
აბრამი ცოლს ეუბნება:
უგუზურო, შენ რა იცი,
ეს ყმაწვილი რათ იზრდება,—
შვიდი წლისა სამღვთოთ მითქვამ,
ჩემი სიტყვა არ გატყდება.
ამას დედა გაიგონებს,
პირველ დიდათ ეწყინება,
მაგრამ ფიქრში პირველი დღე,
ღვთის სტუმრობა აგონდება.
რა კი გვითქვამს, წაიყვანე,
შენი აღთქმა აწ თავდება.
მოწყალესთან სამსახური

არას ოდეს არ წახდება.
თუმცა იტყვი და უმტყუნებ,
უფრო ბევრი დაგაკლდება.
აბრამი გზას ემზადება,
ისაკს აზრად არ მიჰხედება.
მსახურსა შეშა აჰკიდა,
ყმანი გვერდზედ იახლება.
გაივლიან დიდსა გზასა,
მთაზე ავა, იქ დადგება.
ასეთი ცეცხლი დაანთო,
ალი ზეცას ავარდება.
წყალი დულს და ქვაბი შრება,
საკლავი არსადა ჩნდება.
შვილმა უთხრა: მამა ჩემო,
სამღეთო არსად არ გვიჩნდება!
ვიცი სამღეთოთ მე გინდივარ,
გული რაზე გიღონდება?
მაცა, შვილო, ღმერთს ვევედროთ,
ჩვენზე საქმე მოვარდება.
ადგა მამას გვერდს მოუჯდა,
დედამიწას ემთხვევოდა.
ყმაწვილს გული უღონდება,
ცხელის ცრემლით ატირდება.
მეუფეო, რას მიპირობ,
ნეტა ჩემთვის რა რიგდება?
ჩემი სისხლი შეიწირე,—
ისაკი ღმერთს ვევედრება.
ჩემის დედ-მამის ამაგი
ჩემზე ვალად ნუ დარჩება.
მიწას ემთხვია და ადგა,
აბრამს ამას ეუბნება:
მაგრა შემკარ, ისე დამკალ,
სისხლი არსით მოგეცხება.
თუ სადმე სისხლი მოგეცხოს,
სამსახური წაგიხდება.
აბრამ დანა გაიღესა,
დასაკლავად ემზადება.

ვიდრე ყმაწვილს ხელს ახლებდა,
პკვა და მცნება ეფანტება.
ყელში დანა გაუყარა,
ყანყრატოში გაქვავდება.
ციდამ ღმერთმა გადმოხედა,—
დახე აბრამ რასა შერება.
ერთი ცხვარი გადმოუგდო,
წითლათ-ყვითლად აყვავდება.
—ეს დაჰკალ და ეგ გაუშვი,
შვილი ფეხზედ აგიდგება.
ყოველ კაცსა თავის სამღოთ,
ღვთისგან ესეც მიეთვლება.
ბევრ სამღოთსა ღმერთს შეეწირავ,
ღმერთი შემწე მყყოლება.

ხალხურს ღექსში აბრამის და ისაკის შესახებ ერთი განმასხვავებელი საზია შეტანილი. სამღვთო წერილი მოგვითხრობს, რომ აბრამი მხოლოდ ემზადებოდა შვილის მსხვერპლად შეწირვას და აიღო კიდევ დანა მის დასაკლავად. ჩვენებურს სასულიერო ღექსში აბრამი „ყელში დანას გაუყარის“, მაგრამ დანა იქ გაქვავდება. ასე გარდაქმნა ხალხმა სამღვთო წერილიდან ამოღებული სიუჟეტი.

უფრო ხშირად ხალხური სასულიერო ღექსების შინაარსი დამყარებულია ახალ აღთქმის მოთხრობაზე და სამოთხე-ჯოჯოხეთის წარმოდგენაზე. იქაური ცხოვრება ხალხს ასე აქვს წარმოდგენილი, როგორც ერთს ღექსშია აღწერილი.

მიველ და ვნახე სამოთხის სახე,
ედემსა გარე შემოვუარე.
ოთხი წყარო დის,
თითო მხრით მოდის.
მითი მოირწყვის ყოველი არე.
სიზმრათა ვნახე აღმოსავლეთის თავში,
არის მზე, არის მთვარე,
მრავალ ვარსკვლავი ცაში.
მივდივარ სანუკვრადა
წმიდა ედემის ბაღში;
მიველ და ხეხილთ გაღვებდე.

ჩარიგებული რიგშია.
ზოგი მწიფს, ზოგი ყვავილობს,
ზოგსა მკუხენი ასხია.
ერთი რამ კუპრის ტბა არის
აქედგან მისავალშია,
ზედ წვრილი ბეწვის ხიდი ძევს
ვინ გადაზომავს თვალშია.
მართალნი მარდად გადიან,
დამკვიდრდებიან ბალშია,
ცოდვილნი ძირსა ცვივიან,
ილუბებიან ტბაშია.

ახალი აღთქმა გახდა აგრეთვე დაუმრეტელ წყაროდ ხალხური სასულიერო ლექსებისათვის. როგორც თვით ღვთაებრივი მომცემი წმ. სახარებისა, აგრეთვე მოწამენი ქრისტიანობრივი სწავლისთვის შეიქმნენ სასულიერო ლექსთა დასაბამად. აი რა დარჩენილას კახეთში ქრისტე ღმერთზედ.

პირველ ქრისტე ჩამობრძანდა,
ხმელეთს გადასწერა ჯვარი,
დედა ვაზები აკურთხა,
ბალახს დასდო თავის ფერი.
სამკედლორი გააჩინა,
შიგ გამართა გრდემლი გრძელი,
შიგ მკედელი დააყენა,
ხელში მისცა რკინის კვერი.

იესო ქრისტე ძველს აღთქმაშიაც იღებს მონაწილეობას. ამ გვარად გადაბმულია ორი სხვა-და-სხვა დროის ამბავი, შეტანილია ის შეცდომა, რომელსაც ეწოდება ანაქრონიზმი. იესო ქრისტე ეწვევა სტუმრად აბრამს. აი თვით ლექსი „აბრამი და ისაკი“, სადაც ზემო მოუვანილს სიუყუტს ვეცნობებით.

არ ვარგა უსტუმრო სახლი,
ცალ ფულად არ გამოდგება,
ვისაც სტუმარი არ უყვარს,
ღმერთი სულ არ ეყვარება.
აბრამ საყდარზედ წაბრძანდა,
წინ სტუმარი შეეყრება.

თავის სახით, თავის ქაშრით
ქრისტე ღმერთი ეჩვენება.
აბრამ სადილი მაქამე,—
ქრისტე ღმერთი ეუბნება.
—მე რომ სადილი გაქამო,
რა მადლში ჩამივარდება?
ოქროს ქამარი გარტყია,
გაყიდე და პური ქამე,
სადილს კიდევ მოგიჩრება.
მე რომ ქამარი გავყიდო,
რალა სარგებელი მხედება?
ბოლოს რაც თავზედ გადაგხდეს,
აღარ დაიწყო ნანება.
გაბრუნდა და იქ მივიდა,
მის მეცხვარეს შეეყრება.
მამა-ცხოვრებულს მეცხვარეს
პირს სიცილი წამოსკდება.
—მეცხვარე, პური მაქამე,
სიმშლით სული ამხედება.
—შინ შემობრძანდი, ბატონო,
სადილი გაგვიჩრდება;
სამი აბრამის პური მაქეს,
სადილს კიდევ მოგიჩრება.
—მე ხმელა პურსა ვერა ვქამ,
ცხვრის მაწონი არ გექნება?
მაშინ მიუგო მეცხვარემ.
კიდევ სიტყვას ეუბნება:
ცხრა ათასი სული ცხვარი,
აბრამის მე მებარა.
ვაი თუ იმას მოვუკლო,
ბოლოს სული წამიწყდება.
—ცხრა ათას სულსა ცხვარშია,
ერთი როგორ არ აგვხდება?
მაშინ მიუგო მეცხვარემ,
სიტყვას კიდევ ეუბნება
ოც-და-თორმეტი თვე გავა,
ბერწი ერთი ბატკი მხედება.

—მაშ წადი, ის მოიყვანე,
ხმელი იყვეს, განედღება.
წავიდა და მოუყვანა
უარს ველარ ეუბნება,
იქმნა ღეთისაგან ბრძანება,
ქვეშ ბატკანი შეუჯღღება.
ორი ქვაბი მოიწველა,
მესამეს თავს გადუსკდება.
ღეთისაგან ბრძანება იქმნა,
მაწვნათ მალე შედედდება.
დასხდნენ, ტკბილად პურსა სჭამენ,
ქრისტე ღმერთი ილოცება.
შენი ერთი სული ცხვარი
ათას სულად გაგიხდება,
ჩვენის ცხვრის საჩრდილობელში
ქვეშა წყარო გამოჩნდება,
ზედ ღუქნები გაკეთდება,
ზედ ბეზირგენი დაჯდება,
ოც-და-თორმეტი მეცხვარე
საპარსავად ერიდება,
ეგ შენი წამოსასხმელი
ბამბის კარვათ გაკეთდება,
რაც ინატროს ფენმა გულმა,
საკეთილად აგიხდება,
რაც იყვეს აბრამის წილი,
სულ ერთბაშად გაწყდება.
მეორე დღეს გაიხედა,
ცხრა ათასი სული ცხვარი
სულ სიბ ქვად დაუხვდება!
მაშინ დაღონდა მეცხვარე,
ჯავრი გულს შემოეყრება,
ეს ცხვრები რო დაძხოცია,
აბრამთან რალა მეთქმება.
ვაი ჩემს ცოდვის კითხვასა,
რა აბრამი გამიწყრება.
ოც-და-თორმეტი დღე გავა,
აბრამს სტუმარი არ ხედება.

აბრამს მოუვა სტუმარი,
წინ ეშმაკი დაუხედება.
—სად მიბრძანდები, ბატონო,
მასპინძელი ვინ გექნება?
მამა მოგვიყვდა აბრამი,
შავი მასზე ჩაგვეცმება.
ის დაწყველილი ეშმაკი
თურმე ტყუილს ეუბნება,
აბრამსა სიმშოლისაგან
სიკვდილი ემჯავრება:
მე უსტუმროთ პურს ვერა ვკამ,
თუ სტუმარი არა მხვდება.
ისევ ჩვენი გამჩენელი,
ისევ ჩვენთვის შეწუხდება.
მივიდა აბრამს ესტუმრება,
აბრამი დედამიწას მოესვენება.
რალანც მელირსა სტუმარი,
შენი მაღლი დამადგება.
დასხდნენ, ტბილად პური სკამეს,
ქრისტე ღმერთი ილოცება.

შემდეგ ლექსში მოთხრობილია, რომ აბრამს „ღვთის ნათესავს“ მიეცა მის ღოცვისსამებრ შვილი. შვიდი წლის სამღვთოთ წაიყვანა ისაკი. „ეელში რო დანა დაუსვა, შუას სიში ქვა დახვდება... ორჯედ და სამჯერ დაუსვა, თინჩისსაც აღარ მოაკლდება. გადმოხედა ქრისტე ღმერთმა, დახე აბრამ რასა შერება. ჯაჭვით ცხვარი კადმობკიდა, სასამღვთოთ ეს გექნება. ეს დაჭკალ და ღმერთს შესწირე, შვილი იყესზე დაგიდგება. მასუკან არის სამღვთოთ ცხვარი ქვეყანაზედ მოედება. აბრამის დანის განსვამი ვეველას ეელში დაგვანდება. ამ შაირის გამგონესა, ღმერთმა მოგცეთ გამარჯვება“.

ამ ლექსს ორნაირი მნიშვნელობა აქვს. იგი გვიჩვენებს, რომ ცხვრის სამღვთოთ შეწირვა, ხალხის აზრით, მომდინარეობს აბრამის დროიდან. თვით ქრისტეს რჩევით. მეორე მხრით აბრამი აქ ისე სტუმრის მოყვარედ არ არის დასაწეისში დასურათებუდი, როგორც ვნახეთ ზევით მოყვანილი ლექსიდან. ხალხმა შესცვალა აბრამის

ხასიათი დასაწყისში და ბოლოს იგი ისევ სტუმართ მოყვარეთ დასახა.

სასულეიერო ლექსების წუალობით ელია და გიორგი მოქიშ-
ხედ არიან დასურათებულნი. შეიცვალა შეხედულება გარეშე ბუნებისე-
დაც. ეფვა-ქუხილი ელიას მიაწერეს, წმ. გიორგი საქონლის მფარ-
ველად დასახეს, თვით იესო ქრისტე ვენახის გაშენების მოთავედ
წარმოიდგინეს.

წმ. გიორგი და წმ. ელია უნათესავდებიან მომაკვდავებს და
იცავენ მათ ინტერესებს. იმერეთში და ქართლში მათ შესახებ აზოკ-
რითული არაკია დარჩენილი, რომელიც თ. აკაკი წერეთელმა ლექსად
გარდაჰქმნა. იმერული ვარიანტი ასე მოგვითხრობს ამ ამბავს.

ახალ-გაყრილი ორი ძმა
ერთმანეთს ეჯიბრებიან,
თუ რა დააკლონ ძმობაში,
კოჭებში შესჩერებიან.

მათ აღარ უნდათ არა რა საერთო, — რძლები გადაეციდნენ ერთ-
მანეთს, ეშმაკებმა აცდინეს. ვერც შვიან, ვერც თოხნიან, დარბილ-
ბიან თან-და-თან. ამ უბედურებას ერთმანეთს აბრალებენ, ცოლები კი
აქეზებენ: მოჰკალი შენი ძმა, მოვრჩეთ და მოვისვენოთო. აცტები
კაენის ცოდვას ერიდებიან. ივინი არჩევენ შესწირონ სამღვთო ღმერთს
და რჩევა ჰკითხონ სოფლის მოძღვარს. ხუცესმა ურჩია ერთგულად
შეევედრათ მაცხოვრისთვის, გაეწმინდათ გული და პატრონად აეევა-
ნათ წმინდა ან მოციქული. წამოვიდნენ მადლობით სახლისკენ.
უმცროსი წმ. გიორგის მიენდო; უფროსმა მფარველად ირჩია წმ.
ელია. მოანათვლინეს მათ შვილები და დაიწიეს ძმურად ცხოვრება.
„ერთხელ რძლებმა ჩამოაგდეს ნათლიებზედ საუბარი: გიორგი სჯობს,
თუ ელია, დიდი დრუბელთ წინამძღვარი“.

ერთმა თქვა, რომ ჩემს ნათლიას
ხელში შუბი უპყრიაო,
ვისაც კი ჰკრავს, არ მოარჩენს, ა
ბევრი სისხლი უღვრიაო.

წმ. გიორგიმ გასწევითა ვეშაპები, რომელნიც პირიდგან აღს

უშვებდნენ. მეორე რძალმა სთქვა, რომ წმ. ელია ქვეყნად არ ჩამოდის, მაგრამ თუ ერთი დაიძახა, დედამიწა შეიძვრისო.

ვენაცვალე!... ეტლით დადის,
ძვირად ადგამს დაბლა ფეხსო,
და თუ უნდა, მაღლიდგანაც
ძირს დაახლის ქექით მესხო.

წაიკიდნენ რძლები და ერთმანეთს „ნათლიები დაუჯანძლეს“. ამ საღამოს უფროს რძალსა შეეყარა ნათლია და შეჰქინნა, რომ ნათლიდელა გულ ნაკლულად არის. გამოჰკითხა და შეიტყო, რომ რძალმა ნათლია გამოუჯანძლა, რა სასწებებელია იგი წმ. გიორგისთან მაღლით ან სასწაულითო. ელიამ დაამშვიდა ნათლიდელა: იმას ამ სიბრიყვისთვის ვუჩვენებ სასწაულსო. დავაცხუნებ ხვალ მზესა და იმის უნას დავხრაკავ ისე, რომ ლუკმა ჰური ენატრებოდესო. ნათლიდელა მხიარული გამობრუნდება და გზაში შეეყრება უცხო მგზავრს, რომელმაც სხვათა შორის უთხრა: თუ დმერთმა ინება, ვატეობ, სახვლიოდ დიდი წვიმა იქნებაო. ქალმა უთხრა, რომ მან „საიდუმლოთ“ იცის, რომ ხვალ დიდი სიციხე იქნება. ვერ მოითმინა და ჯამბო უცხოს, რასაც ქმართან ვერ გაბედავდა. საღამოს წმ. გიორგი უმცროსი ძმისას მივიდა და მისის რჩევით ის უნა უფროსს ძმას მიაუიღვინა. მზემ მეორე დღეს უნა დასწვა და მწუხარება მოედო გულს უფროსი ძმისას. ცოლს შესჩივლა, რომ წუხელი ის უნა ძმისაგან იყოდა. ცოლი მტირალი გავარდა გარეთ და შეხვდა ნათლიას. ქალმა უამბო, რაცა სჭირდა. ნათლიამ უთხრა: ხვალ ისეთს წვიმას მოვიყვან, რომ გავანჯლებ უნასაო. მირბის განარებული ქალი და წინ შეხვდება იმ კაცს, რომელიც გუშინ ნახა. ქალმა ხმა აღარ გასცა მას. წმ. გიორგი უმცროსს ძმასთან მობრძანდა და უთხრა გამოეყინა ძმისაგან ისევე ის უნა. დილას უუყუნა წვიმამ აბიბინა უნა და ამ გვარად უფროსი ძმა მეორედ მოდორდა. უფროსს რძალს უხარიან, რომ „სიმართლემ გამოუბრუნა ჰურიო“, მაგრამ სამწუხაროდ გაიგებს, რომ უმცროსმა ძმამ უნა უკან დაიბრუნა. გამოფარდა ქალი ნათლიის საქებრად. უამბო ელიას ძმის საქციელი. ნათლია დაჰპირდა—სიკრეყას მოვიყვან და უნას ძირიანად ამოვაგლებო. ამას-

თანვე დაბარა ქალს, სიტუვა არავისთან წაგცდესო. დედაკაცი განსაცდელის ასაცილებლად დაძინებას დაჰპირდა. ხის ძირს მართლაც მიიძინა, მაგრამ რაც ელიამ უბრძანა ბოდვაში გაიშეორა. თავს წამოადგა ის მგზავრი (წმ. გიორგი), უური დაუგდო და უველაფერი გაიგო. წმ. გიორგიმ უბრძანა უმცროსს ძმას უანა უკან გადაეცა ძმისთვის. ძმა დასთანხმდა. მაგრამ მუთრე დღეს უანა სეტყვამ ახოგდო და ცოლმა მხოლოდ მაშინ შეიტყო, რომ უფროსმა ძმამ ისევე შეისუიდა უანა. შესჩივლის ელიას უბედურებას.

სთქვა: იმ კაცს სწყალობს ვილაცა
და ის აფარებს სწორედ ხელს!...
მაგრამ ჩემს ფარულს განზრახვებს
ვინ ტყობილობს და ვინ ამხელს?
მაშინ წინ შეხვდა გიორგი
და უთხრა: ჩემო ელია,
საქმეს ის უკეთ წაიყვანს,
ვინც დედაკაცთან ფრთხილია.
რადგან წასული საქმეა,
გამოგიტყდები ამასო,
რომ ვერ ვის დავაჩავგრინებ
მე იმ ჩემ ნათლიმამასო.

მუთრე ახოკრითული მოთხრობა „წმ. გიორგი და წმ. ელია“ არაკად დარჩენილია ქართლში და ლექსად გადაკეთებულა თ. აკაკი წერეთელის მერ.

ჩამობრძანდა დაბლა ქვისტე
ღმერთი ჩვენი მაცხოვარი,
კაცის სახით ქვეყნიერად
დადიოდა, როგორც მგზავრი.

თან ახლდა ელია, ღრუბელთ წინამძღვარი, და წმ. გიორგი, მავნესკან მხსნელი ფარი. ფეხით დაიარა უფალმა კაცის ჭირნახული და დაღაღული ხეს ქვეშ ჩრდილში დაჯდა. მომივდა პური და გავზავნა ელია მეცხვარესთან კრავის გამოსართმევად. ელია მივიდა მეცხვარესთან და გააცნო თავის ვინაობა. მეცხვარემ უარი უთხრა: შენ ისახარ, რომ გვიგზავნი სეტყვასო, საბრალო ცხვრებს უმიზე-

ზოდ თავს უტყვებს და აგლეჯს ტუავსო. ელიამ ეს სიტყვები მოახსენა ქრისტე ღმერთს. გაიციხა უთაღმა და წმ. გიორგი გაუტყავნა.

წმ. გიორგიმ უთხრა თავის სახელი და მეცხვარეს სიაზოვნების ნათელი ზირს მოეთუნა: შენ ის ხარ, რომ მავნესკან მიფარავ, მიირთვი, რამდენიც გნებაგსო. გამოურჩია საუკეთესო და სთხოვა: კვლავაც მობძანდი, როცა კი დაგჭირდესო. ძღვენი მიართვა წმ. გიორგიმ ქრისტეს, შესწავს და შეეძინენ. გათავდა სადილი და უთაღმა დაიბერტყა კალთა და აკურთხა ადგილი: ვინც დასთესოს აქ, ნაშრომზედ ათას წილად მოიმკოსო. ბრძანა ესა და ამაღლდა ზეტას და მსდებლებიც თანაც აიყოლია. მივიდა წმ. გიორგი მეცხვარესთან და უთხრა: შენი სამსახურისთვის მსურს ბედი მოგანიჭო.

ქრისტემ რომ კალთა დაბერტყა,
ის მიწა შეიძინე!
მერე წამოწეკ მხარ-თემოს
და ტბილად დაიძინეო.

მხოლოდ ერთხელ კი დათესე იმ ხრიოკზე ჰური და უმაღური არ დარჩებო. მეცხვარემ უანა მაშინვე იყიდა და ჰური დათესა. გასაკვირველი ჰური მოვიდა, თვით ელიამ ციღვან შეჭნიშნა: რათა ეს ამისთანა! ან ვისია ჰური იქ, სადაც მეუფემ კალთა დაიბერტყაო. გიორგიმ უთხრა, რომ ის ადგილი მეცხვარემ იყიდაო. „მეცხვარემ? ის ხომ არ არის, მე რომ გამკიცხა ადრეო? თავისის სიბრძნისათვის მე დაუყენებ მას თვალსო, ისე დავსეტყვავ უანას, რომ არ შევარჩენ მარცვალსო“.

ეწინა წმ. გიორგის, დაეშვა ქვეყნად და ურჩია მეცხვარეს უანა გაეყიდა. ერთი ვაჭარი უანაში უკვებ აძლეულა ნახევარს ფასს, მეცხვარე უარზე იდგა, საქმე ახლა იმ ვაჭარზედ მიდგა.

მოვიდა უთხრა მეცხვარემ:
ვაპარო, ფული მიჭირსო,
და რა ვქნა, შევშლი ჩემს სიტყვას,
შენ კი ნუ გასტყვებ შენს პირსო.

ვაჭარს იამა, რომ ნახა გაჭირვებული და მიუთვალა კანკალით ფული. იგი მოგების ფიქრებშია.

მაგრამ მერე დილასვე

დაებნა იმას დავთარი:
ძირს დაუწვინა ის ყანა,
სეტყვამ მით დასცა თავ-ზარი.

ახად მომივიდა, ჩემი საქმე არშინია და რა მრჯოდა ჰურთანაო. სტირის, მაგრამ საქმეს რას უშეეღის? ელია მეორე დღეს ეუბნება წმ. გიორგის: ნახე იმ შენს მეცხვარეს, როგორ დავუკე მახეო. გიორგიმ უთხრა, რომ უნა გუშინ ვაჭარს მიჰყიდა და თავ-ზარი აიცილნაო. ეწვინა ელიას და სთქვა: ეს არ მიამა, გამოვუბრუნებ საბრალოს იმ უანას ხელმეორედო. წმინდა გიორგიმ ეს ამბავი მეცხვარეს გადასცა. ამან უკან დაიბრუნა უნა ვაჭრისაგან. ვაჭარს კი უგვირს ეს გულ-კეთილობა.

გათენდა დილა, მოვიდა
ლამაზი წვიმა ყუყუნა,
წამოაყენა პური
და ის ყანა გამოაბრუნა.

ელიამ უთხრა გიორგის: დახედე იმ ჰურს; მეცხვარის ჟინი მჭირს, სხვისთვის კი კარგი არ მშურსო. გიორგიმ სიცილით უპასუხა, რომ მეცხვარემ უნა ისევე გამოიყიდა. განრისხდა ელია და დაემუქრა: „აწ კი ავუკრავ შე კრიჭასო; დავწეველი, რომ ურემში თითო კოდზედ მეტი არ გამოუვიდესო. წმ. გიორგიმ შეატეობინა ეს მეცხვარეს და ურჩია შემდეგი საშუალება.

სხვებმა რომ კიდევ დაგცინონ
და დაგიძახონ ტეტია,
თითო ურემზე არ დასდვა
თითო თაველზე მეტია.

ამ ჩაგონებით:

გამდიდრდა მწყემსი! ყოველს კაცს
გარშემო მაღლი არტყია,
თუ კი ქრისტე ღმერთს მის წილად
კალთები დაუბერტყია.

ამ გვარად ორივე ვარიანტით წმ. გიორგი სჯობნის წმ. ელიას: ხალხი წმ. გიორგის უფრო თანაუგრძნობს.

ფშავეთში დაჩქინილია ლექსად წარმოდგენა შავეთზედ, ანუ ჯოჯოხეთზედ.

რა იცის წუთის-სოფელმა,
შავეთს რა სამართალია⁹
შავეთს ხარ ხნავს ცალა-რქა,
ბარაქა მესტუმრისია...
მოვიდეს ჩვენი მწერალნი,
ჩვენ გვქონდა სამართალია.
შუაზედ ბეწვი გაწყვიტეს,
ეგ არი მაკრატელია.
ვაი ამ ბეწვის ხიდზედა
რა ძნელი გასაველია...

ქვეშ შავი წყალი გამოდის, თვით ჯოჯოხეთის კუთხეში ძნელი
შესასვლელია..

კოდვიანს შეაბრუნებენ,
გზას ნარ-ეკალი ჰვენია,
შიგა დგას კუპრის ქვევრები,
დულს და ამოდის ცხელია.

გარშემო უდგინს ეშმაკები და ძირს ამ კუპრს უნთია გაათრე-
ბული გენია. აქ სხვა-და-სხვა სატანჯველია.

კაცს კაცის მოლალატესა
ჩაუყვეს ენის წვერია,
მამამ შესჩივლა უფალსა,
ეგ დიდი კოდვის მქნელია.
ხელი ჰკრეს, ჩააგდეს შიგა,
მანდა ხარ შესაფერია.

თან გადაყოფეს ეშმაკი, რომელიც უფრო მტერია და მიადხეს:
მაგისი სული შენია:

მალ-მალ ჩაახხი პირშია,
ნადული კუპრი ცხელია,
კაცისა მკვლეელიც იქ არი,
ნათლიის შემგმანელია.

შავეთში ჰკითხეს მოუმესა: შენ ქონებისა რა გერგო? მან უპა-
სუნსა: ნეტავი ჩემი ბედი-დღე მე საცოცხლეში გამეგო, ის ჩემი
ტახე-ღარბაზი, შუა-შარაზე ამეგო, შშივრისად ჰური მეჭმია, გაუი-
ნულ ცეცხლთან გამეთბო, —ამდენის ცოდვის მოქმედსა სული მით
მაინც მომეგო.

თუშეთში საიქიოს ამბავი *) უფრო დაწვრილებით არის გალექსილი. აი თვით ლექსიც. „მინდა ლექსი მოგახსენო ადამისგან დასაჯერი... ჯოჯოხეთი არის ძნელი. მზე რომ დაღმით დაბრუნდება, ქონი ქონზედ დადუღდება, დალოცვილი ქრისტე ღმერთი თქრის სკამზედ დაბრძანდება. გვერდს უსხედან გამეითხველნი, ცოდვა-მადლის ამწონელნი; წინ უწევიათ სასწორები, მაკრატლები, საკვეცილნი, ბეწვის შუაზედ გაგვიყოფენ, საცა სხედან გამეითხველნი. სულის საგებათ გაგვეზანეს მე და ივანე კარტელი, ბეწვის ხიდზედ რომ შევდგეთ, შევშინდით და მიგვხდა ფერი. ამას ამბობს ცოდვიანი: აქაც როგორ გაისვლება. აგრე გავა მადლის მქნელი, თრბივით გაშალა ფრთები. სამოთხეში გადავხვლე ტურფა ისხდა ქალი რაღა. ქალები წინ მომეკებნეს, სამნივ იყვნენ ჩვენი დანი:

— ძმაო, აქ რამ მოგიყვანა,
ვინ-ლა მოგცა იმთენ ძალი?
— დებო, იმან მომიყვანა,
მქონდა ღვთისგან ღიღი ძალი.

— მოდი, ძმაო, პური ვჭამოთ, თბილი პური, ცხარე ძმარი. ადუქი და ისევ წადი, შორით მოგივლია გზანი. აი სატანჯველნიც ჯოჯოხეთში: დედ-მამის მეუღიერეს ცაში ება ენის წვერი, ამხანაგის მოღალატეს კუპრში ედგა ცალი ფეხი. ხარ-გუთნის მოღალატეს ყელს ეხვია პრელი გველი. წისქვილისა მოღალატეს პირსა ერკო სარეკელი.

მოიყვანეს ცოდვის მქნელი, ვერა თქვა რა ვერაფერი—ვერც ხომ პირით განაცემი, ვერც ახალი მინაცემი; ატირდა და ჩამოყარა კორკოტივით ცხარე ცრემლი. მიიყვანეთ, იქ ჩააგდეთ, საცა ჯოჯოხეთია ბნელი, კუპრი დულს, ალი ამოდის, გარს ეხვევა ეშმაკები.

მიიყვანეს მადლის მქნელი, აგრე დადგა ქრისტე ღმერთთან, როგორც კარგი მეზობელი.

— მიიყვანეთ, დაასვენეთ, საც სამოთხის ტახტი არი!—თავით უნთია სანთელი, ფეხითთ გამოუბეს ცხვარი.

— ხელ-პირ-საბანათ მიეცით ორი შუშა ვარდის წყალი, პირიც მაგით დაიბანოს, ეგა სვამს და ეგა ქამს,—იქ მოუვა უღვეელი.

ფშავეთში იახსარის და კომაღას—ღვთის შეილებაღ წოდებულ-

*) „საქართველოს კალენდარი ვ. გუნიასი, 1903 წ.“

ნი არიან—ლექსებიც სასულიერო ლექსებად უნდა ჩაითვალოს. დევებმა მოჰკლეს ქვეით კოზალა და მისაშველებლად გაგზავნეს იახსარი. აუარებელი სასულიერო ლექსთა ნაწევრები შეტანილია შელოცვებში: კკენია, ბეკენია, ბეკენს ხატი ასვენია, ასი სული საქონელი საყდარს შემოსვენებია—აი ნადირთა კბილის შეკვრის შელოცვა. დაწოლის დროს ავის სულის გასადევნად ამას იტყვიან:

დავწვები, დამეძინება,
პირ-ჯვარი დამეწერება,
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი
სულ თავით დამესვენება.

ლ ე ბ მ ნ დ მ ბ ი.

ლეგენდები სასულიერო-ზნეობითი ზღაპარია. წყაროდ ლეგენდებს ჰქონდათ სასულიერო მწერლობა და აზოკრითული მოთხრობანი. ორ-სარწმუნოებრივი კვალი ამჩნევია ლეგენდას: ზეცური ეოფა კაცობრივს ცხოვრებასთან არის დაკავშირებული და უმადლესნი ძალნი მოქმედებენ, ვითარცა უბრალო მომაკვდავნი. ლეგენდაში კეთილი სთვრუნავს ბოროტს, და ეს ზნეობითი დედა-აზრი შეადგენს ღირსებას ლეგენდარული მოთხრობისას.

ქვეყნის შექმნის შესახებ აი რა ლეგენდა ტრიალებს ჩვენს ხალხში. ჰირველად იყო წყალი და ამასთანავე ღმერთიც. სცხოვრებდა იგი კლდეში. ერთხელ ეს ღმერთი კლდიდან გადმოხტა წყალში, აიტანა სიცივემ, დაიწყო კანკალი, მერე ტირილიც. გადმოკარდა თვალთაგან ორი ცრემლი, რომელნიც გადაიქცნენ მიქელად და კაბრიელად. წყალში ჩამტარი ღმერთი იღრჩობოდა, მაგრამ ახლად გაჩენილი ანგელოზები ამოუდგნენ იდღებში და შეაჩერეს მადლა. ბოლოს, სამთავემ მოინდომეს მიწის გაჩენა, რომ ფეხი დაეცათ სადმე. დაუწუეს წყალს ბერვა. წყალი შუაზედ გაირღვა და გამოჩნდა ძირი. როდესაც ჩაუშვენ იქ, კვალი შეამჩნიეს და გაუგენ ამ კვალს. გამოხტა ეშმაკი, ეცა-ღმერთს უელში და არჩობდა. თუ არ მომკლავო, უთხრა ხეყნით ღმერთმა ნახევარი ქვეყანა შენთვის დამით-შიაო.

ამ ლეგენდაში საუურადღებო ის არის, რომ ქვეყნის შექმნაში და მის განგებაში ეშმაკს წილი თვით ღმერთმა დაუდო. ეს მხარე უახლოვებს ჩვენს ლეგენდას სხვა-და-სხვა ხალხთა გადმოცემას. სვანეთში დარჩენილია თქმულება, რომ სატანამ იესო ქრისტე ნახევარ გზიდან დააბრუნა. ახლაც უჩვენებენ ცაგერიდან 10—12 ვერსზედ იმ ადგილს, სადაც მაცხოვარმა გამოაბრუნა რაში. ცხენის ნაფეხური ქვას ატყევიან და ეს ადგილი შემოფარგლულია ქვით. კახელების და ართლებების წარმოდგენით გარდა ამ ქვეყნიერებისა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, არის კიდევ ორი ამ გვარი ქვეყანა: ერთი ჩვენ ზევით და მეორე ჩვენ ქვეით. ჩვენ შუაში ვცხოვრობთ და ამიტომაც ქამარს ვირტყავთ შუა ტანზედ, ჩვენ ზევით მცხოვრებნი კი გულზედ ან ყელზედ იხვევენ და ჩვენ ქვევით თექობზედ.

ფშაგები ამბობენ, რომ ღმერთი და ეშმაკი ძმა და და არიან. დამ გააფარა ძმა და ამ უკანასკნელმა დასწუევლა იგი. ამის შემდეგ და გადაიქცა ეშმაკად და ცდილობს ღვთის ქმნილებას ზიანი მოუტანოს. როცა ღმერთმა შექქმნა ცა ბადიდან, ეშმაკმა შექქმნა ეშმაკები ბადის დასაკუწავად. ღმერთმა მამინ დაჭბადა კატა. უფალმა გააჩინა ბადი, ეშმაკმა მის ამოსაგდებლად გამოიგონა თხა. ღმერთმა თხის მტრად შექმნა მკეელი.

ღმერთმა ადამ და ევა ბრმათ შექქმნაო, ამბობენ სვანები. ამათ გამოეცხადა სამოელი და ევას ჩაატონა აკრძალული ნაყოფი მოეწუვიტნა. მას შემდეგ მათ თვალები აეხილათ. სამოელი წავიდა ღმერთთან და მოსთხოვა, რატომღაც მათ თავისი ნაწილი მიეცა. თუ არაფერს მომცემ, „სათიცარი“ მანინ მომეო. უფალმა მისცა სათიცარი. სამოელმა სათიცარი ჩაუღაპა და ჩავიდა ჯოჯოხეთში. როცა ქრისტე დაიბადა და აგრეთვე ჯოჯოხეთის მივიდა, სწვდა სამოელს ეელში და „სათიცარი“ ამოაგდებინა. ამ სათიცარს ის ძალა ჰქონდა, რომ რაც უნდა შეეწირა კაცს ღვთისთვის ან მიცვალებულისთვის, უოველითური სათიცარის მქონებელს მისდიოდაო. სათიცარი ამ გვარად უდრის ადამის ხელწერილს, რომელიც ცნობილია უცხოთა ლიტერატურაში. სამოელმა ვერ მოინელა სათიცარის წართმევა და ისე დაუბნნლა ქრისტეს ჯოჯოხეთი, რომ ორი თვე მაცხოვარმა და

მისმა თანამგზავრებმა გამოსასვლელი კარი ველარ იპოვნეს. გამოსვლა მოახერხეს იმ ვირის ხმაზედ, რომელიც ერთმა კაცმა, ქრისტესთან ჯოჯობხეთში შესულმა, დაბა კარზედ და პატრონის ძახილზედ უროყინი დაიწყო. ქრისტე დაჰპირდა ამ კაცს იმდენს ოქროს, რამდენსაც იგი აიწონდა. კაცმა კი უბიძგან გამოიღო გული და მოახსენა უფალს, რომ იგი დაკმაყოფილდება იმდენით, რაც დაჰყარავს ამ გულს. დაუარეს გულს ურიცხვი ოქრო, მაგრამ მის დაფარვა ვერ შესძლეს, რადგან გული ადიოდ-დადიოდა და ოქროს ჰყვანტავდა. ბოლოს ვიღამაც დაუარა გულს ერთი მუჭა მიწა და გულიც შეჩერდა. სიკვდილიც ამ დროიდან მომდინარეობსო, უმატებს ჩვენებური ლეგენდა. ამ გვარი თქმულება დარჩენილია როგორც ევროპელთ ხალხთა შორის, აგრეთვე თინებსა და თათართა შორისაც.

ადამის ხელწერილის მიცემა, ცნობილი აპოკრიფულს შწერლობაში, საქართველოშიაც არის გავრცელებული. შინაარსი ამ ხელწერილისა შემდეგია. როცა ევს დათრსულდა და მშობიარობის ჟამი მოუხლოვდა, მაშინ ტკივილების გამო დაიწყო გვნესა და ტირილი. ცოლის მწუხარებამ ადამიც დასჩაკრა. გულ-მოკლეულმა ქმარმა გამოსთქვა სურვილი, რომ სულეველაფერს მისცემდა იმას, ვინც ევას ტკივილს შეუმსუბუქებდა. გამოჩნდა სამოელი და მოახსენა ადამს: შე მოგარჩენ ევას იმ პირობით, რომ ვიდრე დაუბადებელი არ დაიბადება და უკვდავი არ მოკვდება, შენი ნათესავი და ჩამომავალი ჩემს ხელში და გამკებლობაში იყვესო. ადამი დასთანხმდა. ამ გვარად ადამის ტომი სამოელის უმა შეიქმნა. განრისხდა უფალი, შეჰკრიბა ანგელოზთა გუნდი და გადაწვიტეს თათბირის შემდეგ, რომ დაიბადოს იესო ქრისტე, როგორც დაუბადებელი და უკვდავი. დაიბადა ქრისტე და სამოელის მფლობელობაც მოისპო.

კაცის შექმნის ლეგენდა მოგვითხრობს, რომ უფალმა ადამიანს 30 წლის ცხოვრება უბოძა. ადამიანმა გამოსთხოვა კიდევ 20 წელიწადი იმ 40 წლიდან, რომელიც ვირს ებოძა და 40 იმ 60 წლიდან, რომელზედაც უარი სთქვა ღორმა. ამიტომაც კაცი, თუმცა 100 წლამდის ცხოვრობს, მაგრამ ადამიანურად მხოლოდ 30 წელს.

დმერთი, წმ. გიორგი და მთავარ-ანგელოზი ერთად მოქმედობენ სვანურს ჯეგენდაში:

დმერთმა დაგლოცოს... იყო სამი ძმა. მათი ქონება იყო ერთი უნა, ხარი და ძროხა, ერთი ვერძი და ერთი გოდორი საკმეველი. უფროსი ძმები ცოლიანები იყვნენ, უმცროსი კი უცოლო. შეიძულეს რძლებმა უცოლო მზელი და სიცოცხლე გაუმწარეს. უმცროსმა უთხრა ძმებს სჯობს გავიყარნოთ, ვერძი და გოდორი საკმეველი მომეცით და დანარჩენი დმერთმა მოგახმაროთ. ეს მისცეს ძმებმა. ამას ჩააბა ვერძს ბაწარი, საკმეველი გოდორით ზურგზედ მოიკიდა და გაუღვა გზას. მიადგა ერთს კლდეს. აქ ვერძი მიაბა, თვითონ კლდის თავზედ ავიდა და აიტანა საკმეველი. დანთო ცუცხლი და დააკმია საკმეველი. ამ დროს ქვეუნი ბატონი (დმერთი) სადილად ზის. წმ. გიორგი და მთავარ-ანგელოზი გვერდს უსხედან. საკმეველის სუნმა ამათ სუფრაზედ მიაწია.

— ამისთანა კარგი სუნი არაოდეს არ მიუხსია, სთქვა დმერთმა. შემიტეუთ,—უუბნება წმ. გიორგის და მთავარ-ანგელოზს,—ვინ არის ჩემი მახვეწარი და რაც ესაჭიროებოდეს, უველა აუსრულეთო.

მოვიდნენ ესენი ამ კაცთან. წმ. გიორგიმ ჰკითხა, რა გაგჭირდება, შე საბრალო კაცო, ქვეუნი ბატონთანაო.

— ჯერ ცოლი მინდა ვიშოვნო და მერე საცხარეებელიც, მიუგო კაცმა.

წმ. გიორგი და მთავარ-ანგელოზი ესტუმრნენ კეისარს. ამას სამი გასათხოვარი ქალი ჰყავს. წმ. გიორგიმ და ანგელოზმა უთხრეს კეისარს: მიეცი შენი ქალი ამა და ამ კაცსაო.

კეისარმა მიუგო, რომ სამი სასიძო სახლში უკვე უზის.

— მაშ თუ ასეა, სთქვა წმ. გიორგიმ, მე და შენი სასიძოები დაუნადგევდეთ: ვინც აჯობოს, იმას დარჩეს ქალი ცოლადაო. რაზედ? კერასთან—ცუცხლის პირად ვაზები დარგონ შენმა სასიძოებმა და ჩვენმა კაცმა; ვისმა ვაზმაც იხაროს და ზეკით ეურძენი მოისხას, შენი ქალი მან წაიყვანოსო. კეისარმა მოიუყანა სასიძოები და წმ. გიორგიმ ის კაცი. დარგეს თვითეულად ვაზები. კაცის ვაზმა იხარა

და მოისხა უურძენი; სასიძოების ვაზები განმნენ. კეისარმა სამს ქალში აარჩია ქალი და მისცა ამ კაცს ცოლად. წმ. გიორგიმ ამას-თანავე გადასცა პირსახოციც და უთხრა: სადაც საცხოვრებელი ადგილი მოგეწონოს, იქ ცერად დააყენე—სახლ-კოშკი აშენდება, გვერდ-ზედ დაჭოინე—სახნავ-სათიბი ადგილები განხდება, დაკეცე—ტყის ფოთოლივით მოცვივა ოთხფეხი საქონელი.

კაცმა მადლობა გადაუხადა და მოვიდა ერთს მინდორში. მოეწონა ეს ადგილი. დააყენა პირსახოცი ცერად, მშვენიერი სახლ-კოშკი აშენდა, გვერდზედ დააფინა—თვალ-უწვდენელი სახნავ-სათიბი განხდა; დაჭკეტა—აუარებელი პირუტყვი მოზღვაგდა. წმ. გიორგიმ ინახულა ეს კაცი და დააუღა: ვინც უნდა მოკადკეს კარს სტუმრად, უარი არ უთხრაო. დალოცა და წავიდა. მოეწია ეს კაცი და ჰკითხა: კარკათ მოაწიე ჩემი საქმე, მაგრამ ერთი რამ მაკლია—შვილებს მომცემ თუ არაო. წმ. გიორგიმ უპასუხა: ჰე, აღამიანი უოველთვის ხარბია, ვსთხვოვ ქვეყნის ბატონს და მოცტემს შვილებსაო. მოვიდა წმ. გიორგი ქვეყნის ბატონთან და უამბო ყველაფერი.

— შვილებს მივცემო, —ბძანა ქვეყნის ბატონმა; ერთს ვაყს და ერთს ქალიშვილსაო, მზის და მთვარის მსგავსს, მაგრამ იმ ზირობით, რომ ვაყმა შუახნამდის იცოცხლოს და მერე ადიდებულის წყლის წერა იყოს; ქალი-შვილი კი შუახნის შემდეგ, —თოვლის ზვავისაო. წმ. გიორგიმ სთხოვა მზის და მთვარის მსგავსნი ნუ იქნებოდნენ კაცის შვილები და მის მსგავსი უოფილიყვნენ და ეცოცხლათ. —ჰე! წმ. გიორგი, შენ მუდამ აღამიანის მხარე გიჭირავს, შენი სიტყვა იყოს: ვაძლევე ქალ-ვაყს. ისეთი ღამაში შვილები ეყოლა, რომ კეისარს შეჭოერის მათი შვილობა. გავიდა რამდენიმე წელიწადი. სთქვა მიქელ ანგელოზმა: ვესტუმროთ, წმ. გიორგი, ჩვენ მიერ დასახლებულს კაცს, ახსოვს თუ არა ჩვენი ნათქვამი სიტყვა სტუმრის მიღების შესახებო. წმ. გიორგი დასთანხმდა. მიიღეს კაცის სახე და გასწიეს. თან ავდარი გაიყოლიეს და მადგნენ ამ კაცს საღამოს: კაცო, მადლი ჰქმენ, კოტკებამდე დასველებული ვართ, სიცივით ვკვდებით, ამაღამ ბინა მოგვეცეო.

— ვინგინდარა წოწილს დაიწიებს, მე ყველას ბინა მივსცეო!

არ. უშვებს სახლში, მაგრამ ძალა დააეუნეს და შინ შევიდნენ. სთხოვეს ვახშამი, მაგრამ მასპინძელმა არაფერი არ აღირსა. როცა საშველი არ მისცეს, მაშინ ამ კაცმა გაგზავნა შვილები ჭურკებზე სასმელის მოსატანად. წმ. გიორგიმ თავისთვის წაიჩურჩულა: ორივე შვილები ჭურკში ჩაფარდით და დაიჩრევიეთო. ასეც მოხდა. უთხრა წმ. გიორგიმ ამ კაცს: შეიტყე, რატომ დაგვიანდნენ შენი შვილები ჭურკზეო. წავიდა და ორივე შვილი დამრჩევალი ნახა ჭურკში. ამოიღო იქიდან, ერთი ერთს იღლიაში ამოუდგია, მეორე მეორეში და შემოიტანა სახლში. დაიწყეს ტირილი დედ-მამამ. შეეცოდა წმ. გიორგის. მოუსვა თავისი პირსახოცი მკვლარს ბავშვებს, ორივე გააცოცხლა. კაცს უთხრა: ჩვენ შენი დამსახლებულნი ვართ, ჩვენს ნათქვამს ახლა მანც თუ არ ასრულებ, შვილებსაც დაგიხოცავთ და შენს ცხოვრებასაც მოვსპობთო. კაცმა უთხრა: ოღონდ მაპატივეთ და თქვენს ბძანებას აღარ გადაუდგებიო.

აზრი ამ ლეგენდისა ზნეობითია. სტუმრის მოუვარეობა თვით ღვთისაგან არის ნაკურთხი, მისი დამრღვეველი დაირჯება ისე, როგორც ამ ლეგენდაში დასახელებული კაცი..

სახალხო სიტყვიერებას დააჩნია თავისი კვალი საბუნებისმეტყველო კრებულებმა, ესრედ წოდებულმა ფიზიოლოგმა (ნახე ზემოთ), ცხოვრების სიმბოლიკამ, ეფუთებმა, კალენდრებმა და კოსმოგრაფიულმა წიგნებმა. წმ. ბასილს დიდი ღვთისნიერებით მოსიღმა ფახტაზიამ მიაკურა გოჭის თავი. ყველა ერის პოეზიაში, სადაც ბასილია ნახსენები, გოჭის თავიც მოუვანილია. პირველს იანვარს მისი დღეობაა. სუფრაზედ ღორის ან გოჭის თავი აუცილებელია საქართველოში. ახალ-წელიწადს მოკაზმავენ კაცს დათვის სახით, ეძახიან „დათოს“, „ბერიკელას“. — ეს უკანასკნელი ღორის სახით არის მორთული. ასე წამოდგა გურული „კალანდობა“.

— კარი გამიღე! ეუბნება გოჭის შემოსატანად გასული კაცი შინაურს.

— ვინ მოგყავს? უპასუხებენ შიგნიდან.

— წმ. ბასილა მობრძანდება, ღვთისა და ბატონის წყალობა მოაქვს.

აპოკრიფთულმა მწერლობამ თვით ისარგებლა ხალხის წარმოდგენით და შემდეგ გავრცელდა ზეპირ-სიტყვაობით. აი რა ძველი თქმულებაა შეტანილი მათე საუკუნის შატბერდის კრებულში. რაისათვის დაიბადა კაცი უკანასკნელ ყოველთა.

„არდა იყო ჯერეთ დაბადებული ესე, კაცსა გიტყვი, ჰოვნიდ შვენიერებასა შინა არსთასა. რამეთუ არა ჯერ იყო, რათა გამოჩნდეს მთავარი უწინარეს სამთავროისა მისისა. არამედ ჯერ იყო ჭეშმარიტად, რათა განიმზადოს სამეუფოთი ჰირველ და მამინ-და გამოჩნდეს მეფე. ვითარ განმზადა დაბადებულმან ყოველთამან საუნჯე სამეფოთი: და არს ესე ქვეყნაი, ზღვანი და ხერთვისნი (ჭალაკანი) და ესე ცაი, რომელი არს მაგრადობელ მათ ზელა და იუნჯა საუნჯესა ამას ყოველი სიმდიდრე, ესე იგი არს სიმდიდრე ყოველთა დაბადებულთაი: მცენარეთაი, ხერგთაი, ცხოველთაი და უოველნი ესე სულ და უკეთუ გინდეს აღრაცხად სიმდიდრე ბუნებათაი და რომელი მათგან განშვენდების წინაშე თვალთა კაცთასა მსგავსებაი ოქროისაი და ვერცხლისაი და ესე ქვანი ჰატოისანი და ბრწყინვალენი, რომელნი საკვირველად ჩანენ წინაშე კაცთა... ამისა შემდგომად გამოაჩინა სოფელსა შინა, რათა იუოს კეთილთა მათ ზელა უფალ და სცნას ძალი შემოქმედისა თვისისა. ამისათვის შეიყვანა კაცი სოფელად უკანასკნელ დაბადებულთა, არა თუ შეურაცხებისა მისისათვის უკანა მოაქცია, არამედ რათა იუოს მეფე დაბადებიდგანვე მისით... მეუფემან რაჟამს შეამყო დაბადებული ყოველთა შვენიერებითა და განმზადა საყოფელი ესე დიდებული და ჰატოისანი, მამინდა შეიყვანა კაცი და მისცა მას საქმედ მონაკები რჩეული და მომზადებული“.

აი ლეგენდარული ახსნა რისთვის შექქმნა უფალმა კაცი, — გვირგვინი მსოფლიოსი, — უკანასკნელ ყოველთა ღვთის ქმნილებათა.

ძველი აღთქმიდგან არის ამოდებული სახელი ერთი ლეგენდისა: „წინასწარმეტყველი ელია ხარაზი“. ამ ლეგენდაში გარდა სახელისა მეტი საისტორიო აღარათერი დარჩენილა. ხალხმა ამ წინასწარმეტყველს მიაკერა ასეთი გადმოცემა, რომელსაც სრულიად არა აქვს კავშირი მის ცხოვრება-მოქმედებასთან. ეს ჩვეულებრივი მოგვლენაა ზეპირ-სიტყვაობაში. საქმე დედა-აზრისა და არა პირთვნობა

დეკენდარული გმირისა. წინასწარმეტყველი ელია ხელობით ხარაზი იყო. ისეთი ჰატოისანი ოსტატი და წმინდა კაცი არ შეიძლებაოდა. ერთს ჰატარა დერეფნიან ღარიბულს სახლში ცხოვრობდა. ხალხს ისე იყო მორიდებული, რომ არც ერთს თავის მუშტარს სახეზედ არ შეხედავდა. ამიტომ ასეთი წესი შემოეღო. მუშტარი რომ მოვიდოდა ფეხსაცმელის შესაკვეთათ და კარებს დაუგაკუნებდა, ელია შიგნიდ-განვე ჰკითხავდა, რა გინდაო? ფეხსაცმელიო, ეტეოდა მუშტარი. — ემანდ დერეფანში ნაცარია, შიგ ფეხი ჩაადგი და წადი, ხვალ მზად იქნებაო. ხალხს ოსტატი უფვარდა და ღმერთსაც მიჩნეული ჰქევანდა. ეშპაჟა მობინდობა ელიას შეცდენა. იქცა ქალად და მიადგა კარს. რა გინდა? იკითხა ელიამ შიგნიდგან. — ფეხსაცმელი მინდა შეგაკერინოო. დერეფანში ნაცარზე დაადგი ფეხი და ხვალ მზად იქნებაო. — არა, შენ თითონ აიდე ზომამო. არ მოეშვა წეუული; რამდენიმე დღე ასე ჩააცივდა. ელია ჭერ უარზედ იყო. ბოლოს იფიქრა: ეკეც ადამიანია, შემოვუშვებ, რას დამაკლებსო. დასვა სკამზედ და ზომის ადებას შეუდგა. წეუულმა კაბა მუხლამდის აიწია. ეს იწუნა ელიამ; აიღო მახათი და ორი თავალი გამოიჩინქნა. თვალებ-გამოთხრილი ელია წავიდა გოჯგოთის მთაზედ. ავიდა ზედა და იქიდგან დაგორდა. ასრე ეწვალა რამდენიმე დღე ცოდვის გამოსასუილლად. ღმერთს მთახსენეს ელიას ამბავი. უფალმა გამოუგზავნა ხუთი ანგელოზი. ანგელოზებმა უთხრეს: ღმერთი მიგიწოდს შენი ეგეთი ჰატოისანი და წმინდა ცხოვრებისათვის. უნდა ცაში წაგიყვანოთო. ელიამ უფალს მხურვალე მადლობა შესწირა. შეგირდმა რა ნახა, იმის ოსტატი მალღა-მალღა მიდიოდა, ტირილით დაუძახა: ოსტატო; შენ რომ ზეცას მიდინარ, მე რაღა მეშველებო? მაშინ მოიხსნა წმ. ელიამ ტყავის წინსაფენი, ჩამოუგდო ელისეს და უთხრა: აჰა, ამით იცხოვრე ქვეყანაზედაო. თითონ ზეცას წავიდა და ქვეყნად დარჩა იმის შეგირდი ელისე და ხარაზობით სჭამდა ზურს.

ხარაზები თავიანთს ხელობას ელია წინასწარმეტყველს მიაწერეს. ამიტომ იგი თავიანთ მფარველად მიანინათ. აწინდელმა შეხედულებამ, რომ ელია ხარაზების ჰატრონია, შეჰქმნა თვით ეს ლეგენდა.

ზოგს ლეგენდაში განუენებელი აზრია გატარებული: უკვდავება სიმშენიერისა, თანასწორობა უოველი სარწმუნოებისა ღვთის წინაშე, სიუვარულის დაბადება და სხვ. ამ უკანასკნელს მოვიყვანთ იმ ლეგენდიდან, რომელიც დაბეჭდა ვაჟა ფშაველამ სათაურით **გოჩი** *).

ძველის-ძველად ზღვის პირად სცხორობდა გამოქვაბულში ერთი კაცი, სახელად გოჩი. უზარ-მაზარი, თავ-დიდი, კბილ-დიდი, ცხვირ-დიდი იყო გოჩი; მის გაწეწილი თმა-წვერი კაცის გამხმარი სისხლით იყო მორთული. გოჩმა ახალგაზღობა კაცების ჭამაში გაატარა. დაბერდა გოჩი; ცოცხალს კაცებზედ დაბურულს ტუეში აღარ შეეძლო ნადირობა; მუხლი და მკლავი აღარ მისდევდა; ახლა გოჩი მხოლოდ ზღვაზედ იყო დამუარებული. გამოვიდოდა იგი ზღვის პირად, აცქერდებოდა ღამს და ქვიშას, ეძებდა გამოარიყულს დამხრჩვალს კაცს. ხშირად უსრულდებოდა სურვილი და მისი ბინა კაცის ძვლებით იყო სავსე. გამოქვაბულის ზემო თავში ელაგა გამოხრილი ჩენჩხოები, კარებისაკენ წვრილი ძვლები: კანკები და ხელის თითები. გაძებოდა გოჩი, წამოჯდებოდა კლდის პირად და ათამაშებდა ძვლებს. თავის სიცოცხლეში გოჩი კმაყოფილი იყო, მაგრამ ერთს დღეს სიბერის უამს ფრიალ შეწუნდა, გიჟივით დარბოდა ზღვის პირად, აწვეტდა კლდეს თავს, კვნესოდა და ხვნეშოდა. გოჩი დაიქანცა, დაეცა დედამიწაზედ და დაიძახა: დმერთო, მომეცი, რაც მკლავიაო. მოწყალე დმერთს შეეცოდა გოჩი და გამოუგზავნა სიუვარული, რადგან მისი ნაკლი ეს იყო. სიუვარული ზირველად მაშინ ჩამოვიდა ქვეყნად. სიუვარული წამოვიდა ცილამ პატარა ნაზი ჩიტის ტოლა, ჩიტის სახით და დაჯდა გოჩის პირ-და-პირ ერთის კლდის თავზედ და მოჰკუკა სიმღერას. გოჩს ბევრი ჩიტის სიმღერა გაუგონია, მაგრამ ეურღი არ უკვია. სიუვარულის სიმღერაზედ კი დაჰკიდა თავი, გაელიმა და იგრძნო საურხოვო ძალა. მოინდომა სიუვარულთან ახლო მისვლა, მაგრამ, ვიდრე ის ადგებოდა, სიუვარული თვითონ მიიფრინდა და დაჰჯდა წინ. სიუვარულმა ნახა კაცის ძვლები, გასისხლური კარისპირ და შეეზარა.

*) „ივერია“ 1886 წ. № 249.

— მოგეწონა ჩემი ხმა? ჰკითხა მან გოჩისა. — ფრიალო, — მიუგო მან, — ნეტავი სულ ჩემთან გამყოფა და ეგრე გაგალობათ. სიყვარული გაფრინდა და ჩასახლდა გოჩის გულში. გოჩის სიყვარული ტყუილსავე მოხვდა, იგი გაეფითლდა, დაიწყო გრესა და მისი ეს ტანჯვა წინანდელს ბევრია აღემატებოდა. მისი და ზღვის ბობოქრობა ერთმანეთში არეული მთა-ბარსა სძრავდა, ტუის ნადირი და ფრინველები გაფრთხნენ და გადაიკარგნენ. ერთი წელი მისუსტებული ეკლო გოჩი, ჰირიდგან ღორბლი და ქაფი სდიოდა. ერთის წლის შემდეგ გოჩი მოიჩა და გადახალისებულად იგრძნო თავისი თავი. მიიხვდა და, ნახა რა კაცის დახრილი ძვლები, შესწუხდა, სიბრალული გულში გაუღვიძა და ტირილი დაიწყო.

— ეს რა ჩამიდენია; ნუ თუ მართლა კაცის მკამელი ვიყავ? ჰკვიროდა იგი გამწარებული.

მოჰკრიფა ძვლები და თან ლულულულებდა: თქვე უბედურებო! ვაი შენ ჩემო თავო!

მაგრამ ამ აზრზედ დიდხანს არ იდგა გოჩი. ერთხელ იგი დადიოდა თავის სადგურის ახლოს. დაინახა ერთის ჭანდრის ძირში, რომელსაც წვერამდის ვაზი ახვეოდა და ზედ ფრინველთ დაესახურა, წყლის ჰირას, ბალახებში იჯდა დედა-კაცი; ამას ჰატარა ბაღლი გულზედ მიჰხუტებოდა და ძუძუს სწოვდა. გოჩმა თვალი შეასწორო, წამოემარა და დედა შეიფითურთ დაიჭირა. დედა შეიფის არ ანებებდა, გოჩმა მოჰკლა დედა და ბაღლი ხელში აიყვანა. ფუნთუშა ბაღლი ხელში აიყვანა: გემრიელი ხორცი ექნებოდა, იფიქრა გოჩმა და მოინდომა მისი შუქმა. მაგრამ გულიდამ ხმა მოესმა: რას შერები, შე წყეულო, ბავშვი არ შესჭამო!

გოჩი კახალმა აიტანა. ბაღლი დასო და გამოტრიალდა. შესდგა. ბაღლის ხორცი მოაგონდა, დაბრუნდა და ბაღლი ხელში აიყვანა. „ჰაა, ციცო!“ მოესმა კიდევ ხმა. გოჩმა დასვა ბაღლი ისევ ბალახზედ და გამობრუნდა. მაგრამ უცებ მოტრიალდა, დაიდრიალა და სწრაფად გაკლიჯა ბავშვი შუაზედ. შეჭამა-რა იგი, გოჩმა სინანული დაიწყო. მას შემდეგ რამდენიმე სხვაც შესჭამა და სინანულს მამინ იწიებდა, როცა გაძლებოდა. ერთის წლის სიყვარულმა ასის წლის

ჩვეულება ვერ დასთრგუნა. ახლა უფრო მოუსვენრად იყო: სინიღისიც და ჩვეულებაც ერთად აწუხებდნენ. დაუწყო ღმერთს ხვეწნა.

— ღმერთო, მომაშორე ეს რაღაც ბარგი ამკიდე—სვინიღის-სიუვარული, რომ დასვენებული ვიყო!

იწინა ღმერთმა გოჩის თხიფნა, მოისაზრა მისი წარსული და გარდაწვევითა ისეთ მდგომარეობაში ჩაეკლო, რომ თავის თავი თვითონ დაესვენებია. ამიტომ გამოუგზავნა დამბადებელმა გოჩის გაუმადრობა. რამდენსაც მეტს სჭამდა გოჩი, იმდენი უფრო უცხოფლებოდა კუჭი. ბოლოს სთქვა: ესეთი სიცოცხლე ღმერთმა შეარცხვინოსო! ადგა, მოძებნა მადალი კლდე, შედგა იმაზედ და იქიდგან გადაიჩხა. დაიმსხვრა გოჩი: ფეხები ცალკე გადაცვივდნენ, თავი და ხელები ცალკე.

სწეობითი ხასიათი აქვს აგრეთვე ლეკუნდის ყვავის საყდარი *).

საკურამოს, ზედაძნის მთის ძირში, არაგვის მარცხენა ნაპირზედ, გზის პირას არის ერთი ჰატარა ძველი ქვით-ვირის ოთხკუთხი შენობა, რომელსაც თალი ჩამოჰქცევია. ამ შენობას ხალხი ყვავის საყდარს ეძახის. აი რა მიზეზით. იქ, სადაც ეს საყდარია, მის გარშემო მინდვრებში ერთხელ, დიდი ხნის წინად, დათესილი იყო ზური და საუცხოყო უჩინე შემოვიდა. ამ უჩინის მოსამკვლად ჰატარისმა შეპატონემ გამართა ხადი ანუ მამითადი. დღე მამითადისა იყო მშვენიერი. მომკლები ყოჩაღად მკიდნენ. „ჭორო-ზუნა“ ყოველ მსრით გაისმინდა. მათ მოსძახოდნენ მთანი ტყიანნი და იმათვე ახლბის არაგვი შეუზოვრად მოუთამაშებდა გარემო თვისსა ატეხილს ჭაღებს. მოვიდა სამხრობის დროც. სიმღერით სვე ბოლოში გაიტანეს და შეგროვდნენ დიდი მუნის ქვეშ ჯერის მისართმეფად. ნამგლები ხის ძირში დააწვეს და თვითონ მხიარულად ჩამოწკრივდნენ. შეუდგნენ რა ზურის ჭამას, ზემოდგან მოესმათ უსიამოვნო ხმა: ყვავი დასჩხაოდა და შეუწვევტილივ გაიძახოდა: ყვა! ყვა! ყვა!

— ე ოხერ-ტიალს რა უნდა ჩვენგან! მოგვაშორეთ ეგ ნაკისი!

*) ეურნალი „ნობათი“.

სთქვა მეთაურმა. ერთმა შესამკლემ გაათხოვო ყვავი, მაგრამ ის უკახ მოჭოფინდა მუხანჯედ და დაიწყო ჩხავილი. ერთმა შესამკლემ ქვა ესროლა ყვავს, მაგრამ ამან გაფრენა მოასწრო. ისევ ჭამა მუხის ძირას. მზარეული ქვაბთან მივიდა, რომ ხალხს მოხარშული წვენი ჩამოურიგოს. ხელში ჩამჩად აიღო. ამ დროს გაისმა ყვა! ყვა! და მალედაც ელვასავით ყვავი ქვაბში ჩამოიჭრა, გაიფუფქა და შიგვე ჩაიხრჩო. წაწილწა სასტუმელი, ამოღენი ხალხი უსადილოდ დასტოვა. შეწუხდნენ მასპინძელიც და მზარეულიც.

გაჯავრებულმა მზარეულმა ქვაბი მოაპირქვა და რა ნახა? ხორცთან ერთად ქვაბში დიდი გველი ჩახარშულიყო. ხალხს კანკალი დაწკებინა და მიხვდნენ სუფეკლანი, თუ რისთვის დასჩხაოდა ყვავი. თურმე ყვავს დაენახა ხიდგან, რომ გველი ქვაბში ჩავარდა მზარეულის შეუმჩნეველად, და თავის ჩხავილით ატეობინებდა ხალხს განსაცდელს. რაკი ჩხავილით ვერა გააწყო-რა, გადასწვევით თავი დაედო და თავის სიკვდილით ხალხი განსაცდელისაგან ესხნა. ხალხმა ყვავი წმინდანად აღიარა და სასწაულის სახსოვრად ააშენა ეკკლესია, რომელსაც უწოდა „ყვავის საუდარი“.

ღეგენდა „ქრისტეს ვაჟი“ დამყარებულია სახარების სიტყვებზე: რომელსა ნებას შემოდგომად ჩემდა, აღიღენ ჯვარი თვისი და შემომიდეგ მე. ერთმა საწყალმა კაცმა, სახელათ ქრისტესიამ, გაიღო მხარზედ ხის ჯვარი და წავიდა ქრისტეს საძებნელად. ბერებმა ეკლესიაში დაუენეს ჯვარცმის წინაშე და უთხრეს: ევედრე ქრისტეს და ნამდვილად იხილავო. შენი ჭირიმე, ქრისტე, შესთხოვა ქრისტესიამ, ჩამოდი ჯვარიდგან და ლეგმა-პური ერთად გჭამოთო. ქრისტე მართლაც ჩამოვიდა ჯვარიდგან, და ეს შენიშნეს დარაჯობად დაუენებულმა ბერებმაც.

სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ხასიათისანი არიან აგრეთვე გადმოცემანი „ყვავის ციხეზედ“, „ბერზედ“, „ჰალეოსტომზედ“ და სხვ. ეგნატე ნინოშვილმა ჰალეოსტომის შესახებ დაგვიტოვა შემდეგი ღეგენდა. იქ, სადაც ახლა ჰალეოსტომია, ძველად ხმელეთი იყო. აქ ცხოვრობდა ჰალეს ოჯახი. ერთს დღეს ცოდვიანი ხალხის დასასჯელად, დელა-მიწა ჩაინგრა, ამოვიდა წყალი და მცხოვრებლები

დადრჩო. გადარჩა მხოლოდ ერთი კაცა (დარჩია), რომელმაც მოასწრო ჯვარის გადატანა ჟუმათში. ჰალეოსტომს ეწოდა სახელი სიტყვებიდგან **პავლე ტომი**.

ამ გვარი ლეგენდა არსებობს ახტალის ტალახის წყაროზედ. იქ, სადაც ახლა ამოჩუხჩუხებს რკინის ფერი ტლახო, ოდესღაც ეოფილა კალო. ფერისცვალება დღეს ამ ადგილას მღვდელს გაუღეწია ჰური. იესო ქრისტემ გაიარა ამ დროს და დასწევვლა მღვდელი. კალოს მაგივრად გაჩნდა სამეურნალო ტლახო, რომელსაც ძირიდგან ხან-და-ხან ამოაქვს ნიხაბი, კეტი და სხვ. არის აგრეთვე გადმოცემა, რომ კახეთის ველი წინად წარმოადგენდა ზღვას და ხალხი კი სცხოვრობდა მაშინ მთის და ბორცვის მწვერვალებზედ.

ჩვენ განვიხილეთ ლეგენდების ის ჯგუფი, რომელნიც დამყარებულინი არიან ან სამღვთო წერილზედ, ან მოქმედ ჰირად ღვთაება და წმინდა არსებანი არიან გამოყვანილნი.

მეორე ჯგუფს ლეგენდებისას შუადგენს **გადმოცემანი საისტორიო პირთა შესახებ**. თამარ დელოფალი, ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, ერეკლე მეფე, შოთა რუსთაყელი, ალექსანდრე მაკედონელი, შაჰაბაზი და სხვანი კახდნენ ქართული ლეგენდების გმირებად.

თამარის მშობლებს იმის მეტი შვილი არა ჰყავდათ. თამარი ჯერ ისევ ათი-თერთმეტის წლისა იყო, როდესაც იმისმა დედამ საკვირველი სიზმარი ნახა. მეორე დღეს დედამ შვილს უამბო: „წახედ, საყვარელო ჩემო შვილო, მეზმანა, ვითომ შენ მამიშენის ტახტზედ იჯექი, მეფურად შემოსილი იყავ და ხელში სამეფო გვირგვინი და სფერა გეპურა. მჯერა, რომ მალე კახელმწიფედები. ეს შით უფრო სარწმუნოა, რომ უფალმა შენ გარდა შვილი არ მოგვცა. დმერთმა მახვენოს, შვილო, შენი ბედნიერება და დიდება. იყავ, ჩემო თვალის სინათლე, მოწყაღე, წყნარი, მართლ-მოყვარე, დარბილატაკთა ნუგეშის მცემელი“. სიზმარი გამართლდა. სიკვდილის წინად მამამ თავისი ქალი სამეფო ტახტზედ დასვა და მეფობა დაულოცა. ამას შემდეგ ბევრი ხანი არ გავადა, რომ თამარს დედ-მამა დაეხრცა. თამარი კახელმწიფდა და მთელი მსოფლიო დაიპერო.

ხლო თამარს ის სწეუნოდა, რომ მარტო კასპიის ზღვა იმის წინაშე ქედს არ იხრიდა. ამის გამო თამარი ძალიან განრისხდა და თავის ლაშქარს უბრძანა, რომ მთელი კასპიის ზღვა ნამჯით მოეფინათ, ზედ ნავთი დაესხათ და ცეცხლი მოეკიდებინათ. აბა ლაშქარი როგორ არ გაუგონებდა თავის საუფარულს ჰატრონს. თამარის ბრძანება მალე სისრულეში მოიყვანეს. შესწუხდა კასპიის ზღვა, გადაღებული ქედი თამარის წინაშე მოიხარა და ვითარცა მონა, ისე შემოეხვეწა ურჩობა ეპატეობინა. თამარი მოწყალე იყო, დანაშაული შეუნდო, ზღვამ მადლობა გადაუხადა და დიდი ხარკი თავს იღვა. კასპიის ზღვა თამარს ხარკად უოკულ წლივ აძლეოდა დიდ-ძალ ოქროსა, ვერცხლსა, გიშერსა, მარკალიტ იაგუნდსა და ცხენ-კამიქის. ამის შემდეგ თამარი მოსვენებით იყო თავის ტახტზედ და განაკებდა მთელს ქვეყანას, მადრიბიდგან მაშრიყამდის.

ეს ლეგენდა წაგავს ხალხშივე დარჩენილს ამგვარსავე ლეგენდას ალექსანდრე მაკედონელზედ. ალექსანდრე მაკედონელმა მთელი ქვეყანა დაიპყრო: აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი. დაუპურობელი დარჩა მარტო ერთი შავი ზღვა. ერთს დღეს ძლიერის ჯარით ალექსანდრე ამ ზღვასაც მოადგა და შეუთვალა დამორჩილებოდა. მაგრამ ზღვამ წარბიცი არ შეიხარა. ალექსანდრე სიბრძნისაგან გაცეცხლდა და თავის ლაშქარს უბრძანა, შავი ზღვა ნავთით გაეფსოთ, ზედ თივა მოეფინათ და ცეცხლი მოეკიდებინათ. დაუყოვნებლივ შეასრულეს ხელმწიფის ბრძანება. შავი ზღვა კადით-კადემდე გადაიქცა ერთ დიდ თორნედ. შესწუხდნენ ზღვის შვეიდრნი და შეფეს მოციქულად ერთი ცილა კაცი გაუგზავნეს და მოახსენეს:— დიდო ხელმწიფეო, რას გვემართლები, დაგვეხსენ და დიდს ხარკს მოგცემით!

ცილა კაციმ ხორბლის სამი მარცვალი მიართვა და უთხრა: ეს არის ჩვენი ხარკი. თუ ჰირველს მარცვალს მიირთმეო, ახლგაზდა ჭაბუკად იქცევი, თუ შეორეს— დიდი ბრძენი იქნები და თუ მესამეს— უოგელის ავთმეოფობის წამალი გეცოდინება და ამასთანავე შენის სიკვდილის დღეცაო. ალექსანდრემ ხარკი არ იცოტავა. ცეცხლი ჩაქრო და თავის სამეფოში დაბრუნდა.

გავიდა ხანი. ალექსანდრე მოხუცდა. ერთს დღეს მოაკონდა ის სამი მარცვალნი და სთქვა: აბა ვცდი, რა ღირსებისაჲ არის შავი ზღვის მოცემული ხარკიო. სტუმრად მიიწვია დიდ-ძალი ხალხი. ის სამი მარცვალნი კი თავისს ხაბაზს გადასცა და უთხრა: სამი კარგი ქადა გამოაცხეო. სტუმრები შეიყარნენ. როცა კარგად სვეს და ჭამეს, ალექსანდრემ ქალები მოიკითხა. ყველანი უნდა გაეკვირვებინა სასწაულით. მიერთვა ერთი ქადა და ცვლილება ვერა დაეტყუო-რა, აგრეთვე მეორე და მესამე. იგი ვერც გადახალისდა, ვერც ბრძენი და ვერც ექიმი ვერ გახდა. გაუკვირდა და იფიქრა, ალბად ზღვამ მომატყუაო სტუმრები წავიდნენ. ალექსანდრემ დაიბარა ხაბაზი და ჰკითხა: მონაჲ, მართალი მითხარ, ქალები სწორედ იმ მარცვლისა გამოაცხე, რომელიც მე შენ მოგეტ? ხაბაზმა კუხანდილად მოახსენა შემდეგი:—სამი მარცვლის ქალები რომ გამოვაცხე, ნაცარში ჩამივარდა და მათ როგორ გაკადრებდიო, ხელმწიფეთო; იმათ მაგიერ სხვები გამოვაცხე. წინანდელები ერთს საწყალს ბებერს გლახას მივეც შენ სადღეგობელიოდ. შესწუხნა ალექსანდრე. უბრძანა შეეყარათ იმის სახელმწიფოში ყველა გლახები. ყველანი რომ მოვიდნენ, ხაბაზმა დაათვალიერა ივინი, მაგრამ ის კაცი ვერ იცნო, ვისაც ნაცრანნი ქალები მისცა. ალექსანდრემ მაშინ ჰკითხა შეკრებილს გლახებს, ხომ არაკინ დარჩენილა მოუსვლელიო. — როგორ არაო, შელადღეს გლახებმა. ამა და ამ სოფელში ერთი მოხუცი გლახა იყო, ძლივს დადიოდა. მაგრამ ამ ბოლო დროს სასწაულის გამო უცებ სრულიად ანაღგაზდა შეიქნა, ამასთანავე ბრძენი და ექიმიცაო. ალექსანდრემ მოაყვანიხა იგი და თავის ექიმებაშად დანიშნა. კაი ხნის შემდეგ ალექსანდრემ ჰკითხა:—რა დღეს მოგვევლებიო. —იმ დღეს, რა დღესაც ცა და დედამიწა სპილენძად იქცევაო, უპასუხა მან. გავიდა კიდევ ხანი. ალექსანდრე ავად გახდა და თავის სპილენძის აშენებულს დარბაზში სპილენძის ტახტზედ დაწვა. ფიქრმა გაიტაცა, აიხელა ზეგით და სპილენძის ჭერი სპილენძის ცად მოეჩვენა, დაიხელა ქვეით და სპილენძის იატაკი სპილენძის დედა-მიწად დასახა. ამოიოხრა და სთქვა:—ახლა კი მოვიდა ჩემი ადსასრულის ჟამიო. მართლაც ამავე დღეს სული დალია.

ამ გვარივე ლეგენდა ალექსანდრეს ექიმზედ დარჩენილია სხვა ხალხთა შორისაც. გლახა ბრძენ ექიმად გადაქცეული, რომელსაც ფრინველთა და მცენარეთა ენა ესმოდა, იყო გამოჩენილი ლოკმანი. ალექსანდრე მაკედონელზედ ნათქვამია კიდევ ის, რაც შემდეგ ჩვენმა ხალხმა თამარ დედოფალზედ გადაიტანა. შაჰაბაზი ალექსანდრესავით ტანსაცმელს გამოიცვლის და ისე გაჩნდება თამარ დედოფლის ციხეში. თამარ დედოფალმა არჩია ეკლესიის გუმბათიდან თავისებად ჩამოვარდნილიყო და დამსხვრეულიყო, რომ შაჰაბაზს არ დარჩენოდა. აქ ორი სხვა-და-სხვა დროის ისტორიულნი ჰერონი დაუახლოებია ხალხს: თამარი, რომელიც მეთორმეტე საუკუნეში სცხოვრობდა და შაჰაბაზი, სპარსეთის ბრძანებელი მე-XVI—XVII საუკ.

საქართველოში აქამდის ზეპირ-სიტყვაობით ვრცელდება ლეგენდა ბაგრატიონანთ გვირგვინის შესახებ. ხალხის გადმოცემით იგი ზეციდგან არის მოვლინებული. აი რას მოგვითხრობს ლეგენდა:

ჩვენმა მეფეებმა სამეფო მეჯლისი იცოდნენ კვირაში ერთხელ. ერთს მშვენიერს ზაფხულის დღეს ბაღში ჰქონდათ გამართული მეჯლიში, რომელზედაც სხვათა შორის ბრძანებობდა მღვდელ-მთავარი. ამ დროს გამოჩნდა მოხუცებული კაცი. ამან გაიგონა საკრავების ხმა და მოისურვა შორიდგან მეჯლისის დანახვა. ამ დავრდომილს მოხუცს მეფემ მოჰკრა თვალი და ვეზირის შუამავლობით მიიხმო სუფრაზედ. მიუყვანეს საწყალი გლახა. მეფემ აიღო აზართეშა, თავის ხელით დაასხა წითელი ღვინო და მისცა გლახას დასლაევად. გლახამ დალოცა მეფე და ასწია აზართეშა. მეფემ აზართეშა ჩამოართვა, დაასხა ღვინო და თვითონ უნდოდა დაეღია. ამ დროს მოხუცი მას ღოცავდა თავის კერით და უცაბედად ამ გლახის მატლი აზართეშაში ჩავარდა. მეფემ ნახა ეს საქმე, მაგრამ გულს არ შეეზიზღა, აიღო ხელში, ახსენა ღმერთი და დაიწყო სმა. ამ დროს ზეციდგან ორი ანგელოზი წამოვიდა, რომელთაც ჩამოიტანეს გვირგვინი და მეფეს თავზედ დაადგეს იმ დროს, როდესაც მან ღვინის სმა გაათავა და თავი მადლა ასწია. ამ გვირგვინის წყალობით საქართველომ იწყო გაძლიერება და აყვავება. ისე განდიდდა საქართველო, რომ ოც-დაათი ენით მოსაუბრე ხალხი ჰყავდა დამორჩილებული. გვირგვინი

მეშვენიერებით ერთის შეუდიღან მეორეს გადაეცემოდა. ქართველთ მეუის გვირგვინის საქმე შეეტყო ერთს ხელმწიფეთაგანს. ამას გამოეგზავნა საქართველოს მეფესთან დიდებულები და ეთხოვნა ღრუბით გვირგვინი. ჩვენ გვსურსო ჩვენი გვირგვინი თქვენის გვირგვინის მსგავსად გაუკეთოთო. ქართველს მეფეს შეუწყნარებია თხოვნა და გვირგვინი მაშინვე გაუგზავნია. რამდენიმე ხნის შემდეგ გვირგვინი ისევ დაუბრუნეს, მაგრამ ისეთი კი არა, როგორც წინა დეო, არამედ სხვა, იმის მინაგვარი. მეფემ ვერ შეამჩნია ეს სიყალბე. ის იყო და ის. მას აქეთ საქართველოს საქმე ძალიან ცუდად წავიდა: განუწყვეტელი ომი იყო; ის სამეთო კი, რომლის მეფემაც მოატყუა და გვირგვინი გამოსტყუა, აუვადა და გაძლიერდა, ფრთები გაშალა და მრავალ ადგილას ხალხს დაუწყო შეერთება და გაქარწყლება.

ასეთივე ლეგენდა ბაგრატიონთა გვირგვინზედ დარჩენილათ ოსებშიაც. სჩანს საქართველოდგან იგი მთიულთა ხალხთა შორისაც გავრცელდა.

სასწაულებრივი ლეგენდა დიდის ერეკლე მეფეზედაც. ხალხის წარმოდგენით იგი განიღვიძებს, როცა ერს გაუჭირდება. ამავე შინაარსის გადმოცემას მიკერებულნი დავით აღმაშენებლის და თამარ დედოფლის სახელთან. დასუფლეთს ეკროპაში ფრიდრიხ ბარბაროსაზედ იყო შექმნილი ამგვარი ლეგენდა. ისტორიული შინაარსის ლეგენდები საქართველოში ბევრია. აუარებელი ძველი ტაძარნი და ციხენი გახდნენ ბუდედ იმ გადმოცემათა, რომელნიც აქამდის ერს ახსოვს და მწიწებით მოუთხრობს. ამგვარია „დათუნა გოცირიძე და რაქის ერისთავი“, „ასული ლევან მეფისა“, „მოდინსახეს ციხის ამბავი“, „თმოგვის ალება შავბახის მიერ ერთი დედაგაცის დახმარებით, რომელსაც შემდეგ თავი გააკდებინა“, „დოდლაური“, „გორის ციხე“. „სურამის ციხე“, „უჯარმა და მეფე ვახტანგი“ და სხვ.

ჭავჭავი ლეგენდაში ძმა და და მოთხრობილია შავბახის დრო. მოქმედება სწარმოებს თმოგვთან, რომელიც წინადა ქალაქი უოფილა. ამ ქალაქს რამდენჯერმე დაეცა სპარსეთის ეყენი შავბახი, მაგრამ მაგარს ციხეს ვერ შეუვიდა. ერთმა გარემოებამ უშველა მას.

თმოგვის დედოფალმა, შაჰბაზის სიუვარულით გატაცებულმა, შეუთვალა უენს: უკეთუ შეშირთავ, გასაღები შე მაქვსო. შაჰს ძაღიან გაუნარდა და მისწერა: ვფიცავ ღმერთს, ცოლად შეგიერთო, თუ თმოგვს ამაღებინებო. დედოფალმა სიხარულით გასაღები შაჰს გაუტყავსა. შაჰმა გააღო ალაფაფის კარები, შევიდა ქალაქში და სულ ააოსრა, დედოფალს კი შემდეგი სიტყვები უთხრა: შენ შენს ქმარს და საღის უღალატე და შე რაღა კეთილს დამაურიო! და უბძანა ცხენზედ დაეჩლიჩნათ იგი.

წაყვანილთ ტყვეთა შორის შაჰბაზი გააკვირვა სილამაზით და საქცაულით ერთმა ემაწვილმა. უენს ისე შეუვარდა გული ამ ემაწვილსედა, რომ თავის მოსამსახურედ გაამწესა.

გავიდა ხანი. ჯავახეთს ოსმაღეთის ხონთქარი დაეცა და სოფლები განადგურა. თმოგვშიაც შევიდა და იქიდგან მრავალი ტყვე წაასხა. ტყვეებში ერია ერთი ემაწვილი ქალი, რომელმაც თავისის სილამაზით მოხიბლა ხონთქარი. ხონთქარმა ეს ქალი თავის მოსამსახურედ დანიშნა. ეს ქალი იყო იმ ემაწვილის და, რომელიც შაჰბაზმა თავის მოსამსახურედ გაამწესა. ერთხელ შაჰბაზი სტუმრად ეწვია ხონთქარს. ხონთქარმა დიდი ნადიმი გაუმართა. ვახშმის შემდეგ მოისვენეს. იმ დამეს შაჰბაზის მოსამსახურე ბიჭს ძილი არ მოსდიოდა, რადგანც მეორე დღეს, 15 მარიაშობისაჟეც, ვარძიის მონასტრის დღეობა თენდებოდა და თითონ კი ტყვეობაში იყო. განაპერო ზეცისკენ ხელები და სთქვა: ვარძიის მღვთის-მშობელა, შენ გვიშველე ეველა ქართველებს და შემუსრე ჩვენი მტერნიო. ამ სიტყვეის ყური მოჰკრა ხონთქარის მოსამსახურე ქალმა, ძაღიან გაჰკვირდა და გაიფიქრა: დიდებს ღმერთისა! ეს ქართველი საიდგან მომეჩვენაო! გულმა ვერ მოუთმინა, მივიდა ამ ბიჭთან და ჰკითხა: ძმაო, ვინა ხარ შენაო?

— შე ქართველი ვარ სოფელ თმოგვიდგან, გიგოლა მუფაღაძის შვილი, — უბასუხა ბიჭმა.

ეს სიტყვეები გაიგონა-რა ქალმა, ნეგზედ იბინა, რადგან ისიც გიგოლა მუფაღაძის ქალი იყო.

— ძმაო, მეც მუფაღაძის ქალი ვარო. გამოემცნაურნენ და

უამბეს ერთმანეთს საგვარდასწავლი. ღაპარაკით რომ დაილაღნენ, გაიხუდეს და ურეში დაინახეს. ჩამოსდნენ ამ ურეშზე და სთქვეს: ამ ურეშზედ ამაღამ ვარძის ღვთის-მშობელს ვუთითოთ. ამ ღაპარაკში იმათ ურეშზედ დაეძინათ. ურეში კი ატორდა და სჩქართთ იარა, მოვიდა სოფ. აუნიას (ვარძის ახლოს) და გაჩერდა. დილის რიჟრაჟზედ დაძმას გამოელვითათ. შენიშნეს, რომ ისინი ერთს გვერდობზედ არიან. ჩვენმა ბატონებმა რომ ტაიგან, ხომ ტაგვერტაგენო. ამ დროს შემოესმათ ზარის ხმაც. გაიხუდა დამ და ვარძის მონასტრიდგან სანთლები შექვიც მოსჩინდა. „ჩვენ სწორედ ბურანში ვართ, დამ, სთქვა ძმამ, თორემ ვარძის მონასტერს აქ რა უნდა. წყალი მანც იყვეს, რომ ჰირი დავიბანოთ და ძილისაგან გამოვერკვეთო“. ღვთის ბძანებით იქვე ახლო კვლიდგან მშვენიერი წყარო გადმოსკდა (ეს წყარო დღესაც არის). დაიბახეს ჰირი, ძილისაგან გამოეკვინენ და დარწმუნდნენ, რომ ისინი მართლად ვარძის მონასტრის ახლოს იყვნენ. წავიდნენ ვარძის მონასტერში, ცისკარი და წირვაც მოისმინეს და შესწირეს ვარძის ღვთის-მშობელს მადლობა, რომ გადაარჩინა მან თათრების ხელიდგან. აქ, რასაკვირველია, გატარებულია აზრი, რა ძალა აქვს სასოების და სარწმუნოების.

ისტორიული და სარწმუნოებრივი ელემენტები ერთად გადაიმიან ლეგენდაში „დაძმა“. გადმოცემაში „ქრისტეს ვეპო“ ხაჯნმა ეტიმოლოგიურად ახსნა კაცის სახელი „ქრისტესია“. ამ კაცს ქრისტესია იმიტომ დაარქვა, რომ იგი ქრისტეს მონა შეიქმნა. ლეგენდაში ხშირად მოსიარულე სიუჟეტიც შეგვხვდება: რომელსამე გამოჩენილს ჰირს აქვიატება მოსიარულე სიუჟეტი. ამ ხსენათისა, მაგალითად, გადმოცემანი შოთა რუსთაველზედ.

ხაჯნის გადმოცემაში შოთა რუსთაველი ეოფილა ფრად მშვენიერი თვალ-ტანად და გამოჩენილი მხედარი, მეომარი, მეცნაერი და ივილოსოფოსი. ამისთანა შესანიშნავს კაცს ჭეოლია ცოლად გამოჩენილი თვანის ქალი და კარგი ძმის ჰატრონი. რუსთაველს ჭეოლია ერთი შინა მხლებელი მონა არაბი, სახელად აბდულა. აქვდგან იწყება რომანიული თქმულება რუსთაველსა და იმის ცოლზედ.

თქმულება, რომელიც აჭკვიატებია შოთას შემთხვევით და წარმოადგენს მოსიარულე სიუჟეტს გერაგის მეუღლის შესახებ.

ერთს კვირა დღეს მეფის სასახლეში იყო რუსთაველისათვის თამარ მეფისაგან გამართული ნადიმი. აქ იყვნენ მოწვეულნი მრავალნი მწერალნი და მწიგნობარნი, კარის და სამეფოს კაცნი. რუსთაველს უნდა წაეკითხნა დასასრული თავის ახლად გათავებულის „ვეფხისტყაოსნისა“.

რუსთაველი კითხულობდა თავის ქმნილებას გატაცებით, მსმენელნი მოჭყვანდა განცვიფრებაში. გაათავა კითხვა. სტუმართ გამოუცხადეს გულითადი მადლობა. თამარმა წაიძრო ხელიდგან ბეჭედი და უბოძა რუსთაველს ნიშნად წყალობისა. თამარის მეუღლემ აიყარა ხმალი და თავის ხელით შემოარტყა დიდებულს მწერალს. საზოგადოებამ მოართვა ძვირფასი ქვებით შეჭვდილი კალამი ნიშნად კალმის ხელაფნურად ხმარებისა. საკრავნი უკრავდნენ რუსთაველის შესამგობართა ხმათა. მისი სადღეგრძელო მიირთვეს თამარმა და სტუმრებმა.

სადილი გათავდა. რუსთაველის ქება არ შეწყვეტილა. ამ დროს მოახსენეს მგოსანს, რომ ვიღაცა კითხულობს მას და ნახვა ჰქუროსო. რუსთაველი გავიდა და ნახა ერთი უცნობი ემაწვილი მშვენიერი იარაღით, თუმცა ქცევა და ნაზი მიმოხვრა უფრო ქალისა ჰქონდა, ვიდრე ვაჟ-კაცის. ის მიუახლოვდა რუსთაველს და მკილავის ხმით წასჩურჩულა: შენ აქ ნეტარებაში ხარ და შენი ნეტარება კი უბურია სხვას. რუსთაველი შეჰკრთა. არ იცოდა, რა ეფიქრა. უცნობი ემაწვილის ხმა რაღაც ნაცნობს სახეს აგონებდა.

— მომეუკ და გაიკებ რაც მინდა მოგახსენო. თუ არ ახლა, შემდეგ ვერ ნახო ის, რაც უთუოთ საჭიროა შენი ნამუსისთვის. რუსთაველი აიტაცა იჭვინულობამ და სურვილმა გაეგო უცნაური საიდუმლოება. გამოემშვიდობა დედოფალს და მდუმარეთ გამოჭყევა საიდუმლო უცნობს კაცს. ამან რუსთაველი შეიუფანა ფარულად თავისავე სახლში, დააყენა ცოლის საწოლის კარებთან და წასჩურჩულა: შეიხედე, იხილე, რაც ხდება და ისმინე, რაც ითქმება. საწოლში აბდულა არაბი და ცოლი რუსთაველისა ეხვოდნენ ერთმანეთს ტრფიალებით. განცვიფრდა რუსთაველი. ის არ უჯერებდა თავის თვალსა და ყურსა.

იმას აემდგრა სისხლი და მოიხედა თავის მომუგანი ემაწვილი კაცის-
კენ: ის კი უკვე წასულიყო სახლიდგან. რუსთაველი, როგორც შეჰ-
ხამს ფილანთოფოსს კაცს, გაჩუმდა და გამობრუნდა უკან. შემოაწვა
საშინელი სევდა და გაიფიქრა: ნუ თუ მე, რომელსაც მთელს სამე-
ფოში თვით მშვენიერი მეფე არავის მიდრის, მფობიან ეს საზიზ-
ღარი არაბი? ნუ თუ მე ვარ მაგის შეცდომის მიზეზი? მე მიუყარდა
მართალი გულით... მაგის გულისთვის ვუმტყუნე ჩემთვის თავგანწი-
რულს მშვენიერს ქალს... მაგან კი გამცვალა... საშინელი ფიქრებით
გატაცებული რუსთაველი უგზო-უკვლოდ მიდიოდა ქალაქს გარედ და
წაადგა ერთს ხეეს. აქ უცებ მიეგება მისი აღმშფოთებული ემაწვილი
და დაცინვის ხმით ჰკითხს: როგორ მოგწონს, შოთავ, შენი ცოლის
ერთგულება? რუსთაველი ამ სიტყვებზედ ანთო და ადელდა.

— შენ ხარ ყველას მიზეზი! ესეც შენი სამახრობლო! შესძხა
შოთამ და ჩაჰკრა ხანჯალი ემაწვილს გულში.

— საყვარელო შოთავ! მენატრებოდა შენგან სიკვდილი და
ღმერთმა შემისრულა ნატვრა. ვგვდები შენის ხელით. რუსთაველს
ელდასავით ეცა ეს უცნაური ხმა. გულის თრთოლით გაუსხსა მომაკ-
ვდავს დიდები და დარწმუნდა, რომ მოკლეული იყო მისი ნაცნობი,
მახლობელი ქალი: ხელზედ იცნო თავისი ბეჭედი. ქალი იყო რუს-
თაველის პირველი საცოლო, დანიშნული, რომელსაც სხვა ქალის
სიყვარულის გულისთვის უღალატა და გასცვალა სხვაზედ, რომელმაც
თავის მხრით რუსთაველი არაბზედ გასცვალა: რუსთაველი ჩაეკონა
მომაკვდავს და ცრემლები გადმოსცვივდა.

რაც ეს ამბავი შეემთხვა რუსთაველს, იმის შუბლი აღარ გახ-
სნილა. დღე და ღამე თვალწინ უდგა თავისი უმანკო მსხვერწელი.
გავიდა ხანი. რუსთაველი ცოტა გამოერკვა. ერთხელ მიიწვია შოთამ
მეგობრები და გაუმართა ღხინი მთელის კვირის განმავლობაში. ამ
დროს კატარები, უკანასკნელს დღეს რუსთაველმა მიიწვია მეფე თა-
მარ თავის მეუღლით და მრავალი დიდებული კარის კაცნი. ამათში
ერთა თავის ცოლის ძმაც. სადილს უკან გაიწვია სტუმრები მოკლან-
ზედ ჯირითობის საურებლად. ცოლს სთხოვა თამარს ხლებოდა,
არაბი კი იახლა ცხენების დასაჰკრად. თვითონ შეიმოსა მშვენიერი

ტანისამოსი, აისხა იარაღი, შეჰკაზმა მშვენიერი ცხენი და გავიდა საჯირითოდ. შოთამ დაამარცხა თავის მოწინააღმდეგენი, შეფუთა და დიდებულთა მიულოცეს გამარჯვება ჯიხითში. რუსთაველმა უცებ განტუნა ცხენი, როგორც ელვა გაჰქრა, რამდენსამე ხანს უკან გამოჩნდა და იარაღს გაჰქენერულს ცხენზე ათამაშებდა. მოსწია უცებ შეიღდს, დაუმიზნა შორიდან თავის არაბს და ისრით გადაუგდო ქული.

— ვარგივარ? ჰკითხა უცებ რუსთაველმა შეფუთა და კრებას. უველასაგან ერთს ზირად მოესმა გაცემა და ქება.

— მოხდენილობითაც ხომ არავისზედ ნაკლები ვარ? ჰკუთა და სწავლა ჩემი მოგესხენებათ.

— შენზედ უკეთესი ორიც არ მეგულება ჩემს სამეფოში, შენი სწავლა საოცარია, უზასუხა თამარმა. შენი არც ზნე, არც ხასიათი არავის უტყვია ცუდად; ჩვეულებანი საქებარნი და სამაგალითონი არიან.

— მაშ აშისთანა კაცს რომ ცოლმა უღალატოს და გასცვალოს თავის უბრალო მონაზედ, რის ღირსია ცოლი?

რუსთაველი ამ დროს ჩამოხტა ცხენიდან და მისცა იგი აბდულა არაბს.

უველანი გაოცდნენ. ცოლის ძმა რუსთაველისა აინთო თონესავით. თამარმა კი ესე გადასწევიტა:

„მაგვარი ცოლი ღირსი არ არის ქმრისა, ქმარს ნება აქვს დაუტევოს იგი და შეირთოს სხვა“.

— თუ ქმარს მოუკლას ის, ვინც უჩვენა ცოლის ღალატი? — ამაზედ მიუგო თამარმა:

— მოკლული ღირსი უოჟილა სიკვდილისა, მკვლელმა კი ცოლო უნდა მოინანიოს მონასტერში.

რუსთაველმა მოჰკიდა ხელი ცოლს და გამოიყვანა წინ, დაადო არაბს ხელი და სთქვა: აი ამან ამაზედ გამცვალა! ეს ღალატი მაჩვენა ჩემმა ზირველმა საცოლემ, რომელსაც მე ვუმტუნე. გულადელებულმა იგი მოგვადი. გაათავა ეს სიტუვები, გამოესალმა შეფუთა და დიდებულთა, შეჰდა ცხენზედ და სამუდამოდ გაჰქრა სამშობლოდამ. ის შესდგა ბერად იერუსალიმში და იქ დაასრულა თვისნი დღენი.

რუსთაველის ცოლი გაკიცხული იქმნა უველასაგან. ძმამ ადევნა

დას თვალი და როცა მოასწრა, რომ შოთას ცოლი ეხვეოდა არაბს, მოსჭრა ამას თავი, ჩასდო ჰარკში და დას გულზედ დაჭკიდა: ახლა მაგ თავს ვეღარავინ მოგაშორებსო.

არის სხვა გადმოცემაც შოთას შესახებ. დიდებული ჰოეტი ნახეს თავ-მოჭრილი, რომელიც იცნო მისმა ცოლმა. შოთას და თამარის სახელები გადაბმული არიან. თამარის ბრძანებით შოთა შეუდგა, გადმოცემით, „ვეფხისტყაოსნის“ სპარსული ენიდგან თარგმნას. თამარ დედოფალს გარს ერტყა თავისის მტემელნი გმირნი და მადიდებულნი მკოასნანი. მათ რიცხვში ერია შოთაც. თამარ დედოფლის სიყვარულით თავი გასწირა როგორც შოთამ, აგრეთვე ბევრმა სსი-ქადულთ ვაჟ-კაცმა. ერთი ამ ვაჟკაცთაგანის თავ-გადასავალი დაკავშირებულია გორის ტიხესთან. მეორე გმირული ლეგენდა თამარზედ ჩაწერილია იმერეთში. თამარს ჰყავდაო ქალთა ჯარი და ამათი ქაშუბიდგან აფეკილი ტალახით წარმოიშობა მიწაყრილი, გორა, სახელად ნაქომარი. თამარს აღმერთებენ მთაში და ძვირფასი ტანისამოსით ჰუმოსავენ სვანეთში.

თამარისთან დიდებული სახელი დარჩა საქართველოში მხოლოდ კიდევ ერთს მეფეს: ჰატარა კახს, მედგარს მეომარს ერეკლე ბატონს. გადმონაცემს ამ ორს საქართველოს დიდებულთ ჰატრონთა შესახებ ისტორიული ნიდაგიც მტკიცე აქვს, თუმცა ღრთა განმავლობაში ბევრი კამოტონილი ამბავიც მიაწერეს სიყვარულს და დაუვიწყარს ბატონებს. მრავალთ გადმოცემათა შორის ერეკლე მეფის შესახებ დარჩენილია ლეგენდა, რომ მეფე და უეინი ჭიდაობაში გაჯიბრდნენ. „თუ მე დაგძლიო, უთხრა უეინმა ჩვენს მეფეს, რომელიც ჰატივის ცემით იქმნა მიღებული საქართველოს სამზღვარზედ, ხელი აიღეო ბორჩალოზედ, განჯაზედ და ერევანზედ, თუ შენ დამძლიო, რაც გნებავს ისა მთხოვეო“. ერეკლემ ამაზედ მიუგო:

— მე ადგილებს არა გთხოვ; თუ მე დაგძლიო, მამინ შესი ქამარ-ხანჯალი მიბოძეო, ასი აქლემი საქონლით დატვირთული და ქართველი ტუეეები, რომელნიც თქვენთან არიან სპარსეთში. უაენი დასთანხმდა. ჭიდაობა სამეფო ბაღში გაიმართა. ერეკლემ დასცა უეინი და ამან იმ წამსვე თავის ხელით მოიხსნა ქამარ-ხანჯალი და

მეფე ერეკლეს შემოატყა. ამ გვარი ჭიდაობის შესახებ ისტორიაში ცნობა არ არის, მაგრამ ჰირადი გულადობა და მამაცობა ჰატარა კახს არა ერთხელ გამოუჩენია: ასპინძის ალების დროს თითონ მივიდა კობტა ბელადზე და მოჰკლა იგი. უკუნის და ერეკლეს ჭიდაობის შესახებ შემდეგი ლექსია დარჩენილი, რომელიც გვიმტკიცებს ხალხის რწმენას და მოწიწებას დაუვიწყარი მეფის სახელის წინაშე.

„ერეკლემ დასცა უკენი, მეფეა ქართველისაო, ჰატარა კახი მუდამ უამს გამძლები არის მტრისაო. საითაც მიდის და მოდის, ლურჯაზე კობტად ზისაო. თოფი და ხმალი მხარს აკრავს, მტერსა დაჭხცცავს ღვთისაო! ჭოი, ჰატარა ბატონო, ერეკლე მეფის ძისაო? ემა შენი ღმერთსა გავედრებ, რომ ძალი მოგცეს მტრისაო.

„ვით სპარსეთიღვან დაისსენ ტუვენი მრავალნი ხნისაო, მის მაგიერი გამჩენმა მოგცეს მუქათი ღვთისაო. ბატონი ჩვენი ერეკლე დღეს არის გამარჯვებული, მთელი სპარსეთი შეიძრა, არიან შეძრწუნებულნი; უარსიდან დარუბანდამდინ მტერი ჰყავს დამონებულნი; სხვა არა თქმულა მეფეი მისებრივ თავდადებულნი.

„უძლიერესი მეფეთა, შემუკლი ყოვლის ფრითაო, წმინდა ნინოი შემწედ ჰყავს, დადესტანს ებრძვის ხმლითაო. სადაც რომ მტერი აღუჩნდა დაიმორჩილა თვითაო. ასე ყოფილა ყოველს უამს, ასეც იქნება ღვთითაო *).

ლეკენების განხილვამ დაგვარწმუნა, რომ იგინი წარმოადგენენ სარწმუნოებრივ-ზნეობითი იდეით შემუშავებულს გადმონაცემს, ან ისტორიულს მოთხრობას, სადაც მართალი და გამოგონილი თანასწორად შეზავებულნი არიან. ლეკენებს დიდი მნიშვნელობა აქვს ერის გულის ცემის შესასწავლად: აქ გამოიხატება საუკეთესო მისწრაფებანი და იდეალები.

ც რ უ მ ო რ წ მ უ ნ ე ო ბ რ ი ვ ი და ს ა მ პ ი თ ხ ა ვ ო წ ი ზ ნ ე ბ ი .

ზეპირს თქმულებასთან კავშირი აქვსთ კარაბადინს, სამთვარიო წიგნს, ხირომანტიას, საქუხოს და სხვ. უძველესი დროიდან ხალხში

*) მეფე ირაკლის გმირები. ზეპირი გადმოცემანი. ტფილისი 1895 წ.

გავრცელებული იყვნენ თქმულებანი ავ სულებზედ, კუდიანებზედ, როკანებზედ, რომელნიც ემტერებიან ბავშვებს, მშობიარე ქალებს და საერთოდ სუეველას. შეჭქმნეს ძველადგანვე წიგნები, სადაც მოთხრობილია ამგვარი ამ კაცის მტერთა შესახებ და ნაჩვენებია წამალიც მათ წინააღმდეგ. საჭირო იყო ხალხისთვის გარდა ბრძოლისა ამ მავნე სულებთან, აგრეთვე წინაღვე ბედის გაცემა, წინასწარმეტყველება. სამკითხველ წიგნები საქართველოში შემოვიდნენ საბერძნეთიდან. ამგვარია „კალანდაი თქმული ეზრას წინასწარმეტყველისა“. კალანდაის წყალობით კაცი წინ-და-წინვე შეიტყობს, რა ტაროსის და მოსაგლის იმედი უნდა ჰქონდეს აღმინს იმის მიხედვით, თუ რა დღეს დადგა ახალ-წელიწადი. ეს კალანდაი უკვე ცნობილია ჩვენში მუათე საუკუნეში.

„უკეთუ დადგების იანვარი დღესა კვირიაკესას, ზამთარი იუოს ნოტია, ზაფხული ხმელი, ნაყოფი ფრიად, სთველი მცირედ, თათული ფრიად, სთველი ქარიან, საცხოვარი კეთილ.

ორშაბათსა დადგეს, ზამთარი იუოს ტფილ, ზაფხულ და არი (ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს გაზაფხულს) კეთილ, წვიმანი დიდ-დიდნი და ჰუერთა საშინელებანი. სთველი ხმელი ნაყოფი ფრიად, თათული მცირედ, სნეულებანი ზედის ზედა და მუესკულად სიკვდილი გლახათა და ცხროთი (=ციება) ფრიად.

სამშაბათსა დადგეს, ზამთარი იუოს მუარ, სთველი ნოტია, ნაყოფთა ვნებაი, დედათა სიკვდილი, სნეულებანი და ნავთა დაქცევანი ზღვათა.

ოთხშაბათსა დადგეს, ზამთარი იუოს ფიცხელ, ზაფხული ნოტია, არი კეთილ, იფქელი მცირედ, სთველი და ხილი ფრიად და უოვლისა საქმისა აღსრულებანი, მამათა სიკვდილი.

ხუთშაბათსა-და დადგეს, ზამთარი იუოს კეთილ, ზაფხული ქარიან, სთველი და არი შეზავებულ, თათული მცირედ, მთავართა და დიდ-დიდთა წუმქლია.

პარასკევსა-და დადგეს, ზამთარი იუოს მუთარ ფიცხელ, ზაფხული და არი ნოტია, სთველი ხმელ, ჰური და ღვინოი ფრიად და უოველი ნაყოფი იეთად, თვაღთა საღმობანი და ჩხვილთა სიკვდილი.

შათასსა და დადგეს, სამთარი იუოს შიშიე, არი წმიდა, იწრო-
ება ნაუოფთაი, საცხოვართა სიკვდილი, ხურგებაი, ცხროი, სნეულე-
ბანი ზედის-ზედა, სახლთა წვაი და ბერთა სიკვდილი.

მკითხავობითი მნიშვნელობა აქვს ასოთ სამღერაულსა. ვისაც
შუბლი უმღერდეს, მიიღებს დიდს ჰატივს და ქონებას, ვისაც ცხვი-
რი უმღერდეს, დიდებულთაგან მიიღებს სარგებლობას; ვისაც მარ-
ჯვენა ფეხი უმღერდეს, გზად წავა; თუ მესამე თითი უმღერდეს,
სიხარული ეწვევა.

ასტროლოგიური წიგნებიც იყვნენ გავრცელებულნი. ამ გვარ
წიგნებში ეძებდნენ ჰასუს ვის რა მოქალის იმის მიხედვით, რა დღეს
არის დაბადებული. ეტლი მართალი და ჭეშმარიტი. მარტისა ვერძი.
ა. ვერძზედა რომელი იშვას, შეიქმნას ტანად და პირად კარგი,
გულგაზი და უსმენარი, კაცთ-მოუყვარე და გონებად კარგი გვარის
თავი. ძახვილსა, ცეცხლსა და წყალსა უფთხილდეს, თავის ნაკრავი
აიღოს, ავჯარსაზედა არა ავნოს, ღვისოს მოუყარე.

წიგნი „სიცოცხლისა და სიკვდილისათვის“ გვითხულობთ: უკე-
თუ ვინმე იშუეს დღეთა შინა ნათლისა მქონებელისათა, ბედნიერ
იუოს უოფლითურთ, სოღო უკეთუ იშუეს ნათლისა არ მქონებელისა-
თა, უბადო იუოს, დაღაცათუ გვარაინი იუოს.

უკეთუ ფრჩხილთა მოიკვეთდე, პირველად საშუალი, მეორედ
ცერი, მესამედ ნეკი, მეოთხედ ცერის შემდეგი, მეხუთედ ნეკის
შემდეგი. რა მოიკვეთდე გვირიაკესა, ორშაბათსა და პარასკევსა,
სხვათა დღეთა ნუ მოიკვეთ და უოფელი საქმე კეთილად წარემართოს“.

„სამთვარიოში“ მოხსენებულთა: ა მთვარისსა დღე კეთილი
თესვა, ნერგვა წარწემედული იზოფოს.

წიგნი „სიბრძნითან ფილოსოფოსთასა აღწერილი წინასწარ-
მეტყველებად ჟამთა და ბუნებათა წელიწადისათა მოწვევანდათვის, თუ
ვითარ იქმნებიან“ იწოობა ამ სიტუვებით: უკეთუ იუოს ზედნადები
რომელ არს 45 ეული ესრეთ არს, მას წელიწადს იუოს თივა ძვი-
რად, მთანი მარჯვედ იყვნენ, ბარნი ზომად, ჩრდილოთრე კეთილ
და თაფლი და ნაშრომი მცირედ.

„სასწაულნი ძვრისა და ქუხილისა, მნათობთა დაბნელებისა“

მზისა და მთვარის გვაუწყებს: თვეს იანვარსა თუ მთვარე დაბნელდეს, უოველმან ნაშრომმან იკეთოს და საჩინოთა კაცთა სიკვდილი იყოს და ხვანტაგი გაიფუდეს. თუ მზე დაბნელდეს, ბრძენთა კაცთა სიკვდილი იყოს.

ა დღის მთვარე შემოქერების ზოჭალს, ეს დღე უბედურია. ბატონთან მისვლა, გზას წასვლა, მუშაობა, ანგარიში არ ვარცა.

ჩამოთვლილია სამკითხავო წიგნში კვიმატი დღეები: სექტემბრის 3 და 4, ოქტომბრის 3 და 4, ნოემბრის 8 და 12, დეკემბრის 20 და 24, იანვრის 4 და 11, თებერვლის 20 და 24, მარტის 4 და 6, აპრილის 3 და 6, მაისის 6 და 20, ივნისის 18 და 20, ივლისის 4 და 20, აგვისტოს 8 და 20.

„სიზმრის ახსნა“ უოველს ზმანებას გამოარკვევს: სიზმარში თუ თავს მოიპარსავს, ნათესავი მოუკვდება; თუ ყურძენს სჭამს, ცუდს საქმეში გაებება; თუ ორმეში ჩავარდება, ციხეში დაიჭერენ; თუ ჭორონავს—ცხონდება; თუ ავად არის, გაუხარდება რამე; თუ შვილი მიეცა, სურდო შეხვდება.

„სიზმრის ახსნა მთვართ“ გვაუწყებს: ერთს მთვარეს სიზმარი კეთილად აღსრულდეს; დღეს მთავარ-ანგელოზს გაბრიელს გამოეცხადა ღვთის-მშობელი. დაკარგული იპოვნოს.

თხუთმეტს მთვარეს სიზმარი ახდეს ძრეულ მადე; ამ დღეს კეთილია უოველივე საქმის დაჭერა; რომელიც დაიბადოს, მომცრო ტანის იყოს და ძრეული გამოვიდეს; სხეული მორჩეს.

ამ გვარივე ხასიათი აქვს „კარაბადინს“. აქ ჩამოთვლილია რას უნდა უფთხილდეს კაცი და რას უნდა ეტანებოდეს. იანვარში გულ-უზმოზედ ღვინოს ნუ დალევი; თებერვალში უფთხილდი ტკბილს ჭარხალს; მარტში სვი და სჭამე ტკბილი და უფრთხილდი მუავკს. კარაბადინში მოხსენებულნი არიან გამოჩენილნი მეცნიერნი და ფილოსოფოსნი (აქიმნი) ბაგრატ და ჯანაოზ (=გალენი ჰიპოკრატე). აქ ჩამოთვლილია აგრეთვე სხვა-და-სხვა წამლობა. აჭამდის ჩვენი კარაბადინი, რომელსაც კავშირი აქვს არაბულ-სპარსულ ამ გვარ წიგნებთან, სამწუხაროდ, მეცნიერულად არ არის შესწავლილი.

გავათავებთ ამ ხასიათის წიგნების ჩამოთვლას ერთი თხზულებით, რომელსაც ეწოდება: „სამეცნიერო თორმეტთა და თექვსმეტთა ვარსკვლავთა“. აქ ვკითხულობთ: აურე კენჭი უთვალავი და ახსენე გულისი რაც გედვას და დაჭუავ ხელი და აილე რაზომიცა მოგვხვდეს, თექვსმეტი ვარსკვლავს გადუდეგ და სხვა, რაც დაგრჩეს, დათვალე. ერთი დაგრჩეს, ჰქმენ, რასაც ლამი, თუ ორი დაგრჩეს, კიდევ ჰქმენ, კეთილად მოგიხდეს; თუ სამი დაგრჩეს, ნუ შემართებ, არ იქნების; თერთმეტი დაგრჩეს, უოგელივე იშოგო, რაც გულისა გიც; თორმეტი დაგრჩეს, ნუ იქ; ცამეტი დაგრჩეს, ჰქმენ, კეთილად მოგიხდების და უზიანოდ. თოთხმეტი და თხუთმეტი დაგრჩეს, მგზავრობა კარგია და სხვა რაც გულისა გიც, ნუ შემართებ; არ იქნების და თუ თექვსმეტი დაგრჩეს, იგიცა კეთილ არს დასტურად.

ამით ვათავებთ ზეპირ-სიტყვაობას და იმ ნაშთთა განხილვას, რომელთაც მასთან კავშირი აქვთ.

წერილი სიტყვიერება.

ქართული ენა და მისი კილოკავება.

ვიდრე შევეუდგებოდეთ ნაწერი სიტყვიერების განხილვას, უნდა განვიხილოთ ქართული ენის შესწავლის გარემოება და ესრედ წოდებული ივერიულთ ენათა ჯგუფის საურთიერთო დამოკიდებულება.

ქართული ენის გამოკვლევა და კავკასიის შესწავლა საერთოდ მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. უძველესი დროიდან კავკასია იპყრობდა უცხო ტომთა ყურადღებას თავისი მდიდარი ბუნებით და აქ დასახლებულთ მრავალთ ტომთა ისტორიით. რადგან კავკასია ძველად ხიდი იყო ხალხთათვის, რომელნიც აზიიდან ევროპაში მიიწევდნენ, ეს ქვეყანა გადიქვა ბუდედ სხვა-და-სხვა აქ ჩამორჩენილი მოდგმის ტომისათვის. ასე შესდგა მრავალ-ენოვანი „ენათა მთა“, როგორც უწოდებდნენ კავკასიას არაბთა მწერალნი. პირველის საუკუნეში, გამოჩენილი გეოგრაფის სტრაბონის სიტყვით, დიოსკურიაში, აწინდელს სოხუმში, აღებ-მიცემობის საწარმოებლად იკრიბებოდნენ 70 თარჯიმანნი. ჩვენი დროის სამეცნიერო ენათა შესწავლამ, ლინგვისტიკამ, გაჰყო კავკასიური ენები სამს ჯგუფად: დასავლეთ მთიელთა ენანი, აღმოსავლეთ მთიელთა ენანი და ქართული ანუ ივერიული ენანი. მონათესაეობა დასავლეთ (ლექური), აღმოსავლეთ (ჩერქეზული) და ქართულ ენათა შორის აქამდის არ არის დამტკიცებული. გეოგრაფიული ტერმინით ამ სამსავე დაშორებულს ერთმანეთთან ენათა ჯგუფს უწოდებენ „კავკასიურ ენებს“.

ქართულს ენათა ჯგუფს შეადგენს: სვანური, მეგრულ-ლაზური და თვით ქართული. ქართულს ენას ძველად უფრო მეტი სივრცე ეჭირა, ვიდრე ჩვენს დროს. ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო (კოლხიდა), ლაზისტანი, მესხეთი, ტაოსკარი ტრაპეზუნამდის ლაპარაკობდა ქართული ენით. ზოგიერთა გამოჩენილთ მეცნიერთა აზრით ვანის ტბის მიდამოები, სადაც აღაროდელი ლურსმული წარწერანი არიან დარჩენილნი, აგრეთვე ქართველი ტომით იყო დასახლებული. ქართული ენის კილოებს შეადგენენ ინგილოური და თუშ-ფშავ-ხევსურული. მეცნიერულად შესწავლა ჩვენი ენის ისტორიისა შეიძლება მხოლოდ ამ დასახლებული ივერიული ჯგუფის ტოტების და კილოების გამოკვლევის ნიადაგზედ. თუ შევადარებთ სვანურს და მეგრულს (ლაზური კილოს დამატებით) ქართულს ენას, მათი ნათესაობა ექვს გარეშედ უნდა იქმნას აღსარებული. როგორც ეტიმოლოგია, აგრეთვე სინტაქსი ამათ საერთო აქვთ; გარდა გრამატიკისა, ლექსიკონიც მეტად ახლოა და მსგავსი სიტყვები ორს მესამედს შეადგენენ სიტყვათა კონაში.

მეგრული ენის შესახებ საუცხოვო გამოკვლევაა „მოამბეში“ (1895—1896 წ. წ.) დაბეჭდილი. იგი ეკუთვნის ბ. ჯარაიას. ამ უკანასკნელზედ აღრე პროფ. ა. ცაგარელმა დაამტკიცა ქართული და მეგრული ენათა მონათესაობა. რაც შეეხება სვანურს, იგი 1846 წ. ბერლინის აკადემიის წევრმა გეორგ როზენმა შეადარა მეგრულს და აღიარა იგინი ერთი სათავიდან მომდინარე ენებად და მაშასადამე ქართული ენის ძმებად. შემდეგ გამოქვეყნებულმა მასალებმა ქართულის, მეგრულის და სვანურის ენების შესახებ ეს აზრი განამტკიცეს და მიუღდომელი მეცნიერისთვის ექვს გარეშე ჰყვეს ივერიულთ ენათა განცალკევებული ბუნება, კავშირი სვანურ-მეგრულ-ქართულს შორის და მათი საერთო მამიდგან ჩამომავლობა. საქმარისია ამ ჰემმარიტების შესათვისებლად ორიოდე მაგალითი

მოვიყვანოთ. ავიღოთ კანკლედობა. დავაბრუნოთ სიტყვა „კაცი“ სამსავე ტოტში მიღებული ფორმით ანუ სახით. ქართული „კაცი“, მეგრული „კოჩი“, ლაზური „კოჯი“. შევნიშნოთ თავდაპირველად, რომ ფონეტიკურად, ბგერათა კანონის მხრით, ეს სამივე სიტყვა ერთი ფესვისანი არიან. ოთხ-ბგერიანი სიტყვა—კაცი, კოჩი, კოჯი, შეიცავს ორს ბგერას საერთოს და ორს განსხვავებულს. განსხვავება კი მხოლოდ პირველ-შეხედვითია. სიტყვაში კაცი ბგერანი აც შეცვლილია მეგრულში ოჩ (კოჩი) და ლაზურში ოჯ (კოჯი); ესე იგი, ა შეიცვალა ო-დ და ც კი ჩ-დ და ჯ-დ. ამ გვარი ბგერათა გადაცვლა ცნობილია საერთოდ ლინგვისტიკაში და მაშასადამე იგი ვერ შეარყევს სამი ივერიული ენის მონათესაეობის ქეშმარიტებას. მივაქციოთ ყურადღება ამ სიტყვებს, რა ფორმას იღებენ იგინი ბრუნვაში. ნათესაეობითი ბრუნვა კაცისა, კოჩიში, კოჯიში, ანუ, თუ აჩხნით ამ სახეს, უნდა ვსთქვათ, რომ ქართული ს გადაცვლილა შ-დ, რაც ფონეტიკურად შესაძლოა. ავიღოთ სვანური სიტყვა ტომბა (ტბა); ნათესაეობითი ბრუნვა იქნება ტომბაშ. აგრეთვე მსგავსებაა სხვა ბრუნვათა შორის. მრავლობითი რიცხვი სწარმოვებს ერთნაირად. ტემას და დაბოლოებას შორის ჩაისმის მარცვალი ებ, მეგრულ-სვანურში ეფ: კაცები, კოჩეფი, კოჯეფი. თუ შევადარებთ ნაცვალ-სახელს, რიცხვითს სახელს, ზმნას, მსგავსება იმდენად დაახლოებული იქნება, რომ მეგრულს თავისუფლად გაიგებს ქართველი და ქართულს მეგრელი. რიცხვითი სახელი: ქართული ერთი, მეგრული ართი, ქართული სამი, მეგრული სუმი, სვანური სემი და სხვ.; ნაცვალ-სახელი: ქართული მე, მეგრული მა, ლაზური მე, ქართული თქვენ, მეგრული თქვა და სხვ. სვანური ცოტა დაშორებულია ქართულ-მეგრულთან. სჩანს, იგი უფრო ადრე მოწყდა საერთო დედას და განცალკევებულად განვითარდა. მაინც ნათესაეობა მისი ქართულთან ყველასათვის თვალსაჩინო უნდა იყოს. ავიღოთ იგივე მაგალითები: ქართული მე, სვანური მი; ქართული შენ, მეგრული სი, სვანური სი. ქართული ცხრა,

სვანური ჩხარა. ამ ორს მაგალითში იგივე ფონეტიკური კანონი სწარმოებს ს შ-დ შეიცვალა, ც—ჩ-დ და ლიფლიფა რ წინ სვანურში ჩადგა ხმოვანი ბგერა ა, რომელიც ქართულში გაჰქრა, რადგან მახვილი გადატანილ იქმნა ბოლო მარცვალზედ. საყურადღებოა, რომ წესებითი რიცხვითი სახელი სწარმოებს ქართულს-სვანურს-მეგრულში ერთგვარად: მეცხრე, მეჩხრე, ესე იგი სათავეში მიემატება მარცვალი მე და დაბოლოება შეიცვლება ე-დ. მრავლობითი რიცხვი სვანურში სწარმოებს სხვა პრინციპით: ჩაესმის მრავლობითი რიცხვის ნიშნად არ, როგორც ქართულ-მეგრულში ებ და შემდეგ სამსავე ენაში დანარჩენი ბრუნვა მიმოიხერის, როგორც მხოლობითს რიცხვში. ზმნის ფორმებიც გვიმტკიცებენ ივერიული ჯგუფის ენათა მონათესაეობას. ავიღოთ ზმნა ვაკეთებ და დავაბრუნოთ ქართულს და მეგრულში: მე ვაკეთებ—მა ვაკეთენქ, შენ აკეთებ—სი აკეთენქ, ის აკეთებს—თინა აკეთენქ, ჩვენ ვაკეთებთ—ჩქი ვაკეთენტ, თქვენ აკეთებთ—თქვა აკეთენტ, ისინი აკეთებენ—თინეფი აკეთენა; ნამყო უსრული: ვაკეთებდი—ვაკეთენდი; ნამყო სრული: გავაკეთე—გავაკეთი; მიმღეობა: საკეთებელი—ოკეთებელი, მაკეთებელი—მაკეთებელი.

შევადაროთ ახლა ქართული ზმნის ფორმები სვანურს: მე ვარ, სვანური ხვარი, შენ ხარ, სვანური ხარი, ის არის—არი; ვართ—ხვარიდ, ხართ—ხარიდ, არიან—არიხ. უფრო განსაცვიფრებელი იქნება მონათესაეობა ქართულ-სვანურისა, თუ წარმოშობილს ფორმებს მივიღებთ მხედველობაში, ქართულს ზმნას აბამს, მაგალითად, უღრის სვანური ჰაბემ; ქართულს იბამს, სვანურად იბემ; ქართულს ების სვანურად ჰები; ქართულს იბას, სვანურად იბი. ლექსიკური ნაწილი, როგორც ვსთქვით, აგრეთვე თავდება მათი მონათესაეობისა. საყურადღებოა, რომ სვანურში ახლა ისეთი სიტყვები იხმარებიან, რომელნიც წმ. სახარებაში მოიძებნებიან და ქართულშიაც ამ ჟამად აღარ გვხვდებიან. მაგალითად: სახარება ლუ-

კასი, თავი 9, სტ. 39: პერიონ, პერიოდა, პერვა—სევანურად ნიშნავს ქაფს; მარკოზ 14, 2: სიტყვა პინაკი—ფაკან, ფაკნი (ჯამი); იოანე 11, 7: გუალე, გუალ (წადი); მტილი—ლარტამ (ბალი), თხემი—თხვიმ (თავი); გვემა—გვამიდ (მაგრად) და სხვა.

თუშ-ფშავ-ხევისურების კილო იმ მხრით არის შესანიშნი, რომ იქ დარჩენილა ძველებური ქართული ფორმები; მაგალითად, „მოვიდის“ (=მოვიდა), მრავლობითი რიცხვი მომეტებულს შემთხვევაში სწარმოებს სუფიქსით ნი. ინგილოურს კილოში დარჩენილა ფორმა, რომელიც ახლა აღარ იხმარება. ამ გვარი წინადადება, როგორც „ურმის განალალი ვიყავ“ (=ურმის ანუ ხარების გარეკვა შემეძლო), აწ აღარ მოიპოვება ქართულს ენაში, მაგრამ სჩანს იგი მისი ხასიათის გარეშე არ არის.

ქართულს ენას უმცირდება სიერცე, რომელზედაც წინად გავრცელებული ყოფილა. სულ ორი-სამი საუკუნის განმავლობაში შთაინთქა ქართული ენა ქოროხის ხეობაში და მტკვრის სათავეში. სამცხე-საათაბაგოში ჩვენ თვალწინ, ორმოცსამოცის წლის განმავლობაში შესუსტდა ქართული ენა და ადგილი დაუთმო სომხურს და ქურთულს. სოფლების სახელები, სადაც ახლა მესხეთში უცხო ტომნი სცხოვრობენ, მოწმობენ, რომ იგინი ძველად ქართველთაგან იყო დასახლებულნი. ამათ რიცხვში სხვათა შორის არიან სოფლები წყალ-თბილა, იდუ-მალა, წყურთა, სხვილისი და სხვ.; ესენი შეადგენდნენ ზემა ქართლის დაბებს, ბუდეს ძველი საქართველოს განათლებისას. ამ მხარეზედ აღიზარდნენ დიდებულნი მწერალნი შოთა რუსთაველი და სარგის თმოგველი. მესხურს კილოში ახლაც შევხვდებით არქაიზმებს, ისეთს სიტყვებს, რომელთაც სამწერლო ენაში სხვა მნიშვნელობა მიიღეს. აქ სიტყვის „გამორთმევის“ მაგივრად ხმარობენ „წართმევის“, „დაქრის“ მაგივრად „დახევას“, „დახურულის“ მაგივრად „დაბურულს“. საინტერესოა, რომ მესხები, როგორც მთიულები, თანდებულს ში

(=შინა) გამოსთქვამენ „ჩი“: გულჩი (=გულში), საქმეჩი (=საქმეში). აგრეთვე მახვილიც მესხებს და მთიულებს მიმგზავსებული აქვთ.

ამ მოკლე ენათა და კილოთა განხილვის შემდეგ საკიროდ მიგვაჩნია აღვიაროთ, რომ გურული და იმერულრაკული კილო ფორმით თითქმის არ განსხვავდებიან ქართლქახური კილოსაგან. დასავლეთს და აღმოსავლეთს საქართველოს ერთი ენა აქვთ იმ განსხვავებით, რომ თითო-ოროლა სიტყვებს აწინდელს დროში სხვა-და-სხვას ხმარობენ. ეს განსხვავება იმითი აიხსნება, რომ ძველად ერთს საგანს ორი სახელი სინონიმური ჰქონია, — შემდეგ ქართლში ერთი სინონიმი დარჩენილა და იმერეთში მეორე (მაგალითად ვარცილი და გობი); ან შემოტანილი უცხო ენიდგან სიტყვა შეუთვისებიათ: იმერეთში ვრცელდებოდა უფრო ოსმალური სიტყვები, ქართლში სპარსული. ლინგვისტიური მხრით ეს განსხვავება მხედველობაში მისაღები არ არის. ამიტომაც უსაფუძლოა ქართველთა გაყოფა იმერლებად, გურულებად, რაკველებად, აქარლებად, ხევსურებად, ინგილოებად და სხვ. ესენი შეადგენენ ერთს ტომს, ერთი ენით მოლაპარაკეს. სახელ წოდება მათი ლინგვისტიურ ტერმინს არ წარმოადგენს; იგი აღნიშნავს ან პოლიტიკურს ან რელიგიურს და ან ტერიტორიულს გარემოებას: იმერლებად იწოდებიან ის ქართველნი, რომელნიც ლიხთ იქით, იმერეთის სამეფოში სცხოვრებდნენ, რაკველები — რაჭის საერისთავოში, გურულები — გურიელის სამთავროში, აქარლები — აქარის ხეობაში, ინგილოები — ახლად მოქცეულებს (გამაჰმადიანებულებს), თუშფშავ-ხევსურები არიან მთიელი ქართველები და სხვა.

ქართული ენა არის ძმა მეგრული და სვანური ენებისა; ქართული ენის ასოებით, ბერლინელი აკადემიკოსის როზენის აზრით, შეიძლება თვითოეული კავკასიური ენის ბგერათა გამოსახვა. ქართულს ენას დიდი გავლენა ჰქონდა აფხაზურს და ოსურს ენებზედ, ამ ორსავე ენაში მრავლობითი რიცხვი

სწარმოებს სუფთეიქსით თა, რომელიც აღებულია ქართული ენიდგან. კულტურული გავლენა იქონია ქართულმა აგრეთვე ჩაჩნურს ენაზედ. ჩაჩნეთში მეცხრე საუკუნეში უკვე იყო ეკლესია ქართული ზედ-წარწერით. ინგუშები ორშაბათს უწოდებენ „ორშუთ“, კვირას „კირინდე“; ჩერქეზულად ღმერთი— „ლთა“, ოსურად „ხუცაუ“ და სხვ.

შესწავლა ქართული ენის გრამატიკისა იწყება ძველი დროიდანვე, ფილოსოფოსი იოანე ჰეტრინი თამარ მეფის დროს იყო ამასთანავე გამოჩენილი გრამატიკოსიც. კათოლიკეთა მისიონერების შემოსვლამ საქართველოში ის ნაყოფი მოიტანა, რომ ქართულს ენას მეცნიერული გამოკვლევაც ეღიარა. მეჩვიდმეტე საუკუნეში დაიბეჭდა იტალიაში მავჯიოს მიერ ქართული გრამატიკა (1643 და 1670 წ. წ.). მართალია, მავჯიო ვერ არჩევს ერთმანეთში ბგერას ხ და ჰ, კ და ყ, მაგრამ ის მნიშვნელობა ჰქონდა იმის შრომას, რომ უცხოელნი ჰირველად გააცნო ჩვენს ენას. 1643 წ. დაიბეჭდა ქართული იტალიური ლექსიკონი, ჰაღლინის მიერ შედგენილი ქართველი მღვდლის ირბახის დანმარებით. მიტროპოლიტის ვარლამის და ფიორაღაშვილის შედგენილი გრამატიკით ისარგებლა ღინგვისტმა სევერინ ფატერმა და 1822 წ. აღბეჭდა განხილვა ქართული ენისა. 1834—1837 წარჩეში გამოსცა ფრანგულად ქართული ენის გრამატიკა მარი ბროსემ, რომელსაც რეცენზია უძღვნა დიდმა მეცნიერმა ბიურნუფმა.

ქართველთაგანში საგრამატიკო შრომა მე-XVIII საუკ. ეკუთვნის ანტონ I კათოლიკოსს, რომლის შრომა იყო კათოლიკეთა მისიონერებთან დაახლოების ნაყოფი. ანტონ კათოლიკოსმა გრამატიკა ხელმოწერა ალიარა, შემოიტანა ახალი ასოები და ფორმები. „ჰირველის“ მაგივრად ხმარობდა „მეერთეს“, თანდებულს სიტყვას წინ უსვამდა (თვის მამისა) და არა ბოლოს. ანტონის მოწაფემ თეოფილ სემინარის რექტორმა გაიოზმა 1789 წ. დაბეჭდა გრამატიკა და ალიარა, რომ ქართულს ენაში ერთი კანკლელობა და არა სამი, როგორც მის მასწავლებელს—კათოლიკოსს სწამდა. ამის შემდეგ გრამატიკები ეკუთვნის დავით ბატონიშვილს, იესე ჩუბინაშვილს,

პლატონ იოსელიანს, დავით ჩუბინაშვილს. აქამდის რიგისი გრამატიკა არა გვაქვს და არ არის ისტორიულად შესწავლილი ქართული ენა კილოვანებითურთ. ამიტომაც ასე უჩუოფოა სხვა-და-სხვა თეორიები, რომელს ჯგუფს ეკუთვნის ივერიული ენათა შტო. ბეგრნაირი აზრი იყო გამოთქმული ამის შესახებ.

პირველად ლეიბნიცმა წარმოსთქვა აზრი, რომ ქართულს ენას ინდო-ევროპულ ენებთან აქვსო დამოკიდებულება. ჰუდინის და ირბანის ქართულ-იტალიური ლექსიკონის მიხედვით იგი ფიქრობდა, რომ ქართული ენა ბერძნულს ემსგავსება. თავის აზრის დასამტკიცებლად მკჷყავს 140-ოდე სიტყვა მათ შორის მომეტებული ნაწილი ქართული სიტყვებისა შეცდომით არის გადმოღებული. იგი აღარებდა სიტყვებს, რომელნიც ქართულში უცხო ენებიდგან იუვნენ შემოსულნი, მაგალითად: ჰაერი (аѳ), ორღანო (ბერძნული ორღანონ) და სხვ. ეს გზა, რასაკვირველია, სმეცნიერო გზა არ არის. აკად. ბროსემ შეითვისა აზრი ლეიბნიცისა და თავის გრამატიკაში ამტკიცებდა ქართული ენის ნათესავობას ინდო-ევროპულ ენებთან. იგი ქართულს აღარებდა სანსკრიტულს, ზენდურს და სომხურს ენებს და უეურადღებოთ სტოვებდა დანარჩენ წევრებს ინდო-ევროპული ენათა ჯგუფისს. ღია წერილში, რომლითაც მან მიმართა გამოჩენილ ღინგვისტს ბოპპს, იგი ქართული ენის მონათესავობას ინდო-ევროპულ ენებთან ამყარებდა სომხურს ენაზედ. იგი ხმარობს ამ გვარს სილოგიზმს: სომხური ენა ინდო-ევროპულია, ქართული მონათესავა სომხურისა, მაშასადამე ქართულს მონათესავობა აქვს ინდო-ევროპულს ენებთან. ქართული და სომხური ენების მონათესავობას იგი ამყარებდა საერთო სიტყვათა განხილვაზედ და არა გრამატიკის შესწავლაზედ. ქართულსა და სომხურში ბევრი საერთო სიტყვებია (მაგალ. ბორატი, ბრძოლა). რადგანაც არ შეგვიძლიანო ვსთქვათ, რომ ქართველებმა იგინი ისესხეს სომხებისაგან, ან სომხებმა ქართველებისაგან, ამიტომ აკად. ბროსესე ჰფიქრობდა, რომ ეს საერთო განძი ეკუთვნის ქართულ-სომხურს განუყოფელი ცხოვრების ხანას. ბოპპმა და ბროსემ გერავინ დაარწმუნეს, რომ ქართული ენა ეკუთვნის ინდო-ევროპულს ენათა ჯგუფს და მას შემდეგ იწყება ახლ-ახალი აზრების წამოყენება

ჩვენ ენის ხასიათის შესახებ. ინგლისელმა ლინგვისტმა მაქს მიულლერმა მისცა სხვა მიმართულება ამ საკანს. იგი აკუთვნებს ქართულს ენას თურანის ენათა ჯგუფს, თუმცა საბუთი თავის აზრის დასამტკიცებლად არ მოჰყავს. იგი ეძახის კავკასიურს ენებს თურანის ოჯახობის დაფანტულს ენებს. ეს თეორია შემდეგ თვით მ. მიულერმა არ შეიწყენარა და თავისს ნაწერებში აღარ გაუმეორებია.

ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა ფრიდრიხ მიულლერმა წამოაყენა სხვა თეორია. ამან იცნო ივერიული ენათა ჯგუფი განცალკევებულ ჯგუფად. ამ აზრს ახლა ადგია მომეტებული ნაწილი ევროპელთა მეცნიერთა შორის. გრადის უნივერსიტეტის პროფესორი ჰუგო შუხარდტიც ამავე თეორიის მიმდევარი უნდა იყოს, რამდენადაც შეიძლება დავასკვნათ იმის საფუძვლიანი წერილებიდან ქართული ენის შესახებ. თუმცა იყო გამთქმული გაკვრით აზრი ქართული ენის მონათესავეობაზედ სემიტურს ენებთან, მაინც აქამდის ეს აზრი არ უოფილა ცოტადენაღ მაინც დასაბუთებული და ამიტომაც ფრიდრიხ მიულერის თეორია რჩება ხელ-შეუხებელი.

გამოჩენილი მეცნიერი შპიკელი წერილს ქართულისა და სერთოდ კავკასიური ენების შესახებ ასე ათავებს: „თუმცა ზედმიწევნით არ ვიცით კავკასიის ენები, მაგრამ ორი რისამე სარწმუნოდ დამტკიცება მაინც შეიძლება: ერთი ის, რომ ყველა ენები მეტნაკლებობით ენათესავეებიან ერთმანეთს, რადგან, თავისებურობასთან ერთად აქვთ აგრეთვე ზოგიერთი საერთო დამახასიათებელი თვისებანი; მეორე ისა, რომ იმათ ანაფითარი ნათესავეობის კავშირი არა აქვთ არც ერთს ენათა ოჯახთან, არც ინდო-გერმანულთან, არც თურქულ-თათრულთან, რომელთაგან კავკასიელები ფიზიკური თვისებითაც განსხვავდებიან. ამ ენებში ვხედავთ სრულიად განსაკუთრებულს ოჯახს ენებისას, რომელთაც უწინ ეწირათ უმეტესი ადგილი ვიდრე ახლათ“. ამავე აზრისაა პროფ. ა. ა. ცაგარელი. ჩვენი თანამემამულე მეცნიერი სხვათა შორის განმარტავს ენათა მეცნიერების შეუთანხმებლობას ქართული ენის შესახებ იმითაც, რომ ქართული ენა შტობითურთ არ არის შესწავლილი, არ არის აღდგენილი უძველესი ტიპი ივერიული ენების ჯგუფისა. „ამ გვარად, ამბობს იგი, ნამდვილი და

სამეცნიერო საშუალება იმ ცილობის მოსასპობლად, რომელიც არსებობს აგერ ერთი საუკუნე-ნახევარის, არის—გულდადებით და ყოველმხრივ გამოკვლევა, წინაღუე აჩემებულის თეორიის მიუხედავად, ქართულის ენისა (განსაკუთრებით მის ფონეტიკისა) და მის მონათესავე იდიომებისა: მეგრულისა, ჭანურისა და სვანურისა და ადღკენა, შედარების და დედუქციის გზით, ძველის-ძველის ივერიულის ენისა, რომელიც საფუძვლად დასდებია ქართული დარგის ხსენებულს ენებს“. ქართული ენის გავრცელებაზედ უფრო დიდს სივრცეზედ მოწმობენ კანის ლურსმული წარწერანი და მცირე აზიაში დარჩენილი გეოგრაფიული ტერმინოლოგია, რომელიც ქართული ენის შემწეობით განმარტა ჰაიდ კლერკმა, ინგლისელმა მეცნიერმა. ამ მეცნიერის აზრით ბევრი სახელწოდებანი მდინარეთა, დაბათა და მთათა მცირე აზიაში იწარმოებიან ქართული სიტყვის ფესვებიდან. ეს გარემოება იმის საბუთია, რომ ქართული ენა წინად მცირე აზიაში იყო გავრცელებული და კჭირა ფართო მოკლანი.

ქართული ენის შესასწავლად ამ ბოლო დროს დიდი შრომა მიიღო ჰროფ. შუხარდტმა. შეუდგა ამ ენის შესწავლას აგრეთვე ბუდაპეშტის უნივერსიტეტის ჰროფ. აშბოტი. მასალა და სახელმძღვანელო უცხო ენებზედ მეტად ნაკლებად არის გამოცემული. უმთავრესს ლექსიკონად რჩება შრომანი დ. ჩუბინაშვილისა, ს. ს. თრბელიანისა და რაფ. ერისთავისა. სვანურ-მეგრულის შესასწავლად მეტად ნაკლები საშუალება გვაქვს.

ქ ა რ თ უ ლ ი ა ნ ბ ა ნ ი .

ქართული ანბანის დასაწყისი და მისი ისტორია აქამდის გამოურკვეველია. ქართველებს ორნაირი ანბანი გვაქვს: ხუცულრი და მხედრული. რა დროს ეკუთვნის მხედრულის ან ხუცურის შექმნა, ან რომელია მათში უფროსი—აქამდის არ არის გადაწყვეტილი საბუთიანად. ერთნი ჰფიქრობენ, რომ მხედრული უძველესი ანბანია და მის გამოგონება ეკუთვნის მეფე ფარნავაზს მესამე საუკუნეში ქრისტეს წინად. მეორენი კი იმ აზრი-

სანი არიან, რომ მხედრული მომდინარეობს ხუცურიდგან და იგი გაჩნდა ხუცური ანბანის შემდეგ, მეთე-მეთერთმეტე საუკუნეში. ხუცურის გამოგონებას მიაწერენ სომეხს მესროპს, რომელმაც მეხუთე საუკუნეში შექმნა სომხებისთვის განსაკუთრებითი ანბანი. გავარჩიოთ ეს ორივე თეორია.

„ქართლის ცხოვრება“, მართალია, მოგვითხრობს, რომ ფარნავაზმა ანბანი გამოიგონაო, მაგრამ შემათიანე არ გვაუწყებს, რომელი იყო ეს ანბანი—მხედრული თუ ხუცური. ტრადიციით განმტკიცდა ის რწმენა, რომ ფარნავაზი იყო გამოგონი მხედრული ანბანის, თუმცა თეიმურაზ ბატონიშვილი თავის საქართველოს ისტორიაში ბძანებს, რომ არიან მეისტორიენი, რომელნიც ხუცურს უძველესს, ვიდრე მხედრულს, ანბანად აღიარებენო. ეს საგანი მეტად ფთხილს გამოკვლევას თხოულობს. თუ უურადლებას მივაქცევთ „ქართლის ცხოვრების“ სიტყვებს და მეფე ფარნავაზს ვიცნობთ პირველ გამოგონებლად ანბანისა, მაშინ საჭიროა ისტორიული მოსაზრებით მივაგნოთ იმ დედანს, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს მმართველს და მამულის განმანათლებელს მწერლობის შემოღებით. მეფე ფარნავაზი, რომლის დედა სპარსელი ქალი იყო, მიმართავდა სპარსულს ანბანს, რადგან საქართველო იმის დროს მესამე საუკუნეში სპარსეთის გავლენით სუნთქავდა. თუ ეს მოსაზრება საბუთიანია, მაშინ ქართული ანბანი უნდა წააგავდეს სპარსულს, რაკი ეს უკანასკნელი შეიქმნა დედნად ჩვენი ანბანისთვის. ფარნავაზის დროს სპარსეთში მიღებული იყო ზენდური ანბანი, რომლის 25 ასო 35-ს შორის მართლაც წააგავს ქართულს მხედრულს; ზოგი თითქმის შეუცვლელად გადმოღებულია (მაგალითად დ, ზ), ზოგს შეუცვლია მოსახულობის სახე,—მიბრუნებულან ან გადაბრუნებულან (მაგალითად: რ ტ ჰ). ეს აზრი, რომ ქართულს ანბანს, ფარნავაზის გამოგონილს, საფუძვლად დაედო ზენდური ანბანი, სარწმუნოა მაშინ უფრო იქნებოდა, რომ ზენდურს ანბანს მესამე საუკუნეში, როცა საქართველოში გადმოდის

იგი, იგივე რგვალი მოხაზულობა ჰქონოდა, როგორც აქვს ჩვენს ანბანს. ამ ქამად კი ცნობილია, რომ ზენდურმა ანბანმა რგვალი მოხაზულობა მიიღო რამდენიმე საუკუნის შემდეგ და მაშასადამე ზენდური და ქართული ანბანის მსგავსება უნდა განიმარტოს სხვა გზით. ის კი ექვს გარეშეა, რომ მესროპი, სომეხი ჩამომავლობით, ვერ შექმნიდა ქართული ენისთვის ანბანს, რადგან მან ენა არ იცოდა და თანამშრომლად ჰყავდა „ივერიელი ჯახიო“, გვაუწყებს მესროპის ბიოგრაფი ქორიუნი. ჩვენ ახლა კარგად ვიცით, რომ გამოჩენილ ლინგვისტებსაც უჭირთ უცხო ენისთვის ანბანის შექმნა, რადგან საძნელო საქმეა ბგერათა მკაფიოთ აღნიშვნა და, რასაკვირველია, ეს სიძნელე სომეხი მესროპისთვის, რომელსაც ქართული არ ესმოდა, მეხუთე საუკუნეში უნდა გაორკეცებულიყო. ამიტომაც ჩვენ არ მიგვაჩნია სარწმუნოდ მესროპის მიერ ქართული ანბანის გამოგონება მით უმეტეს, რომ ამავე მესროპის მიერ გამოგონილი სომხური ანბანი არ წააგავს (გარდა ერთი ასოსი 𐌕) ქართულს ანბანს. მესროპი რომ ყოფილიყო ანბანის შემქნელი ქართველების და სომხებისთვის, მაშინ მოხაზულობას ერთნაირ ხასიათს მისცემდა.

თუ პალეოგრაფიულის მხრით გავშინჯავთ საგანს, მაშინ დავრწმუნდებით, რომ მხედრულს და ხუცურს ანბანს ერთმანეთთან კავშირი აქვთ ასე, რომ პირველი წარმოშობილია მეორისაგან. უძველესი ნაშთნი ქართული მწერლობისა ხუცური ანბანით არიან ნაწერნი: ამ გვარია ძველი ზედ-წარწერანი ტაძრებზედ და ფულზედ (V—VI საუკ.) და ხელნაწერნი VII—IX საუკ. მხოლოდ მეთათე საუკუნეში აღინიშნა მხედრული ანბანის ასონი და იმ დროს ჯერ კიდევ ხუცურის მოხაზულობა აქვთ. მხოლოდ XIII—XIV საუკ. მხედრული ანბანი განთავისუფლდა ხუცურის გავლენისაგან.

შესახებ დროისა, როდის შეიქმნა პირველად ქართული ანბანი, გადაწყვეტით არ შეიძლება წარმოითქვას აზრი. ჩვენ ანბანს ატყვია გავლენა ზენდური, ბერძნული და, შესაძლოა,

ინდოურის ანბანისაჲ. მოხაზულობა ბგერათა უნდა შექმნილიყო დიდის ხნის სივრცეზედ; დროთა განმავლობით შეესებულა და შესწორებულა ჩვენი ენის ბგერათა გამოსახატავად ისეთი ანბანი, რომელიც მიჩნეულია საუკეთესო ანბანად და ყველა ხმოვანი და უხმო ბგერათა თვალსაჩინო მოსახაზავად. ფრიდრიხ მიულლერის აზრით ქართული ანბანი წარმოსდგა ქრისტეს დაბადებამდე და დამყარებულია არამეულს აღფაბეტზედ. ეს აზრი განსვენებული მეცნიერისა ვერ იყო მტკიცედ განმარტებული, რადგან შედარება ჩვენი (ხუცური) და არამეული ანბანისა მოახდინა ძალდატანებით, ასოების მოხაზულობის გადასხვაფერებით. ფრიდრიხ მიულლერი უარყოფს სომხის მესროპის მონაწილეობას ქართული ანბანის შექმნაში იმ მოსაზრებით, რომ ქართულს და სომხურს ანბანს სხვა-და-სხვა სახე აქვთ. წარმოუდგენელიაო, რომ ბგერათა სისტემა ამ ორსავე ენაში ერთია და ორი სხვა-და-სხვანაირი მოხაზულობა შეექმნა მისთვისაო. არამეული ანბანი უნდა აღვიაროთ ქართული ანბანის პროტოტიპად, — ამბობს იგი, — იმიტომ, რომ წყობა ასოებს ერთნაირი აქვსო. ექვს გარეშეა მხოლოდ ამ ეამად ის ფაქტი, რომ ხუცური ნაშთნი უსწრობენ მხედრულს. ასომთავრული ხუცურიდგან განვითარდა ნუსხა ხუცური და ამ უკანასკნელის შემდეგ წარმოსდგა მხედრული. ძველად **О** სრულებით არ არის და იმის ნაცვლად იხმარება **Оჲ** (ოჲ), ამასთანავე **Оჲ** გამოითქმის, გარდა უ-სი, ვე-ცა, ვ-ცა და ვი-ცა. ე-ს ნაცვლად იხმარება ხშირად **ქ** (ც) და **ჲ** (კ), მაგალითად ოჲფალი (უფალი), ჩოკენი (ჩვენი), მოგოჲანიჲა (მოგეანიჲა), მც (მე) და სხე.

ნუსხა ხუცურში **Оჲ**-ს ნაცვლად იხმარება ოთხკბილოვანი **ოჲ** და შემდეგ სამკბილოვანი **ოჲ**. ამ უკანასკნელიდგან სწარმოებს მხედრული უ.

უძველესს ნაშთებში გხვდება ასოები **ჭ**, **ჟ**, **ჯ**, **კ**. აქამდის არ არის გამორკვეული, როდის იხმარებოდნენ დასახელებული ასოები. **ჭ** შეგვხვდება როგორც წარმოებულს, აგრეთვე

ფესოვანთ სახელთა დაბოლოებაში: ხს, ძს, მეფს, საფერკს, ზედ-შესრულ სახელში: მარჯუს; ნაცვალ სახელში: ესს; საკუთარს სახელში: მოსს; კავშირში: უკუს. გვხვდება სიტყვის საშუალო ადგილსაც: ისრუსაღიმ. ერთს და იმავე ნაწერში ს და ე ერთმანეთში არეულად იხმარება, ხან ს და ხან კი ე: ქრისტე, ქრისტს; ან ორივე ერთად უკუსს. ა იხმარება სახელის დაბოლოებაში, თუ მას მიუძღვის ბგერა ა ან ო: ცხორებაჲ, წმიდაჲ, საკრებულოჲ. ვ იხმარება ვი-ის გამოსახატავად: გუხილავს, შვიდი, თვისი, ქვსა, ეგვპტე. კ იხმარება ძველად უფრო ხშირად, ვიდრე შემდეგ: კმა, კელი, საკედარი, სიმკნე, მკეცი და სხვა. ქართული ენის ისტორია ჯერ არ დაწერილა და ამიტომაც ვერ ვხედავთ გავარჩიოთ ჩვენი ორთოგრაფიის ისტორია აქ რამდენიმე სიტყვით.

განხილვა ქართული მწიგნობრობის ნაშთთა მეთორმეტე საუკუნემდე.

ქართული მწიგნობრობის ისტორია მეთორმეტე საუკუნის გასულამდე ორ ხანად იყოფა: პირველი შეიცავს ძველს, მეხუთე საუკუნიდგან მეთორმეტე საუკუნემდე, და კლასიკურს, მეთორმეტე ვიდრე მე-XII. ძველი ხანა იყო დრო მომზადებისა. იგი შეიცავს სასულიერო შინაარსის ნაწერებს: სამღვთო წერილის და მამათა თხზულების თარგმანს, ზნეობრივს თხზულებას და წმინდათა ცხოვრებას. კლასიკური ხანა მოჰყვა ამ მომზადების დროს. ეს ხანა აღნიშნულია ხელოვნურთ თხზულებათა შექმნით და ისტორიული ნაწერების წარმოშობით. რადგანაც ქრისტიანობამ ჩაუყარა საძირკველი საქართველოს განათლებას, ამიტომაც ძველს მწერლობას აზის ბეჭედი სასულიერო ხასიათისა. საწარმართო დროიდგან ჩვენამდის არ მოუწევია არც ერთს ნაშთს და საეკვოა, რომ ყოფილიყოს მეოთხე საუკუნემდე რაიმე სალიტერატურო ქმნილება. მხოლოდ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ აღიძრა მწერლობის მოთხოვნი-

ლება. სწავლა-განათლება დამყარდა მონასტრებში და ხელმძღვანელნი იყვნენ სასულიერო პირნი. ქრისტეს სწავლის მოძღვარნი იმავე დროს იყვნენ მთარგმნელები და მწერალნიც. პირველად პალესტინაში, შემდეგ ათონის მთაზედ და შუაგულს საქართველოში ჩვენთ წმიდა მამათა შრომით დაიწყო ქართული მწერლობა. პალესტინაში მოღვაწეობენ მე-VIII საუკუნემდე დავით და სტეფანე; ჯვარის მონასტერში მე-XI საუკ. მწიგნობრობას მისდევენ პროხოზრე, მიქელ, იოანე დვალი და სხვ.; სინას მთაზედ მე-VIII—IX საუკ. მოქმედებენ მიქელ და ევსტატე. მე-X—XI საუკ. ათონის მთაზედ ამობრწყინდნენ უკვდავი მოღვაწენი: ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელნი. უძველესს ნაშთებად ქართული მწერლობისა უნდა ჩაითვალოს შემდეგნი:

დავითნი მე-VII—VIII საუკ., სინაზედ ნაპოვნი, პაპირუსზედ ნაწერი. ჩვენამდე მოუწვია 70 ფურცელს.

თთუები მე-VII—VIII საუკ., ჯვარის მონასტერში (იერუსალიმში) დაცული, ნაწერი ტყავზედ და პაპირუსზედ.

მე-IX საუკ. ეკუთვნის წმ. აბოს ცხოვრება, ესრედ წოდებულს სვანურს მანუსკრიპტში დაცული.

მე-IX საუკუნეში არის დაუსრულებელი ადიშის სახარება (სვანეთში), გადაწერილი 897 წ.

ამავე საუკუნიდგან მოუწვია ჩვენამდე სიტყვათა და სწავლათა წმ. გრიგოლ ნეოკესარიელისა, ვასილ დიდისა, იოანე ღვთისმეტყველისა და კირილე იერუსალიმელ არქიეპისკოპოსისა, გადაწერილთ წმ. საბას მონასტერში.

მოძღვრებანი ეფრემისა (გადაწერილი საბას მონასტერში გიორგის მიერ), ცხოვრება სიმონ საჯახისა და სხვა.

მეთავე საუკუნის ხელნაწერთა შორის შესანიშნავია: სახარება 979 წ. (ორთავი), გადაწერილი იოანეს მიერ სინაზედ.

დაბადება, დაცული ათონის ივერიის მონასტერში; იგი გადაწერილია 978 წ.; ზოგიერთი ნაწილი აკლია.

ძვირფასი კრებული შატბერდისა, რომელშიც მოქცეულია „სახის მეტყველი“, ეპიფანე კვიპრელის „ქვათათვის“ და სხვა.

ამავე საუკუნეს ეკუთვნიან პარხალის სახარება 973 წ., დავითნი 974 წ., ლეჩხუმის სახარება 1060 წ.

ათონის კრებული 1074 წ., ცხოვრება ბაგრატ ტავრომენიელ მთავარ-ეპისკოპოსისა, მეტეხის სახარება 1049 წ.

მეთორმეტე საუკუნეში მრავალი ხელთნაწერია გადაწერილი სხვა-და-სხვა შინაარსისა.

აქ ჩამოთვლილი ხელნაწერების სახელწოდებანი მოწმობენ, რომ ძველი ჩვენი მწერლობა სასულიერო მიმართულებისა იყო. იმ ხელნაწერებს მოუწვევიათ განსაკუთრებით ჩვენამდე, რომელნიც ესაჭიროებოდათ წირვა-ლოცვის დროს: სახარება, დავითნი და მათი განმარტებანი. საზნეო წიგნებიც მრავლად არის დაცული ჩვენს მწერლობაში: ამგვარია „მარგალიტი“, „ოქროს წყარო“, „სამოთხე“, „გვირგვინი“. დოგმატიური თხზულებანი (იოანე დამასკელისა), ქადაგებანი წმ. ნინოსი, იოანესი, სწავლანი და მოძღვრებანი გიორგი მთაწმინდელისა აკმაყოფილებდნენ ამავე სარწმუნოების მოთხოვნილებას.

ძველს სასულიერო მწერლობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოძღვრება-ქადაგებას. ბერი და მღვდელი, აღჭურვილი რელიგიური აღტაცებით და მამულის სიყვარულით, ამცნებდა ერს ქრისტიანობრივი სარწმუნოების კეშმარტებას, უმტკიცებდა წრფელს გრძობას, ამხელდა მავნე საქციელს. მონასტრის ზღუდეში განდევილი სასულიერო პირი იყო მწერალი და ღვთის მადიდებელი, ტაძრის გარეშე იგი აისხამდა აბჯარს და შეიქმნებოდა მედგარი მცველი ეკლესიის და სამშობლოსი; ხალხი მშვიდობიანობის დროს მას ეპყრა ჯვარი ხელში, წვრთნიდა ყმაწვილ თაობას სკოლაში და უნერგავდა ერს სახარების მოძღვრებას. დიადი იყო ღვაწლი ამ გვართ პირთა მით უმეტეს, რომ იგინი ჯილდოდ სთხოვდნენ მათ შრომათ წამკითხველს მხოლოდ ლოცვაში მოხსენებას და ცოდვათა შენ-

დობას. ასე გახდა ბერი და მღვდელი საქართველოს კულტურის შემქნელად და დედა-ბოძად. ამ პატიოსანთა მოღვაწეთა სახელები იშვიათად იხსენებიან მწერლობაში.

წმ. გიორგი მთაწმინდელი, დაულალავი მუშაკი სამწერლო ასპარეზზედ, ერთის თავის ნაწერის ბოლოს აი რას გვაუწყებს: „გევედრები წმინდანო ღვთისანო, ვისადცა მოიწიოს წმიდაი ესე წიგნი, აღიკითხვიდეთ წმიდათა შინა ლოცვათა გამზრდელნი ჩემნი: სვმეონ აფხაზეთის კათოლიკოსი და მოძღვარი ჩემი დიმიტრი და შემდგომად სულიერნი მოძღვარნი და მშობელნი, მამანი და ძმანი და თვთ მე საწყალობელი გიორგი. და თქვენ მომავალთა ჩვენ წარსულთათვის ესე... რამეთუ ვიყვენით ოდესმე ჩვენ, ვითარცა თქვენ და თქვენცა იქმნეთ, ვითარცა ჩვენ და უფალმან სიყვარულისა და წყალობის სასყიდლად მოგანიკოს და ერთობით წყალობაი საუკუნოდ“.

ან კიდევ ეს წარწერა: „ღირს ვიქმენ არა ღირსი ბასილი აღწერად წმიდისა ამის წიგნისა... ან ვინცა იხმარებდეთ, შენდობასა ღირს მყავით, რამეთუ ნაშრომი ჰგიეს და მშრომელი წავალ გლახაკი“. ეს სიმდაბლე მშრომელთა, რომელნიც თაიანთ გვარს არც კი აცხადებენ, ეს მატხოველებელი ძალა და სიყვარული შთამომავლობისადმი ასულდგმულეებდა საქართველოს ერს და უმტკიცებდა ენერგიას. მაგალითით და სწავლით იწვრთნებოდა ახალთაობა და ჰკაფავდა მოძმეთათვის განათლებისადმი გზას. ეს იყო მიზეზი, რომ ქადაგებას და მოძღვრებას ისეთი მამოქმედებელი მნიშვნელობა მიეცა. ჩვენამდე მოაწია რამდენმამე „ღვთივ განათლებულთა თხრობათა“ კრებულმა. ზოგიერთი მათგანი უკვე დაიბეჭდნენ ვასილ კარბელაშვილის მიერ: „გვირგვინი“, „სამოთხის ყვავილი“ და სხვა.

„სამოთხის ყვავილი“ ეკუთვნის იმ წიგნთაგანს, რომლითაც იმოდღვრებოდა ერი ქართველთა ქრისტიანობის შემოსვლისთანავე. თვით „სამოთხე“, საიდგანაც გამოკრებილია

ეს ქადაგებანი ჩვენს მწერლობაში მოიპოვება. „სამოთხე“ წარმოადგენს იოანე ოქროპირის და ეფრემ სირინის*) ქადაგებათა კრებულს. დაცულია ივერიის მონასტერში, ნაშრომია იქვე ნათლის-მცემლის ოქშის ლავრაში და გადაწერილია 977 წ. მამობასა საბასასა, ხელითა იოანესითა და სტეფანე დეკანოზისათა.

ეს ქადაგებანი დაწერილი არიან ხალხისათვის. ამას ჰმოწმობს ის შენიშვნა, რომელიც მიუძღვის თვითოვეულ თხრობას: „სიმდაბლით... განათლებისათვის“, „სიმშვიდით მორჩილებისათვის“ და სხვ.; ეს შენიშვნა წარმოადგენს მიმართვას: „ღვთივ სულიერნო შვილნო ეკლესიისანო“. ძველი მოძღვრების ხასიათის გასაცნობლად, საკმარისია ორიოდ ნაწყვეტი მოვიყვანოთ ამ კრებულიდგან.

პირველი თხრობა სულიერი „სიმდაბლით განათლებისათვის“ დაიწყება სიტყვებით: „ღვთივ სულიერნო შვილნო აღმოსავლეთისა ეკლესიისანო! ღმერთმან სთქვა: იქმენინ ნათელი და იქმნა ნათელი. კვალად სთქვა მამამან ძისა ღ სულისა წმიდისა: ვჰქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა“. „ქრისტე ბრძანებსო, — განაგრძობს მოძღვარი, — ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა და ჰპოოთ განსვენება სულთა თქვენთა. აწ უკვე, საყვარელნო, ვისმინოთ შემოქმედისა ჩვენისა, მორჩილ ვექმნეთ დამბადებელსა ჩვენსა და შევუდგეთ წინამძღვარსა ცხოვრებისა ჩვენისასა იესოს; შევიმოსოთ ქრისტეს მსგავსი სიმდაბლე, რამეთუ სიმდაბლე ღვთისა სათნო არს, ანგელოსთაგან პატივცემულ და კაცთაგან ბრძენთა სანატრელ“. ამასთანავე მქადაგებელს მოჰყავს მავალითად სიმდაბლისა ერთი ბერი, განშორებული ქალაქთაგან და ყოვლითა სათნოებითა შემკული. გამოუცხადა მას ანგელოსმა, ვითარმედ ქალაქსა შინა წმიდათაგანი ვინმე მიიცვალების უფლისა მიმართ, მივედ და იხილე იგი, რათა გესმას სანატრელი ხმაი უფლისა კვალად: სწულ ვიყავ და მომხედეთ მე. ხოლო წმიდა ბერი არა წარვიდა დღისით, რათა არა

*) ასურის.

იდიდებოდეს კაცთაგან, არამედ ღამით გამოვიდა ქვაბისა მის-
გან და წარვიდა სიმდაბლით. ხოლო ყოველთა გულთა მე-
ცნიერმან ღმერთმან სათნო იყო სიმდაბლე გონებისა მისისა
და მოუვლინნა ორნი ანგელოზნი, რომელთა ეპყრათ ლამპარნი,
წინა უძლოდეს ღირსსა მას ბერსა და უმნათობდეს. რამეთუ
კაცთა მიერსა დიდებასა ევლტოდა, ხოლო ღვთისა მიერ დი-
დებულ იქმნა. და მას ზედა აღესრულა ბრძანება მაცხოვრისა:
რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამალდდეს. ამისთვის
გლოცავ და გევედრები, ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო,
მოვიგოთ ჩვენდა სანატრელი სიმდაბლე და დავნერგოთ
გულთა შინა ჩვენთა, რათა ღმერთსა სათნო ვეყვნეთ. შევი-
მოსოთ პატიოსანი სიმდაბლე, რათა ქრისტე შევიმოსოთ. რა-
მეთუ სიმდაბლე საფუძველი არს და მშობელი ყოველთა
სათნოებათა, ვითარ იგი უფალმან ამისგან იწყო ქადაგებად
და სწავლად, ვითარმედ: ნეტარ იყვენ გლახაკნი სულითა,
რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა... განვაგდოთ ჩვენგან
საძაგელი უღელი ამპარტავენებისა, რომელი ეშმაკთა თანა
დაგვსჯის ბოროტად. ნუცა ვიქადით ორისა დღისა მარხვასა
ზედა მსგავსად ფარისეველისა, რამეთუ უფალი ამპარტავენთა
შემუსრავს, ხოლო მდაბალთა მოსცეს მადლი. დავიმდაბლოთ
თავნი ჩვენნი, რათა აღვიმადლოთ სულნი ჩვენნი და სიმდა-
ბლითა გულისათა ვილოცვიდეთ, რათა შეიწიროს ღმერთმან
ლოცვა ჩვენი, ვითარცა საკმეველი და ავმალდდეთ სასუფე-
ველსა ცათასა და ქრისტეს თანა ვსუფევედეთ მადლითა და
კაცთმოყვარებითა მისითა, რომლისა არს დიდება თანა მამით
და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუ-
ნისამდე. ამინ.

ჩვენ მოვიყვანეთ თითქმის მთლად ეს პირველი თხრობა
„სამოთხის ყვაილიდგან“. ამით გავიცანით მარტივი ენა მო-
ძღვრებისა და სულიერი ძალა, რომლითაც იგი განსქვალუ-
ლია. ამგვარივე ხასიათისანი არიან შემდეგნი თხრობანიც.
მეორე თავი განმარტავს „სათნოებით განათლებისათვის“.

იგავით შემოწმებულია მაცხოვრის სიტყვები: „მე ნათელი სოფლად მოვივლინე, რათა ყოველსა, რომელსა რწმენეს ჩემი, ბნელსა შინა არა დაადგეს“. მოძღვარს მოჰყავს მაგალითი. იყო ვინმე ბერი წმიდა და ღმერთ-შემოსილი, რომელიც ღამე და ღღე ილოცვიდა და ხელითა თვისითა მოქმედობდა და მით მოწყალებასა იქმოდა. ყოველად სახიერმან ღმერთმან ესე მადლი მოანიჭა ღირსსა ბერსა, რომელ სენაკი მისი ღამით ყოველდღე განათლებულ იყო და ვითარცა დღისით იკითხვიდა წმიდათა წიგნთა... გევედრები მოვიგოთ ჩვენცა სიმდაბლე, სიბრძნე და მეცნიერება გონებისა...

ძველს ჩვენს მწერლობაში მოძღვრება-ქადაგება ბევრნაირი უთარგმნიათ. დავასახელებთ კიდევ რამდენსამე: „ოქროს ნექტარი“, „კლიტე“, „სვინიდიის მხილებანი“, „მანანა“, „ქალწულებისათვის“ და სხვა.

აგიოგრაფიული ნაწარები.

აგიოგრაფიული თხზულებანი ანუ წმიდათა ცხოვრებანი შეადგენენ საკითხავ წიგნებს. ხალხს მოსწონდა და აფასებდა ამგვარ ნაწერებს და ამიტომაც ჩვენამდე მოაწია მრავალმა ხელნაწერმა წმიდათა ცხოვრებისამ. ქართულად წმიდათა ცხოვრება შესდგა მსგავსად აღმოსავლეთის აგიოგრაფიისა. უძველესი ცხოვრება, რომლის შესახებ გვაქვს ჩვენ ცნობანი, არის ცხოვრება წმ. მურვანოსისა, იგივე ჰეტრესი, ძისა მეფის ვარაზ-ბაქარისა (379—393). ეს პეტრე იყო შემდეგ ეპისკოპოსად მაიუმისა. ცხოვრება მისი დასწერა სირიულად მისმა მოწაფემ ზაქარიამ და ქართულად გადმოიღო მღვდელმა მაკარიმ. დაბადება მისი სასწაულ-მოქმედებითი იყო. მის მამას ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა, რომ ლოცვა მისი უფალმა შეიწყნარა და მიეცემა ვაჟი, რომელიც წარჩინებულ იქმნებოდა ღვთისა და კაცთა წინაშე. მურვანოსი იცვამდა ჯბრალო ტანისამოსს, მთელს ღამეს ლოცვაში ატარებდა, ერთი

კვირის განმავლობაში ხშირად არას სკამდა. წყალობად ამ მოთმინებისათვის მიიღო ძალა სწეულთა განკურნებისა და სასწაულთ მოქმედებისა. ერთხელ მან აღანთო ლამპარი, წყლით ავსებულო, და მთელს ღამეს იგი არ გამქრალა. თვით იესო ქრისტეც მოველინა მას. სიკვდილის შემდეგ მის საფლავზედ ბევრი განიკურნა.

ეს მოკლედ გადმოცემული ჩემ მიერ ცხოვრება მურვანოსისა, პეტრე მაიუმელ არქიეპისკოპოსად წოდებულისა, გახდა სამაგალითო მოთხრობად წმიდათა ცხოვრების აღსაწერად. მხოლოდ შემდეგს აგიოგრაფიულს ნაწერებში უფრო ნათლივ არის გატარებული ზნეობითი ელემენტი, სწავლა-მოძღვრებას მეტი კვალი დაუმჩნევია. ეს დარიგებითი ნაწილი გავრცელებულად შეიქსოვა წმიდათა ცხოვრებამ და ნაკლებად განავითარა ისტორიული მხარე. ცხოვრება მურვანოსისა მის მოწაფისაგან, „თვალთ-მხილველისაგან“ არის შედგენილი. უფრო ხშირად წმიდათა ცხოვრებანი იწერებოდნენ კაი ხნის გავლის შემდეგ თანამედროვეთა მოგონების თანახმად ანუ გადმონაცემთა მიხედვით. რაკი ცხოვრების დამწერს შეუმოკლდა ისტორიული და ნამდვილი ამბების რიცხვი, იგი ცდილობს აავსოს ეს ნაკლი ლეგენდებით და ჩვეულებრივი აგიოგრაფიული ფაქტებით. აქედგან წარმოსდგა რიტორიული მიმართულება აგიოგრაფიაში. ორიოდ ცნობათა დახმარებით და ლეგენდარული მოთხრობის წყალობით იწერებოდა ვრცელი ბიოგრაფია საერთო ტიპიური ფორმით. წმინდანი მოქმედობს ზენაარსის ძალის დახმარებით. ადგილი, სადაც მონასტერი უნდა აღშენდეს, აღენიშნება რაიმე სასწაულით ანუ ანგელოზის ძილში მოვლინებით, როგორც მაგალითად, მცხეთის ტაძრის აღშენების დროს წმ. ნინოს მოველინა. მხეცნი, რომელნიც მონასტრის სარჩოს აოხრებენ, წმინდანის ლოცვით, გარდაიქცევიან ამავე ქონების მედგარ მცველად. ასე მოიქცა წმ. შიოც, რომელმაც მგლები დააყენა მონასტრის ნახირის დარაჯად. მამა დავითის ლოცვით მწარე წყარო

გატკბილდება. მაცხოვარი ზეცით მოველინება წმიდანებს მათ გასამხნეველად და დასარიგებლად.

ამ თვისებათა შემჩნევამ აგიოგრაფიულს ნაწერებში გახა-
და იგინი უფრო სალიტერატურო, ვიდრე საისტორიო თხზუ-
ლებებად. წმიდათა ცხოვრება საქართველოს ეკლესიისა შეს-
დგა სხვა-და-სხვა ღროს, გადაკეთდნენ და შეივსნენ შემდეგ
გადამწერთაგან და ამიტომ იგინი წარმოადგენენ ძვირფასს
კრებულს აზროვნობისას და რწმენისას ძველი ღროიდგან ჩვე-
ნამდე. თუმცა წმიდათა ცხოვრებაში ისტორიული ელემენტი
შეკვეცილია, მაინც იგი გვიხატავს კულტურულს მდგომარე-
ობას და განვითარების ხანას. ამ საერთო მოსაზრების შემდეგ
განვიხილოთ რამდენიმე წმიდათა ცხოვრება. წმ. მურვანოსის
ანუ პეტრეს ცხოვრების შემდეგ უძველესი აგიოგრაფიული ნაწე-
რები არიან: ცხოვრებანი წმ. რაჟდენისა, წმ. აბსის, წმ. ნინო-
სი. წმ. აბს ცხოვრება ჩართულია სვანურს მანუსკრიპტში,
რომელიც 1847 წ. ჩამოიტანეს სვანეთიდგან და ახლა დაცუ-
ლია საქართველოს საექსარხოსოს საეკლესიო მუზეუმში. დაი-
ბეჭდა იგი 1899 წ. მღვ. პ. კარბელაშვილის მეცადინეობით.
დასაწყისი მოთხრობისა ასეთია: „თვესა იანვარსა ზ (7). წამე-
ბაი წმიდისა მოწამისა ქრისტესისა ჰაბოაქსი, რომელი იწამა
ქართლს შინა ქალაქსა ტფილის კელითა სარკინოზთაჲთა, გა-
მოთქუვმუჟული იოანე ძისა საბანისი, ბრძანებითა ქრისტეს
მიერ სამოელ ქართლის კათალიკოზისაჲთა. მე სამოელ ქრის-
ტსს მიერ ქართლისა კათალიკოზი იოვანეს საბანის ძესა სუ-
ლიერად შვილსა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა და საყუვარელსა
ჩოკენსა ლოცვით უკვდისა მიერ გიკითხავ... შენ თვთ უკწყვი
სანატრელისა ამის ახლის მოწამისა ჰაბოაქსი... მნებაეს რათა
დაიწეროს სანატრელისა ამისცა მარტულობაჲ. (შეადარე ბერ-
ძნული სიტყვა „მარტიროს“)... აწ მიიღე წიგნი ესე ჩემი და
ლოცვაჲ ჩვენი და ჯვარისა დაწერაჲ კელითა ჩემითა და შე-
წვენითა ლუჯთისა“... ამ წერილზედ სამოელს კათალიკოზს
იოანე საბანიძე მიუგებს:

„მარადის საწადელი თაყუჯანის საცემელი ბრძანებაჲ ლუკთივ პატიოსნისა მამფლისაჲ და უჯფლისა ჩემისაჲ... ესე ღირს ვიქმენ მიმთხუჯევად... ვაქებ მოწყალებასა ლუკთისასა, რომელმან დაჰწერგა გუჯლსა მამფლისასა ესევეითარისა ამისთჳს ბრძანებად“... შემდეგ სწერს იგი, რომ მძიმე არის ეს საქმე „ორკერძოვე:“ თუ ურჩე ვექმნე ბრძანებასა, მაშინ აღსრულდესო სიტყვა: „შვილი ურჩი წარსაწყმედელსა მიეცესო და თუ ვისწრაფო მორჩილებად, ამისთვისაც იტყვის: უდიერსა შენსა ნუ გამოიძიებო და უძლიერესსა შენსა ნუ განიკითხავო. შიშმა შემიპყრო, მაგრამ მორჩილება უმჯობესად შევრაცხეო. „აღვწერე უღირსისა გონებისა ჩემისა შეკრებილი მარტვლობაჲ. ქვემარტი და უტყუველი წმიდისა მოწამისაჲ“. საკითხავი წმიდისა აბოისა შესდგება სამის მუხლიდგან: 1, ქართლად შემოსლვაი და ნათლის ღებაი ნეტარისა აბოისი, 2, მარტვილობაი წმ. აბოისი და 3, ქებაი სანატრელისა აბოისი. აბოს წამება ეკუთვნის მამფალის სტეფანოზის დროს. იგი ეწამა 6424 წ. ქვეყნის შექმნიდგან, პარასკევს დღეს, 6 იანვარს. ეს წელიწადი უდრის 820 წ. (ანუ 790 წ.) ქრისტეს შემდეგ. აბო დაიბადა ბაღდადში. ამ ქალაქში გაწვეულ იყო ქართლის ერისთავი ნერსე ძე ადარნასე კუროპალატის სარკინოზთა ამირის მუმნის—აბდილაის მიერ. ამან ნერსე დაამწყვდია ციხეში. ბაღდადში გაიცინო ნერსემ აბო „ძეთაგან ისმავლისთა ტომისაგან სარკინოზთა“. ეს გამოჰყვა ნერსეს ქართლში, შეისწავლა ქართული ენა და როცა ერისთავი გადავიდა ხაზარეთში, აბომ მიიღო ქრისტიანობა იმ იმედით, რომ თანამორწმუნე მამადიანთაგან იგი ფარულ იყო. შემდეგ გადვიდნენ აბხაზეთში.

ნერსე ამირის მაჰლის ბრძანებით და ქართლის ერისთავის სტეფანოზის თხოვნით დაბრუნდა სამშობლოში. ნერსეს ტფილისში აბხაზეთით მოჰყვა აბოც, რომელმაც თავი თვისი ახდილად ქრისტიანად აღიარა. ამისა გამო იგი დაამწყვდის სარკინოზებმა ციხეში და თუმცა ცდილობდნენ მამადის

რჯული მიეღებინებინათ, იგი პასუხს აძლევდა ან ლოცვით, ან გაჩუმებით. ამ სიმტკიცისათვის მას მიუსაჯეს ცეცხლით დაწვა. იქ, სადაც იგი დასწევს, გამოჩნდა ცეცხლის ნათელი და მრავალნი განიკურნენ. „წყალთა ვერვე დაშრიტეს ლელვათა, სადა იგი შთაყარნეს ლუჯთივ პატივემულნი იგი ძუვალნი სანატრელისა მის მოწამისა, კიდთა მათ ქუჯეშე აღმობრწყინდეს ნათელნი სუჯეტის მსგავსად, ვითარცა ელვანი“...

წ მ . ნ ი ნ ო ს ც ხ ო ვ რ მ ბ ა .

წმ. ნინოს შესახებ ცნობებს გვაუწყებენ ქართული წყაროები, საბერძნეთის და სომხეთის ისტორიკოსები. ქართულთა წყაროთა შორის საყურადღებოა „ქართლის ცხოვრების“, „საქართველოს სამოთხის“ და „ახალი“ ვარიანტების შედარება. ამ ბოლო დროს დაიბეჭდა ცხოვრება წმ. ნინოსი, შედგენილი არსენი კათალიკოზის მიერ მეათე საუკუნეში.

„მოქცევაი ქართლისა“ *) მოკლედ მოგვითხრობს იმას, რაც შემდეგ განავრცელეს და შეჭკაზმეს ზემოხსენებულმა წყაროებმა. საბერძნეთის დედოფლის ელენეს დროს გამოჩნდა „ტყუე ერთი დედაკაცი შუენიერი, სახელით ნინო... ვითარცა წარმოივლტოდა რიფსიმე ზლუად, გაჰანე და ნინო, გამოვიდეს არეთა სომხითისათა, საყოფელსა თრდატ მეფისასა და იგინი იმარტვლნეს მუნ. ხოლო ნინო დაშთა და წარმოემართა მათა კერძო ჩრდილოაჰსათა და მოვიდა მდინარესა მტკუარსა, მოჰყვა მცხეთად, ქალაქსა დიდსა, მეფეთა საჯდომელსა და იყო სამ წელ ვგრეთ, ილოცვიდა ფარულად ადგილსა ერთსა შებურვილსა ბრძამლითა მაყულისაჰთა. და შექმნა სახელს ჯვარისაჰ ნასხლევისაჰ და მუნ ილოცვიდა“... მეოთხესა წელსა

*) დაბეჭდა თ. ჟორდანიამ თავის კრებულში „ქრონიკები“, I, 11—79 გვ. და თაყაიშვილმა „სამს ისტორიულს ქრონიკაში“. შეცდომით წაკითხული ე. თაყაიშვილის მიერ ადგილები შეასწორა მ. ჯანაშვილმა წიგნაკში „აღვადგინე“.

იწყო ქადაგებად ქრისტეს რჯულისა, მეექვსესა წელსა არ-
წმუნა მეფის ცოლს ნანას „სენსა შინა“ (ავათმყოფსა), მეშვი-
დესა წელსა არწმუნა მეფესა სასწაულითა და „მსწრაფლ
აღაშენა ქვემო სამოთხესა შინა და სვეტი იგი იყო ძელისაჲ,
რომელი თვთ აღემართა“. ეკლესიის აშენების შემდეგ წა-
რავლინა წმ. ნინომ მოციქული და წიგნი საბერძნეთის მეფის
კონსტანტინეს წინაშე და ითხოვა მღვდელნი. მეფემ გამო-
უგზავნა ეპისკოპოსი იოანე, ორი მღვდელი და ერთი დია-
კონი. მიიღო ნინომ აგრეთვე წიგნი ელენე დედოფლისაგან,
ხატი მაცხოვრისა და ძელი ცხოვრებისა. მოვიდნენ რა სა-
მღვდლონი, მირიან მეფემ მიიღო ნათელი და მასთან დედო-
ფალმან და ყოველმან სახლმან მისმან“. მთელი ქართლი
ქრისტიანობას დიდის სისწრაფით იღებდაო, უმატებს გემა-
ტიანე. „დედაკაცმან ნინომ“ წაიყვანა იაკობ მღვდელი, სა-
ბერძნეთით მოსული, და ერთი ერისთავი წობენს და მოუ-
წოდა მთიულთა, ქართალებთა, ფხოვლთა და წილქნელთა
და უქადაგა მათ ქრისტე. ერისთავმა დაღეწა მათი კერპნი და
გარდავიდნენ ერწმუნდ. დადგნენ ჟაღეთს, დაბასა ედემს. ნა-
თელს სცა ერწუთიანელთა. ყვარელთა ესმათ ეს და გარდა-
ვიდნენ თოშეთა. დასნეულდა ნინო და წარმოემართა მცხეთად.
როცა მოაღწია დაბასა ბოდინს, აღარ შეეძლო სვლა. ნო-
ვიდნენ უქარმით რევ, ძე მეფისა, სალომე, ცოლი მისი, და
ასული მისი და ზედა ადგს მოურნედ“. მიუვლინეს მცხეთით
მეფემან და ცოლმან მისმან ნანა იოანე მთავარ-ეპისკოპოზი
ხილვად და წასაყვანად. მაგრამ ნინომ არ ინება. სთხოვა
იოანეს, რომ იაკობ მღვდელი ყოფილიყო მის მოადგილედ.
იოანემ აზიარა ნინო და განუტევა სული.

ამ მოკლე მოთხრობიდან შესდგა ცხოვრება წმ. ნინო-
სი, რომელსაც არსენი კათოლიკოზის აღწერით უჭირავს 52
გვერდი (in 8^o), „ქართლის ცხოვრებაში“ 35 გვ. (in folio),
ამდენივე „საქართველოს სამოთხეში“. ფურცლების მომატე-
ბას მოჰყვა სასწაულების აღწერა და მოკლედ მოთხრობილი

ამბების გაზვიადება. არსენი კათოლიკოზმა მეათე საუკუნეშივე შეავსო მოკლე ცნობანი ნინოს შესახებ სხვა-და-სხვა ნაწერი წყაროებიდან და ზეპირის თქმულების დახმარებით. ბერძნების ისტორიკოსებმა იქონიეს დიდი გავლენა წმ. ნინოს ცხოვრების გარდაქმნაზედ. ეფრემ მცირემ სთარგმნა თეოდორიტეს ისტორიიდან ცნობანი საქართველოს გაქრისტიანების შესახებ. ეს თარგმანი შემდეგ ქართულს წყაროებში მოექცა. თეოდორიტეს მოთხრობა დამყარებულია რუფინის სიტყვებზედ, რომელსაც საქართველოს მიერ ქრისტიანობის მიღების ამბავი გადასცა ბაკურმა, „ივერიელთა მთავარმა“.

ცხოვრება წმ. ნინოსი გაზვიადდა სამი ადგილის გაფართოვებით. შემდეგ წყაროებში დაწვრილებით არის მოთხრობილი: 1) წმ. ნინოს მიერ ქვრივი დედაკაცის შვილის განკურნება და დედოფლის ნანას მორჩენა სენისაგან; 2) მზის დაბნელების შესახებ, რომელიც ეწია მირიან მეფეს ნადირობის დროს; 3) სასწაული ეკლესიის აღშენების დროს. „ქართლის მოქცევის“ სამი სიტყვა, რომ დედოფალმა ნანამ ირწმუნა „სენსა რამე შინა“, გაზვიადდა გრძელს ბაასად ქალწულის და დედოფლის შორის.

მოვიყვანოთ ეს ადგილი „ქართლის ცხოვრებიდან“ მაგალითად მოკლე მოთხრობის გადაკეთებისა გრძლად და ვრცლად. „მაშინ დედოფალი ნანა შეეარდა სენსა ფიცხელსა, დიდსა და მწარესა, რომლისა კურნება ვერავინ შესძლო, რამეთუ ყოველთა კელოვანთა მკურნალთა წარმოაცალიერნეს წამალნი მათნი და ვერაი შეუძლეს კურნება მისი. უღონო იქმნეს და სასო-წარკვეთილ. ხოლო აუწყეს ვიეთმე დედოფალსა, ვითარმედ დედაკაცისა მის ჰრომისა ტყვისა მიერ, რომელსა ჰქვიან ნინო, ლოცვითა მისითა მრავალნი სენნი განიკურნებინან. მაშინ უბრძანა მსახურთა თვისთა, რათა მოიყვანონ ნინო და მივიდეს მსახურნი დედოფლისანი და ჰპოვეს ნინო ქოჩსა მას ქვეშე მაცვალთასა, ილოცვიდა ჟამსა მეექვსესა და მიუთხრეს ბრძანებაი დედოფლისაი. ხოლო წმიდა-

მან ნინო ჰრკვე: არა ბრძანებულ არს ჩემდა. სადა ბანაკი ჩვენი არს, არა განვიდეთ მიერ. არამედ დედოფალი აქა მოვიდეს, საყოფელსა ჩემსა ქვეშარიტსა და განიკურნოს ძალითა ქრისტესითა. ხოლო მსახურთა მიუთხრეს დედოფალსა თქმული იგი ნინოსი. მაშინ დედოფალი გულსმოდგინედ ეტყოდა მათ: შემომზადეთ მე მცხედარი და მიმიყვანეთ მისსა. მაშინ წარიყვანეს მცხედრითა მსახურთა მათ და ძე მისი რევ და სიმრავლე ერისა მისთანა. ვითარ მოვიდეს საყოფელსა მას წმიდისა ნინოსსა და დადევს დედოფალი კილიკსა *) მისსა ზედა, იწყოა წჳიდამან ნინო ლოცვად და ვედრებად ღვთისა მიმართა მყოვარ-ყამ და მოიღო ჯვარი იგი, რომელი აქვნდა და შეეხზო თავსა და მხართა, სახედ ჯვარისა და მეყვსეულად განიკურნა და აღდგა განცოცხლებული. ჰრწმენა ქრისტე და თქვა: არა არს ღმერთი თვინიერ ქრისტესსა, რომელსა ჰქადაგებს ტყვე ესე დედაკაცი. და მიერიდგან შექმნა იგი მეგობრად თვისად შინაურად და მარადის ჰკითხავენ სჯულსა ქრისტესსა“. აგრეთვე გააზვიადეს შემდეგ და ჩააკერეს დაწვრილებითი აღწერა, როგორ მოიქცა მეფე მირიანი. პირვანდელს წყაროში „ქართლის მოქცევაში“ ნათქვამია სამი სიტყვა: „მეფესა არწმუნა სასწაულითა“. ეს მოკლე წინადადება გაიზარდა რამდენსამე ფურცლად შემდეგს აღწერაში. შევადაროთ ნა. არსენი კათოლიკოზის მიერ განდიდებული მოთხრობა უკვე მეთე საუკუნეში.

„მცირედნი რაი ღლენი წარჰხდეს, თვით თავადი მეფე განვიდა ნადირობად ღღეთა ზაფხულისათა მუხრანით კერძო და მოვლო სანახები იგი და მირავიდა მთასა ზედა თხოთისასა, რათა მოიხილოს კასპი და უფლის ციხე. მაშინ განგებითა ზეგარდმოითა კაცთმოყვარისა *) მეუფისაგან პავლესებრ მოინადირა და მეყსეულად ბნელითა შეპყრობილ იქმნა და დაცე-

*) cilicio, ამოღებულია ბერძნულთ წყაროთაგან.

***) ორთოგრაფიას ჩვენის დროისას ვხმარობ.

ბულ და ვერ შემძლებელ სლვად, რამეთუ თანამონადირენი იგი მისნი მცხინვარესა მას ნათელსა ხედვიდეს ჩვეულებისამებრ და ვილოდეს. ხოლო მეფე დაშთომილი იქმნა საკვირველითა სიბრძაისათა და ზარტეხილ იქმნა და წარიწერა სასოებაი ცხოვრებისაი. ხოლო ღმერთმან წყალობის მოყვარემან ცვალა გონებაი მისი უმეტრებისაგან მეცნიერებად, განიზრახვიდა თვისგან და იტყოდა: აჰა ესე რა ვხადე არმაზს და ზადენს და არა ვპოე ლხინებაი. აწ შეურდე ჯვარცმულსა მას, რომელსა ქადაგებს უცხო იგი დედაკაცი და ჰყოფს სახელითა მისითა მრავალთა კურნებათა. მეყსეულად სიბნელე გონებისაგან განაგდო, ხმა ჰყო და თქვა: ღმერთო ნინოისაო, რომელი ხარ ქეშმარიტი ღმერთი! განმინათლე ბნელი ესე ჩემზედა მოხვეული და გამომიბრწყინვე ნათელი, რათა აღვიარო სახელი შენი წმიდაი და გადიდებდე შენ. ესე რაი თქვა ყოვლად სახიერმან და მოწყალემან, რომელი მარადის ეძიებს ღონესა ცხოვრებისა ჩვენისასა, გამოაბრწყინვა ნათელი მის შორის და მსწრაფლ ბნელისა მისგან განთავისუფლდა. მეყსეულად აღდგა და აღიპყრნა ხელნი აღმოსავალით, დაღადყო და თქვა: ქეშმარიტად შენ ხარ ღმერთი ქეშმარიტი, შენ ხარ ღმერთი ღმერთთაი და უფალი უფლებათაი, რომელმან შექქმნენ ცანი და ქვეყანა, შენ აღვიარებ, შენ თაყვანის გცემ, რომელმან მიხსენ ბნელისა ამისაგან და მრწამს, რამეთუ გინდა ხსნაი ჩემი. აღვიარებ სახელსა შენსა წმიდასა და თაყვანის ვცემ პატიოსანსა ჯუარსა შენსა. ამისა შემდგომად წარმოემართა ქალაქად თვისად და მოეახლა; გამოვიდა ყოველი ერი სიხარულით მიგებებად მისა და მისთანა დედოფალი ნანა, რამეთუ ესმინა პირველ მისზედა მოხვეული იგი სიბნელე“...

ამას მოსდევს მოთხრობა როგორ მოიწვია მეფემ „დედაკაცი იგი“ (წმ. ნინო) და გამოუცხადა მას თვისი რწმენა ქეშმარიტი ღვთისადმი. როგორც ზემო ამონაწერი, აგრეთვე

შემდეგ დაწვრილებითი აღწერა მირიანის მოქცევისა წარმოადგენს რიტორიულს შეევებას მოკლე სამ-სიტყვოვანი წინადადებისა პირვანდელი წყაროსი. ასე შეეკეთა და შეივსო ცხოვრება წმ. ნინოსი.

მესამე ადგილი, რომელიც წარმოადგენს თვალსაჩინო მაგალითს, როგორ გაზვიადდა შეზღუდული აზრი მრავალსიტყვოვანი აღწერით, შეეხება სასწაულს სვეტის დადგმის ამბავს. „სვეტი თვით აღმართა“ *) ეკლესიაში, გვაუწყებს მოქცევაი ქართლისა. შეადარეთ ამ სამს სიტყვას „მოთხრობა წმ. ნინოს ცხოვრებისა“ ახალი ვარიანტით. „ხოლო მეფე ეტყოდა ნინოს აღშენებისათვის ეკლესიისა, ოდეს იგი წარმართა მეფე და უოველი ერი მოსწრაფებით ქრისტიანობასა ვიდრე მღვდელთა მათ მოსვლადმდე საბერძნეთით. ჰქვა მეფემან მორწმუნემან წმიდასა ნინოს: სადა უშენო სახლი ღმერთსა? ხოლო ნეტარმან მან ჰქვა: სადაცა მეფეთა გონებაი მტკიცე არს. ხოლო მეფემან ჰქვა: მიყვარან მაცუალნი ეგე შენნი და მუნ მნებავს გონებითა, არამედ არა ესრეთ. არამედ არ ვრიდო სამოთხესა მას საბეუფოსა და ნაძეთა სიმალლესა და ბაბილოთა მათ ნაყოფიერებასა და ყვავილთა მათ სულნელებასა, არამედ მას შინა აღვაშენო ტაძარი სალოცველად ჩემდა, რომელი ეგოს უკუნისამდე. და მეყვსეულად მოიღეს ძელი და იწყეს შენებად და მოჰკვეთეს ნაძვი იგი და შემზადეს სვეტად და ძირთა მისთა ზედა დადგეს საფუძველი ეკლესიისაი. და იყო სვეტისა მის საშინელი ხილვაი და საკვირველი, რომელი ზემო წერილ არს. ხოლო ოდეს მოიწია ჟამი აღმართებად, სვეტი იგი პირველ მოხსენებული იწყეს ხუროთა მათ აღმართებად და ვერ უძლეს. მაშინ შეკრბა სიმრავლე ურიცხვი და მეფე მათანა, იწყეს ფერად-ფერადთა ღონეთა და მანქანათა მზადებად. არა თუ აღმართებად ოდენ

*) ეს ადგილი მხოლოდ თ. ჟორდანიას აქვს სწორედ მოყვანილი. ე. თაყაიშვილმა გამოსტოვა სიტყვა „სვეტი“ და აზრი დაამახინჯა.

ვერ შეუძლეს, არამედ შეძვრადცა და უკმ იქმნა ყოველი სიბრძნე და ღონისძიებაი კაცთაი და რათა სვეტისა მის აღმართებითა საკვირველად ღმერთი იდიდოს და კაცნი უმეტესად დაემტკიცნენ სარწმუნოვებასა“...

შემდეგ მოთხრობილია, რომ წმ. ნინო დარჩა სვეტის ახლოს და ცრემლით ლოცულობდა. შუალამისას წარმოიქცა მთანი არმაზ და ზადენ, მტკვარმან გადმოხეთქა და მიეცა ქალაქს, შეიქმნა საშინელი ხმა, არაგვიც „გარდამოხდა ციხესა ზემოით“... გათენებისას იხილეს: საკვირველი ნათლითა ბრწყინვალე „სვეტი იგი ჩამოვიდოდა და თვსა რეცა თუ დადგა ხარისხსა თვისსა ზედა და დაემყარა კელთ შეუპყრობლად კაცთაგან“.

სამი სიტყვა სამს ფურცლად გადაიქცა, ნაწყვეტი აზრი ვერცელ მოთხრობად. შემდეგი გადაკეთებული წმიდათა ცხოვრებანი, როგორც წმ. ნინოს ცხოვრება, აღსავსე არიან დრამატიული ელემენტით. შემავსებელნი მიჰმართავენ დიალოგს, მოქმედ პირთა გააბაასებენ და გვიხატავენ მათ ხასიათს და ზნეს. ეს დიალოგიური მოთხრობა შემოტანილია ჩვენს აგიოგრაფიულს მწერლობაში ბერძნული ლიტერატურიდგან. ამ საშუალებით მწერალთ თავიანთ თხზულებაში დრამატიზაცია შეჰქონდათ, გაზვიადებული მოთხრობით რიტორიული ფერადობა.

ჩვენ ამ სამი ადგილის შედარებით დავინახეთ, როგორ ავსებდნენ და აფერადებდნენ წმიდათა ცხოვრების აღმწერელნი. სიტყვიერების ისტორიას არ შეეხება გავარჩიოთ, რა დროს ეკუთვნის წმ. ნინოს შემოსვლა საქართველოში და მირიან მეფის გაქრისტიანება. ეს საგანი უნდა გამოარკვიოს ისტორიკოსმა და არა მწერლობის განვითარების მიმომხილველმა. ამიტომ ჩვენ არ შევუდგებით წმ. ნინოს ცხოვრების ქრონოლოგიური და ისტორიული ნაწილის გარჩევას.

ვისარგებლებთ იმავე მეთოდით სხვა წმიდათა ცხოვრების გარჩევის დროს. წმ. გიორგის ცხოვრება შეივსო და შეიმკო

ქართულს ნიადაგზედაც მიუხედავად იმ გარდაქმნისა, რომელიც მან მიიღო უკვე ბერძენთა მწერლობაში: აირია ერთმანეთში აპოკრიფთული და კანონიური მოთხრობა. ადგილობრივი ელფერი მიეცა დროთა განმავლობით და ქრისტეს სარწმუნოებისთვის წამებული გადაიქცა საარაკო გმირად. წმ. გიორგის ცხოვრება გადმოღებულია ბერძნული ენიდგან. გველეშაპის მოკვლა, თეოფანტესთან მისვლა და ტანჯვა მისი დიოკლეტთანეს მიერ მოთხრობილია ისე, როგორც ბერძნულს დედანში. წმ. გიორგის ცხოვრების დამწერი (ფსევდო-ავტორი) პასიკრიტი ბერძნულს ტექსტში უდრის პალეკრატოს ქართულს თარგმანში, როგორც დათუნა ქვარიანის მიერ გალექსილი ცხოვრება „ხუცურიდგან“ გვაუწყებს. მაგრამ გარდა ამ საერთო ნაწილისა, ქართულს მოთხრობაში ისეთი ადგილიც არის, რომელიც შეიქმნებოდა მხოლოდ საქართველოში. წმ. გიორგი გამოეცხადა კალატოზს ბოლოკა ბასილას ტფილისის ახლოს და მოსთხოვა სხვათა დაუხმარებლივ ეკლესიის აშენება. ამასთანავე დაემუქრა, თუ არ ააშენებ ჩემს სახელზედ ეკლესიას, ცოლ-შვილით ამოგწყვეტავო. რკინას და კირს მოგცემს ოპიზის ბერი სტეფანო. ერთს ვარიანტში წმ. გიორგის ცხოვრებისა მოთხრობილია „სასწაულებრივი ხსნა ტყვეისა ბორჯომიდგან“. თუ შევადარებთ შემდეგ გაზვიადებულს და აფერადებულს წმ. გიორგის ცხოვრებას, შევნიშნავთ, რომ მეთერთმეტე საუკუნეშივე შეზავებულ იყო ახალ-ახალი ამბებით. შემდეგ ამ დამატებას დაერთო სხვა სასწაულ-მოქმედებანი. წმ. გიორგის ცხოვრებაში, რომელიც სვანეთში აღმოჩნდა და ეკუთვნის მე-XI საუკ., არ არის უფლის გამოცხადება ღრუბელში და დაპირება ერისთვის ცოდვათა მიტევებისა გიორგის ლოცვის თანხმად მიცვალების ჟამს. აგრეთვე არ მოიპოვება თხოვნა წმ. გიორგისა, რათა მიეცეს მის ნაწილებს სასწაულ-მოქმედი ძალა განკურნვისა, სეტყვისა და გვალვისაგან ხსნისა. შემდეგ გაზვიადებულს „ცხოვრებაში“ კი შეხვდებით ამ რწმენას, რომელიც შეტანილია აწინდელი ხალხის წარმოდგენის გავლენით.

წმიდათა ცხოვრება გავრცელებული საკითხი წიგნი იყო. გადაწერის დროს ავსებდნენ და ფერადი სურათებით ამკობდნენ. ხშირად ერთი წმინდანის მოქმედება მეორეზედ გადაჰქონდათ. ასე მოხდა წმ. გიორგის და წმ. თევდორეს ცხოვრებათა დაახლოვება და მათი მოქმედების ერთმანეთში არევა.

ცხოვრება წმ. იოანესი და მუთოვიმისი.

ივერიის მონასტერს, დაარსებულს ათონის მთაზედ მე-IX საუკ., დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მწერლობის შექმნაში რვაასი წლის განმავლობაში. აქ შეუდგნენ სამღვთო წერილის მეორედ გადმოთარგმნას და შესწორებას, აქაურმა ბერებმა გადმოიღეს მრავალი თხზულება ბერძნული ენიდგან ქართულად, შეიმუშავეს სალიტერატურო ენა და მიიღეს მონაწილეობა მსოფლიო მწერლობაში. ივერიის მონასტერში მოღვაწეობდნენ წმიდა მამანი ეფთვიმე და გიორგი მთაწმინდელნი, დაულალაენი მუშაქნი და მწერალნი. ამათ მიუძღვის ღირსი მამა იოანე.

ღირსი მამა იოანე ათონელის ცხოვრება აღწერა ხუცეს-მონაზონმა „გლახაკმა გიორგიმ“ * და მოქცეულია ათონის კრებულში 107± წ., რომელიც დაიბეჭდა ტფილისში (1901 წ.). ეს ცხოვრება დამყარებულია სარწმუნოთა მამათა სიტყვებზედ და აღწერილია, რათა დაიცვას იგი დავიწყებისაგან და აღასრულოს სულიერთა მამათა ბრძანება. აღმწერის სიტყვებს აქვს მაშასადამე მეტი ისტორიული მნიშვნელობა. გამოგონებას, როგორც წმ. ნინოს ცხოვრებაში, აქ ადგილი არა აქვს. ავტორი თვით მნახველიც არის, როგორც ამას მოწმობენ მისივე სიტყვები: „მრავალ გზის გვიხილავს“. (ეს სიტყვები შეეხებოან წმ. ეფთვიმეს). იოანემ ირჩია მწირობა და სიგლახაკით ცხოვრებაი. მან აღზარდა ნეტარი ეფთვიმე, რომელი გამოჩნდა მობაძავად წმიდათა მოციქულთა, გაანათლა ქართველთა ენა და ქვეყანა. ეფთვიმეს მიერ დატოვებულნი

„ანდერძნი“ ნათარგმნს წიგნებში მოწმობენ, რომ იგი „განსწავლულ იქმნა ყოვლითა სიბრძნითა“ მამის მიერ. იმდენად საფუძვლიანი განათლება მისცა მამა იოანემ ეფთვიმეს, რომ მისი „ნამუშავევი ახარებს შორიელთა და მახლობელთა... არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისასცა, რამეთუ ბაჭყალი და აბიკურაჲ და სხვანიცა რაოდენნიმე წერილნი ქართულისაგან თარგმნა ბერძნულად“. იოანე და მისი შვილი ეფთვიმე დიდებულთა ჩამომავალნი იყვნენ. მათი წინაპარნი წარჩინებულნი და საჩინონი იყვნენ მთავართა შორის დავით კუროპალატის დროს. იოანე შვენიერი სახით, ბრძენი გონებით, სავსე ღვთის შიშით, საყვარელი იყო დავით კუროპალატის მიერ. ღვთისადმი სიყვარულმა დაატოვებინა სოფლის დიდება, სიმდიდრე და ცოლ-შვილი. მოიძულა ყოველივე და აღილო ჯვარი მკერთა თვისთა და ფარულად დიდებულს ლავრაში, სადაც იმ დროს ბრწყინავდნენ მამანი მოსე და გელასი. ამათგან მიიღო მონაზონობა და გააკვირვა ყოველნი ძლიერი მოღვაწეობით. შემდეგ გადავიდა მონასტერში ულუმბოს მთაზე და თავს იღვა აქ „მცხოვრებთა ჯორთა მსახურება“, ანუ ზედამხედველობა. ამ დროს ბერძენთა მეფემ მისცა დავით კუროპალატს „ზემონი ქვეყანანი“ (ტაო და კლარჯეთი) და მძევლად მოსთხოვა „აზნაურშვილნი“, მათ შორის ცოლის ძმა მამის იოანესი და ძე იმისი ეფთვიმე. გაიგორა ესე, იოანემ უნებლიედ „გამოაცხადა თავი თვისი“ და წავიდა კონსტანტინოპოლს; აქ კარგად ცნობილი იყო ბერძენთა მეფისაგან იოანეს სიმამრი აბუარბი. სიმამრი არ ანებებდა ეფთვიმეს მამას და მხოლოდ დიდი ბაასის შემდეგ დასთანხმდა აბუარბი და წამოიყვანა იოანემ ეფთვიმე ულუმბოს მთას. გავიდა რამდენიმე ხანი და თავის შვილით იოანე მივიდა ფარულად უკან მთაწმინდას წმ. ათანასეს ლავრაში. აქ სიმდაბლით და საქმეთა მორჩილებაში გაატარა ორი წელი. „მათ ჟამთაშინა დიდი თორნიკი თვისსა ქვეყანასა მონაზონ იქმნა“. თორნიკემ გაიგო, რომ იოანე ულუმბოს მთაზედ იყო

და, რადგანაც ფრიადი სიყვარული ჰქონდა მისი, წამოვიდა თვით მთაწმიდად და აქ „კურთხევა მონაზონობისი ხელთაგან იოანესთა მიიღო“. შეხედნენ ერთმანეთს ათანასეს ლავრაში და გამოცხადდნენ. ამათი ამბავი შემდგომად რაოდენისამე ჟამისა გაითქვა და იწყეს მიერითგან ქართველთა მოსვლად და განმრავლებად. შემდეგ განშორდნენ ათანასეს ლავრას „უდაბნოსა წმ. იოანე მახარობელისა, ეკლესია ალაშენეს და სენაკები და მუნ იყოფოდეს“.

ასე აიღვა ფეხი ათონის მთაზედ ქართველთა ბერობამ; შემდეგ დაარსდა ქართველთა ლავრაც, სადაც შეიკრიბნენ წმიდა მამანი „მანაზონნი და მოწესენი ანგელოსთა მობაძაენი“. „ამათ შეამკეს და ალავავეს ენაი ჩვენი და ქვეყანაი თარგმანებითა. წმიდათა წერილთა“. დავით კუროპალატმა არ დაიშურა ოქრო, რათა დაემყარებინა მტკიცე საფუძველზედ პატიოსანთ მუშაკთა სენაკი და ეკლესია. ქართველთა საეანის ქონებრივად აყვავებას პირველს ხანაში ხელი შეუწყო ერთმა გარემოებამაც. სწორედ ამ დროს ბერძენთა მეფეს განუდგა სკლიაროსი. მეფე-დედოფალი „ქალაქსა შინა იყვნენ დიდითა ჭირითა და იწროვბითა“. იფიქრეს შემწეობა ეთხოვნათ დავით კუროპალატისთვის. ამ ურვაში იყვნენ, როცა სცნეს იოანეს და თორნიკეს მოღვაწეობა ათანასეს ლავრაში. წარჩინებულთ კაცთა ხელით გაუგზავნა მეფის ოჯახმა წერილი ამ ქართველთა მამათ, სადაც თვითოეულს მათგანს თავიანთ გაჭირებას ატყობინებდნენ და ითხოვდნენ, რათა თორნიკე წავიდეს მეფესთან. თორნიკემ აიღო. ლოცვა-კურთხევა მამათაგან და წამოვიდა ბერძენთა სატახტო ქალაქში. იმ დროს ბასილი და კონსტანტინე ყრმა იყვნენ და ყოველი განსაგებელი დედოფალსა ეპყრა და პარაკიმენოსსა. წარსდგა თორნიკე ამათ წინაშე, მიღებულ იქმნა დიდის პატივით და წარმოგზავნილ დედოფლის წერილით დავით კუროპალატის წინაშე. დავით კუროპალატმა გამოატანა. თორნიკეს 12000 ქართველი ბარდოს სკლიაროსის წინააღმდეგ. თორნიკემ დაამარცხა იგი და დაბრუნდა საქართველოში. რამ-

დენიმე ხნის შემდეგ მოვიდა ათონის მთაზედ დიდის განძით, რომელიც მას დარჩა სკლიაროსზედ გამარჯვების შემდეგ. ამ დავლით და „საფასით“, რომელიც უძღვნეს ბერძენთა მეფეებმა, თორნიკემ და იოანემ შეისყიდეს მამული და განაბრწყინეს საკუთარი მონასტერი. განშორდნენ ათანასეს ლავრას და შეჰქმნეს ქართველთა სავანე. მთელი მოტანილი განძი თორნიკემ გადასცა იოანეს და თვით იყო მის ბრძანებასა ქვეშე.

შესაწირავი და სახმარი ქართველთა მონასტერს ათონზედ მოსდიოდა სხვა-და-სხვა მხრიდან. უძრავი და მოძრავი, ვენახი და ოქრო, ჯვარი და ხატი უხვად გამოუგზავნეს წმ. იოანეს. თორნიკეს მიცვალებების შემდეგ, იოანემ განიზრახა თავის შვილით ეფთვიმეთურთ წასულიყო სპანიად, „რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არა მცირედნი ნათესავნი და ერნი მკვიდრ არიან მუნ“. დიდის თხოვნის და თვით ბერძენთა იმპერატორის სურვილისა გამო იოანე დარჩა ათონის მთაზედ, წინამძღვრობდა ქართველთა სავანეს, აღშენებულს თორნიკეს ღვაწლით.

როცა დასნეულდა, სთხოვა ეფთვიმეს მიეღო მონასტრის ზრუნვა. ეფთვიმე ვერ ეურჩა მოხუცებულის ბძანებას და განაგებდა მონასტერს, ვითარცა „იკონომოსი“, მორჩილებით მამის ბრძანების წინაშე. ამ დროს წმიდა ბერმა იოანე გრძელიძემ, რომელი „ცხოვნდებოდა უხორციო, დაყუდებით ოთხთა ეკლესიათა“ და არსენი ნინოწმინდელმა, „კაცმა მაღალი სათნოებითა“ განიზრახეს ათანასეს ლავრიდგან მყუდროებით საცხოვრებლად წასვლა უცხო ქვეყანასა. წმ. იოანემ და ეფთვიმემ სთხოვეს წერილით დაბრუნებულებს უკან ათონის მთაზედ: „რათა ერთად ვიყოფოდეთ, ვინაიდგან, უწყით, რომელ ჩვენცა უცხოებასა ვართ“. მეორე წელს მართლაც იოანე გრძელიძე და არსენი ნინოწმინდელი დაბრუნდნენ.

მოუახლოვდა ჟამი აღსასრულისა იოანესა და ამიტომ განგებლობა გადასცა ეფთვიმეს. უბრძანა ამასთანავე, რომ შემდეგ მამაობაი გიორგის დაუტეოს, „კაცსა სახელოვანსა“.

გიორგიმ გადასცეს შემდგომად წინამძღვრობა ისეთს, რომელიც სიტყვით და საქმით სხვათა უმჯობესი იყოს. ასეთი წესი განაგო წმ. იოანემ და ბრძანა კრულება და შეჩვენება „მშელლის და მაშფოთებელისა“. იოანემ უანდერძა ღვთის შიში, გლახაკთა შებრალება, შრომა და თავდაბლობა. ესე „ყოველი აღწერით“ დაუტევა და მიიცვალა 998 წ. ივნისის 14 დღესა.

ეთვიმეს ცხოვრება უფრო დაწვრილებით არის აღწერილი. მისი აღზრდა იტვირთა მამამ—იოანემ. ამან ასწავლა საუკეთესო მასწავლებლების ხელმძღვანელობით ჯერ ქართული და შემდეგ ბერძნული ენა. სიყრმიდგანვე ეთვიმეს ეტყობოდა დიდი ნიჭი და შრომის მოყვარეობა. სიკბაბუკის დროს იგი შეიპყრო სენმა და სასიკვდილოდ იყო გადაღებული. შეწუხებული მამა შეევედრა ღვთისმშობელსა. ცრემლით, რათა შემწე ეყოს ეთვიმეს. მობრუნდა რა ეკლესიიდან, სენაკი, სადაც დასტოვა მწოლარე ავადმყოფი, საკვირველი სულნელებით იყო აღსავსე და შეილი მისი „აღდგომილი იყო და ჯდა ცხედარსაზედა ყოვლითურთ მრთელი და უვნებელი“. შეიღმა უამბო მამას სასწაული, რომელიც მასზედ მოიწია: „წამოდგა ვინმე დედოფალი და მრქვა ქართულითა ენითა: რა გელმის, ეთვიმე? ხოლო მე ვარქუ: მოკვცდები, დედოფალო“. მაშინ მიუახლოვდა დედოფალი (ღვთისმშობელი), დაადო ხელი და სთქვა: „არა არს ვნებაი შენთანა, აღდეგ, ნუ გეშინიან და ქართულად ხსნილად (თავისუფლად) უბნობდი“. ეს სასწაული აგვიხსნის იმ გარემოებას, რომ ეთვიმე ამ ჟამამდე ქართულად „ძნად უბნობდა“, გადაავიწყდა ლაპარაკი, რადგან ბერძნული ენით იყო გატაცებული და მამა შეწუხებული იყო ამისაგამო. სასწაულით განმარტა ბიოგრაფმა „წყარო უწმიდესი ყოველთა ქართველთასა“, რომელიც სდის ეთვიმეს ნაწერში. სასწაულს ეს ცხოვრებაც ვერ ასცდა.

მამამ თვალწინ დაუყენა განათლებულს შვილს საქართველოს გაქირება, „წიგნთა ნაკლულევეანობა“ და ჩააგონა, რათა

იღვაწოს ამ საგნისთვის მომადლებული ღვთის მადლითა. მორჩილი შვილი შეუდგა მამის ბრძანებისამებრ წიგნთა თარგმნას და ყოველი განაკვირვა, „რამეთუ ეგევითარი თარგმანი გარეშე მათ ჰირველთას არლარა გამოჩინებულ არს ენასა ჩვენსა“. სიტყვები „გარეშე მათ ჰირველთასა“ უჩვენებენ, რომ ათონზედ ნათარგმნს წიგნებს წინაუსწრობს ჰირველათ გადმოღებული სამღვთო წერილი. აქ იგულისხმება შრომა და მოღვაწეობა ქართველთა იერუსალიმში.

ეთუთვიმემ თავის ნათარგმნი წიგნი წარუგზავნა დავით კუროპალატსაც. ამ დაულალავი შრომისთვის საუცხოვოდ სამღვთო წიგნთა გადმოღებისათვის ეწოდა მას სახელად „ახალი ოქროპირი“. ეთუთვიმემ მორწყო თავის ნაშრომით მთელი საქართველო, იგი სწერდა ყველგან, საცა ასწრობდა: ულუმბოს, მთაწმიდას, ბერძენთა სატახტო ქალაქში, გზასა და „სხვათა ვითართა ადგილთა“.

ამან გადმოიღო ქართულად შემდეგი წიგნები:

- 1) თარგმანებაი იოანეს თავის სახარებისაი („თარგმანება“ ნიშნავს განმარტვას, ახსნას).
- 2) სწავლანი წმიდის მამის ჩვენის დიდის ბასილისნი.
- 3) მისივე თარგმანებაი ფსალმუნთაი.
- 4) წიგნი წმ. კლემაქსოსი (ათონის ხელნაწერზედ შინაწერი: მე კლასაკამნ ეთუთვიმემ ვთარგმნე ბრძანებითა მ. იოანესით).
- 5) წიგნი წმიდის მაკარისი (მთაწმიდაზედ შენახულია 1030 წ. ხელნაწერში).
- 6) წიგნი წმ. ისაკისი, რომელსა შინა არიან სხუათაცა მამათა გამორჩეულნი სწავლანი.
- 7) წიგნი წმ. დოროთეოსი (ხელნაწერი ათონის მთაზედ მეთაე საუკ.).
- 8) წამებაი და სსწაულნი წმ. მთავარ-მოწამის დიმიტრისნი (ხელნაწერი XI საუკ.).
- 9) ცხორებაი და წამებაი წმ. სტეფანე ახლისაი.
- 10) ცხორებაი და წამებაი წმ. კლემენტოს, კრომთა ჰაპისაი.

- 11) წამებაი წმიდის კლიმი ინკვირელისაი.
- 12) ცხორებაი წმიდის და დიდის ბასილი კესარიელისაი.
- 13) ცხორებაი წმ. ბაგრატის (ნახე ჩვენი გამოცემა და შეადარე პანკრატის ცხოვრებას).
- 14) წამებაი წმიდათა მინასი, ერმოგენის და ევგრაფისა.
- 15) წმიდის გრიგოლ ნოსელის თქმულებანი: შესხმაი ძმის თვისის დიდის ბასილისი და ქაღწულებისთვის და წმიდის „მამაკ ჩვენი“ თარგმანი და წმიდათა მარხვათათვის და წმიდის მოსე წინასწარმეტყველის ცხოვრების თარგმანი, სახედ დაუუდების, რომელი ძმას ვისმე ეთხთა.
- 16) იოანე მახარებლის ხილვაი და ხილვის თარგმანი ანდრია კრიტელისა.
- 17) თქმული წმიდის იოანე დამასკელისაი ორის ბუნებისთვის ქრისტესისა.
- 18) თქმული წმიდის ღვთის მშობლისა შობისთვის.
- 19) ცხორებაი დიდის ათანასესი.
- 20) ცხორებაი წმ. გრიგოლ ღვთის მეტყველისაი და თქმულნი მისნი.
- 21) ცხორებაი წმიდის აკეფსიმაისი.
- 22) წამებაი წმიდათა სამთა ყრმათა: ალფიოს, ფილადელფოს და კვირინესი.
- 23) ცხორებაი წმიდის თნოფრი მძოვრისაი.
- 24) ცხორებაი წმიდის მარიამ მეგვიპტელისა.
- 25) სწავლანი წმიდის ზოსიმესნი.
- 26) სწავლანი წმ. მამისა ეფრემისნი სარწმუნოებისთვის.
- 27) სვინაქსარი საწელიწადოი უმცროისი.
- 28) მიმოსლვანი და ქადაგებანი წმ. იოანე მახარებლისანი.
- 29) თარგმანებაი გალატელთა და თესლონიკელთა და ჰერომაქელთა ეპისტოლისათ.
- 30) დასდებულნი მარხვათანი სრულად.
- 31) მრავალთა წმიდათა გალობები.
- 32) წამებაი წმიდის მოწამის პროკოპისი.

- 33) თარგმანებაი წმიდის მათეს სახარებისაი.
 - 34) მიმოსღვანი და ქადაგებანი წმიდის ანდრია მოციქულისანი.
 - 35) სქემის კურთხევაი ბერძული და მონაზონის კურთხევაი.
 - 36) რჩულის კანონი წმიდის იოანე მმარხველისაი (ჩემი გამოცემა; დაბეჭდილი მოსკოვს).
 - 37) მეექვსისა კრებისაი (დაბეჭდილი ჩემ მიერ მოსკოვს).
 - 38) ძეგლის წერაი მართლისა სარწმუნოებისაი.
 - 39) ლოცვანი წმიდის მარტვილიისანი.
 - 40) წამებაი წმ. ფებრონიასი,
 - 41) წამებაი წმიდის ანთიმონისი, წმ. ვლასისი და ორთა ბეკრთაი (=2000).
 - 42) წამებაი წმიდისა თეოდორე სტრატილატისაი და თეოდორე ევსტრატეთი, ევსტათისი და შვილთა მისთაი
 - ±3) სწავლანი წმიდის კასიანესი.
 - ±4) წიგნი დიალოგნი.
 - 45) წმიდათა მთავარ-ანგელოზთა სასწაულნი.
 - ±6) ცხორებაი წმიდისა ნიკოლაოზისი.
 - ±7) წიგნი ღვთის მეტუეელისა გრიგოლისი.
 - ±8) მაქსიმესი რვათა გულის სიტყვათათვის.
 - ±9) ბასილის თქმული კაენის შვიდთა შურის გებათათვის.
 - 50) შუალამისანი ბერძულნი.
 - 51) ლოცვანი ბერძულნი მამისანი და კანონნი.
 - 52) ცხორებაი წმიდისა დიდისა ანტონისნი.
- წმ. ეფთვიმეს მიაწერენ აგრეთვე „ბალჰვარის“ გადათარგმნას ქართული ენიდგან ბერძნულად.

მოკეტებული ნაწილი ამ წიგნთაგანი „თარგმნა მან ვიღრე-ლა მამა მისი იოანე კოცხალი იყო“ და ზრუნვა მონასტრისა მას ეტვირთა. შემდეგ 14 წელი წინამძღვრობდა და 300 სულის ზრუნვა და დიდის ლავრის განგება ხვდა წილად. ამ შრომამ „არ დააცალა თარგმანება“. ჯერ მამის ღროსვე წიგნების წერას ახერხებდა მხოლოდ ლამით, რადგან მოუცლელად იყო სამონაზნო მოვალეობისა გამო. ცხოვრება მისი

აღბეკდილი იყო მომპყირნეობით, სიმდაბლით და ღვთისადმი სამსახურით. სასწაულ-მოქმედი ძალა მიენიჭა მას ქველობისა და უმანკოებისა ჯილდოთ. მან დაამუნჯა ურია, რომელმაც ჰგმო იესო და კვალად ჯვარის გამოსახვით უბნობად აუხსნა პირი. მისი ლოცვით მოველინა მთაწმიდას გვალვის დროს წვიმა. წირვის დროს ფერისცვალების ეკლესიაში მთაწმინდის თხემზედ გამოუჩნდა იგი მხილველთა „ვითარცა ცეცხლი მგზებარე და ზარმა შეიპყრა ყოველნი, შეიძრა მთაი ძრვითა დილითა და დაეცნენ ყოველნი პირსა ზედა. ვითარცა აღადგინა იგინი მამამან ეფთვიმე, შიშისაგან ვითარცა მკვდარნი იყვნენ; რქვა მათ: ნუ გეშინ, ძმაო, რამეთუ მოხედვადი საღმრთოი იქმნა, ქრისტემან თვისი დღესასწაული აღიდა“. ეს სასწაული განმეორებაა იესოს ფერისცვალების ისტორიისა.

ეფთვიმე ივლტოდა ამაო დიდებისაგან. მან არ მიიღო მთავარ-ეპისკოპოზობა კვიპრისა, თუმცა მას აიძულებდა მეფე ბერძენთა ბასილი. მან გაატარა დღენი თვისნი მონასტერში. აქ ეფთვიმემ დიდი ღვაწლი დასდო მონასტრის გაწესრიგებას. მის მეცადინეობით დამყარდა ეკლესიის წესი და განგება, როგორც დიდი სვანაქსარი მოითხოვს: წესიერად დგომა და მხურვალედ ლოცვა ეკლესიაში. თვით ეფთვიმეს ვერვინ მიასწრობდა ცისკრის ლოცვას. მონაზონთა ყოფა-ქცევის მაგალითს იგი თავის ცხოვრებით უჩვენებდა. არ ჰქონდა ჩვეულებად მიყრდნობა კვერთხს ან კედელს, განუწყვეტლივ კრძალულებით ლოცულობდა; საქმისა გამო საიდუმლოდ უბძანებდა მოწაფეს. ეკლესიაში უბნობა სასტიკად აკრძალა. სკამები საშუალ დადგიან და ოდეს ჯერ არს ორ-კეცად და სამ-კეცად დასხდიან. ორი ამორჩეული მერნი—ეპიტირიტისნი დანიშნულნი იყვნენ „ძმათა მოყვანებად“ ეკლესიაში. ვინც არ მოვიდოდა ცისკრად, მას ჯეროვნად განაკანონებდა. ეკლესიიდგან გავლის მიზეზი უნდა ეთქვათ ეპიტირიტისთვის. თუ მცირედი საქმისთვის გადიოდნენ, განაკანონებდა: სატრაპეზოს არ შეუშვის, ან ხმელს პურს განუწყვებდა, ან მუხლს მოადრეკი-

ნებდა. მშრომელთა და მაშერალთა ნება მისცა წასვლისა და დასვენებისა მეორედ რეკალმდე. გულ-ფიცხელნი და მოცინარნი ფიცხლად იმხილებიან და მეორედ იმავე საქციელში დამნაშავენი განიკანონებიან.

კვირაში სამს დღეს—ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს სენაკში მზის ჩასვლის შემდეგ მიიღებდა მხოლოდ პურსა და წყალსა, სხვა დღეს კი ტრაპეზში ძმებთან ერთად ისაძლიებდა. ღვინოს სრულიად არ სვამდა „თვინიერ ქამის წირვისა ანუ დიდისა რაისამე მიზეზისა“. საქმლის გემოს ჯერ თვით იხილავდა და, თუ ზეთი აკლდა ან მარილი, ამცნებდა მზარეულსა. ღვინოს მხოლოდ საშუალოს ურთავდა წყალს, მდარეს ანუ სუბუქს კი არა.

დიდი რაიმე საქმის გადასაწყვეტად ეფთვიმე მოიწვევდა ძმათა კრებულს. ძმათა შორის განაწილებული იყო მონასტრის შენახვა, ზოგი მუშაობდა სამკედლოში, ზოგი საჯორეში, მეხრეში, ზოგი ვენახში და ბაღში. თვეში ორჯერ-სამჯერ შეჰკრებდა ძმათა და მოუთხრობდა წმიდა წერილთაგან სულის სასარგებლო სწავლას. აგონებდა მათ მორჩილებას, სიმშვიდეს, მსახურებას. დაუკითხავად ძმა არც არაფერს იყიდდა და არც გასცემდა. ეფთვიმემ მიიღო მრავალნი სახელოვანნი კაცნი და განასვენა მონასტერში. მხოლოდ უწვერულთა შეწყნარება აკრძალა თვით სავანეში. უწვერულთ, რომელთაც უნდოდათ სწავლა, გზავნიდენ გარე სოფელში იკონომოსის ზედამხედველობით და როცა წვერით შეიმოსებოდნენ, მონასტერში მაშინ შემოიყვანდნენ. მონასტერთან გარდა სკოლისა იყო აპოთიკი, ბოსტანი და წისქვილი.

ეფთვიმემ დაამყარა წესი და სიყვარული ძმათა შორის. ვისაც შეეძლო წერა და თარგმნა წიგნთა, მათ ეს საქმე დაავალა. იძია შური მტერმან და ჩააგონა ერთს „საწყალობელს სახითა მონაზონს“ მოჰკლას ეფთვიმე. პირველად შემზადებული მახვილი განუცდა. მეორედ მებოსტნემ სცადა მისი მოკვლა, მაგრამ სასწაულით ხელი შერჩა გახმობილი.

ეთვიმე მაინც იგივე მყუდრო და სულით განათლებული მამა იყო უცვლელად. ტანისამოსად ატარებდა იგი ძაძას და ძაძის ზემოდ ჯაჭვს. 14 წელიწადი იყო იგი წინამძღვრად. შემდეგ ვედრებით არსენ ეპისკოპოსისა და იოანე გრძელიძისა დაუტოვა ეს თანამდებობა, რათა წიგნის თარგმნისათვის ეზრუნა. წინამძღვრობა დიდს შრომას თხოულობდა და დრო აღარ რჩებოდა სამწერლო მოღვაწეობისათვის.

რადგან მონასტერში ამბოხება დაიწყეს, მეფემ „კოსტატი“ მოუწოდა ეთვიმეს სამეუფოს ქალაქს, რომ მისგან გაეგო ნამდვილი გარემოება სავანისა. ეთვიმეს თან გაჰყვა მის მიერ აღზდილი ხუცი თეოფანე, „სწავლული და ხელოვნებით მწერალი წიგნთა სამღრთოთა“. მეფემ ბერძენთა მიიღო ეთვიმე დიდის პატივით. კონსტანტინოპოლში მოუგვიანდა საქმის გარჩევისა გამო ვიდრე დღესასწაულამდე წმ. იოანე ღვთისმეტყველისა. ეთვიმემ განიზრახა ხატი იოანე მახარებლისა, რომელსაც გულზედ ატარებდა, შეეკაზმინებინა და განეხლებინა. ძოითხოვა სახედარი; იგი აღმოჩნდა „სყიდული და მანკიერი“. გზაზედ შემოხვდა ერთი გლახა. ეთვიმემ შეაყენა ჯორი, რომ მოწყალება მიეცა. შემოსილი ძონძებითა გლახაკი მიუახლოვდა ეთვიმეს „მიღებად ქველის საქმისა“. მანკიერი სახედარი დაფთხა, იწყო აქეთ-იქით კვეთება, ვიდრე სანატრელი მამა არ გადმოაგდო. ერი შეძრწუნდა. ეთვიმე წაიღეს მონასტერში და აქ ლოცვაში ღვთისადმი გარდაიცვალა მაისის 13, ორშაბათს დღეს, 1028 წელს. ნაშთი მისი გადაიტანეს ივერიის სავანეში და იქ ჯერ იოანე ნათლის მცემლის ეკლესიაში და შემდეგ ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში დაკრძალეს.

დავით აღმაშენებლის დროს მოხდენილმა რუის-ურბნისის კრებამ ეთვიმე შეჭარახა წმიდანად. აგრეთვე მისი შემდგომი წინამძღვარი ივერიის ლავრისა გიორგი მთაწმინდელი.

ბიოგრაფი მთაწმინდელი.

გიორგი მთაწმინდელი იყო ნათესავი წმ. ეფთვიმესი. გიორგის მამა სამცხიდან იყო. თვით გიორგი დაიბადა „ქვეყანასა თრიალეთისასა“. მამა-მისს ერქვა იაკობ და დედას მარიამ. გიორგი სახით მშვენიერი და ნარნარი იყო. შვილი გიორგი ეყოლათ ღვთის განგებით. დედას ძილში გამოეცხადა „ბრწყინვალე ვინმე და ეტყოდა:“ შევ ყრმაი ვერძი რჩეული ღვთისაი, შეწირე იგი მას, რომლისადა აღვითქვამს და სახელი უწოდე გიორგი. ცოლმა უამბო ეს ქმარს. მართლაც, როცა ეყოლათ „წული“ და შეიქმნა იგი შვიდი წლისა, მიაბარეს ტაძრიის მონასტერში. ტაძრიის დედათა მონასტერში უკვე შეწირული ჰყავდათ ასული თეკლე, პირველი მათი ნაყოფი.

მონასტერში საღმთო წერილი შეისწავლა თავის დის ხელმძღვანელობით. პატარაობიდანვე ყველას აკვირებდა გონების მოსწრაფებით და სიმახვილით. როცა შესრულდა ათი წლისა, გონებით იგი წააგავდა მოხუცებულს და მსცოვანს. როგორც ბავშვი კი, გიორგი მინდვრად ამხანაგებთან ერთად თამაშობდა და მღეროდა. შეშურდა მის სიკეთე კაცთა მტერს და მონდობა მის დაღუპვა. აი როგორ მოუთხრობდა თვით გიორგი ბიოგრაფს ამ შემთხვევას: „ვიყავ რაი მდინარისა მის დიდისა პირსა, რომელსა ეწოდების ქცია, წიალ კერძო ვიხილე ყრმა, შემოსილი ცეცხლის ფერითა და მიხმობდა: „მოვედ და ვიმღეროთ“. ვითარცა წარვემართე, ყრმა შევნიერი, სპეტაკითა მოსილი, მომეკიდის ხელთა და მეტყვიან: „იყავ აქ ჩემთან, რამეთუ მე უმჯობესი მოყვასი ვარ შენი“. პირველი იყო ეშმაკი, რომელსაც განეზრახა ყრმის წაწყმენდა წყალში და მეორე ანგელოზი, რომელმაც ამ განსაცდელს გადაარჩინა. მეორე სასწაულმა კვალად გადაარჩინა იგი უბედურებას. ეშმაკმა შურით მოუკიდა ცეცხლი მონასტერს, სადაც გიორგი იზრდებოდა, „სპეტაკით მოსილი“ მოვიდა, გააღვიძა გიორგი და გამოიყვანა მშვიდობით გარედ.

გიორგის ორი ბიძა ჰყავდა ხახულის მონასტერში. უფროსი — გიორგი — მწერალი იყო და გამგე მიწერ-მოწერისა კუროპალატის დროს. მეორე, სახელად საბა, შესანიშნი იყო თავის უმანკოებით და სიწრფელით. ბიძებმა გამოსთხოვეს თავიანთ ძმას იაკობს შვილი მისი გიორგი. მამამ თითონ მიუყვანა გიორგი ხახულს და ჩააბარა ძმებს. გონიერი გიორგი მეტად მოეწონათ ბიძებს. ამათ მიჰგვარეს მონასტრის წინამძღვარს მაკარის, რომელმაც შეიყვარა, შეიტკბო, აკურთხა და უწოდა სულისა თვისა შვილად. აკურთხა იგი აგრეთვე ბასილ ბაგრატიის ძემ, რომელიც მას ეამსა „იყო მოძღვარი და განმანათლებელი ქვეყნისა ჩვენისა“. სულიერად აღსაზღვლად ბიძებმა და ამ წმინდა მამებმა მიაბარეს გიორგი სათნოებით გათქმულს ილარიონ თულაელს. გიორგიმ შეისწავლა საეკლესიო და საღმრთო წიგნები, საჯალობელნი ზეპირ დაისწავლა. გონების საღაროს შეძენამ ისე გაიტაცა იგი, რომ ძილს იკლებდა და დაუღალავად კითხულობდა რაც მოიპოვებოდა მაშინდელს ჩვენს ენაზედ. ბერძნული ენაც საფუძვლიანად შეისწავლა ფერის ჯოჯიკის ძის ხელმძღვანელობით. იგი იყო მეუღლე ბასილ ბაგრატიის დისა. ეს ქალი შესანიშნი იყო თავის გონებით და სწავლით: „არა უდარეს იყო ღირსი ესე დედაკაცი ღვთის მსახურებითა ძმასა თვისსა ნეტარსა ბასილსა“. ფერისმა და მეუღლემ მისმან განიზარახეს მიეწვიათ ვინმე მასწავლებლად სასულიერო საქმეთა წარსამართავად. ამ მიზნით მათ მიჰმართეს „გიორგი მწერალს“, ბიძას ყრმა გიორგისას. გიორგი მწერალმა ძმისწული გიორგი თანა წარიტანა, რამეთუ ფრიად ეზმარებოდა ზეპირათ კანანახობასა, რამეთუ თვით მოხუცებული იყო. ფერისმა და მეუღლემ მისმა ისე შეიყვარეს გიორგი-ყრმა რომ, შვილად თვისად აღიარეს. ამის შემდგომ რისხვა მოველინა მეფე ბასილისა ფერისს (ფერსოს) და თავი წარჰკვეთეს მას, რადგან განდგომა და ლალატი დასწამეს. მეუღლე მისი კი წაიყვანეს კონსტანტინოპოლს. ამ დედაკაცმან თან გაიყოლა ყრმა გიორგიც და მიაბარა სასწავლოდ სამეუფო ქალაქში

ფილოსოფოსთა და რიტორთა მონაზონთაგან. თორმეტი წლის განმავლობაში გიორგიმ საფუძვლიანად შეისწავლა ბერძნული ენა და მეცნიერება, გონების სიმახვილე განუმტკიცდა, გულმოდგინეობით „ყრმათა ბერძენთა“ გააკვირვებდა.

გავიდა ხანი და მეფის ბძანებით ფერისის (ფეროს) მეულ-ლე დაბრუნდა ტვარწათაჲს. გიორგი ყრმა წამოჰყვა უკან. ამ დროს დედა მისი უკვე მიცვლილიყო და მამა მოხუცებაში ატარებდა უკანასკნელს დღეებს. გიორგი წავიდა ბიძასთან (მამის ძმისა თვისსა), საბასთან, ხახულის მონასტერში. როცა შეიქმნა 25 წლისა მონაზონად აღიკვეცა ილარიონის ხელით. აღიძრა სურვილით თაყვანის ცემისთვის წმიდათა ადგილთა— პალესტინას. მამამან მაკარი და ყოველთა ბერთა არ მოიწონეს ეს აზრი და შეუტრეს გზა. გიორგიმ-კი წაიყოლია ერთი გლახაკი ვინმე, შეიმოსა მისი ძონძი და ისე გამოეპარა მკველებს.

გზაში გიორგიმ დიდი წვალეზა გამოიარა და მოაწია შავს მთას, მერმე აღვიდა მთას საკვირველსა, მონასტერში საკვირველ-მოქმედის სვიმეონისა. დიდის ძიების შემდეგ ჰპოვა კლდის ნაპრაღს ერთი ბერი შეეყენებული, სახელად გიორგი, ტომით ქართველი, რომელიც აღმოიჩინა წინამძღვრად. ამას დაემოწაჲ ყრმა გიორგი. ამ დაყუდებულმა ბერმა დაინახა, რომ გიორგის შეუძლიან ეფთვიმის შრომა განაგრძოს. მასთან დაჰყო გიორგიმ სამი წელი და როცა შესრულდა 30 წლისა, უკურთხა მას სქემა და იერუსალიმს გაისტუმრა. გიორგიმ მოილოცა წმიდა ადგილი და დაბრუნდა მოძღვართან. წინამძღვარი კვლავ აგონებდა გიორგის შესდგომოდა „თარგმანებას წიგნთა საღმრთოთა ბერძნულისაგან ქართულად“, გიორგი არ სახავდა თავს ღირსად განეგრძო შრომა ეფთვიმისი.

„დიდის იძულებითა დაარწმუნა“ გიორგი ბერმა და გამოგზავნა მთაწმინდას ათონს საღმრთო წერილის გადმოსადებად. ბიოგრაფი უმატებს, რომ „დალაცათუ პირველიდგანვე გვაქვდეს წერილნიცა და სარწმუნოებაი ქეშმარიტი და მართალი, გარნა ქვეყანა ჩვენი შორს იყო ქვეყნისაგან საბერძნეთისა და

ვითარცა ღვარძლნი რაიმე დათესულ იყვნეს ქვეყანასა ჩვენსა ბორცოტნი იგი თესლნი სომეხთა... და რომელნიმე წიგნნიცა გვაქენდეს მათგან თარგმნილნი“. ამ პირველად ნათარგმნი წიგნების და შემდეგ გარყვნილი წერილის შესასწორებლად აღდგა „ახალი ოქროპირი“—ეფთვიმე და „ზემოხსენებულთა ღვარძლთაგან სრულიად განწმინდა“. რადგან ეფთვიმემ ვერ მოასწრა „სრულექმნა წერილნი ჩვენნი“, ნეტარმან მამამან გიორგი სრულყო.

გიორგი მოვიდა რა მთაწმიდას ივერიის ლავრაში, ეამბო-რა სამარხსა წმ. ეფთვიმისას. შეუდგა აქ ცხოვრებას „ლოცვი-თა, სიმდაბლითა და მოთმინებითა“. შვიდი წელი სიმდაბლით მსახურობდა მონასტერში. მიიღო შემდეგ მღვდელობა და მგა-ლობელთა ხელმძღვანელად დადგა. ამავე დროს გადმოთარგმნა სვინაქსარი, „საფუძველი ეკლესიათა, რომლის თვინიერ შეუძ-ლებელ არს წარმართებაი ეკლესიათა“. ეფთვიმემ გადმოიღო მხოლოდ მცირედი ნაწილი სვინაქსარისა, რომელიც დაასრუ-ლა გიორგიმ. ამას შემდგომ გიორგიმ გადმოთარგმნა სახარება („გამოკრებული საწელიწდო“), პავლე შემკობილი (საწელიწდო), საწინასწარმეტყველო, დიდი კურთხევანი, თარგმანი დაბაიდე-ბისა, „რომელ არს ცხოვრებაი აბრაჰამისი, თთვე სექტენბერი, თარგმნა დიდი პავლე სრული და კათოლიკენი წმიდათა მოციქულთანი“.

გამოიცადა რა მრავალთა შინა საქმეთა, ძმათა განზრ-ახვითა მალალსა კობესა წინამძღვრობისასა აღიყვანეს და „საყ-დარსა წმ. მამისა ეფთვიმესსა დასვეს. ეს თანამდებობა აღვი-ლად არ იტვირთა გიორგიმ. იგი ყოვლითა ძალითა თვისითა წინააღმდეგებოდა. სამჯერ შეხვდა წილი ამორჩევისა და მხო-ლოდ ბოლოს დასთანხმდა ძმათა მიეღო კვერთხი მწყემსობისა. გიორგიმ გააკვირვა ყოველი თავის ღვაწლით და შრომის უნა-რით. ამასთანავე მან დასტოვა სრულიად ღვინო და წველი, შეიმოსა ძაძა და საქმითა უჩვენა მაგალითი თვის სამწყსოსა. გიორგი შეუდგა კვალსა ეფთვიმესსა და ყოველი მისი კანონ-

წესი შეითვისა. მოსვლისთანავე მთაწმიდას გამოიკითხა ცხორებაი და მოქალაქობაი მისი, ნეტარისა მამისა და სხვათა წმ. ბერთა, აგრეთვე ისტორია ლავრისა აშენებისა და განგებისა. ამ გამოკითხვით ისარგებლა და აღწერა ესე ყოველივე. აღწერა წმ. ეფთვიმეს და იოანეს ცხორებისა და ამასთანავე ლავრისა აღშენებისა შესრულა ვიდრე იყო დეკანოზად. როცა აღმოირჩიეს წინამძღვრად, ააშენა ეკლესია ყოვლად წმიდისა ღვთის-მშობლის სახელზედ და შეამზადა ლარნაკი ნაწილთა ეფთვიმესთა. აგრეთვე შექქმნა ლარნაკი სტეფანესი, ეგნატისა და სხვათა ღმერთ-შემოსილთა მამათა ნაწილთათვის. ნეშტი წმ. იოანესი, არსენი ნინოწმინდელისა და იოანე გრძელიძისა, რომელნიც იყვნენ თანაშემწენი ეფთვიმესი „თარგმანებასა შინა წმიდათა წერილთა“ და გადამწერნი წიგნთა, გადმოიტანა აგრეთვე ეკლესიაში.

გიორგი მიღებული იყო ბერძენთა მეფის წინაშე დიდის პატივისცემით, როცა იგი წარსდგა სამეუფო ქალაქში წინაშე კონსტანტი მონომახისა და გამოითხოვა ტყვია ივერიის ლავრის დასახურადად. მეორედ მოუხდა წასვლა კონსტანტინოპოლს იმ დროს, როცა საბერძენთში მივიდნენ ქართველთა მეფე ბაგრატ მე-11 და დედა მისი მარია. ეს დედოფალი დაემოწაფა გიორგის და მისგან იკურთხა სქემა. დედოფალმა გამოსთხოვა მონომახს წელიწადში ერთი ლიტრა ოქრო ივერიის ლავრისთვის და ერთი ლიტრა ოქრო თვით შესწირა სულის მოსახსენებლად.

ბაგრატ მეფე იყო მოწამეო, ამბობს ბიოგრაფი, სასწაულისა, რომელიც გიორგის ლოცვითა აღსრულდა. მეფემ განიზრახა ამ წმიდა კაცის საქართველოში წაყვანა და ამ მიზნით მისთავაზა ჭყონდიდელის კათედრა. გიორგიმ უარყო ეპისკოპოსის ხარისხი და დაბრუნდა ლავრაში. გიორგიმ აქაც სასწაულმოქმედი ძალა გამოიჩინა და დაამსხვრია კერპი დედაკაცის სახისა სოფ. ლივსდიაში. ხალხი ამ კერპს თავყვანს სცემდა და ხადოდა მას მომკრეპლად მზისა და წვიმისა. ამგვარი სასწაული

საერთო ადგილია წმიდათა ცხოვრების აღწერაში. გიორგის წინასწარმეტყველობის ტალანტიც ჰქონდა ლეთისგან მინიჭებული. ამ მამის მოღვაწეობის დროს გახშირებული მისვლამოსვლა იყო საბერძნეთს და საქართველოს შორის. თეოდორე დედოფალმა ისე შეიყვარა ქართველთა მეფეთა სახლობა, რომ გამოითხოვა ბაგრატის ასული მართა და „შვილად თვისად აღზარდა;“ შემდეგ მართა სამეფო სახლში დარჩა და ლუკის მისთხოვდა ცოლად. ამას მოწმობს ბაგრატ ტავრომენელის ცხოვრების მინაწერიც 1066 წ. მოაწყო რა მონასტრის საქმეები გიორგიმ, დაუტოვა წინამძღვრობა და თვით განდგა, რათა განაგრძოს სამწერლო მოღვაწეობა. გიორგიმ ინახულა შავს მთასა მოძღვარი თვისი, შემდეგ დაბრუნდა მთაწმინდას (ათონს). დროებით განაგებდა ძმათა თხოვნით მონასტრის საქმეებს, მაგრამ არ ისურვა ამ თანამდებობით თავის მიზნის შეზღუდვა. მარიამ დედოფლის შუამავლობით, რომელიც ამ დროს კონსტანტინოპოლში იყო, ბერძენთა მეფემ განათავისუფლა წინამძღვრობის ტვირთისაგან. მარიამ დედოფალი, ბაგრატის დედა, კონსტანტინოპოლიდგან წავიდა ანტიოქიას და ემზადებოდა იქიდგან იერუსალიმს წმიდა ადგილთა თაყვანის ცემად. დედოფალს ჩააგონეს, რომ მას არ ეკადრება „სარკინოზთ“ წასვლა. მარიამმა მისი სულის შესაწყალებლად სთხოვა გიორგის „საფასე აღკაზმული წაიღოს იერუსალიმად, გლახაკთა ქალაქისათა და მონასტერთა განუყოს“. გიორგის უმძიმდა ეს საქმე. რადგან წიგნების თარგმნა უნდა დაეტოვებინა, მაინც, როგორც „სულის ცხორებისათვის მოსწრაფე“, წავიდა იერუსალიმს დედოფლის შესაწირავის წასაღებად. ამ დროს იერუსალიმში პროზორე ჯვარის მონასტერს აშენებდა და დედოფლის „საფასე ფრიად შეეწია“.

გიორგიმ შეასრულა რა ეს მონდობილება, დაბრუნდა უკან და შეუდგა „წმიდათა წიგნთა თარგმანებად“. გიორგიმ დაასრულა იმ წიგნთა გადმოღება, რომლის თარგმანი დაიწყო ფთვთვიმემ. გარდა ამისა მან შეამოწმა ჩვენი სამღვთო წერილი

ბერძნულს და შეასწორა იგი; სთარგმნა აგრეთვე პირველად „სრულიად არა ყოფილნი და ენისა ჩვენისაგან უცხონი წიგნნი“. იგი სთარგმნიდა, საცა კი მოახელთებდა და თავისუფალს უამს მოიპოვებდა: მთაწმიდას, შავს მთას, გზად სამეუფეო ქალაქში (კონსტანტინოპოლში), სულუმბრას, ანტოქიას, სვიმონ წმიდას, კალიპოს და სხვათა ადგილთა, „რამეთუ რომელნიმე წიგნნი ორკეცად და სამკეცად გადაწერილნი არიან“. გასაკვირველია, ამდენი შრომა და წერა როგორა მოახერხა ერთმა კაცმა, მეტადრე ისეთმა პირმა, რომელიც ამავე დროს მონასტრის წინამძღვარიც იყო, განუწყვეტელ მოძრაობაში იმყოფებოდა და მონაზონურს წესს უკლებრივ აღსრულებდა. ცხოვრება მისი მაგალითი იყო ძველად ჩვენი ბერებისთვის.

აი სია იმ წიგნთა, რომელნიც გადმოთარგმნა გიორგიმ*).

1) დიდი სვინაქსარი, საფუძველი ეკლესიათა. (ივერიის ლავრაში დაცულია ხელნაწერი 1062 წ., გადმოღებული ამ თარგმანისაგან).

2) სახარებაი გამოკრებილი საწელიწდო (ივერიის მონასტერში აქამდის მოიპოვება ეს თარგმანი),

3) პავლე სრული და საქმე მოციქულთა და კაოლიკენი მოციქულთანი.

4) პავლე გამოკრებილი საწელიწდო (ათონის მთაზედ გვინახავს).

5) თთვენი ათორმეტნი საწელიწდონი დღესასწაულისანი, რომელნი თთვეთაცა თანა სწერიან.

6) სტიქარონი თვით ავაჯნი უძილისპირონი, ვითარცა არიან ბერძულად.

*) მღვ. პ. კარბელაშვილმა 1903 წ. დაბეჭდა 1042 წ. ხელნაწერით წიგნაკი ღვთისმშობლის მიერ სასწაულებრივი ხსნა კონსტანტინოპოლისა სპარსთა და სკვთთა ზედამოსვლისაგან 625—632 წ. წ; პირველად ეს მოთხრობა უთარგმნია არსენის მე-Ⅹ საუკ. და მეორედ გიორგი მთაწმინდელს 1042 წ.

7) იგივე სტიქარონნი ძილის პირთა ქვეშე და მარხვათა სტიქარონნი.

8) დიდი პარაკლიტონი, სამკაული ეკლესიათა, „სხვითა მრავლითა კეთილითა აღსავსე“.

9) დიდნი მარხვანი (სრულად არ აღმოჩნდა ათონზედ ეს მარხვანი).

10) ზატიკნი მრავალ ფერითა კეთილითა აღსავსე (ასლი ამ თარგმანისა გადაწერილია მე-X.—XII საუკ.).

11) წიგნი თეოდორე სტოდელისა, სწავლანი დიდთა მარხვათა საკითხავი.

12) წიგნი დაბადებისა თარგმანი (=განმარტება), იოანე ოქროპირისა თქმული.

13) წიგნი მეექვსის კრებისა, ეპისტოლენი წმიდისა კვირელესნი და სხვათა წმ. მამათა, განკვეთისათვის ნისტორ ურჯულოსი.

14) წიგნი გრიგოლ ნოსელისა, „რომლისა შვენიერება და ქებაი ზეშთა არს ყოვლისა მითხრობისა“.

15) წიგნი ექვსთა ღღესთა წმ. ბასილისა თქმული (პროფ. ა. ა. ცაგარელმა „ექვსთა ღღესთა“ ხელნაწერის ხელი მიაწერა ეფთვიმეს).

16) წიგნი ეპისტოლენი წმიდისა ეგნატი ღმერთ-შემოსილისნი.

17) წიგნი საფსალმუნე დავითი, სამკაული და გვირგვინი ყოველთა წიგნთა.

ამ სიაში საექვოდ მიგვაჩნია „წიგნი მეექვსისა კრებისა“; თუ ეს იგივეა, რაც „სჯულის კანონი მეექვსისა კრებისა“, რომელიც სთარგმნა ეფთვიმემ. ამას მოწმობს ხელნაწერზედ მინაწერები.

გიორგი თავის მოღვაწეობით განითქვა „ბერძენთა და ასურთა“ შორისაც. მას ეკითხებოდნენ ყოველთ საეკლესიო საქმეთა და საღმთო წერილის საგანთა გამოსარკვევად. ანტი-ოქიის პატრიარქი იოანე გიორგის დიდი პატივის-მცემელი

იყო. მოადგილე მისი თევდოსი, რომელმაც დაიჭირა ანტი-ოქიის კათედრა, თუმცა იყო კაცი განვითარებული და „ფილოსოფოსი“, გახდა მიზეზი განხეთქილებისა ქართველთა და ანტიოქელთა (ასურელთა) შორის. შურთანმა პირებმა მოინდომეს ქართველთა გამოდევნა წმ. სვიმონის მონასტრიდან და ამიტომ ეძებდნენ შემთხვევას ბიწი რაიმე დიეწამათ. ამ ახალს პატრიარქს თევდოსეს შესჩივლეს, რომ სამოცს ქართველს „კაცთაგან ამაოთა და უცხო თესლთა“ დაუპყრიათ მონასტერი, თუმცა არც კი იციან „რა არს სარწმუნოება მათი“. დასამტკიცებლად იმისა, რომ ქართველნი მართლ-მადიდებელნი არც კი არიან, მომჩივრებთ სთქვეს, რომ სვიმონ წმინდაში ქართველი ხუცესნი ვერ სწირავენ. ეს ამბავი მართალი იყო და მოხდა მხოლოდ იმისა გამო, რომ ერთი ხუცესი ახლად ჩამოსული, წმ. სვიმონს სვეტსა ზედა გასრულიყო ჟამის წირვად „ქალამნითა და საბექურიითა, თვინიერ სამღვდელოსა შესამოსლისა, ვითარცა იყო პირველად წესი ჩვენი“ და ამიტომ აღარ აძლევდნენ ქართველთ წირვის ნებას. პატრიარქმა მოითხოვა კაცი მცნე ბერძნული ენისა, რომ ეს საგანი გამოერკვია, ვინ არიან ქართველნი, რადგან მომჩივრები მათ ვერ არჩევდნენ სომეხთაგან. პატრიარქს მოახსენეს, რომ არის ერთი ქართველი „ღრამატიკოსი“, ბერძნულთა წიგნთა ქართულად მთარგმნელი. მოიწვიეს გიორგი. ამან გააკვირვა პატრიარქი ცოდნით და სათნოებით. პატრიარქმა ჰკითხა გიორგის, რა ნაკლულევენება აქვს ქართველთა სარწმუნოებას და რა განსხვავებაა მათ და ქართველთა შორის. გიორგიმ წარმოსთქვა მართლ-მადიდებელი სარწმუნოება ჯვარის გამოსახვით „პირსა თვისსა“ და დაარწმუნა პატრიარქი ამაო ცილის წამებაა ქართველთა გაკითხვა.

„მიერიდგან დაეწესა, რათა ქართველნი სვიმონ წმინდას ჟამსა წირვიდნენ“. პატრიარქს ერთი საქმე კიდევ ჩააგონეს. ქართველთა სამღვდელოება არც ერთს პატრიარქს არ ემორჩილება, კათოლიკოზთა და ეპისკოპოსთა თითონ ირჩე-

ვენო, თუმცა ათორმეტთა მოციქულთაგანი არავინ მისულა იმათ ქვეყანაში. რადგან სამწყსო მათი მახლობელ არს ანტიოქიისა, ჯერარს, რათა ხელმწიფებასა ქვეშე ანტიოქიისა პატრიარქისასა იმწყემსებოდიან“. ნეტარმა გიორგიმ პასუხად ამ საგანზედ მოითხოვა წიგნი „მიმოსლვა ანდრია მოციქულისა“. გიორგიმ მიუგო, რომ საქართველო განათლებულია პირველ წოდებულის ანდრიას მიერ და სიმონ კანანელის მიერ, რომ „დამარხულ არს ქვეყანასა ჩვენსა—აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების“. გიორგიმ ამას დაუმატა შემდეგი ცნობაც: იყო ჟამი, რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლ-მადიდებლობაი არა იპოვებოდა და იოანე გუთელ (=გოთელი) ეპისკოპოსი მცხეთას იკურთხა ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა „სვინაქსარსა“. ახალმა გამოძიებამ დაამყარა მეცნიერებაში ის აზრი, რომ ანდრია პირველ-წოდებული საქართველოში, როგორც რუსეთშიაც, არ ყოფილა. ლეგენდა ანდრიას მოგზაურობის შესახებ შესდგა იმ დროს, როცა გამწვავდა ბრძოლა ქართველთა და ბერძენთა შორის ეკლესიური დამოკიდებულების გამო.

გიორგი დარაჯად იდგა საქართველოს ეკლესიის ინტერესების დასაცავად. ანტიოქიაში და კონსტანტინოპოლში იმან საფუძვლიანი საქმის ცოდნით, გამჭრიახი გონებით და სიმახვილით მოსდრეკა ქართველთა მეტოქენი და მოიპოვა სახელი მეცნიერის და ღვთის-მეტყველისა. მისი შავს მთას ნათარგმნი წიგნებით მოიარწყო საქართველო. ანტონ ლიპარიტ ყოფილმა თავის მონასტრისთვის, წმიდა ბარალამ აფხაზეთს და ყოველთა მონასტერთა გადააწერინეს მისი თარგმანნი. ბაგრატ მეფემ და ქემან მისმან გიორგიმ, აგრეთვე კათალიკოზმან და სამღვდელეობამ სთხოვეს გიორგის მოსულიყო საქართველოში, ეკურთხებინა თავის ქვეყანა და გაეხარებინა თანამემამულენი. გიორგი „ველტოდა დიდებასა კაცთასა“ და უარს განაცხადებდა მეფის განმეორებულს თხოვნაზედაც. ბოლოს გიორგი დასთანხმდა და წამოვიდა საქართველოს იმ დროს, როცა

თურქთ ყოველი შუამდინარე, ასური და საბერძნეთი დაეპყრათ. დიდის გაქირებით მოალწიეს სამისონს და იქიდგან ფოთს. ამ ქალაქიდგან სახედრითა მოვიდა ქუთაისს. აქ გიორგი მეფემ მიიღო დიდის პატივით: კურთხეულ არს ღმერთი, რამეთუ გიხილე ახალი ოქროპირი! სთქვა ქედ-მოხრილმა მეფემ ბაგრატმან. მეფე გახარებული იყო იმ გარემოებითაც, რომ წინააღმდეგომნი თვისნი აბაზაის ძენი შეიპყრო. მეფე წავიდა აბხაზეთს და თან წაიყვანა გიორგიც, „რათა მუნ დაიზამთროს, ვითარმედ არს ქვეყანა იგი ბარი და ტფილი“. გიორგი და მისი თანამგზავრი საბერძნეთიდგანვე და მასთანვე ბიოგრაფი გიორგი შეყენებული დარჩნენ ზამთარს ჰყონდიდაში. გავიდა ზამთარი; გიორგის დაუნიშნა მეფემ განსასვენებლად ნეძვი ქართლს და შემდეგ შატბერდი, დიდებული ლაფრა კლარჯეთს.

გიორგი შეუდგა საქართველოს ეკკლესიის გაწესრიგებას. მან ამხილა მეფეთა მრავალი უწესოება და „სიბრძნით, უშიშად, გონიერად“ დაადგინა ეკკლესიის მართვის წესწყობილება. პირველად აკრძალა, რომ საეპისკოპოსო ადგილი დაეჭირათ უსწავლელოთ. ამ მაღალს და საპატიო ადგილს უნდა დანიშნულიყვნენ ღირსეულნი პირნი მონაზონთაგანი, „სულიერთა მოძღვართა მიერ—წამებულნი“. სამეფო სამართლის შესახებ გიორგი თხოულობდა, რომ მეფე ობოლთა და ქვრივთა უსჯიდეს, მღაბალი და გლახაკი განსამართლოს, არ მისდრკდეს სიმართლის სასწორს დიდისა გინა მცირისაკენ, ყველაზედ მეტად წყალობას იზამდეს, რადგან უფალს უყვარს წყალობა და სასართალი. მღვდელ-მთავართ დაუწესა, რომ უღირსნი პირნი მღვდლათ არ ეკურთხებინათ; მღვდელთათვის ჩაეგონებინათ უღირსნი პირნი არ ეზიარებინათ. ესწრაფებოდნენ ოქროს და ვერცხლის შეკრებას კი არა, — გლახაკთა და უღონოთა დახმარებას; ყოფილიყვნენ მაგალითნი კეთილ-ცხოვრებისა.

მღვდელთა და დიაკონთა დაავალა მოარჩილება ეპისკოპოზისა. სამღვდელო პირნი და მათ შორის მონაზონნიც მოვალენი იყვნენ ეტვირთნათ ერის სწავლის საქმე: უსწავლელოთა

ასწავლიდნენ და სწავლოლთა სწავლას აღუხსნიდნენ, მდიდართა ასწავებდნენ გლახაკთა წყალობას, გლახაკთა მოთმინებას, დაცემულთ აღმართავდნენ, მოწყულთა უხილავთა მტერთათა განჰკურნებდნენ, დანთქმულთა ღელვათაშინა ვნებათასა აღმოიყვანდნენ, დანთქმულთა დანთქმად არა უტევებდნენ, არამედ, ვითარცა ხელოვანი მენავით მოძღვარნი, ზღვისაგან ამის სოფლისა დაუთქმელად განარინებდნენ.

ეს სწავლა-დარიგება მთელი ზნეობითი მცნებათა კრებულია. გიორგის მოძღვრება საყურადღებოა იმ მხრითაც, რომ გვიჩვენებს მაშინდელთ ქართველთა საზოგადოების ინდგომარეობას. რასაც იგი ჰგმობს, სჩანს, ფესვ-გამდგარი იყო საერო და სასულიერო წრეში. სენის ამოსაგდებლად, მოძღვარი წარმოსთქვამს უმწიკვლელს დარიგებას და განუზიარებს უმაღლესს ქრისტიანობრივს იდეალს. ქადაგება მისი უნაყოფოდ არ რჩებოდა. ჯერ ისევ ჰყონდიდში შეხვდა ერთს მთავარ-ღიაკონს, ღვინის მოტრფიალეს და თავის გულწრფელი სიტყვით გაადევინა ეს მავნე ჩვეულება. გავლენა მისი მტკიცედ და შესამჩნევად რჩება სულსა და გულში კაცისასა. ერთი ეპისკოპოზი დაემოწაფა მას და გამოუცხადა, რომ იგი განუკითხავად სტოვებს გლახაკთ, სიმდიდრეს მოიხვეჭს, „რათა მონასტერთაშინა ალაპი დაიდვას“. გიორგიმ ამისაგამო გაუმარტა, რომ ესეთი საქციელი ბრალთა ბოროტი მტერისა, რადგან ქრისტე ბრძანებს არა ეკლესიანი შეამკენით და ალაპთა გამო გლახაკნი უწყალობელნი დასტოვეთო, არამედ „მშოდ და არ მეციით მე ჰამადი“.

ამგვარი სწავლით მოწყალების ლტოლვილებას უღვიძებდა, სულთ განანათლებდა და სწავლას ქვეყანას მოჰყენდა. შემოკრიბა ობოლნი, გაუჩინა ბინა, საზღო და სწავლის გზა გაუხსნა. ჰქმნ „საქმე ფრად მაღალი და საკვირველი, უზეშთაეს სჯულისა, მადლისა შემამკობელი და გვირგვინ“. ასე უყურებს მისი ბიოგრაფი და აფასებს გიორგის მოღვაწეობას ობოლთა და საწყალთათვის ზრუნვას. გიორგიმ ერთს შესა-

ნიშნს საქმესაც ჩაუყარა საძირკველი. მან გახსნა სკოლები ბერძნულთ სკოლათა მსგავსად, შემოჰკრიბა ყრმანი და „რომელნი მშობელთა თვისთა მოიყვანიან და ევედრებიან შეწყნარებად“. პირველს ხანშივე ოთხმოცამდე ბავშვი შევიდა ამ სსწავლებელში. ვისაც ბევრი შვილები ჰყვანდა, იგინი უსასყიდლოდ სწავლობდნენ. აგრეთვე ობოლნი აღიზარდებოდნენ ქველ-მოქმედთა საფასით. უმათერესი საგანი სწავლისა იყო საღმრთო წერილი, რომლისა სიტყბოებისა შეისვამდნენ ვითარც რძესა და თაფლსა. გარდა ამ საგნისა თვითვე ასწავლიდა ლოცვათა კანონს და გალობას. სკოლას უნდა გამოეზარდა როგორც სამღვდლო პირნი, აგრეთვე ცოდნით შეიარაღებულნი პირნი, „რათა მრავალნი წიგნნი ეთარგმნეს“. გიორგი კარგად ხედავდა, რომ მთაწმიდიდგან (ათონიდგან) საქართველოში ნაკლებად ბრუნდებოდნენ იქ განსწავლულნი პირნი და ამიტომ საჭირო იყო ადგილობრივი სკოლა განათლების მოსაფენად. გიორგი იყო თვით პირველი მასწავლებელი ამ სკოლაში და შემდეგ საქმე ჩააბარა გაწვრთნილს პირებს. გიორგიმ და მისმა თანამგზავრმა—ბიოგრაფმა გიორგიმ („დაყუდებულმა“) დაჰყვეს ხუთი წელიწადი საქართველოში—აღმოსავლეთს. ამ დროს გადააწერინეს საეპისკოპოზოთა და მონასტერთა მრავალნი წიგნნი, გაჰმართეს საეკლესიო წესი, განუმარტა საქრისტიანო მოძღვრება, დაუტოვა მცნება „წერით და უწერელად“ და ამგვარად მოციქულის ოდენი საქმე შესძლო და გააკეთა.

გიორგიმ დააპირა მთაწმინდას დაბრუნება იმ დროს, როცა სულთანმა აიღო ახალქალაქი ჯავახეთს და ყოველივე მოსრა. გამოეთხოვა გიორგი მეფე ბაგრატს და წავიდა ნავით კონსტანტინეპოლს იმ დროს, როცა კონსტანტინე დუკიწმან მოიყვანა საქართველოდგან მართა „დედლოფლად სამეფუთსა ქალაქსა“. ბაგრატ სევასტოპოლის მიერ წარმოგზავნილი წერილი მიართვა იმპერატორს. აქ მოუხდა გიორგის იმპერატორის წინაშე გამორკვევა, რა განსხვავებაა ქართველთა და სომეხთა

ეკლესიის შორის. ეს საგანი აღძრულიყო იმ მიზეზით, რომ მეფესთან მოსულიყვნენ „დიდებულნი ჰრომნი და სომეხნი“. გიორგიმ აღიარა მართლ-მადიდებლობითი სარწმუნოება, განუმარტა, რად სწირავენ მართლ-მადიდებელნი მფუნავითა და ზედაშესა წყალსა ურევენ, „ხოლო ჰრომნი ხმიადითა და ურწყითა წირვენ“.

იოანეს შობის დღეს, 24 ივნისს, გიორგი ეზიარა ასტოდის (სტუდიის) მონასტერში. დაბრუნდა რა ქართველთა მეტოქეში, იგრძნო „მკირედ მხურვალეზაი“. მეორე დღეს მაინც არ დაიშალა და წარემართა „გარე ფილოპატსა, რათა თაყვანი სცეს მეფესა“. აქ წარუდგინა მეფეს ობოლნი, რომელნიც საქართველოდგან წამოიყვანა საბერძნეთში აღსაზღვლად. ობოლნი შეავედრა მეფეს და მოითხოვა მათი შეწყალება. ობოლთ „უამობაი“ სთქვეს, იგალობეს „მჯდომარე ეტლთა ქერაბინთა მეუფე“ და „აწ განმიტევე, მეუფეო“. გიორგი სახელდარით დაბრუნდა მეტოქეში და 26 ივნისს განთიადს მიიცვალა. მეფემ ბრძანა მიეცათ ობოლთათვის 1000 აქურა (ოქრო). გიორგის სიკვდილმა გამოიწვია წრფელი გოდება და ქართველთა ბერობა დიდს მწუხარებაში ჩააყენა: „ვაი ჩვენდა, წმიდაო! რამეთუ ვიდრე შენ ჩვენთანა იყავ, ღამენიცა დღენი იყვნეს, ხოლო აწ რაი განგვეშორე, დღენიც ღამე არიან!“ მეფეც შეწუხდა ფრიად. მეფეს წარუდგინეს წერილი გიორგისა. განსვენებული სწერდა: წმიდაო მეფეო, ეგე ობოლნი, ვითარცა შენის ღვთის მსახურებასა შენსა, ეგრეთ შეიწყალებენ და დაარჩინენ მლოცველად სულისა შენისა და შვილთა თქვენთა მზეგრძელობისა და მონასტერსა მთაწმინდისასა, სალოცველსა თქვენსა, ოქრო-ბეჭედი შეუქმენ დასამტკიცებელი ყოველთა ოქრო-ბეჭედთა, რათა ყოველითურთ თავისუფალ და შეუვალ იყოს და ობოლნი ესე იზღებოდენ მას შინა და ყოველნი მკვიდრნი მისნი გლოცვიდენ, ვიდრე უკუნისამდე“. მეფემ თანახმად ამ თხოვნისა „უბძანა ჰროტონოტარსა თვისსა შექმნად ორთა ოქრო-ბეჭედთა მტკიცეთა

და უცილებელთა“, ერთი ლავრას ქართველთა და ერთი ობოლთა. ამგვარად ჩააბარა მეფეს და უზრუნველყო ბედი ივერიის მონასტრის და ქართველთა მოსწავლეებისა.

გიორგი ჩაასვენეს გვადრუსა (კუბოსა), შემზადებულსა ძელთაგან უღპობელისა და გვამი მისი წამოასვენეს მთაწმინდას და დაკრძალეს ლუსკამასა გიორგი მაშენებელთან ერთად.

ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა დასწერა გიორგი ბერმა თანხმად თხოვნისა მამათა მთასა საკვირველსა. აღმწერელი გვაუწყებს, რომ იგი თვალით მხილველი, ხელით მსახური, ყურით მსმენელი იყო გიორგი მთაწმინდელისა. მართლაც იგი მოგვითხრობს, როგორც მოწაფე თანამედროვე, თანმხლები საქართველოში და საბერძნეთში, მოწამე მისი მოღვაწეობისა და არა სხვათა გადმოცემათა მიხედვით.

ცხოვრება ესე აღიწერა, ოდეს ზეგარდმო სამცხე აოხრდა 1083 წ.

გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება ეკუთვნის 1014—1065 წ.; აღმწერს შეუღდენია მისი ბიოგრაფია 18 წლის შემდეგ, შეუტანია თავის მოთხრობაში ნამდვილი ფაქტები, თუმცა ჩვეულებრივი სასწაულ-მოქმედი ელემენტი აგიოგრაფიული მწერლობისა ცაქა-იქა ჩაუქსოვია.

გიორგის დიადი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ეკლესიის და მწერლობის წინაშე. გიორგის შრომით შესწორდა ქართული საღმთო წერილი. ათონის თარგმანმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი ჩვენში და ის წიგნები, რომელნიც ახლა იხმარებიან წირვა-ლოცვის დროს, თითქმის მთლად ათონის ივერიის და სხვათა მონასტრის ბერების მოღვაწეობის ნაყოფს წარმოადგენს, შესწორებულს ბერძნულს დედანთან. გიორგი მთაწმინდელმა მხოლოდ სახარება საძვერ შეასწორა ბერძნული ტექსტის მიხედვით. ამგვარად დამყარდა ჩვენს ეკლესიაში ბერძნული სამღთო წერილის გავლენა და მოიხსნენ წინანდელნი სხვათა ენათა თარგმანნი. ამასთანავე

სამღვთო წერილის გადმოღების წყალობით შეიქმნა ღრმა გამომეტყველი სამწერლო ქართული ენა, რომლის ნიადაგზედ აღმოცენდა შემდეგი ჩვენი ლიტერატურა.

სასულიერო მწერლობა აყვავდა საქართველოში ბაგრა-ტოვანთა გვარის პოლიტიკურად განძლიერების შემდეგ. აფხაზეთის და ქართლის შეერთება, კავკასიელთ მთიულთა დაპყრობა გურგანის ზღვამდე, კეთილ-განწყობილება ბერძენთა იმპერატორებთან, ამათთან ნათესაური და კულტურული კავშირის განმტკიცება მოხდა ბაგრატ მესამის (980—1014), გიორგი პირველის (1014—1027) და ბაგრატ მეოთხის (1027—1072) დროს. ამ ხანას ეკუთვნის პირველი ნაბიჯი სამწერლო აყვავებისა. საქართველოს შეიღნი მიესწრაფიან იერუსალიმს, შავს მთას სირიაში, მთაწმინდას საბერძნეთში, დაეწაფებიან მაშინდელს ღვთის-მეტყველებას და აღსავსენი „თაფლით და რძით“ მოჰყენენ ნათელს სამშობლო ქვეყანას. უმაღლესი წერტილი ქართველთა სარწმუნოებრივი მოღვაწეობისა ეკუთვნის მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეს. ამავე დროს ბაგრატოვანთა გვარმა შეჰქმნა ძლიერი სახელმწიფო, მოიპოვა ქონებითი ძალა და ზნეობითი გავლენა. აღფრთოვანებული გამარჯვებით ქართველი სტოვებს სამშობლოს სამზღვრებს და ეძიებს ფართო სარბიელს სამოქალაქო და საეკლესიო მოღვაწეობისათვის. ერთი მუქა ერი, გადახალისებული მამულის სიყვარულით და ქრისტიანობრივი იდეალით, შეუდგება ბეჯითს შრომას, აფრიალებს დროშას ნაციონალური თვითარსებობისას, შეებრძოლება ანტიოქიის პატრიარქს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გამო, და ბურთასაც გაიტანს, რადგან ზურგი ბაგრატოვანთ მაგარი აქვთ. თვით ლეგენდა ანდრია პირველ-წოდებულის მგზავრობის შესახებ და საქართველოს განათლება მისი ღვაწლით, შედეგი იყო პოლიტიკური სიძლიერისა და ზნეობითი თვით-შემცნებელო-

ბისა. პატივის-ცემა, რომელიც დაიმსახურეს ათონის ქართველთა ბერებმა, ბერძენთა იმპერატორების წინაშე, შემდეგ თორნიკე ერისთავის გამარჯვებისა ბარდა სკლეროსზედ, კონსტანტინეპოლის მოქიშპეზედ, თეალსაჲინოდ მოწმობს, რომ ქართველნი, ძლიერნი სახელმწიფო ერთობით, გამოდიან მსოფლიო საისტორიო ასპარეზზედ, ერევიან სხვათა სამეფოთა საქმეში, მახვილით ამყარებენ წეს-რიგს და სწავლამეცნიერებით აცვიფრებენ მათზედ აღრე გამოსულს ხალხებს. ეფთვიმე და გიორგი, საფუძვლიანი მკოდნენი ბერძნული ენის და ღვთის-მეტყველების, შეიქმნენ ვექილებად მთელი ერის მოწიფებისა და კულტურული ზრდისა. მათი გონიერება. სიმახვილე, კოდნა, გამჭკრიახობა, ამობრწყინებული საეკლესიო და სამწერლო საქმეთა განგებლობაში, ღირსეულად იყო დაფასებული თვით მოწინააღმეგეთაგანაც.

ორი-სამი საუკუნე ფთხილად და ჩუმად ემზადებოდა საქართველო, რათა ჩარეულიყო საქრისტიანო მცნების მოსაფენად ქვეყანაზედ. თუ მის პოლიტიკურად გაძლიერება გამოიხატა საბერძენთის აღელვების დამშვიდებაში და ბარდოსის დამარცხებაში, კულტურულმა ზრდამ სხვა გზა ამოირჩია ქართველთა ერის ისტორიული ღვაწლის გამოსაქვეყნებლად. ქართველმა მისიონერმა აიღო ჯვარი და შეუდგა მეზობელთ მთიულთა შორის ქრისტეს სარწმუნოების გავრცელებას ქართველმა მწერალმა ვაუზიარა უცხო ტომს, რამდენიმე ნაფეხურით უკვე წინ წასულს, სალიტერატურო განძიდგან საუცხოვო მოთხრობა „ბაღკვარ და იოდასაფ“, ინდოეთიდგან გადმოტანილი. ეფთვიმემ, რომელმაც გაამდიდრა ქართული მწერლობა მრავალი თარგმანით ბერძნული ენიდგან, უთარგმნა ბერძნებს ქართულიდგან. ქართული სასულიერო მწერლობა შეიქმნა წყაროდ, საიდანაც ეზიდებოდნენ საბკურებლად, როგორც აიაზმას, აბხაზნი, ოსნი; ჩაჩანნი. სასულიერო მწერლობა ამავე დროს თვით ქართველთათვის იყო ზნეობითი აღმზდელი იარაღი, დასაწყისი სა-

ლიტერატურო ენისა და საფუძველი სკოლაში შემოტანილი სწავლისა. ეს იყო მიზეზი, რომ მთაწმინდელების—ეფთვიმეს და გიორგის ცხოვრება-მოღვაწეობაზედ ამდენს შევჩერდით. ამითი ვათავებთ აგიოგრაფიული ნაშთების განხილვასაც.

ბ ა ლ ჰ ვ ა რ დ ა ი ო ლ ა ს ა ზ .

ყუთვიმე მთაწმინდელს მიაწერენ „ბალჰვარ და იოდასათის“ გადათარგმნას ქართულიდგან ბერძნულად. შემდეგ ეს ბერძნულად გადაღებული მოთხრობა გადათარგმნილ იქმნა სხვა ენებზედაც. მოთხრობა „ბალჰვარი და იოდასათი“ წარმოადგენს ბუღდას ცხოვრების გადაკეთებას ქრისტიანული თვალთ-ისარით. ეს მოთხრობა პირველად ინდოეთში შეიქმნა და იქიდან გავრცელდა დასავლეთს ქვეყნებშიაც. ქართულად რა ენიდგან ითარგმნა, აჟამდის არ არის გადაწვეტილი. ჩვენამდე მოუღწევია ამ მოთხრობის ხელნაწერებს სხვა-და-სხვა დროისას. პირველად 1884 წ. მე მომეცა შემთხვევა წიგნის „სიბრძნე ბალავარისა“ გამოქვეყნებისა. მამიდა ჩემის ნინო დაფქვიაშვილის სახლში, იმის მეუღლის ანტონ დაფქვიაშვილის ხელნაწერებში აღმოჩნდა „სიბრძნე ბალავარისა“, შემდეგ გამოცემული ნაწვევებზედ ნ. მარკის მიერ (1888 წ.) და მთლად, თუმცა შეცდომებით კი, ე. თაყაიშვილის მიერ (1895 წ.) (ამ უკანასკნელმა ისარგებლა „მიგრელსკის ბიბლიოთეკის“ მამათა ცხოვრებაში მოქცეული ვარიანტით). 1891 წ. საეკლესიო მუზეუმში ეპისკოპოზმა კირიონმა და მღვ. პ. კარბელაშვილმა იპოვეს დაფურცლული ნაწვევები ამავე მოთხრობისა, რომელიც მე გამოვეც მოსკოვს (1902 წ.).

შინაარსი „ბალჰვარ და იოდასათისა“ იმაში მდგომარეობს, რომ ბალჰვარმა (მეუღდაბნოემ) მოაქცია ქრისტიანად ინდოეთის მეფის შვილი იოდასათი, თუმცა მამა მისი იაბენეს დიდი მტერი იყო ქრისტიანეთა. ეს მოთხრობა ამ ჟამად არსებობს ბერძნულს, ლათინურს, არაბულს, სლავიანურს, ქართულს და სხვ. ენებზედ. სიუჟეტი ამ სულის მარტოებულისა მოთხრობისა სხვა-და-სხვა ხალხთა შორის გავრცელებულა და აკვანძულა მცირედი განსხვავებით მრავალგვარი

იგავით და დარიგებით. სამს ნაწილად შეიძლება გავეთ „სიბრძნე
ბაღვათისა“: არაკი (თაბულა), იგავნი და სარწმუნოებრივი დარი-
გებია.

ინდოეთის მეფეს დიდის ხნის ღვთისადმი ვედრების შემდეგ
მიეცა ვაჟი-შვილი. უწოდეს მას სახელი იოდასაფ. შეჰკრიბნა მეფემ
ვარსკვლავთ შრიცხველნი და თილთსოფსნი, რომელთაც აუწიეს, რომ
იოდასაფს მოეღოს დიდება, მხოლოდ ერთმა შეცნინერმა გამოუცხადა
მეფეს, რომ შვილი მისი გახდება წინამძღვარი გზასა შეჰმარიტები-
სასა. ამისათვის მეფემ ბძანა გაღევნა ქრისტიათა თავის სამთლო-
ბელოდგან. დასტოვა იაბენესის საშეთო მისმა სახელოვანმა კაცმა
ბაღვათისა, ქრისტეს მოსაგმან, რადგან, მას წინააღმდეგენ კერძის
თაყვანის მცემელნი და წავიდა უდაბნოდ. მეფემ აუშენა თავის შვილს
სასახლე (ქალაქი) და უბძანა, რომ ბერიკაცი ანუ სნეული არ შეუშვან
მასთან, სიკვდილი არ უხსენონ და აღზარდონ შვიბით. მეთვალყურედ
და აღმზღვლად დაუნიშნა ზანდან. ერმა გონიერი აღმოჩნდა. როცა
გულის ყურში ჩავარდა, იფიქრა, რატომ არ გამოვიძიებ, რად ვარ
შემომწვედელი სასახლეშიო. ზანდანმა მეფის შვილს მოახსენა რა
უწინასწარმეტყველეს იაბენესს, როცა მას დაებადა იოდასაფ. როცა
მოვიდა მეფე შვილის სახანავად, შესჩივლა იოდასაფმა მამას თავის
შეწუხება განმარტოვებულს სასახლეში: „სული ჩემი სურვიელ არს
განსლვად გარეგან კართა, გვედრები, რათა განმიტეო და ვიხილო
ქვეყანა და არასადა გარდავხდე მცნებათა შენთა“. მეფემ მისცა ნება
ქვეყნის ნახვისა. მეფის შვილის თანამხლებლებს უბძანა წინ წასუ-
ლიყვნენ და თუ იპოვნიდნენ სნეულთა ან მოხუცთა, გზისაგან გადა-
ეყენებინათ, რომ გასაჭირი საქმე და მწუხარება რაიმე არ ენახა
იოდასაფს.

ერთს დღეს ერმამ ნახა ორი კაცი: ერთი გონიერი და ერთი
მწუხარე. მეფის შვილს მოახსენეს, რომ ესეთი მდგომარეობა კაცს
შეემთხვევა არ უოველთა, „არამედ ზოგთა“. დაბრუნდა სახლში
„ღამომებული“ — გულ-ჩაკლულად. მეორედ გავიდა და შეხვდა ბერი-
კაცს, „რომლის თმა სჰეტაკი იყო, ვიდარცა მატელი და ჰირსა
მისსა კბილი არ იყო“. ზანდანმა აუხსნა, რომ ასე შეუქმნია ბერიკაცი

„წელიწადთა სიგრძეს“ („წელიწადი არს თორმეტი თვე, თვე ოთხი კვირა“), 80—100 წლის შემდეგ კაცს მოელის სიკვდილი—„განქარდება სახსენებელი ამის ქვეყნით“.

შეძრწუნდა იოდასათ და ტიროდა, გაიგო-რა, რომ არ არის ისეთი ქვეყანა, სადაც სიკვდილი არ მოეწიოს კაცსა. ამასთანავე ზანდანმა მოახსენა მეუღის შვილს ღვთის მსახურნი კაცნი, რომელნიც მისმა მამამ გადაუნა სამეფოდგან, იტყვიან, რომ ზეცას ღმერთი არს და მას დაუბადებია ქვეყანა, — უკეთუ მას თაყვანს სცემდენ, შემდგომად სიკვდილისა სამოთხედ წარიუვანებს და იქ განუსვენებს.

დაბრუნდა იოდასათ სასახლეში. იგი ევედრებოდა ღმერთსა, რათა მოეფლინოს კაცი, რომელმან აუწყოს გზა ჭეშმარიტებისა. ბაღჰვარმა სულიწმიდით სცნა, რომ მეუღის შვილს სურს ნახვა კაცთა ღვთის მსახურთა. ჩაიცვა ვაჭრის სამოსელი და მოვიდა მეუღის ძის კარად. ზანდანს მოახსენა ბაღჰვარმა, რომ აქვს ჰატოოსანი თვალი. რომელიც ბრმათა აღუხილავს თვალთა, ერთთა ასმენს, მუნჯთა ენას ამოუდგამს, უძღურთა ჰკურნავს, ნაკლულეკანთა განამდიდრებს, „მტერთა ზედა მძლე ჰყოფს და ყოველსა საწყაღელსა გულისსა მოატეუებს“. ბაღჰვარმა დაუმატა, რომ მის ხილვა არავის შეუძლიან, გარდა მათთა, ვისაც სიფრთხილე თვალთა და სიწმიდე ხორცთა აქვს მინიჭებული. შესმის, რომ მეუღის ძე სიწმიდით ცხოვრების და მხვილია თვალით, — „იგი შემძლებელ არს ხილვად“. ზანდანმა მოახსენა ეს ამბავი იოდასათს, რომელმაც სიხარულით შეიწვია ბაღჰვარი. შეუდანბოე ბაღჰვარი ჯერ გამოსცდის „სიტყვით“ მეუღის შვილს, შეუძლიან თუ არა მას ხილვა თვალისა, და ეტყვიან ჰირველს იგავს.

იყო ერთი მეფე, რომელიც სიმართლეს ეძიებდა. ერთხელ იხილა კაცნი შემოსილნი სამოსლითა უნდოთა და ბეჭეულითა, დაუვითლებულნი ჰირის ფერითა. მეფე გაღმობლა ცხენიდგან და მოეხვია მათ. მეუღის თანამხლებელთ დიდებულთა სთხოვეს მეუღის ძმას აცნობოს მეფეს, რომ კვლავ აღარ სცეს მან თაყვანი უნდოთა კაცთა. მეფემ უბძანა დაჰკრან საუერი სიკვდილისა კარსა თავის ძმისასა. მხატვრულით და შვილით მივიდნენ მეუღის კართა. შეუშვეს იგინი სასახლე-

ში და აქ აუხსნა მეფემ, რომ იგი დავარდა და მოეხვია წინაშე ქადაგთა ქრისტესთა...

ერთხელ შევიდა მეფე საჭურჭლეს თვისსა: აიღო კიდობანი ოქროთა და მარგალიტთა შემკული, და აავსო იგი ნაკავით და მძორით და დაბეჭდა. აიღო მეორე კიდობანი, უშვერად შექმნილი, ფისითა შეგოზილი, ჩაღვა თვალი ჰატიოსანნი, სურნელთვანი და რაცა უმჯობესი ჰპოვა საჭურჭლეთა მისთა და დაკრძალა იგიც, უბრძანა დიდებულთა, რათა დაათასონ კიდობანი იგი. ჰირველი კიდობანი არად მიიჩნიეს და მეორეს ფასი ვერ დასდეს. ბძანა მეფემ კიდობანთა ახდა: ჰირველიდგან ამოვიდა სიმურალე და მეორიდგან მშვენიერი სული. გესმოდეთ,—სთქვა მეფემ,—კიდობანნი გარეთ კეკლუტნი ჩვენ ვართ, შემკულნი გარეგანი სამკაულით, სული ჩვენი კი საგსე არს ცოდვით. ისინი, ვინც მარხვას და ღოცვას მისდევენ, ფერით დაუვითლდებიან, მათი შინაგანი სული კი საკსეა სურნელეებითა.

იოდანსაფშა: ამაზედ მიუგო ბაღჭვარს: კეთილ არს სიტყვა შენი და ჭეშმარიტ და ვკობებ, რომელ ეგე არს თვალი იგი, რომელსა ჰტყარაფ, რამეთუ განამტკიცებს ცულსა და განანათლებს თვალსა.

მეორე თხრობა მოახსენა ბაღჭვარმა სახარების სიტყვებზედ დამუარებული: გამოვიდა მთესვარი და იწყო თესვად... და განმარტა იგი: მთესვარი იგი არს მიმცემელი სიბრძნისა, თესლი—სიტყვა ჭეშმარიტებისა...

შესამე თხრობა შეეხებოდა კაცს და სპილოს. მსგავს არს საწყითო ესე კაცსა, რომელსა სდევდა სპილო ამრიზებული და მიანწყლია იგი ჯურღმულსა და იხილნა ხენი, რომელსა ზედა აღხდა და იხილნა კვალად ორნი თაგვნი—ერთი შავი და ერთი თეთრი, რომელნი სჭრიდეს ძირსა მას ხეთასა, რომელსაზედა აღსრულიყო კაცი. შთახედა ჯურღმულსა და იხილა ვეშაზი, რომელსა გაეღო პირი და ეკულეებოდა შთანთქმა მისი. აღიხილნა ზე და იხილა თათული მცირე, რომელი ჩამოსდიოდა ხეთა მათ და იწყო ღოკვა მისი და არღარა გაიხსენა განსაცდელი, რომელსა შთავრდომილ იყო; თაგვთა მათ ხენი იგი წასჭრეს და კაცი იგი დაეცა, პილომან აღიტაცა და ვეშაზს მიუკდო.—პილო სახე არს სიკვდილისა, რომელი სდევს ძეთა

კატასა, ხენი—საწუთო არს, თაგენი—დღენი და ღამენი, თაფლი — საწუთო სიტკბობა. დღენი და ღამენი წარვლენ, სიკვდილი წარიტაცებს და ვეშაი ჯოჯოხეთსა შინა შთაინთქმის.

მეოთხე იგავი შეიძავს მოთხრობას სამი მეგობრის შესახებ. ერთს კაცს სამი მეგობარი ჰყვანდა. ერთი ამთავანი უმეტესად უყვარდა და მესამე შეურაცხ იყო მის წინაშე. ეწვია ამ კაცს განსაცდელი, მივიდა საყვარელს მეგობართან და შეატყობინა, რომ იგი უნდა წარსდგეს განსაკითხავად. არც ამან და არც მეორემ დახმარება არ აღმოუჩინეს და უარჰყვეს იგი. მესამე მეგობარი, რომელმაც მოიგონა მისი მცირედი კეთილი, გაჰყვა თან და გაამხნევა იგი.—პირველი მეგობარი—ვერცხლის მოყვარება არს, რომელს თანა ვერ წარიტან, მეორე მეგობარი—ცოლი და შვილი, რომელნი დღეს განკითხვისას ვერ არგებენ, მესამე—სული თვისი.

თხრობა მეხუთე მეფის შესახებ. ერთს ქაჯაქს წესი არის: დასვამენ უცხო კაცს მეფედ ერთს წელიწადს, ან ნახევარს, შემდეგ განდიან ჰორფირს და ორი სამოსლით გასდევნიან. ერთხელ დააყენეს მეფედ უცხო ვინმე; ამან გაიგო უკეთურება ქაჯაქისა და წინდაწინვე გაგზავნა საფასენი გლახაკთა ხელით იქ, სადაც ექსორიად იქნებოდა. მოვიდა რა კაცი ესე, ჰპოვა სარკებელი შვიდ წილ და იხარებდა.— ეს თუხილი კაცი არს ის, ვინც მოწყალეა და მდაბალი გულთა, მხოლოდ დმერთი მიაგებს ცხადად. იოდასაფ ამ იგავთა სმენით განათლდა სულით და გონება გაუმხიარულდა.

მექვესე თხრობა მიუძღვნა მეფეს—წარმართს და მის მზრახველს კაცს, სარწმუნოს და კეთილს. ეს უკანასკნელი ჩამოუგდებს მეფეს სიტყვას სჯულზედ და თავის ჩატონებით მეფეს უარყოფინებს კერძთა მსახურებას.

მეშვიდე თხრობა შეეხო მდიდარს, რომელმაც შეირთო ღარიბი დედაკაცი. მდიდრის შვილმა ნახა ღარიბად ჩაცმული ქალი სახლის წინ. მოეწონა ვაჟს და მის შერთვა მოინდომა. ქალის მამამ ჯერ გამოსცადა ვაჟი და რაკი ღარწმუნდა მის ღრმა სიყვარულში, შეიყვანა სახლში და მისცა ქალთან სიმდიდრე აუარებელი. გაათავა რა ესე იკავი, ბალჰვარმა დაუმტა: გეშინოდეს, იოდასაფ, ღვთისა და ევედრე

ქრისტეს და სამებას წმიდას. ბაღჭვარმა ამასთანავე სთქვა, რომ 18 წლისა; თუმცა იგი 60 გადასცდა, — რადგან იგი ანკარიშობს თავის გაქრისტიანობის დროიდან და არა დაბადებიდან.

მერვე თხრობა მჭვრინავს უძღვნა: ერთმა კაცმა დაიჭირა მჭვრინავი და უნდოდა მისი დაკვლა. მჭვრინავმა მიუგო: თუ გამიშვებ, სამს მცნებას გასწავლი; რომელნიც შენთვის სასარგებლონი იქნებიანო: მიუწოდებლას ნუ ეცდები, გარდასრულას ნუ ინანი და რაც შენთვის არ გინდოდეს, სხვას ნუ უზამ. მჭვრინავმა მონირომა კაცის გამოცდა, დაჯდა რტოზედ და უთხრა: კაცო, რომ დაგეკალ, ჩემს ჩინჩახვში ნახავდი მარგალიტს სირაქლეიმის კვერცხის ოდენასო. კაცმა დაიწყო სინანული და განიზრახა მის კვლავ დაჭერა და ამიტომ სთხოვა ზამთარს მისუღიყო მასთან განსასვენებლად და მადლობას მისაღებად. მჭვრინავმან მიუგო კაცს: სამივე მცნება უკვე დაარღვიე: გაშვებას ჩემსა ინანი, მიუწოდებლას ეტანები და ჩემი სიკვდილი გნებავს, თუმცა შენი სიკვდილი არ გაგიზრახავს. ბაღჭვარმა განმარტა სწავლა მოუფასისადმი სიუფარულისა, ამაობა ამა სოფლისა და მისწრაფება საუკუნო ცხოვრებისადმი. ჰკითხა იოდანსთმა: რა დაამტკიცებს ცნობას ღვთისსა. მიუგო ბაღჭვარ: ცანი და ქვეყანა, სულიერი და გვამიანი. „რამეთუ იხილო ჭურჭელი რამე შექმნილი დაღათუმცა მოქმედი არა ნახე, სწამებცა, ვითარმედ უფის შემოქმედი. ეგრეცა ნაშენები დაღაცათუ მაშენებელი ვერ იხილო, არამედ გონება წამებს, ვითარმედ უფის მაშენებელი. ხოლო მე რა უამს ვიხილე თავი ჩემი, განვიცადე აკებულება ჩემი, ვცან, რამეთუ მივის შემოქმედი და ვითარცა ენება, დამბადა და გამომხატა თვინიერ კითხვისა ჩემისა, და უკეთუმცა მე ვიყავ დამბადებელი თავისა ჩემისა, უმეტესმცა ვიყავ თავი ჩემი სიმშვენიერთა და სისრულითა ჰასაკისათა. ხოლო ღმერთმან დამბადა და მეო მე რომელთამე უდარეს და რომელთამე უმჯობეს; გულის ხმა ვუავ ესეცა, რამეთუ განმიუფანებს ამის ცხოვრებისაგან თვინიერ კითხვისა ჩემისა და ვითარ გულისხმა ვუავ და ვცან საქმე ცხოვრებისა ჩვენისა, ვითარმედ ვერას შემძლებელ ვარ შემატებად, გინა დაკლებად ჰასაკისა და ვერცა განახლებად დაძველებულისა და ვერც კვლად შედგმად, თუ რაი მოვარდეს ასოთაგანი და ვერცა

შეუძლეს ამის შეფეთა შეფობითა და ვერცა მარჯვეთა სიმარჯვეითა, ვერცა ბრძენთა სიბრძენითა, ვერცა ძლიერთა ძაღითა თვისითა. და შერძე ვხედავ შემოსვლასა ღამისასა შემდგომად ღღისა და ქცევასა სამყაროსისა და ამათ გამო ვცან, რამეთუ უოველთა უვის დამბადებელი და უკეთუმცა მსგავს იყო მათსა, მის ზედამცა მოიწოდეს, რომელნი მოიწვევიან დაბადებულთა ზედა, რამეთუ ვითარცა თქვას, იქნების და ოდეს ინებოს, ადესრულები და კვალად ადადგენს, ვითარცა ჰირველ იუვენს, რამეთუ ბრძანებაი მისი უგამკვეთელეს არს მახვი-ღლისა ორპირისა და უმადეს არს კაშკაშებისა ეღვისასა და ენებოს თუ განაქარვებს და კვალად მოაკებს და კურთხეულ არს და დიდებული სსხელი მისი უგუნისამდე.

შემდეგ აუხსნა იოდასაფს, საიდგან ვიციით სიკვდილისა შემდეგ ადღგომის ამაჰვი და მიგება კეთილის და ბორცოტისა, როგორც ჰქადაგებდნენ მოციქულნი და სსწაულებით მოწმობდნენ თვისს მოწოდებას. ზანდანმა შეჰნიშნა, რომ ხშირად დაიარებოდა ბალჰვართან და შეეშინდა, რომ შეეფეს არ გავტო ეს ამაჰვი. იოდასაფმა დამალა ზანდანი სადგურში და მოასმენინა რას უქადაგებდა ბალჰვარი. ამან იწეოსწავლის შესახებ ამატებათა სსწუთროსისა. ზანდანმა ამ ქადაგებაში იცნა შეფისაგან გადევნილი „ღვთის მსახურთა“ მოძღვრება. იოდასაფი არ შეშინდა ამისაგამო, რადგან იგი უშიშ არს მამისა თვისისა და ეკრძალების მამისა ცათასა. კაცმა უნდა იზრუნოს, რომ არ მიეტეს დაუსრულებელსა ცეცხლსა და მატლას დაუძინებელსა.

იოდასაფი ვერ ითმენდა ბალჰვარის განშორებას, ამიტომ სთხოვა თან წაეყვანა იგიც. ბალჰვარმა მოახსენა მეცხრე იგავი. იყო ვინმე დიდებული კაცი და ესვა მას ძე სსუვარელი. შეაღეს კანმან ნუკრი გაუზარდა და ეყვანი შეაბა ეელსა; ნუკრი განვიდის ველად, რათა ძოოს. ჟამისა ერთსა შეეყო სსვათა ჰურციკითა და თან გაჰყვა იგი მადნართა შინა და ვითარცა ცნეს, რამეთუ ნუკრი იგი წარვიდა უშინაგანესთა მადნართა და წარვიდეს კანნი ძიებად ნუკრისა მის გამზრდელნი და ჰბოეს იგი სსვათა თანა ნადირთა. იგინი დახოცნეს და სსუკრი შეიბურეს და წამოიყვანეს. ეგრეთვე ჩვენ შეგვაძობხვიო მე და მოუვასთა ჩემთა.

უდაბნოს მათთვის საცემელს შეადგენდა მწვანელი. „ოდეს მოკვავდებოდა, მოვიღებთ ძმათაგან ჩვენთა მორწმუნეთა. ბაღჭვარ უარყოფს რაიმე წაიღოს იოდასათვის სასუასიდგან: „უკანასკნელი მეუღაბნეთა უმდიდრეს არს შენისა“. თვით ბაღჭვარს ეცვა გლახაკად, რათა იოდასათთან შესულიყო. იოდასათი მიიქცია ბაღჭვარის სწავლად, მაგრამ უდაბნოდ წაუყვანა მისი ეძნელება. იოდასათი შეუდგა ლოცვას და მარხვას. ზანდანმა მოახსენა ეს ამბანი მეუფეს და გასცა ბაღჭვარი, რომელმაც დააკობინა იოდასათს მამათა რწმენა. გადასწევიტეს ვარსკვლავთ შრიცხველის რაქის მიერ კვლავ მოაქციონ იოდასათი.

რაქიმ ვერა გააწყო-რა. განიზრახეს, მიგზავნონ სწავლული ნოქარ, ჩანმული მსგავსად ბაღჭვარისა. ნახეს ნოქარი უდაბნოდ, მიიუვანეს და საჯარო ბასი დანიშნეს ქრისტიანეთა და წარმართთა შორის. ქრისტიანეთა მცველად გამოვიდა ვინმე ბარქია, ფარული მოწათუ მაცხოვრისა. იოდასათ, რომელმაც უკვე მამის წინაშე აღიარა ღმერთი ცისა და ქვეყნის შემქმნელი, განაცხადა, რომ იცის ვინც არის ნოქარ, თვალთ მაქცი მფარველი ქრისტიანეთა. იოდასათმა თვით ნოქარი მოაქცია ქრისტიანად. მეფე იმედ-ლაკარტული, მიჭმართავს კერპთ მსახურს თედაისს, რომელსაც მიაწერდნენ, „ვითარმედ წვიმა და მზე მისითა ღოცვითა მოეცემის ქვეყანას“.

მეფემ უთხრა თედაისს შემდეგი იგავი: მსგავს არს საქმე შენი და ჩემი, რომელსა ესვა ცოლი ქმნულ-კეთილი და ეშინოდა, ნუ უკვე უთმინე იქმნეს და შთაფარდეს ცოლი ჭაბუკის მის სიძვას; ამისთვის ამცნო და ჰქრქვა ცოლსა თვისსა: უკეთუ მწადდეს და ვერა წინა აღუდგებოდე ხორცსა შენსა, მოუტეობდი თმათა თავისა შენისათა, ვინიღენ რა იგინი, მე ვუო ნებაი შენი და შენ არა შთაფარდე ცოლვასა. დღეს ერთსა მოვიდეს მტერნი და იყო ხმა. ჭაბუკი იგი შეეკაზმა, რათა განვიდეს ბრძოლად: ხოლო რაი იხილა ცოლმან მისმან მოკაზმულად ეტრფიალა და მუის კარდამოუტევენა თმანი. და ვითარცა იხილა ჭაბუკმან სსწაული იგი, რომელი ემცნო, მოიქცა და აღასრულა ნებაი ცოლისა მისისა, ხოლო ვითარცა განვიდა, მღევართა მტერნი იგი ეოტნეს და მოქცეულ იყვნეს; ხოლო ჭაბუკსა აყვადრებ-

დეს გვიანად გასვლისათვის; ხოლო მან ჰრქვა: მე მტერი საკუთარი მეწყო, იგი განგლეგნე და მან დამხწია ადრე არა გამოსვლას“.

მოიძიეს დედანი, რომელთა დაევალათ დაავიწონ იოდასათვის საუკუნო და „შეესაკუთროს“ საწუთროს.

მეფეს ჰქვანდა ქალი „ქმნილი კეთილი, ასული მეფის, ტუვედ წარმოღობული და სხვანიცა ქალნი შემგოსნენი და მეჩანგენი“. ამას ვერ მოახერხეს იოდასათვის შეცდომა. იოდასათვის მოსწონდა „ქალი მეფის ასული“, ტუვედ წამოყვანილი და უნდოდა მისი მოქცევა ქრისტიანედ. ქალმა უთხრა: „თუ ჩემი მოქცევა გნებავს სჯულსა შენსა, მოვედ წელიწადსა ერთსა ნებასა ჩემსა“. იოდასათი აიტანა გულისთქმამ, „მიდრკა ნებასა ქალისასა“. ამ შემთავებულს მდგომარეობაში იყო, რომ მიეძინა. იხილა ძილში სამოთხე და შემდეგ ჯოჯოხეთი; პირველი იყო განსასვენებელი წმიდათა და მეორე „მისაგებელი ცოდვითა“. გაიღვიძა და შესწირა მადლობა დემეტრს, რომელმან არ ჩააგდო ცოდვასა.

იოდასათმა სთხოვა მამას მიეტა ნება უდაბნოდ წასვლისა. მეფეს ეშინოდა განსაცდელისა მტერთაგან და მხოლოდ დიდი ვეღარების შემდეგ მისცა მას ნახევარი სამეფო, რათა მიჰყო მან „საქმეს სოფლისათა“. იოდასათ ინება მეფობა ღონისძიებით, რათა შეეძლოს განცხოველებად სჯულისა, რომელი მოკვდინა მამასა მისსა. მეფემ დააკვირვინა შვილი, გაათავისუფლა შეპყრობილი ქრისტიანენი, გასცა ურიცხვი მოწყალება. შვილმა გაჰყიდა ყოველი საფასე, მამისგან მიცემული, და გაუნაწილა ღარიბთ და საწყალოთ. ააშენა ეკლესია, დაუყენა მღვდელ-მოძღვარნი, დაუწესა სამჯარო მართალი. განითქვა სახელი მისმა სამეფომ, — მოდიოდნენ კერპთმსახურნი და იღებდნენ ქრისტეს ნათელს. მეფეს ეწეინა „მოკლება სამეფოსა თვისისა და გამდიდრება სამეფოსა ძისა“. გაგზავნა აბენეს მეფემ „კაცნი, რათა სცნან საქმე და ქცევა ძისა მისისა“. დაბრუნდნენ ეს მოციქულნი და ქება მოუტანეს მამას. იგინი უკვე მოაქცია იოდასათმა ქრისტიანედ. მამამ მადლობა გადაუხადა შვილს იმის მოციქულთა პატივით მიღებისთვის და სთხოვა შეეტყობინებინა, როგორ შეუდგეს „სჯულსა იოდასათისსა და შეიწინარონ წესი მისი“. იოდასათმა პასუხად მის-

წერს მამას, რომ მოხარულია იგი მამის მოქცევის გამო, „აწ ადს-რებითა შენითა ღვთისა მიმართ განათლდა სული და გონება ჩემი, რამეთუ აწ ვიქმენ ძე მორწმუნისა მეუფისა... გვედრები, რათა და-არღვივნე ტაძარნი კერპთანი და დაღეწნე კერპნი... და ღმერთი მშვიდობისა იუავენ თქვენთან უკუნისამდე“. მეფემ დაარღვია კერპნი და დაწვა იგინი ცეცხლთა; თვით წავიდა ერთურთ შვილის სამე-ფოში. იოდასაფი მიეგება მამას და სამის დღის შემდეგ ნათელს სტეს მეუფეს აბენეს „და უოველთა ერთა“. აბენეს დაბრუნდა თვისს სამეფოს. თან წამოიყოლა მღვდელხი და დიაკონნი, ბრძანა ეკლესიის აშენება და დაწინარება სამეფოსა თვისსა. სიკვდილის ჟამს უანდერძა სამეფობელო იოდასაფს და მადლობას აღიარებდა, რომ ღირსი გახ-და ქრისტეს ნათელისა.

აღმთავრად დღე ილოცა იოდასაფმა მამის საფლავზედ. თვით უარტყო მეუობა, აღიკვეცა ბერად, აკურთხა ბარაქია თავის მოადგი-ლედ, ჩააკონა სიუვარული ქვეშევრდომთადმი და განვიდა უდანობად.

ორი წლის შემდეგ შეხვდა იგი ბაღჭვარს, შეიტკბეს ერთმანე-თი და ტირილდეს. განუტევა სული ბაღჭვარმა და იოდასაფმა დაკრ-ძალა გვამი მისი ხერულსა შინა. „იხილა ძილსა შინა კაცნი ვინმე ნათლისანი და აქვნდა მათ გვირგვინები შემკული ანთრაკითა და ეტ-უოდეს: ესე გვირგვინი მათთვის არს, რომელ სწავლითა შენითა წარუდგინეს ღმერთსა“. ორი გვირგვინი კიდევ სხვა ხახა: „ესე ერ-თი შენი არს დღაწელთა მათთვის, რომელ თავს ისხენ და ერთი მამისა შენისა არის, რამეთუ მოიქცა ღვთისა“. გავიდა მცირედი ხა-ნი,—მიიტვალა იოდასაფიც. ბარაქია წავიდა ერთთა და ეპისკოპოზ-მღვდლებითა, წამოიღო წმინდანი ნაწილნი და დაკრძალა ლუსკუმასა შინა. მასზედა ააშენა ეკლესია სახელსა მამისა, ძისა და სულისა წმი-დისა. დღემდე უოველნი, რომელნიც სარწმუნოებით მიუღენ, სენ-თაგან განიკურნებიან. ასე თავდება ქართული „ბაღჭვარი და იოდა-საფი“.

ქართულს მოთხრობაში არ არის ინდოეთის აღწერა, რომელსაც ვპოულობთ ბერძნულს ვერსიაში. თვით აბენეს—მეფე, კერპთ-მსახუ-რი, უფრო მიზნიდველი ელფერით არის დასურათებული. მეფის

შვილის აღმზღელს ქართულს მოთხრობაში ეწოდება ზანდან, ... ეს სახელი არაბულს ვერსიაში არ მოიპოვება, ბერძნულში ახალ დროის ვარიანტში დასახელებულია ზარდან. ბერძნულში მოყვანილია თექვისმეტი იგავი, არაბულში ათი, ქართულში თერთმეტი.

ვინ არის დამწერი ამ მოთხრობისა, ჯერ არ არის გადაწყვეტილი. იოანე დამასკელს ხაღოდენ წინადაც ავსქონად „ბაღჰვარის და იოდასაფისა“, მაგრამ ახლა უარყოფილია ეს აზრი. შეთერთმეტე საუკუნეში იგი უკვე გავრცელებული იყო. მე-XI საუკ. ბერძნული ხელნაწერები, ვენეციური და მე-XV საუკ. ჰარიზის ნაციონალური წიგნთ-საცავისა ასახელებენ წმ. ექვთიმეს (ივერს), როგორც მთარგმნელს ბერძნულს ენაზედ. შეუძლებელი არ უნდა იყოს ეს ფაქტი, რადგან ექვთიმე (1028 წ.) საფუძვლიანი მცოდნე იყო ბერძნული ენისა. მის დროს ათონზედ აუვადა ქართული მწერლობა. სათაური ქართული მოთხრობისა: „გვითხრობდა ჩვენ მამა ისაკ ძე სოფრონ ჰალესტინელისა და არს წიგნი ესე სიბრძნე ბაღჰვარისი, რომელი იყოფებოდა უდაბნოსა მძოვართა თანა“ — ორხაირად გადითარკმსა რუსულად. ნ. მარმა შეცდომით ასსნა ეს ადგილი, ვითომც „ბაღჰვარი“ დაწერილი იყოს მამა სოფრონ ჰალესტინელის, ძისა ისაკისა მიერ; ჰროფ. ა. ცაგარელმა სამართლიანად შეასწორა: სიბრძნე ბაღჰვარისა, თხზულება მამა ისაკისა, ძისა სოფრონისა. საშუალო საუკუნეებში სცხოვრობდნენ ორნი მამანი სახელად სოფრონ: ერთი მათგან ბერძენი იყო, მეკობარი იერონიმესი, მეორე სცხოვრობდა იერუსალიმს მე-VII საუკ. ეს მოთხრობა წინადაც, ბუდას ცხოვრებად ცნობილი, ზეპირი თქმულებით გავრცელდა ქრისტიანეთა შორის, ჩაიწერა ბერძნულად ასურელი ქრისტიანის მიერ ეგვიპტეში და აშენდა ქრისტიანული ასკეტიზმის გემოვნებაზედ. არიან ისეთი ჰირნიც, რომელნიც ამ ინდოეთის არაკის ქრისტიანულს გეგმაზედ აგებას დაწერენ მე-VII საუკ. წმ. საბას მონასტერში იერუსალიმს.

ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ნ ი .

მ ი ქ ე ლ მ ო დ რ ე კ ი ლ ი .

მეათე საუკუნეს ეკუთვნის კიდევ ერთი საყურადღებო ნაშთი ჩვენი მწერლობისა და განათლებისა. ათონის მთაზედ ივერიის მონასტერში დაცულია „საგალობელნი“, ნოტებზედ გადაღებულნი იმგვარი ნიშნებით, რომელნიც მაშინ ცნობილი იყო საბერძნეთში. ასეთივე საგალობელი ნიშნებით ეტრატზედ ხუცურად ნაწერი აღმოჩნდა წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთ-საცავში. ხელნაწერი შეიცავს დღესასწაულთა საგალობლებს. თითოეული სიტყვა აღნიშნულია განსაკუთრებული ნიშნებით, წითელის მელნით, სტრიქონს ზევით ან ქვევით, ხმოვანს ასოზედ. ნიშნები ზოგი დიდია და ზოგი პატარა, გძელი და მოკლე, ორ-სამ, ხუთ-ექვს კბილიანი. თითოეულს ამ ნიშანს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. დიდი და პატარა ნიშანი აღნიშნავს დაბალის და მაღალის ხმების წყნარად და მძლავრად გამოთქმას („ფორტე“, „პიანო“); მსხვილი და წვრილი ნიშნები აღნიშნავს ბანსა და მაღალს ხმებს, გძელი და მოკლე ნიშნები—გრძლად და მოკლედ ხმების წარმოებას, დაკლაკნილი—ხმების თრთოლვას და მღელვარებას („ვარიაციონე“, „აჯილიტა“), სამხუთ-ექვს კბილოვანი—იმავე ხმების მღელვარებას, მიხრამოხრას, ვარჯიშობას. გრძელი ხაზი, რომელიც სიტყვას თავს უვლის, აღნიშნავს, რომ ის სიტყვები გადაბმულის და ლმოზიერების ხმით უნდა ითქვას ხაზის გათავებამდის („ლეგატო“). ნიშანი, რომელიც იწყება დაბლიდგან წვრილის ხაზით და გარდაუხვევს მარჯვნივ მსხვილის ხაზით, აღნიშნავს, რომ ხმა დაიწყება სუსტად და გადავა უეცრად მძლავრს ხმაზედ („სინკოპე“). ხშირად ერთს სიტყვას სამი ნიშანი აქვს: ერთი სიტყვის ზემოდ, მეორე—ცოტა იმის დაბლა და მესამე კი სიტყვის ქვეშ. ეს ნიშნავს სამს ხმოვანს

გალობას. აქედან ის დასკვნაა ცხადი, რომ ქართული გალობა მე-X საუკუნეში უკვე სამ-ხმოვანი იყო. დაბალი ხმების (ბანების) შესახებ სამი საყურადღებო ნიშანია. ეს სამი დაბალი ხმა უნდა იყოს: ბანი, ღვინი და ღუმბი.

ხელნაწერი ეკუთვნის მე-X საუკ.; მინაწერებში ვკითხულობთ სხვა-და-სხვა ისტორიულთ პირთა სახელებს: „ქრისტე, აღიდენ უძლეველნი მეფენი სუმბატ და გურგენ“. სუმბატ მეფობდა 823—952 წ. და ბაგრატ 952—980 წ. იხსენიება აგრეთვე მეფე დავით კუროპალატი (+1001). თვით დედანი, საიდგანაც გადმოუწერიათ ამ მეფეთა დროს საგალობელნი, უნდა ეკუთვნოდეს უფრო უწინარეს დროს. „შეწევნითა დიდად სახიერისა ღვთისაჲთა მე გლახაკმან და ფრიად უღებით ცხოვრებულმან, ღელვათა სოფლისათა დანთქმულმან და სიმძიმითა ბრალთა სიმრავლისაითა დაღონებულმან მიქელ მოდრეკილმან ვიღვაწე... და შეეკრიბენ საგალობელნი ესე წმიდისა აღდგომისანი, რომელნი ეპოენ ენითა ქართველთაითა, მეხურნი, ბერძულნი და ქართულნი, სრულნი ყოვლითა განგებითა წესისამებრ საეკლესიოისა... უფალო, წყალობით მოიხსენე სული მამისა დავითისი, იოვანესი, დავითისი და წყალობაყავ საწყალობელისა მიქელისთვის“. ეს მიქელ გვაუწყებს, რომ მან ჰპოვა „ენითა ქართულითა და უცვლელად კილიოსაითა და ნიშნისათა განმარტა საგალობელნი“. სჩანს, რომ მიქელზედ ადრე საგალობელი ქართული, ბერძული და მეხური უკვე არსებობდნენ და მან მხოლოდ განმარტა და „შეჰკრიბა“. მიქელი სცხოვრობდა მეთექვსმეტე საუკუნის გასულს.—ქრისტეშობის საგალობელის ბოლოს მოხსენებულია: დასდებელნი „ქრისტეს შობისანი თქმულნი ღმერთ-შემოსილის იოვანე მტბევარ ეპისკოპოზისა“. ეს იოვანე ხშირად არის ხელნაწერში მოხსენებული. მისი სურათი და ბასილი კესარიელისა დახატულია 119 გვერდზედ. ამ მტბევარს იოვანეს შეუდგენია რამდენიმე თავი, რომელიც მიქელს შეუტანია თავის საგალობელში. მტბევარი მისი წყაროა და

თანამოზიარე. ამის მონაწილეობა გაგვიმარტავს მიქელის სიტყვებს, რომლითაც იგი გვამცნევს, რომ მას „თავით თვისით შეუტარებია, განუწყესებია და უმჯობეს უყვია“. იოანე მტბევარი შესანიშნი მწერალია მეთე საუკუნეში თვით იმის ნაწერი მოყვანილია სვანურს ხელნაწერში: ქრისტე, შეიწყალე ამის წიგნის მომგებელნი მამთალი მტბევარი იოანე და მამაი თეოდორე. იოვანე თეოდორეს შვილი იყო, დ. ბაქრაძის აზრით, და მოღვაწეობდა დავით დიდის კუროპალატის დროს. მტბევარი ეწოდა მას ტბეთის სახელით, სადაც გადაწერილია სახარება მეთე საუკუნისა (495 წ.).

ნიმუშად საგალობელთა ენისა მეთე საუკუნისა შეიძლება მოვიყვანოთ იოანე მტბევარის ნაწერიდგან შემდეგი: „იხარებენ დღეს ცანი ცათანი, იხარებდით ცანი და იშვებდით ქვეყანაი და ზღვაი, მკვდართა თვისთა თანა. დღეს ღირსად, ბეთლემ, განემზადე და შეიმკე, ქვაბო. და შე აწ, ბაგაო, შეიწყნარე ნათელი ზეცით, რამეთუ აჩრდილი განქარდა, ღმერთი რაი კაც იქმნა ჩვენთვის“. იოანე მტბევარის გარდა ხელნაწერში მოხსენებულნი არიან წმ. ეფთვიმე მთაწმინდელი და სტეფანე ჭყონდიდელი.

ეფთვიმე და ჭყონდიდელი სხვა ხელნაწერებშიაც (წერაკითხვის საზოგადოება. № 427) იხსენიებიან ერთად. აქ მოყვანილია ეფთვიმეს დაწერილი კითხვა-მიგება, წარმოგზავნილი ათონით საქართველოდ და აქამდის დაცული ივერიის მონასტერში, რომელიც ჩვენ გადმოგვწერეთ 1902 წ. ეფთვიმე პასუხს იძლევა უკანონო, აპოკრიფული წიგნების შესახებ ქართულს ენაზედ: „ევსევი პამფილისა წიგნი არს, მრავალთა რათმე საქმეთა და თხრობათა წარმოიტყვის თვითო სახითა, რამეთუ მრავლითა ფილოსოფოსობითა დაწერილ არს იგი და წულაღებანი მრავალნი ჩაურთავენ მასვე და ამისთვის არა შეიწყნარებს ეკლესია. იგი ქართულად ვისმე უთარგმნია და უწინარეს მრავლისა ჟამისა, სიცოცხლესა ნეტარის მამისა იოანესსა, მოეწერა ქართლით სტეფანე ეპისკოპოსსა ჭყონდი-

დისასა და ეკითხა, ვითარმედ შესაწყნარებელ არსა კითხვაი ამის ანუ თუ არა. ხოლო ჩვენ მიუწყებრეთ მას: ვითარმედ არა შესაწყნარებელ არს, გარნა კარგნიცა საქმენი მრავალნი ჰსწერიან და ღვარძლნიცა წვალებისათანა შთაუთესავს და მით უხმარ არს იგი“. ეფთვიმემ მეთე საუკუნეში არც კი იცის, ვის უთარგმნია ევსევი პამფილისა თხზულება, რადგან იგი გადმოჟულიათ ქართულად ბევრად ადრე მ. იოანეს მოღვაწეობაზედ ათონს. ჩვენ უკვე მოვიხსენეთ თავის ადგილს, რა აპოკრიფები იყვნენ გადმოქართულებულნი და ეფთვიმეს მიერ აღკრძალულნი. იმათ უნდა დავუმატოთ, რომ ჩვენმა მწერლობამ იცის კიდევ ორი ეკლესიიდან გადევნილი წიგნი: ცხოვრება ნებროთისა და ენოქისა. ნებროთის წიგნი იხსენიება მირიან მეფის დროსვე. ეს ფაქტები მოწმობენ, რომ ჩვენი მწერლობა სასულიერო მიმართულებისა უკვე აღფრთოვანებული იყო მე-IX საუკ. მწერალთა სახელებს მოუღწევია ჩვენამდე მრავალს, თუმცა მათი ნაწერები დროთა განმავლობას შთაუნთქავს. იოვანე მტბევარის გარდა, დარჩენილა სახელი მტბევარი იოანესი, რომელმაც დასწერა ცხოვრება წმ. გობრონისა ბრძანებითა აშოტ ერისთავთ-ერისთავისა. გობრონი იწამა მეთე საუკუნის დამდეგს.

საქართველოს მდგომარეობა მმ-X—XII საუკ.

საქართველოს ისტორია იწყება უძველესი დროიდან: ქრისტეს დაბადებამდის ქართველთა ერი უკვე სცხოვრობდა კულტურულად, იღვა განათლების გზაზედ და იღებდა მონაწილეობას საკაცობრიო ისტორიაში. ბერძენთა და რომაელთა მწერალნი იცნობენ ივერიელებს, მესხებს (მოსხებს), ლაზებს, სვანებს, ერთის სიტყვით სხვა-და-სხვა ნაწილს ქართველთა ტომისას. საქართველოში არსებობს მდიდარი ქალაქები (ტფილისი, ქუთაისი, შორაპანი, სურამი): აქ დასახლებული ერი იღებს მონაწილეობას აღმოსავლეთ-დასავ-

ლეთთან აღებ-მიცემობაში. ქრისტეს დაბადებამდე უკვე დამყარებულია პოლიტიკური ორგანიზაცია. ქვეყანას განაგებს მეფე, რომელსაც პატივს სცემენ უცხოელთა ერთა წარმომადგენელნი. ქრისტიანობის გავრცელება დახრის საქართველოს კულტურას საბერძნეთისკენ, რომელიც გახდება მოქიშპედ აღმოსავლეთისა—სპარსეთის სახელმწიფოს გავლენისა. ქრისტიანობის დამყარება შეჰქმნის პირველს საისტორიო ნაწერებს, მოჰქვენს შუქს განათლებისას, შემოსავს მთა-ბარს საუცხოვო ძეგლებით—ტაძრებით და მონასტრებით, მხატვრობა და ქანდაკება მიიღებს ქრისტიანულს ელფერს. მეთე საუკუნეში უკვე ამშვენებენ საქართველოს მიდამოებს ისეთი დიდებულნი ნაშთნი საქრისტიანო ხუროთ-მოძღვრებისა, როგორიც არიან ქუთაისში ბაგრატის ტაძარი, ზარზმის მონასტერი ახალციხის მაზრაში, ეკლესიანი ახტალას, ნიკორწმინდას. შემდეგ ამათ გემოზედ და არა ნაკლებ ხელოვნურად აღმართავენ გელათის ტაძარს. მარტვილს, ატენს, ახტალას. მხატვრობა მიადწევს უმაღლესს წერტილამდის გელათის სახარების მინიატურების დაფერადებაში, სვანეთის ეკლესიების დასურათებაში, ფრინველებით და ფოთლებით შემკობაში მრავალ ხელნაწერთა, ჩვენამდის მოხწეულთა.

საქართველოს განათლებამ მტკიცე ფეხი მოიკიდა სწორედ ამ მე-X—XII საუკ. ეს ხანა იყო ბაგრატიონთა დინასტიის გაძლიერებისა. პირველი ბაგრატიდი, გურამი, ავიდა ტახტზედ 975 წ. ეს ის ხანა იყო, როცა საქართველოს დაჩემების გულისთვის სპარსეთს და საბერძნეთს გაცხარებული ომი ჰქონდათ. ამ არეულობას დაერთო არაბების შემოსევა და საქართველოს მათ მიერ დაპყრობა. არტანუჯში, აქარაში და ტაოში ქართველმა მეფეებმა შეინარჩუნეს ხელმწიფება, მაგრამ ტიტული კი დაჰკარგეს: ივინი ამ დროს იწოდებიან მამფალად, ერისთავად, ერისთავთ-ერისთავად. აბხაზეთი და კახეთი გადგნენ, საქართველო დანაწილდა. ამიტომ აშოტ დიდმა (781—828) დაიწყო დაკუწული ქვეყნის

გაერთიანება. მან დაამარცხა კახეთის მფლობელი გრიგოლი და საქართველო შებოჭა კლარჯეთიდან ვიდრე ქსანამდე და ქ. ბარდამდე. ამის შეიღმა განაგრძო საქართველოს გაძლიერება და ერთიანობის დამყარება: ამან დაიპყრო აბხაზეთი და გადევნა იქაური მეფე თევდოსე. ადარნასეს დროს, მეათე საუკუნის დამდეგს, საქართველოს ისეთი ძალა და გავლენა აქვს, რომ, კონსტანტინე პორფიროგენის სიტყვით, იგა ეცილება ბიზანტიას და ცდილობს დაიჭიროს ერზერუმიც. არაბთა მწერალი მასსული ასახელებს „დიდს საქრისტიანო სახელმწიფოს ჯურჯებისას“ (ქართველებისას) სუმბატ მეფის დროს (123—958). მეათე საუკუნის გასულს, 980 წ. აბხაზეთი და საქართველო შეერთდებიან და ტახტზედ აღის ბაგრატ, რომელიც იშვილა მეფე დავით კუროპალატმა (+1001 წ.). ეს დრო ის შესანიშნი მომენთია, როცა საქართველომ დაიხსნა საბერძნეთი ბარდა სკლეროსის აჯანყებისაგან.

ბაგრატ მესამემ დაიწყო ბრწყინვალე პერიოდი საქართველოს გაერთიანებულს ცხოვრებაში. სელჯუკების შემოსევა ჩვენს ქვეყანაში აფერხებს მის მშვიდობიანად განათლებას და წინმსვლელობას. დავით აღმაშენებლის მხნობით მუსულმანთა უღელი მოისპო და საქართველო მეთორმეტე საუკუნის დამდეგს წარმოადგენს ძლიერს სახელმწიფოს მთელს კავკასიაში და მცირე აზიაში. მსოფლიო ისტორიაში შესდგა ქართველმა ერმა ფეხი და დასავლეთ ევროპასთან ერთად აღიჭურვება ქრისტეს საფლავის დასახსნელად. დავით აღმაშენებლის დროს გამარჯვებული საქართველო შეუდგება შინაური ცხოვრების გაწმენდას და მოქალაქობრივი ცხოვრების მოწყობას. „განავსო და აღაშენა ყოველი ოხერ-ქმნილი, და გარდაემატა ყოველთა ჟამთა მშვიდობითა და სიმდიდრითა სამეფო ჩვენი, ნაცვლად გარდასრულთა ოხრებათასა“, ამბობს დავით აღმაშენებლის ბიოგრაფი. დავით აღმაშენებლის დროს გაიხსნა საქართველოში სასწავლებლები, რომელთა

შორის სახელი მოიპოვა იყალთოს სკოლამ არსენ მთავარ-
ეპისკოპოსის ხელმძღვანელობით. დავითმა დააწესა ყოველ
წლივ ორმოც-ორმოცი ყმაწვილის საბერძნეთში გაგზავნა
განათლების დასამთავრებლად. ეკლესიები და მონასტრები
შეამკო, ათონის, სირიის და იერუსალიმის სავანეები შესა-
წირავებით გაამდიდრა. დაშორებული სოფლები გზა-ტყე-
ცილით დაახლოვა, დანგრეული ციხე-ქალაქნი განაახლა,
დამტვრეული ხიდები შეასწორა. შექმნა წესიერი მმართვე-
ლობა ადმინისტრატიული და კანონიერი სამართალი. პატი-
ვისცემა უცხოთა, შეწყნარება მუსულმანთა და სომეხთა სარ-
წმუნოებისა ახასიათებს ამ ძლიერ-მოსილს მეფეს განათლე-
ბულ და ქეშმარიტ სახელმწიფო კაცად. დავითი გადაიცვალა
53 წლისა (1125 წ.). ეკლესიამ იგი წმინდანად იცნო, ისტო-
რიამ მას უწოდა სახელი აღმაშენებელისა, ხალხმა დაიმარხა
გულში უკვდავი საქმე დიდებული მეფისა.

დავით მეფე დასაფლავებულია მისგან აგებულს გე-
ლათის ეკლესიაში, სამხრეთის შემოსავალის კარის ბქეს
ქვეშ. შემდეგ გადმოასვენეს მისი გვამი და საკრებულო ტაძრის
ტრაპეზის ქვეშ დაკრძალეს. ლოდზედ შემდეგი იამბაკოა
ამოჭრილი ხუცური ასოებით: ოდეს მე ნაქარმაგევს შეიდთა
მეფეთა მასპანძელ ვექმენ, თურქნი, სპარსნი, არაბნი საზღვარ-
თაგან სამეფოსისა ჩემისა ვიოტე. გადავსხე თევზნი მდინარე-
თაგან ამერისათა მდინარეთა იმერისათა, ყოველი ესე აღვა-
სრულე, გულხელ ვიკრიფე.

დავითმა სიყვარული მოიპოვა მუსულმანთა შორისაც.
მათ მეჩეთში დაიარებოდა სალოცავად, ყურანის კითხვას
ისმენდა, აძლევდა შემწეობას მათ პოეტებს და მქადაგებლებს.
იგი ისეთს პატივს სცემდა მუსულმანთ, რომ თვით მუსულ-
მანთა მეფენიც ვერ შეედრებოდნენ. აგრეთვე ექცეოდა
სომეხთა ეკლესიას. მათ მღვდელთაგან ლოცვა-კურთხევას არ
უარყოფდა.

პოლიტიკურად გაძლიერებამ და ამისთანა მეფის მოღვა-

წეობამ გამოიღო თავის ნაყოფი. საქართველომ მოიხვეჭა სახელი გარეშე და აყვავდა შინაურს საქმეებში. მწერლობამ მიიღო მრავალ-ფეროვანი ხასიათი. სასულიერო თხზულებათა გარდა, მწერლებმა მოჰკიდეს ხელი სხვაგვარ საშუალებასაც საქართველოს ცხოვრების წინ წასაწევად. ამ დროს (X—XII საუკ.) ეკუთვნის პირველი ისტორიული ნაშთნი, იურიდიული სიგელ-გუჯრები, ფილოსოფიური განმარტებანი. თვით დავით მეფე იღებს მონაწილეობას მწერლობაში და თავისუფალ დროს სამეფო საქმეთა შემდეგ ანდომებს წიგნების კითხვას: „შემდგომად სერობისა ნაცვლად ძილისა ანუ სხვისა რაისამე საქმისა, კვლად კითხვა წიგნთა“ არ მოსწყინდება. ლაშქრობის დროსაც მისთვის მოუწყენელი შრომა იყო წიგნთა კითხვა.

მეფე დავით აღმაშენებლის სალიბრატიურო მოღვაწეობა.

დავით მეფემ (1089—1125 წ.) სახელი მოიხვეჭა, როგორც თავის ძლევა-მოსილი გამარჯვებით აურიცხველ მტრებზედ, აგრეთვე ღვთისნიერი ზნეობით, ნამდვილი ნიჭით და სამწერლო ასპარეზზედ მოღვაწეობით. წრფელი სარწმუნოება, ანკარასავით წმინდა გრძნობა და პოეტური აღმაფრენა თანახმად და ნაზად შექსოვილია მისს „სინანულის გალობაში“. საღმთო წერილში გაწვრთნილი მეფე, ფსალმუნთა და სოლომონის ნაწერთა საფუძვლიანი მცოდნე, ამღვრეული გულის მალამოდ და აღშფოთებული სულის დასამშვიდებლად მოსთქვამს გალობას, აღმართავს თავის ქნარს ღვთისადმი და გამოსთხოვს სიმდაბლით, და მოკრძალებით შეწყალებას და შენდობას. „წამის ყოფითა, ღმერთო, ბუნებანი მდინარენი ზღუდედ აღამალნენ და მას შინა განიყვანე ერი ისრაელთა ხმელად და გიგალობდეს გალობასა ძლევისა (ჩაერთვის: მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე); რომლისა წინაშე ქედ-

დადრეკილ არს ყოველი, მუხლი მოდრკების და ენა ყოველი შენსა ხმობს აღსარებასა: მეცა, სიტყვაო, აღმსარებელსა მომხედენ!“ ეს პირველი გალობაა მეფისა, ამ მოკლე სძლის პირში ისეთი მდიდარი ნაკადულია ფილოსოფიური აზროვნობის და რელიგიური რწმენისა, რომ, სითამამე არ იქნება, მას შეგვიძლიან გვერდით ამოვუყენოთ ფსალმუნნი დავითისი: „კიდიდგან ქვეყანისათ შენდამი ღალად-ვჰყავ, მოწყინებასა გულისა ჩემისასა; კლდესა ზედა აღმამალღე მე, მიძლოდ მე“. დავით აღმაშენებელი უწოდებს ღმერთს „სიტყვად (ბერძნულად „ლოგოს“), როგორც იოანეს სახარებაშია ნათქვამი: „პირველიდგან იყო სიტყვა“ (=ღმერთი). განსწავლული მეფე აღნუსხავს საქმეთა ბილწთა ბადეს, ძველს აღთქმაში მოხსენებულთა: მეგვიპტური გულმძიმობა, ქანანელთ ჩვეულებანი, მსხვერპლთანაშობთა ზმნა (კერპთ-მსახურება) და მისნობა, ასურისტანული თაყვანის მცემლობა ზენაისა მოძრაობისა, ელლინთა ვერცნობა სიბრძნეთა ღვთისათა და სიბილწეთა დასათრგუნად მოევლინა ქვეყანას ქრისტე, „ღმერთი მამაკაცებრ მომქმედი, რათა ღვთაებრ იხსნიდეს ბრალთაგან“. აღსავსე ცოდვით, მეფე მოითხოვს კვლავ შენდობას: „სჯულნი დავთრგუნე წიგნისა და ახალი ბუნებითურთ და კვალად სჯულსა შენისა მოწამე, სჯული გონებისა, ცოდვისა და ხორცთასა სჯულს დავამონე“. ჩვენი მეფე მოიგონებს სოლომონის ღიდებას და ამაოებას: „სოლომონისსა წურბლისა ვერ მადლარი. სხვათა სოფლისა კიდეთა ვეძიებ და დასაპყრობელად ჩემისამდე უძღებებისა და გულისთქმისა“... „ვეცხლი, ვითარცა მიწა და ოქრო, ვითარცა თიხა უბნისა ვიუნჯენ და თაყვანის ვეც ანგარებისა მამონას, ვითარცა იგი ძველთა მათ ბაალს, ასტარტეს და ქამიოსს საძაგელს“... „ცრემლნი ქვრივთანი და ობოლთა ბრგვინალი ტირილი არა შევიწყალენ, არცა განუხვევენ ნაწლევნი მოქენეთა, უფროსლა შენ ქრისტესა, რომელი იზრდები მცირედითა ზრდითა მათითა“. მეფე აღიარებს ამ თავისს ცოდვებს,

სახარების სჯულის დარღვევას, მცნებათა გარდასვლას და ქედმოდრეკილი სთხოვს უფალს შეწყალებას. გრძნობიერი სიტყვებით ათავენს დავითი თავისს მიწყალებს: „მარტო სრულო სამშუო, ერთ-ცისკროვნებაო, განმინათლე მხედველობა სულისა, რათა გიხილო ნათლითა უფლისათა, სულითა ღვთისათა ძე გამოგვიბრწყინვო მაშინ დაუსრულებელთა საუკუნეთა. დასაბამი სიბრძნისა— შიში უფლისა, ვითარ გვასწავებს დავით მეფე და წინასწარმეტყველი და ილოცავს ამას ისაია წინასწარმეტყველი: უფალო, ღმერთო ჩემო, ვისირცხვი და მეკლმების აღებად პირისა ჩემისა შენდამი, რამეთუ უსჯულოებანი ჩემნი განმრავლდენ თავთა ზედა ჩემთა და ცოდვანი ჩემნი აღორძინდა ვიდრე ცადმდე“. გამომეტყველი საღმთო წერილის ენა და გულსავსებითი რელიგიური რწმენა ჰფენენ ამ ტკბილს გალობას ნაზს შუქს კვშმარტი ღირიკური ქმნილებისას.

მეფე დავითს გარდა ამ გალობისა ეკუთვნის „ანდერძი“, რომელიც მან დასწერა „ღღეთა შინა სიკვდილისა და სოფლით განსვლისა მისისათა“. ეს ანდერძი ერთის მხრით შეიცავს სინანულის აღსარებას და მეორე მხრით სამეფო განკარგულებას ტახტის და მემკვიდრის შესახებ. მიჰმართავს რა მეფე კათოლიკოსს, ერისთავთა და ყოველთა შეწყალებულთა მოიგონებს, რამდენი მოყვარე იყო იგი დიდებისა და მეფობისა, არ მოიხსენებდა ღღესა განსვლისასა, ვერ უძლო თავის ნებით საწუთოს დატოვება, ვიდრე თვით საწუთომ არ დაუტევა იგი და არ განიყვანა წინაშე მსაჯულისა. ამ სინანულს მოსდევს მადლობა ღვთისადმი, რომელმაც მრავალი წყალობა მიანიჭა, მოსცა შვილი დიმიტრი, „უმჯობესი ჩემსა სიბრძნითა და სიმხნითა“. ამ სიმდაბლით თავის დაფასებას მეფე წარმძღვარებს მსაჯულის წინაშე, მემკვიდრეს და შვილს დიმიტრის ჩააბარებს თავის ღვაწლით „მოგებულს“ სამეფოს ნიკოფსიიდამ და რუბანდის ზღვამდე და ოვსეთიდგან სოვრადმრე და არეგანამდე. მემკვიდრეს უანდერძებს, რათა მან

იზრუნოს მთელს სამეფო სახელზედ: მას მიანდოა შვილნი და დედოფალნი. ძმა თვისი უნდა აღზარდოს და „თუ ინებოს ღმერთმან და კარგ იყოს შემდგომად მისსა მეფე ჰყოს მამულსა ზედა და დათა მისთა პატივი სცეს, ვითარ შვილთა ჩემთა საყვარელთა“. ამ დარიგებას მოჰყვება განაწილება მეფის ნიეთებისა. დიმიტრის უანდერძებს ძელს ცხოვრებისას, დროშას, სამეფო აბჯარს და საქურკლეს, დრაკანნი კოსტანტინესი ცვატას დაუტოვა, თვალ-მარგალიტი ხახულის ღვთისმშობელს შესწირა, დუკატი და ბოტენატი (ოქროები) ატენის საქურკლეს. დიმიტრის სთხოვს მოძღვარი მისი, არსენი, არ დასტოვოს უყურადღებოდ და ალოცვინოს იგი მის სულისთვის. ბოლოს მწუხარებას აცხადებს, რომ „სამარხავი მონასტერი საქვალე, შვილთა ჩემთა დარჩა დაუსრულგბელი, წამყვა მისთვის ტკივილი სამარადისო“. დიმიტრის მიანდობს ამის დასრულებას „სალოცავად ჩემთვის და მომავალთა ჩემთათვის“. მონასტრის უზრუნველ-საყოფელად დავითი ავალებს შვილს, რომ რაც მას მიუცია, ნურას მოაკლებს; ადგილნი, რომელნიც უმკვიდრონი არიან, მოახმარონ მონასტერს თანახმად გამორჩევისა არსენი ბერისა და კათოლიკოზისა. ეს ყოველი ნაბოძები უნდა დამტკიცდეს სიგელითა. ასე სწერს მეფე საქმიანს ქალალდს, წინდახედულად განაწესებს სამეფოს. ეკლესიას, ოჯახს და თვის კერძო ქონების განაწილებას. „გალობანი“ მოწმობენ მის პოეტური ნიჭის სიმდიდრეს და ანდერძი მის სახელმწიფო უნარს, პოლიტიკურს გამჭკრი-ახობას.

მეფე დავით აღმაშენებელმა მიიღო მონაწილეობა ერთი ძეგლის შექმნაშიაც. ეს არის რუის-ურბნისის სიკვლეისი კრების დადგენილება. კრება მოიწვია თვით მეფემ ეკლესიის საქმეების გასაწმენდად და მოსარიგებლად. კრება მოხდა 1103 წ. ძეგლი ამ კრებისა პირველი იურიდიული ნაშთია ჩვენს მწერლობაში. ამ ძეგლში გამოისახა პირველი ნაბიჯი ქართველთა კანონმდებლობისა. ძეგლი სურათია საქართვე-

ლოს ზნეობრივი და რელიგიური მდგომარეობისა მეთორმეტე საუკუნის დასაწყისს. აქ გამოარკვეულია, რა ღონისძიება უნდა იქმნას მიღებული საზოგადოების აღსამაღლებლად და მანკ-ბიწიერების აღმოსაფხვრელად. მეფე მოიწვევს სამღვდელოებას, როგორც ერის ზნეობის დამამყარებელს წოდებას, ათავისუფლებს სხვა-და-სხვა სახელმწიფო გარდასახადისაგან საეკლესიო მამულს და მასზედ დასახლებულს გლეხობას.

ქ ე გ ლ ის წ ე რ ა .

დადგინებანი რუის-ურბნისის კრებისა აღნიშნულია შემდეგი სათაურით: ძეგლის წერა წმიდისა და ღვთივ შეკრებილისა კრებისა, რომელი შემოკრბა ბრძანებითა კეთილად მსახურისა და ღვთივ დაცულისა მეფისა ჩვენისა დავით, აფხაზთა და ქართველთა, ჰრანთა და კახთა მეფე, პირთათვის რომელი ქვემო მოხსენებულ არიან“. კრების თავმჯდომარედ იყო კათალიკოზი იოანე, რომელსაც თან ახლდნენ გამოჩენილნი სასულიერო პირნი, მათ შორის გიორგი ჭყონდიდელი, მწიგნობართ-უზუცესი, კაცი სრული ყოველითა სიკეთითა“, ჩვენი მატთანის მოწმობით, და არსენი იყალთოელი, აღმწერი „შეკრებილი კრების ძეგლისა“. კრებას დაესწრნენ ღვთის მოყვარე ეპისკოპოსნი, პატრიოსანნი მღვდელნი, ღირსნი დიაკონნი, მონაზონნი, მეუღაბნოენი, დაუღებულნი და ერისკაცნი. კეთილ-მსახური მეფეც თვალყურს ადევნიდა კრების მოქმედებას. შედეგი ამ მრავალრიცხოვანი კრებისა შეადგენს „ძეგლს“, დაყოფილს 15 მუხლად.

„ძეგლი“ თავდაპირველად მიჰმართავს ღმერთს ხილულის და არა ხილულისა არა არსისაგან არსებად მომყვანებელს, თანაარსს ღვთისა მამისა სიტყვას, რომელმაც ხორცი შეიმოსა ქვეყნად. განიხილავს მოკლედ ქრისტეს სწავლის გავრცელებას. ძემ ღვთისა წარავლინა მოციქულნი საქადაგებლად

სახარებისა. „ანდრია პირველ-წოდებული მოიწია ჩვენადმდე და ურიცხვი სიმრავლენი ერისანი განაშორნა საცთურისაგან მრჩობლ ეშმაკეულისაგან“. ამ ლეგენდარულ ცნობას ანდრიას მოღვაწეობაზედ „ყოველსა ქვეყანასა საქართველოსასა“ მოაბანს მაცხოვრის რჯულის ქადაგებას ჩვენში „დედაკაცის ვისმე მიერ ტუვე ქმნილისა, რომელსა იგი ნუნნაი კაპპადოკიელად“... იმ დროს, ოდეს საბერძნეთში კონსტანტინე შეფობს. მირიან მეფე გამოითხოვს მისგან ევსტათის, დიდი საყდრის მპყრობელს ანტიოქელთა ეკლესიისას, ნათელს იღებს მცხეთას და საფუძველს დასდებს აქ ეკლესიას. სხარტულად ჩამოსთვლის შვიდი მსოფლიო კრებების დადგენილებას (ნიკეას, კონსტანტინოპოლს, ხალკიდონს) კონსტანტინე, მარკიანე, იუსტინიანე მეფეთა დროს და სავალდებულოდ მიიჩნევს ამ კრებათა კანონებს ყოველთ ქრისტიანეთათვის. ამ კრებათა შემდეგ დაწესდა ჩვეულება „ჟამად-ჟამადნი კრებანი ღვთივ მოყვარეთა ეპისკოპოსთა და ღვთის სათნო მამათა“ რჯულის კანონთა განსახილველად და ცხოვრებაში განსახორციელებლად.

მეფე დავითმა ამ მიზნით მოიწვია კრება, რათა დროთა განმავლობით შერყეული რჯულის კანონი აღადგინოს და ბიწიერება ეკლესიიდან გადაეხრას. რუის-ურბნისის კრებას დაევალა საერთო ეკლესიის მდგომარეობის განხილვა და არა კერძო რაიმე საგნის განმარტება, როგორც, მაგალითად, ბრძოლა ხატის თაყვანის-მცემელთა მოწინააღმდეგე დასთან. შესაძლოა, რომ ამ კრებას პოლიტიკური მიზანიც ჰქონოდა და მიმართული იყო ფეოდალებთა თავ-გასულობის მოსაკვეცად, მათი მამულის სახელმწიფოდ გადაქმნად. მაგრამ თავი-და-თავი მიზეზი ამ კრებისა ეკლესიის მოწესრიგება იყო. დავით აღმაშენებლის დროს საეპისკოპოზო კათედრები დაქერილი იყო სხვა-და-სხვა ძლიერი და დიდებული ფეოდალების მიერ, რომელნიც მღვდლებად აყენებდნენ თან-მსგავსს „მოლებს“. მეფემ მოინდომა სასულიერო საქმეთა წარ-

მოება ჩაებარებინა ღირსეული წოდებისთვის. გავრცელებული იყო იმ დროს შავენე ჩვეულება, რომლის წყალობით საეკლესიო თანამდებობანი საფასით, სყიდვით და გასყიდვით გადადიოდა ერთის პირისაგან მეორე ხელში, აზხრებდნენ, ვითარცა ავაზაკნი მდიდარს სამონასტრო მამულებს, მეფეთა და კეთილ-მორწმუნეთა შეწირულებს. ეკლესიის გამგეობას დაეტყო უწესობა, უთავობა; მორჩილება და სიამაყე გამეფებული იყო. კრებამ ამ შერყეულს ეკლესიის მდგომარეობას მიაქცია ყურადღება და გამოუძებნა სამკურნალო მალამო.

კრებამ პირველად გადააყენა, განკვეთა ეპისკოპოსნი „ვერ ღირსებით შემოსრულნი პატივს მღვდელ-მთავრობისასა და მათ მაგივრად დაადგინეს კეთილად გაწვრთნილი, ღირსეულნი ჰასაკისა და საქმეთა მსგავსად (მუხლი პირველი). ეს დადგინება იმათ წინააღმდეგ იყო მიმართული, რომელნიც უწლოვანო ღიდებულთ ჰნიშნავდნენ ეპისკოპოსებად. ამით ღიდებულთ მოესპოთ საშუალება საეკლესიო კათედრა თავიანთ გვარში მემკვიდრეობით გადაეცათ და სამონასტრო მამულის ბატონობა შეენარჩუნებინათ. ამიერიდგან ძეგლი განაწესებს კანონს, რომლის მიხედვით ეპისკოპოსად კურთხევა შეიძლება არა უადრეს 35 წლისა, მღვდლად 30 წ. დიაკნად 25 წ., წიგნის მკითხველად 8 წლისა. უკანონოდ აღიარა წესი ერთს დღეს ხელდასხმისა წიგნის მკითხველისა დიაკონად, მღვდლად ანუ ეპისკოპოზად. ამ წესით ხელ-დასხმულნი განიკვეთებიან. საჭიროა დრო თვითოეულს ხარისხში მსახურებისა და ღირსეული თვისებით აღკურვა (მუხლი მეორე). წესი ხელ-დასხმისა დაწერილია გიორგი მთაწმინდელის მიერ და ამით უნდა იხელმძღვანელოს ეკლესიამ (მუხლი მესამე). კრებამ სასტიკად აღკრძალა ქრთამის და საფასის მიღება ხელ-დასხმულთაგან, შეაჩვენებს ქრთამის და ძღვენის მიღებას „პირველ ხელ-დასხმისა, ხელ-დასხმასა შინა და შემდგომად ხელ-დასხმისა“ (მუხლი მეოთხე). ეკლესიის ქურჭელნი,

ბარძიმ-ფეშხუმი, შეწირული ოქრო, ვერცხლი, თვალი, ნაქსოვი, ძელი, სინი და სხვა არ გამოეწირების ეკლესიას და არ ჯერ არს მის ხმარება „ტყვეთა სახსრად“ ანუ „თვინიერ მისსა ვითარ იგი განწესებულ არს“. ვინც იკადრებს ამის დარღვევას, მას მოელის ცეცხლი საუკუნე, ეშმაკათაგან განმზადებული (მუხლი მეხუთე). მხოლოდ ეკლესიაში შეიძლება ნათლის-ცემა და გვირგვინის კურთხევა (მუხლი მეექვსე). აკრძალა ჩვილთა გვირგვინის კურთხევა და დაადგინა, რომ ქალმა 12 წ. აღრე არ იქორწინოს (მუხლი მეშვიდე). კათოლიკოსად, ეპისკოპოსად, ქორ-ეპისკოპოსად უნდა ყოფილიყვნენ საღმრთო წერილის მკოდნენი და საქრისტიანო წესთა დამცველნი (მუხლი მერვე). დაგმო წესად შემოღებული ჩვეულება ერთს მონასტერში რამდენიმე მოძღვრის—რვა, ათის, ოც-და-ათის—დაყენება, რადგან ეს გარემოება იწვევს შფოთს და განხეთქილებას. კრებამ საკმარისად სცნო დიდს მონასტერში ორი მოძღვრის დანიშვნა და მკირე მონასტერში ერთისა (მუხლი მეცხრე). შერისხავს მონასტერში სავაქრო კრების გახსნასა და „ქვაბ ავაზაკთა შექმნასა“ (მუხლი მეთათე). კრებამ აღიარა, რომ ერთს საკურთხეველს მასვე და ერთსა წინადაგებასა ზედა წმიდისა შესაწირავისა, მრავალთა მღვდელთა მიერ ქმნაი წმიდის ჟამის წირვისაი უწყესო არს... ერთისა სულისათვის ეგვტერთა საღმე შინა ანუ შტოთა ეკლესიისათა ჯერ არს თვითეულისა ხუცესისაგან ჟამის წირვაი (მუხლი მეთერთმეტე). ხაჩაკართა (სომეხთა) შესახებ, რომელნი ერთ-ბუნებიან წვალებას შეუერთდნენ, დაადგინა კრებამ, რომ მათ „ნათელს-სცემენ სრულიად ვითარცა წარმართს“ (მუხლი მეთორმეტე). კრება განკანონებას უქადის მართლმადიდებელს. რომელიც მწვალებელს შეერთავს (მუხლი მეცამეტე). ქორწილი არს საიდუმლოება და არა ლიტონად კაცთაგან ქმნილი და დაგმო ცოდვა სოდომელთა, რომელი „შეთვისა უბადრუქსა ამა ნათესავსა“. აგრეთვე მტერობანი, შურნი, სიძულილნი, კაცის კვლანი, მრუშებანი, ცრუ

ფიცი, კერპთ-მსახურებაი. ეს ზნეობითი ნაკლულევეანებანი მოწმობენ, რა გავლენა იქონია უცხოთა ტომთა მფლობელობამ საქართველოში. ძეგლის დება დიდსა და პატარას აფრთხილებს მეტადრე „ბილწისა მის სოლომელთა ცოდვისაგან“. ბოლოს გაკვრით დაგმობილნი არიან ხატისა ღვთისა არა თაყვანის მცემელნი.

„ძეგლის დება“ საეკლესიო წეს-წყობილების დამყარებისათვის სარგებლობს მსოფლიო კრებათ დადგინებით. ადგილობრივი ელფერი ამ ნაშთს ეტყობა სიბილწეთა და ნაკლთა აღნუსხვაში. ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა ძეგლის დება ნაციონალურია, საშუალება ეკლესიის და ერის აღსადგენად უცხოეთიდგან შემოტანილი — ბერძენთა კანონმდებლობაა.

ა რ ს ე ნ ი ი ძ ა ლ თ ო ე ლ ი .

მეთორმეტე საუკუნის პირველს ნახევარს ეკუთვნის სალიტერატურო მოღვაწეობა არსენი იყალთოელისა. განსვენებული ბატონიშვილი თეიმურაზი ამას მიაწერს ქებას, მიძღვნილს მეფე დავით აღმაშენებელისადმი. ეს „ქება“ არ უნახავს ბროსსეს, თუმცა არსენს იცნობს, როგორც გამოჩენილს პირს საეკლესიო საქმეებში. ქება „მეფესა დავითს მონაზონი არსენი“ დაჰბეჭდა მ. საბინინმა „საქართველოს სამოთხეში“. ამ მოთხრობაში არსენი ქებას შეასხამს მეფე დავითს და შეადარებს მას სხვა-და-სხვა გამოჩენილთ მეფეთა და ცის მანათობელთა. შედარებას სხვა-და-სხვა სურნელოვან ხესთან ანუ ტკბილეულობასთან აზის ბეჭედი სქოლასტიური ქმნილებისა. არსენი ასე განადიდებს მეფეს: „ჰაეროვან ხარ, ვითარცა სამყაროი ხილულისა სოფლისა შორის, საჩინო, ვითარცა მზე ვარსკვლავთა შორის, ბრწყინვალე, ვითარცა ეთერი ნივთთა შორის, ნათლის ფერ, ვითარცა ელვაი ღრუბელთა შორის, ცისკროვან, ვითარცა აღმოსავალ კერძოთა შორის, ტბილ, ვითარცა არე ჟამთა შორის, მშვენიერ, ვი-

თარცა ვარდი ყვავილთა შორის, ძლიერ, ვითარცა ლომი მხეტთა შორის, მტკიცე, ვითარცა ანდამატი განუკვეთელთა შორის“. ამგვარ შედარებას ბერი მოაყოლებს მსგავსების გამოძებნას დავითს და ძველთ გმირთა შორის: „განთქმული, ვითარცა ნებროთ, ახოვან, ვითარცა ისო წინ მბრძოლთა შორის, მხნე, ვითარცა სამსონ, უბრძოლველ, ვითარცა აქილევ ელიინთა შორის, ბრძენ, ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის, მშვიდ, ვითარცა დავით ცხებულთა შორის“. ეს შეთანხმება ქართველი მეფის ღირსებათა ისტორიაში ცნობილთ პირთ თვისებებთან საყურადღებოა იმ მხრით, რომ მაშინდელი საქართველოს განათლების სურათს გვიხატავს. ჩამოთვლილი სახელები მოწმობენ, რომ იგინი ცნობილი იყვნენ; მწერალი მათ არ განმარტავს, და ეს ნიშანია იმისი, რომ სასწავლებლებში და საზოგადოებაში შეთვისებული აქვთ ასურეთის, საბერძნეთის და ებრაელების ისტორია. განაგრძობს რა არსენი თვისს მეფისადმი შესხმას, მოიხსენებს კიდევ სახელ-განთქმულს მოღვაწეებს მსოფლიო ისტორიაში. დავით მეფეს შეადარებს ალექსანდრე მაკედონელს, განდიდებით აგვისტოს კესართა შორის, ქრისტიანობისადმი ერთგულობით კონსტანტინეს, კეთილ-მსახურებით თეოდოსის. არ შედრკება ავტორი მეფე ქრისტეს მოციქულებსაც დაადაროს.

დასასრულ ამა შესხმისა არსენი ბერი მრავალქამიერს უგალობს მეფე დავითს: „კეთილად მსახურისა და ღვთივ დაცულისა მეფისა ჩვენისა აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა. თვით პყრობელისა მრავალმცა არნ წელნი“. მრავალწელს უსურვებს აგრეთვე დედოფალს მარიამ მონაზონს, კათალიკოსს იოანეს, სულიერს მამას ევსტრატის, მწიგნობარს გიორგის და ყოველთა მართლ-მადიდებელთა, ხოლო განსვენებულთ მეფეთა, კათალიკოსთა, ევთიმი და გიორგი მთაწმინდელთ, ნეტართ მამათა საუკუნო ხსენება. ამ შესხმის გარდა არსენის უნდა ეკუთვნოდეს „მოთხრობა მიზეზთა, რომელთა გამო განძღვნი სომეხნი მართლ-მადიდებლობისა სარ-

წმუნობებისაგან“. არსენიმ აღწერა „ძეგლის წერა“ რუის-ურბნისის კრებისა. ბროსსემ ამას მიაწერა „მამათა ცხოვრების“ შევსება და შეკრება. არსენიმ ისარგებლა ზეპირ-გადმონაცემით და ამ წყაროს დახმარებით გადააკეთა მამათა ცხოვრება და მათ შორის წმ. ნინოს ცხოვრებაც. „მამათა ცხოვრებას“ ჩვენამდე მოუღწევია რამდენსამე კრებულად. უფრო ცნობილი არიან შიო-მღვიმის და დავით-გარეჯის ხელნაწერი. მესამე კრებული დაცულია მოსკოვს. მამათა ცხოვრებაში გარდა ათ-სამეტთა წმიდათა მოქალაქობისა (იოანე ზედაზნელი, აბიბოს ნეკრესელი, ესტატე მცხეთელი) მოქცეულია ცხოვრება დავით და კონსტანტინე მთავართა არგვეთისათა, მეფისა არჩილისა, მოწამეთა ბიძინა, შალვა და ელისბარისა, ქეთევან დედოფლისა, გობრონ მიხეილისა და სხვათა.

ს ა ი ს ტ ო რ ი ო ნ ა წ ე რ ე ბ ი.

საისტორიო ნაწერებს მეთორმეტე საუკუნის გასულამდე ბევრს არ მოუწევია ჩვენამდე. ქართულს ქრონიკას სომხურად ნათარგმნს 1125 წ. უკვე ეწოდება „ქართლის ცხოვრება“. ეს ქრონიკა იგივე „ქართლის ცხოვრებაა“ იმ დაზატებათა გამოკლებით, რომელნიც შემდეგ სხვა წყაროებიდან შეიტანეს ჩვენს მატთანში. ამ ქრონიკაზედ ადრე ისტორიული ცნობანი მეექვსე საუკუნიდგან მეთერთმეტე საუკუნემდე, ესე იგი ბაგრატ IV-მდე (1027—1072), შეუკრებია სუმბატს, ერისთავთ-ერისთავს, დავით მამფალის შვილს. ამ სუმბატს აღწერია „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, ჩვენ ქართველთა მეფეთასა, თუ სადით მოიწევნეს ამას ქვეყანასა იგინი, ანუ რომელით ჟამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა“. ქრონიკა იწყება ადამიდგან („ადამ შვა სეთ, სეთ შვა ენოს.“) და მოაღწევს რა სოლომონ მეფემდე, გადმოგვცემს, რომ მან შვა „შვილნი ძმანი“. — „ოთხნი ძმანი მათნი მოვიდეს ქართლს. ხოლო ერთი მათგანი, სახელით

გვარამ, განაჩინეს ერისთავად და ესე ქართლისა ბაგრატიონიანნი შეილის-შეილნი და ნათესავენი არიან მის გვარამისანი“... გვარამს „მოსცა მეფემან ბერძენთამან პატივად კურატპალატობა და ამან დადვა საფუძველი ჯვარისა ეკლესიისა, რომელ არს მცხეთად“. შემდგომ გვარამისა ერისთავობდა ძე მისი სტეფანოზ. ამას მოყვებიან გვარამ, ვარაზბაკურ და სხვანი, ჩამოთვლილნი ქრონიკაში მოკლე ისტორიული განხილვით მათი მოღვაწეობისა ვიდრე ბაგრატ მე-IV. ეს ქრონიკა გახდა წყაროდ „ქართლის ცხოვრებისა“. მეორე უძველესი წყარო „ქართლის ცხოვრებისა“ არის „ქართლის მოქცევა“ რომელიც მოქცეულია შატბერდის კრებულში. ეს კრებული გადაწერილია მეთათე საუკუნეში. თვით „მოქცევა“ უფრო აღრინდელს დროს უნდა ეკუთვნოდეს. „მოქცევა“ მოგვითხრობს მეცხრე საუკუნემდე, მაგრამ უძველესი მისი ნაწილი უნდა შედგენილიყოს მერვე საუკუნეში. „მოქცევაში“ მოხსენებულია ქალაქი ბაღდადი („ბაღდადი აგარიანთა დაიპყრესო“), რომლის აღშენებას შეუდგნენ 762 წ., მაშასადამე „მოქცევა“ ამ წლის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. „მოქცევა“ იწყობს მოთხრობას ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლიდგან კავკასიაში, ჩამოთვლილნი არიან ქართველნი მეფენი (აზოი, არან, ფარნაეაზ, — ფარნაეაზ მხოლოდ მესამე მეფეა და არა პირველი, როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს) ორიოდე სიტყვითი დახასიათებით და შემდეგ მეთის ყურადღებით აღწერილია წმ. ნინოს ქადაგება საქართველოში. თავდება მოთხრობა ადარნასის, აშოტ კუროპალატის და გვარამის სახელებით. „მოქცევა“ მეთათე საუკუნის ძეგლია, სუმბატის ქრონიკა მეთერთმეტე საუკუნისა, ქართული ქრონიკა, სომხურად ნათარგმნი მე-XII საუკ. გარდა ამ საისტორიო წყაროებისა, რომელთაც შემთხვევით მოაღწიეს ჩვენამდე, „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენებულნი არიან ისტორია ჯვანშერისა, რომელმაც აღწერა საქართველოს თავდადასავალი ვახტანგ გორგასლანის (446—499) დროიდ-

გან მეფე იოანემდე (713—786). მეორე კიდევ ჩვენამდის ვერ მოღწეული ისტორიული ნაწერი ეკუთვნის ლეონტი მროველს: რომელმაც აღწერა არჩილის წამება.

ისტორიულ წყაროებად გამოდგებიან სიგელ-გუჯრები მეთერთმეტე საუკუნიდგან მოყოლებული. წმიდათა ცხოვრება საქართველოს ეკლესიისა აგრეთვე შეიცავს მრავალ ცნობებს საისტორიო ხასიათისას. ჩვენ უკვე განვიხილეთ წმ. აბოლ ცხოვრება, მთაწმინდელთა ბერთა მოღვაწეობა და იქ აღვნიშნეთ საისტორიო მხარეც ამ აგიოგრაფიული ნაწერებისა.

ისტორიული ნაწერების გარჩევა შეადგენს ს:აგანს ისტორიკოსისას და არა ლიტერატურის ისტორიის დამწერისას. ამიტომ ჩვენ შევეხებით ისტორიულს ნაშთებს იმდენად, რამდენადაც იგი საინტერესოა სალიტერატურო მხრით. „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილი მიაღწევს გიორგი ბრწყინვალის მეფობამდე (+1348). ამ ნაწილში მოქცეულია ის ისტორიული თხზულებანი, რომელნიც ზემოთ დავასახელეთ. მათ გარდა „ქართლის ცხოვრებაში“ ვპოულობთ კვალს სკანდალური ზოგადი ისტორიკოსის ნიბურის შემდეგ დამტკიცებულ საბუთად დარჩა, რომ ყოველი პირვანდელი ისტორია ძველთ ხალხთა აწმენებულია საერო ნაწარმოების საფუძველზედ. ისტორია ქართველი ერისა იკარგება ძნელად გამოსარკვეველს წყვილიადში. როცა ბაგრატიონთა გამეფების შემდეგ ნაციონალურმა თვით-მცნობელობამ გაიღვიძა, მაშინ დაიბადა სურვილიც ქართლის დასაწყისის გაცნობისა. ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მიიშველეს მეზობელთა ცნობანი წარსულის შესახებ და მეორე მხრით თვით ერის მახოვრობა. ერს ბუნდად ახსოვს თავის ჩამომავლობა. პირად გადმოცემული ამბები ანუ ტრადიციები წინაპართ გმირულის მოქმედებისა, გამშვენებულნი და ჩამატებულნი, გადადის ერთის თაობიდგან მეორემდის, საშვილი-შვილოდ. პირველ ისტორიკოსთა ერისას ხშირად სჯერათ რომ

პირად გარდმოცემული ამბავი უეჭველი სიმართლეა და ამიტომ მოწიწებით ეკიდებიან ამ ტრადიციებს. საერო ელემენტი: მითები, ლეგენდები, ლექსები შეტანილია ქართლის ცხოვრებაში“. მამათ-მთავარი ქართველთა ერისა არის ქართლოსი. გენეალოგია ანუ გვარ-ტომობის ხე ქართლოსიანთა გამოგონილია ქრისტიანობის გავლენით და სურვილით ქართველთა და სომეხთა შთამომავლობა დაუახლოვონ „დაბადების“ გარდმოცემას. მოსე ქორენელი უკავშირებს ნოეს თარასით, „ქართლის ცხოვრება“ თარშისით (იგივე თარასია). ქორენელი სწერს: „იაფეტმა ჰჳვა გომერი, გომერმა თარასი, თარასმა თორგომი, თორგომმა ჰაიკი“... „ქართლის ცხოვრება“ ამბობს: „თარგამოს, მამა სომეხთა და ქართველთა, იყო ძე თარშისა, ძისა ავანანისა, ძისა ნოესი“. ეს ფუჭი ვარჯიში დაკავშირებისა ქართველ-სომეხთა „დაბადებასთან“ ერის განსაღიღებლად გამოგონილია ქრისტიანობის მიღების შემდეგ. ეს სურვილი იყო ბერებისა და ერს მისი გულისთქმით ამაში წილი არ უძევს. მხოლოდ წარმოდგენა ქართლოსზედ, როგორც გმირზედ, ხალხის ქმნილების ნაყოფია. მამაცი და უშიშარი გმირი ქართლოსი ჩრდილში აყენებს თავის ძმებს და მათ შორის ჰაოსსაცა როგორც გადმოგვეცემს მოსკოვერი ვარიანტი „ქართლის ცხოვრებისა“. დაბეჭდილი ჩვენი მათიანე შეცვლილია უკვე მოხსენებული სომხურად ნათარგმნის ქართული ქრონიკის წყალობით. რაც ქართლოსზედ არის ნათქვამი რუმინაცოვის (მოსკოვის) ვარიანტში, იგი გადაუტანია სომხურად ნათარგმნს 1225 წ. ქართულს ქრონიკას ჰაოსზედ და შემდეგ აკად. ბროსესს მოუქცევია დაბეჭდილს „ქართლის ცხოვრებაში“. „ქართლოს იყო ყოველთა ზედა უხუცეს და უმთავრეს და ასრეთ პატივს სცემდნენ ყოველნი ძმანი მისნი, ვითარცა მფლობელსა თვისსა. ამ განდიდებაში გმირის ქართლოსისა და მის ძლიერი ომების აღწერაში იხატება ერის თვით-ცნობიერება. რა თქმა უნდა, ქართლოსი არ ყოფილა ქვეყნად, იგი გამოგონილია ერის ფანტაზიისა. სწორედ ეს

მითი ქართლოსის შესახებ შეადგენს იმ ერის ნაწარმოებს, რომელსაც ეწოდება ეტიოლოგიური მითი. ეტიოლოგიურს მითს ეძახიან ისეთს გარდმოცემას, რომელიც სცდილობს ახსნას მიზეზი რომლისამე წესისა, სახელწოდება ადგილისა, მოტივი ზნე-ჩვეულებისა. ხალხმა იცის რომელიმე გეოგრაფიული ადგილი და იმის გამჩენ-დამბადებელს თითონ ჰპოულობს. ჩვენმა ერმა იცის სახელი ქართლი და წარმოდგენილი აქვს, რომ ქართლის დამაარსებელი იყო სულიერი არსება ქართლოსი. აი როგორ მოხდა ქართლოსის შექმნა. ქართლოსმა კი არ უწოდა თავისი სახელი ქართლს; არა, „ქართლმა“ გამოიწვია ეპონიმის, იმის აღმშენებელის არსებობა.—ერმა იცოდა უხსოვართა დროთაგან არსებობა ბარდავის ქალაქისა. იმ ფანტაზიამ ამ ქალაქს მისცა თავისი აღმშენებელი სახელად, ბარდოს, ძმა ქართლოსისა, შვილი თარგამოსისა. ერმა გააპიროვნა დამაარსებელი ქალაქი მოვაკანისა და მიაწერა მის აღმშენება ქართლოსის მეორე ძმას მოვაკანს. ამ გვარადვე შექმნა ერმა გამშენებლები ერეთის, ეგრისის, ლეკეთის და გააპიროვნა იგინი ჰეროსის, ეგროსის და ლეკოსის სახით. ამათი მოღვაწეობა შეადგენს უძველეს ხანას ქართლის ცხოვრებაში. მეორე ხანა მცხეთოსის და მის ძმის მოქმედებაა. ქართლოსს ჰყავდა ხუთი შვილი: მცხეთოს, გარდაბანოს, კახოს, კუხოს, გაჩიოს. ხალხმა აჩუქა ეს შვილები ქართლოსს იმიტომ, რომ გეოგრაფიამ მოინდომა თავისი ახსნა. ქალაქი მცხეთა არსებობდა და ერმა წარმოიდგინა იმისი დამაარსებელი მიზეზიც: მცხეთა მცხეთოსმა ააშენა. ქართლოსს, ხუთი შვილის პატრონს, ხალხის მოსაზრებამ მეუღლეც მისცა: ცოლმა მისმა ააშენა დედა-ციხე. ვის უნდა აეშენებინა, ერის ფანტაზიით, დედა-ციხე, თუ არა დედას, ქალს. კახოსმა და კუხოსმა გააშენეს თავიანთი ნაწილი და თავისის პიროვნების გასამტკიცებლად დაარქვეს თავიანთი სახელი კახეთი და კუხეთი. გაჩიანი გააშენა ქართლოსის შვილმა გაჩიოსმა. რომ არ ყოფილიყვნენ კახეთი,

კუხეთი, გაჩიანი, საჭიროც არ იქნებოდა ერის ფანტაზიას შეექმნა კახოს, კუხოს და გაჩიოს. სურვილი ერისა, რათა ახსნას მიზეზი და დაუკავშიროს არსებული მხარეები და ქალაქები იმათს აღმშენებლებს, ჰბადავს პირვანდელს გენეალოგიას ჩვენი ხალხის მართებლობისას. აქ მუშაობს ქართველთა ერის გონება და დაკვირვება, აქ ვხედავთ ხალხის ფანტაზიას და არა არაკს, მოგონილს უცხო ტომის წარმომადგენლის მიერ. ეს ნაწილი „ქართლის ცხოვრებისა“ საკმარისად ებრძვის პროფ. პატკანოვის აზრს, რომ ჩვენი მათიანე შეადგინა „სომხის ცოტა-ოდნად განათლებულმა ბერმა“, ეტიოლოგიური ახსნა საქართველოს ნაწილებისა და ქალაქებისა ეკუთვნის თვით ერს და არა უცხოელის ფანტაზიას. ერს ბუნდად ახსოვს, რომ უძველესი მხარე საქართველოსი იყო ქართლი და ამისი გაშენება მიაწერა უფროსს ძმას; ერს ახსოვს, რომ მცხეთა არის უძველესი ქალაქი და მისი აღშენება მიაწერა უფროსს შვილს ქართლოსისა—მცხეთოსს. პირველს ჩვენს მათიანის დამწერს დაუცვამს ეს გულწრფელი მოსაზრება ერის ფანტაზიისა.

„ქართლის ცხოვრებას“ წყაროდ აქვს ძველი ლექსებიც. იგი ასახელებს „მგოსანთ“, რომელთა ნათქვამიც შეუქსოვია სხვა გადმონაცემთან. ფარსმან ქველი მოკლულ იქმნა ლალათით და ამიტომ იგი გახდა საგნად გლოვისა მგოსანთა მიერ, რომელთა გოდება ჩაწერილია მათიანეში: „ვაი ჩვენდა, რამეთუ მოგვიძინა სვემან ბოროტმან და მეფე ჩვენი, რომლისაგან ხსნილ ვიყვენით მონებისაგან მტერთასა, მოიკლა კაცთა მგრძნებელთაგან და აწ მივეცით ჩვენ წარტყვენვად ნათესავთა უცხოთა“. მემათიანე უმატებს, რომ მგოსანნი „ქალაქთა და დაბნებთა“ ახსენებდნენ „სიმხნესა და სიქველესა, სიშვენთერესა და სახიერებასა ფარსმან ქველისასა“ (ქარ. ცხ. I, გვ. 53). ეს გლოვა პროზად გადაღებულია, თუმცა შინაარსი ხელუხლებლივ დატოვებულია. საპოლიტიკო წიტი „ქართლის ცხოვრებაში“ შეეხება ბრძოლას ქართველთა

ნებროთთან, ხაზარებთან, სპარსელებთან. შინაური ცხოვრე-
ბილგან მატიანეს იგონებს იმ დროს, როცა ერი თემ-თემად
სცხოვრობდნენ, ჰყავდათ თავიანთი უფროსები -- მამასახლი-
სები. რელიგიის შესახებ გვაუწყებს, რომ უძველესად „უფ-
როსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისა“. ამ გვარად
ჩვენი ისტორიული წყაროები არ უარყოფენ ერის ნაწარ-
მოებს და მათ საფუძველზედ აშენებენ უძველეს დროთა
ცხოვრების სურათს.

თ ა მ ა რ მ ე ზ ი ს ე კ ო ჭ ა .

საუკეთესო ხანა საქართველოს ცხოვრებაში გაგრძელდა
ორი საუკუნე ბაგრატ მესამედგან (+1014) ვიდრე თამარ
მეფის მიცვალებამდე (+1212). თამარ მეფე ასული იყო
მეფე გიორგი მე-III-ისა. „ქართლის ცხოვრებამ“ თამარისთანა
დიდებული მეფე სხვა არ იცის. მისი მოქმედების და ცხოვ-
რების აღწერა შეუსვენებელი ქება-ხოტბაა. ამირ-სპასალა-
რი ჭიაბერის გუჯარში თამარი მოიხსენება „ღვთის სწო-
რად, მეფეთ-მეფედ“. ამ ბრწყინვალე ადამიანის სახელი
აქამდის უკვდავია ხალხის მეხსიერებაში. რვა საუკუნეა
თამარის სურათს და მოქმედებას მოხვეული აქვს აღტა-
ცების შუქი და პოეტური ლეგენდები. ერის წარმოდგენამ
დიდი მეფე (და არა მეფა, ანუ დედოფალი) გადააქცია
ნახევარ მითიურ არსებად. მიაწერა მას წარმართული ღვთაე-
ბის თვისებანი, აღიყვანა უმანკო ქრისტიანე ქალწულის
ხარისხამდის. იგი შერიცხა წმინდანად და ამასთანავე მკურ-
ნალად სხვა-და-სხვა სენთა და ქირთაგან. მთელი კავკასია
ლაღადებს მის დიდებულს მოღვაწეობაზედ. მან დაიმო-
წონა გული უცხოელთ და ქართველთ ტომთა. ოსი, ჩაჩა-
ნი, ლეკი, აბხაზი, ქისტო, სომეხი, თათარი მოგვითხრობს
ლექსად და პროზად ურიცხვს ამბავს თამარის ძლევა მო-
სილს ლაშქრობაზედ, ქებას შეასხამენ მის ღვთიურს სილაქ

ნახეს, აღიდებენ მის უღვეველს გულუხვობას და მოწყალებას. სვანეთში, ფშავ-ხევსურეთში თამარს ხალხის წარმოდგენა თავზედ ადგამს ძვირფას გვირგვინს, თვალ-მარგალიტით შექცდილს.

ისტორია და ერის ფანტაზია ერთმანეთს დაეხმარნენ თამარის სურათის შესაქმნელად. ისტორია გვაუწყებს, რომ იგი პირველად მისთხოვდა რუსის თავადს გიორგი ანდრიას ძეს, მაგრამ ეს კავშირი არ იყო ხანგრძლივი, — განქორწილებული გიორგი გაიდევნა კონსტანტინოპოლს, ხოლო თამარმა შეირთო ოსეთის მთავარი დავით სოსლანი, ბაგრატიონთა გვარისა. თამარმა დაიმორჩილა ჯერ კლარჯეთის და სამცხის ერისთავები, რომელნიც მიემხრნენ გადევნილ გიორგის, ანდრიას ძეს, შემდეგ გაება ომში სპარსელებთან და თურქებთან. გადევნა ესენი ყარსიდგან, დაამარცხა ალექპოს სულთანი ნურრედინი, დაიჭირა ტრაპეზონი. გადალახა ოსეთი და დაიმორჩილა მთიულნი. ასე შემოპოქა თითქმის მთელი კავკასია და მცირე აზია, შექმნა ძლიერი სახელმწიფო შინაგან და გავლენიანი გარეგან. ძლიერ-მოსილი თანხარის მოქმედება გაითქვა შორს საქართველოს საზღვარს გარეთ და უცხო ტომთ მებისტორიენი — არაბნი (შინაბედდინ ელკალკაბენი) აქებს ჩვენს „სახელოვანს, მამაცს, სულგრძელს მეფეს. ქრისტიანეთა მფარველს, საწყალოთა შემბრალეებელს“.

პოლიტიკურს გაძლიერებას და მშვიდობიანობის დამყარებას მოჰყვა მწერლობის და ხელოვნობის აყვავება. თამარ მეფის დრო ბრწყინვალე ხანაა ჩვენი ლიტერატურის განვითარებისა. ამ დროისთვის სამწერლო ენა უკვე შემუშავებულიყო ათონელთა მოღვაწეობით და დავით აღმაშენებელის თანამშრომელთა მეცადინეობით. ამ სამზადისმა თამარის დროსთვის ნაყოფიერი ნაყოფი უკვე გამოიღო. შვეთელი და ჩახრუხა, მოსე ხონელი და სარგის თმოგველი, უკვდავი შოთა რუსთველი ამ მეფის კარის მწერალნი არიან, მისი ყურადღებით გამხნეებულნი და დაჯილდოვებულნი. ამ დროს

ლიტერატურა და კულტურა წარმოადგენს ნაციონალური გენიოსობის ქმნილებას. შეთვისებული სპარსეთიდგან და ბიზანტიიდგან განათლება შესისლხორცდნენ ეროვნულს ნიადაგზედ, მიიღეს ადგილობრივი ელფერი, უცხოეთიდგან შემოტანილს გავლენას დაასვეს თავისი პიროვნობის ბეჭედი. ლიტერატურა და ხელოვნობა ამ დროს პირუთენელი სურათია, სადამდის შეეძლო ქართველს ერს თავის კულტურული მისწრაფების განვითარება და რა წერტილამდის ძაღვდვა ნაციონალური თვისებების განხორციელება. ეს იყო „ოქროს დრო“ ქართული მწერლობისა და ცხოვრების აღორძინებისა.

კომედი და მოთხრობები მე-XII საუკ.

1. ა მ ი რ ა ნ - დ ა რ ე ჯ ა ნ ი ა ნ ი .

პირველად თამარ-მეფის დროის მწერალთა შორის უნდა დავასახელოთ მოსე ხონელი და მისი მოთხრობა „ამირან-დარეჯანიანი“. შოთა იგონებს ამ ნაწერს თავის პოემის დასასრულს: „ამირან-დარეჯანიძე მოსეს უქია ხონელსა“. ბიოგრაფიული ცნობანი მოსე ხონელის შესახებ მეტად ნაკლებად დარჩენილა. თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვით იგი იყო მდივანი თამარ მეფის, ჩამომავლობით იმერელი, ძველად გათქმული ქალაქი ხონიდგან. მოსე ხონელი მოწამე იყო საქართველოს პოლიტიკურად გაძლიერებისა, რომელიც დავით აღმაშენებელის დროიდგან დაფოლადდა და გაკაჟდა. თავგანწირული დაცვა თავისუფლებისა, მედგარი ომიანობა, აღტაცებული სიყვარული მამულისადმი მოსე ხონელმა გამოსცადა და განიხილა ცხოვრებაში. ეს დაკვირვებანი და შთაბეჭდილებანი მოახვია ლეგენდარულს გმირს ამირანს, თავადებულს გმირს და პატიოსანს მოღვაწეს. ისტორიულმა ამბებმა გაახსენეს საერო ნაწარმოებით სარგებლობა, რათა

გაელეიძებინა თანამემამულეთა გულში მოწიწება საქართველოს წარსული თავ-გადასავალისადმი. მისი მოთხოვნა მოწმობს, რომ დამწერი განათლებული კაცი ყოფილა, გაწვრთნილი სასულიერო და საერო წიგნებში, ნაწილი სხვა-და-სხვა ქვეყნებში და დაახლოვებული სამეფო სახლთან. მოთხოვნა შესდგება თორმეტი კარიდგან. „ამირან-დარეჯანიანი“ იმ ნაწერთაგანია, სადაც მოსჩანს კვალი აღმოსავლეთის, უკეთესტყვათ სპარსეთის გავლენისა. ეს გავლენა იმაში გამოიხატება, რომ მოთხოვნის გმირები ატარებენ უცხო ტომის სახელებს, მაგრამ ისეთს სახელებს, რომელნიც მოსეზედ ადრე გავრცელდნენ საქართველოში. რამდენიმე ამბავი „ამირან-დარეჯანიანი“ მოხსენებული ზეპირ-თქმულებადაც არის დარჩენილი.

ის და სხვა მრავალი გარემოება არ გვაძლევს ნებას დავეთანხმოთ იმ პირთ, რომელნიც მოსეს ნაწერს სთვლიან ნათარგმნ თხზულებად. „ამირან-დარეჯანიანი“ სპარსელიაო ჩამომავლობით, სცხოვრობს ბაღდადის კარის ახლოს, მუსულმანთა მბრძანებელის მფარველობის ქვეშე. მეორე გმირი ამ მოთხოვნისა სეფედავლე დარისპანიძეც სპარსელიაო, ამბობს იგივე ნ. მარჩი. ეს ორი გმირი ძალღონით სძლევენ არაბებს, აბისინელებს, იემენელებს, ჩინელებს, ხაზარებს, რადგან მოთხოვნას მიზნად აქვს ჩაუნერგოს მკითხველს პატივისცემა სპარსელი გმირებისადმი, ამიტომ ექვი არ არის, რომ „ამირან-დარეჯანიანი“ დაწერილია სპარსელთა სადიდებლად. შემდეგ ეს სპარსული მოთხოვნა გადმოითარგმნა ქართულადო. „ამირან-დარეჯანიანი“ არ არსებობს სპარსულს ენაზედ და ეს გარემოება გვაფრთხილებს ვეძიოთ გზა შედარებისა ქართული ნაწერისა არ არსებულს ორიგინალთან. თვით მოთხოვნაში არა სჩანს კვალი, რომელს ერს ეკუთვნის ამირანი და სეფედავლე დარისპანიძე, თუმცა დანარჩენ გმირთა შესახებ მოთხოვნა გვაუწყებს, რა ჩამომავლობისანი და სადაურები არიან იგინი. ის საშუალება,

რომელიც იხმარა ნ. მარტმა ამირანის და სეფედავლის ჩამო-
მავლობის აღმოსაჩენად, შესაწყნარებელი არ არის, რადგან
მეტად ხელოვნური და თვით ნებობითი ხასიათის არის. სეფე-
დავლე დარისპანიძე და ამირან-დარეჯანიძე არაბულ-სპარსუ-
ლი სიტყვების ფესვიდგან შესდებიანო. სეფედავლე დარის-
პანიძე უნდა განაწილდეს ამ გვარად: სეფე დავლე დარის-
პან; ამირან-დარეჯანიძე კი ამ სახით განიყოფება: ამირ-
ანდარა ჯან. პირველი ნაწილი ამ ორი სახელისა წარმოად-
გენს არაბულს სიტყვას, რომელიც იხმარება ტიტულად სპარ-
სეთში; მეორე ნაწილი (დარ, ანდარე)—სპარსული თანდე-
ბულია შინა; მესამე ნაწილი წარმოადგენს ხალხურს ფორმას
სიტყვებისას: ისპან=ისპაპან, ჯან=ჯაპან (ქვეყანა). აქედგან
დასკვნის იგი, რომ ეს გმირები სპარსელები არიან ჩამომავ-
ლობით; პირველს ერქვა სეფე, ესე იგი „მახვილი სახელ-
მწიფოსი ისპაპანში“, მეორეს ამირან, ესე იგი „ბძანებელი
ქვეყნისა“. ნაძალადეგობა ამნაირად სახელის ახსნისა საკმა-
რისად სჩანს ერთი ფაქტიდგან: ქართულად ისპაპანის მაგივრად
ისპანს არეინ ხმარობს, მაშასადამე სეფე+დავლე+დარ+ის-
პან—ად დაყოფა სახელის სეფედავლე დარისპანიძე შესაწყ-
ნარებელი არ არის. საერთოთ კი უნდა შევნიშნოთ, რომ
სახელების განხილვა ვერ აგვიხსნის ქეშმარიტებას, ვერ
დაგვარწმუნებს, რომელს ერს ეკუთვნის რომელიმე თხზულებ-
ის შექმნა ამა თუ იმ სახელების მიხედვით. სპარსული
სახელ-წოდებანი უძველესი დროითგან გავრცელდნენ საქარ-
თველოში და საკვირველი არ არის, თუ მწერლობაშიაც
შევხვდებით ამ სახელებს. პუშკინს დაუწერია დრამები, საცა
მოკმედი პირები ატარებენ სახელს დონჟუანს, ალბერტს,
მოცარტს,—ნუ თუ აქედგან უნდა დავსკვნათ, რომ, რაკი
ეს სახელები რუსული არ არიან, მაშასადამე თვით თხზულებ-
ბანიც რუსის მწერლის კალამს არ ეკუთვნიან? გარდა ამისა,
რა საჭიროა სეფედავლე დარისპანიძის ახსნა სპარსული
ლექსიკონის დახმარებით, როცა სიტყვა სუფე (სეფე წული,

ბატონიშვილი) ძველის-ძველია! სახელი დარისპანი აქამდის გავრცელებულია იმერეთში, საიდგანაც იყო თვით მოსე ხონელი. რაც შეეხება ამირანის სახელის განმარტებას ფესვიდან ამირი (= ბძანებელი ქვეყნისა), შეუწყნარებელია ესეც იმიტომ, რომ ამირანი მხოლოდ კარის კაცი იყო ბაღდადის ბძანებელთან.

აგრეთვე ცალმხრივ შეხედა „ამირან-დარეჯანიანის“ გმირებს ა. გრენმა. ამ ორიენტალისტმა სახელები სავარსამიძე და დარეჯანიძე განმარტა ისე, ვითომც სავარსამიძე ნიშნავს შვილს სავარსამისას, დარეჯანიძე—შვილს დარეჯანისას და აქამდის იარა, რომ ნესტან-დარეჯანიც კი ახსნა თავისებურად: ნესტან ასული დარეჯანისა. ნ. მარრი ამ სახელს ჰკითხულობს ფორმით ნესტან-დარეჯანს, როგორც ამირანს—ამირ ანდარე ჯანს. ეს ორნი მეძიებელნი ვერ შეთანხმებულან სახელების განმარტვაში. პირველმა (ა. გრენმა) გვარი მამის სახელად გადააქცია, მეორემ ძალდატანებით სპარსულ-არაბული ფესვი აღმოაჩინა გმირების სახელებში. აგრეთვე სხვა სახელწოდებანიც—ბადრი (შეადარე ქართული სიტყვა ბადრი მთვარე), უსუპი (კამა) ადვილად ასახსნელია ქართული ლექსიკონის დახმარებით, მიუმართავად სპარსულ-არაბული სიტყვებისადმი. ერთი გმირის სახელი—მზექაბუკ—ისე ატრიალეს, რომ ამ ქართულს სიტყვაში და სახელწოდებაში, რომელიც მესხებმაც იცოდნენ, მოსძებნეს ქალაქ ხოროსანის გადმოთარგმნა და აღნიშვნა მისი მნიშვნელობისა „აღმომავალი მზე“. ასეთი ძალ-დატანებითი და ყოველს ჭეშმარიტებას მოკლებული განმარტება თვალსაჩინო სახელწოდებისა გამოწვეულია მხოლოდ სურვილით თავიანთი აზრის დამამტკიცებელი საბუთი აღმოაჩინონ იქ, სადაც თვით თხზულება მტკნარად გაჩუმებულა.

„ამირან-დარეჯანიანის“ განხილვა გვარწმუნებს, რომ ეს მოთხრობა წარმოადგენს გადაკვანძულს სხვა-და-სხვა საგმირო არაკთა კრებულს, რომლის დამაკავშირებელი არის

ამირანის სახელი და მოქმედება. ზოგან, მაგალითად, მეექვსე თავში, საცა მოთხრობილია ინდოს და ამბრის ჯმირულს მოქმედებაზედ, ამირანი არაფერს მონაწილეობას არ იღებს, მხოლოდ, გაიგებს-რა მათ მოღვაწეობას, გასწევს არაბეთში, მაგრამ ველარ მიუსწრობს ამბრის და მისი სიკვდილით შეწუხებული დაბრუნდება ბაღდადს. ამირანს ხონელმა გარეგან მოაბა ამბრის და ინდოს გმირობა.

შინაარსის გაცნობა უეჭვოდ ხდის ჩვენთვის იმ მოსაზრებას, რომ ხონელი სარგებლობს სხვა-და-სხვა ზეპირ-თქმულებით, აკოწიწებს მათ ერთმანეთთან და აძლევს ერთიანობის ხასიათს. ამ შემოკრებილი არაკების ძაფი ადვილად შეიძლება გაეჭიმოთ, თუ მივაქცევთ ყურადღებას გმირების სახელებს და სამოქმედო ასპარეზს. ამირან-დარეჯანიანი შესდგება თორმეტი კარისაგან. თითქმის თვითოეული თავი განსაკუთრებულს ამბავს მოგვითხრობს. კარი პირველი: აბესალომ ჰინდოთ მეფის ამბავი. კარი მეორე: ბადრი იამანის ძის ამბავი. კარი მესამე: ომი ბადრი იამანის ძისა და ბუნბერაზის არზამანაკისა. კარი მეოთხე: ნოსარ ნისრელის ამბავი. კარი მეხუთე: ამირან-დარეჯანის ძის ამბავი. კარი მეექვსე: ამბრი არაბის ამბავი. კარი მეშვიდე: ინდო ქაბუკისაგან იამანთა ქვეყანას შესვლა. კარი მერვე: მნათობთა ამბავი. კარი მერვე: თილისმათ ამბავი. კარი მეცხრე: სეფედავლე დარისპანისძის ამბავი. კარი მეათე: მზის ქაბუკის ამბავი. კარი მეთერთმეტე: სახლთა ძებნისა ამბავი. კარი მეთორმეტე: ამირან დარეჯანის ძისაგან ბაღხეთ შესვლისა და ბაღხამ-ყამის ძისა ამბავი. ზოგს ხელნაწერში დართულია მეცამეტე კარიც: ჯიმშერის შვილის არმოკლა მზექაბუკის ამბავი. შემდეგ განვიხილავთ ორს თავს კიდევ, რომელიც ზოგიერთს ხელნაწერს დართული აქვს.

ამ სათაურების ჩამოთვლა ც საკმარისია, რომ „ამირან-დარეჯანიანი“ ვიცნოთ სხვა-და-სხვა „ქაბუკთა“ საარაკო მოქმედების კრებულად. აქ მოქმედობენ: ბადრი იამანიძე (იემენიდ-

გან), ალი-დილაში (დილამელი), ამბრო-არაბი, ინდო-ჭაბუკი. გარდა ამათი „ამირან-დარეჯანიანში“ შეხვდებით ნოსარ ნისრელს (ეგვიპტელს), ასტრაბიძეს (ასტრაბადელს), ლამარ ლაზნელს, ხეასრო ხაზარს, სინთა მეფის შვილს, ბოსორ ბასრელს და სხვ. ეს ხალხის სახელწოდებანი და გეოგრაფიული ნაწილები გვიჩვენებენ საარაკო შინაარსს „ამირან-დარეჯანიანისას და ანაწილებენ მას ეპიზოდებად, რომელნიც ზეპირ-თქმულებით საქართველოში, შეიძლება ზოგან წერიითი საშეაღებით შეეთვისებინოს მოსე ხონელს.

„ამირან-დარეჯანიანი“ იწყობა შემდეგი სიტყვებით: „იყო ინდოეთს მეფე აბესალომ, მორკმული, განგებიანი და არა იყო შეპირვება გულსა მისსა... ორშაფათს, სამშაფათს, ოთხშაფათს ათას-ათასნი დიდებულნი ნადიმსა ზედა უხმის და გასცემდის საბოძვარსა... ხუთშაფათსა, პარასკევს და შაფათს ნადირობდის და განისვენებდის, კვირასა დღესა დაჯდის და სამეფოსა საქმესა განაგებდის“. ერთხელ სანადიროდ წავიდნენ და ერთმა დიდებულმა ნახა ქურციკი, რომელსაც „ესხნეს რქანი ოქროს ფერნი, თვალი და ქლიკნი შავნი, მუცელი თეთრი და ზურგი წითელი“. მნახებმა ეს მეფეს მოახსენა. გამოუდგნენ ამ ქურციკს, დიდი ხნის სიარულის შემდეგ ერთს „უკაცურს ადგილას“ ნახეს სახლი. აქ მათ თვალ-წინ გამოუჩნდნენ „ჭაბუკნი დაწერილნი სამნი და მათ შუა სახე ქალისა, რომე კაცისა თვალს ეგეთნი არა რა უნახავს“. ერთი დიდი კაცი იყო, შვენიერი ჭაბუკი, ჯაჭვი ტანსა ეცვა, ხმალი ხელთა ჰქონდა. ზედან ესრედ ეწერა: ვითა მე ამირან დარეჯანისძე, ყმა ჩემი სავარსამიძე, ბადრი იამანისძე, ყმა მისი ინდო-ჭაბუკი, ნოსარ ნისრელი და ყმა მისი ალი-დალაში, ოდეს ქაჯნი დავხოცენით და ზღვათა მეფის ასული გამოვიყვანეთ, ამას ადგილსა მოვედით და ყოველი არაბეთი ზედან მოგვიხდა... მოიხედეს მარცხენასა მხარესა და იგი სამნი ჭაბუკნი, ყმანი მათნი ეწერნეს“. დალონდა მეფე, მოინდომა ამ უცნობთ ჭაბუკთა ამბავის გა-

გება. ჯაზიარ-ვეზირის რჩევით გაგზავნეს აქეთ-იქით კაცები. ორი ამათგან მოალწევს ბალდადს და ერთი მოხუცებულისაგან შეიტყობენ, რომ ამირანის ყმა სავარსამიძე ცოცხალია და იგი უამბობს ჭაბუკთა თავს გადასავალს. მეფე აბესალომს მოახსენებენ ამას და იგი წერილით სთხოვს სავარსამიძეს მოვადეს მის სასახლეში. სავარსამიძე უამბობს მეფეს ამირანის და მისთანა ჭაბუკთა გმირულს მოქმედებას.

სავარსამიძის ნაამბობი შეადგენს თორმეტს კარს „ამირან-დარეჯანიანისას“. თვითოეული ამბავი იწყება ამ სიტყვებით: „დიდო მეფეთა-მეფეო, ცხონდი უკუნისამდე, აღიღნეს ღმერთმან მოყვარენი თქვენნი და არცხვინოს ორგულნი თქვენნი“. მოთხრობა მისი წააგავს დასავლეთ ევროპის გმირულ (რიტ-ტერთა) რომანებს. მომღერლები, ქალის სილამაზისადმი ტრფიალებმა, მამაცური დოლი, თავ-განწირული ომი სატრფოს გულისთვის, აბჯრით შეკაზმული ჭაბუკნი, ეს არის ფორმა როგორც ევროპული რომანებისა, აგრეთვე „ამირან-დარეჯანიანისა“. ბრძოლა ორ მექიშპეთა შორის სწარმოებს დიდებულთა და სატრფოთა თანადასწრებით. აი, მაგალითად: როგორ ასწერს ხონელი მეორე ომს ბადრი იამანისძის და არზამანიკისას:

„დიღასა, ოდეს გამოჩნდა ნათელი მზისა, დაჯდა მეფე და დედოფალი მასვე ადგილსა და დაისვენეს ასული თვისი შუა და მას ასულსა მისსა ემოსა ეღვარე რამე და, ვფიცავ ღმერთსა ცხოველსა, მზე მას ვერა სჯობდა. ეგრეთვე დაისხნეს დიდებულნი და დაიდგეს ნადიმი და მღერდეს მგოსანნი და წარმოდგნენ უოველნი მხედველნი, ბანის-ბან სცემდნენ ბუკსა და დაბდაბსა, ტიროდეს უოველნი მით, რომელ ეგონათ ჯობნა არზამანიკისაგან. გამოვიდა არზამანიკი შეკაზმული და სატკივართა ადგილთა ჰოლექტიკნი კინანი ეკრნეს თვითცა და ცხენსაცა. აგრეთვე გავიდა ბადრი იამანიძე და ესე იყო წესი მისი, რომე სამნი ხმაღნი ეკიდიან. შემოუვლეს ნავარდი, ერთმანერთსა შეუძახნეს, შეუტყეს და შეიბნეს... იყო დიდიდგან ვიდრე

მწესრამდე ომი ფიცხელი და მათის ბუკ-დაბდაბის ცემისკან აღარა ჩავარდებოდა უურთა ხმა“.

თავი გმირი ამ ქაბუკთა შორის არის ამირან-დარეჯანიძე, რომლის მოქმედებაზედ აქამდის ხალხში მრავალი ლექსი და ლეგენდა დარჩენილა. ჩვენ ზემოთ უკვე განვიხილეთ იგინი. ხონელის თხზულებაში ამირანს გარს არტყია საარაკო წრე. მისს გმირობას განცვიფრებაში მოჰყავს სუყველანი, მის სიმამაცეს ვერვინ დასძლევს, გულადობით მას მაგიერი არვინ ჰყავს. იგი ბალდადის ხალიფის მოდარბაზეა, უბრალო აზნაური. სასახლეში მას დიდს პატივს სცემენ, მისი პრავალი და შესანიშნავი თავს-გადასაყალის მოთქმა ატკობს მუსულმანთა მბრძანებელს. ამირანი ერთგულია ამირისა და მისს მზეს ფიცულობს ღვთის სახელთან ერთად. კმაყოფილია მცირედი სარჩოთი და ზომიერი დროს გატარებით. ექვსი მოსამსახურე ჰყავს და მათ შორის სავარსამიძე განუშორებელი თანამგზავრია მის ლაშქრობაში ინდოელებთან. თურქებთან, ხაზარებთან, სინელებთან.

მეორე ქაბუკი, რომლის შესახებ „ამირან-დარეჯანიანი“ დაწვრილებით მოგვითხრობს, არის სეფედავლე დარისპანიძე, ეს ქაბუკი დიდებული მეფის ჩამომავალია.

„მამა სეფედავლესი დარისპან იყო ჭაბუკი ესეთი, რომელ აწ ბერნი და მსსოფნი კაცნი იტყვიან, რომე ამა შვილსა თვისსა სეფედავლეს იგი სჯობდა... მოკვდა იგი მამა სეფედავლის დარისპან მეფე და ესე ძე მისი ცოტა ემა დარჩა. იმომცროვეს მათ გარეკანთა მტკრთა, დაიწუნეს ესე პატრონი ჩვენი, — უამბობენ ამას სეფედავლეს ემანი ომად ამადაძეს, გმირს ამირ მუმლისსა, — შეკრბნეს ლაშქარნი. მოადგნენ და ერთისა დარისპანისა შარისკან კიდე სხვანი ქვეყანანი სრულებით წაჲდეს და იგი დარისპან შარი მისთა გაზრდილთა ემათა შეამაგრეს; იგი ქალაქი დიდი ტურთა იყო და კეკელა (აქედგან ახლანდელი გვარი კეკელიძე). გამოხდა წელნი მრავალნი და ამას შინა მოიწითა სეფედავლე და შემძლებელ იქმნა სეჭაბუკოთა საქმეთა. დღესა ერთსა მივიდა წინაშე დედოფლის დედისა მისისა და ჰკითხა:

ესე ქალაქნი რომე დიდნი და შუენიერნი არიან, ამა ქალაქისა წაღ-
მართ რატომ არა გვაქვს სხვანი ქვეყანანიო. ატირდა გულ-მდუღარედ
დედა მისი დედოფალი და ესე უთხრა

„შვილო ჩემო, დიდნი ქვეყანანი გვქონდა და ქალაქნი მრავალ-
ნი, მაგრამ ოდეს ბნელ იქმნა ჩვენთვის სინათლე მზისა, მოკვდა
მამა შენი, მაშინ მოგვმართეს ძველთა მათ მტერთა და უოველივე
წაგვიღეს“. სეფედავლე აღიჭურვა და ჩქარა დაიბრუნა მამისეული
ქვეყნები და გაითქვა სახელი მისი სიჭაბუკისა. იგი შემოსილია
აბჯრით და ფართთა. ჰხობცავს სპილოებს, როგორც კატებს, რკინის
კარებს ამტრევეს, როგორც სიმინდის ტაროს. ვერც ერთი ჭაბუკი
ვერ უძლებს მას. ჭენტა მეფის ასულის გამოსაყვანად წასული, იგი
მოქმედობს საგრძნეულო ფარგალში და მხოლოდ შაოსნის დიაცისაგან
მიცემული წამალი დაიხსნის მას როგორც ჩვეულებრივ ქართულს
არაკებში. სეფედავლე მიჰმართავს დიაცს შაოსანს სიტყვებით. „შენცა
კეთილად დამხვდი, ჩემო დედაო!“ დიაცი ეტყვის მას, რომ „მელს
და საჭიროს გზას“ დასდგომია ჭაბუკი: „ვინც აქ მოსულან, მშვი-
დობით ვეღარ წასულან“. სეფედავლე დაჰპირდება გაუსწორდეს რა-
ზიმას დევს, რომელმაც ქმარი შაოსანისა და ძმანი მისნი დახოცა,
ხოლო ძენი შისნი წაასხა. სეფედავლე და მისი ამხანაგი მოგზაურობს
გრძნეულთა ქვეყანაში. ჯერ ისეთი სიბნელე მოეხვიათ, რომ ევლი
ვეღარ გაიგნეს. შაოსნის წამალმა გ'სა გაუნათდა. მოჰკვლა საზარი
კაცი და შევიდნენ „მშვენიერს ქვეყანას“, რომელიც „ტურთა წაღ-
კოტს“ წააკვდა. ხილნარი იუფეს უცხონი, წყალნი წყაროთაგან
გამოდიოდნენ, ხენი ფურცელჩრდილოვანნი. მოვიდა მათ წინაშე კა-
ცი, რომელსაც „პირთქრო რიდე თავსა ეხურა“ და მოხათა თვისსა
უბძანა: „მოიღეთ ხილი ამ წაღკოტისათაო“. ოქროს ტაბაკზედ მო-
ართვეს ხილი, რომლის მსგავსი არ ენახათ. „ვუჭამეთ, მაგრამ ამის
მეტე ვერა შევიგნეთ-რა, ძალა-წაგვიდო... სეფედავლეს ვერა ავნო-
რა, რადგანაც ის წამალი, დიაცმან რომ მისცა, ხელთა ჰქონდაო.
მერმე იუივლა მან კაცმა (ოქროს რიდეთი) და დაიწყო ლაშქარმა
ფიცხლად მოდენა“... ათი-ათასი კაცი მოჰკვლა მაშინ სეფედავლემ.
მიადწია ჭენტა მეფის სატახტო ქალაქს, დაამარცხა არაბთა მეფის ძე,

რომელიც მოსულიყო ჭენტა ბატონის ასულის წასაყვანად, მოიტაცა „პირ-მზე“ და გამოაზარა. მაგრამ ჭენტა მეფე ურიცხვი ჯარით დაედგინება, ატუდება დიდი ომი, როსებ ფაღაფანს მარტორქით მოსულს მოჰქვლავს და გამარჯვებული წამოვა. ამ ჭაბუკის ამბავს გაიგებს ამირანი და წამოვა სამრად. ბრძოლა მათი სისტიკი და შეუპოვარაა, მაგრამ გამარჯვება არც ერთს არ შეხვდება, ამიტომ მათ შეარიგებენ.

გრძნეულთა შორის მოქმედობს კიდევ მესამე გმირი „ამირან-დარეჯანიანისა“ — მზე-ქაბუკი. იგი მოჰქვლავს ლომკაცს, რომლის ტანი ლომისაა და სახე კაცისა. ხაზართა მეფის ქალი დასახსნელად წავა და გზაში დახოცავს ლომებზედ მოსეულს კაცებს.

„აწ უფრო საგრძნეულთა ქვეყანასა შევსულიყავით... მოხვდა სახლი მშვენიერი, შევედით მას შიგან და კაცნი არაყინ იყო, — არს ჰური დაგებული და საჭმელი უოველი ფერნი. მსემან-ჭაბუკმან სთქვა: ამ ჰურსა უოლე მე არა ვჭამ, რომ საგრძნეულო არისო. ამასყდან ანაზღათ იგი ფრინველნი მოფრინდნენ, რომელნი მას ტბასა შიგან კაცთა იბანეს და ფრინველად შეიქმნეს, მოვიდნენ, სარკმელნი შემოვლეს და კაცად შეიქნეს. დასხდნენ. ამაღ რომე დახოცასა თურმე იგონებდეს, მაგრამ ჩვენ ყურა გავიგეთარა. თუმცა დაგვეხონა, ზირკულ რომ შემოვიდეს, ჩვენ მშვიდობითა დავრჩებოდით, არც არა ჩვენ უთხართ... მერმე დასხდნენ იგი კაცნი, სჭამდნენ და იცინოდნენ. შემოვიდა კაცი ერთი და გვითხრა: ვითა ისი ჰური თქვეჩნთვინ იყო შეკაზმული, მათ ეშაკათა რათ შეაჭამეთ?“ შეიბნენ დაზარაკში და მოჰქვლეს ის კაცი. „ჩვენ შეგუტივეთ, მათ ფრთანი შეექმნათ, გვკრნეს ფრთენი ჰირსა, წამსავე ცნობა წაგვერთვა“.

ასე უამბობს რაიბი, მზე-ქაბუკის ყმა ამირანს. ამ გვარი გრძნეულებანი გაფანტულია „ამირან-დარეჯანიანში“ და ჩვენნი ხალხის ზეპირ-თქმულებაში. კავშირი საურთიერთო ექვს გარეშეა. მეტადრე ამირანის ამბავი ხონელის მოთხრობაში და საერო პოეზიაში იმდენად წააგავენ ერთმანეთს, რომ მათი განცალკევება შეუძლებელად მიგვაჩნია. ამირანის ომი ბაყბაყღეთან, ჩაყლაპვა დარეჯანიანისა გველემშაპის მიერ, მუცელში

ყოფნის დროს ამირანისაგან წალის ყელიდგან (ანუ ჯიბიდგან) დანის ამოღება და გველეშაპის მუცლის გამოჭრა და გამოხვლა, სამ გველეშაპად გადაქცევა (შავი, თეთრი და წითელი) მოკლული გველისა, მზეთ-უნახავი ქალის ხორეშანას მოძებნა,—ეს და სხვა მრავალი წვრილალი საერთო მხარე აელოვნურთ და ზეპირთ თქმულებათა შორის გვარწმუნებს, რომ მოსე ხონელმა ისარგებლა სახალხო ზღაპრებით, გადააბა იგინი ერთმანეთს და დააკავშირა ამირანის სახელით. რა თქმა უნდა, გრძნეულობანი და ჯადონი, რომელიც ამ მოთხრობაშია, მაგალითად, ტბაში ბანაობა კაცებისა და ლომებად გადაქცევა, ფეხთა წამლის მოსმა და წყალში უვნებლად გახვლა, სპილენძის კაცის ჩარევა ბრძოლაში,—ყველა ეს არ შეადგენს განსაკუთრებით თვისებას მხოლოდ ქართული ზღაპრებისას. ამის მიხედვით არ შეიძლება დავსკვნათ არც ნაციონალური წარმოშობის, არც უცხო ენიდგან გადმოღებული თეორიის შესახებ. ამ გვარი თქმულებანი დადიოდნენ მთელს აღმოსავლეთში და საქართველოში ადვილად გავრცელდებოდნენ ზეპირ-გარდმოცემათა საშუალებით. მოსე ხონელმა ამ ზღაპრებს მისცა გმირული ხასიათი თავის დროის შესაფერად. ქაბუკნი დაწრწიან აბჯრით შეკაზმულნი სატრფოს მოსაძებნად, ანუ მამულის ხსნის და განთავისუფლებისათვის. ამ ორსავე მხარეს თამარ მეფის დროს ჰქონდა რეალური ინტერესი და მაჩვენებელი იყო თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელიც აღბეჭდილი იყო ძლიერ-მოსილი ლაშქრობით.

ამირანის მოქმედება გვაგონებს ბერძენთა გმირის პროკრესტოსის საქციელს. ამირანის შესახებ თქმულებანი ორს ზვეულს წარმოადგენს. პირველი, უძველესი, ასურათებს ამირანს ღმერთთა მოწინააღმდეგედ, როგორც პროკრესტოს ზევსის მოქიშვედ. მეორე ზვეული ამირანს ნაციონალურ გმირად გადააქცევს. იგი იტანჯება, ზეპირ-თქმულების თანხმად, როცა ხედავს საკმელს პურს სისხლში გამოცხობილს.

ამირანი, ხონელის მოთხრობაშიაც, მტერია დევებისა; იგი მუსრს ავლებს კაცის მავნე არსებებს. ამირანი ანდრეობის შემკვიდრეა, როგორც პრომეთეოსი ას-თავიანი ტიფონის შემდეგ გამოჩნდება. მეორე ეპიზოდი „ამირან-დარეჯანიანში“ გვაგონებს სხვა თქმულებას ბერძენთა ცალ-თვალა პოლიფემის შესახებ. ეს პოლიფემი იგივე ოჩო-კოჩია მეგრელთა და როგორც ამირანის, აგრეთვე ცალ-თვალას საქციელი ნათელს ჰფენენ ძველ ელინთა ეპოსს, ჰომეროსის მიერ დაცულს, პრომეთეოსის და პოლიფემის შესახებ. აი როგორ მოგვითხრობს ამას ხონელი:

„ვიარეთ სავი დღე, — ამბობს სავარსამიძე, — დიაცი ვინმე ჯდა და ვინმე ტიროდა. ჩვენ ვკითხეთ, თუ რა გიჭირსო? მან გვითხრა: ჩვენ რჯულისანი ხართო? უთხარიო: იგი ვართო. შერმე თქვა: მო-მაგონდა ბადრი იამანისძე და მისთვის ვტირიო. მაშინ იგინი, ოდეს გრძნებით დეუთა შეიპურეს, მეც წამომიყვანეს და მაშინდელიდგან აქა ვარ და ამ ეშმაკთა შიგან ვიარები. აწ ბრძანეთ და სადილი მიირთვიოთ. ჩვენ მას დღესა ნადირი ვერ შეგვეპურა და მოგვეშუოდა. წაუვდით და წაგვიძღვა წინა იგი დიაცი. მივედით მას კვლისა ძირსა. უგუალო კარი, შეიუფანა ამირან დარეჯანისძე და დიდი ლოდი კარსა ზედან მოაგორვა, შეკრა კარი იგი. თურმე დევი იყო და დავრჩით ჩვენ კარე დიდათ შეჭირვებულნი და თურე რა შანა შევიდა, კაცი ვინმე ჯდა დიდი და შუბლზედ თვალი ედგა და უთხრა: ვაშად. რომე მოხვედ ამირან დარეჯანის ძეო, რა გჯან მოიგონე მოსვლა აქაო. ესე იყვის წესი ამირან-დარეჯანისძისა, რამცა ჭირნი მოსჭირდის, უმეტესად განძლიერდის და თქვა: აბა, ლომთა ლომო, დარეჯანისძეო, და შეუტივის. მას უამს უყივლა, ვაშად გნახეო, მაგრამ შენთვის დია სჯობდა თუმცა არ გენახეო. მივიდა ცოტა ემა, ერთი ძე მისი და მისცა ედგა შუბლსა ზედან თვალი და ეგრე თქვა: ვიცი, რომე ამა ემასა მოჰკვდავ, ქვე დამიდევ და თვით მე მომაკვლევიეო. ჩვენ ვსდგევართ კართა ზედან და არა გვაქვს ღონე შესვლისა. ამა-ზედ ამირან-დარეჯანისძემან სტაცა ფეხსა მის ცოტა ემისა და მამასა მისსა ზირსა შესტეორცნა და ზედან შეაკლა. შერმე ახლტა იგი დე-

ვი, შეიბნეს; ხელ-და-ხელ აიღო ზე ამირან-დარეჯანისძემან, დასცა ქვეყანასა ზედან და იგი თვალი შუბლისა დაშნით წააგდებინა და შერბე უეიფლა მან დევმან: ვითა ნულარ მომეღაჲ, ჭახუკობასა შენსა ახატიეო... ამირანმა ამას ახატივა, მაგრამ ქვაბში შესულმა უსიბმა ხმლით დაჭკლა დევი. „ეგე გრძნეული სხვასაც ვისმე მოაგდუნებსო“.

ამირანმა დიაცი მოჰკლა, რომ სხვები აღარ შეაყდინოს. თუ შევადარებთ უკვე საერო პოეზიაში განხილულს თქმულებას ოჩო-კოჩის, პოლიფემის და ხონელის მოთხრობაში მოქცეულს ამბავს დევზედ, რომელსაც „შუბლზედ თვალი ედგა“, საერთო ლიანდაგი ადვილად გამოირკვევა. დაშნით მოკვლაც უმატებს ამ შედარებას ისეთს ხაზს, რომელიც საერთო წყაროდგან უნდა მომდინარეობდეს. განსხვავება იმაშია, რომ ამირანი ქვაბში შეხვდება ცალ-თვალია მამას და ამ უკანასკნელის შეილსაც: „მასცა ედგა შუბლსა-ზედან თვალი“. ჰომეროსი და მეგრული ზღაპარი ცალ-თვალია შეილის შესახებ არას გვაუწყებენ.

საკვირველია, რომ მოსე ხონელის მოთხრობა ისეა ხელოვნურად შექმნილი, რომ ქრისტიანობის კვალი არსად არ მოსჩანს. ავტორი ცდილა ძველებური ელფერი დაეცვა. ზოგიერთა ხელ-ნაწერის დასასრულს ვკითხულობთ სიტყვას „ამინ“, რომელიც გადამწერთაგან უნდა იყოს შემდეგ ჩამატებული. „ამირან-დარეჯანიანი“ ცალკე წიგნად დაიბეჭდა ზ. კიკინაძის მიერ (ტფილისი, 1897). ზემო მოყვანილი ადგილები ამ გამოცემიდან არის ამოწერილი. ეს ნაწყვეტები საკმარისად მოწმობენ, რომ უბრალო საბაასო, ახლაც გასაგები ენით არის მოქარგული მ. ხონელის თხზულება. საყურადღებოა, რომ ზღაპრული კილო გატარებულია მთელს მოთხრობაში.

ამირანის თავ-გადასავალს, როგორც ჩვენს ხალხშია დარჩენილი და მოთხრობილი მ. ხონელის მიერ, ბევრი საერთო მხარე აქვს სომხურს თქმულებასთან არტავაზის შესახებ, რომელსაც უპირდაპირებენ სპარსულს ზოჰაკს ფირდუსის ნაწარ-

მოებში და ძველს ირანულს გველეშაპს აჯდახაკს (ავესტაში). ამ უკანასკნელი გადმოცემით, რუდენი (ფერიდუნი შაჰნამეში) შებოჰავს აჯდახაკს და შეათრევს გამოქვაბულში და თვით დადგება მკველად. გამოქვაბულიდან იგი ვერ ბედავს გამოსვლას, როგორც ჩვენი ამირანი, რომელიც ქრისტესთან (ღმერთთან) ბრძოლისა გამო დაბმულ იქმნა ჯაჭვით და ზედ დაედგა მთა იალბუზი.

II. ვ ი ს რ ა მ ი ა ნ ი .

„ვისრამიანიც“, როგორც „ამირან-დარეჯანიანი“ მოხსენებული აქვს შოთა რუსთაველს *), მაშასადამე იგი „ვეფხისტყაოსანზედ“ აღრე გავრცელდა საზოგადოებაში. გამომცემლები ამ მოთხრობისა წინასიტყვაობაში (ტფილისი, 1884 წ.) გვაუწყებენ, რომ მათ არ იციან, ვისრამიანი საკუთარი ქართული თხზულებაა, თუ ნათარგმნი. ზოგნი ამბობენ, რომ „საკუთარი ქართული თხზულებაა და ამას ამყარებენ, პირველ იმაზედ, რომ მეტად თვალსაჩინო მაგალითებია წმიდა ქართული ჩვეულებისა (?) შიგ მოყვანილიო; მეორე იმაზედ, რომ ენა მეტად ფაქიზია, მკაფიოა, სიტყვების გაწყობა ფრაზაში თითქმის არ ჰღალატობს წმიდა ქართულს ენას და თუ თარგმანი იყოს, რაც უნდა ნიქიერი მთარგმნელი უოფილიყო ამის გადმომღები, არ შეიძლება ბევრგან არ აპყლოდა უნებლიედ იმ ენის წყობილებას და თვისებას, რომლიდამაც სთარგმნიდაო. — ზოგნი ამბობენო, რომ თუმცა თვითონ ამბავი ვისისა და რამინისა სპარსულია, მაგრამ ეს

*) „ავთანდილის წასვლა ძებნად ტარიელისა“ აგვიწერს „ქვეყანასა უგემურსა“ და დასძენს: „იგი პირი არ უნახავს არ რამინს და არც ვისსა“ (ტაეპი რპე) ერთს უკანასკნელს ტაეპში პოეტი კიდევ იგონებს ამ გმირებს: ნუ ექვს მიჯნურად მათებრსა, ნუმცა თუ რამინს, თუ ვისსა (ტაეპი ჩფპ); ერთი ადგილი კიდევ მოვიყვანოთ: ფატმანს კლავდა უმისობა (უავთანდილობა) რამინისა ვითა ვისსა.

ამბავი ქართველს მწერალს მხოლოდ გაუგონია, თვითონ მხოლოდ შინაარსი აულია და თავისით დაუწერია და არა გადმოუთარგმნია სპარსული ტექსტიო... ეს აზრი პირველზედ უფრო დასაჯერებელი უნდა იყოს, რადგან ნამდვილად ცნობილია ევროპის მეცნიერთაგან, რომ ვისის და რამინის ამბავი სპარსელებს ეკუთვნის და შესაძლოა ჩვენს მწერალსაც გაეგონოს და მერე თავისით ახალი თხზულება დაეწეროსო. — მესამე აზრი ის არის, რომ ვისრამიანი თარგმანია და არა საკუთარი თხზულება. ამას ამტკიცებს თვითონ პირველი კარი ამ თხზულებისა, საცა მოხსენებულია, რომ ამბავი ფაჰლასურიდამ სპარსულად გადმოთარგმნილია. ამ გარემოებას მით უფრო მეტი ძალა ეძლევა, რომ დღესაც სპარსულად დარჩენილია „ამბავი ვისისა და რამინისა“ ქილილა და დამნასავით ლექსად და პროზად შერევით დაწერილი მეთორმეტე საუკუნეში. ამბობენ სპარსულიდგან ეს თხზულება ნემენკურადაც გადაუთარგმნიათ... ჩვენდა სამწუხაროდ... ვერც სპარსული ვიწოვეთ და ვერც ნემეკური“...

აქ წამოყენებულ სამთ აზრთა შორის შესაწყნარებელი ის არის, რომელიც უარყოფს ვისრამიანის“ ორიგინალურს ქართულს წარმოშობას. მართლაც, არსებობს სპარსულს ენაზედ „ვისრამიანი“, რომელიც გამოიცა 1864—1865 წ. კალკუტაში. სპარსული პოემა „ვისორამინ“ შესდგება 8000 ორტაეპოვანი ლექსიდგან; ეკუთვნის პოეტს გურგანს (ქართულს ენაზედ ჯორჯანი); რომელიც სცხოვრობდა პირველს ნახევარს მე-IX საუკ., სეღჯუკების ემირის ტოღრულ ბეგის კარსა. გურგანმა იხელმძღვანელა ძველებური ფალაურს ენაზედ პროზად მოთხრობილი ამბით სასანიდების დროისა. ესე იგი მუსულმანთა მოძღვრების უწინარეს. ეს ჩანს პოემის დასასრულიდგან, სადაც მოხსენებულია ტაძრები-საცეცხლეები, ცეცხლის თაყვანის მცემლობის ხანა. ფალაური ამბავი გურგანმა გადააკეთა, გაამშვენა და ლექსად გამოსთქვა სპარსულს ენაზედ. „ნემეკურს“ (გერმანულს) ენაზედ გრაფმა

გააცნო მკითხველს საზოგადოებას შინაარსი ამ სპარსული „ვისრამიანისა“ და შიგა-და-შიგ მოჰყავს პოემიდგან ლექსად ნათარგმნი ნაწყვეტებიც. ქართულად „ვისრამიანის“ გადმოღებას მიაწერენ სარგის თმოგველს, რომელიც ჩამომავლობით იყო მესხი, ქ. თმოგვიდგან, და სცხოვრობდა თამარ მეფის დროს. მას ეჭირა მაღალი თანამდებობა სახელმწიფოში, ირიცხებოდა მეფის მდივნად და ასრულებდა დიდს პასუხის საგებს მოვალეობას. თამარის შემდეგაც განაგრძობს იგი მოღვაწეობას, — მისი სახელი შეგვხვდება გიორგი და დავით მეფეთა დროსაც. „ქართლის ცხოვრება“ მას უწოდებს „ფილოსოფოზს და რიტორს“. ამ სარგის თმოგველს მიაწერენ „დილარიანს“. ვინ არის „ვისრამიანის“ მთარგმნელი, — ნამდვილად აქამდის არ ვიცით. მთარგმნელმა დედანი ცოტა შეკვეცა და ისე გადმოიღო ქართულად.

გავიცნოთ მოკლეთ შინაარსი სპარსული „ვისრამიანისა“ და მკითხველი ადვილად შეადარებს ქართულს ვისრამიანს.

სატახტო ქალაქს, მერვს, ცხოვრობდა მეფე მობედი, რომელსაც ემორჩილებოდა მთელი ქვეყანა. მობედის წინ თავს იხრიდნენ არამც თუ ჩინეთის და რომის იმპერატორნი, — თვით ცის მანათობელნიც მასთან ამხანაგობით ამაცობდნენ. ერთხელ, სამეფო ნადიმზედ მობედმა შენიშნა გათქმული სილამაზით ქალი შეხრუ და მოისურვა მისი ცოლად შერთვა. შეხრუმ უარი განაცხადა და მოახსენა შაჰს, რომ იგი უკვე გათხოვილია, კეთილად სცხოვრობს ყარენთან და ჰყავს რამდენიმე მამაცი ვაჟი შვილი. რაკი შეხრუსთან დაქორწინება შეუძლებელი აღმოჩნდა, მობედმა სთხოვა, რომ ქალიშვილი მაინც, თუ ოდესმე ბედნიერს ცოლ-ქმარს დაებადოთ, მიათხოვონ მას, მერვის შაჰს. შეხრუ დასთანხმდა და პირობით შეეკრა მეფეს ჯერ დაუბადებელი ქალი მისთვის მიეთხოვებინა. აქედგან იწყება მობედის უბედურება. გავიდა რამდენიმე წელიწადი და შეხრუს დაებადა „მხეთ-უნახავი“ ქალი ვისა. შეხრუს დაავიწყდება მიცემული შაჰისთვის სიტ-

ყვა და მიათხოვებს თავის ასულს თვისს ავ ძმას ვირუს. მაგრამ ქორწილის დღეს, ნადიმის დროს, გაჩნდება ზურდი, ძმა მობედისა, რომელიც დაუყოვნებლივ თხოულობს დანიშნულის წაყვანას მერვში. ვისა ცივს უარზედ არის, მოხუცის შერთვა არ იამება,—და რა-კი შეიტყობს ამ ამბავს მობედი, წამოვა აუარებელი ჯარით შესამუსრავად ყარენისა, ვისას მამისა. თუმცა ომში დამარცხდება მობედი, მაგრამ საჩუქრებით მოულობს შეხრუს გულს და მას შეაპარებენ სასახლეში, საიდანაც ძალდატანებით წაიყვანს საწყალს ვისას მერვში. გზაში ქარმა ააფრიალა ჩარდახი კუბოსი, სადაც ჩააბრძანეს ვისა და ყველასათვის გულ-წარმტაცი ქალი გამობრწყინდა რამინის, მობედის ძმის, წინაშე. რამინი მთლად აენტება სიყვარულით სარძლოსადმი. როცა ვისა მოიყვანეს მერვში, ვერაფრით ვერ დააშოშმინეს და დაამშვიდეს სასოწარკვეთილებამდის მისული ქალი, თუმცა თან გამოყოლილი მოახლე ცდილობდა ცბიერებით დაერწმუნებინა თვისი გაზდილი, რა დიდი ბედნიერება მოელის მას მობედის სასახლეში. რამინიც, დამწვარი ვნებათა ღელვით, მიჰმართავს ამავე ცბიერს მოახლეს და დაითანხმებს შუამავლობა გაუწიოს ვისასთან. პირველ ხანში ვისა უარზედ არის, მაგრამ როცა იგი ნახავს რამინს, მისს გულში გაიღვიძებს სიყვარულის ნაპერწკალი. თუმცა ვისა ცდილობს ჩააქროს ანთებული გრძნობა, მაგრამ, „შეუბრალებელი სიყვარულის მაცდური დასცემს სულში გასისხლიანებულს კლანქს და რა ჩაუკლავს ერთგულების და მოვალეობის სხივს, ვნებათა ღელვა დაუბრმავებს გონების თვალთახილვას“. შემდეგ, როცა მობედს გარედ დაიგულებენ, ვისა მიიღებს თავისს ოთახში რამინს და აქ მიეცემიან ალგზნებულს ნეტარებას. ასე გაატარებს რამინი ორს თთვეს სატრფოსთან სიყვარულის მორავში ჩანთქმული, ვიდრე არ მოუვა მობედისაგან მიწვევის წერილი სანადიროდ მიდიაში. შაჰის ბრძანებით თან წაიყვანს ვისასაც თავის მოახლით. ერთს დილას მოახლე გააღვიძებს ვისას და

მოახსენებს გამოეთხოვოს რამინს, რომელიც ემზადება შორს სამგზავროდ და სომხეთში სანადიროდ. მობედი აახელს თვალებს. და სასტიკად გაუწყრება ქალბატონსაც და მის მოახლეცაც. ქმარი ჯერ კიდევ თვალ-ახვეულია, არ იცის კავშირი ვისას და რამინს შორის, თუმცა ქალი უკვე გამოუტყდა ვირუსს, თვისს ძმას და წინანდელს საქმროს. მაგრამ არა არს-რა დაფარულ, რაც არა გამომეღავენდეს! ერთხელ როცა მობედი მერვის სასახლეში უჯდა გვერდით „ვერცხლებრივ თეთრს გულიანს ვისას“ და უმტკიცებდა მეუღლეს, რა ბედნიერება ხვდა მას წილად, ვისამ ველარ დაფარა აღელვებული გრძობა და გამოუტყხადა ქმარს, რომ იგი მასთან ყოფნას ბედნიერებად არ სთვლის, რადგან გული განუყოფელად დაუსაკუთრა რამინს. განრისხებული შაჰი გაგზავნის უკან ვისას მახაბადში და აქ მკმუნვარებით აღესილი ქალი „დღე და ღამ ვაჰყურებს ხორასნის გზას“.

რამინიც თუმცა ფიცს აძლევს მობედს დაივიწყოს ვისა, ვერაფრით დამშვიდებულა; ნადირობის და საცოლოს ძიების მაგივრად კუხისტანიდგან რამინი მიეშურება მიდიაში და აქ შვიდს თთვეს გაატარებს ვისასთან დამათრობელს აღერსში. გაიგებს მობედი რამინისაგან ფიცის შელახვას და აღიკურვება ჯარით მის დასასჯელად, მხოლოდ დედის ჩაგონებით შაჰი თვისი ძმის მოდრეკის მაგივრად, გაცეცხლებული აღიძვრის უდანაშაულო ვირუსს წინააღმდეგ, მაგრამ რა-კი დარწმუნდება, რომ ვირუსს, ძმას და ვისის უბედურს საქმროს ცოდო არაფერში არ მიუძღვის, მობედი დაწყნარდება, აპატიებს მოღალატე ძმას და ორგულს ცოლს და სამივენი დაბრუნდებიან მერვში, სადაც რამდენსამე ხანს მშვიდობით სცხოვრობენ.

თუმცა მობედი გარეგნობით შეურიგდება ცოლს და ძმას, მაგრამ ექვი მის გულში ისევ მოქმედობს. ამიტომ მოითხოვს ვისასგან, რომ მან ერთგულობა შეჰფიცოს ცეცხლზედ მოგვების წინაშე. ვისა რა დაინახავს აღგზნებული

ცეცხლის აღს, ცამდის ასულს, შეშინდება, შაჰმა დაწვაც არ განიზრახოსო და ამიტომ სთხოვს რამინს გააპაროს იგი მერვიდან. შეყვარებულნი გაიქცევიან და შეეფარებიან ქალაქს რეში ბეხრუხას, შეხრუს შვილის სახლში. მწუხარე და გულმოკლული მობედი დიდხანს და უნაყოფოდ ეძებს თავისს ახალ-გაზდა ცოლს. ვისას დედა გაიგებს ამ ამბავს და ურჩევს მობედს შურის ძიებაზედ უარი სთქვას და იგი უპოვის გაქცეულს დედოფალს. მობედი დასთანხმდება და ვისა რამინითურთ ისევ დაბრუნდებიან მერვში. შეყვარებულთა მისვლამოსვლა, რასაკვირველია, არ ისპობა და მათი გაბედულობა იქამდის მიაღწევს, რომ ერთს ღამეს ვისა დააქერინებს გამდელს თავისს ადგილს ქმრის სარეცელზედ და თითონ გაიპარება რამინთან. აქაც მოტყუებული ქმრის დაშოშმინება ადვილად მოახერხა უკეთურმა ვისამ. როცა მობედმა დაიწყო ყვირილი, ვისამ მოირბინა და დაარწმუნა შაჰი, რომ მისს ექვიანობას საფუძველი აკლია და აიხსნება იგი მხოლოდ მობედის ძალზედ შეზარხოშებით. საწყალი ქმარი გაჩუმდა.

გავიდა რამდენიმე ხანი. შაჰი მოემზადა რომის იმპერატორთან საომრად და ვისას ყურის გდება ჩააბარა ზურდას, თავისს ძმას. ჯარში ჩაერია რამინიც, მაგრამ გურგანში გზიდანვე დააბრუნა შაჰმა თავის ავად გამხდარი ძმა. რამინი გამოეშურა მერვში და რა-კი გაიგო, რომ ვისა მიუდგომელს ციხეში შეუფარებიან, გასწია სატრფოს სანახავად. ნიშნიან შვილდ-ისარს ესერის ციხეს და გააგებინებს ვისას, რომ იგი დაბრუნდა და ეძებს საშუალებას მასთან შეიპაროს. ვისა და მოახლე მოხერხებით შეაპარვენ რამინს და აქ დაჰყოფს იგი ათს თთვეს საყვარლის გვერდით. მობრუნდება მობედი და შეიტყობს თვისი მეუღლის ურცხვობას და პირველად განურისხდება ზურდს, რომელსაც ჩააბარა ვისას თავ-დაცულობა. რამინი კი თუმცა გაიპარება ოთახიდგან, მაგრამ შაჰი იპოვის თოქს, რომელზედაც ციხიდგან ქალბატონის და მოახლის დახმა-

რებით გადაეშვება. ამ საქციელისთვის მობედი გალახავს ცოლს და მის მოახლეს გამზღელს.

მობედი დაბრუნდება მერვში და აქ სუსტის ხასიათის წყალობით მოინანიებს, მოაყვანიებს ვისას, აპატიებს რამინს და იქამდის მოლობება, რომ ცბიერს მოახლეს გადასცემს სასახლის გასაღებს, ვიდრე თვით დაჰყოფს ქაბულს. მოახლე ახლა კი გაქირვეულდება და არ უშვებს ვისასთან რამინს, რომელიც ხეტიალის შემდეგ მიიძინებს მობედის ბაღში. ვისა მაშინ გაეხვევა ჩადრში და გაიპარება რამინთან. ამ დროს მობედიც ექვიანობით აღძრული გაჩნდება მერვში. რამინი კიდევ გაუძვრება ბალიდგან და განრისხებული შაჰი მოიწადინებს ვისას მოკვლას. მაგრამ ზურდის ჩარევა და მფარველობა გადაარჩენს ვისას.

ეს შეტაკებაც გათავდება მობედის და ვისას შერიგებით, თუმცა იგი გასტანს მეტად მოკლე ხანს. ერთს მშვენიერს ზაფხულის საღამოს მგოსანი „ქუსანი“ მობედის თანადანწრებით ლექსად აქებდა ვისას და რამინის სიყვარულს. ამ ლექსში გამომჟღავნდება სამარცხვინო მღვამარეობა შაჰის. მოხდება ჯერ ლანძღვა და შემდეგ კრივიც მობედსა და რამინს შორის. ამას შემდეგ რამინი დაანებებს თავს მერვს და დაინიშნება შაჰისაგან გამგედ რეის, გურგანის და კუხისტანისა. ერთს მაზრაში, გურაბს, რამინი ნადირობის დროს შეხედება ლამაზ ქალს გულას, რომლის შერთვასაც მოიწადინებს. გულა დასთანხმდება იმ პირობით, რომ რამინმა დაივიწყოს ვისა. რამინი ნიშნად ახალი სატრფოს ერთგულებისა მისწერს წერილს ვისას და გამოუტყხადებს, რომ ამიერიდგან ყოველი კავშირი მათ შორის მოსპობილია. გულ-შემოყრილი ამ მწუხარებით ვისა გაუგზავნის რამინს გამზღელს, მაგრამ ამ უკანასკნელს ლანძღვით გამოისტუმრებს უკან. მაშინ ვისა დააწვრინებს მუშკინს რამინთან ბარათს, რომლითაც ცდილობს დაიბრუნოს დაკარგული სიყვარული.

საბედნიეროდ, რამინს და გულას შორის ჩამოვარდება

უთანხმოება, გულ-გრილობა დაეტყოთ ორთავე და რამინი განიზრახავს ისევ ვისასთან დაახლოებას. რამინი მოელაპარაკება გულას მამას და გასწევს მერვისკენ. გზაში აზინი გადასცემს ვისასაგან წერილს და აუვსებს რამინს გულს სიხარულით. მერვში გამწყრალი მოტრფიალენი შერიგდებიან, თუმცა ვისა პირ-მოთნეობით შეუბრალებელი არ უშვებს სასახლეში რამინს, რომელიც იძულებულია ყინვაში და ბუქში გაატაროს ეს დრო. მოთმინებიდგან გამოსული რამინი აპირებს უკან წასვლას და მხოლოდ ახლა მისცემს ვისა მას ხელს და ერთს თთვეს გაატარებინებს სასახლეში. ერთს ღამეს რამინი გავა მერვიდგან და პირველი საღვურიდგან სატახტო ქალაქიდგან დიდის ზემით დაბრუნდება მერვს. მოახლის რჩევით რამინი ახლა კი გაბედავს ძალ-დატანება იზმაროს, ღამე გამოიპარება მეფის ბანაკიდგან ორმოცი თანმხლებელითურთ ქალის ტანისამოსიანი და გაჰყვება ვისას. რომელიც ამ დროს ბრუნდება საზორავიდან, სადაც მან შესწირა სამადლობელი მსხვერპლი. დადგა ღამე და შეთქმულები დაეცნენ კარის მცველებს და თვით რამინი მოჰკლავს ზურდს, თვისს ძმას. რა დაიქერს მთელს სასახლეს და მიითვისებს სამეფო განძს, რამინი გასწევს დეილემ და გილანისაკენ.

მოსყიდულნი გულუხვი საჩუქრებით, დეილემის და გილანის მცხოვრებთა მოთავენი გადუღებებიან მობედს და მიეზხრობიან რამინს. შაჰი, რა-კი შეიტყობს ძმის აჯანყებას, დაბანაკდება ქალაქ ამულას ახლოს. შემთხვევით ომი არ მოხდება ძმათა შორის. მოულოდნელად ბანაკში გაჩნდება ეში, რომელიც დაჰფლეთს მობედს და მისს ცხენს. შაჰის სიკვდილის შემდეგ რამინი, ვითარცა კანონიერი მემკვიდრე, აღსარებულ იქმნა მერვის მეფედ. დიდხანს იმეფა კეთილად და უხვი წყალობის გაცემით მოიპოვა ერის პატივისცემა. როცა ვისამ განუტევა სული, რამინმა უარპყო მსოფლიო არარაობა, გაუნაწილა სახელმწიფო თვისს ორს შვილს და

თვითონ შეეფარა ცეცხლის თაყვანის მცემელთა ტაძარს, სადაც გაატარა უკანასკნელი დღენი ლოცვით და ვედრებით.—ამით თავდება სპარსული პოემა.

ამავე სიტყვებით შეიძლება გადავცეთ მკითხველს ქართული „ვისრამიანის“ შინაარსიც: დამოკიდებულება და კავშირი ქართული „ვისრამიანისა“ სპარსულ ორიგინალთან იქიდან სჩანს, რომ ჩვენს მოთხრობაში პირ-და-პირ ნათქვამია, რომ ფახფურმა (=გურგანმა, ანუ ჯორჯანელმა) სთარგმნა სპარსულად ფალაური ენიდან. მეორე ადგილას ვკითხულობთ „ხუარასანი ფალაურითა ენითა ამოსა და მომცემსა ქვეყანასა ჰქვიან“. მაშასადამე ქართულს „ვისრამიანსაც“ იმავე ფალაური ენიდგან სპარსულად გადმოღებულს დედანთან აქვს დამოკიდებულება. ეს კია, რომ ქართველს მწერალს ხელთ არ ჰქონია ის რედაქცია პოემისა, რომელიც გამოიკა კალკუტტაში. ჩვენს გადმომღებს, უნდა ვიფიქროთ, თვალწინ ჰქონია პროზად დაწერილი მოთხრობა „ვის-ო-რამინ“. ამას მოწმობს ქართული პროზად აგებული „ვისრამიანი“ (ლექსად რომ ყოფილიყო ორიგინალი, ქართველი მთარგმნელი არ შესცვლიდა ამ მიღებულს ჩვენს მწერლობაში ფორმას). განსხვავება გეოგრაფიულს სახელებშია, თუმცა არაკის ძაფი ერთი და იგივეა, ამა თუ იმ წვრილი დამატება-გამოკლებით. სპარსული არიმანის (ბოროტების ღმერთი) მაგივრად ქართულად ნახმარია დევი. მოაბადის მეჯლისში სტუმართა სახელები უფრო ძველი ფორმით არის მოყვანილი, ვიდრე სპარსულში. მაგალითად—დინირგეს, ზარნიგეს. ზოგს ადგილას ქართული მოთხრობა უფრო სიტყვა-მჭკრელია, შემოკლებული. თვით მოთხრობის დასაწყისში ჩამოთვლილია ქართულად ისეთი გეოგრაფიული სახელ-წოდებანი, რომელნიც განასხვავებენ ქართულს „ვისრამიანს“ სპარსული რედაქციისაგან: „იყო დიდი და მაღალი ხელმწიფე აღრაბადაგანისა და ყოველთა თემთა და ქვეყანათ მპყრობელი. და დიდთა საჭურჭლეთა პატრონი. ჰქონდა ხორასანი, თურქისტანი, ერაყი, აღრა-

ბადაგანი, ქოისტანი, ხუარაზმი და ყოველსა სპარსეთსა ზედა მორკმული“. ამ განსხვავებათა მიხედვით ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართული „ვისრამიანი“ შეიძლება გადმოღებული იყოს იმ პროზად სპარსულს ენაზედ დაწერილი რედაქციიდან, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაწია. დასასრული ამ მოთხრობისა არ ეთანხმება ჩვეულებრივ წარმოდგენას ტრაგიკული კვანძის და მის გამოხსნის შესახებ. მართალია, მოუდრეკელი ვისას სიყვარული იწვევს ჩვენს თანაგრძნობას, მაგრამ ვერვინ იტყვის; რომ დათრგუნვა შეყვარებულთა მიერ მათი განმაშორებელი გარემოებისა არის შედეგი ვისას და რამინის ზნეობითი ღირსების უპირატესობისა დანარჩენ პირთა წინაშე. მეტად ანჩხლი და ამასთანავე სუსტი მობედი (=მოაბედი) ვერ ჰბადავს მკითხველში სიმპათიას და თუმცა პოეტი გვაუწყებს, რომ მობედმა ჯერ დაუბადებელი ქალის დანიშნით განდიწვია ღვთის განგების რისხვა, იგი ასურათებს მას უფრო სასაცილოდ და სამარცხვინოდ, ვიდრე აუცილებელ და ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩაყენებულს გმირს. აგრეთვე ვისა და რამინიც არ არიან წმინდა წყლის გმირები: ცბიერებით და მოხერხებით აღჭურვილნი, ხშირად ისეთს საშვალებას მიჰმართავენ, რომელიც ასუსტებს ჩვენს თანაგრძნობას. მშვენიერად არის დასურათებული ვისას გამდელი ჰარამხანიდგან გამოსული, თანა-მოზიარე და თანაშემწე შეყვარებულთ მებობართა. ყველაზედ პატიოსანი და თანაგრძნობის ღირსი არის ზურდი, ძმა მობედისა. იგი ზნეობით და ძმის ერთგულებით დასაჩუქრებულია პოეტისაგან, თუმცა რომანში მას უჭირავს მეორე ხარისხოვანი ადგილი.

გურგანის პოემის უმთავრეს ღირსებად მიაჩნიათ ის მნიშვნელობა, რომელიც მას აქვს ძველი სპარსეთის კულტურის ისტორიისათვის. „შაჰნამე“, რომელსაც უსაფუძვლოდ ქართულად „როსტომიანი“ უწოდეს, გვაცნობებს მხოლოდ გარეგან მხარეს სპარსეთის ცხოვრებისას. „ვისრამიანი“ ომებს და პოლიტიკურს საქმეს დათმობილი აქვს მეტად მცირე ად-

გილი, რადგან რომანტიული ინტერესი შეადგენს დედა ძარღვს მთელის პოემისას. „შაჰნამეში“ ქალები შედარებით კაცებთან ჩრდილში არიან დაყენებულნი, „ვისრამიანში“ კი ქალი წინ არის წამოყენებული, მის გულის მოძრაობას პოეტი უძღვნის საუკეთესო სტრიქონებს და თვისს ძალ-ლონეს. ამ განსხვავებასთან „შაჰნამეს“ და „ვისრამიანს“ აქვთ ბევრი საერთო მხარეც, დაკავშირებულნი არიან დროთა ვითარების გავლენით. ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, ფიქრი და გრძნობა მოქმედ პირთა ორსავე პოემაში ერთგვარი, ერთფერი და ერთ-გემოვანია. ირანის გმირები თავისუფალს დროს ატარებენ ნადირობაში ანუ ქეიფში, ჰკურავენ სიყვარულის მორევში და სტკბებიან მგოსანთ-ჩანგთა ხმებით. რამინი საუკეთესო წარმომადგენელია მაშინდელი მოქეიფე დიდ კაცისა: უშიშარი მონადირე, თაყვანის მცემელი ღვინის, ქალის და მუსიკისა, იგი იპყრობს ვისას გულს და შემდეგ იმორჩილებს ახალ სატრფოს. თითონ მშვენიერად უკრავს ჩანგზედ, სწერს ლექსებს და გურგანის პოემაში ხშირად მოყვანილია ნაყოფი მისი აღმაფრენისა, განუწყვეტლივ მთვრალია და ჰყიდის ღვინის გულისთვის საკუთარს ტანსაცმელს.

სარწმუნოებრივი წარმოდგენა „ვისრამიანში“ იგივეა, რაც „შაჰნამეში“. პოეტი ასურათებს ზნეობის და ჩვეულების მხრით სასანიდების ხანას სპარსეთის ისტორიაში. თუმცა შესავალში გურგანი აღიღებს მაჰმადიან მეფეს და ასვამს ისლამის ბეჭედს, მაინც პოემა სავსეა ზარათუშტრას შეხედულებით. ამ სწავლის სიმტკიცით აიხსნება ის გარემოება, რომ ვისას მიათხოვენ მისსავე ძმას ვიროს, რადგან „ავესტას“ მოძღვრებით ასეთი ქორწინება აკრძალული კი არა, ნაბძანები და სასურველი იყო. ზეციურთ მანათობელთა გავლენა კაცის ბედ-იღბალზედ გატარებულია გურგანის ქმნილებაში. მზე, მთვარე და ვარსკვლავნი მობედის ვეზირებად ირიც-

ხებიან, მერკური მეფის შიკრიკი და მის ბძანების დამტარებელი იყო.

„ვესტაში“, სადაც მოთხრობილია ზარატუშტრას მოძღვრება, უკვე აღნიშნულია კვალი ზეციურთ მნათობთა თაყვანის ცემისა. ამ მოძღვრებაზედ აგებულს „ვისრამიანშიაც“ აქა-იქ გვხვდება ასტროლაბთა რჩევანი და ვარსკვლავთა გავლენა კაცის ცხოვრებაზედ. ამავე ძველი სპარსეთის სწავლის კვალს უჩვენებს ცეცხლის თაყვანის-ცემა და მითი განწმენდამობელი ფიცს ართმევს ვისას ერთგულებაზედ და ამ ფიცს უკანასკნელი აღიარებს ცეცხლითა: „აწ მე დიდსა ცეცხლსა დავაგზებ, აღვასა და მუშქსა დავაკუამლებ; ამა ყოველთა დიდებულთა და ლაშქართა წინა შემომფიცეო ცეცხლითა, მას შუა გამოიარე, რომელ მასვე წამსა რა შემომფიცო, შეცოდებისაგან სულითა წმიდა იქმნე (გვ. 148)“. პოემის—მოთხრობის დასასრულში კიდევ ვკითხულობთ ისეთს ადგილს, რომელიც მოწმობს ირანის რელიგიის ზედ-გავლენას: „ვისი ჩამოვიდა და ჯიმშედის აგებულსა საცეცხლესა მოვიდა ლოცვად“ (გვ. 438).

თვალის კვრა და ჯადოქრობა სპარსულს ლიტერატურაში იშვიათს მოვლენას არ შეადგენს. „ვისრამიანში“ ამგვარს ცნობას ვპოულობთ იქ, სადაც ვისას ძიძა შეუკრავს მოაბადს კაცობას: „ძიძამან სპილენძი და ძვალი მოიღო და გრძნებითა რათმე ტილისმა შექნა: ორი მოაბადის სახე და ერთი ვისისი; შეულოცა რამე და რკინითა, ერთმანერთსა ზედა მაგრად შეაქედნა. ძიძა მაგალითად გრძნეული იყო და ეს ორი ჩახიბი ასრე ვითამე შექნილი იყო, რომე ვირემცა ერთგან დაქედილი იყუნენ, მოაბად ვისსა ზედა შეკრული იყოს და თუ ვინ გახსნიდა, მასვე წამსა გაიხსნებოდა“.

ძველს სარწმუნოებრივს წარმოდგენაში ცეცხლი და რკინა დაკავშირებულნი იყვნენ მითოლოგიასთან, ჰქონდათ უზენაესად მინიჭებული ძალა.—ზარატუშტრას მოძღვრებას ეკუთვნის აგრეთვე მოხსენებული ქართულს „ვისრამიანში“

ეშმა, როგორც ხმარობს შოთა რუსთაველიც მოკვეცილი ფორმით ახლანდელი ეშმაკის მაგივრად. ეშმა იყო არიმანის მსახური, ხოლო არიმანი ირიცხებოდა ახურამაზდის (ჩვენი „არმაზის“) — კეთილის ღმერთისა მოწინააღმდეგედ. ამ ძველ სარწმუნოებრივ წარმოდგენასთან „ვისრამიანში“, როგორც გადააკეთა გურგანმა, მოსჩანს კვალი მაჰმადიანთ და არაბთა გავლენისა. მუსულმანობა „ფალაურს“ ტექსტში არ მოიძებნებოდა.

„ვისრამიანის“ ქართულად გადმოღებას უძველეს დროს ამტკიცებს თვით ენა მოთხრობისა. აქ ნახმარია ისეთი ფორმები, რომელთაც დაჰკარგეს თავიანთი სახე შემდეგ ხანებში. მაგალითად, ჩვენი ტექსტი იძლევა ფორმას „წაე“, „მოე“, „ქვე ზი“, „ზე ადეგ“ (ახლანდელი ფორმის მაგიერ „ზიხარა“, „ზე-ზე“), ესე იგი ძველად იხმარება ორკეცი ზმნა და თანდებული და შემდეგ კი მის ნახევარი. ეს საერთო პროცესია — რთული ფორმიდან იბადება მოკლე ფორმა, გრძელს სიტყვას ეკვეცება რომელიმე ნაწილი, საყურადღებოა სიტყვა „ეშმა“, რომელიც იხმარება ქართულად „ვისრამიანში“ და „ვეფხისტყაოსანში“ იმ ფორმით, როგორც „ავესტაში“. ამ ფორმის გვერდით ქართულში იხმარებოდა ძველი დროებიდანვე მეორე ფორმაც „ეშმაკი“. „ვისრამიანის“ ფონეტიკაში უნდა აღვნიშნოთ ხმარება უ იქ, სადაც ახლა ვ, თუ მას მოსდევს ხმოვანი ბგერა: გუარი, თუალი, გუისხნა, თქუენ. ახლანდელს რბილს თ უდრის მაგარი ტ, მაგ. ტილისმა. რ არ მოვარდება სიტყვას ერთმანეთს (შეადარე ახლანდელს ერთმანეთს), სიტყვა „პილო“ ნახმარია ს გამოკლებით: ახლანდელი სპილოს მაგიერად. კითხვითი ნიშნისათვის იხმარება ხმოვანი ა: ჰჰჰჰა? ამ გვარი ფორმა ჩვეულებრივია საღმთო წერილში.

ქართულს „ვისრამიანში“ სპარსული ორიგინალის ქალაქი მერვი მარავად არის დასახელებული, მობედი — მოაბედად, შეხრუ — შარულდ.

პირველად ნაწყვეტი „ვისრამიანიდან“ ქართულად და-

ბექდა პროფ. დ. ჩუბინაშვილმა თავის ქრისტომათიაში. ეს პირველი გამოცემა ნაწყვეტი განსხვავდება ოთხისავე ვარიანტიდგან, რომლითაც იხელმძღვანელეს მოთხრობის გამომცემელთ 1884 წ. უუძველესი ხელნაწერი მე-XVII საუკ. ეკუთვნის. პროფ. ჩუბინაშვილი „ვისრამიანს“ აღარებდა რუსსოს რომანს „ელიოზას“. ეს შედარება მხოლოდ გარეგანს ფორმას შეეხება და არა შინაარსს: საფრანგეთის გამოჩენილი მწერარი და გურგანი გააბაასებენ თავიანთ გმირებს მიწერ-მოწერით. აი პირველი წიგნი ვისისი რამისს-თანა: „ესე წიგნი გამხმარი ნაძვისაგან ამწვანებულსა მხიარულად მოზრდილსა კუბაროზსა წინაშე, მთუარისა დაბნელებულისა და მილეულისა—ცათა დამამშვენებელსა ელვარესა მთუარესა“... ამ კონსტრასტებს დაუმატებს რამდენსამე კიდევ და შემდეგ გულ-დამწვარი სწერს: „ცისა და ქუეყანისა დამბადებელსა ღმერთსა გაფიცებ, რომელ ესე წიგნი სრულიად წაიკითხო, ჩემნი ჭირნი სცნე და რაცა მომიხსენებია, გაიგონო. იციცა, რამინ, რომელ საწუთრო მბრუნავია? კაცი ზოგჯერ სწულია, ზოგჯერ მრთელია, ზოგჯერ ჭირვეულია და ზოგჯერ ღზინიანი, ზოგისთვის სიცოცხლეა და ზოგისთვის სიკვდილი... ჩვენი ამბავი ავთა და კარგთა ყველათაგან იცნობვის, თუ რას მოქმედნი ვართ. შენ თუით იცი, თუ ჩუენ ორთა შუა რომელი უფრო აუგიანი ვართ, რომელსა უფრო უწრფელობითა თავისი ნება გვიძებნია. მე იგი წმინდა ვიყავ, რომელ სიწმიდითა ცისა ცვარსა ვგვანდი და სიტურფითა ვარდისა ფურცელსა; ვერა რომელსა მამაცსა ეპოვნა ჩემთანა გულის ნება და საწუთროსი არა დაედვა ჩემზედა აუგი. კანჯარსა ვგვანდი მინდორად მავალსა... შენ იყავ ჩემი მკვლელი და მამაყინებელი, შენ დამიდგი გზასა უწრფელობისა ბადე და დამაბი. აწ მარტო ორმოსა შიგან ჩაგიგდივარ და წამსვლიხარ. მამალორვე, მომატუნვე და აწ გამწირე... უზენაროო! შენი ფიცი ქარს ჰგავს უხანოსა... ეგრე გითქუმს: მიფიცავს და ვისას აღარ შევეყრებიო. მაშ, არ ჩემდაცა შემოგეფიცა, რო-

მელ ვირე სულნი მედგნენ, არ გამწირო? აწ რომელი დავი-
ჯერო?... მე იგი ვისი ვარ, რომელ მზეა ჩემი პირი და თმა
მუშკი. მე იგი ვარ, რომელ პირი სავსე თხუთმეტისა დლი-
სა მთვარესა მიგავ და ბაგე უკვდავებისა... მე ტურთათა დე-
ლოფალი ვარ და გრძნეულთა ხელმწიფე“... ამ თავის ქების
შემდეგ ვისა სწერს: „მე შენგან უკეთესსა ხელმწიფესა ღია
ვპოვებ, მაგრამ შენ ჩემებრსა ველარავის... ნუ იქმ, რამინ, რა
ინანდე, ვისისგან კიდე წამალს ვერას ჰპოვებ... გნახე ესეთსა,
რომელ ჩემსა წინა სტიროდე და პირსა ჩემის დარბაზისა კარ-
სა დასდებდე... რადგან ჩემგან და ჩემთა ბაგეთაგან გას-
ძელ, გულისაგან უღონიოდ უმალ გასძლები“. ეს წერილი მა-
შინ არის გაგზავნილი, როცა რამინმა ვისა გასცვალა სხვა-
ზედ—სახელად გულ. თუმცა ვისა შეურაცყოფილია სატრფო-
სგან და ვერ დაუფიწვია თავისი გრძნობისა შელახვა, მაინც
რამინს არ სწყევლის, არ ათახსირებს: მე გული არცა ვგრე
მეტყუის შენსა წყევლასა და შენგან ღმერთს წინა ჩივილსა,
მე შენი ქირი შენგან უფრო მეტკივნების, ღმერთმა შენი ქი-
რი მე ნურა მომასმინოს“. ასე იტყვის ყოველი ნამდვილად
თავგანწირული მოტრფიალე. პოეტი საუცხოვო მკოდნეა
შეყვარებულთა ფსიხოლოგიისა, მათი სულის მოძრაობისა.

მეორე წერილი „ვისისა რამინს თანა“ სავსეა აღმოსავლე-
თის ზომას გარდაცილებული განდიდებით, ჰიპერბოლით. თუ
შვიდნივე ცანი ქალღალად მქონდეს, სრულიად ვარსკვლავნი
მწიგნობრად მყუეს, ღამის ჰაერი მელანი იყოს, ასონი ფურ-
ცელთა ქუიშათა და თევზთაებრ ხშირად სხდენ, აღსასრულამ-
დინ იმედი და ნატვრა ჩემისა მოყურისა ნახუისათვის მქონ-
დეს,—შენმან მზემამ, ნახევარსა ვერც მაშინ დავწერ სურ-
ვილს“. ათი ერთი-ერთმანერთზედ აღგზნებული წერილი გაგ-
ზავნა ვისამ და პასუხი არ მოსდის. მე ამითცა უსაბრალოე
ვარ,—ამბობს ქალი მეათე წერილში—სხვათა ყოველთა მიჯ-
ნურთაგან, რომელ შენისა გონებისაგან არა მაქვს ძილი,

თუმცა მეზმანე, თუარა წიგნსა უსამართლოდ ჩემისა გამწირა-ვისაგან აბეზარ-ქმნილობისათვის აღარა მოველი.

რამინს მოსწყინდა გულ და ვისასთვის დაიწყო ოხვრა. მოგონებამ დააწვრინა პირველი „წიგნი“: დაწერა წიგნისა თავსა ზედა ვისის სახელი, მზისა მზგავისა, მთუარისაგან უტურფესისა, ვარდითა სავისისა, ბროლისა სუეტისა და გუირგუინისა დამაშლენებელისა... რამინი ინანებს გაყრას, „შეცოდებულად“ აღიარებს თავს, თუმცა ცილს სწამებს ვისას, რომ ვითომ ქალმა დაუწყო რღვევა სამკვიდრო დარბაზს სიყვარულისას, მისს გულში აგებულს... „მე ბძანებისა შენისაგან გამოსვლა არაოდეს მიკადრებია; ოდიდგან შენდა მოშორებულვარ, შენმან მზემან, ვითამცა ვეშპისა პირსა შიგან ყოფილვარ პატიმრად და გული უშენობისა ქირითა ამივისია. ჩემისა საქმისა მოწამე ჩემნი ლაწვნია ყუითელნი... კაცი ღმრთისაგან სამოთხესა სიამოვნებისათვის ითხოვს; შენ ჩემთვის ესეცა სოფელი ხარ და სამოთხეცა... შენი წიგნი ჩემი ხელთა მომქცევი, გზასა ზედა მომართვეს და პასუხი მეცამუნითვე მოგახსენე მოკლედ“.

რამინი მარავს მოვიდა. ვისამ „ვითა ლომმა გამძვინებულმა წყრომით ეგრე უთხრა: წაედ, რამინ, იმელი გარდაიწყვიტე ჩემგან, გული დაიამე, ვითამცა არც მიცნობ და არაოდეს მარავი ქალაქი გინახავს“. მერე მოღბება და კვლავ დაახლოვდებიან განშორებულნი მოტრფიალენი.

არც ერთი ტიპი „ვისრამიანში“ გამოყვანილი, — როგორც მოაბადი. რამინი, ვისა—ჩვენს თანაგრძნობას არ იწვევს. ცბიერობა, სიცრუე, გაუტანლობა სიყვარულში—საერთო თვისებაა ყველა აქ ჩამოთვლილთ გმირთა. რა დიდი განსხვავებაა „ვეფხისტყაოსნის“ და „ვისრამიანის“ გმირთა შორის! შედარება მათი საკმარისი საბუთია აღვიაროთ პოემის დამოუკიდებლობა სპარსული რომელიმე პოემიდგან.

„ვისრამიანის“ *) ავტორი, როგორც აღმოსავლეთში აღზრდილი მწერალი, მდარე აზრისაა ქალზედ და მის ზნეობითს ღირსებაზედ. თვისს შეხედულებას საგანზედ ავტორი გამოსთქვამს იქ, სადაც ჩაურთავს მოთხრობას „არაკს“ და „შეგონებას“. „არაკი“ და „შეგონება“ განმარტებაა მოთხრობის შინაარსისა; იგი შეიცავს ცხოვრების დაკვირვებათა ნაყოფს, სენტენციას, ზნეობითს სწავლას, „არაკი“ და „შეგონება“ ხშირად მოთხრობის ძაფს სწყვეტს და ავტორის აზრს ადგილს უთმობს. არაკი: „რა ერთხელ ღიაცისაგან ნებას აიღებ, პირსა ავშარა ამოდებულსა დაამზავსებ“; ანუ: „დედანი ნებისაკენ უფრო იზიდავენ ვირე სახელისაკენ; დედანი უსრულოდ დაბადებულნია, მით მიწყევ თავისა წადილი მორვეს, საწუთრო და საუკუნოსა გასწირვენ ერთისა წადილისა გასრულებისათვის და ამას აღარ გაიგონებენ, თუ ბოლოსა ჟამსა მოყვიენდებითო“.

„არაკი“ შეიცავს შეხედულებას მსოფლიოს ჩარხს და კაცის ხასიათზედ: „საწუთრო ვითა მოგზაურთა სადგომი ფუნდუკია და ჩუენ მოქარაენენი ვართ. მოქარაენენი ფუნდუკსა შიგან ცოტა ხანი მიუხუდების. მისი სიმძიმილი და სიხარული გარეული არის და წამსა ვერ დაზმენ ერთგან ვითა ღრუბლისა აჩრდილი“. ანუ: „რადგან სირცხვილი არა გაქუს, რაც გწადიან იტყოდითო“. „არაკში“ გამოთქმულია სხვა-და-სხვა სენტენცია, მოსწრებული აზრი, გადაჭრილი სიტყვა: „მიჯნური მიჯნურობისაგან მთურალსა ჰგავს“. მოყუარულისა გული ტანისაგან გულსა ესრე გამოსტაცებს, ვითა მალნიტი ქუა-რკინასა. ცალკერძი სიყუარული ასრე არ გაიზრდების, ვითა ცალსა ტუირთსა ვირი არ დაიკიდებს“. ერთისა წამისა გულის ნების პოენისათვის საუკუნოსა აუგსა და მოყვიენებასა ნუ ჩაიქრები“. „მკვრეტელთა ომი არ ეძნელებს“.

*) „ვისრამიანი“ ლექსად გადათქმული არჩილ მეფის მიერ. („ღროება“ 1885 წ. № 85) წიგნ-საცავი თავადი სამეგრელოსა.

„მშვილდოსანსა ჰგავს საწუთრო: მიწყით გაყრია მისი ისარი და სული ჩემი სასაგნო (ისრის ნიშანი)“.

„არაკი“ და „შეგონება“ ერთმანეთს წააგვანან. ხშირად ორივე ერთად არიან მოყვანილი და შინაარსით არ განირჩევიან. არაკი: „რაცა მლაშესა ადგილსა დასთესო, თესლისაგანცა უნაწილო დარჩე და ნაყოფისაგანაც“. ამას მისდევს შეგონება: „თუალსა პატროსანსა ძებდე, რაზომცა დიდად სძებნო, ვერ ჰპოვებ, თუ ადგილსა მისსა არ მიხვიდე“. ამ „არაკს“ განმარტავს მოკლე მაგალითით: „ვერცა ოდეს ვისის შენ შეუყუარდე და არცა შენსა საქმესა წაღმართი ჰქონდესო“. ხოლო „შეგონებას“ ეს განმარტება: „აწ ვითა ეძებ სიყუარულსა და მზახლობასა მისისა შეილისაგან, რომლისა მამა შენ მოგიკლავს. არცა შეშინდების ვისა ლაშქრისა სიმრავლისაგან და არცა მოლორდების თუალითა, მარგალიტითა და სამკაულითა“.

ერთმანეთს მოსდევენ შემდეგი არაკი, შეგონება და ჰუქუმათი-შეგონება: არაკი—„შენ სთველი ხარ და ვისი გაზაფხული და თქუენი ერთგან შეყრა ძნელი საქმეა“... შეგონება—„სიყუარულისა ასაკი ზღუისა მსგავსია, მისი ძირი და პირი არა სჩანს. თუ გწადდეს ზღუასა ადვილად შეხუალ, მაგრა თუ აღარა გწადდეს, ძნელად დაეხსნები“. ჰუქუმათი-შეგონება—„აწ შენისა თავისათუის შენ აგეთსა სიყუარულსა ეძებ ღდეს, რომელ ხუალე შენთუის ფათერაკად მოჰხდების“. შეგონება: „თუ კაცსა გააცხროვებს, მისად ნახვად მივლენ და გაცხროვებისაგან მისსა სიყუდილსა იშიშვიან და მიჯნურობისა გული წელიწადითა წელიწადამდის ცეცხლსა შიგან იწვის და მისად კითხვად არცა ვინა მივა, არც არავინ იკითხავს“. არაკი ამას შემდეგ: „მიჯნურსა ჰირად ესე ეყოფის, რომე მიწყით ჰირსა შიგან არის და მოყურისა ნატრასა, ნიადავ ხუაშიადსა გულსა შიგან შენახვა უნდა, ვერვის გლახ მიანდობს თავის გულის სიტყუასა“. ერთი შეგონება შორეულად წააგავს შოთას სენტენციას: „გაიხარე, სვი და ჰამე, გაეც რომელ სხეელი ღაგრჩეს“. არაკი და შეგონება ხორცმეტია მოთხრობისათვის. ძვე-

ლად ამ ნაწილს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მკითხველისათვის, როგორც მოარალს იგავ-არაკებში. ჩვენი დროის ლიტერატურაში ვერ შეხვდებით სენტენციას, მკითხველს მიანდეს დედა-აზრის გამოტანა ნაწერიდკან დამწერის დაუხმარებლივ.

III. დ ი ლ ა რ ი ა ნ ი.

„ვისრამიანის“ გადმომღებად სთვლიან, როგორც ზემორე უკვე ავნიშნეთ, სარგის თმოგველს (+1190). მაგრამ ჯერ ეს აზრი არ არის დამტკიცებული. თუ შოთა რუსთაველს მივაწერთ უკანასკნელს ტაეპს „ვეფხისტყაოსნისას“, სადაც იგი მოიხსენებს სამს მწერალს, მაშინ ზოგიერთა მკოდნე პირთა მოსაზრებით სარგის თმოგველი აღმოჩნდება „ვისრამიანის“ გადმომღებად კი არა, არამედ შემთხუზველად „დილარიანისა“. შოთას პოემაში, შესაძლოა შემდეგ დროებაში, ჩამატებულია ერთი ტაეპი:

ამირან დარეჯანის ძე
მოსეს უქია ხონელს,
აბდულ მესია შუთელს,
ლექსი მას უქეს რომელს,
დილარგეთს სარგის თმოგველს,
მას ენა დაუშრომელს,
ტარიელ მისსა რუსთაველს,
მისთვის ცრემლ-შეუშრობელს.

თეიმურაზ ბატონიშვილი ამ ტაეპის მიხედვით სარგის თმოგველს სთვლის „დილარიანის“ ავტორად. ბატონიშვილმა ამასთანავე მოისურვა სარგის თმოგველის გვარის აღმოჩენა. თმოგველი გვარი არ არის, იგი უჩვენებს ადგილობრივ ჩამომაელობას — თმოგვიდგან; თმოგვი ციხე და ქალაქი იყო სამცხეში. რა იყო გვარი სარგის თმოგველისა? ბატონიშვილი მიჰპართავს ამ საგნის ასახსნელად სახელს „დილარგეთს“. ამ

სახელს იგი ორად ჰყოფს „დილარ“ და „გეთ“ და შოთას პოემაში მოყვანილს ლექსს „დილარგეთს სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა“ განმარტავს თავისებურად: გეთ (=გვარი) სარგის თმოგველმა აქო დილარი“. ამასთანავე გვაუწყებს, რომ გეტიშვილი ახლაც არიან ახალციხის მაზრაშიო. „დილარგეთის“ ორად გაყოფა გამოწვეულია ორნაირი მოსაზრებით: პარალელელების მოთხოვნისგან შოთას (?) ლექსში და გრამმატიკის კანონის დასაცველად: მოსე ხონელს უქია „ამირან-დარეჯანისძე“, შავთელს „აბდულ-მესია“ და გეთს სარგის თმოგველს „დილარ“. ამ მოსაზრებას აქამდის საკმარისი საბუთი ვერ მოვუპოვეთ. უფრო დასაჯერებელია, რომ სარგის თმოგველი გვარად მხარ-გრძელი იყო. ანტონ კათოლიკოზი თავისს „წყობილ-სიტყვაობაში“ გმირს ამ მოთხრობისას უწოდებს დილარგეთ და არა „დილარ“. ანტონი სწერს:

სარგის ესეცა შოთაებრი აწს კაცი
სიბრძნისა მოეუარე, ფილსოფოს გამომთქმელა,
რიტორ შუშნიერ, ზიტიკოს საქებელ,
თჯთ შოთა იტყვს დილარგეთ უქია მას,
საქებ აწს ესე თქმულთა მათთვს მიზეზთა.

ჩახრუხბაძე ამბობს:

მაუბარისა, მის მდუღარისა
„დილარისაგან“ აღშფოთებულად.

სპარსულ ენაზედ დილარგეთ ნიშნავს: დილ—გულს და გეტ—ლარბს. „დილარიანს“ ჩვენამდე არ მოუწევია იმ სახით, როგორც დაიწერა თამარ დედოფლის დროს. ამ უამად ორი წიგნი გამოცემულია „დილარიანის“ სახელით: ერთი უზარ-მაზარი—შეიცავს 794 გვ.; მეორე პატარა წიგნაკი 48 გვერდიანი. პირველი წამოადგენს „დილარიანს“, აღდგენილს პეტრე ლარაძის მიერ, რომელიც მიიცვალა 1837 წ., მეორე პირ-და-პირ მიეწერება სარგის თმოგველს. სამწუხაროდ, სარგის თმოგველის დილარიანს არც ერთი ამათგანი არ შეიცავს. იგი დაკარგულია ჯერ-ჯერობით და შესაძლოა როდისმე აღ-

მოჩნდეს. ის, რაც სარგის თმოგველის სახელით გამოსცა ზ. კიკინაძემ (ტფილისი, 1897) ჩვენ უკვე განხილულ გვექონდა ხელნაწერად. „ამირან-დარეჯანიანის“ ხელნაწერს (წერა-კითხვის საზოგადოებისა № 1623) დამატებული აქვს თავი ანუ კარი, რომელიც ამირანს არ შეეხებოდა; იგივე მოგვითხრობენ „ჯიმშერ ხაზართა მეფისა დილარის შვილის ამბავთ“. მინაწერი ამასთანავე გვაუწყებს, რომ ეს ორივე კარი ჩაუმატებია ვიღაც ქრცხინვალელს. მართლაც, „ამირან-დარეჯანიანის“ იგი არ ეკარება. აი ეს „ცხინვალელისაგან ჩამატებული კარნი გამოსცა ზ. კიკინაძემ „დილარიანის“ სახელით.

ზ. კიკინაძის მიერ გამოცემული „დილარიანის“ იწყება ამ სიტყვებით: კარი მეათერთმეტე, ჯიმშერ ხაზართა მეფისა დილარის შვილის ამბავი. შემდეგ, როგორც „ამირან-დარეჯანიანის“ ვკითხულობთ: „ისმენდინ, მეფეთ მეფეო, ცხონდი უკუნისამდე, აღიდნეს ღმერთმან მოყვარენი თქვენნი და არცხვიროს ორგულთა თქვენთა“. ამ კარს ერთი გადამწერი შენიშნავს: „ამ ჯიმშერ ხელმწიფის ამბის დაწერა მოსე ხონელს არ ეკუთვნის, ეს მოუგონებია და ზედ მოუქორებია ვიღაც ქრცხინვალელს კაცს, გადამწერს“. ჩვენ უკვე გამოვთქვით აზრი ამ საზი თავის შესახებ და აღვიარეთ, რომ იგი მართლაც არ ეკუთვნის შინაარსით „ამირან-დარეჯანიანს“.*) მაგრამ საექვოდ მიგვაჩნია აგრეთვე, რომ ეს ნაპოვნი ძველი ქართული მწერლობისა წარმოადგენდეს ძველს თამარის დროის „დილარიანს“. რაზედ არი დამყარებული მოსაზრება, რომ ეს ნაწყვეტი მოთხრობისა დილარიანია? მხოლოდ ერთს შემდეგს ფაქტზედ: „ოდესმე მეფესა ხაზართასა დაეპყრეს ყოველნი ქვეყანანი... უძრწოდეს ყოველნივე გარემონი მეფენი, რომელნიცა თვითოვეულად აღწერილი არს სარგის თმოგველისაგან, სიმხნენი და გოლიათობანი სიკბუტყისა მისისანი“. ეს სიტყვები მისდევნენ იმ სათაურს, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ. სათაურში ხომ აღნიშნუ-

*) ნახე ზ. კიკინაძის წინასიტყვაობა „დილარიანისა“, გვ. 29—30.

ლია „ჯიმშერ ხაზართა მეფისა დილარის შვილის ამბავი“, მაშასადამე გამოცემული ნაწყვეტი *) შეეხება დილარის გოჯიათობას კი არა, არამედ იმის შვილის ჯიმშერის მხნეობას. სარგის თმოგველმა ასწერა დილარის ამბავი, ამას მოწმობს გაგრძელება იმ ამონაწერისა, რომელზედაც გვაქვს საუბარი: „ამ უსწოროსა, დიდსა, ძლიერსა... ხელმწიფესა (რომლის შესახებ ზევით სთქვა: ოდესმე მეფესა ხაზართასა დაეპყრეს. ყოველნი ქვეყანანი“), ეწივა სნეულება და გარდაიცვალა. ჰყვანდა ამ უსწოროსა ხელმწიფესა ძმის წული ერთი და იყო სახელი მისი ხოსრო... მოუწოდა ხოსროსა და ანდერძობითა ძე თვისი მცირე ყმა ჯიმშერ შვენიერი მიაბარა“... დასამტკიცებლად იმისა, რომ უსწორო მეფეს, რომლის სიმხნენი აღწერა სარგის თმოგველმა, ერქვა დილარ, მოყვანილია შემდეგი ადგილი: „სიმაღლე დილარისა შავსა მიწასთან გასწორდა, გლოვა... მრავალთა დღეთა სრულ იქნა... მოუწოდა ხვასრომ მთაიარსა-ფალავეანსა მერაბს და რქვა, რათა წარიყვანოს დიდისა ხელმწიფისა ძე დილარისა და ციხეში ტყვის მაგიერად შენახვა ამცნო და თვით გახელმწიფდა“... თვალსაჩინოა აქედგან დასკვნა, რომ დილარის ამბავი აწერა სარგის თმოგველმა, მის შვილის ჯიმშერის თავ-გადასავალი უცნობმა ავტორმა იმ მოთხრობისა, რომელიც ჩართულია შემთხვევით „ამირან-დარეჯანიანის“ ხელნაწერში და გამოცემულია „დილარიანის“ სახელით. ეს მოთხრობა „ჯიმშერიანია“ და არა „დილარიანი“. — იგი გაგრძელებაა სახელგანთქმულის სარგის თმოგველის მოთხრობისა, რომელმაც თავის გულმიმტაცი შინაარსით ააღელვა თვით თამარ მეფე, ისეთივე გაგრძელებაა, როგორც „ომანიანი“ შოთას „ვეფხისტყაოსანისა“ და დამატება ამ პოემასთან, ძველად ცნობილი და აწ უკვე დაბეჭდილი.

*) ჩვენ შევადარეთ ამ გამოცემულს ნაწყვეტს ჩვენ მიერ გამოცემულ ადრე გადმოწერილი პირი და თანხმობა აღმოვაჩინეთ.

„დილარიანი“ დაიკარგა. პეტრე ლარაძემ, ერეკლე და გიორგი მეფის მწიგნობარმა აღადგინა ეს მეთორმეტე საუკუნის მოთხრობა. თუ შევადარებთ პეტრე ლარაძის სახელით გამოცემულს „დილარიანს“ და ამავე სახელით დაბეჭდილს ზ. კიკინაძის მიერ „დილარიანს“, მაშინ მეორე საბუთიც გვეჩვენება აღვიაროთ, რომ უკანასკნელი სრულიად არ წააგავს პირველს და მაშასადამე, არც წარმოადგენს თმოგველის თხზულების ნაწყვეტს. პეტრე ლარაძე გვაუწყებს, რომ მის დროს: „არ იყო ქართველთა შორის წიგნი ყე დილარიანი.“

ამას იტყოდა უოველი—
მოხუცი, ბერი ჭკვიანი—
იყო თამარის დროისა,
ვინ მეუფედ ჰკებდა სვიანი;
მუნ დდიდან არღა გვასშია,
ვართო შით ჭმუნუნანიანი.

მეუფე ერეკლეს, გმირსა, მებრძოლი მწრეწუნ-მატირსა, სწად-
[და თვის დროსა,
რათა ესე ამაჳი ექმნათ წიგნად შენართავნი მისგან დაზრ-
[დილთ მოემეთა,
მაშინ უცალება, საქმის გარემოება არ მამდეჳდა ჟამებსა,
აწ მასთან ზრდიდმან, მწიგნობრობითა მჭმუნველმან, ხელ-
[ვუჳ მის ნაბრძანებსა.

პეტრე ლარაძეს უბძანა მეფე ერეკლემ დაკარგული „დილარიანი“ წიგნად ექმნა, მაგრამ მოუცლელობამ ხელი შეუშალა ეს ბრძანება შეესრულებინა. გმირი მეფე გადაიცვალა, ტახტზედ ავიდა გიორგი მე-XII და ლარაძე ერეკლეს ანდერძს ასრულებს—სთხუზავს „დილარიანს“, მაგრამ ამ ნაწერს წაართმევს მეფის ძე იოანე და ლარაძე მეორედ შეადგენს „დილარიანს“. ამის „მოგონებასა და შეწყობაზედ მრავალი ღვაწლი და შრომა“ მიუღია.

ესე სხვა ახალ შეკამკევ,
ვით მტილი ვუვაილოვანი,
იგი იმასა არა ჰკავეს,
ვით ვარდსა გოგშო თავმისხვილ კვლიანი.
ეს არის დიდად ნაღვაწი,
ჩემგან ქმნილ დილარიანი,
ხელმწიფეებითა მადალი,
ლომ-გულ, მკლავ-შეარიანი.

ეს შეთხზული ლარაძისაგან „დილარიანი“, რასაკვირ-
ველია, არ ჩაითვლება თმოგველის მოთხრობის აღდგენად.
პეტრე ლარაძე ნაკითხი კაცი ყოფილა. იგი იცნობდა ძველს
ქართულს მწერლობას და შეუთვისებია ხერხი და ხასიათი
ძველი გმირული ამბების აღნუსხვისა. იგი ჰბაძავს „ამირან-
დარეჯანიანს“ და „რუსუდანიანს“, როგორც „ჯიმშერიანი“
ამავე თხზულებათა. როცა აზნაური პეტრე ლარაძე, გიორგი
დეკანოზის შვილი *), გადაასახლეს ბატონიშვილებთან ერთად
პეტერბურგს, თავის ნიჭით და ცოდნით მან განსაკუთრებითი
ადგილი დაიჭირა გარდახვეწილ ქართველთა საზოგადოებაში,
როგორც ბევრი შავი დროის მოწამემ (იგი დაიბადა თეიმურაზ
მეორის მეფობას), ალა-მამად-ხანის შემოსევის მნახველმა, ქარ-
თულს ლიტერატურაში გაწვრთნილმა. პეტრე ლარაძემ დასწე-
რა წიგნი „მრავალ-ფერ ყვავილოვანი“, სადაც გალექსა საქარ-
თველოს ისტორია თამარ მეფემდე, ჩაურთო მრავალი სალი-
რიკო ლექსი და იამბიკო. „ყარობ პერტე ლარაძემ, ანუ არ-
ტანჯულმა ტანჯულმა პეტრემ“, როგორც იგი აწერს თავის
ლექსებს, მწერლის სახელი გაითქვა; იმის თხზულებებს ხელ-
ნაწერად ავრცელებდნენ მკითხველს საზოგადოებაში 1860—
1870 წლებშიაც. გამოცდილმა პატარ-პატარა ლექსების შექმნა-
ში, ლარაძემ ხელი მოჰკიდა დიდს თხზულებასაც „დილა-

*) გიორგი დეკანოზმა დასტოვა „ანდერძი“, რომლითაც თავის
შვილებს (დავით, ივანე, იოსებ და პეტრეს) ავალებს ერთმანეთის სიყვა-
რულს. ცხოვრებას განუყრელად ერთს ოჯახში.

რიანს“, სადაც ჩართული აქვს ძველებური ფორმის ლექსები: ჩახრუხაული, ყარიბული, ძაგნაკორული, ფისტიკაური, შაირი, იამბიკონი, მუშაკური. გარდაიკვალა ლარაძე 1837 წ. „დილარიანი“ პეტრე ლარაძისაგან აღდგენილი გამოსცა კნენა მართა შალიკაშვილისამ, ასულმა გადაცვალებულის ივანე ლარაძისამ, რომელიც იყო მესამე ძმა პეტრესი. წინასიტყვაობა ამ წიგნსა უძღვნა მღვ. ზაქარია გულისაშვილმა.

ორივე „დილარიანის“ სახელით გამოცემულს წიგნს აქვთ საკუთარი მნიშვნელობა, თუმცა იგინი ვერ ავსებენ იმ ნაკლს, რომელიც ჩვენს მწერლობაში რჩება სარგის თმოგველის თხზულების დაკარგვის გამო. „დილარიანდგან“, რომელიც ლარაძემ აღადგინა, პროფ. დ. ჩუბინაშვილმა დაჰბეჭდა ნაწიევი თავისს ქრისტომათაში (პეტერბურგი, 1863 წ.). შედარება კნ. მართა შალიკაშვილის გამოცემისა და ამ ნაწიევისა გვარწმუნებს, რომ „დილარიანის“ ხელნაწერები ერთმანეთში განირჩევიან, როგორც უკვე შევნიშნეთ ჩვენს რუსულად დაწერილს წიგნში. პროფ. ჩუბინაშვილი დილარ ხელმწიფის ამბავს იწუებს ამ სიტუეებით: „იყო ხელმწიფისა მის წესი ესე ვითარი, რომელ ოდეს საგონებელი დამამძიმებელი შეუვიდის გულსა თვისსა, შეისეე ჰბრძანის სანადიროსა და ბაღსა თვისსა წასვლა“... შევადართ კნ. შალიკაშვილის გამოცემა (გვ. 24): „იყო დილარ მძლეველისა წესი ესე ვითარი, რომელ უკეთუ დასამძიმებელი რაიმე საგონებელი გულსა შეუხდის, შეისეე ადჯდის ტაიჭსა და ჩადირობასა შექცდის“... ასეთი ფრაზეოლოგიური განსხვავებაა ამ ორ დაბეჭდილ დილარიანთა შორის იმ ადგილას, სადაც მოთხრობილია „დილარს მძლეველისაგან ჩადირობასა შინა ჰოვნილისა მის უცხოთა ერმისაგან საკლოველთა თვისთა ამბავთა თქმა“ (ჩუბინაშვილი, გვ. 114) და „აქა დაწეება მუინვართა მეფის ძის ჩუშრევანის ჰამბავთა“.

„ჯიმშერანის“ შინაარსი მოკლედ შეიძლება ასე გადმოგცეთ: დილარ, ხოზართა მეფემ, სიკვდილის ჟამს ჩაბარა თავისი შვილი ჯიმშერ ძმის წულს ხვასროს (ხოსროს), „რათა ასწავლოს ზნენი სამამცღონი ვიდრე ათ წლამდის და მასუკან მას მისცეს მეფობა“. ხვასრომ კი ფალავანს მერაბს უბრძანა დილარი ციხეში დაემწევიდა

და თვით გახელმწიფდა. დიღარი „მიწვივ შუწუხებუღი იუო... რაზ-
მთა წუობას, გმირთა კვეთებას, ომისა და ბრძოლასა იგონებდა, არც
ღკინოს სვამდა და არც ორძალს უკრავდის“. ერთს ღღეს მეცინოვნე
გაუგზავნა მერაბს და სთხოვა: ან მოჰკლას და ან აცოცხლოს.
ჰატომრობამ ისე შეაწუხა, რომ მეცინოვნეთ დაჰხოცავს და ციხესაც
ღანგრევს. გაგულისღა მერაბი ამის გაგონებაზეღ და ამბის მომტანს
თავი გააკღებინა. შემღეღ მოიგონა „წუაღობა ძღიერისა მამისა მისი-
სა (ვიმშერისა) ღიღარისაგან“ და იფიქრა, რომ მის შვიღის „არცა
სიკვღიღი იქმნების და არცა ტუეუობა“. ღაიხმარა ღიღებუღნი და
ბუშბერაზნი, გამოიუვანეს მიწენიერი ჯიშერი ციხიღგან, აიუვანეს
ოქროს ტახტზეღ და ღაადგეს სახელმწიფო გვირგვინი. აურიღიან
თავსა ღრამასა და ღრაკანსა, ღიღღეს ნაღიმი, მოღღეს მგოსანნი,
იტუოღიან ამოსა ხმასა და შუენიერთა ღუქსითა უსწორისა ახღის
ფიღავანისა ქებასა ჯიშერისასა. მეოთხე ღღეს ამ მეჯღიშის შემღეღ
გაგიღვნენ სანაღიროღ ქორით—ავაზა-შავარღენით. ჯიშერს მოართუეს
ფარი, ჯაჰვი, ზუჩი, ღახტი და ხმაღი და გამართენ ღომთა და
ვეფხვთა ღასახოცაღ. შემოხვღათ ღაშქარი, რომღის წინამღღვარი
იუო „ღიღაღ მებრძოღი ჭაბუგი“. მტრის ღაშქრიღგან გამოხღა
„უბრალო კაცი“ და ჯიშერის მხლებუღლთაგან ბუერი გასწუვიტა.
თვით ჯიშერი გამოღის შესაბრძოღებულაღ და ღაეტაკება მოწინააღმ-
ღეღე ღაშქრის ჭაბუგს, სახელაღ ქუღს. ერთმანეთს „გაღაღეწეს
ხმაღი, მერმე ღახტები იწოღეს, მერმე ისრისა იბრძოღეს და შემ-
ღეღ ხელ-ღა-ხელ ირივნენ. მაისი ჯახება გვანღა ორთა ღიღთა გორა-
თა ჯახებასა და აბჯართა ზეღა ჭებს გვანღა ცისა ჭეხასა“. ომი
აღსარღა. ჯიშერმა ცხენი ღასახღა, უკარ ხმაღი ცხენსა და თავი
აღღებინა“. თვით ჭაბუგი არ მოკღა, მკლავნი შუუკრა და მერაბთან
იუვანა. ჯიშერის შუკაზმუღლობა და ომის აღწერა სხვა-ღა-სხვა
ნაღით, შუღარება ბრძოღის ხმაურობისა „ციხ ჭეხასთან“—ეს სა-
თო აღღიღია ქართუღი და ღასავღეთ ევროპიუღი გმირუღი მოთ-
აბებისა. „ჯიშერიანის“ ღამწერი სარგებლობს ჩუუღღებრივი სქე-
, მიღებუღი ფერაღებით ასურათებს თვისს გმირების: მიწენიერი
ქერი, რომღისა „მსგავსი არა არის უოვეღსა ჰირსა ქვეუანისასა“.

ნადირობა და ნადიმობა მკოსანთა და დამკვრელთა თანდასწრებით, შეუდარებელი ბრძოლა ორ მედგართ ჭაბუკთა შორის, — აი ფარგალი, რომელშიაც მოქცეულია „ამირან-დარეჯანისანი“, „რუსუდანიანი“, ლა-რამისაგან აღდგენილი „დილარანი“, „სირინოზიანი“ და სხვა.

საერთო მხარე „ჯიმშერიანისა“ უკვე ჩვენ მიერ გარჩეულ „ამირან-დარეჯანისთან“*) კიდევ ის არის, რომ დევებს თილისმას და გრძნეულობას აქაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი. როცა გაი-გებს ხოსრო მერაბის გადასვლას ჯიმშერის მხარეზედ და ქულის მიერ თავის სამიჯობელოს დამორჩილებას ჯიმშერისადმი, იგი გან-რისხებულს წერილს გაუგზავნის მერაბს, რომელიც ურჩევს ჯიმშერს გასცილდეს ხოსროს, რომელსაც შეუძლიან „ზღვა დასწყას ცეცხლი-თა და ტინს კლდეც ცვილებრ დააღნობს“. ჯიმშერი, მერაბ და ქუ-ლი წავიდნენ შორს ადგილს, მშვენიერ წყლიან-შინდვრიანს. ხოსრო დამშვიდდა, როცა მიიღო წინარი წერილი ჯიმშერისა. თვით „ჯიმ-შერი“ კი გავიდა სანადიროდ. აქ შესვლება კაცებს, რომელნიც დე-ვეები უოფილან და შიიტობენ თილისმით და გრძნებით დაამინეს და სადა დევთა მეყუე ხუსრუჯან იყო, მუნ მიიყვანეს „მძინარე“. იგი აქ დაჭედეს და ბორკილი დაადვეს. დევებს და თილისმას სხვა საერ-თო მხარე კიდევ აკავშირებს „ჯიმშერიანს“ ქართულს საგმირო მათხრობასთან. მზეთ უნახავი ქალიც აუცილებლივ უნდა მოქმედო-ბდეს. იმისთვის იბრძვის ჭაბუკი და საშიელს გარემოებას დასთრგუ-ნავს. ჯიმშერი დევთა ტყვეობიდან დაიხსნა დედოფალმა, რომელსაც მოახსენა ჯიმშერის გაჭირებული მდგომარეობა ქალმა-დადალმა. ეს დედოფალი ჩინეთის მეფის ქალი იყო, სახელად ქეთევან. ამან გა-მოსთხოვა ხუსრუჯანს ჯიმშერის განთავისუფლება იმ პირობით, რომ ჭაბუკმა შეერთოს დედოფლის ასული დევთან როდენ, რომელი „ასეთი მშვენიერი იყო, რომ გაბადრული მთვარე ცას ვერ განა-თებდა“. მტირალმა როდენმა, როგორც მიღებულა ჩვენს საგმირო მათხრობებში, მოსთხოვა „საგმირო საქმენი“, რათა არ გაჭუვეს

*) ამ გვარავე შინაარსისაა ახლად ნაპოვნი მოთხრობა „ამბავი დათნის ქალაქისა“.

„ერთს გამოუცდელს ტუვეს“. აქაც სქემა ჩვენ: მოთხრობისა მტკიცედ დაცულია. ჯიშური შეებმის როდენის ბუმბერაზთა. ბრძოლა სწარმოებს „მოედანსა, — შებუკე-მედაბლაფენი, ხუსრუჯან-მეფე, დედოფალი ქეთევან, მრავალთ გმირთა და გოლიათთა ცოლები, და შვილები და მოქალაქენი“. საინტერესოა ეს საჯარო გამოცდა გმირისა სატრფოს თანადასწრებით, შეტაკება ორ მოქიშპეთა შორის, როგორც ევროპიულს ტურნირებზედ. ხალხი სულ-განახული ელის ბრძოლას, „ტიროდა და ახვეწებდა, ეკონათ სიკვდილი ჯიშურისა“, რადგან „უოველთა პირველად მბრძოლი მახმურ დევი განვიდის მოედანსა“. დაეტანენ ერთმანეთს, „შემოუვლეს ნავარდი, შეუზახნეს, შეუტივეს; მოუნდა დევი და შუბი შემალეწნა, მაგრამ ვერა ანო და ვერც ახჯარი გაუკვეთა, მერმე ჯიშურ დთვისა სახელი ახსენა, აზიდა მახმურ დევი მთის ოდენა, მალღად შეჭვივლა, დაჭკრა ქვეუანას და ფიცხლავ სულთაგან „დაიცალა“. ჯიშურის გამარჯვება, როგორც სხვა ამ გვარ შემთხვევაში, „იამთ უოველთა და შეასხეს ქება“. მორე დღეს შეება ეყვან-დღეს, რომელიც ჯიშურმა დასცა ლანტი; მესამე დღეს მოიხმო „ქალმან აბერ დევი“ — ამისებრ დევი არ უოფილა: არცა ქაჯმაჯა დევი, არცა ჯინბაჯინ, არცა ჯუნფიშა დევი“, — და სთხოვა შებრძოლება „დატევევებულს კაცთან“. ბრძოლა იმავე პირთა თანადასწრებით სწარმოებს. აბერი დევი გამოვიდა „საშინელი იარადითა, — შავსა რკინის მთასა ემსგავსებოდა; თვალნი ინით ნაღებსა უგვანდეს. შვიდი გულაზისა ოდენი ლანტი წელთა ეპურა, სამნი პირ-ბასრი ხმაღნი წელთა ერტუა, მუზარადი დიდი გუმბაიის ოდენი, შუბი დიდთა ძელთა უმსხოსი, ისარი ქარქაში ეწყო, მალღას მთასავით უვიროდა და ეკრე იტუოდა: შავბედო, აწ გამოდი და გუშინდელი დევთ სისხლი გაზღვევირო!“ ქართული მოთხრობათა სქემის მიხედვით წინ-და-წინვე ვიცით, რომ ეს „მთასავით“ დევი-აბერი მაინც დამარცხდება ჯიშურის მამაცობით. ამიტომ სრულებით არ გვაწუნებს იმისი „საშინელი იარადი“. მართლაც, ჯიშური და აბერ-დევი სამი დღე იბრძვიან. როგორც მიღებულია საგმირო მოთხრობაში, უკანასკნელი „ომი“ უნდა მეტად გაზვიადებული იყოს ავტორის აღწერილობით. „თავმან თქვენმან და

ზენარმან ღუთისამან არცა წინას ომის გვანდა და არცავის ეგეთი ომი უნახავს. საღამომან გაჰყარხა... ვითა გათენდა, შოვიდეს ელ-ველნი მჭურეტელნი და დარიგდეს თავთავისას ადგილას“. ავტორი დაწვრილებით მოგვითხრობს სხვა-და-სხვა იარაღის ხმარებას, ლან-ტით ცემას, რომლის ზუზუნი ,,მეხის ჭკხისაგან უფრო სამინკლი ხმა“ იყო. ბოლოს მანინც ჯიმშერი დამარცხებს აბერ-დეგს და ხანკ-ლით თავს მოსჭრის. თავდება ჩვეულებრივ — დიდებული ქორწილათა ჯიმშერისა და როდენისა, აცნობებს ჭაბუკი თავის გამარჯვებას შერაბს და ქულს, რომელნიც მოეშურებიან ჯიმშერთან და შემდეგ ქორწი-ლისა დაბრუნდებიან როდენითურთ თავიანთ სამეფოში.

მეორე კარი ,,ჯიმშერიანისა“ მოგვითხრობს ჯიმშერის შვილის ჯოჯორის ამბავს. შვიდი წლისა იყო იგი, როცა ლომს ჰკლავს, რო-გორც კატას. შემდეგ წამოიზდება და ორთავიან ცეცხლით მქმინავს გველეშაპს კისერს მოუგრესს. როგორც ჰირველს კარში ჯიმშერის გოლიათობას შეიტყობს ამირანი, აგრეთვე მეორე კარში ჯიმშერის გმირობას უამობენ მსუქაბუკს, რომელიც განწევს ახალგაზდა ჭა-ბუკს თავისთან. გზად, რასაკვირველია, ომი აუცილებულია: დამარ-ცხებს გმირს ქავთარს და შეირთავს ჩრდილოეთის ხელმწიფის ქალს ქამარლუხს. ჩვეულებრივი შეტაკებანი მიღებული ელფერით დახსია-თებულნი არიან. გაზვიადება საშინელი მდგომარეობისა და მტერთა ლაშქრისა აღარ გვაკვირვებს. 120.000 კაცის გაწვევა და 40.000 კაცით სანადიროდ გასვლა ნიადაგ განმეორებულია. სქემა წმინდად დაცულია.

ჩვენ განზრახ შევჩერდით ,,ჯიმშერიანზედ“, რათა აღმოგვეჩი-ნა მისი გარეგანი კავშირი ,,ამირან-დარეჯანთან“ და დაგვესურა-თებინა ჩვეულებრივი სქემა ქართული გმირული მოთხრობისა. მოსკე ხონელის თხზულებასთან ეს მოთხრობა მხოლოდ იმითია დაკავშირე-ბული, რომ ჯიმშერის და მის შვილის ,,ბუმბუკაზობას“ შეიტყო-ბენ ხონელის გმირნი ამირან და მსუქაბუკ... ,,დილარიანთანაც“ ამ მოთხრობას მხოლოდ შემთხვევითი დამოკიდებულება აქვს. უცნობი ავტორი ,,ჯიმშერიანისა“ გვაუწევებს, რომ დილარის, ჯიმშერის მ-მის ამბავი, აღწერა სარგის თმოგველმაო. რამდენად შორს არის ეს

„ჯიშუკრიანი“ „დილარიანზედ“ ამას დაგვიმტკიცებს პეტრე ლარ-
ძის ადღეენილი „დილარიანი“.

რაც უნდა გადაკეთებული იყვეს პეტრეს თხზულება, მა-
ინც აქ უნდა ვეძიოთ მეტი მსგავსება დაკარგულს დილარიან-
თან, რადგან ლარაძე მოგვითხრობს იმას, რაც მას წაუკით-
ხავს და დაუხსომებია ძველად ცნობილი სარგის თმოგველის
ნაწერებიდან.

იყო დიდებული მეფე, სახელად დილარ, ქვეყანასა აბა-
შეთისასა, მოსამართლე და მოწყალე. ერთი ნადირობის დროს
ნახა მოყმე შვენიერი მტირალი, რომელსაც ხელში ეჭირა
„სახე საყვარელისა“. მოყმეს გამოჰკითხეს ვინაობა, — იგი იყო
ნუშრევან, ძე მყინვართ მეფის ფინეზისა. მეორე კარი მოგ-
ვითხრობს ნუშრევანის აღზდის ისტორიას. მეფემ მიანდო
ჩემი აზლად, გვიამბობს ნუშრევანი, ვაზირს ეგროსს და მას-
თან „ზრდიდა ძესა თვისსა მისანდლასა ჩემსა ლარას“. ერთ-
ხელ „ნადირობით მოვიდოდი, გზასა დამხვდა კაცი, მომი-
კითხა, მომართვა წიგნი და სახე შვენიერისა ქალისა... მის
მნათობისა სახისა ხილვამან მიმილო ყოველი სიხარული
გულისა ჩემისა“. წიგნი გამოგზავნილი იყო გულ-ნაზის ბრი-
ტანის (!) მეფის ასულისაგან. გულ-ნაზს სმენია მამაცობა ნუშ-
რევანისა და მხოლოდ იგი უნდა საქმროდ. ნუშრევანი გა-
მოსთხოვს მამას ნებას აილოს ციხე, სადაც გულ-ნაზია გამაგ-
რებული და წავა 30.000 კაკით. ნუშრევანი ბრიტანიის ბრძა-
ნებელის წინადადებით შეებრძოლება ბუმბერაზებს: სპასა-
ლარს რაბიშინს, ბანგასპს, გალიის მეფეს ბურბანს(!), პოლონთა
მეფის ძეს გოჰარს და ყველას დაამარცხებს, გულ-ნაზისაგან
მიიღებს გამამხნეველს წერილს და ტკბილყოლობას. გამ-
ზრდელი ქალის როადამის შუამავლობით ნახვაც ეღირსება
გულ-ნაზის, „სურვილით ფერ-მიხდილისა“. დაამარცხებს კი-
დეც იშპანთა მეფის ძეს პერლისს (კარლოსს), ამერიკის მეფის ძეს
ფორტუნს, ავშტრთა (ავსტრია?) მეფის ძეს იტალის, ბრიტანის
სპასალარს ბარდავს. ამ აუარებელი და გაქიანურებული ბრძო-

ლათა შემდეგ კიდევ შეხვდებიან ერთმანერთს ნუშრევან და გულ-ნაზი. მათი დაქორწინება მაინც არ ხერხდება. ნუშრევანმა უნდა აიღოს ციკლოპელთა ქალაქი გულ-ნაზის მინდობილებით და გაათავისუფლოს იქ დაჭერილი მეფის ასული. ნუშრევანს შველიან მისგან დამარცხებულნი და აწ მეგობრად ქცეულნი კარლოს, ფორტუნე, გოპარ და იტალი. გულ-ნაზი სატრფიალო წერილით აქეზებს ნუშრევანს. გოპარი ზღვათა მეფის ბრიტანის ფალავანს გაგოს შეებრძოლა, მისგან დაიქრება, მაგრამ ნუშრევანი წაეშველება და მოჰკლავს ფალავანს. ციკლოპების დამარცხება კი გაძნელდა, რადგან მათ დიდი რაზმი გამოიყვანეს. მეფის შვილები უკან დაბრუნდებიან გულ-წყლულნი და თვალ-ცრემლიანნი. ნუშრევან მოვა დედ-მამის სანახავად.

კარი მესამე მოგვითხრობს ნუშრევანის მამის, ფინეზის, ამბავს, რომელსაც თვით მეფე უანბობს შვილს. სხვათა შორის ფინეზი გაცნობს აბაშთა ხელმწიფეს „დილარ მძლეველის“ გარემოებასაც. ნუშრევანი მოვა დილართან. ეს მეფე ნადირობას წაიყვანს ფინეზის შვილს. აქ ნუშრევანს საშინელი მხეცი რქით აღიტაცებს. დილარი მიეშველება და მხეცს მოჰკლავს. დილარ წამოვიდა ნუშრევანის ჩაგონებით ციკლოპთა ქალაქის ასალეზად და გულ-ნაზის გამოსახსნელად. აქ დიდი ომი ატყდება. დილარი 1000 ფალავნით 10.000 ჰაბუკთა მათრახით ჩამოჰყრის ცხენიდგან და დაიპყრობს. დილარმა ქალაქი აიღო. მისმა სპასალარმა მარსმა ბრიტანიის მეფე შეიპყრო. ყოველი სიმდიდრე ციკლოპთა ქალაქიდგან გამოზიდეს. განთავისუფლებულს გულ-ნაზს დილარი ძვირფასს პირისნახავს მიართმევს და გადიხდის ქორწილს გულ-ნაზ-ნუშრევანისას. გამეფებულს ნუშრევანს ბრიტანია დიდის აძბით და ძღვნით მიეგებება. ნუშრევანი მიიწვევს დილარს თავის სახელმწიფოში. დილართან „მონარხთან“ ერთად „გალიის ქვეყნით“ წავლენ „ზღვათა მეფის ქვეყანას“ პოლონთა მე-

ფეც. გულ-ნაზს ეყოლა ყრმა და ამისა გამო გასცეს მრავალი წყალობა.

მეოთხე თავი შეიცავს ამბავს დილარისას, რომელიც წავა მუნიციპალიტეტის სანახავად მოხუცებულის ფინეზ მეფისა და თან წაიყვანს მიჯნურთ, — ნუშრევანს — გულ-ნაზს. დიდი ლხინი და მხიარულებაა. აქ გულ-ნაზმა შვა მეორე და მესამე ვაჟი. ფინეზი დალოცავს თავის შვილის-შვილებს. ფინეზს გამოჰკითხავს დილარი მზის ქალაქის ამბავს.

მეხუთე თავში ამ „მზის ქალაქის“ ამბავს მოუთხრობს ფინეზი. ამ ქვეყანაში, სადაც მცხოვრებნი მხოლოდ ღამით გამოდიან მამის სუზოტრის სიკვდილის შემდეგ გამეფდა ანუესია; მეფემ თავის სიცოცხლეშივე თორმეტის წლის ასული აიყვანა ტახტზედ ქალაქს, რომელსაც „ათორმეტი გოდოლი სრულისა იაგუნდისა და სხვათა ძვირფასთა ქვათა“ არტყია. ნუშრევანმა უბოძა „ნამსახურსა როადამს ერთი ქალაქი და შიკრიკს მორეს სამასი სოფელი. ეგროსს, თვისს აღმზრდელს, უბოძა სამი ქალაქი და 1200 სოფელი. აქ მოართვეს დილარს ანუესიას წერილი და „კოლოფსა შინა სახისა“. ანუესია ემზადება, თანახმად განსვენებული მამისა სურვილისა, მისთხოვდეს დილარს. დედოფალი აუწყებს, რომ მის ქალაქს შემორტყმიან მეფენი: ჩინეთის ლასურ, ჰინდოეთისა, ბაბილონისა, ეგვიპტისა, კადუზიანთა, სკვითთა და სხვა. ფინეზი აძლევს დილარს წამალს გრძნებათა წინააღმდეგ და ურჩევს ებრძოდოს მტერთა მხოლოდ ლახტით.

მეექვსე თავი. დილარ მძლეველი გასწევს ანუესიას გამოსახსნელად. მზად შევა მეკობრეთა მეფის ქვეყანაში, შეიპყრობს ფალავანს ნასრის და ინდოელთა ვაჟართა ქარავანს გაათავისუფლებს. ქარავანის უფროსი რაჯიბი მოუთხრობს გრძნეულთა ქვეყნის ამბავს. ინდოთა ეტიკი მუჯარინი გაუძლვება დილარს. ღამით დარაჯობის თავის ჯერით დროს დილარმა შეიპყრო მეკობრეთა მეფე ზორასტანი. დილარმა იგი გაათავისუფლა და მადლობელმა მეკობრეთა მეფემ მიიწვია

სანადიმოდ თავისს ქვეყანაში. აქ ზორასტანმა ფიცი მისცა ოთხი მგლის წინაშე, რომ მისი ერთგული მოყმე იქნება. დილარმა მოაქცია ამ ქვეყნის ხალხი ცისა და ქვეყნის შემოქმედისადმი და ღმერთ-ყოფილნი მგელნი დაახოცინა.

მეშვიდე თავი. აბაშთა თვით მპყრობელი დილარ მძლეველი შევა გრძნეულთა ქვეყანაში, თან მისდევენ ნუშრევან გოპარ პოლონელი, სპასალარი მარსი და 1000 მოყმე. გზაზედ ნახავენ მრავალთა დაქურვილთა კაცთა ძელსა ზედა დამოკიდებულთა—მკვდართა და სულ-მობრძავთა.—ესენი ცეცხლად იქცევინან და ვეშაპის სახით დაუშენენ დილარს ლოდებს ჰაერიდგან. ფინეზის მიცემულმა ქვამ დაიხსნა დილარი განსაცდელისგან. ვეშაპები ლახტით დახოცა. მეორე დღეს შეხვდათ ოთხი ლომი, რომელთაც „მოეტაცნათ შვენიერნი ყმანი“. სამი ლომი მოჰკლა დილარმა, მეოთხე გაექცა და იქცა ცეცხლად. ლომის (სპილოს) ხმაზედ გამოჩნდა აღკურვილი ჯარი, რომლის გაწყვეტას დილარი სამი დღე მოუნდა: დილარმა დაანგრია გრძნეულთა ციხე და იქ მყოფნი გაათავისუფლა დედათა ჯარისაგან, რომელიც თვალეებში მიწას აყრიდა. დილარმა თავი დაიცვა ფინეზისაგან მიცემული წამლით. დახოცავს ყრმათა „ტიგრებად“ ვადაქცეულთ, მოხუცებულთ, რომელნიც დღეს დაანელეებენ; მარსი, გოპარი და დილარ დაღეწავენ ფოლადის კაცებს, გაანადგურებენ მგელთა, კრავთა ბრბოს, რომელნიც ქალებად და ყრმებად იქცევინან, ვეშაპებს და მარტორქებს დაამარცხებენ. გრძნეულთა მეფე გორშარაბი, ძლეული დილარისაგან, ითხოვს დილარისაგან შეწყალებას.

თავი მერვე. გორშარაბმა უამბო დილარს ამბავი მზის ქალაქის, სადაც მზე მუდამ ანათებს. 300,000 მუშაკით გასწევს დილარ ანუფსიას ქალაქში შესასვლელად. გვირაბით შეიპარებიან დილარი, მასთან გოპარ, ნუშერვან და ზორასტან მხლებელითურთ. „სურვილისაგან“ ძლეული გულ-ლომი დილარ ცხენიდგან გადავარდება და დიდი გოდების შემდეგ

ძლივს მოიყვანენ გონებას. ოთხი სპასალარი გადუდგებიან მზის ქალაქის ხელმწიფეს და შეეტაკებიან დილარს. „აბაშთა მპყრობელი“ დაამარცხებს მათ და ანუესიასაგანაც მოუვა მოციქული ზეფირი, რომელსაც შეეყრება გოდლის ბალში. დილარ ცრემლით ევედრება ზეფირს დახმარებას. ზეფირი მოახსენებს ანუესიას, ვითარ იტანჯება გონება-მიხდილი დილარ მძლეველი. ანუესია შეიბრალებს სატრფოს, გაუგზავნის სკიპტრას, ამშვიდებს და სთხოვს საქორწილოდ მოემზადოს. დილარ გამხიარულდება და მიიღებს მონაწილეობას ვაზირი ჯანუჯანის მიერ გამართულს ნადიმში. ანუესია ამას შემდეგ მიიწვევს თავისთან დილარს.

თავი მეცხრე. ჯანუჯანი წაუკითხავს დილარს ანუესიას მამის ანდერძს. მეფე სეზოსტრი აბარებს ანუესიას დილარს, აბაშეთის მპყრობელს. სეზოსტრი ანდერძში იმასაც აღნიშნავს, რომ ანუესიას სამი ლამაზი ვაჟი ეყოლება. დილარ მიუტევებს „შემკლდეთა ოთხთა სპასალართა“, ჯანუჯანის შვილის-შვილს, საურმაგის ასულს მიათხოვებს გოჰარს, ზეფირს — მარსსა და დიდებულის ასულს სოსანას — ლარსა. ქალაქს კეკელასა ჯანუჯან გადასცემს დილარს 4000 სალაროთა გასულებს. საუცხოვო ნადიმს გადიხდიან წყლის პირსა. საურმაგი მეფედ აკურთხა დილარმა და თვით დაადგა სამეფო გვირგვინი. ამ დროს გორშარაბისაგან მოსდის დილარს წერილი, რომლითაც აცნობებს ჩინეთის (პეკიანის) ხელმწიფე ლასურ დაეცა მას და სთხოვს შემწეობას. შეტაკება მოხდება ანუესიის თანხმობით. დედოფალი უყურებს ბრძოლას გოდლის ბანიდგან. 100 მოყმე დილარისა შეებრძოლებიან 1000 გმირთა ლასურ ხელმწიფისასა. დილარის მოყმენი გაიმარჯვებენ და ჯილდოდ მიიღებენ 1000 მნათობთ ქალთა. ამ ომში ჩაერევა ბუხართა მეფეც შაბანდა, რომელიც ლასურის „კიტაიისა“ მხრივ ებრძვის პოლონთა მეფეს გოჰარს. აგრეთვე შეებრძოლებიან ცეიათელთ მეფე ჰერამ და ნუშრევან მზის ქალაქის მოედანზედ. ლასურს ვერც 60.000 სპილომ 30.000 კაბუკით უშველა; დილარმა

თვით გაჭფანტა იგინი. ლასურ მოციქულით ითხოვს დილარისაგან „კვალად გამოსვლას და შებმას“. ყურყანელი მეფე სურუტაშიაც დაამარცხა დილარმა და შემდეგ თვით ლასურიც ცხენიღვან ჩამოაგდო. დილარმა სულ-გრძელობა გამოიჩინა: ლასური და ტყვენი გაათავისუფლა და დიდი ნადიმი გადაიხადა. შემდეგ წავა სანადიროდ „მშვენიერს ქვეყანას“ ლასურ და ნუშერვანის თანდასწრებით. დაიხსნის ამათ შთანთქმულთ ვეშაბთაგან. დაბრუნდებიან ქალაქს და აქ მოელის დილარს პატარა განსაცდელი ანუესიასაგან, მაგრამ უკმაყოფილება თავდება შერიგებით და აბაშეთის მძლეველი სტკებმა თავის სატრფოთი.

მეათე თავშია მოთხრობილი ბრძოლა დილარისა სკითთა მეფესთან, სახელად ხაყან. ნაზად და თვალ-ცრემლიანი გამოეთხოვება ანუესიას და მხიარული დაბრუნდება გამარჯვებული.

მეთერთმეტე თავი შეიცავს ბრძოლას კადუზიანელთა ფარსმან მეფესთან და ყმათა მისთა კაცის მჭამელ ფალავანთა. ესენი თავყანს სცემენ არმაზს, ზადენს, გაცს და გაიმს. ფარსმანს და დილარს უმზერს ანუესიაც. ფარსმანი, დილარის ქველობით შეპყრობილი, დაუმორჩილდება მას და მართალსა სარწმუნებასა უქადაგებს თავის კაცის მჭამელთ ქვეშევრდომთა. ლასურს მოუვა არა სასიამოვნო წერილი, რომ პეკინის დედოფალს კასიას მიჯნური გაუჭენია. იგი წავა პეკინს. ანუესია გადაიხდის დიდს მეჯლისს.

მეთორმეტე თავში აწერილია ბრძოლა დილარისა ინდოეთის, ბაბილოვნის და ეგვიპტის მეფეებთან. დილარ გავა სპასალარის ყამჩარ ყანის და 9000 ქაბუკის თანხლებული. ბაბილოვნის ხელმწიფე ვილოს, ინდოთა — ფახფურ ამირბარით სარრიდან, ეგვიპტისა — ფაროს დამარცხებულ იქმნენ დილარის მიერ.

კარი მეათსამეტე, თავი იგივე. დილარ დაბრუნდა დიდებით კეკელას, ქალაქს მზის ქვეყნისას, ახლა კი გადაიხადეს ქორწალი დილარ და ანუესიასი. დილართან ხლე-

ბულნი შეფენი ბრუნდებიან სახლში. ანუესიას ეყოლება სამი ვაჟი. ამათ აუშენებს ჯანუჯან დიდს გოდოლებს, რომელსაც გარშემო დარაჯად სპილენძის მხედარნი არტყია. ლითონის ლომი მეფის სასახლის წინ საშინელი ხმით ექვსი თთვის წინ შეატყობინებს დილარს მტრის მოახლოებას. მხედართ შეუძლიანთ 1000 ისარი გაისროლონ ერთს საათში და გააპონ ქვა და რკინა.

მეთოთხმეტე კარში მოხსენებულთა სადარბაზოდ მოსვლა სხვა-და-სხვა მეფეთა და დიდებულთა ძღვნის მოტანა. თვით დილარ წავა თავის სახელმწიფოს სანახავად. ქალაქს მარგარიტს გამართავს დიდს ნადიმს. ვაზირი ეგროსი დასდგავს დიდს ძეგლს და ზედ წააწერს დილარის მოქმედებას: 30 მეფე გვირგვინით თავ-მოხრილნი არიან გამოსახულნი ნიშნად მათ მორჩილებისა დილარისადმი. ძეგლს თავზედ ედგა არწივი ფრთა გაშლილი და „ოც-და-ოთხსა ჟამსა თვითოსა ჟამსა ესრეთ ძლიერითა ხმითა დაიზახებდა: „ადიდეთ, ადიდეთ, ადიდეთ დილარ მძღვეელი, ხელმწიფა ანუესია, ძენი მათნი და ნაყოფნი მათნი“. დილარ დაბრუნდება მზის ქვეყანას და თან წამოიყვანს 10.000 აბაშელს, რომელთაც შეჰრთავს 10.000 ლამაზს ქალს.

ამით გათავდება „დილარიანი“, დიდი „ღვაწლით და შრომით“ შეწყობილი პეტრე ყარიბი ლარაძის მიერ პეტერბულს, როდესაც იგი „სვისაგან გამწარებული“ იყო, შემდეგ პირველი შრომილი „დილარიანისა“, რომელიც წარსტაცა გიორგის მეფის ძემან იოანემან.

პროზად დაწერილს დილარიანს ჩაურთო ლარაძემ ლექსებიც, რომელნიც შეიცავენ იმავე აზრს, რაც ნათქვამია პროზად. გაზვიადებული, რიტორიული ელფერი ვერ ქმნის მის ლექსს პოეტურს ნაწარმოებად. ლარაძე ჰბაძავს ლექსთა წყობაში ჩახრუხას და ძაგნაკორელს, პროზად „ამირან-დარეჯანიანს“ და „რუსუდანიანს“. შოთასაც ჰქონია მასზედ გაგონება: შეყრა დილარის და მტირალი ნუშრევანისა აღწერი-

ღია მსგავსად როსტევეანისაგან ტარიელის ნახვისა წყლის პირას. როგორც ნესტან დარეჯანს ჰყავს მოახლე ასმათი, აგრეთვე ანუესიას — ზეფირი.

ავტორი ცდილობს ძველი ენა დაიცვას და ამ საშუალებით „დილარიანი“ დაუახლოვოს მეთორმეტე საუკუნის ნაწერს. იგი ხმარობს არქაიზმებს: უტევეანი, ხეასტაგი, შუშარობა. საყურადღებოა ხმარება ნაწილოვანისა ეე. მაგრამ ამასთანავე ავსებს თავის აღდგენილს „დილარიანს“ ნეოლოგიზმებით, ახალის ტერმინებით და სიტყვებით, რომელნიც ძველს ჩვენს მწერლობას არ სცოდნია: პოლონეთი, კიტაია, ბრიტანი. ამავე დროს მოქმედებენ ბაბილოვნის მეფე ვილოს, ინდოთა ფახფურ, ეგვიპტისა ფაროს (ფარაონ?). სახელები უხერხულად არიან გამოგონილნი, თანამედროვე ისტორიული სამფლობელონი არეულნი არიან, ანაქრონიზმები მიუტყვევებელ შეცდომებით არიან გაფანტულნი. ლარაძეს, რაც სცოდნია საქართველოს ისტორიიდან და წაკითხული წიგნებიდან, დომხალივით ერთმანეთში აურევია. აფროდიტა, მინერვა, მარსი, ახერონი, ცირცეა ბერძენთა მითოლოგიისა დასახელებულნი არიან ქართველ წარმართთა ღმერთთა გვერდით.

ომის და ლაშქრობის აღწერაშიაც ვერ დაუცვამს ზომიერება. ჰიპერბოლიზმი, გაზვიადებული მტერთა შემუსრვა და გაუთავებელი ბრძოლათა აღწერა სწყინდება მკითხველთა... ახალ-ახალი ელფერით არ ამკობს შემდეგი კარის მოთხრობას. წინ და წინვე შეგვიძლიან ესთქვათ, რომ რამდენი ჭაბუკი, ლომი და სპილოც უნდა ჰყავდეთ დილარის მოწინააღმდეგეთ, უკანასკნელნი მაინც დამარცხებულნი იქნებიან. განმეორება ერთხელ აღწერილი ბრძოლისა ასუსტებს ინტერესს და მკითხველის ყურადღებას. დილარიანს აკლია დრამატიზმიც, რომელიც მოსე ხონელის მოთხრობაშია გატარებული. ლარაძის „დილარიანი“ ფუჭი ცდაა ძველი მოთხრობის აღსადგენად.

IV. შ ა ვ თ ი ლ ი.

მეთორმეტე საუკუნის პოეტთა შორის უპირველესად გამოდის შავთელი, რომლის შესახებ რუსთაველი ამბობს: „აბდულმესია—შავთელსა (უჭია), მას ენა დაუშრობელსა“. პოემის გარდა შავთელს ეკუთვნის „კვინკლოსი“ ანუ კალენდარი აღდგომის და მოძრავი დღესასწაულების გამარტებით. კვინკლოსსა (ქორონიკონს) შეადგენს 532 წელი და როცა ეს წრე დასრულდება, კვლავ იწყება ანგარიში პირველი წლიდან. ამ ჟამად მესამე კვინკლოსი მიმდინარეობს ქართული ქორონიკონით. პირველი დაჯდა 780 წ., მეორე 780+532=1312 წ. მესამე 1844 წ. შავთელი უნობილია აგრეთვე როგორც სამოქალაქო მოღვაწე. იგი იყო სახელმწიფო მდივანი თამარ დედოფლის დროს. შემდეგ ბერად აღიკვეცა გელათის მონასტერში და მიიღო სახელად იოანე. ეს „განთქმული მოღვაწე და ლექსთა გამომთქმელი მიიცვალა 1233 წელს. პოემას, რომლითაც შავთელმა გაითქვა სახელი, ეწოდება „შესხმა თამარ მეფისა“ (და მეუღლისა მისისა დავით სოსლანისა). დაწერილია ეს ქება მეთორმეტე საუკუნის მიწურულს წლებში. ხელნაწერებს შავთელის პოემისა ნაკლებად მოუღწევიათ ჩვენამდის. ისინიც წარმოშობილნი არიან ერთი დედნიდან, რომელიც გარყვნილია უსწორ-მასწორო სიტყვებით და გაუგებარი ფრაზებით. დაბეჭდა იგი პირველად პლ. იოსელიანმა (რფ. 1838) და შემდეგ დ. ჩუბინაშვილმა ქართულს ქრისტომათიაში 1863 წ. აქედან გადმობეჭდა ზ. კიკინაძემ. დაბეჭდილის შეცდომები და უსწორ-მასწოროდ წაკითხული ადგილები გამრავლდნენ კორექტურული შეცდომების წყალობით. დიდი შრომა უნდა ტექსტის აღდგენას. ამ საქმეს ხელი მოჰკიდა პროფ. ნ. მარმა. შეასწორა რამდენიმე ადგილი, მაგრამ თითქმის არც

ერთი არ იქმნა მიღებული მ. ჯანაშვილის მიერ. *) თავდაპირველად უნდა შევნიშნოთ, რომ შავთელის პოემა, რომელსაც რუსთაველი იხსენიებს „აბდულ მესიად“ წინად დაკარგულად მიაჩნდათ და „შესხმას თამარ მეფისას“ სთვლიდნენ სხვა მეორე ნაწერად იმავე შავთელისას. შემდეგთ დროთა გამოკვლევამ დაარწმუნა მეძიებელნი, რომ „აბდულ მესია“ და „შესხმა თამარისა“ ერთი და იგივე თხზულებია. ამ პოემის შინაარს შეადგენს თამარ მეფის შესხმა. ნ. მარრი წინააღმდეგია ამ აზრისა. იგი ამტკიცებს, რომ შავთელს სახეში ჰყავს დავით აღმაშენებელი და არა თამარ მეფე. ამიტომაც, საცა შავთელს დასახელებული ჰყავს თამარი, იგი ჰკითხულობს და სცვლის დავითად. მეორე ტაეპის დასაწყისი შავთელის პოემაში ასე იკითხებოდა წინად:

შემოკრბით ბრძენო, ათინელთ ძენო,

თამარს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა.

ბ-ნმა მარრმა თანახმად თავის მოსაზრებისა შეასწორა და ამ შეცვლილ ტაეპს ჰბეჭდავს ასე:

შემოკრბით ბრძენო; ათინელთ ძენო,

დავითს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა.

ამ გვარადვე თამარის მაგივრად დასვა:

მხნედ ვარ და ვაქებ ჩვენს დიდს უფალს დავით მეფესა.

საბუთად ამ ცვლილების მოსახდენად ბ-ნმა მარრმა ის წამოაყენა, რომ მესამე ტაეპში საქებელს პირს პოემისა ავტორმა უწოდა ძე („ძე ადამისა მსგავსად ამისა, ვისცა ეხილვონ მამცნონ სადარი“) და ძეო, ამბობს პროფესორი, ნიშნავს ვაჟი შეიღს და არა ასულსაო. აგრეთვე შეუფერებლად მიაჩნია, რომ თამარს მე-ნმ ტაეპში მიეწერებოდეს სიტყვები „მამა ობოლთა“, აგრეთვე მოუხერხებელია თამარის შედარება სამსონ, ნებროთ, როსტომ — ზაალ — უთრუთთანაო. ეს

*) Н. Марр. Древне-груз. описцы (Спб. 1902). м. ჯანაშვილის გარჩევა „ივერიაში“ 1902 წ. № 160, 162 და 167.

მოსაზრებანი თამარის მაგივრად დავითის შესაქებლად წამო-
ყენებულნი არ არიან საკმარისნი და შესაწყნარებელნი. „ძელ“
თამარს უწოდებს ჩახრუხაძე და რუსთაველიც, როგორც მასვე
ეძახიან თამარ მეფეს და არა დედოფალს. „მამად“ იგი იხ-
სენიება „ქართლის ცხოვრებაშია“: „მე ვარ მამა ობოლთა,
მსაჯული ქვრივთა“. ამას გვერდით უდგია შავთელის სიტყვე-
ბი, მე-ნჱ ტაეჱში მოყვანილნი:

მამა ობოლთა, მსაჯული ქვრივთა,

შიშეუელთ სამოსლად მონიჭებუელი.

რაც შეეხება თამარის ვითომ მოუხერხებელს შედარებას
სხვა-და-სხვა დაბადების და როსტომიანის გმირებთან, არც
ეს უნდა გვაბრკოლებდეს შავთელის საქებელ პირად ვიცნოთ
სახელოვანი და ძლიერ-მოსილი დედოფალი და მეუღლე მისი
დავით, რადგან ჩვენს მატრიანეშია თამარისთვის ეძებენ ისეთ
საქმროს, ვითარც იყო თამთა თანიმანისათვის, ამირან ხვარაშა-
ნისათვის, მზექბუკ ხაზართა მზისათვის, რამინ ვისასთვის, იაკობ
რაქიელისთვის, იოსებ ასანათესთვის, დავით ბერსაბესათვის ო სხ.
მემატიანე დაურთავს, რომ დავით სოსლანი, თამარის საქმროდ
ამორჩეული, ბაგრატიონი ჩამომავლობით, „იყო ფრიად შვე-
ნიერი, ნაკვთად კარგი, ბეჱ-ბრტყელი, პირად ტურფა, ტა-
ნად ზომიერი, კეთილად ზრდილი, მხნე, ძლიერი, რაინდო-
ბითა და მშვილდოსნობით უსწორე შემმაერთებელი. თამარი
დასთანხმდა სოსლანის შერთვას, რადგან იგი ეძებდა „საყდრის
მკვიდრს“, ფერემის შთამომავალს ბაგრატიონს, რომელთა შტოც
მომდინარეობდა ლეგენდით თვით დავით წინასწარმეტყველიდ-
გან. ამიტომ ამბობს შავთელი, რომ დავით წინასწარმეტყვე-
ლის შთამომავალს ღმერთი არ გამოაკლებს მეფობასაო:

„დავითისადა, დავითისადა, ეფუტა უფაჱს სიტყვა-მტკიცედა,
ნაშობნი შენნი, შენ მიერ შენნი, დავსვა მსაჯულად საყდარს ზედა“.
ჩახრუხაძე ამბობს:

ისერის ისარსა, ვიტყვი: ის არსა ეფრემის ძირთა აღმორჩებულად.
„ქართლის ცხოვრებაში“ თვით თამარი იქება სიმშვი-

ღითა დავითიანთა, სიბრძნითა სოლომონიანითა, სიმხნითა და საურავისა დღესისა ხვალისა არ მიგდებითა ალექსანდრია-ნითა“... „სჯულისათვის მეორე კონსტანტინე“, „ეწოდა ნათლად ულუმპიანელ“.

რაც ითქვა ბ-ნი მარკის მიერ თამარის საწინააღმდეგოდ, არ აღმოჩნდა დარღვევას მოკლებული. „აბდულ მესია“ სახელად უფრო უპრიანია და შეესაბამება დავით აღმაშენებელს, ვიდრე თამარსაო, განაგრძობს პროფ. მარკი. „აბდულ მესია“ არაბულად ჰნიშნავს „ქრისტეს მონას“. დავით აღმაშენებელს ეწოდა ეს სახელი, რადგან შავთელის სიტყვით იგი იყო „ქრისტესთვის მთხვევი თვისთა ოფლისა“. არც ერთს მეფეს საქართველოსას იმოდენა ღვაწლი არ მიუძღვის ქრისტიანობის აღსამაღლებლად, რამდენიც დავითსაო. მოყვანილია ამ აზრის დასამტკიცებლად საბუთები და ფაქტები რომელნიც ცნობილნი არიან ჩვენს ისტორიაში: მაგალითად „ძეგლის წერა“. აღნიშნულია სიქველე და ძლევა-მოსილობა დავით აღმაშენებელისა და შეფარდებულია შავთელის სიტყვებთან. სხვათა შორის უპირდაპირებს პოეტის ლექსს (ტაეპი 49): ვით მზე ღალიად, ეგრეთ მალიად, მორბედად „შავს ტაიჭს ზე ზისა“ და „ქართლის ცხოვრების“ ცნობას დავით სოსლანის ცხენის შესახებ; რომელსაც ეწოდება „ზერდაგი“. აქედგან ის დასკვნა გამოჰყავს, რომ დავით სოსლანი არ უნდა იყვეს შავთელის პოემაში შექებული, რადგან მისი ცხენი ცნობილია მატთანეში „ზერდაგის“ სახელით და არა „შავს ტაიჭად“, როგორც ამკობს შავთელი. სიხანსო, დავით აღმაშენებელს უყვარდა შავი ტაიჭიო. ეს ადგილი დასამტკიცებელ საბუთად არ გამოდგება. „შავი“ ისეთი ეპიტეტია, რომელიც ჩაითვლება მუდმივ, გაქვავებულ ეპიტეტად. ასეთი ეპიტეტები იხმარება უადგილო-ადგილასაც, ჩვეულებრივ, როცა კი ტაიჭზედ ჩამოვარდება ლაპარაკი. ამ გვარი ხშირად უაზროდ ნახმარი ეპიტეტები შეგვხვდება ყოველი ერის პოეზიაში და სხვათა შორის ჰომიროსის პოემაშიაც, საცა შეუ-

ფერებლად დაურთვეს მაგალითად სიტყვას „მელორეს“ ეპიტეტი „ღვთაებრივი“. აქედგან შესდგა „ღვთაებრივი მელორე!“

არც ის არის დასაჯერებელი, რომ დავით აღმაშენებლისთვის ყოფილიყო შესაფერი ქრისტიანობის დაცვა. თამარ მეფის მატთან და გარდმოცემა ამ მხრივ უფრო მაღლა აყენებს „ღვთის სწორს მეფეთა მეფეს“. თუ დავითმა გამოსქრა ფულზედ ზედწარწერა არაბულად, „მახვილი ქრისტესი“, ამ გვარსავე წარწერას ვხედავთ ფულზედ თამარ-დავითის შესახებაც, სადაცა თამარ-დავით მოხსენებულნი არიან „შემწედ“, „შედგად“. არაბულად ამათ დროის ფულს აწერია: დედოფალი, მაღალ ხარისხოვანი, დიდება სოფლისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, შემდეგი მესიისა, ღმერთმან აღიღოს ძლიევანი მისნი.

შავთელის პოემა უნდა მიძღვნილი იყოს თამარის საქებრად. პოეტი მოწამე იყო საკვირველ საქმეთა თამარის „მეფედ ცხებულისა“. ძლიევა-მოსილობამ თამარს სახელი მოუპოვა შორეულს ქვეყანაშიაც. სოჭხეთის ისტორიკოსი კირაკოსი, მუსულმანი მწერალი იბნ-შედდანი და რუსის მეფე იოანე მრისხანე მოწმობენ მის განსაცვიფრებელ მოქმედებას: გამარჯვებას სპარსელებზედ. მფარველობას წმიდა ადგილთა, გაუკეთესობას ხალხის მდგომარეობისას საქართველოში. საერთო აღტაცებამ, რომლითაც აღსავე იყო ერი თამარ მეფისადმი; როდესაც მემატთანის სიტყვით: თამარის შესხმათა დასწერდნენ ბეჟედთაზედა და დანათა, არგანთა შეამკობდნენ და ზედ თამარის ქებას დასწერდნენ, ყრმანი თამარის ქებას მეღეჟსეობდიან, მეჩანგენი შესხმათა მუსიკობდიან, ალაფრინა ნიჭიერი მწერალი, აამუსიკა მისი ენა, შეაწყობინა ლეჟსი, „აღძრა ბაგენი შესხმად ქებისა“ იმ ქვეყნად მპყრობლისა, რომელიც თანამედროვეთ იხილეს: მხნე, ლმობიერი, ქველი; ძლიერი, ჰაეროვანი, მტკიცედ მფლობელი, შარავანდ გმირი, ორგულთ გამგმირი“. თუ უცხოელნი აღიტაცა შესხმად თამარისა, გასაკვირველი არ უნდა იყოს, რომ მეფესთან დაახლოვებულნი

პირი და მასთანავე განთქმული პოეტი მოისურვებდა თამარის ქებას, რომელსაც ადამის ძეთა შორის მსგავსი არ მოეპოება, სადარი მისი ვერ ჰპოონ „აღმოსავლეთით და დასავლეთით, სამხრით ჩრდილომდის“. თამარის სახელგანთქმულობა პოეტიურად გაზვიადებული ჰპოებს ისტორიულ ახსნას. სოკრატისაებრ სწავლულნი და „ვარსკვლავთ-მრიცხველნი“ ვერ შესძლებენ შესაფერი ქების თქმას დავითის შთამომავლისა: „დავითსადა, დავითსადა, ეფუცა უფალს სიტყვა-მტკიცედა: ნაშობნი შენნი, შენ მიერ შენნი, დავსვა მსაჯულად საყდართა ზედა“. ამ დავით წინასწარმეტყველის შთამომავალია თამარი და მისი მეუღლე დავით სოსლანი. პოეტი შესხმას მოახსენებს თამართან ერთად მის მეუღლესაც. ამიტომ ადგილ-ადგილ იხსენიებს ორივეს ერთად და ხმარობს მრავლობითს რიცხვს. ამიტომაც შესავალში შავთელი ამბობს: „სამეზით ღმერთმან, არსებით ერთმან, მომცეს მე სწავლა თქვენდა შემკობად“ (ტაეპი პირველი). როცა თამარს და დავითს ერთად მიჰმართავს, მაშინ ხმარობს ნაცვალ-სახელს თქვენ: „თქვენთვის დიდებით ცუდ მიდ-მოდებით სიტყვა შევკრიბნეთ უნდა რამენით“ (ტაეპი მე-101) ანუ: „ცეცხლი ბნელისა, გარესკნელისა; მატლი ღრქენისა, წამლიანისა... ორგულთ ეწიოს, ვერ განეწიოს, ურჩი ვინც იყოს ტახტის თქვენისა“ (ტაეპი მე-104) „ეფიცავ მე მალლით, რომ თქვენის გაყრით ჰკლებოდეს ეამსა დღეთა ჩემთასა“ (ტაეპი მე-106); უკანასკნელი ტაეპი:

თუმცა თქვენ ბრგვნილთა, უნდო უხმართა
ენათა მიერ შესხმად ვერ უძლეთ,
თქვენ სცვალეთ ბნელი, წუჟდადი ბნელი
მზედ ნათლად ცხოვლად და განანათლეთ,
განმართეთ ცუდნი, სიტუგანი მრუდნი,
კეთილად სცვალეთ და განმართლეთ,
გვედრებ თქვენ ხელად, ქებისა წილად
ჩემგან დუმილი თვით მიითვალეთ.

ამ გვარი მაგალითები კიდევ შეგვეძლო ამოგვეწერა, მაგ-

რამ ესეც საკმარისად მიგვაჩნია. მივმართოთ ახლა იმ ადგილებს, სადაც სათითაოდ აქებს თამარს და დავითს; ამ შემთხვევაში იგი ხმარობს ნაცვალ-სახელს შენ და მხოლოდობითს რიცხვს: „ბრძენი რიტორებს მისთვის სამოთხით“ (ტაეპი მე-8); ეს ქება და შემდეგიც მიმართულია თამარისადმი; „თამარ მეფესა, მტერთ სისხლ-მჩქეფესა, უკვდავთ წყაროსა, ცას სამყაროსა, სხვათა მძღვეფლსა, თვით უძღვეფლსა, მზედ სახოვანსა... მხნედ მისთვის ვიყო, სული გავიყო, უფალსა ჩემსა, რამც გამყაროსა“ (ტაეპი მე-11). რა თქმა უნდა, ეპიტეტი „მზედ სახოვანი“ ეკუთვნის თამარს და არა დავითს (თუნდ იგი აღმაშენებელიც იყოს). მე-14 ტაეპში კიდევ გაიმეორებს: „ვის ძალუცს მისებრ პოვნისა“.

თამარს აღიღებდნენ ყრმანი და ბერნი. მხოლოდ თამარ მეფეზედ შეეძლო პოეტს ეთქვა ის, რაც არ შეეფერება დავითს: ქრისტეს სძლობა, ოსებში მყოფი, ოსებზე შუქ-მიფენა, გვირგვინის მართვისებრ მეუღლეობა, ხალიფას მონება და მისგან ახალის ფასის აღება, დაპყრობა ლიმონის კიდისა და ონორის დუქზედ გამარჯვება, ისაკის მაგვარ კურთხევით პირმშობა *), ჯალის (ჯულის აღება) და სხვ.; თამარის მეუღლეს შეეხება მე-6 ტაეპი: „დავით ძლიერი, მხნედ საშინელი უფლებს და მთავრობს ურჩთ შემწველობა“. შავთელი, როგორც ის დავით, ესე იგი დავით წინასწარმეტყველი, აღსდგა მუსიკობად და შემკობად თამარის, „ეთერ ბრწყინვალის“. პოეტი შეაქებს თამარს, როგორც „ადამის ძეს“ და როგორც მეფეს, სახელმწიფო მოღვაწეს. ვითარცა „ძე ადამისა“, იგი საქებია სილამაზით და მაღალი ზნეობით: ხმა ტკბილი იადონისა, ნაძვი ლიბანით, მირონ-გუნდრუკი, თაფლი-მანანა, ნარგიზ ლაფროტი, ია-მაკროტი, ალვის ხის ტანი, რტო გაფენილი, მზრდელი მონათა, მზე სახოვანი“ — შეადგენენ პოეტის შედა-

*) დემეტრეს გიორგის ძმისწულს ეკუთვნოდა უპირატესობა შობითაც და უფლებითაც წინაშე თამარისა, გიორგის ასულისა.

რებითს რეპერტუარს თამარის პირადი ღირსების დასაფასებლად. იგი საქებია კიდევ იმიტომ, რომ მას „აქეს სიბრძნის დასაბამ შიში უფლისა, შრომის მოყვარეობა, სიბრძნე, რიტორობა *), ნათელი, წრფელი, უბრწუნელ მყოფელი, — ფიცში უფროს მტკიცეობს ანდამანტისა, გონიერი მეცნიერი და გულხმიერი, როგორც მეფეს პოეტი უძღვნის ქებას „სხვათა მძლეველს და თვით უძლეველს“ ქვეყნის მპყრობელს.

სამეფო მოღვაწეობაში შეათელი ორს მხარეს უქებს თამარს: გარეშე საქმეთა და მხედრობათა გამარჯვებას და შინაურს წეს-წყობილების დამყარებას. პირველს მხარეს შეეხება შემდეგი ტაეპი (19):

მხედრად ქველობით, უძლეველობით,
სახელ უსწორო ანაკებითა,
უფლად სხასპეტთა, თვით ქალაქპეტთა
აქეს-და გოდოლნი ანაკებითა,
მშვილდთა მაზრაკა, უქმნა მტერთ რაკა,
გულსა უწყალოდ ანაკებითა...

ამავე საგანს უძღვნის მე-31 ტაეპს:

იუგის რაზმითა, ურიცხ რაზმითა,
გულის მღებულად თვისთა სხათათვის,
გორგასლიანი, დავითიანი
დროშა იახლის მსერულად მტერთათვის,
არ ვეჭვებ ეგზომი ბრძოლა და ომი,
სხვასმცა ძაღედვას მისგან მიმართვის,
მებრძოლთა გუნდნი, უოფლად ჭკუნის ცუდნი,
ხმა როსტომითა უმხნე ძაღთათვის.

იგი ემსგავსება ძალად სამსონს, გულად სჯობს ნებროთს, იოსებს თვალად. ეს მეფე ყოველთა ქვეყნის მპყრობელთა ჰყარავს ვით მზე სხვათა ვარსკვლავთა; დროშა მოიგდო,

*) „ქარ. ცხოვ.“ გვ. 284: იყო ნარნარად, მშვიდად და წყნარად მეტყველი და სიბრძნით შემპასუხებელი, მეორე სოლომონიო.

მტერნი დახოცის აოხრებითა; ხალიფას და სარკინოზთ დამამხობელი, მაჰმადის სჯულის უარყოფელი; მან დაიპყრო ქვეყანა ხვასროს და ჯიმშედისა. თამარი იშვეებს ძლევა-მოსილებით და ქველობით. მას ამკობენ გვირგვინ-სკიპტრანი, ბისონ-მიტრანი, ძოწეულითა თანა შექსულნი. შინაურს საქმეებში იგი ბქეთა ბქეა. მტკიცე ბეჭედი სიტყვათა სიმართლისათა, თვით მტერთა შემწე და მცველი. გარს ახვევია ბევრათასი დიდებულ დიდ გვარ თავადთა, მისთვის თავდადებულთა; უცხოთ მოყვარე, გლახაკთ მოწყალე, ქრისტეს მხედარი, სარწმუნოების მცველი და დამამტკიცებელი შვილის კრებისა. პოეტი მე-ნჷ ტაევში ასე ახასიათებს მოწყალე თამარს:

თვალი ხარ ბმათა, თვით მზღელი უმათა,
მშიერთა ჰური, უსახლთ სართული,
მამა ობოლთა, მსაჯული ქვრივთა,
შიშველთ სამოსლად მონიჭებული,
მონუცებულთა, შრომით რებულთა,
სიმტკიცის კვერთხად მისყრდნობელი,
მოგვეფენ სიბრძნესა, წერილთ სიბრძნესა,
თვით განგვიმარტებ მადლთა მთხრობელი.

ამ დიდებული მეფის საქმენი „ვით ქვიშა ზღვისა, ცვარი წვიმისა ვერ ვინ აღრიცხოს თვითოეულად, აგრეთვე ქება, მსგავსად ხსენება, მისთვის ვერ უძლონ თვითოეულად“ (ტაეპი მე-86). მის შესხმას ვერ იტყვიან „წიგნი მეფეთა, ქება ქებათა, ეკლესიასტე, იგავნი-სიბრძნე დიდისა სოლომონისა“ (ტაეპი მე-103).

ამიტომ პოეტი ამბობს მე-107 ტაევში:

ხელ ვეჲვ საქმესა, ძნელსა რასმესა,
უგუნურებით, თვით სულელობით,
ქებასა ვრცელსა, სათქმელად ძნელსა,
ვერ უძლე, ვიქმენ ენა ბრგვნილობით,
შესხმა მკობანი, მუსიკობანი,
ვუწვი, ვერ გიძღვენ თქვენ საფერობით,

მაგრა, ვით შწვლიჯნა, ქრისტეს მითვლიჯნი,
მექმენ მადლობის შემწირველობით.

ისტორიული ფაქტები, აქა-იქა მოხსენებულნი შავთელის მიერ, განამტკიცებენ იმ აზრს, რომ პოემა-ოდა მიძღვნილია თამარისადმი. „ქართლის ცხოვრება“ შესაფერ ცნობებს იძლევა. დაუპირდაპიროთ მატიანეს მოთხრობა პოეტის აღმფრენას. ხალიფას და სარკინოზთა დამარცხებამ გამოიწვია „დიდი ზარი ყოველთა სულტანთა ზედა... მოაკლდებოდა მაჰმადიანთა, ქრისტიანთა ორღანნი ხმოვანობდეს კილით-კიდედ, დაშრტა სასოება მუსულმანთა და ხალიფას პირით წყალობა ითხოვეს თამარისაგან... თამარმა ხალიფასაგან მიიღო მრავალი ფერნი სამეფო ძღვენნი და ხვეწნა აუსრულა: ხარკი მოიტანეთ და ცხოვრება მოგანიჭოთო, მათაც შეესრულეს (ქარ. ცხ., გვ. 348). თამარის ხატზედ, რომელიც წერაკითხვის საზოგადოებაშია დაცული, წარმოდგენილნი არიან ხალიფას მეომარნი, „ახალ ფასით“ დატვირთულნი და მომავალნი წინაშე თამარ მეფისა და მისი აფრიალებული გორგასლიან-დავითიანი დროშისა. ხალიფას ლაშქარი შემუსრა დავით სოსლანმა, წაართვა დროშაც, რომელიც თამარმა შესწირა გელათს ზედ წარწერით: „ხალიფას დროშას თანავე მანიაკსა შეერთუ ცრუ სჯულთა მოძღვრისა ლაზოდ მძღვანი, ვინ დავით, ძეებრ ეფრემის მოისარმან, მოირთხნა, მოსრნა სულტნითა ათაბაგი“.

ამ დროშას ეწოდა სახელი გორგასლიან-დავითიანი „ქართლის ცხოვრების“ სიტყვით და ამავე სახელს ჰდებს შავთელიც: „გორგასლიან-დავითიანი დროშა იახლის მსრველად მტერთათვის“. დავით აღმაშენებელის დრომდე დროშას ერქვა გორგასლიანი და მას შემდეგ გორგასლიან-დავითიანი. პოეტის შედარება თამარ მეფისა სვიანობით „შვიდთა მნათობთა“ და „მალნიტისებრ“ მიმზიდველობა ჰპოებს პარალელს მემატიანის აღწერაში: თამარ „შშვენებით აფროდიტიანი და სიუხვით მზეებრ აპოლონიანი, სატურფო საქვრეტი ვიდრე დაბნელამ-

დის, შეიპყრობდის სახით ღვთივ ქმნულითა“ (ქ. ც. გვ. 300), ანუ: შვიდთა სარტყელთა ცისათა სფეროსანთა—კრონოსს, ზევსს, აფროდიტოს, აპოლონს, ერმის, ირაკლის და არეას შეასახა სფერო მიწური შვიდ მნათობიერმა“. შავთელი ამბობს: „შვიდნი მნათობნი მას ზედ მოწამედ არიან“, მათიანე განმარტავს და იტყვის: „შვიდ სიბრძნეთა სვეტი“. თამარის შრომის მოყვარება განდიდებულია ქართლის ცხოვრებაშიაც: იგი ღამღამე მუხლ-მოდრეკით ლოკულობდა და ასრულებდა „ხელსაქმარს, რომელი გლახაკთ მიეცემოდა (გვ. 311).

„ანგელოზთ სახედ“ მზეებრ სადარი სილამაზე თამარისა, რომლის აღწერას პოეტი ხშირად უბრუნდება და ეტყვის თამარს: ლომს ძლიერება, მზეს ბრწყინვალეობა, მუშკს სუნნელება შენგან მიეცა“, იგივე შესხმაა, რასაც მემათიანე გვაუწყებს: მზე იგი მზეთა და ნათელი ნათელთა ელვარება... ეგრეთ ინახის, ვით მზე სამყაროს მანათობელი, მთვარის მშვენებით, ცისკრის მონობით“... (გვ. 277 და 48). პოეტი უხმობს თამარს გლახაკთა და „ობოლთა მამად“, „ქარ. ცხ.“ გვაუწყებს, რომ თამარ მეფემ განაწესა, რათა ნაათალი სახელმწიფო შემოსავლიდგან გლახაკთა მიეცემოდეს, თვით იყო მათი ნუგეშინის მცემელი და იტყოდა: მე ვარ მამა ობოლთა და მსაჯული ქვრივთა (გვ. 312. 336—7). „სიბრძნის დასაბამ შიში უფლისა“ პოეტის სიტყვით იყო ის თვისება თამარისა, რომელსაც უქებს მემათიანეც: დაადვა თამარ გულსა თვისსა დასაბამი სიბრძნისა შიში უფლისა, სამართალი და წყალობა სწორად ყოველთა ზედა... აცხოვნებდა ერსა თვისსა სიბრძნისა წინაძღომითა“ ანუ როგორც შავთელი იტყვის, იგი იყო „სიბრძნის ვაზი, ნათლის ემბაზი“.

ამ გვარად შავთელის ოდას სახეში აქვს შესხმა თამარისა და იგი ისტორიული ქეშმარიტებით გვისურათებს დიადი მეფის სახეს. შავთელი თავის ნაწარმოებით გვიმტკიცებს როგორც თავის ნიჭის სიღრმეს, აგრეთვე ფართო განათლებულს გონებას და ცოდნას ჩვენი და გარეშე ერთა ისტორია-მწერლობისას.

ქ. შოთა რუსთველი.

ქართულს მწერლობაში ვერც ერთი ნაწარმოები ვერ შეედრება თავის ღირსებით და მნიშვნელობით უკვდავს და უცვლელად ნორჩს პოემას შოთა რუსთველისას. „ვეფხისტყაოსანი“ ერთად-ერთი ქმნილებაა ქართული ერის გენიოსობისა; რომელსაც უფლება აქვს გვერდში ამოუდგეს საუკეთესო თხზულებებს საკაცობრიო ლიტერატურაში. რუსთველის ჩანგი გახდა წასაბაძავ, მაგრამ მიულწეველ იდეალად ჩვენს ძველს მწერლობაში მეთვრამეტე საუკუნის გასულამდე. „ვეფხისტყაოსნის“ გმირნი—ტარიელ და ავთანდილ, ნესტანდარეჯან და თინათინ, ფრიდონ და ასმათი წარმოადგენენ იმ ხელოვნური სიმარტივით და ამავე დროს ფსიხოლოგიური სისრულით დახატულს ტიპებს, რომელთა სახელი გახდა სათაყვანებელ სახედ. გულიდგან მოწყვეტილ ვარსკვლავად, გზის გამაშუქებელ მნათობლად. რუსთაველის პოემა იყო შეიდი საუკუნის განმავლობაში ერის ზნეობით აღმზდელს წყაროდ, სახარება-დავითნ ან წასაკითხ წიგნად. უაღრეს სიღრმემდის პოეტის ზიერ სრულის მოძრაობის ანალიზი და ახსნა, შეუდარებელი ნარნარი ლექსთ წყობა და მდიდარი, გამომეტყველი ენა, ფილოსოფიური დაკვირვება და სპეტაკი გრძნობით შემოსილი კეთილშობილი იდეა, დედააზრი შეადგენენ განსაკუთრებით თავისებას „ვეფხისტყაოსნისას“. ამიტომაც „რუსთველობა“ გახდა იდეალი, რომელსაც ეტრფის ქართველი მწერალი, მისი ნაწარმოები შეიქმნა სინონიმად თვით პოეზიისა; შოთა—პოეტის ნიჭის აღსანიშნავად.

შოთა რუსთველი ეკუთვნის თამარ მეფის დროის წრეთა მწერლებს. მას უსწრობენ მოსე ხონელი—ავტორი „ამირან დარეჯანიანისა“, სარგის თმოგველი—გადმომღებელი სპარსულით „ვისრამიანისა“ და დამწერი „დილარიანისა“ და შავთელი, რომელმაც შესხმითი ქება უძღვნა თამარ მეფეს. ამ ტრიადაში, უკვდავ მწერალთა შორის, რუსთაველის სახე-

ლი წარმოითქმის მოწიწებით და კრძალულებით. დიდებულს პოეტს ეწვია დიდებულ მწერალთა სვე. ჩვენ უტყუარად არ ვიცით, არც რა გვარს ეკუთვნის რუსთველი, არც მისი ადგილი საზოგადოებაში, არც გვაქვს მისი სწავლა-განათლების შესახებ საკირო ცნობანი, არც დრო და ადგილი მისი დაბადებისა, აღზრდისა და მოღვაწეობისა. ერთის სიტყვით შოთაზედ იმდენადვე ნაკლებად მოუღწევია ჩვენამდის ცნობებს, რამდენადაც ლარიბნი ვართ ჰომეროსის და შექსპირის ბიოგრაფიული ფაქტებით. თვით სახელი შოთა შემოკლებული სახელიდგან არ არის მოხსენებული წმიდათა შორის და ეკუთვნის იმ სახელთა რიცხვს, რომელსაც ეწოდება არა საკალენდარო სახელი. თეიმურაზ ბატონიშვილის აზრით ქართველთა წარმართთა ღმერთს არმაზს ერქვა მეტი სახელი შოთა ანუ შოთთა. საქართველოს ისტორიაში შეგვხვდება სახელი შოთა მე-XII—XIII საუკ. განმავლობაში. ერთი იმ პირთაგანი, რომელსაც ერქვა ეს სახელი—შოთა ართავაჩოს ძე დასჯილ იქმნა 1177 წ., რადგან იგი გადუდგა გიორგი მეფეს, მეორე—შოთა კუპრი იხსენიება რუსუდან დედოფლის დროს. გვარი პოეტისა რუსთველი წარმოიშობა სახელწოდებიდგან რუსთავი და აღნიშნავს მის ადგილობრივ ჩამომავლობას. იგი იყო რუსთავიდგან, რომელიც მდებარეობს ზემო ქართლში, ახალციხის მაზრაში, ძველად ცნობილს მესხეთში ანუ სამცხეში. პოეტი თვით ამბობს უკანასკნელს ტაეპში (1643) ჩუბინაშვილის გამოცემით:

ვწერ ვინმე შესხი მუღეკსე

მე რუსთველისა ღაბისა.

სახელი „შოთა“ მართლაც შეგვხვდება ახალციხისაკენ მეთერთმეტე საუკუნის ზარზმის ტაძრის ზედ-წარწერაზედ. ჩვენ არ ვიცით, რაზედ ამყარებს ბ-ნი მურიე თვის ცნობებს შოთა რუსთველის შესახებ, რომელნიც მას მოჰყავს „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად გადათარგმნის გამო. იგი გვაუწყებს, რომ შოთა დაიბადა 1172 წ. რუსთავში (ახალციხის მაზრა),

შემდეგ, 1186 წ. გაგზავნეს სასწავლებლად გრემს მეცნიერ ორთელაშვილთან. ბავშვობიდან შეისწავლა მან სხვა-და-სხვა ეარჯიშობა—სროლა, ცხენზედ ჯდომა, ნადირობა. ოცი წლისა რომ შეიქნა 1192 წ. წავიდა ათინაში, სახელმწიფო ხარჯით, იმ ოც-და-ათ ყმაწვილთა შორის, რომელთაც მთავრობა გზავნიდა სწავლის შესასრულებლად სამზღვარ-გარედ. აქ შეისწავლა რუსთველმა ისტორია, ფილოსოფია, გალობა და მუსიკა. 1212 წლამდის, დაბრუნების შემდეგ, ასრულებდა მოლარეთ-უხუცესის თანამდებობას. დასასრულს წავიდა იერუსალიმს *).

წყარო ამ დაწვრილებითი ბიოგრაფიული ცნობებისა ბ-ნს მურიეს არ მოჰყავს. კმაყოფილნი ვიქნებოდით, რომ ასე თამამად აღნიშნულს დროს დაბადებისა, სამზღვარ-გარეთ წასვლისა და სამსახურისა რაიმე საფუძველი ჰქონოდა, გარდა ტრადიციისა, ზეპირად გადმოცემულ ცნობისა. შეგვიძლიან მხოლოდ გავუსწოროთ ბ-ნს მურიეს ერთი ფაქტი, რომელიც შეცდომით არის დასახელებული. ქართველი ყმაწვილები მეთორმეტე საუკუნეში იგზავნებოდნენ ათინაში კი არა, რომელიც მაშინ არ წარმოადგენდა განათლების ბურჯს, არამედ ათონის მთაზედ: სადაც აყვავდა ქართული მწერლობა ივერიის მონასტერში.

ტრადიცია უმატებს ზემო მოყვანილს ცნობებს, მე XVII—XVIII საუკ. ჩაწერილს, კიდევ იმასაც, რომ რუსთველი აღრე დაობლდა და აღიზარდა ბიძა მონაზონის მზრუნველობის ქვეშ. ბიძამ იგი მიიბარა პირველად რუსთავის სკოლას და შემდეგ გადიყვანა ტბეთის სამონასტრო სასწავლებელში. რამდენიმე წელიწადი დაჰყო აგრეთვე გრემის და იყალთოს (კახეთში) სასწავლებელში, რომელიც გაიფურჩქნა დავით აღმაშენებელის დროს არსენი იყალთოელის ხელმძღვანელობით. საბერძნეთში რუსთველმა გაიცნო პლატონის ფილოსოფია, ჰომეროსის

*) იხილე „დროება“ 1884 წ. № 256.

პოემები, შესწავლა ღვთის-მეტყველება, რიტორიკა და პი-
იტორიკა, — უმთავრესი საგნები საშუალო საუკუნოების განათ-
ლებისა. გარდა ბერძნული ენისა ჩვენმა პოეტმა იცის სპარ-
სული და არაბული ენა, იცნობს აღმოსავლეთის ლიტერა-
ტურას. დასამტკიცებელი საბუთი იმის ფართო და საფუძ-
ვლიანი განათლებისა არის მისი პოემა. ტრადიცია ამასთა-
ნავე გადმოგვცემს, რომ რუსთველი ეტრფოდა თამარ მეფეს.
და რადგან თანაგრძნობის იმედი არ ჰქონდა, იგი შესდგება
ბერად იერუსალიმში, სადაც ტიმოთე ეპისკოპოზმა ნახა მეთ-
ვრამეტე საუკუნეში პოეტის სურათი ჯვარის მონასტრის
კედელზედ, ძაძით შემოსილი. მეორე ლეგენდა გადმოგვცემს,
რომ პოეტს უღალატა მეუღლემ და შეიყვარა არაბი აბდულა.
ეს სამწუხარო ამბავი გაუზიარა შოთას მისმა განტყვებულმა
საცოლომ, სახელად ნინომ. ჩაწერილია ერთი კიდევ მოყვა-
ნილი ცნობის საწინააღმდეგო გარდმოცემა, რომლის შინა-
არსი საკვირველს ფაქტს შეიცავს: პოეტი ერთხელ იპოვნეს
თავმოჭრილი, წყლის პირად.

ამ ჩაწერილს ლეგენდებს და გადმოცემას, ახალციხისკენ
ანუ მესხეთში შეკრებილს, თავს დავანებებთ და ვიტყვი
მხოლოდ, რომ შოთა რუსთველი, თუმცა მისი ბიოგრაფი-
ული ფაქტები მეტად ნაკლები და კრიტიკის მიერ შეუწყნა-
რებულნი არიან, მაინც ისტორიული პირია და არა ლეგენ-
დარული, როგორც ჰომიროსი. რუსთველი მოქმედობს თა-
მარ დედოფლის დროს. იგი მისი დროის ხაზინადარია: შო-
თას 1190 წ. ხელი უწერია ერთს დოკუმენტზედ, რომელიც
ეკუთვნის ტფილისის სინოდის კანტორას (№ 64). ამ თარი-
ლის მიხედვით უნდა ფუჭად აღვიაროთ ბ-ნი მურიეს მიერ
აღნიშნული დრო დაბადების, საბერძნეთს წასვლისა და სამ-
სახურისა. შეუძლებელია შოთა დაბადებულიყოს 1186 წ., რო-
ცა მას 1190 წ., მაშასადამე ოთხი წლისას, ხელს უწერია აქტზედ.

„ვეფხისტყაოსნის“ ძველს ხელნაწერებს ჩვენამდის არ
მოუწევია. პლატონ იოსელიანს ენახა ტყავზედ ხუცურად

ნაწერი შოთას პოემა გრიგოლ წერეთლის სახლში. იგივე მწერალი იხსენიებს მე-XV საუკ. ხელნაწერს, რომელიც ეკუთვნოდა ოდესმე მეფე ალექსანდრეს (1443 წ.) და შემდეგ აღმოჩნდა ნიკოლოზ ელიოზიშვილის წიგნსაცავში. მესამე დედანი „ვეფხის-ტყაოსნისა“ ვახტანგ შაჰნავაზის საკუთრება (1678 წ.) იპოვეს თეკლე ერეკლეს ასულის (+1816) სახლში. აკ. ბროსესს შეხვედრია პარიზს რუსთაველის ნაწარმოები 1702 წ. ადაწერილი. მე გამოვეცი მოსკოვს მე-XVII საუკ. ხელნაწერიდგან გადმოღებული „ვეფხის-ტყაოსანი“. მე-XVII საუკ., სახელდობრ 1646 წ. ეკუთვნის ის ძველი ვარიანტიც, რომელიც ტფილისის კომისიას ჰქონდა ხელთა, როცა დაამზადა „ვეფხის-ტყაოსანი“, გ. ქართველიშვილის მიერ გამოცემული. პირველად „ვეფხის-ტყაოსანი“ დაბეჭდა ვახტანგ-მე VI 1712 წ. სხვა-და-სხვა ვარიანტების შედარება გვარწმუნებს, რომ მე-XVI საუკ. გასულს რუსთაველის პოემას ბევრი ტაეპი ჩაემატა და გაგრძელებაც გამოიწვია. 308 სტროფა *) მეტი აღმოჩნდა შედარებით იმ „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტთან, რომელიც 1860 წ. დაბეჭდა დ. ჩუბინაშვილმა. თვით ამ მეცნიერის მიერ გამოცემულს პოემაშიაც კრიტიკამ აღმოაჩინა ბევრი „ყალბი ადგილები“, რომელნიც გამოაქვეყნა ა. ი. სარაჯიშვილმა ჟურნალს „მოამბეში“. პოეტის განთქმული თხზულება რაკი გავრცელდა ხალხში ბევრს აუშალა საღერდელი ეცადა კალამი პოემის შესავსებად—შესაკეთებლად და ამ გზით დაიბადა ის აუარებელი ვარიანტები და და ყალბი ადგილები, რომელნიც აქამდის რიგიანად ცნობაში არ არიან მოყვანილნი. უძველესი ვარიანტი მაინც შორს არის რუსთაველის დროზედ, და ეს გარემოება აიხსნება მით, რომ საქართველოზედ მოწოლილმა ურიცხვმა უბედურებამ და გაქვლვამა შთანთქა ბევრი ძვირფასი ნაშთნი ჩვენი კულტურისა და მათ შორის „ვეფხის-ტყაოსნის“ ძველი დედანიც.

*) ნახე ჟურნალს „ივერიაში“ და ჩემ მიერ გამოცემულს ვარიანტში.

გარდა ამ გარეშე უმაღლურ გარემოებათა, თვით საქართველო-
შიაც სდევნიდნენ „ვეფხისტყაოსანს“, როგორც სატრფიალო
თხზულებას, საწინააღმდეგოს ქრისტიანობრივი მოთმინებისა
და სიმშვიდისა. არსებობს გადმოცემა, რომ თამარ მეფის
დროსვე რუსთველს დაუწყია დევნა კათოლიკოზმა იოანემ.
მეთვრამეტე საუკუნეში განათლებულმა პატრიარქმა ანტონ
პირველმა დააწვეინა ვახტანგ VI მეფის მიერ დაბეჭდილი
(1712 წ.) „ვეფხისტყაოსანი“. ანტონი კათოლიკოზი სწერს
შოთაზედ თავის „წყობილ-სიტყვაობაში“.

შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის მოყვარე ფრიად,
ფილოსოფოსი, მეტეჟესლი სპარსთა ენის,
თუ რომ ჰსწადოდა, ღმთის მეტეჟესლიცა მადად;
უცხო საკვრესელ, ზიტიკოს მესტიხე,
მაგრა ამაოდ დაშურა, საწუხ ახს ესე.

„ამაოდ დაშურაო ბძანებს კათოლიკოზი შოთაზედ,
და ეს მოსაზრება იყო უთუოთ მიზეზი დევნისა, რომელიც
მან აღძრა „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ. ვახტანგ მეფე
ცდილობდა აეხსნა დაბეჭდილი პოემა როგორც საქრისტიანოს
მოძღვრება და არა „სამეძაო მოთხრობა“ და სამღვთო წერი-
ლის ტექსტს ადარებდა პოეტის სიტყვებს. უმთავრესი აზრი
პოემისა, — ბრძანებს მეფე, — ის არის, რომ დაგვიხატოს შეუ-
დრეკელი სიყვარული მეუღლეთაო. „ვეფხისტყაოსანი“ მე-
ფის აზრით არის „უგბილთა ფრიად სასწავლო, გონიერთ
გულთა, საღვთო და საერო; უსწავლეოსა სიბრძნეს მისცემს
და გონიერსა გულსა უსრულსა“. მაინც ამ ახსნამაც ვერ
იხსნა „ვეფხისტყაოსანი“ დევნიდან. ანტონ კათოლიკოზის
დროს შაჰაბაზის შემოსევა კარგად ახსოვდა და შესაძლოა
სპარსეთის გავლენის და სპარსული მწერლობის მოქმედების
განსაქარებლად, სასულიერო წოდების წარმომადგენელი უკ-
რძალავეს სამოქალაქო ჰანგზედ შექმნილს ნაწარმოებს, რათა
მოაქციოს ერის ყურადღება დასავლეთისკენ და შეაძულოს
აღმოსავლეთის მელიოღია. მიტროპოლიტი ტიმოტე გვაძლევს

საბუთს, რომ სასულიერო წოდება უკმაყოფილო იყო შოთას ნაწარმოებით- იგი ამბობს, რომ რუსთაველმა „ქართველ დედაკაცებს ასწავლა სიწმიდისა წილ სიბოროტე და სიბილწებაი“.

აქამდის ჩვენს მწერლობაში გაუთავებელი სჯაა იმის შესახებ, თუ საიდან აიღო რუსთაველმა სიუჟეტი (არაკი) „ვეფხისტყაოსნისა“. სამნაირი აზრი იყო წამოთქმული ამ საგნის გამოსარკვევად. პირველი აზრი დამყარებულია თვით პოეტის სიტყვებზედ მე-16 ტაეპში: ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები, ვით მარგალიტი ობოლი ხელის-ხელ საგოგმანები, ვპოვე და ლექსად გამოვთქვი, საქმე ვქენ საქოკმანები, ჩემმან ხელმქმნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმანები“. ეს ტაეპი, ე. ი. სარაჯიშვილის გამოკვლევით ყალბად მიჩნეული, — მოწმობს, რომ რუსთაველმა „სპარსული ამბავი ქართულად“ სთარგმნა. მაგრამ პოეტის სიტყვებს ვახტანგ მეფის დროიდან უკანასკნელს ჟამამდის ვერ მოუპოვეს სპარსულს ლიტერატურაში დასამტკიცებელი საბუთი: „ვეფხისტყაოსნისთანა“ თხზულება სპარსულად არ არსებობს. — მეორე აზრი ამ პოემის სიუჟეტის შესახებ პირველად წარმოსთქვა პროფ. დ. ჩუბინაშვილმა. იგი ამტკიცებს, რომ რუსთაველს აღმოსავლეთის მწერლობიდან არ უსესხნია „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი; სიუჟეტი შექმნა თვით პოეტმა და მიჰმართა იგი შესხმად თამარ მეფეს. მესამე აზრი მეკუთნის მე: ამ რამდენიმე წლის წინად ჯერ ქართულად და შემდეგ რუსულად შევადარე ხალხში დარჩენილი ტარიელზედ ლექსები და შოთას მიერ დაწერილი პოემა და მიველ დასკვნამდე, რომ ხელოვნური ქმნილება დამყარებულია სახალხო ლექსებზედ იმ გვარადვე, როგორც გეტეს ფაუსტს და შექსპირის ჰამლეტს ფესვები საშუალო საუკუნოების გარდმოცემაში მოეპოვებათ. გავარჩიოთ სამივე მოსაზრება.

მეფე ვახტანგ მეექვსე საფუძვლიანი მცოდნე იყო სპარსული ლიტერატურისა. იგი დიდხანს სცხოვრობდა პოლიტიკური მიზეზების გამო სპარსეთში და ეძიებდა „ვეფხისტ-

ტყაოსნის“ დედანს, მაგრამ ამაოდ ჩაუარა ძიებამ,— „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი ვერსად მოიპოვა. მეფემ ასე აგვიხსნა რუსთველის სიტყვები სპარსულიდგან ქართულად გადმოღების შესახებ პოემის სიუჟეტისა: „თამარ მეფე კარგი და ძალიანი ხელმწიფე იყო და ეს მოინდომაო: სპარსთ კი მელექსობა იცოდნენ, ასეთი საქმე ხვაშიად რატომ იყოსო, რომ ქართულადაც არ იყოსო და უბრძანა თავის მდივანს რუსთველს ქართულის ენით კაი ლექსები სთქვიო. რუსთველმა ამბავიც თვითონ გააკეთა და გალექსა სპარსთა ლექსის ბაძით და ამის გამო სთქვა, რომ სპარსულიდგან ვსთარგმნეო“. პროფ. ნ. მარჩმა ეძება სპარსულს ლიტერატურაში „ვეფხისტყაოსნის“ დედანი, მაგრამ ვერც მან იპოვა, თუმცა ერთხელ კი აღიარა, რომ ბრიტანიის მუზეუმში ვგულებს სპარსული ხელნაწერი „შახრიარნამე“, რომელიც ტარიელის ამბავს უნდა უდრიდესო. ეს წინააღებული აზრი არ გაუმართლდა. მაშ ფუქია აქამდის კვლევა ძიება რუსთველის სიტყვების გასამართლებლად „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“, თუნდ ეს ტაეპი ვიცნათ რუსთველისებურად, წინააღმდეგ ა. ი. სარაჯიშვილის აზრისა, რომელმაც იგი განდევნა და აღიარა „ყალბ ადგილად“.

თუ ნათარგმნი არ აღმოჩნდა „ვეფხისტყაოსანი“, იგი მაშასადამე თვით-შემოკმედებითი ორიგინალური ნაწარმოები იქნება. ამ აზრს ადგია ვახტანგ მეფე, დავით ჩუბინაშვილი და მათ შემდეგ გამოსულნი ქართველნი მწერალნი. დავით ჩუბინაშვილი განმარტავს ვახტანგ მეფის სიტყვებს: რუსთველმა „გალექსა სპარსთა ლექსის ბაძით“. განსვენებული პროფესორი დასძენს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არც ინდოეთს და არც სპარსეთში არ არსებობს, მაგრამ აღმოსავლეთის ნიმუშების მიხედვით შედგენილია. მის გმირთა სახელების ახსნას უმეტეს ნაწილად ჩვენ ეპოევებთ სპარსთა და არაბთა ენებში. ამ გვარია სახელები: როსტევან, ფატმან, ფარსადან, რამაზ, სარიდან და სხ.; უმთავრეს გმირთა სახელები კი ქართუ-

ლია: ტარიელ, ავთანდილ, თინათინ. აღმოსავლეთის პოეტების მსგავსად რუსთველს თავის პოემის მოქმედება გადააქვს შორეულს ქვეყანაში. მოთხრობის მსვლელობა არ ეთანხმება გეოგრაფიას: გმირებს ამკობს სიმშვენიერე-სიმღიღრიით. ამ მსგავსებას დ. ჩუბინაშვილი ხსნის სპარსეთის მწერალთა მიბაძვით. მაგრამ პოემის სიუჟეტი მიაჩნია თვით-შემოქმედებით ნაწარმოებად და მიზანი მისი არის დიდება თამარ მეფისა, მოქმედება „ვეფხისტყაოსნისა“ განგებ გადიტანა აღმოსავლეთისკენ, რადგან რუსთველს ჰსურდა მეტი ფასი დაედო თავის პოემისათვის, — მოგეხსენებათ უცხო ქვეყნიდან შემოტანილს საქონელს მეტად აფასებენ.

ჩემი აზრი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, ამ ეამად უკვე მიღებული ბ. ბ. აბულაძის და კარიკაშვილის მიერ, დაბეჭდილი იყო „ივერიაში“ (1890 წ. № 25) და განმეორებული ჩემს რუსულად გამოცემულს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ხალხური „ვეფხისტყაოსანი“ ანუ ტარიელის ამბავი ბევრგან არის უკვე ჩაწერილი. ვრცელი და დამთავრებული ვარიანტი ფშავეთში გაუგონია და ჩაუწერია დ. ხ — ლს („ივერია“ 1888 წ. № 230 და 231). ნაწყვეტები ამ პოემისა მოყვანილია „ივერიის“ მე-45 ნომერში (1888 წ.) და მე-224-ში (1887 წ.); ორი ვარიანტი მე ჩავწერე ყიზლარში, („ივერია“, 1888 წ. № 131) და ბიწმენდში (1888 წ. № 165); კახეთში გაგონილი ვარიანტები მოყვანილია იქვე („ივ.“ 1888 წ. № 224 და 1890 წ. № 258), ჩირდილისა („ივ.“ 1891 წ. № 74 და 75); ხევსურეთისა („ივ.“ 1890 წ. № 239) და ქალისა („ივ.“ 1894 წ. № 150) აკაკი წერეთლის კრებულში დაიბეჭდა (1897 წ., III) „ხალხური ვეფხისტყაოსანი“, გაგონილი ჯალოლა არაბულისაგან“.

თუ არ დაიზარებთ და გადაათვალიერებთ ამ ვარიანტებს, დარწმუნდებით, რომ ვრცელს და ნაწყვეტ ვარიანტებ შორის დიდი მსგავსება და კავშირი არსებობს. მოგეხსენებათ, რომ ლექსს უფრო ადვილად და დიდხანს იხსომებს ხალხი

შეუცვლელად, ვიდრე ამბად ნათქვამს ანუ პროზას. ეს კეშმა-რიტება მართლდება ტარიელის ზღაპრის შესახებაც. აი ის ლექსი, რომლითაც იწყება ხალხური „ვეფხის-ტყაოსანი“.

ტარიელ დაგსვი ვეზირად,
სიტყვა შენ გაგაბჭობინე,
თუ ჩემი ქალი გინდოდა,
რატომ არ შემატყობინე.

ვარიანტებში: „თუ ჩემი ქალი გინდოდა“ შეცვლილია ამ სახით: „გიყვარდა ნესტან დარეჯან“, უკანასკნელი: „რატომ არ შემატყობინე“ შეცვლილია: „რად არა შემაგნებინე“.

ნაწყვეტი ვარიანტების შინაარსს შეერთება უნდა იმ მოთხრობით, რომელიც ვრცელს ვარიანტში იპოვება. მაშინ მიეცემა აზრი და მნიშვნელობა იმ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლექსებსაც. კავშირი ლექსთა შორის პროზით ყველგან არ დარჩენილა. ლექსები ტარიელის შესახებ ყიზლარში, ფშავეთში, ხევსურეთში, კახეთში, ქართლში შეუცვლელია, ანუ შინაარსის შეურყვევლად გადასხვაფერებულია. თუ მიიღებთ მხედველობაში საერო და სალიტერატურო „ვეფხის-ტყაოსნის“ დედა-აზრს, იგი ერთი და იგივეა. ტარიელს უყვარს ნესტან დარეჯანი*), რომელსაც სხვას აძლევენ ცოლად. ტარიელი ბრუნდება გამარჯვებული ომიდგან, საცა დაამარცხა ხატაველები და „ნესტან-დარეჯანის“ მამიდასგან შეიტყობს; რომ მისი სატრფო უნდათ ხვარზმელს მიათხოვონ. ხალხურს პოემაში მამა „ნესტან-დარეჯანისა“ უბძანებს ხუროებს, კილობანი შეჰკრან, ჩასვან ქალი-ქალა და წყალს მისცენ, რომ ტარიელს არ დაანებოს თავის ასული.

შოთას „ვეფხის-ტყაოსანში“ ტარიელი ჰკლავს „ნესტან დარეჯანის“ რჩევით თავის მოქიშვეს. „ნესტან-დარეჯანი“

*) დარეჯანი—სახელია იმ ქალისა, რომელიც შეგვხდა მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანიანში“. ამ გვარად ეს სახელი ორს ნაწარმოებთან არის დაკავშირებული.

წყალს კიღობანში მიცემული ჩაუვარდებათ ქაჯებს. ამათგან იხსნის შემდეგ ტარიელ, ავთანდილ და ფრიდონ შეერთებული ძალით. ზეპირი თქმულებით დარეჯანს იხსნის ქაჯების ხელითგან „ბიძა“ (ბიწმენდული ვარიანტით დეიდაშვილი) ტარიელისა—ავთანდილი. ღერო, რომელზედაც ასხმულია რუსთველისა და საერო „ვეფხის-ტყაოსანი“ ერთი და იგივეა. გეოგრაფიული სახელები — არაბეთი, ქაჯეთი, ხოროსანი, ანუ მოქმედნი პირნი—ტარიელ, ნესტან-დარეჯან, ფრიდონ და მისი მამიდა (საერო პოეზიაში უსახელო და შოთას მიერ დავარად სახელდებული) საერთოა ორსავე პოემაში. ამისა გამო კაცი უნებლიედ ეკითხება თავის თავს, როგორ აიხსნას ეს ერთგვარობა დედა აზრისა და განსხვავება მის ფორმალური შემუშავებისა. შოთას პოემამ იმოქმედა ერის მეხსიერებაზედ და დაასწავლა იგი ერს, თუ საეროდ გაგრცელებულმა „ვეფხის-ტყაოსანმა“ მისცა მასალა ტარიელის ამბავი სალიტერატურო, ხელოვნებით აგებულ ნაწარმოებად გარდაექმნა?!. თუ შოთას „ვეფხის-ტყაოსანმა“ დააჩნია თვისი ზედმოქმედების კვალი საერო ლექსებს, მაშინ რად არის შინაარსით საკვირველი მსგავსება და ფორმით კი დიდი განსხვავება მათ შორის? საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ტარიელზედ ლექსები დარჩენილა ფშავ-ხევსურეთში მეტის სისრულით, ვიდრე ბარად. მთაში ლიტერატურის გავლენა ყოველთვის შედარებით ნაკლები იყო, ვიდრე ქართლ-კახეთში, მაშასადამე ნაწერი პოემის ზედ-მოქმედებით ვერ აეხსნით „ვეფხის-ტყაოსნის“ შინაარსის გავრცელებას. ზღაპრად შოთას გმირების ამბავი ამ ბოლო დროს აღმოჩნდა სვანეთშიაც, სადაც, ჩვენ ვიცით, ზეპირ-თქმულებით ტრიალებდნენ ამირან დარეჯანის ძის გოლიათობის მოთხრობა და ეკლესიის კედლებზედაც კი გამოქანდაკებული იყო ამირანის ძმებითურთ ბრძოლა ბაყბაყდევთან. ამირანის ამბავი, ზეპირად წინად ნაამბობი, შემუშავა მოსე ხონელმა, ტარიელის რომანით ისარგებლა შოთა რუსთაველმა თავის პოემისთვის.

აზრი, მოკლედ გამოთქმული ხალხის პოემაში, ხელოვნურს ნაწარმოებში შევსებულთა და განდიდებულ-გაზვიადებული. ავიღოთ შოთას ზემოხსენებული ტაეპი: (ფოც).

ხვარზმშას სისხლი უბრალო
სახლად რად დამადებინე,
თუ ჩემი ქალი გინდოდა,
რად არა შემაგებინე,
შე ბერსა შენსა გამზდელსა
სიცოცხლე მარმებინე,
დღედ სიკვდილამდე შენიცა
თავი არ მახსლებინე.

საერო „ვეფხისტყაოსანი“ ამ პოეტის შინაარსს მოკლედ მოსკრის:

ტარიელ, დაგსვი ვეზირად—
სიტყვა შენ გაგაბჭობინე,
გიუფარდა ნესტან-დარეჯან *),
რატომ არ შემატუობინე?

ანუ კიდევ შოთას:

რა დავარ გასძლა ცრემლითა,
მისითა დაღურჯებითა,
წარმოსდგეს ორნი მონანი
პირითა მით ქაჯებითა;
მათ კიდობანი მოჭქონდათ,
ეუბნეს არ აჯებითა,
მას შიგან ჩასვეს იგი მსვე,
ჭკავს იქა დარაჯებითა.
უბრძანა: წადით, დაკარგეთ
მუნ, სადა ზღვისა ჭიპია,
რომ წმინდა წუალი ვერ ნახოს,
მეინვარე, გერცა ლიპია.

*) ვარიანტი— „ღირწამ დარეჯანი“.

საერო პოემაში:

მართაღსა, შვილო ტარიელ
დალატსა გაგაგებინებ,
არც მაგათ მივცემ, არც სხვათა,
შენც ხელსა აგაღებინებ,
ქაჯუეთელსა ხურთებს
კილობანს აგაგებინებ,
შიგ ჩავსვამ ნესტან-დარეჯანს
ზღვას მივცემ, წავაღებინებ.

ხალხური პოემის სიტყვები „ზღვას მივცემ, წავაღებინებ“ რუსთაველს გავრცელებული აქვს:

წადით დაკარგეთ მუნ,
სადა ზღვისა ჭიზია,
რომ წმინდა წუალი ვერ ნახოს,
მეინვარე, ვერცა ღიზია“

შევადაროთ აგრეთვე შოთას ნახვა „არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხის-ტყაოსნისა“ (ტაეპი 3ღ):

ნახეს უცხო მოყმე გინმე,
ჯდა მტირალი წულისა პირასა,
შაფი ცხენი სადავითა
ჭეჭა ღომსა და ვითა გმირსა,
ხშირად ესხა მარგალიტი
ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა,
ცრემლსა ფარდი დაეთრთვილა,
გულსა მღუღრად ანატირსა.

ხალხური „ვეფხის-ტყაოსანი“ ფშავში გაგონილი, სოფელ არტანში პაპა ბავთარაშვილისაგან („ივერია“ 1888, № 45.)

ერთი კაცი ზღვისა პირსა
ნამტირალსა *) ჭკვანდა გმირსა.

*) ვარიანტი: ერთსა რასზე წყლისა პირსა ნამტირალი გვანდა გმირსა.

დაეთრთვილა დიდ მინდორი
იმის თვალთა ნადენ ცრემლსა;
გვერდით ება თავის რაში,
ისაცა ჩნდა ნიაფ-ქარსა,
წვრილად ესხა მარგალიტი,
იმის ტახტ-უნაგირსა *).

შემდეგი ტაეპი რუსთაველის პოემისა შეიცავს „ყმის ვეფხის-ტყაოსნის“ გარეგან აღწერილობას. ხალხური პოემა უფრო მოკლედ ასურათებს „ნამტირალ გმირსა“ და სრულიად არ იხსენიებს, თუ „მას ტანსა კაბა ემოსა, გარე თმა ვეფხის-ტყავისა“. ეს ვეფხის-ტყავის კაბა პოეტის შემქმნელობას ეკუთვნის და შესაძლოა აქ ჰომეროსის გავლენა მოსჩანდეს: ილიადაში პარისი გამოდის ბერძენთა გმირებთან საბრძოლველად „ვეფხის-ტყავ-წამოსხმული“ („ილიადა“, III, 67).

შოთა ასე ამკობს თავის ტარიელს:

„მას ტანსა კაბა ემოსა,
გარე თმა ვეფხის-ტყავისა,
ვეფხის-ტყავისა ქედივე
იყო სარქმელი თავისა;
ხელთა ნაჭედი მათრახი
ჭქონდა უმისხოსი მკლავისა,—
ნახეს და ნახვა მოუნდათ
უცხოსა სანახავისა.

ხალხურს პოემაში ტარიელზედ, რომელიც ნიადაგ იმავე ლექსთ-წყობის ზომისაა—16 მარცვლოვანი, დატულია მხოლოდ ესა:

„ნეკა თითზედ მათრახ ეცვა,
შაცვარული შეიდსა რიგსა“.

*) ვარიანტი: ტურფად ესხა მარგალიტი იმის აბჯარ-უნაგირსა, საყვარელი დაჰკარგოდა დანა არ უხსნიდა პირსა.

შოთას უფრო დაწვრილებით აქვს აწერილი ტარიელის პირი-სახე, ტანი, ჩასაცმელი, იარაღი, ვიდრე საერო პოემაში. პოეტი აძლევს სისრულეს, ხელოვნება თხოულობს აზრის განსაზღვრულს დამთავრებას. ნაწყვეტი ლექსები ხალხისა გარდაქმნილა ლიტერატურულ პოემად. პოეტს შეუტანია კაცის ამშაღლებელი და განმასპეტაკებელი გრძნობა სიყვარულისა, თავიდგან ბოლომდე გაუტარებია ეს აზრი და ამით შეუერთებია დაწყვეტილი საერო ლექსები. შოთას გაუმშვენებია ხალხური პოემა ფილოსოფიური მოსაზრებით, მეტყველის ენით, პოეტურის აღმაფრენით.

პოეტი სარგებლობს ხალხური ზღაპრით პოემის ასაგებად და ხშირად ხალხურს ლექსს ანუ ერთს რომელსამე ჰკაფიო ეპიტეტს და მეტაფორას შეაქსოვს თავის „ვეფხისტყაოსანს“. აეთანდილს უამბობენ „უცხო მოყმის“ ამბავს საძნი ძმანი, მისგან დაკოდინნი (ტაეპი ს).

ანაზღად მოყმე გამოჩნდა,
კუშტი პირ-გამქუშავია,
ზედა სჯდა შვესა ტაიჭსა,
მერანი რამე შავია...

ხალხურს პოემაში შერჩენილია ეპიტეტი ჰირქუშა:

„ერთმა ჰირქუშმა მოყმემა *)
ცხენ-ხეთქვით ჩამოიარა“.

როსტევანის მიერ გაგზავნილი კაცები ტარიელმა დახოცა, როგორც რუსთაველი ამბობს:

„კაცი კაცსა შემოსტუორცნა“
და ამ გვარადვე ხალხური პოემა გვიამბობს:
„ცხენი ცხენს ჰკრა, კაცი კაცს“.

ათანდილის მოგზაურობას ძებნად ტარიელისა აგვიწერს-

*) ვარიანტი: ერთმა პირქუშმა მოყმემა უკუ-გზა ჩამოგვიარა. მამას მკლავი მოგვიტეხა, უკუმთა გადაიარა.

რა პოეტი, სხვათა შორის მოიგონებს იმ წამს, როდესაც მას
„კამა მოუნდის ადამის ტომის წესითა“ და იტყვის:

ისრითა მოკლის ნადირი,
როსტომის მკლავ-უგრძესითა,
შამბისა ზირსა გარდაჰხდა,
ცეცხლი დააგზო კვესითა. (ტაუბი რუჭ)
ცხენსა მისცა საძოვარი,
ვირემ მწვადი შეიწოდას... (ტაუბი რუთ)

ავთანდილის მოგზაურობა და პურის საკმელად ჩამოხ-
ტომა ცხენიდან ხალხურს ლექსშიაც არის ნაამბობი. ვინ
არ იცის სიმღერა „ავთანდილ გადინადირა ქედი მაღალი ტუიანი?“
აქ საყურადღებოა ის ადგილი, რომელიც უახლოვდება რუს-
თაველის „ვეფხისტყაოსანს“, სახელდობრ:

„ნახტომსა თხსას ფერდსა ჰკრა
ისარი ორბის ფრთიანი,
ჩამოხტა მუხის ძირასა,
ცეცხლი დაანთო ძრიანი...
სანამ მწვადი შეიწოდა,
ცხენსა მისცა საძოვარი *)...

თინათინი, როცა ისტუმრებს ავთანდილს „უცხო მოყ-
მის“ საძებრად, პოეტის სიტყვით, ამას ეუბნება:

ფიცით გითხრობ შენგან კიდე,
თუ შევირთო რაცა ქმარი,
მზეცა მომხვდეს ხორციელი,
ჩემთვის კაცად შენაქმარი... (ტაუბი რაბ)

ქალაში ჩაწერილი ვარიანტი ტარიელზედ ამასვე მოკ-
ლედ გადმოგვცემს: „შენ მეტი ქმარი არ მინდა“. საყურად-
ღებოა, რომ სევანეთში ტარიელის სახელი დარჩენილა იმ
იშვიათი ფორმით, რომელიც პოეტს მოხსენებული აქვს ჩუპ

*) ავთანდილის ლექსი სრულიად ჩაწერილი აქვს იაკობ გოგება-
შვილს „დედა-ენაში“.

ტაეპში: რა ფრიდონ უთხრა ავთანდილს ტარიას მოციქულობაზე. ამ სახელს ტარიას შვევდებით სვანურს ლეგენდაში, რომელიც 1902 წ. გამოაქვეყნა თათარყან დადგეშქელიანმა „ივერიაში“. რადგან ეს ლეგენდა პატარა და აქამდის უცნობი იყო, მოვიყვანთ სრულიად.

ერთი ქალი, რომელსაც სახელად ერქვა ასმა, უმიზეზოდ დაორსულდა. მის დედ-მამას ქალი დანაშაული ეგონა და გააგდეს. წამოვიდა ასმა ერთს მინდორში, ხის ძირს მოილოგინა, შვა ვაჟი და სახელად ტარია დაარქვა. ტარია მალე გაიზარდა; ერთს თვეში დავაჟაკდა და ნადირობა დაიწყო. ერთს დღეს ქვებში დევებს წააწყდა, დევები დახოცა და დედითურთ იმ ქვებში დაბინავდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ ერთი იმ დევთაგანი გაცოცხლდა და ასმამ შეიყვარა. ტარიამ ეს ამბავი არ იცოდა, რადგანაც დღით ნადირობდა და ღამით-კი დევი ემაღებოდა. ასმა ხელ-მეორედ დაორსულდა და ეყოლა ვაჟი ავთანდილი. ტარიამ ჰკითხა დედას, ავთანდილი საიდან გაჩნდაო. დედამ უპასუხა, როგორც შენ უმიზეზოდ მეყოლე, ისე ავთანდილიცაო. ტარიამ დაუჯერა. ავთანდილი ძლიერ შეუყვარდა და ერთად სანადიროდ დადიოდნენ. ერთს დღეს ასმამ დევს უთხრა: რაღაა ჩვენი სიცოცხლე, — როცა ტარია სახლშია, ჩვენ ერთმანეთს ვერ ვნახულობთ, ამიტომ ტარია უნდა მოვკლათო. დევმა ბევრი უშალა — ტარია ჩვენ გვარჩენსო, მაგრამ ასმამ მაინც დევი დაიყოლია. ავთანდილს ყოველისფერი ესმოდა და შეიდჯერ სიკვდილს გადაარჩინა. რაკი არაფერი ეშველა, ავთანდილმა დევი-მამა მოჰკლა და ტარიას უამბო. ასმათი სპილენძის ფიცარზედ დაწვეს და ტარიას საცოლეს ძებნა დაიწყეს. ერთს ოქროს სასახლეში იყო მზეთუნახავი ქალწული სახელად დარჯი. ამ დარჯს ეპატრონებოდნენ ქაჯები. ქაჯებმა როცა შეიტყეს, რომ ავთანდილი და ტარია დარჯის დასანიშნავად მოდიანო, სტაცეს ხელი ქალს და უშველებელის ზღვის გაღალმა გადაკარგეს. ტარია გაგულისდა და უნდოდა ცხენით

ზღვაში შეეტოპა. ავთანდილმა ნავით გამგზავრება ურჩია, რადგან ცხენი ცურვით ვერ მიაღწევსო. ტარიამ არ დაიშალა. ავთანდილმა მოფიქრებულად მოამზადა საჭირო იარაღი და საგზალი, ჩაჯდა ნავში და გამოეყიდა ტარიას. ტარიამ მიაღწია შუა ზღვას, ცხენი დაელალა და, ის იყო, უნდა დაღუპულიყო: ამ დროს მოუსწრო ავთანდილმა, ტარია თავის ნავში გადმოსვა, გადაარჩინა და ვაი-ვაგლახით გაიმარჯვეს.

ამ დაშორებულს ლეგენდას ქართლ-კახეთში და ფშავ-ხევსურეთში ჩაწერილ ტარიელის ამბავთან მაინც საერთო ჩონჩხი აქვს. ავთანდილი და ტარია სვანური გადმოცემით ძმები არიან, დანარჩენი ვარიანტებით დეიდაშვილები. ხალხმა დაუნათესავა ეს ორი გმირი, თავ-განწირულნი მეომარნი დარეჯანის ანუ დარჯის მოსაპოვებლად. ასმათი ტარიელის ერთგული დის მაგივრად გახდა სვანეთში მის დედად, რადგან ხალხს უნდა აეხსნა თავდადებული სიყვარული ასმათისა ტარიელისადმი. ქაჯები და დევები აქაც მოქმედობენ! ზღვა, ცხენი, ნადირობა და ნავი — გარეგანს ერთფერობას აძლევს. ქალური ვარიანტით ტარიელ, ფრიდონ და ავთანდილ ძმები იყვნენ.

შესადარებლად რუსთველის „ვეფხისტყაოსანთან“ მოვიყვან ერთს „ზღაპარს ტარიელისას“, ჩაწერილს დ. ხ. თიონეთის მაზრაში, ს. არტანში. იყო ერთი ხელმწიფე გონიერი და ბედნიერი. მას ჰყვანდა დაახლოებული ვეზირი მირი. ხელმწიფემ და მირმა ერთმანეთს სიტყვა მისცეს: თუ ერთს ჩვენგანს ბიჭი ეყოლოს და მეორეს ქალი, მაშინ ქალი ვაჟს შევერთათო. თუ ორსავე ქალი ან ვაჟი გვეყოლოს დებსავით და ძმებსავით. დავზარდათო. ხელმწიფეს დაებადა ქალი — „ნესტან-დარეჯანი“, ვეზირს ვაჟი — ტარიელი. ცამეტი წლის ლამაზს და მეომარს ტარიელს დედ-მამა დაეხოცა და დარჩა მხოლოდ მამიდა. ტარიელს მეფემ მამის ადგილი უბოძა. ლამაზი გაიზარდა დარეჯანიცა. როცა სრულ-წლოვანი გახდნენ

ქალ-ვაჟი, ტარიელმა მამის ანდერძისამებრ მეფეს ქალი გაკვრით სთხოვა ცოლად. მეფემ არ იკადრა ქალი ვეზირისათვის მიეთხოვებინა, თუმცა ქალსაც ატყობდა ტარიელის სიყვარულს. მეფეს უნდოდა იგინი დაეშორებინა. ხატაველები ტარიელის მამის და მის გვარის მოსისხლე მტრები იყვნენ. მეფემ უბრძანა ტარიელს: ხატავეთს წადი მამის ცხენით და იარაღით ხატაველებისაგან ბეგარის ასაღებადაო. მეფეს ეგონა ცხენს და იარაღს იცნობენ ხატაველები და მოჰკლავენ ტარიელს, რომელიც თავის ვინაობას არც დამალავსო. ტარიელი წავიდა, მეფემ კი ნესტან-დარეჯანი სხვაზედ დანიშნა. ქალის წაყვანას უპირებდნენ, როცა ტარიელი გამარჯვებული და ოქრო-ვერცხლით დატვირთული ეახლა მეფეს. სასახლეში ქორწილია, მაგრამ ქალი უარზეა, არც სადედლოფო კაბას იცვამს და არც გათხოვებაზედ ეთანხმება. ტარიელი შედის იმათთან იმ დროს, როცა ქალს ატყუებენ, რომ ტარიელი ხატაველთ მოუკლავთო. ტარიელმა მამიდასაგან შეიტყო, რომ მეფეს ნესტან-დარეჯანის გათხოვება გადაუწყვეტია. ტარიელი მოახსენებს მეფეს:

„ბატონ, ხატავეთს გამგზავნე,

ბეგარა ამაღებიან,

სისხლი ქინქლაველთ შეფისა

თავზედ შე დამადებიან,

ქალი დარეჯან სხვას მიეტ,

შური შე ჩამადებიან“ . . .

ამაზედ მეფემ უბასუხა:

„ტარიელ, დაგსვი ვეზირად,

სიტყვა შენ გაგაბჭობინე,

თუ ჩემი ქალი გინდოდა,

რატომ არ შემატყობინე“.

ქალმა უთხრა:

თუნდა მიდე (დად მიმიდე), თუნდ შექმარე,

შენის მეტის ნურვის ხელში ნუ ჩამაგდებო—

ცოლად შენი თავი ღწერომა, მამიშენის და მამიჩემის
აღთქმამ მომცაო. მეფიონს ხმალ-ამოღებული დაემუქრა:

„ტარიელ ხატაეთიდან
მგზავრად მოვედი დილითა;
ხმალი მარტყავ მამისეული
წედზედა ეღვის პირისა.
შინ წადით, ვაჟის მყურებო,
მაკმარეთ გულის ტკივილსა,
თორემ ხალხს ვაყურებინებ
თქვენის ცოლშვილის ტირილსა“.

მაყრები ცარიელნი დაბრუნდნენ. ტარიელმა გააღვიძა
მეფე და უთხრა:

„თუ ძილი გქმინებოდა,
თავი დაგედო რად არე?
თუ გულში გეღვა დაღატი,
შემატუობინე რად არე?“

მეფემ უპასუხა:

მართალსა, შვილო ტარიელ,
დაღატსა გავგებინებ:
არც მავათ მივცემ, არც სხვათა,
შენაც ხელს აგადებინებ.
ქაჯუეთელსა ხუროებს
კიდობანს ავაგებინებ,
შიგ ჩავსვამ ნესტან-დარეჯანს,
ზღვას მივცემ, წავადებინებ“.

ლამით ხუროებს გააკეთებინა მეფემ კიდობანი, შიგ ჩასვა
გატიტვლებული ნესტან-დარეჯანი და ჩააყოლა სამი გველი:
შავი, თეთრი და წითელი:

„ხუროთ კიდობან ააკეს
ქებითა, არაკებითა,
შიგ ჩასვეს ნესტარ-დარეჯან
ძალითა, არა ნებითა.“

შიგ სამი გველი ჩუსვებს
ჯავრით, არ შენანებითა.
შავმა გველმა სთქვა: შავჯამოთ,
წითელმა შემოქმენითა,
თეთრმა სთქვა ნუ შევჯამო
ტარიელისა მზუვითა“.

ნესტარ-დარეჯანი კიდობნით ზღვიდგან ქაჯებმა მოი-
ტაცეს. ტარიელმა დაინახა, მაგრამ ვერ მიეშველა, დაბრუნდა
მამიდასთან და უთხრა:

„ცხრა ქაჯთა შონადირეთა
მზა ჩააგდიეს ნაგითა;
წართმა გავბედე ძალითა,
წყალმა ამუარა აბჯარი;
დავრჩი უშტოთ სევითა.
შუბნი და ჩაქანი ზღვას მივცენ,
მოვბრუნდი მარტო ხმალითა,
ხო იცი, მამიდავ ჩემო,
გული სავსე მაქვს ჯავრითა.
ქაჯუეთისა ცხენი
ნეტავ მაჩვენა თვალითა:
ფერ ხომ არ წაუვიღოდა
ნესტარ-დარეჯანს ჯავრითა“.

წავიდა ტარიელ რაშით ზღვის პირ და მწარედ სტირო-
და. ერთ აღგილას ცრემლი მდინარე წყალს მიემატა და
გადებული ხიდი წაიღო. ეს მოხდა სხვა სახელმწიფოში.
ამ დროს მეფეს ნადიმზედ დასაპატიყვებლად კოკლი მონა გა-
ევზაენა ტარიელის ქვეყანაში: აქ მონამ ჰპოვა მხოლოდ მა-
მიდა ტარიელისა და მისი ნათიცი ძმა ფრიდონ. ხელმწიფე
ერთიუროს სხვის ქვეყანაში გაქცეულიყო. კოკლმა მონამ შენიშნა
რა ხიდი წაღებულია, დაუძახა ტარიელს ცხენი ეთხოვებინა.
ტარიელს ტირილისაგან ჩასძინებოდა და ცხენის აღვირი ხელთ

ეჭირა. გაიღვიძა ყვირილზედ ტარიელმა, მკლავი ხიდივით წყალზედ გაღო და კოკლი მონა გამოვიდა. მეფეს მოახსენა:

„ერთი კაცი ზღვის ჰირსს
ნამტირალს ჰგვანდა გმირსა,
ზღვის კიდენი შაუთრთვილნეს
ცრემლს იმის ნატირსა.
ხელთ ეჭირა თავის რაში,
მკვიდრად დაემაგრა გმირსა.
უხდებოდა მარგალიტი
იმის ცხენის უნაგირსა.
ცხენი ვთხოვე, არ მოხთვია,—
წყალი მაილიკებს ძირსა;
თავის მკლავი გამიშალა,
გადო როგორც ხიდი ხისა.
ზედ გამოვედ უვნებლად.
გვარი ვკითხე, არ მასწავლა,
ნულამც მიეცემა ჯხინსა,
სახელი სთქვა: ტარიელ,
გაბრუნდიო, მკადრა ჰირსა“.

ამ სახელმწიფოში სცხოვრობდა ტარიელის დედის ძმა ავთანდილი, მეფესთან მიღებული, როგორც ტარიელის მამა თავის მეფესთან. ამ ხელმწიფეს ჰყვანდა კიდევ ორი კაცი, თითო ათას-ათასად დაფასებული, სახელად ედემ და ომარე. მეფემ ამათ უბრძანა:

„ადექით, აიუარენით,
ძმანო ედემ და ომარე;
ის კაცი აქ მომიუვანეთ,
ვინ არის ველთა მდგომარე.
ედემმა და ომარემ მოახსენეს:
ბრძანება იყო, ბატონო,
შენთა ბაგეთა ბრძოლთაგან,

ადვილი სამსახურია
ერთის მოუვანა ორთაგან“.

ესენი და მასთან კოკლი მონა გზის მაჩვენებელი გაოცდნენ, როცა დაინახეს მშვენიერი ახალგაზდა—ტარიელი და შორილამ დაუძახეს:

„შენ კაცო, კაცო, გინ ხარო,
შენი სახელი გვითხარო,
ბატონ გიბძანებს, აქ მოდი,
გულ ჩახურული ნუ ხარო“.

გაიღვიძა ტარიელმა და შენიშნა სამტრო იარაღით შეკურვილნი. მაშინ დაუძახა:

ჯარის შინდორზე სურებსა
გარშემო უდგა თასები,
ახლოს მოდექით, მიჯნურნო,
შორით არ დავიფასებო.

შერცხვათ ედემს და ომარეს. შეებნენ, მაგრამ შავი დღე დააყენა ტარიელმა. ერთს მათგანს ფეხებზედ მოაველო ხელი, ცისაკენ შეისროლა; მეორეს ბარძაყი მოსწყვიტა და კოკლის მონას გარდაჰკიდა ბატონთან წასალებად. ეს ამბავი მეფის მსახურთ უამბო მონამ და იმათ მოახსენეს მეფეს:

„კოჭლი მონა მოხინჭილებს
თავში შოიშენდა ქვითა,
ედემ ცისკ გაგვიგზავნა,
ჯერაც არ მოსულა ცითა;
იმის ჩოხის ნაგლეჯები
მესამე დღეს ჩამოდისა.
ომარე შინდორთ გაგვიკრა,
ბრუნავს, როგორც ჯარა ხისა“.

ამისა გამო მეფემ დაშალა ნადიმი:

„მეფემ თასნი გადაღვარნა,
ადარ არი ამ თასთ. სმისა;
ვინც მე უმანი დამიხოდნა

არ იქნება კაცთაგნ ისა.
სადა შეავს ავთანდილი,
მეომარი დეგებისა?
ჯილდო ბევრი ვუთავაზო,
მარგალიტი, თქრო-რედისა,
ჩემ უაფარჯენს გავუტზავნი.
რომელიც რომ მჯობი არი.
მივიდეს ის ტუგეთა მსხნელი
თურქთაგ სალოცავი ჯვარი,
ლახტი დასცეს ტარიელსა,
ზეცას მიდიოდეს ჩქამი.

მეფეს წინაშე წარსდგა ავთანდილი და მოისმინა ბძა-
ნება—ტარიელი შეეპყრა.

ტარიელი ტირილისაგან დაოსებული ერთის თვის ძილს
დაიძინებდა. სწორედ ამ დროს მიაღმა ავთანდილი ჯარით.
შორით ისრაღლეს ისრები და აასხეს ნაბადზედ, რომელიც
ეხურა, მაგრამ სხეულამდის ვერ უწივს. იქმნება მკვდარია,
ან მოტყუება უნდა ჩვენო, ამიტომ არ ინძრევიაო. გააფრინეს
ორბი: თუ მკვდარია, დააჯდება და ჭამას დაუწყებსო, თუ
ცოცხალია, არ მიიკარებსო. ორბი დასტრიალებს თავს, მაგ-
რამ მისვლას ვერ ჰბედავს. რაშმა ისრების დაანახვებდ დაიწ-
ყო ფეხით მიწის თხროს ვაიღვიძა ტარნიელმა და შენიშნა
ორბი. მოჰკლა ორბი ისარით და ფრთები მისი ხურჯინში
ჩააწყო. დაინახა რა ჯარი, შეჯდა ცხენზედ და უთხრა,
ამ ქვეყანაში დედის ძმა მყავს—ავთანდილი, შუბლზედ ვარსკ-
ვლავი აქვსო, იმას კი ტოტს ნუ ახლებ და სხვა ჯარზედ
კი ნება გაქვსო. ხმლით ბევრი დახოცა. ავთანდილს უთხრა:
დედის ძმა არ იყო ჩემი, შენც ამ დღეს დაგაყენებდიო. ავ-
თანდილი მობრუნდა და ცოლს უამბო, ტარიელი, ჩემი ლაშ-
ქრის ამომწყვეტი, ჩემი დისწული ყოფილა. ჯავრიანია და
დეგების უბნისკენ წავიდაო. ცოლმა ურჩია, რაკი საფრთხიანი
აღაგისკენ წავიდა ტარიელ, შორი-ახლო მას გაჰყოლოდა

ავთანდილ და დროზედ მიშველებოდა. ავთანდილს ეკვი შეუვიდა: ცოლი სახლიდგან მიტყუებს და თითონ კუროებს გაიჩენსო. ამიტომ უთხრა:

„ჰაი, შე ბოზო თინათინ,
ცელქო და აუციანო,
უწუალ-უღვაროდ წისქვილნი
მთაზედ ვის აუციანო?
მოუფარეების გულისთვის
სახლი ვის წაუციანო?—

ამ საყვედურზედ მიიღო პასუხი:

„ხატი რისხავდეს თინათინს,
ღმერთი უოველთა რჯულისა,
თუ შენს მეტ მე ვინ მინდოდეს,
ან მეფანდეს ვინმე გულისა,
მაგრამ წესია მოძებნა
კაცისა დაკარგულისა,
გულს ვერ მაცინებ, ავთანდილ,
არ შევალ მეზობლისასა;
თუ შევალ, ისევ გამოვალ
როგორცა ქალი ძმისასა“.

ავთანდილმა დაუჯერა, აიღო შვილდ-ისარი და გამოუდგა ტარიელს:

„ციხით თინათინმ იძახა:
ავთანდილ გაიპარაო,
სამოც-და-სამი ისარი
ქარქაშში ჩაიტანაო“.

ტარიელს დევებმა ჩხუბი აუტყეხეს, ნახნავზედ გაიარე და გაგვიფუტვეო. ერთი გუთნის-დედა შეება. ტარიელმა წიხლით თოფივით გააგლო დევი. ამაზედ დიდის ხნის გაუცინარს ტარიელს გაეცინა და კბილის შუქმა მთას უწია. ტარიელმა ხარგუთანი ფეხით შორს გაუსროლა და დევთა უბანი გაი-

არა. ავთანდილი შორი-ახლო მისდევდა და ძმობილს დევს ჰკითხა:

„დეგო, შენ ჩემო ძმობილო,
კარზე ვინ ჩამოგვიარა?“

დევმა უპასუხა:

ერთმა პირ-ტუქსმა (=ვარ. პირქუშმა) მოყუმემა
ცხენ-ხეთქით ჩამოიარა:
ხარ-გუთანს წიხლი ამოჰკრა,
ზღვას გაღმა გაასრიალა.
ბებურსა წიხლი დაგვიცა,
ჩარდახსა წიხლი დაგვიცა,
კუნეღმა ამოიოხრა;
ღბინი (ღიმღი) ქმნა, კბილი აჩინა,
შუქმა მთა გადაიარა.
ნუ მისდევ, ძმაო ავთანდილო,
თვარ შენ სიტოცხლე კი არა,
შენც მოგკლავს, თავსაც მოიკლავს,
ბევრი სხვა დააზიანა!
ბევრი ფოქვით, ხმაცა არ გაგვცა,
ეგრე რამ დააჰკვიანა“

ავთანდილი მაინც გამოეკიდა. გზაზედ სამი ძმა იდგნენ და გამვლელ-გამომვლელს ატყვევებდნენ, იარაღს და ტანი-სამოსს ართმევდნენ. გზას ჯერით დარაჯობდნენ. ტარიელის გავლის დროს უმცროსი ძმის ჯერი იყო. ტარიელის დანახვაზედ გასწია იმის გასაცარცვად. ძმებმა განზრახვა მოუწონეს. იგი გზას გადაუდგა, ტარიელმა ცხენი აარიდა. მან არ გაუშვა და ტარიელ ჩამოხტა ცხენიდან. მეზაყეს ფეხზე ხელი მოავლო, მეორეზე ფეხი დაადგა და შუაზედ გახია: ავთანდილს ამ დროს შველი მოეკლა, ცეცხლი დაენტო და მწვადსა სწვავდა სამი შამფურით—თხილისა, ასკილისა, და ღუღგულისა. დასჯილი მეზაყის ძმანი ვერ გაუძალიანდნენ ტარიელს და ამანაც ცოცხლები დასტოვა იგინი. ძმანი ავ-

თანდილის შესაპყრობლად გაეშურნენ. ამიტომ ავთანდილი შეხტა ცხენზე და რაკი მშვიერი იყო, მწვადიან შამფურებს წაეტანა ასაღებად: დუღგულისა და ასკილისა გაუტყდა, — იმისა გამო დასწყევლა ვინც ამ ხეების შამფურს იხმარს, — ბოლოს თხილისა აიღო და შეკამა. ავთანდილმა თავი მოარი- და კაცის მკვლელობას და შორიდგან დაუძახა ტარიელს:

„შავი ხარ და შავად მიხვალ,
შავად რასმე დაბურვილხარ,
სად მისდიხარ, მინც მითხარ,
რატომ შინ არ მიბრუნვილხარ?“

ტარიელმა უპასუხა:

თეთრი ხარ და თეთრად ზიხარ,
თეთრად რასმე მოკაზმულხარ,
იქით წადი, აქ ნუ მოხვალ,
ოორემ დღეზედ გასწურვილხარ,
ჯერ შენ მოგკლავ, მერე ცხენსა,
თუ აქეთ არ გაბრუნვილხარ.

ჯავრიანი ტარიელ მოვიდა იქ, სადაც მამიდა ჰყვანდა და უთხრა: ჩემის დედის ძმის ავთანდილის მსგავსი ვილაცა მომდევს, მე სანადიროდ წავალ და შენ შინ დაუხვდიო. ბანზედ დაჯექ, მატყლს რთვა დაუწყე და როცა მოვიდეს, ნართის გორგალი ჩაუგდე ბანიდგან; თუ მოერია და ბანზე ამოტანა შესძლო, მაშინ უეჭველად ავთანდილი იქნება, სხვაგან ნუ გაუშვებ და მეც ნადირობიდან დაებრუნდებიო. ტარიელი წავიდა ტყეში. ნახა, რომ ქორს შროშანი დაუ- ქერია. მოჰკლა ქორი ისარით, შროშანი ცოცხალ-მკვდარი კალთაში გამოიხვია, ავიდა ერთს მთაზედ, სადაც წააწყდა ვეფხის და ლომის გაცხარებულს ომს. ლომმა სძლია ვეფხს და მოკვლას უპირობდა, როცა ტარიელმა ხანჯლით შეუტია და ვეფხი გააშვებინა. ლომი შეებრძოლა ტარიელს და ამან შუაზედ ხანჯლით გასჭრა:

„ლომსა და ვეფხესა გახდია (ჩხუბი),
ჩადიან გამწარებულნი,
ლომი რომ მოჰკლავს შავ ვეფხესა,
ეც სიუმით დაშვებულნი?
მობრუნდა ლომი, შამებო,
დღე იყო დაღამებული,
სამი დღე-ღამე ვიომეთ,
სამნივე მაისისანი.
სანამ არ გასჭრა ორპირმა,
ხან იუენენ წაქცევისანი,
ღმერთი ვახსენე, შემოვკარ
ხანჯალი გაფხაკებული;
კალთაში შროშან მამიკვდა,
მეც დავრჩი გამწარებულნი;
დავჯე და ბევრი ვიტირე,
წაველ ვით დაბარებულნი,
შროშანმა სული ჩაიდგა
ღვთისგან ჩაბარებულნი“.

გაცოცხლებული შროშანი გაათავისუფლა და წამოვი-
და შინ. იქ ავთანდილი დაუხვდა, „მოიკითხეს“ ერთმანეთი.
ტარიელმა თავის თავ-გადანსავალი მოუთხრა, ავთანდილმა
დასცინა და ამაზედ ტარიელმა წყრომით უთხრა:

„ღმერთს გეუიციები, ავთანდილ,
მე არას მეცინებიან;
ერთი მზე შევანდა, მიუფარდა,
ქაჯნი მას მეცილებიან;
დავდივარ გამწარებულნი,
რო დავჯდე, მეტირნებიან;
დავშავდი ჭაბუკობიდან,
სიბერენ მეღირებიან.
ლაშქარნი ზღვისა ქაჯთანი
მოკვლასა მეპირებიან“.

ამაზე ავთანდილმა მიუგო:

„ნუ გეშინიან, ტარიელ,
დრო შე ვიცი ქაჯებისა;
ეხლა ქარწილს ამზადებენ,
ქაჯნი გამართავენ ლხინსა.
ცხენი მომე, ტარიელო,
ჩემ ცხენ ზღვაზე ვერ დაღისა“.

ტარიელმა ცხენი ავთანდილისთვის „ბიძას“ ფრიდონს სთხოვა, ტარიელის მამასთან ძმად გაფიცულს. ფრიდონმა ცხენიც მისცა და თვითონაც გაჰყვა საშველად:

„ცხენსაც მოგცემ, კიც გაგუვები,
მაშ რად გინდა თავის ბიძა?
თუნდ ცაღა-რქა დაიჭირე,
თუნდა რაში, როგორც გინდა.
ერთ ცაღა-რქა დაიჭირეს
თვალთ უმაღე, ნიაგ-ქრისა;
აიუარნენ და წაფიდნენ
სამნივ ქაჯეთისა გზითა“.

ფრიდონმა სთქვა:

არ მეგონა, ავთანდილო,
ზღვაზედ ვლევო ცხენებისა;
„თვალთ უმაღესს“ არ მოგცემდი,
ჩემი სიცუდ-გატე გითხრა“.

ფრიდონს ცხენი დაუვარდა და უკან დაბრუნდა. ავთანდილ და ტარიელ მიაღდგენ ქაჯეთის ციხეს, აშენებულს მიუღგომელს კლდეზედ. ციხის მახლობლად ორი ქალი თონეში ლავაშს აკრავდა. ტარიელს და ავთანდილს ლავაში უთავაზეს. ამათ კამა დაუწყეს. ციხიდან სიმღერა ისმოდა. ჰურის მცხობელებმა აუხსნეს მიზეზი სიმღერისა: ქაჯებმა ერთი მზეთუნახავი ქალი მოიყვანეს სახელად „ნესტარ-დარეჯანი“, და იმის ქორწილი აქეთო. ერთი მცხობელი წავიდა ამბის შესატყობად, ჩქარა დაბრუნდა და გადასცა ავთანდილს — ტარიელს,

რომ ეხლა ნეფე-დედოფალს საჩუქარს აძლევენო. ციხეს კარები რკინისა ჰქონდა, შიგნიდგან რკინის ურდულეებით ჩაკეტილი. გარეშე კაცს არ უშვებდნენ ციხეში, გარდა პურის მცხოვრელი დედაკაცებისა. რაკი შესვლა არ შეიძლებოდა, ტარიელს უნდოდა ციხე გარედგან დაენგრია. ავთანდილმა დაუშალა, მოხსნა ცხენს თოკი და სთქვა:

„საწყაღნი ჩემ დედ-მამანი
საღაღებლითა მზდიდიან,
ციხითა ციხის წვერზედა
თოკები გამიკიდიან,
მე ის მეგონა-კი თუ მკვლენ,
თურმე კი მასწყაღიდიან,
ისე გავიდი თოკზედა,
თვალნიც კი გერ მამიკიდიან;
იქ მდგომი ჩემებრ სწორები
ჩემს ცდასა დანატრიდიან“.

გააბა თოკი და ციხეში გადავიდა მის სანათურიდგან. თან ჩაიყოლა ტარიელის ბეჭედი. ავთანდილი გაერია სტუმრებში მოწვეულივით. როცა საჩუქარის მიცემა ერგო და გადაულოცა ტარიელის ბეჭედი, ნესტან-დარეჯანმა იცნო ბეჭედი და ჰკითხა, სად არის ბეჭედის პატრონიო. ავთანდილმა მიუგო: ციხეს გარეთაო. ქალი ეცა კარებს გახარებული, მაგრამ ცხრა რკინის დაკლიტული კარი დახვდა. ქაჯები დაეხვივნენ ავთანდილს. ზოგი იარაღით ეომებოდა, ზოგნი წურბელასავით სისხლსა სწოვდნენ. ავთანდილმა დახოცა იმდენი ქაჯები, რომ ციხე სისხლით ივსებოდა, მაგრამ ქაჯების რიცხვი არ მცირდებოდა. მაშინ შენიშნა ციხის ბურჯებზედ მალლა ბებერი ზის, სტვირს უკრავს და ფეტვს ჰფანტავს ციხეში; ფეტვის მარცვალი ქაჯად იქცევა და ავთანდილს ეომება. ავთანდილმა ბებერი ისრით მოჰკლა. ქაჯები ველარ მრავლდებოდნენ. გასაწყვეტი ქაჯების სისხლში დაიხჩობოდნენ ავთანდილ და დარეჯანიც, რომ ტარიელი არ მიეხმო საშველად:

„მიშველე, ძმაო ტარიელ,
დამჭირდა შენი გმირობა,
დამათხსირეს ქაჯებმა,
ჩემზედ აქვთ ზედ-მოვლილობა“,
ტარიელი მიაწვა კარებს:

„ტარიელმა სთქვა, რა არის
ეს ციხე, ვისეულია?
ცხრა კარი, კლიტე რკინისა,
სულ ჩემგან დანგრეულია.
ტარიელ გასაჭირშია,
სულ ეგრე დაჩეუულია;
დარეჯხის ქაჯთად მიმტემი
სუღითამც დაწევეულია“.

ავთანდილმა და ტარიელმა ქაჯები გასწყვიტეს, გაათავისუფლეს „ნესტარ-დარეჯანი“, რომელზედაც ჯვარი დაიწერა ტარიელმა. იცხოვრეს ბედნიერად.

თუ შევადარებთ ხალხურს ზღაპარს ტარიელზედ შოთას „ვეფხისტყაოსანს“, არ გავვიძნელებთ საერთო სქემის, ანუ გეგმის აღმოჩენა. ხელმწიფის ქალი ნესტარ-დარეჯანი და ვეზირის ვაჟი ტარიელ არიან გმირები ამ ორივე ნაწარმოებისა. ტარიელი დაობლდება; შემდეგ თავის მამის ადგილს დაიკავებს. ქალ-ვაჟს ერთმანერთი მოსწონს; მაგრამ მეფე ტარიელს თითქოს იუკადრისებს. ტარიელი წავა ხატაეთს, რომელსაც ნესტან-დარეჯანი რუსთველის პოემაში უწოდებს „ჩვენი სახარჯონია“ ანუ ხალხური თქმულებით „საბეგრო“ მხარე. ტარიელი დაბრუნდება ხატაეთიდან გამარჯვებული. მეფე განიზრახავს ქალი მიათხოვოს ხვარაზმშას, შოთას სიტყვით, და „ხორასნელ მეფეს“, ხალხის თქმულებით (ქართლ. ვარ. „ივ.“ 1890, № 240). ტარიელი საწინააღმდეგოს არას ამბობს „ვაზირობაზედ ანუ ბჭობაზედ“. ნესტარ-დარეჯანის ჩაგონებით ტარიელი თავის მოქიშპეს მოჰკლავს. განრისხებული მეფე პოემაში ეუბნება ტარიელს:

ხვარაზმშას სისხლი უბრადო
სახლად რად დამადებინე,
თუ ჩემი ქალი გინდოდა,
რატომ არ შემატეობინე?

ხალხური ლექსიც ამ გვარადვე გადმოგვცემს:

გინდოდა ჯერწამ-დარეჯან,
რატომ არ შემატეობინე,
სისხლი ხორასნეულთ ნუფისა
თავზედ რად დამადებინე?“

საერთოა ნესტან-დარეჯანის მამის მიერ დასჯა: „კილობან-ში“ ჩასმა და ზღვას მიცემა, „ქაჯების“ მიერ ქალის შეპყრობა, ტარიელის ზღვის პირას ტირილი, ტარიელის ნახვა მეფის (როსტევეანის შოთას პოემაში) „მონისაგან“, „ედემ და ომარეს“ გახეობრება, მეფის წუხილი, რომ „უცხო მოყმე“ არ ეწვია და სევდიანი მოსაზრება:

„ვინც შე უმანი დამიხოცნა
არ იქნება კაცთაგნ ის:“,
ანუ როგორც როსტევეანი უამბობს თინათინს:
„სპანი სრულად დამიხოცნა,
ვითა ეშმა დაშეკარგა,
არ კაცურად გარდაშეოცნა“

ავთანდილის (ხალხის თქმით ტარიელის დედის ძმა) წასვლა „უცხო მოყმის“ ამბის შესატყობად, თინათინის დაპირება, რომ სხვას ქმარს არ შეირთავს, სამი ძმის შეხვედრა, რომელნიც „მეკობრებად“ მიიღო ავთანდილმა (პოემაში) და მცარცველები იყვნენ მოგზაურებისა (ხალხურს გადმოცემაში), უმცროსი ძმის „დაკოდვა“ და ამათ სიტყვით გამხნეებული ავთანდილის „შორი-ახლოს“ დევნა ტარიელისა, მისვლა ავთანდილისა ტარიელის „მამიდასთან“ (ასმათთან რუსთველისა) ტყეში, როცა ტარიელი სანადიროდ არის წასული, აქ ლომის ბრჭყალებისაგან ვეფხის განთავისუფლება, ტარიელი უამბობს ავთანდილს თავის თავ-გადასავალს, ფრიდონის ტარიელის მამის ძმად გაფიცებულის და ავთანდილის დახმარებით ქაჯეთის ციხის აღება და ნესტარ-დარეჯანის განთავისუფლება.

პოეტმა ამ საერთო სქემას მისცა თვით-შემოქმედობითი ნიჭით დრამატული სისრულე და ფსიხოლოგიური სინამდვილე. ჩაუმატა ფატმანის და შერმადინის სახელები, უფრო მწყობრად ააგო გმირების დამოკიდებულება, ავთანდილ, ტა-

რიელ და ფრიდონ ნათესაური კავშირით განაცალკევა და შეაერთა თანხმობითი ინტერესებით და მეგობრული სიყვარულით. უფრო ღრმად ჩაიხედა კაცის გულში და იქიდან ამოზიდა თვით-ცნობიერების მარგალიტი. სახალხო მოთხრობის საეროვნობა, ნაციონალური მოტივის სალიტერატურო ქმნილებად გარდაქცევა ამაღლებს ჩვენს თვალში შოთა რუსთველს. იგი უყურებს ხალხურ პოეზიას მონაზონივით კი არა, რომელიც საერო ნაწარმოებს უკუ-აგდებს და ხელს ჰკიდებს სასულიერო ისტორიის შემუშავებას. არა, შოთა ბევრად მაღლა სდგას იმ დროინდელს საზოგადოებაზედ, იგი დაჰმღერს საერო ჰანგს, ნაციონალურს მოტივს, გაღვიძებულს ისტორიული ძლევა-მოსილებით თამარის მეფობის დროს.

მსოფლიო ისტორიაში ხალხური ამბის შემკობა კერძო მწერლის ნიჭით იშვიათი მოვლენა არ არის. მე-XV^{II} საუკ. მოლიერი თავის „ტარტიუსს“ სწერს საერო გარდმონაცემთა მიხედვით. ამ გვარადვე იქცევა ლესინგი „ნატან ბრძენის“, შექსპირი „ჰამლეტის“, გეტე „ფაუსტის“, ბაირონი „დონ-ჟუანის“ შექმნის პროცესში. შოთაც ამ გზას ადგია: იგი სარგებლობს ხალხის თქმულებით „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტად. თუ ამ დასკვნას არ მივიღებთ, მაშინ გაგვიძნელებს ავხსნათ მსგავსება ხელოვნური და ზეპირი ნაწარმოებისა. ვერ მოვახერხებთ გამოვარკვიოთ, რად გადაასხვადფერა ხალხმა „ვეფხისტყაოსანი“, თუ მან ისარგებლა რუსთველის პოემით. წინააღმდეგ, თუ მსგავსებას მივაწერთ იმ გარემოებას, რომ ხელოვნური ნაწერები აგებულია სახალხო მოტივზედ, მაშინ ადვილად მისახვედრია, რომ პოეტმა განდევნა წვრილალი კერძობანი ზღაპრული მოთხრობისა ტარიელზედ, უყურადღებოდ დასტოვა, რაც მის დედა აზრს არ ასურათებდა ანუ ერთიანობის ხასიათს ავენებდა.

შესაძლებელია, რომ „არაკი ტარიელისა“ საქართველოში ეკუთვნოდეს იმ ციკლთა ნაწარმოებს, რომელნიც აშენებულნი არიან ესრედ წოდებულს მოსიარულე სიუჟეტზედ. იქნება ამიტომაც თქვა თავის შრომის შესახებ რუსთველმა

„ესე ამბავი სპარსული
ქართულად ნათარგმანები,
ვზოვე და ლექსად გარდავთქვი,
საქმე გქენ საჭოჭმანები“.

„ამბად“ შემოსული აღმოსავლეთიდან (კერძოდ, შეიძლება, სპარსეთიდან) არაკი „ლექსად“ გარდაქმნა. ეს სიტყვები მოწმობენ, რომ ზეპირად მოთხრობილი ამბავი ტარიელზედ უფროსია ხელოვნურად შექმნილს პოემაზედ. საერო ზღაპრის უფროსობას ერთი საბუთი კიდევ გვიმტკიცებს. აქამდის ცნობილს ყველა ვარიანტებში გამოუკლებლად იპოება ერთი ლექსი, სადაც დასახელებულია ორი კაცი: ედემ და ომარე:

„ადექით, აიყარენით,
ძმანო ედემ და ომარე,
ის კაცი აქა მომგვარეთ
ვინ არის ველთა მდგომარე“.

ედემ და ომარე შოთას პოემაში არ მოიპოვება. პოეტმა არ აღნიშნა იმ კაცთა სახელები, რომელნიც როსტევანმა გაგზავნა „უცხო მოყმის“ შესაპყრობად. ამით შოთას ქმნილებას არა აკლდება-რა, მაგრამ შესადაარებლად კი გვაძლევს გამოსადეგს საშუალებას. „ედემ და ომარე“*) ქართული სახელები არ არიან: საცა ტარიელ, ფრიდონ და სხვა იპოება, იქვე უნდა მოიძებნოს ამ ორ „ძმათა“ სახელიც. თუ შოთას პოემა გავრცელდა ხალხში, მაშინ იმის უსახელო „ძმანი“ უსახელოდ დარჩებოდნენ საერო გარდმონაცემშიაც. რუსთველმა თვით შეჰქმნა სახელი მეფისა—როსტევან და ნესტარ დარეჯანის მამიდისა—დავარ, ჩაურია პოემაში ფატმან, ერთი სიტყვით სახელწოდებანი გაამრავლა შედარებით ზეპირთქმულებასთან და წმინდად დაიცვა ის სახელიც, რომელიც ხალხის მეხსიერებაში დარჩენილია, თუმცა შესცვალა მათი როლები, და ურთი-ერთი კავშირი, მაგალითად ასმათისა და ავთანდილ-ფრიდონისა ტარიელისადმი.

*) სახელები „ედემ და ომარე“, შეიძლება, როგორც ვაჟა-ფშაველამ შეჰნიშნა, წარმოადგენდნენ ხალხის მიერ გადამახინჯებულს შოთას სიტყვებს: „აბჯარი თქვენი საომარე“ იმ ლექსიდგან, რომელიც იწყება: ხელთა აიღეთ აბჯარი თქვენ საომარე, მიღით და აქა მომგვარეთ, ვინ არის იქა მჯდომარე!“

საყურადღებოა საერო ნაწარმოებში „კოკლი მონა“, რომელიც ამ ეპიტეტით პოეტს არ შეუწყნარებია. „ედემ და ომარ“, აგრეთვე „კოკლი მონა“ ეკუთვნიან იმ საერთო წყაროს, რომელმაც მისცა საზრდო საერო ტარიელის ზღაპარს. ეს საერთო წყარო ვარიანტებში ხშირად ამღვრეულია სხვა-და-სხვა მომდინარე ზღაპრული ტოტების შერევით, — აუცილებელი მოვლენაა ზეპირ-თქმულებათა პროცესში, გავრცელების დროს. ასეთია იმერეთის მეფის და ერთი ქართველი ქალის ჩარევა ტარიელის ზღაპარში, რომელიც ქართლში ჩაიწერა. ტარიელის ზღაპარს მიეწება ბევრი ისეთი ამბავიც, რომელიც სხვა არაკების ელემენტს შეადგენს. აღნიშნული ზღაპრების კრებულში მოთავსებულია არაკები „ღვთისავარ“, სადაც სწარმოვმს განწმენდა უსაბუთო ექვისაგან იმ გვარად როგორც ეს ჩემ მიერ ბიწმენდში ჩაწერილს ტარიელის ლექსის ვარიანტშია: ტარიელმა ექვი შეიტანა თავის „ღვიდა შეილს“ ავთანდილზედ. ამიტომ ამან აისროლა ისარი და ინატრა: იმ ასოში დამეცეს ისარი, რა ასოთიც შევებე შენს ცოლს. ტარიელის ამბის ვარიანტების შედარება და ჩვენი ზღაპრებთან დაპირისპირება გვაძლევს საშვალებას აღმოვაჩინოთ საერთო სათავე აწ გავრცელებული ზღაპრული „ვეფხის-ტყაოსნისა“ და იმ უძველესი ჩონჩხისა, რომლითაც ისარგებლა რუსთველმა პოემის სიუჟეტად. ამასაც გავბედავთ და ვიტყვი, რომ ერს იმიტომ უყვარს და აღიდებს შოთას ნაწერებს, რომ შინაარსი იმის პოემისა ხალხის გულიდგან არის ამოღებული. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ, თუ რუსთველმა ააგო თავის ნაწარმოები საერო თქმულების სიუჟეტზედ და შემდეგ მოჰქარგა ხელოვნურად, მის განსაკუთრებითი ნიჭით შექმნილი პოემაც მოქმედებდა ერის გრძნობა-გონებაზედ, იმის საგულისხმიერო ფილოსოფიური აზრები ვრცელდებოდნენ ხალხში და ანდაზების ხასიათს იძენდნენ. მაგალითად პოეტის სიტყვები:

„სჯობს სიცოცხლესა ნძრახსსა
სიკვდილი სხელოვანი“.

ანუ:

ათასად გვარი დაფასდა,
ათი ათასად ზრდილობა,
თუ კაცი თითონ არ ვარგა,
ცუდია გვარიშვილობა—

შეითვისა ერმა და ხალხურს ლექსში ჩაურთო. ორივე პროცესი შეხვდნენ ერთმანეთს—ზეპირ-თქმულებამ მისცა სიუჟეტი პოეტს და პოეტის ქმნილებამ ზედ-მოქმედება იქონია ხალხის შეხედულებაზედ.

ჩვენ არ შევეუდგებით შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის გადაცემას. გ. იოსელიანმა (1892 და 1898 წ.) ორჯელ გამოსცა ყრმათათვის მოთხრობილი შოთას პოემა. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ამ პატივცემული პირის წიგნს. „ვეფხისტყაოსანი“ მიგვაჩნია იმ ნაწარმოებად, რომელსაც აუცილებლად იცნობს თვითოველი ქართველი და ამიტომ მოუხერხებლად ვრაცხთ რამდენიმე სტრიქონით გადავცეთ ღრმა დაკვირვებით და ადამიანის სულის მოძრაობის ანალიზით პოემის შინაარსი.

რა აზრით დაწერა რუსთველმა *) თავისი პოემა? რა მიზანს ემსახურება „ვეფხისტყაოსანი?“ რით ხელმძღვანელობს პოეტი თავის ნაწერების შექმნის დროს? ეს საკამათო საგანი ახლაც არ გათავებულა და ამ მოკლე ხანში კვალად აღძრა ს. ქვარიანმა („მოამბე“, 1903 წ. V II და VIII წიგნი). თითქმის ამ სამოცი წლის წინად უკვე პროფ. დ. ჩუბინაშვილმა აღიარა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თამარ მეფის შესხმად დაიწერაო. შედარება პოემის და დედოფლის ამბისა თვალწინ გვიშლის განსაცვიფრებელს მათ მსგავსებას და გვაფიქრებინებს, რომ ნესტან-დარეჯანის სახელით პოეტმა დაგვისურათა თამარ მეფე. აი ეს მსგავსება რაში გამოსკვივის. ნესტან-დარეჯანი იყო ერთად-ერთი ასული ინდოეთის მეფის ფარსადანისა, როგორც თამარი ერთად-ერთი ასული მეფის გიორგი

*) რუსთველობა—ხელობა იყო, ჰფიქრობს ანტონ ფურცელაძე.

მესამისა. აღზდა ნესტან-დარეჯანისა ფარსადანმა მიანდო თავის დას დავარს; აღზდა თამარის ჩააბარა გიორგი მე-III თავის დას რუსუდანს, ოსეთის მთავრის მეუღლეს. რუსუდანმა აღზარდა ნესტან-დარეჯან თავის ქმრის ნათესავთან ერთად — დავით სოსლანთან; ნესტან-დარეჯანი აღიზარდა ტარიელთან. ამ დაახლოვებულის აღზდის ნაყოფი იყო ნესტან-დარეჯანის და ტარიელის სიყვარული, აგრეთვე თანაგრძნობა თამარისა დავით სოსლანისადმი, რომელსაც მისთხოვდა შემდეგში პირველი ქმრის რუსის თავადის განდევნის შემდეგ. სახელმწიფო მოსაზრებით ფარსადანმა განიზრახა ნესტან-დარეჯანის ხვარზმ-შაჰისთვის მითხოვება; „ქართლის ცხოვრების“ სიტყვებით: ხვარზმ-შაჰი თხოულობდა თამარს, მაგრამ უარი მიიღო, როგორც ნესტან-დარეჯანისაგან, თუმცა მოკლულ არ იქმნა, მსგავსად რუსთველის პოემის მსვლელობისა. რუსთველმა გაჰყო ინდოეთი შვიდს სამეფოდ; ძველს გუჯრატში ქართველი მეფენი თავიანთ თავს უწოდებდნენ შვიდი სამეფოს მფლობელად. თამარის მამას გიორგი მე-III-ს ეჭირა შვიდი მხარე: აბხაზეთი, იმერეთი, საათაბაგო, ქართლი, კახეთი და რანი. ამას უნდა დავუმატოთო, ბძანებს განსვენებული ჩვენი მეცნიერი, ოსეთის სამეფო, რომელსაც ჰფლობდნენ აგრეთვე ბაგრატიონნი. ქაჯეთის ციხე, პოემაში მოხსენებული, მდებარეობს ახალციხის მაზრაში(!).

აკ. ბროსსეც ჰტიქრობს, რომ პოეტმა შესთხზა „ვეფხისტყაოსანი“ თამარის საქებრად და შეუთანხმებია საქართველოს მოთხრობათა მსვლელობას. ეს აზრი მოსჩანს რუსთველის სიტყვებიდან:

„თამარს ვაქებდეთ...“

მიბრძანეს ქება...“

დ. ბაქრაძე ამათ მოსაზრებას ემხრობა, გაიმეორებს დ. ჩუბინაშვილის სიტყვებს და დასკვნის, რომ პოემის დედა აზრი დაფუძნებულია რუსთველის დროის საქართველოს ისტორიაზედ. რამდენიმე პირისაგან წარმოთქმული იყო აზრი,

რომ რუსთველის პოემას სარჩულად დაედო პოეტის აღგზნებული ვნება თამარისადმი. რადგან ვერ გაბედა ამ გრძნობის პირ-და-პირ დასახელება, მოქმედება გამოგონილ მეფე-კაცთა გადაიტანა მოგონილს სამფლობელოს—არაბეთს და ინდოეთს (მურავიევის აზრი). ძლიერი მეფე გიორგი, მამა თამარისა, გამოავიხატა როსტევან მეფედ და თამარი თინათინად. ნ. გულაკიცი ჰფიქრობს, რომ პოეტმა თამარს უძღვნა პოემა და თვით გმირების ასპარეზად საქართველოს მაგიერ დაასახელა არაბეთი, მაგრამ ბუნება „არაბეთისა“ საქართველოს ბუნებაა. უღრანი ტყენი, დაკიდულნი კლდენი, ჩხრიალა ხევნი, ჯოგნი ირემთა და შველთა გვაგონებენ საქართველოს. ისტორიულს საფუძველს ეძებს აგრეთვე ს. ქვარიანი. იგი აღიარებს, რომ პოემა „თამარისავე ბრძანებით ანუ უკეთ ნებართვით არის დაწერილი“. ამას ამტკიცებს პოეტის სიტყვებით:

„მიბრძანეს მათდა საქებრად
თქმა ლექსებისა ტკბილისა“.

ამაზედ უნდა შევნიშნოთ, რომ თამარისათვის მოუხერხებელი უნდა ყოფილიყო პოეტისათვის ებრძანებინა ქება დამიწერეო. ასეთი სურვილის განცხადება ვერ გაუბედა რუსეთის ხელმწიფამ ეკატერინე მეორემ თვის სასახლის პოეტს დერჟავინს. ს. ქვარიანის აზრით მრავლობითი ფორმა სიტყვისა „მიბრძანეს“ მოწმობს, რომ თამარის გარდა სხვასაც უბრძანებია ანუ მიუცია ნება ლექსების დაწერისა. აქ იგულისხმება თამარი და მისი ქმარი დავით სოსლანიო. პოეტი აქებს თამარს მოთქმით და საშინელი ცრემლის დენით:

„თამარს ვაქებდეთ შეფეს
სისხლის ცრემლ-დათხეული,
ვსთქვენით ქებანი ვისნიშე
არ ავად გამოთრეული,
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა
და კალმად მინა რხეული,

ვინცა ისმინოს, დაესვას
ღახვარი გუფსა ხეული“.

ამ ცრემლსა და გოდვას, ამბობს ბ-ნი ქვარიანი, პირად სიყვარულთან არავითარი კავშირი არა აქვს. პოეტმა დაგვიხატა მხოლოდ ნესტან-დარეჯან, ესე იგი თამარ ბედშვილი, თამარ ზენარად შეყვარებული, ტანჯული და ქაჯეთის, ე. ი. ქობულეთის ციხეში დამწყვდეული, თამარ გმობილი და უდანაშაულოდ გაქირდული. აი როგორი თამარის ქება და მისი პიროვნების აღდგენა უბრძანეს შოთას! პოეტის სამგლოვიარო კიდევ მეორე უმთავრესი გმირია—ტარიელ. ამის მწარე ხვედრი უფრო გულს უკლავს მას:

„მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის
ცრემლი გვდის შეუშრობელი,
მისებრი მართ დახადებით
ვინცა ყოფილა შობილი,
დავსჯე რუსთველმა გაფლექსე:
მისთვის გულ ღახვარ სობილი,
აქამდის ამბად ნათქვამი,
აწ მარგალიტი წყობილი“.

ს. ქვარიანი ეძიებს—ვინ არის ეს ტარიელ—ისტორიული პირია, თუ პოეტის ფანტაზია. პოემიდგან ვტყობილობთ, რომ იგი მეფის შვილია, მხნე და შვენიერი ქაბუკი, ნესტანის, ესე იგი თამარის მამის მეგვარე. შვილობილი ტახტის მემკვიდრე. მოჰკლა ნესტანის საქმრო, აუჯანყდა გამბრდელს მეფეს, გამაგრდა ციხეში და მოინდომა გამეფება. შემდეგ ვხედავთ მას ველად გავარდნილს, ამოუჩნდება ორი თავდადებული მეგობარი და ამათი დახმარებით ქაჯეთის ციხეს აიღებენ და ნესტანს ათავისუფლებენ. ეს ორი შეყვარებული გმირია პოეტის აღმაფრენის მიზეზი და სამიჯნურო საგანო.

როსტევან, მეფე მალალი, სვიანი, არის გიორგი მესამე, მამა თამარისა, რომელსაც მეფემ თვით დაადგა გვირგვინი. თინათინ არის თამარ, რომელიც მამის სიცოცხლეში ტახტ-

ზედ ავიდა. ფარსადან, შვიდთა სამეფოთა მფლობელი, იგივე გიორგია, რომელსაც ერთად-ერთი ქალი ჰყავს თამარ (პოემაში ნესტან-დარეჯანი), ესე იგი თინათინი და ნესტან ერთი და იგავე პირია, როგორც როსტევეან და ფარსადან—ერთი და იგივე გიორგი. ავთანდილ, მსგავსი მზისა და მთვარისა, შვენიერი დავით სოსლანია. პოეტი მალავს ტარიელის და ფრიდონის ვინაობას. ავთანდილ და ტარიელ ერთი და იგივე პირი არაა. მხოლოდ ერთი უცნაური მსგავსებაა მათ შორის: ორთავეს უყვარს თამარ. ერთს გატაცებით უყვარს თამარ ნორჩი, მეფედ კურთხევამდე, ესე იგი, თამარ-ნესტანი, მეორეს დინჯად უყვარს თამარ გვირგვინოსანი, თამარ-თინათინი. მაშ თამარს ორი მიჯნური ჰყოლია, ბრძანებს ბ-ნი ქვარიანი. პირველი მწვავე და ქეშმარიტი სიყვარული თავის ნათესავთან, ტახტის მემკვიდრე, შვენიერ ტარიელთან, მეორე კი მოსაზრებული სიყვარული სასახლის კარზედ აღზრდილ ავთანდილ-დავითთან. შოთა სწერს პოემას თამარის სახელის აღსადგენად.

როგორ? ამაზედ პასუხს ეძებს ს. ქვარიანი საქართველოს ისტორიაში. „დავით აღმაშენებელის შვილს დიმიტრის ჰყოლია ორი ვაჟი: გიორგი და დავით. კანონით ტახტზე უნდა ასულიყო უფროსი შვილი, ე. ი. გიორგი, მაგრამ იგი იყო უშვილო, დავითს კი ჰყავდა ვაჟი. უმცროსი შვილი აჯანყებია მამას და გამეფებულა, დიმიტრის უცვნია კანონიერათ დავითის გამეფება, გადამდგარა ტახტიდგან და ბერად შესულა. მაგრამ დავითს დიდხანს არ უცოცხლია. სიკვდილის დროს იგი იწვევს დიდებულთ, ავედრებს მათ თავის პატარა ვაჟს, დემნას, რომ აკურთხონ იგი მეფეთ, როცა მოვა ასაკში, შემდეგ აბარებს მას თავის ერთგულ სპასალარს ივანე ორბელიანს; გიორგის კი აძლევს რეგენტობას. დავით ართმევს ყველას ფიცს და კვდება. რას შერება გიორგი? იგი აღის სამეფო ტახტსედ, სდებს ფიცს, თანხმად ანდერძისა, გავამეფებ დემნას, როგორც კი ასაკში მოვაო. ამ ხანებში მას გაუჩნდება ქალი თამარ, გიორგი იმაგრებს ფესვებს, იძენს

მომხრეებს, იგი იმარჯვებს მრავალ ომებში, ამარცხებს მტრებს, იპყრობს სომხეთს და აძლიერებს სამეფოს... მას ეზრდება მემკვიდრედ მშვენიერი ქალი. გიორგის ავიწყდება ფიცი. მას არ უყვარს დემნა, როგორც შვილი თავის უზურპატორი ძმისა... ბიძას არა სურს მის გამეფება. დემნას... არაფერი დარჩა გარდა ამბოხებისა. დემნას მიემხრნენ ორბელიანები, მესხეთი, კახეთი, ქართლის ერისთავი, სარგის მხარგძელიძე, დიდებული ყვარყვარე, კახა გამრეკელი, მემნა, ჯაყელი, შოთა ართავაჩოსძე ე. ი. შოთა რუსთველი და 30.000 მხედარი... დემნა გამაგრდა ლორის ციხეში... გიორგი მიაღდა ციხეს. მეციხოვნეთ გამოელიათ სურსათი, დაეცნენ სულით... რამდენიმე გაქცეულან ციხიდან და დამორჩილებიან მეფეს. გიორგის ბანაკიდან ისრით გადმოუგდიათ წერილი ივანესთვის და ურჩევიათ, რომ დამორჩილდეს მეფეს და მოართვეს ფეშქაშად დემნა, მიზეზი უბედურებისა... დემნა გადმოსულა ციხიდან ბიძასთან და სიცოცხლე უთხოვნია... გიორგიმ მოიტყუა ციხიდან ივანე ორბელიანიც ფიცით არაფერს გავნებო... სტაცა ხელი და დათხარა თვალები, დემნას კი არ აკმარა თვალების დათხრა, იგი დაასაქურისა კიდევ!! აქედან დასკვნის ს. ქვარიანი, რომ დემნა და ტარიელ ერთი და იგივე პირია, ვინაიდან სხვა ამ გვარი ვინმე და საქართველოს ტახტის მემკვიდრე არ იზრდებოდა გიორგი III-ის დროს. თამარს დემნა უყვარდა, მაგრამ გიორგი ვიწრო მართლ-მადიდებელი და ფანატიზმით დაბრმავებული იყო და ამიტომ თავის ქალი ძმისწულს არ მიათხოვაო. თამარს ვერ დაუვიწყნია „ტანჯული გრძნობა და გათელილი პირველი სიყვარული“ დემნასადმი...

შინაურმა რეფორმებმა თამარს და მის მეუღლეს დავითს ბევრი მტრები გაუჩინეს. „იმათ კარგად იცოდნენ თამარის წარსული და ავრცელებდნენ მასზედ ურიგო ხმებს... ეს გარემოება აღონებდა თამარს და დავითს... აქ. საჭირო იყო ციური

ქნარი და მგოსნის ზენაარი ჰანგი; საჭირო იყო ხმა ძლიერი, რომ ემხილა ქვეყნისთვის სიყვარულის ძალა და სიდიადე... შოთას

„უბრძანებს შაიდა თქმა ლექსების ტკბილისა“.

პოეტის მიზანია რაც შეიძლება დიდებულად დაგვიხატოს მიჯნურობა და სიყვარული... პოემაში, აშქარაა, კვირს ისტორიული ფაქტი, სასახლის დრამა და დინასტიური განხეთქილება. პოეტი მოსთქვამს დემნა-ტარიელისთვის „ცრემლ-შეუშრობელი“ და თამარს აქებს „სისხლის ცრემლ დანთხეული“. გავლექსე ყოველივე ესა, ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა დასამაგრებლად. ს. ქვარიანის მოსაზრება ისტორიული ფაქტებით არის დასაბუთებული იმ ადგილამდის, სადაც ტარიელისა და დემნას მსგავსებას შეეხება. მაგრამ, რად ჰკონია ბ-ნს ქვარიანს, რომ დემნა პოემაში ტარიელად არის გამოყვანილი? რა აქვთ მათ საერთო? არაფერი ისეთი, რაც არ შეიძლება აღმოვაჩინოთ სხვა მსგავსს პირთანაც. განსხვავება კი მეტად დიდია. ჯერ ეს ერთი, რომ დემნა დასაჭურისებულია და ტარიელი, მოგვხსენებათ, ამ ოპერაციას ასცდა. მეორეც ესა, ტარიელმა შეირთო ნესტანი და დემნა კი თვალეზ-დათხრილი დაიღუპა. რა ისტორიულს წყაროზედ ამყარებს ავტორი იმ აზრს, რომ თამარს და დემნას ერთმანეთი უყვარდათ და გიორგი მეფე წინ აღუდგა ამ გრძობას ფანატიკოსი — მართლ-მადიდებელი თვალთ-ისარით? არც ერთი ფაქტი ამ მოსაზრების „დასამაგრებლად“ არ სჩანს მის 75 გვერდიანს გამოკვლევაში. გიორგი მეფის ფანატიკოსობა და თამარის და დემნას სიყვარული ს. ქვარიანის მეტს არავის შეუმჩნევია.

ს. ქვარიანი და ყველა მის წინამორბედი ქართველი მკვლევარნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ რუსთველის პოემა ორიგინალურია, პოემის ქება-დიდების საგანი თამარ-მეფეა, მაშასადამე პოემაში მოთხრობილია ნამდვილი ისტორიული ფაქტები, ხოლო ქვეყნების სახელები ალღეგაორიულად არიან ნახ-

მარნი. მხოლოდ ნ. მარრი გარდაწყვეტილს შეხედულებაზედ აქამდის ვერ დადგა. პირველად აღიარა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ნათარგმნი თხზულებააო, მერე უწოდა რუსთველს სპარსული რომანის გამლექსავი და ბოლოს გამოსთქვა, რომ ჩვენს პოეტს შეიძლება სპარსულს რომანში ქართველებიც ექოსო. ჩვენ ნაძალადევად მიგვაჩნია „ვეფხისტყაოსანში“ ისტორიული ეპოქის სრულის სურათის აღმოჩენა. რუსთველი სცხოვრობდა დიდებული თამარ მეფის დროს, როცა საქართველოს, პოლიტიკურმა და კულტურულმა გაძლიერებამ უმაღლესს წერტილამდის მიიღწია. პოეტი გვერდს ვერ აუქცევდა გატაცებას თანამედროვე საზოგადოებისას. იმ პოემისათვის ბექედი უნდა დაესვა გმირულს ხანას და საქართველოს აყვავების მიზეზს. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ პოეტი ქებით იხსენიებს თამარს და მოწიწებით თავს იხრის მის წინაშე. პოეტი ეძიებს სიუჟეტს, რომელიც პოეტურად ასურათებდეს თანამედროვე წამს უცხო ხელმწიფეების საქმეთა მოთხრობით. პოეტური აღმაფრენა ფრთებ-შეკვეცილი იქნებოდა, რომ საგნად „ვეფხისტყაოსნისა“ გაეხადნა გალექსავა ისტორიული ფაქტებისა. რუსთველმა მიმართა ისეთს სიუჟეტს, რომელიც თამარ მეფის ხანას შორეულად დაჰყურებდა. ეს სიუჟეტი მან ჰპოვა ზღაპრულს მოთხრობაში, რომელიც აღმოსავლეთიდან იყო საქართველოში შემოტანილი. რუსთველი ამბობს:

„ესე ამბავნი უცხოანი
უცხოთა ხელმწიფეთანი,
პირველ ზნენი და საქმენი,
ქებანი მათ მეფეთანი,
ვპოვე და ლექსად გარდავსთქვენ,
ამითა ვილაყებთანი“ (=ვილაყებენითა)

ამ ადგილიდან აშკარადა სჩანს, დასძენს იუსტინე აბულაძე, რომ რუსთველს ეს უცხო ხელმწიფეების შესახებ

ამბები უნახავს და ლექსად გარდაუთქვამს. მართლა და რა საკვირველია, ყოფილიყო გავრცელებული ვეფხის-ტყაოსნისებური ზღაპრული ამბები იმ დროინდელს საქართველოში, სადაც სპარსელების და არაბების გავლენას ისე მაგრად ეკიდა ფეხი. აღმოსავლეთის ხალხებიდგან შემოდინდა და ვრცელდებოდა უძველესი ზღაპრები და მოთხრობები ინდოეთის და არაბეთის შესახებ, თან ზეპირ გარდმოცემით, თან ლიტერატურის საშუალებით *). ვეფხის-ტყაოსნისებური ამბავი ადვილად „გავრცელდებოდა და ჩაიმყნებოდა ისეთს გმირულსა, საოცნებო და საზღაპრო ქვეყანაში, როგორც უნდა ყოფილიყო თამარის დროის საქართველო“, რაინდული საქმეებით წარჩინებული. ამიტომ

„პირველ ზნენი და საქმენი,
ქებანი მათ მეფეთანი“

შეიქნა კანვად, რომელშიც უნდა გამოქარგულიყო ისტორიული მომენტი და მასთანავე ღრმა სულის მოძრაობა. ამ მიზნით ტარიელის და ნესტან-დარეჯანის არაკი, დარჩენილი ახლა ჩვენს ხალხში და პოეტის დროს „ამბად ნათქვამი“, გარდიქმნა „წყობილ მარგალიტად“. ტარიელის თავ-გადასავალი ფრთებს ასხავდა პოეტის ფანტაზიას, გამიჯნურებული გული ჰპოებდა „ამბად ნათქვამს“. მოთხრობაში ჩონჩხს წრფელის და მძლავრის სიყვარულის დასახატავად. ნამდვილი სიყვარულის დამახასიათებელი, პოეტის აზრით, არის „საქმენი საგმირონი“. „იმ მიზნით, რომ დაეხატა ამ გვარი სიყვარული, ამბობს ბ. აბულაძე, რუსთველს აუღია რაღაც უძველესი აღმოსავლეთის ქვეყნების და ხელმწიფეების შესახები ზღაპრული ამბები, რომლებიც ფართო ადგილს აძლევდნენ მის შემოქმედებითს ნიქს და განუსაზღვრელს გრძნობას და აღუ-

*) „ცნობის ფურცელი“ 1903 წ. № 2292 და 2294.

ყვანია თავის საკუთარის გენიის წყალობით მხატვრობის უმაღლესს ხარისხამდი“.

წინააღმდეგ დ. ჩუბინაშვილის და სხვათა, ბ. აბულაძე ამტკიცებს, რომ ავთანდილი ნამდვილი არაბია და ლოცვა მისი, მაჰმადიანის ლოცვაა: „~~მაღალ~~ ღმერთო, ხმელთა და ცათათა“... მისი ანდერძიც აგრეთვე მაჰმადის სწავლის პრინციპზეა აგებულიო: „~~მიეც~~ გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“.

არც ლოცვა და არც ანდერძი ტიპიური მაჰმადიანის ხასიათისა არ არიან: ძალ-დაუტანებლივ შეგვიძლიან ქრისტიანის ლოცვად და ანდერძად ვიცნათ იგი. ტარიელ და დარეჯანი აგრეთვე უცხო ქვეყნის—ინდოეთის—შვილებად მიაჩნია. ფრიდონ, ფატმან, უსენ—აღმოსავლეთის ხალხებს ეკუთვნიან. შვიდნი ვარსკვლავნი ავთანდილის ტანჯვის მოწამენი: ოტარიიდი, მუშთარი, ასპიროზ, მარიხი, ზუალი და ხხვ. ჩვეულებრივი სახელები არ არიან სპარსულს ნაწერებში. აღმოსავლეთის ელფერს პოეტი მაინც თავის მიზნის თანხმად სცვლის. ქაჯები პოემაში ფანტასტიური არსებანი არ არიან, იგინი, პოეტის წარმოდგენით კაცებს ჰგვანან, მხოლოდ ამათ მოხერხებით და გამჭირახობით სქარბობენო. ავთანდილს ალაპარაკებს საღეთო წერილის და პლატონის ფილოსოფიის ენით, ალაპარაკებს მოძმის—მეგობრის ერთგულება-სიყვარულის შესახებ და ამტკიცებს ამ აზრს ბრძნული აფორიზმებით.

თუმცა ექვს გარეშეა, რომ რუსთველმა „ამბად ნათქვამი“ და აღმოსავლეთით ზეპირად მოთხრობილი ზღაპარი გარდაჰქმნა წყობილ მარგალიტად, მაინც ეძებდნენ და ეძებენ ახლაც „ვეფხის-ტყაოსნის“ დედანს სპარსულს ლიტერატურაში. ამ გვარ ორიგინალად შოთას პოემისათვის ნ. დ.—მა აღიარა ნიზამის თხზულება „ლეილა და მეჯნუნ“, რომელიც ქართულად სთარგმნა თეიმურაზ მეფემ. ქკუაზედ შემცდარი მეჯნუნი ტარიელის მსგავსად ვერ ჩაითვლება, როგორც ამას დავინახავთ შემდეგ, როცა თეიმურაზ მეფის ნაწერებს გავარჩევთ.

სრულიად შეუწყნარებელია აზრი, ვითომც „ბარამიანი“ იყოს წყარო „ვეფხისტყაოსნისათვის“, როგორც აღიარა ბ.ნმა ეგრმა („ივერია“ 1892 წ. № 66). ამ ორი თხზულების შინაარსი სრულიად სხვა-და-სხვაა. საყურადღებოა შინაგანი გეგმის და გმირების ხასიათის გარჩევა რუსთველის პოემისა. ამ მხრითაც ჩვენს მწერლობაში ბევრ-ნაირი აზრია წარმოთქმული. შოთას ჰსურდა, ბრძანებს თ. აკაკი წერეთელი, „ვეფხისტყაოსანში“ დაეხატა მთელი საქართველოს სურათი და გამოეყვანა მისი საიდუმლო გმირი, როგორც მამაკაცის, ისე დედაკაცისაც. საქართველო რომ გაშლილი და თანასწორ ბუნებიანი იყოს, მაშინ ის ერთს პირს აიღებდა გმირად, მაგრამ რადგანაც ის სხვა-და-სხვა ბუნებიანია და ხალხებიც სხვა-და-სხვა ხასიათების მექონი, ამისათვის ერთი გმირის მაგიერ აიღო სამი, გადააკავშირა ერთმანეთს, შეავსო ერთმეორით და ისე წარმოგვიდგინა. ამ აზრით იმან აიყვანა ამერიიდან ტერიელი, იმერიდან ავთანდილ და შავი ზღვის პირიდან ფრიდონ და მათი შეერთებით დაგვიხატა ერთი სრული გმირი მთელი საქართველოსა. ამას თითონ აღიარებს შემდეგით:

„მით სამთა გმირთა მამაცთა
სჭირსთ ერთმანეთის მონება“.

ერთს მეორეზედ უპირატესობას არ აძლევს, სამივე თანასწორად მოსწონს და ამიტომ ამბობს:

სამთა ივერთა სსკეპელთა
ღამის ლექსთა უნდა ლევა“.

ტარიელ — ქართლელია, ავთანდილ — იმერელი და ფრიდონ — შავი ზღვის პირელი. ტარიელი უცნაური ძალის მექონე გმირია. მის სურვილს ვერაფერს ეწინააღმდეგება. რასაც ხელს მოავლებს, ამსხვრევს — სრესავს. ყოველთვის და ყოველგან პირდაპირია. ის გულის ამყოლია და მხოლოდ გულს ემსახურება. როცა გონების ძალ-ლონეზედ დგება საქმე, მაშინ კი ცოტათი აკლდება ფერი მის გმირობას.

სულ ამის წინააღმდეგია ავთანდილი. ესეც ღონიერია. მაგრამ სანდომიანობა აკლია მის გმირობას. ყოველთვის და ყოველგან გული დამონებული ჰყავს თავით. ასჯერ გაზომავს და მერე ერთხელ გამოსჭრის. თავის თავს გარდა ამას სხვებიც ჰყავს სახეში და ამიტომ გულს უდროვოდ და უადგილოდ არ ათამაშებს. ამასაც გული გაუმეფებია, მაგრამ ვეზირად თავი მიუჩენია. სხეულის ძალაში უპირატესობა ეკუთვნის ტარიელს და გონებისაში კი ავთანდილს. ტარიელი თუმც დიდის ჭკუა-გონების პატრონია, მაგრამ მუდამ გულის გადაყოლა უფარავს ამ ჭკუას და ხშირად თავ-ხედად გამოჰყავს. მაგალითად ნესტან-დარეჯანის დაკარგვა მისივე წინდაუხედავობის ბრალია. ავთანდილი ნაკლები გოლიათი არ არის, მაგრამ მის ვაჟეცობას მიმზიდველობა აკლია იგი იბრძვის გამოანგარიშებით. ტარიელი ხატაველებზედ თავ-ხედად მიდის: ერთი ათასზედ მიჰყავს. ავთანდილი კი მეკობრებთან საომრად ზღვაში მშვიდობიანად და გულ-გრილად ემზადება.

ფრიდონს არც ტარიელის ოდენი გული აქვს და არც ავთანდილის სწორი თავი. ის არის უშიშარი. მხნე, ღონიერი. ქეიფის მოყვარე და ტოლ-ამხანაგისთვის თავ-განწირული. სიყვარულს მაინც და მაინც ძალიან არ გადაჰყვება. ქეიფობს თავისთვის. ზღვა და ხმელეთი მისი სანადირო და საქეიფო მოედანია. თავის-თავად მოქმედება არ შეუძლიან, მაგრამ მხარის მიცემა კი უკეთესი არ იქნება. ამას ამტკიცებს იგი თანა-მოზიარობით ნესტანის გამოხსნის დროს. მასთანაც ის მასალის მძლეველია. ჯარი, იარაღი და ნაღვი მისი იყო, როცა ქაჯეთის ციხეზედ წავიდნენ. ავთანდილსაც და ტარიელსაც ამოქმედებს სიყვარული. ტარიელი არის ინდოეთის მეფის ფარსადანის ამირბარი და ამირ-სპასალარი, თვითონაც მეფის შვილია: მას ლყვარს მეფის ასული—ნესტან-დარეჯანი. პირველივე მისი ნახვა მოხვდა გულში და მოედო სიყვარულის ცეცხლი. მაშინვე დაბნდა და უსულოდ დაეცა. მისი მკურ-

ნალი მისი უეცრად მკვლელი ნესტან-დარეჯანია. მას გაპკურნავს ქალის სიტყვები ასმათის მიერ გადაცემული: თავს რად იკლავ, მეც მიყვარხარო. ის გამთელდა, გალომგულდა. ლხინობს ტოლ-ამხანაგებში და ამ გვარად ზრდის ნესტანისადმი სიყვარულს. ხედავს სატრფოს და ტყობილობს მის სურვილსაც. ნესტანი უბრძანებს:

„ზედითი ბნელა, სიკვდილი
რა მიჯნურობა გგონია?
სჯობს საყვარელსა უჩვენე
საქმენი საგმირონია“.

წადი, შეები ხატაველთ და მათი ჯინი ამოგვაყრევენო. ტარიელი მოუთმენლად გაიქრება ხატაველებზედ და ომს გამოუცხადებს.

ავთანდილიც არაბთა მეფის—როსტევეანის—სპასპეტია. იმას როსტევეანის ქალი—თინათინი—უყვარს. ეს სიყვარული ღრმად აქვს გამჯდარი, მაგრამ ტარიელსავეთ კი ვერ რევს ხელს. იტანჯება ჩუმიად და ელის მარჯვე დროს.

„გულსა მისსა მიჯნურობა
მისი ჰქონდა დამალულად,
რა მოშორდის, ვერ მჭვრეტელმან,
ვარდი შექმნის ფერ-ნაკულად.
ნახის, ცეცხლნი გაუახლდინ,
წელული განდის უფრო წელულად,
საბრალთა, სიყვარული
კაცსა შეიქმს გულ-ნაკულად“.

იმედი გაეღვიძა გულში, როცა როსტევეანმა თინათინის გამეფება განიზრახა, და თქვა:

„ზედი-ზედა მომიხდების
ნახვა მის ბრალ-ფიქალისა“.

სიყვარული იმას ღიღ: საიდუმლოდ მიაჩნია... იგი მარტო ზის ოთანში და იგონებს თავის საყვარელს. ამ ყოფაში იყო, როცა მიუვიდა თინათინისაგან მიგზავნილი კაცი. თინათინსაც ჰყვარებია ავთანდილ და, როგორც ნესტანი ტარიელს, ჰპირდება თავს არავის დავუსაკუთრებო, იმ პირობით კი, რომ მოძებნოს ნახული წყლის პირას უცხო მოყმე. ავთანდილი ხატზედ აფიცებს თინათინს და მერე მიდის ბრძანების ასასრულებლად. ტარიელივით უცბად არ გარბის და აჩქარებით აოხრებს ხატაველებს. ავთანდილი კი მოფიქრებით უდგია მინდობილს საგანს. აჩრდილივით მისდევს „რეტს“ ტარიელს ორი დღე-ღამე და მესამე დღეს მალალი ხიდგან აღევენებს თვალს მის ბუდეს. როცა ტარიელი ისევ გაუდგა გზას, ავთანდილი წყნარად მივიდა იმის ქვაბში, შეიპყრო გაკვირვებული ასმათი და მისგან შეიტყო ტარიელის ამბავი თვალთმაქცური მოხერხებით და შეყვარებულისადმი შებრალების აღძვრით. ტარიელმა კი, რაკი ვერ ნახა საყვარელი, გული გაიტეხა, დაეცა სულით, გამხეცდა და ტირის. ის აღამიანს ერიდება, ავთანდილი კი ხალხს ეტანება. ეს მიეშურება ზღვის ხელმწიფის სამფლობელოში, სადაც ყოველი კუთხით თავს იყრიან. ვაქრულს ქალაქში ვაქრულად ირთვება. აქ გადააწყდება ფატმან-ხათუნს და მის აშიყობას აპყვება, რათა საიდუმლოება გამოათქმევინოს. იფიქრა:

„ღიაცსა ვინცა უეკარს,
რაცა იცის, გაუცხადებს“.

უცნაური შემთხვევით ტყობილობს საძებარ ამბავს. როცა ფატმანის დახმარებით შეიტყობენ ნესტან-დარეჯანის ამბავს და ქაჯეთის ციხეს მიაღებებიან, მაშინ ფრიდონ საბელით ქურდულად გადაპარვას აპირობს, ავთანდილ ვაქრულად მოტყუებით შესვლას და ტარიელი კი პირდაპირობაზედ დგას. ტარიელი მოქმედობს გულის აყოლით და ავთანდილი კი თავს ეკითხება.

იგივე ითქმის ქალების შესახებაც, ბძანებს აკაკი თავის

ლექციაში „ვეფხისტყაოსანზე“ *). ნესტანი ამერია და თინათინ... იმერი... ნესტან-დარეჯანმაც ნახა თუ არა ტარიელ, მაშინვე შეუყვარდა და ისე გადაჰყვა გულს, რომ ველარ მოახერხა დაფარვა: არა თუ ასმათს გამოუტყდა, თვითონ ტარიელსაც წიგნსა სწერს. პირველად რომ შეიყვანა სანახავად ტარიელ, უცნაური რა მოუვიდა: კრძალვა—სირცხვილი და სიყვარულის გრძნობა ორივე ერთად მოაწვა, ააჟრჟოლა და ენა დაუბა: „წიწადი, ვერას გითხრობს!“ ეუბნება ასმათი ტარიელს. რა დიდებული გრძნობაა და რა მდიდარი სურათია გამოსახული ამ რამდენსამე სიტყვაში... ეს მორცხვი და მშვიდობიანი გვრიტი უეცრად ვეფხვად გადაიქცევა, როდესაც თავის გათხოვებას ხვარასნელზედ შეიტყობს და ხედავს საკუთარი სურვილის დაჩაგვრას. რჩევა ჰქონიათ მის გათხოვებაზედ, ტარიელი იქ ყოფილა და დასთანხმებია. იგი ზარ-დამცემად მრისხანებს:

„მიბრძანა: მიკვირს, რად მოხვალ,

მშლელი ჰირის მტკიცის,

გამწირავი და მუხთალი,

შენ გამტეხელი ფიცის,

მაგრამ ნაცვალსა პასუსსა,

მოგცემსო ზენა მის ცისა,

რადგან დამთმე, მეცა დაგთმობ,

ვინცა უფრო დაზიანდეს“...

ნესტანი ქალთა შორის ტარიელია—ძლიერი და გამბედავი. მაგრამ, როგორც გულის ამყოლი, უთანასწოროა თავის მოქმედებაში. ამისთანა ძლიერი ხასიათის მექონე უსიტყვოდ ემორჩილება მამიდას—დავარს. დავარ უმოწყალოდ სცემს, ლანძღავს, კუბოში ამწყვდევს და ნესტანი არა თუ

*) „კრებული“ 1898, № VI გვ. 47.

არ ეწინააღმდეგება, ერთს „მიშველესაც“ ვერ იძახის... ისიც ტარიელივით გარეტიანებულია,—თავის მდგომარეობას არ უმეღავენებს ზღვის მეფეს, მხოლოდ ტირის. ის პირდაპირია მუღამ.

სულ სხვაა თინათინ. ის ავთანდილივით გულის ამყოლია იმდენად, რამდენადაც თავი ნებას აძლევს. იმას უყვარს ავთანდილი, მაგრამ ამ სიყვარულს დრომდე გულში იმაღავს. ყოველთვის მარჯვე დროს ეძებს: მამასთანაც არ შედის, რაკი გაიგო მისი უგუნებობა. როცა გამეფდა, ავთანდილი დაიბარა, ეკლესიად მიიღო ნაანგარიშევი მორთულობით:

„გაძრცვილს ტანსა ემოსნეს
ყარეუმნი უსაპირთნი,
ეხურნეს მოშლით რიდენი,
ფასის თქმად გასაჭირთნი,
შეენოდეს მავნი წაშწამნი,
გულისა გასაგმირთნი,
მას თეთრსა ეკლსა ეხვივნეს
გრძლად თმანი არ უხშირთნი“.

დაასაქმებს მშვიდობიანად და შემდეგ აძლევს კანდიერების ნებას. იგი გამოზომილად მოქმედობს ავთანდილთან.

ფატმან-ხათუნ ქვეყანაში გამოსული ქალია, ვაჰართუხუცესის ცოლი. ის ქეიფობს ხან ერთთან, ხან მეორესთან. სასახლეში შინაურია. ქმარი ყურ-მოჭრილ ყმად ჰყავს. ქვეყნის დაცემის დროს ამ გვარი ქალები მეტად მავნენი არიან.—სულ სხვაა ასმათ. ეს ისეთი პირია, რომელიც ახლა აღარ მოიპოება და წინად კი ამ გვარი მოახლენი იყვნენ.

ილია ჭავჭავაძე „ივერიაში“ (1887 წ.) არ ეთანხმება აკაკი წერეთლის ლექციების დედა აზრს. „მდიდარი და ფართო მოედანი „ვეფხისტყაოსნისა“, ქეშმარიტის კრიტიკის ფრთის გასაშლელად ვრცელი სარბიელი შეცდომით ან განგებ ვიწრო ფარგალში მოუძწყედევიაო... იმ საბუთით, რომ ტარიელი ზარმაკია და ავთანდილი წინ-დახედული, რუსთაველი უბრალო

ეთნოგრაფის საჩხირკედლო საქმეზედ ჩამოუხდენია და მით პეგასზედ მჯდომი ცხენოსანი დაუქვეითებია“. ილ. ქავჭავაძის აზრით, ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონ და სხვანი „კაცად კაცადნი არიან, ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით აგებულნი და სულდგმულნი“. არც ერთი მათი მოქმედება და ეპიზოდი მათის ცხოვრებისა ძალად და განგებ ჩართული არ არის და ყოველივე იგი წარმომდგარია იმ კაცობრიულ ზოგად ბუნებისაგან, რომელიც მარტო თავის საკუთარს კანონებს ექვემდებარება და არა სხვასა. ამაშია სილიადე რუსთველის, გენიოსობისა. ტარიელი მჩვრად იქცა იმიტომ კი არა, რომ ზარმაცი ქართლელია, არამედ იმიტომ რომ მაგისტანა ბუნების კაცი უსათუოდ მჩვრად უნდა იქცეს, რაკი იმ გარემოებაში ჩაფარდება, და ბედი თუ ქვეყანა ისე უმტყუნებს და უღალატებს... ლომი არ შეიძლება არ დაეტაკოს სპილოსაც კი და შუა გაგლეჯს საქმელად, როცა ჰშიან, მაგრამ იგივე ლომი, როცა მძღარია, ბატყანსაც კი ხელს არ ახლებს... ავთანდილი ცბიერი კაცი არ არის, რომ ჯერ, მანამ ერთხელ გამოსქრას რამე, ათჯერ წინ-და-წინ გაჰზომოს. ეგ ქკუის დამკითხველი კაცია და არა გულისა, გულის თქმისა, როგორც ტარიელი. მთელს პოემაში მარტო ორგან არ დაეკითხა ქკუას, ორგანვე ვერ ემარჯვა და მერე ინანა. ესეც გრძნობიერია, მაგრამ გული მისი ქკუას ემორჩილება. რუსთველი ერთის კალმის მოსმით გვაშინებს, რა ძლიერ აღბეჭდილია ავთანდილის გულში სიყვარული თინათინისა: იგი ამას გვიხატავს, როცა მიაძინებს ავთანდილს:

„რა მიღუღნის, სიასლოვე

საყვარლისა ეოცების,

შეჭკრთის, დიდი დაიზახის,

მით ჰპტიუი ეოცების“.

ფხიზლად კი ავთანდილი გულისთქმას ნებას არ აძლევს... ტარიელი ბრძენია მაშინ, როცა გულის თქმას არ შეუპყრია. გულისთქმით შეპყრობილი კი ცნობა-დაკარგულია. ნესტანიც

ისეთისავე დიდის გულისთქმის დედაკაცია, როგორც მამაკაცი ტარიელი. ნესტანიც, ტარიელიც, ავთანდილიც „უწინარეს ადამიანები არიან და მაშასადამე ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით შექმნილნი და აგებულნი“.

ამ ჩვენ დიდებულ პოეტთა მოწინააღმდეგე აზრებს შეგვიძლიან დაახლოების ნიადაგი მოვუძებნოთ. რუსთველი „ეთნოგრაფი“ და „პამფლეტისტი“ არ არის, მართალს ბძანებს ილ. ჭავჭავაძე, მაგრამ „ზოგადი ადამიანის“ ტიპის შექმნა რუსთველმა შესძლო ჩვენი ერის სხვა-და-სხვა ნაწილის შესწავლის წყალობით, დაკვირვების ნიქით იმ განსაკუთრებითი თვისებებისა, რომელთაც ახლაც არ დაუკარგავს თავის ელფერი ამიერ და იმიერ საქართველოს მცხოვრებელთა შორის.

„ვეფხისტყაოსანს“ უძღვნეს წერილები სხვა-და-სხვა ენებზედ გამოჩენილ მეცნიერთ და კრიტიკოსთა, რუსულად ნ. გულაკმა, ფრანგულად ბ. მურიემ და ბორენმა, ინგლისურად ო. უორდროპმა, გერმანულად ბარონ სუტნერმა და არტურ ლეისტმა. ყველანი ქებით იხსენებენ რუსთველის ნაწარმოებს. ბარონ სუტნერმა საფუძვლიანად გაარჩია „ვეფხისტყაოსანი“ და აღნიშნა მტკიცე კავშირი პოემის შესავალს და ნაწარმოებს შორის. წინააღმდეგი აზრისაა დ. კარიჭაშვილი, რომელიც ჰფიქრობს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ შესდგება სამის ნაწილისაგან: წინასიტყვაობისაგან, რომელიც შეიცავს 31 ტაეპს, თვით პოემა—რომანისაგან, რომელიც შეიცავს 1540 ტაეპს და უკანასიტყვაობისაგან, რომელიც შეიცავს 5 ტაეპს. ბ. კარიჭაშვილს ჰგონია, რომ წინასიტყვაობას და უკანასიტყვაობას არამც თუ საერთო არა აქვთ—რა თვით მოთხრობასთან, არამედ თვითონ ეს ნაწილები ცალკე არაფერს ერთიანს არ წარმოადგენენ. იგინი სხვა-და-სხვა დროს და სხვა-და-სხვა პირისაგან უნდა იყვნენ დაწერილნიო.

ბარონ სუტნერი კი ჰფიქრობს წინასიტყვაობას ანუ შესავალს კავშირი აქვს პოემასთან. მთავარი აზრი პოემისა—სიყვარული ამალღებული, წმინდა, მტკიცე—მისდევს პოემას

თავიდგან ბოლომდე. პოეტი გვაუწყებს, რა გვარი უნდა იყოს სიყვარული და რა ზნენი უნდა სჭირდეთ გამიჯნურებულთ. „მიჯნური უნდა იყოს ლამაზი, მკვერ-მეტყველი, ჰკვიანი, იყოს სულგრძელი, მდიდარი; იგი მტკიცეა და მომთმენი; თვით უძლიერეს მტრებს ეშინიანთ მისი: „ვისაც ეს ზნენი აჩა სჭირს, იგი ნუ იტყვის თავსა მიჯნურად“. ცოტა შემდეგ: „ჭკუ-მარიტს მიჯნურობას მოსწონს გამართლებება“, ანუ კიდევ შემდეგ: „საჭიროა, რომ სიყვარულსა ყველასაგან მალეიდეს მიჯნური“ და ბოლოს: „რომ ყველა ტანჯვა, რომელიც მას ხვდება წილად, მიანდეს სიტკბოებად“.

თვით ნაწარმოებში პოეტი აკმაყოფილებს ყველა ამ მოთხოვნილებათა... რუსთველის გულ-კეთილობასთან ერთად, მე ვპოვებ „გ. ტ.“ მის სულგრძელობასაც, მეგობრობის სიყვარულს, მიცემული სიტყვის შესრულებას... მისი მაღალი აზრი მოვალეობასა და მეგობრობაზე იხატება შემდეგ მის სიტყვებში: „ვინცა კაცმან ძმა ანუ თუ დაცა იდოს, ჰხამს მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დარიჯოს“, ანუ ამ სიტყვებში:

„ჰხამს მოყვარე მოყვრისათვის
თავი ჭირთა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის,
სიყვარული გზად და ხიდად“.

პოეტის მაღალ თვისებას ამტკიცებს:

„რასაცა გასცემ შენია,
რაც არა—დაკარგულია“.

მაღალი აზრია გამოთქმული აფორიზმში:

„ვარდსა და ნეხუსა ვინადგან
მზე სწორედ მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა
შენმცა ნუ მოგეწეინების“.

როცა ბედნიერად გათავდა თინათინის დაქორწილება, როსტევეანი ურჩევს ქალს:

„ყოფლთა სწორად წყალობას,
ვითა თოფლსა მოათოფდეს“.

პოეტი გვაუწყებს, რომ მეგობრის გულისთვის არავითარი მსხვერპლის შეწირვა არ უნდა იყოს ძნელიო. მას „სძაგს უგულოდ სიყვარული“.

რუსთველს ძალიან ცოტა პოეტური სახეები აქვს სურათების აღსაწერად. იგი არ იღლება თავის გამირების შედარებით შხესა და მთვარესთან. გადაჭარბებით ხშირად ხმარობს სიტყვებს: ვარდი, ბროლი და ედემის ხე; ესენი შეადგენენ მთელს რეპერტუარს პოემის მეტაფორულის ენისას. საშინლად მოქმედობს მკითხველზედ განუწყვეტელი ცრემლთა დენა გამირებისა პოემაში: „სისხლის ცრემლები“, „წყაროები“, „მდინარეები“, „ზღვები“ ყოველს ნაბიჯზედ შეეყრება მკითხველს. მაინც ბოდიში მოეხდება პოეტს, რომელიც ამბობს:

„აუ მოყვარე მოყვრისათვის
სტირს, ტირილსა ემართლების;
სიარუდი, მარტობა
შენის, გაჭრად დაეთვლების“.

ქართველი გამირები სტირიან, მაგრამ ყველანი მამაცად ადგანან თავის გზას და არ ღალატობენ თავის როლს. „ვეფხისტყაოსანი“ ზალალ-ხელოვნური ქმნილებააო, ამბობს ბარონ სუტნერი. რაიცა შეეხება ხერხს შემოქმედებისას, გრძნობათა კეთილშობილებას, აღფრთოვანებას აზრისას — ქართველთა შეუძლიანთ სიამაყით წარმოსთქვან, რომ მათი ეროვნული პოემა არ არის მიბაძვა არც ჰომეროსისა, არც ვირგილიუსისა. იგი პირველიდამ უკანასკნელ კაბადონამდე წმინდა რუსთველისებურია.

რუსთველის პოემა რამდენჯერმე გამოიცა ქართულად სხვა-და-სხვა ადგილას. პირველად დაბეჭდა 1712 წ. მეფე ვახტანგმა. 1841 წ. აკ. ბროსემ, ზ. ფალავანდიშვილმა და

დავ. ჩუბინაშვილმა დაბეჭდეს ს.-პეტერბურგს. იგი გამოვიდა შემდეგ ტფილისში და ოზურგეთში რამდენჯერმე. 1889 წ. გიორგი ქართველიშვილის ხარჯით ზიჩის მიერ დასურათებული აღბეჭდეს შესწორებული ტექსტი*) „ვეფხის-ტყაოსნისა“. რუსთველის პოემა გადათარგმნილია მთლად ანუ ნაწყვეტებად გერმანულად, ფრანგულად, ინგლისურად, რუსულად, პოლონურად და სომხურად. 1855 წ. „ვეფხის-ტყაოსანი“ ბატონიშვილმა ოქროპირმა გიორგი მეფის ძემ მოსკოვში გადააკეთა ტრაგედიად. ამ პოემის შინაარსით ისარგებლა კ. მესხმა, როცა შეთხზა დრამა „რუსთველი“, —სიუჟეტი კი ამოიღო გერმანული ტრაგედიიდან „იოსებ სტრუენზე“, რომელიც დაწერილია ლაუბეს მიერ. საუკეთესო კრიტიკული განხილვა პოემის ტექსტს უძღვნა ალ. სარაჯიშვილმა „მომამბეში“. რუსთველის პოემა, როგორც ა. სარაჯიშვილის გარჩევამაც დაგვარწმუნა, საკმარისად გარყვნილია. სხვა-და-სხვა დროს პოემაში სხვა-და-სხვა პირს ჩაუმატებია გამოგონილი ტაყაბები ანუ ყალბი ადგილები. „ვეფხის-ტყაოსანს“ ხედა იგივე ბედი, რაც ჰომეროსს. პოემაში დასახელებული გმირების სვე და მოქმედება გახდა საგნად გაგრძელებისა და დამატებული მოთხრობისა. ერთ ამ გვარ ნაწარმოებს ეწოდება „ომანიანი“, რომლის გმირი არის ომანი, შვილის-შვილი ტარიელისა და ძე სარიდანისა. ომანი შეირთავს ცოლად ავთანდილის ქალს. „ომანიანი“ წარმოადგენს წაბაძვას როგორც „ვეფხის-ტყაოსნისას“, აგრეთვე „რუსულდიანი“ — „ამირან-დარეჯანიანისას“. „ომანიანი“ შემდგარი უნდა იყოს მე-XVII

*) ახალი ვარიანტი „ვ. ტ.“ აღმოჩნდა ერევანში, თუმცა შესანიშნავად არ იქმნა ცნობილი, ნახე ამ საგანზედ „ცნ. ფურც.“ 1899 წ. № 763, „ივერია“ 1899 წ. № 27. ხელნაწერის აღწერილგან სწანს, რომ იგი უნდა იყოს შევსებული „დამატებით“, რომელიც უკვე ცნობილია. მეორე ვარიანტი „ვ. ტ.“, აღწერა („ივერია“, 1895 წ. № 93) გ. საძაგელოვ-ივერიელმა. ხელნაწერი შეიკავს 1434 ტაყას, ეკუთვნის მე-XVII —XIX საუკ., გადაწერილია პეტრე ტაბლიაშვილის მიერ.

—XVIII საუკ. ხელნაწერები „ომანიანისა“ დაკულია პარიზში და ტფილისში (ჩემი წერილი „ივერიაში“ 1899 წ. № 188). ავტორი მისი არა სჩანს, თუმცა ზოგიერთნი მიაწერენ ვილაც „ქაიხოსროს“. ერთი კატალოგი, შემდგარი 1810 წ., „ომანიანს“ სთვლის, სპარსულით ნათარგმნ თხზულებად. არჩილ მეფის სიტყვით, ბევრი ყალბი ადგილები და გაგრძელება „ვ. ტ.“, რომელიც გამოიცა 1881 წ. „ივერიაში“ და ჩემ მიერ მოსკოვში, შექმნილი უნდა იყვეს ვილაც ნანუჩა ციცი-შვილის მიერ. მეფე ამბობს:

ნანუჩას რუსთვლის ნათქვამში
ბეგრი რამ აურევია,
საბრალოს ვერ შეუტევია,
წმინდა რამ აუმღვრევია.

VI. ჩ ა ხ რ უ ხ ა.

პოეტმა ჩახრუხადემ დასწერა თამარ მეფის შესხმა ანუ თამარიანი. იგი იყო შემქმნელი ლექსწყობისა, რომელსაც ეწოდა სახელად „ჩახრუხაული“. მისი ლექსი შესდგება 20 მარცვლისაგან, რუსთველისა 16 მარცვლისაგან. თამარიანი შეიცავს 115 ტაეპს. ანტონ კათოლიკოსი წყობილ-სიტყვაობაში „ჩახრუხადის“ შესახებ ამბობს:

„ჩახრუხაის ძე უცხო ჰიიტიკოსი, თამარ დიდისა მკობი შაირე-ბითა, შოთას შაირთა, თუ ვსთქვა, უკეთესთაცა მთქმული, მესტიხე, დიდი სიბრძნის მოუვარე, უოფლად საქები, რიტორი, მესტიხთ გვირ-გვინი“, არჩილ მეფეც იხსენიებს მას თავის „არჩილიანში“; პოეტი გვაუწყებს თავის ჩამომავლობაზედ რამდენსამე ცნობას „თამარიანის“ უკანასკნელს ტაეპში:

მახევეს ძეთა, ჩახრუხადეთა,
ექო თამარი—მეფე წულაინი,
მისი სიმეტე, ბრძენთა სირეტე,
თინათინ ვაქო, ბადი წულაინი.

ა ეს თინათინ, ნუ ის თინათინ,
აჩაბეთს იყო სულადინი,
ჯერეთ უმაწვილი, წმიდად ნაწილი,
სამოთხის ვარდი, ჰირად შიანნი.

ამ ტაეპიდგან სჩანს, რომ ჩახრუხაძე ჩამომავლობით მოხევე იყო და სცხოვრობდა იმ დროს, როცა რუსთველის მიერ ნაქებმა „თინათინ“ სახელი გაითქვა. მეხუთე ტაეპის დასაწყისიდან:— „მოუბარის მის მღუღარის დილარგეთისგან აღშფოთებულად“— ვტყობილობთ, რომ „დილარიანიც“ წინ უსწრობს „თამარიანს“. როგორც შავთელის პოემის შეცვლა განიზრახა ბ-ნმა მარმა, აგრეთვე ჩახრუხას „თამარიანს“ მოექცა. თავდაპირველად აღიარა, რომ ჩახრუხა იგივე რუსთველი იყო და ამას ამტკიცებს „თამარიანში“ მოქცეული სიტყვებით „მაშა მეხელი“ და განმარტავს ამას „მესხად“, ესე, იგი „თამარიანის“ დამწერი ჩამომავლობით მოხევე კი არა, მესხი იყო და რადგან რუსთველიც „ვეფხის-ტყაოსანში“ თავის თავს მესხად უწოდებს, მაშასადამე ვეფხის-ტყაოსნის“ და თამარიანის დამწერი ერთი და იგივე პირი იყო ჩახრუხა—რუსთველი—მესხი. კარგი იქნებოდა რუსთველის გვარი დანამდვილებით შეგვეტყო და თუ შეცდომით ვსთვლით მას ართავაზოს ძედ, ახლა მაინც შეგვესწორობინა. სამწუხაროდ, ბ-ნი მარრის მოსაზრება იმდენად საფუძვლიანი არ არის, რომ მივიღოთ იგი ჭეშმარიტებად. თუ ჩახრუხა მესხია და მასთანვე რუსთველი, რატომ თავის თავს „ვეფხის-ტყაოსანში“ მესხათ იხსენიებს და „თამარიანში“ მეხელად? მესხი და მეხელი სრულიად სხვა-და-სხვა სიტყვაა და უფრო ადვილად ავხსნით „მეხელი“ ფესვიდან „ხევი“, ვიდრე მესხი.

აგრეთვე შესაწყნარებელი არ არის ბ-ნი მარრის მოსაზრება, ვითომც „თამარიანი“ მთლიანი თხზულება არ იყოს და წარმოადგენდეს კრებულს წვრილ-წვრილ ლექსთა, სა-

ხოტბო შინაარსისა, რომელნიც მიძღვნილნი არიან თამარის შესაქებად ანუ დაკავშირებულნი მისს სახელთან. ბ-ნმა მარკმა დაჰყო „თამარიანი“ 12 ოდად და ამისათვის ჩვეულებრივ ვადასხვად მოსხა მთელი ტაეპები და ხან ზოგიერთი სტრიქონები, აქა-იქა გამოაკლო ზოგი ლექსებიც, როგორც ყალბი ნაწარმოები. მ. ჯანაშვილმა უძღვნა ბ. მარკის მოსაზრებას წერილი „ივერიაში“ *) და აღიარა, რომ „თამარიანი“ მთლიანი ნაწარმოებია, აქვს თავისი შესავალი, შინაგანი მთლიანობა, დასკვნა და შენიშვნა. მხოლოდ ტაეპები 28, 29, 30, 31 და 109, 110, 111 და 112 ერთნაირი სიტყვებით გალექსილია, მაგრამ მნიშვნელობა სხვა-და-სხვა აქეთო. პირველს ტაეპში გამოთქმულია მიმართვა ჯერ ისევ ცოცხლის თამარისადმი და უკანასკნელებში უკვე გარდაცვალებულისადმი. ტაეპი 108 აზრის მსვლელობით უნდა მისდევდეს 113 ტაეპს. „თამარიანის“ მთლიანობა სჩანს შინაარსის განხილვიდგან. ბ-ნი მარკის განაწილებული „ოდა“ იწყება იმ ლექსიდან, რომელიც დაკავშირებულია წინა ლექსთან და რომელიც უწინა ტაეპოდ ანუ სტიქონოდ ყოველად გაუგებარია. ჩახრუხას ტექსტის შესწორებაც ბ. მარკის მიერ არ არის მისაღები **). აი მაგალითიც. ჩუბინაშვილი ტაეპს 109 ასე ჰკითხულობს:

„ვინ ნახს სად ვინ,
ნახსადა სად ვინ,
შენებრ ნათელთა
ბნელი მცებარად?“

ბ-ნი მარკი ასწორებს იმ გვარად, რომ აზრი სრულიად გაუგებარი ხდება:

„ვინ ნახს სადა,
ვინა ხსსადა,

*) „ივერია“ 1902 წ. № 188, 199, 204 და 223.

**) პოემა გამოცემული პლ. იოსელიანის მიერ (ტფილისი, 1838), დ. ჩუბინაშვილის მიერ „ქართულ კრისტომატიკაში“, ს. პეტერბურგს, 1863 წ. და ზ. კიკინაძის მიერ, ტფილისი 1889 წ.

შენებრ ნათელთა
ბნელი მცეპარე?“

ანუ ჩუბინაშვილის მიერ დაბეჭდილი ტაეპი:

„ვის აქვს შენებრი,
ვის აქვს მშეგენებრი
ქცევა, გონება,
სული მწლფეებარე!“

მას უსაფუძვლოდ შეუსწორებია:

„ვის აქვს შენებრი—
გიჰ!—ნაქვს შეგენებრი,
ქცევა, გონება,
სული მწლფეებარე?“

გასაგები ტაეპი 43:

„ამან თავი რად შართა?“

ზაგი რად შექმნა ლეილის ნამიჯნურეკად?“

შემოსა ნისლით და გვისწორებს:

„ამან თავი რად შართ აზაგირად

შექმნა ლეილის ნამიჯნურეკად“.

მ. ჯანაშვილმა დაუპირდაპირა ბ-ნი მარჩის ნაძალადე-
ვად შესწორებულს ტექსტს დ. ჩუბინაშვილის მიერ გამოცე-
მული „თამარიანი“ და თითქმის არც ერთი შესწორება არ
გამოდგა შესაწყნარებელი.

ჩახრუხა, როგორც შავთელი, მოწამე იყო საქართველოს
აღფრთოვანებული დროებისა თამარ მეფის ძლევა-მოსილი
ლაშქრობის წყალობით. თანამედროვენი შეჭხაროდნენ და
აქებდნენ თამარს, რომელიც გამარჯვებით დახვდა მტერს
შამქორს, ტრაპიზუნტს, არდებილს, ისპაანს და სხვ. საქარ-
თველოს აღორძინებამ აამოძრავა ენა პოეტთა და მემატია-
ნეთა. „ქართლის ცხოვრებაში“ თამარ მეფის მოღვაწეობის
აღწერა წარმოადგენს პროზად დაწერილს აღტაცებულს პოე-
მას. ჩახრუხაც ამ საერთო აღფრთოვანების გამომთქმელი იყო.

შავთელივით ჩახრუხა ჰგრძნობს, რომ შესაფერი ქების

თქმა მას უკირს, საკმარისი საშუალება აკლია. შავთელი იწვევს ბერძენთ ფილოსოფოსებს, ვარსკვლავთ-მრიცხველებს, დავითს. ჩახრუხაც ამათ მიმართავს:

მო, ფილოსოფნო, სიტყვითა არსნო,
თამარს ვაქებდეთ გულის-ხმიერს!
დიონოსისგან, ვით ენოსისგან,
სრულნი ქებანი ამძლეთ ძლიერსა.
სოკრატ სიბრძნითა, სარამა გრძნითა,
ვიუვნეთ, ვერა ვიქმთ საწადიერსა.
უმიროს, ჰლატონ, სიტყვა დამატონ,
თვით ვერა მიხვდნენ შესატყვიერსა.

უწოდებს რა თავის-თავს „ბრძენთა ტომელის, არისტოტელის“ მოწაფედ, ჰბედავს „ქებას“ ხელი მოჰკიდოს. შეაქებს თამარს, რომელიც დამამშვენებელია „შვიდთა მნათობთა“, მის პირისახეს — „თვალუწვიდომელს ბროლის ველს“, — ევლება შუქი და თვით მზეს ექიშვება. მიმზიდველს გარეგანს მის სილამაზეს ასე ასწერს:

ლეღწამ ტანისა, სარო სხისა,
მიმსგავსებულხარ განკვირვებულად.
თავსა კლვად სდებდეს, ხვეჭით ექებდეს,
შენსა ნახვასა მიახლებულად.
ვინ აშენებდენ, სულთ აშენებდენ,
სამონოდ მოგცენ ერთ-უფლებულად.
ბნელი თუ უფო, ელვა გაუფო,
მაშინ არ ითქმის დაბნელებულად.

პოეტი მზად არის ატირდეს, როცა თამარს ხედავს დაღუმებულად. მხნე დავით, მეუღლე მისი, „ისვრის ისარს“ და ხმლით მტერს სრესავს; ძე მისი, ლაშა დაიბადა-რა, სპარსთა სიმაღლე დადაბლდა, თამარის სიხარული და ლხინი გამრავლდა. დავითმა, როგორც როსტომმა, დასცა ყარყუმს და არამს მოწინააღმდეგეთ და ყველა დაიმონა:

„ჭმონებდეს ზღვანი, სიტყვაცა მაყნი,
არ ვის სჩნდა თქვენდა ასწორებულად“.

„გამოჩნდა ზევი“ (ნუქარდინ), მხეცებრ განძინებული
დიდძალის ჯარით, „ურიცხვი ერთ“ მოადგა მოსულს და იქაღნა
საქართველოს აოხრება. ესმა რა ეს თამარს, ხელ-ჰყო სიბრძ-
ნით „საქმესა შვილსა:“

უბრძანე სმათა: ღზინად ვლი სჰადა,
რომლისაგან ვსჩანთ ნათელ-ღებულად.

გაამხნევა მხნენი, მზანი სისხლ დაქცევამდე თამარის ღი-
ღებისათვის:

„დასკვნეს ომი, წაუძღვა ღომი,
დავით დავითის მიბასებულად“.

დიდი ვაგლახი დაატყდათ თავს, „განიბნიენეს“ მტერნი
და მოსწყვიდეს იგინი. თამარის ლაშქარი აღივსო „ტყვითა, ლარ-
პირუტყვითა, არ ღარჩა კაცი არ შოებულად“. როგორც
უფალმა საულს წაართვა მეფობა და დავითს მისცა, აგრეთვე
ღიმიტრი გაშიშვლდა და თამარს მეფობა მიემადლა. აქ პოე-
ტი უწოდებს თამარს მზედ დაუვალად, შუქ-მომფინარად და
აქებს, რადგან იგია:

სიუხვედ ზღვებრი
სიმაღლით ცებრი,
მდაბლად მოწყალე,
ჭერეტად ნარნარი,
მძლეუთა მძლეველი,
თვით უძლეველი,
კედრით კედრამდის
მძლედ სსმენარი.

როგორც ვეფხვს იფარავს კლდოვანი ადგილიო და ლომს
შამბნარი, ისე თამარს ქართველები—ვეფხვ-ლომები გპატრო-
ნობენო. არსნი მზედ ხმობენ, შვილნი (მნათობნი) ამკობენ,
დავითის ქნარი და პლატონის ენა ვერ მისწვდებიან მის
ქებად.

თამარ წყნარი, შესწყნარი,
ხმა ნარნარი, პირ-მცინარი,
მზე მცინარი, სჩინარი,
წყალი მქნარი, მომდინარი,
მისთვის ქნარი, რა არს ქნარი,
არსით მთქნარი უჩინარი,
ვარდ-შამბნარი, შამბ-მალნარი,
დაწყ-მწყაზარი, შუქ-მფინარი.

შენ ხარ არა თუ ზეესი,—მნათი, რომელიც სხვა მნათობებს სხივს უბინდებსო. „შენს სადარსა ვერ ვკვრეტ ცხადად. ვის უნახევხარ და არ განცვიფრებულაო, ან ვის აქვს შენებრი ქცევა, გონება, ხელი მწლფებარე“.

ოს დიდმან დავით შემუსრა ფარეზ მანგლისის პირად. შენ იმპერატორი ერეკლე გამცნობსო, სპარსთა ერი აიკლე და მოწყვიდე:

„წაუდე რანი, წაუდ ერანი,
ეუღსა დასახენ ჩამომდებარე“.

თამარი ნოსარ ნისრელივით („დარეჯანიანი“) მძლეა, მტერთ მომსერელ—მატირებელი. მისთვის ფილოსოფოზ—რიტორნი, „ეკლინთა შვილნი ეჯადს სწაუღუღნი ენა-მზეობდეს სიტყვათა რჩევით... შენი ხმა შუქი, ეღვა ნუ მზეკვად, ანუ მთვარეკვად არა ჰგავს ბნეღი“. ცისკრობს თქვენი მოხედვა, რომელიც ჰკლავს ქაბუკთა მოხედვას. თამარს ვერ შეედრება დებორა. მხოლოდ „იყო ეთერი, მაგრამ ეთერი არა ჰრქვა მასცა სულ ნახუთევად“ (მეხუთედაც ნუ მიითვლიო). ერთი მოვიდა შენ საქმროდ და მერე გაგდების შემდეგ მოჰმართა თამარს საძლევად, მაგრამ მისგან მხოლოდ ძელები დარჩაო. თავი შეინახა იმისთვის, ვინც სჩანს ლომთა თავადად (დავით სოსლანისთვის). ამ ლალს, ტკბილს, მოწყალეს, სიბრძნით სავსეს მეფეს ვინც უყურებს განა არ დაიწვის ნახვის სურვილით, ანუ შერჩება სული მახვილ-უკრავე? პოეტი კალამს სდებს, არ ძალ-უძს თამარის ტანის, ლაწეთა შუქის აწერა.

არ ძალ-მისს ქება, მე დადუმებ
მით აღვირჩიენ აღვირ ნასხმეკვად.

ფილოსოფოსთ ვერ შეუგნიათ თამარის შედარებანი, რიტორნიც ვერ მოახერხებენ მის დასახვას, მაგრამ პოეტმა რანახა თამარის „ედემის სახე, წარბნი ინდონი (შავნი) ალაღებულნი, მანათობელი მზესავით, ვერ მიიქცა ზარ აღებული და სიტოცხლე თვისი აღიარა გაცუღებულად. თამარმა „მამკლა მე დია“, გაიძახის ჩაბრუნა. მოიგონებს პოეტი თამარის გალაშქრებას მალრიბისკენ, საღ დაპყო „ქაშნი მრავალნი, აფხაზს მოსულსა ქვა-თქრო ჰქონდის, კონსტანტინობლეს საუნი აკენ, მობადდაღნი ბარდავს მოვიდეს... აქლემთა ტურფად მძიმედ ტვირთვითა მონა-მხეველები წინა უძღოდეს. შენ გაეგებო სუნნელთა კმევად... სიხარულითა სული იწოდის, გული მოკლული აღარადეს ლახვარს ისობდის“. მოიგონებს რა ქვეყნის შექმნას და აღამ-ევას პირველს ცოდვას, პოეტი მიუბრუნდება თამარს და არსთა თანა მალლა იტყვის:

„ჰე საკვირველი! თუ არს მთოვარე,
რად მზეობს არე, რად არასოდეს შეიქმნა ბნელი?
სამყაროს სრულნი, ედემს ასრულნი
სჩანს შეიდთა მზეთა მანათობელი“.

ღმერთმა იგი შექმნა აღამის სახსნელად. იგია: ურჩთა კვლად მკოდი, სულტანთა მკოდი, ხალიფას სვისა ჯვართა მშლედი. „ოსი“, მეუღლე თამარისა, ლხინთა მთმოზია და მტრისთვის ისრის მთლელი. ამ დავითს უნდა ნება ჰქონდეს აღასრულოს თავის წადილი, შეარცხვინოს ბოძქარ მგოდები და ასე ახასიათებს დავითს: „დავით ძლიერი, მხნე უღვეველი, წყნარი და შერძალი, მოყმეთა ძალი, მეფეთა სკიპტრა, ჰორფირთა მცმელი“.

სამებამ თამარს სული მისთვის მოჰბერა, რომ დავითი არის მის მცველიო და თვით თამარი არს ნათელი,

„მზეებრ სავანე, სულის სავანე,
თან. გამწეოდ ძისა, სწორად მამისა... (ტავში 81).

ანათობს ისოს, მით არცხევენს ისოს,
შუქის კრთომისა შეუდგამისად“ (ტაქეი 83)

თამარს მისცემია საწადელი გრძნობა, შუქნი-ელვა და სიბრძნე, ამიტომ მას არ ძალუძს პლატონისაებრ შესხმა მოახსენოს: „შენთვის ჭხმდა არისტოტელი, უშიროსისგან შესხმანა“ (ტაქეი 85). თამარს იცნობს იგი: „ცად საუდრად-ღრუბლად, ღაწვ-ბრთლ-ვარდ-შუბლად“. სოლომონი უწოდებდა მას თვის ასულად. თამარის სიკეთე ყველას აკვირვებდა, რადგან იგი იყო მოწყალე სული, მშვიდი და წრფელი. თვით სპარსთაჲ კი მოუნდათ მის „სამწყსოში“ ყოფნა. იმდენად ძლიერია მისი სიშუქე, ედემური ნათელი, რომ კიდევ დაბინდდეს, მაინც არ ითქმის „დაბნელებულად“ და ვერვინ მიიღების მასთან „გასწორებულად“ — და მთვარე სჩანს მისგან „დასაწყლებულად“. „მამამან ძე ჭყო, ძემან სუღითა გუფსა დაგისხა სიწრფეთჲსანი“ (ტ. 92).

თამარს ეტრფის ლომი, ნებროთის მჯობი ძალით. როცა ეს ლომი — დავით საბრძოლად მიდის, მახარებელი მაშინათვე მოდის ძლევის ამბითაო. გაგზავნა ოსი და ბობქარ აოტა. სუყველგან გამარჯვებული დარჩა, ბევრი ერი შემუსრა: თურქნი განასხნა, ათაბაგს და ხვარაზმშას დაუღვა სჯულთ მცნება. ამასთანავე თამარი არის „ტკბილი, მოწყალე, უოფელთა კაცთა განურისხევედ“.

სოკრატ, პლატონი, არისტოტელი, ზორასტრო ვერ აღემატებიან თამარს და ვერ შეედრებიან. გაიხსენებს კვლავ მტრის მიერ ევას შეცდომას, გამოადევნას სამოთხილგან, ოფლით საზრდოს მოპოებას, გველისთვის მტერის მიჩენას საკმელად, შემდეგ ცდუნების გაძლიერებისა წარყენის მოვლენას და ნოეს გადარჩენას. ეფიცა ღმერთი დავითს შენგან იშობებთა მხსნელიო და იშვა შიშისა მქონელი, მკვდართა აღმდგენი, თავს იღვა ვნება და მოკლა სიკვდილი, ადამ სუფევას ღირს ჰყო.

ღირს-ჰყვნა წარმართნი; წინასწარ მათნი
საქმესა ღირს-ჰყვნა მას მადლიერსა,

ჰეო-და მოზენით, მოხელნა ზენით,
თამარ შუქ-მფენით ნათელიერსა.

დასასრულ პოეტი კვლავ იმეორებს, რომ თამარის სა-
დარს იგი ვერსად სკვრეტს; მნახველნი იტყვიან განცვიფრე-
ბით, თუ ვისმეს გაუგონია ანუ შეხვედრია ამ გვარს „მზეს“,
მისებრ „ნათელს“. თამარი არის სოფლის წყალთა დამამშვე-
ნები. თვით მნათობნი ეგეთნი არ არიან, როგორც თამარი.
ახვალ ცად ვარსკვლავი, რომ იქ ელვარება აცისკრო, ამი-
ტომ გენატრება, რომ ძე ღვთისამ მოგიწოდოსო. პოეტი
გრძნობს ვერ მოახსენა თამარს შესაფერი ქება, თუმცა აღი-
ქურვა, როგორც პოემიდგან სჩანს, შესწავლით ძველად გა-
მოჩენილ მწერალთა და ფილოსოფოსთა, მკვერ-მეტყველობით
შეამკო თვისი შესხმა და წრფელი გრძნობა ჩაუქსოვა მოწი-
წებას დიდებული მეფის სურათის წინაშე. პლ. იოსელიანის
აზრით ოდა დაწერილია 1167 წელს.

VII. ძაგნაკორი, დავით საათაბაგოელი, იამ- ბიკონი.

მეთორმეტე საუკუნეს, გარდმოცემით, ეკუთვნის პოეტი ძაგნა-
კორი, რომელიც დავით აღმაშენებლის დროს სცხოვრობდა. ამ პოე-
ტის ნაწერებს ჩვენამდე არ მოუწევია. სახსოვრად მისა დაჩენილსა
ლექსწება „ძაგნაკორული“, რომელიც შესდგება სამი ლექსიდგან,—
ამთგან ორი შეიცავს ათ-ათს მარცვალს და თავდება რითმით და
შესამე ურითმო, შეიცავს 12 მარცვალს. ძაგნაკორის სამშობლო დუ-
შეთის ახლოს იყო. პოეტმა მიიღო მონაწილეობა დავით აღმაშენ-
ებლის ლაშქრობაში, უძღვნა მას რამდენიმე ლექსი და შემდეგ ბერად
ადიკვეცა.

დავით საათაბაგოელიც ამავე დროს სცხოვრობდა. იგი იყო
ჩამომავლობით მესხი და განათლება თავ-და-პირველი მიიღო ხახუჯის
მონასტერში, შემდეგ დაასრულა სწავლა საბერძნეთში. იმის ნაწერების

შესახებ უსწორ-მასწორად ცნობების დარჩენილი სხვა-და-სხვა ხელნაწერებში.

მეთორმეტე საუკუნეში შესანიშნია ლექსწეობა, რომელსაც სათავე საბერძნეთში ჰქონდა და საქართველოში გადმოიტანეს ათონელმა ბერებმა. ამ ლექსწეობას ეწოდება იამბიკონი. თვით თამარ მეფე სწერდა იამბიკონს. დროშა ათაბაგის თამარმა შესწირა ხანულის ღვთისმშობელს და ზედ წააწერა ეს იამბიკონი:

„ცასა ცათასა დამწყები ღმერთ-მთავრობა,

ძე საუკუნობს პირველვე და კვლადცა,

სულმან ღვთისმან სრულ ჰყო არ ოდეს ქმნადი.

„სამებით სრულმან, ერთითა ღვთაებითა, მიწით ჰირველის, ჰირმშოაღს კაცისა, შენ მიერ მისთვის დრკუღსა მის განშეკები, როს დრკუღ მისდრკა, უვნები ვნებისადმი ივნო და ვნება ჰირველი უკნებელ ჰყო შენგან შობილმან; ჩვენ ღირს გუგუნა აღმოშობად ბნულით ნათელსა, ნათლითა მხედველობად, შენგან, ქალწულო, რომელსა შენთვის დავით როკვიდა ძისა ღვთისა ძედ შენდა უოფად. მე, თამარ, მიწა ესე შენი და მიერივე ცხებულებასა ღირს მეავ და თვისობასა ედემს ღადირად, სამხრით უკვე და ჩრდილოთ შუა მთელბელი იავარ შენდა ვმრთმელობ, ხალიფას დროშასთანავე მანაკას შევრთე ცრურჯულთა მოძღვრისა დაზოდ მძღვანი; დავით ეფრემის ძეებრმან მოისარმან შირთხნა, მოსრნა სულტნითა ათაბაგი; ირანს ებრძოლეს ჩვენ მიერ მისთა სპათა ჩვენნი მხედარნი მოსავნი შენნი, სძალო! მოსწულნეს, მოსწევიდნეს აგარის ნათესავნი. მუნით მოხმულთა ნიჭთაგან ერთსა ამას შენდა შევსწირავ, მიოხე ძეებრ, ღმერთო!“ იამბიკონი ხანულის ხატზედ გადმოიღო გ. წერეთელმა და ასე კითხულობს: „ვარ ძველსადვე, მადლით ღვთის მამა ქმნილმან, შენ ადაყვავენ რაჲ მის შორის, დედოფალო, ამდიდრნა მკობად ნივთნი შენ ღვთის ტაძრისა ეკრეთ აწ დავით, დავითის მორჩმან, ესე სულით სხუელით, ტაძრითურთ, უძღვნა, ქალწულო“. მეორე ზედწარწერა: „ხოლო ახალმან ვესკელიელ სოლომონ ძეობით-ფელობით მრჩობლი ტაჯანტნი დიმიტრი და სამუაროღსა მზეებრ აცისკრა მორფი შენი. აწ ჟამცაჯლობის, ჟი ღვთის-მშობელო, და ზენა ჟრისტეს შენისათანა

მეფობანი“. ზედწარწერა მით არის შესანიშნვი, რომ ლეკენდას ქართულთა ბაგრატიონების ურიათა მეფის დავითისაგან ჩამომავლობის შესახებ მოწმობს და ისტორიულს ფაქტებს ნათელს ჰსუენს. იამბიკონი შემდეგ ჩვეულებრივ ლექსთწყობად შეიქმნა. იამბიკონი შეიცავს 12 მარცვალს, რითმა არ იყო საჭირო თანხმად ბერძენთა ლექსთწყობისა.

ღვთის-მამაცხველება, ფილოსოფია და იურიისპარუ- დენცია.

სამეცნიერო ნაწერები ქართული მწერლობისა აქამდის არ არიან შესწავლილნი. მე-XI—XII საუკუნეს ეკუთვნის რამდენიმე თხზულება ნათარგმნი და ორიგინალური და ეს ნაშთნი მოწმობენ ქართული მეცნიერების აღორძინებას. დავით აღმაშენებელის დროს დიდი სახელი მოიხვეჭა ფილოსოფოზმა იოანე ქირქიმელმა, პეტრიწად სახელწოდებულმა. იგი იყო პოეტი, გრამმატიკოსი, ფილოსოფოზი და მკოდნე ასტროლოგი, ვარსკვლავთ მრიცხველი. ჩვენამდე მოუღწევია იმ ნაწერთა სახელებს, რომელნიც მან სთარგმნა ქართულად: განმარტება მარკოზ მახარებლისა, ქმნილი იოანე ოქროპირისაგან და პროლოგი ლექსად შედგენილი პატივად მსოფლიო წმიდათა. ფილოსოფიური თხზულება კავშირი პროკლე დიოდოხისა, ნათარგმნი პეტრიწისაგან, დროთა ვითარებამ შთანთქა და 1757 წ. კვალად ითარგმნა იოანე ორბელიანის მიერ სომხური ენიღგან თანადანმარებით ფილიპე ყაითმაზაშვილისა. პეტრიწმა გააცნო ქართველს საზოგადოებას არისტოტელის თხზულებანი „ტოპიკა“ და „პერი ერმენეიას“. პირველი შეაცავს მცნებას განმარტების შესახებ, მეორე დასამტკიცებელი საბუთების მოპოვებას. შავთელი, ჩახრუხა და რუსთველიც თავიანთი ნაწერებით მოწმობენ, რომ საბერძნეთის ფილოსოფოსთა თხზულებებს ქართველი მკითხველი კარგად იცნობდა, მათ სწავლას განუმარტებლად აღნიშნავენ ჩვენი პოეტები. პეტ-

რიწს ის ღვაწლი მიუძღვის, რომ შექჳმნა ფილოსოფიური ტერმინოლოგია, როგორც მისმა თანამედროვე სასულიერო მწერლებმა ღვთის-მეტყველური ცნებათა გამოსახატავად შექჳმნეს ახალი სიტყვები. პეტრიწს მიაწერენ აგრეთვე ასტროლოგიურს თხზულებას „ნემესიოს“. საერთოდ ცხოვრება და მოღვაწეობა პეტრიწისა არ არის გამოკვლეული, პროფ. ა. ცაგარელი ფიქრობს, თვით სახელ-წოდება „პეტრიწი“, დაერქვა ჩვენს ფილოსოფოზს იმიტომ, რომ ეკუთვნოდა პეტრიცონიის მონასტრის ძმათა. პეტრიცონის მონასტერი, აწ ბაჰკოვისა, მდებარეობს 30 ვერს. მოშორებით ქ. ფილიპოპოლიდგან ბულგარიაში, ქ. პეტრიჩის ახლოს. ბიზანტიის იმპერატორის ასული ანნა კომნენი გვაუწყებს, რომ ეს მონასტერი ააშენეს ორმა ძმამ პაკურიანმა. პროფ. ცაგარლის აზრით, იგინი უნდა იყვნენ ჯამბაკურიან-ორბელიანები. პაკურიანი უფრო ადვილად შეგვიძლიან შევადაროთ ბაკურიანიძის გვარს, რომელიც იხსენიება 1080 წ. „ქარ. ცხოვრებაში“. დ. ბაქრაძემ ხილისთავში ნახა ერთი ხელნაწერი, სადაც მართლ-მადიდებლობის მცველთა რიცხვში მოხსენებულია გრიგოლ სევესტოს, ძე ბაკურიანისა. შესაძლოა, რომ „პეტრიწი“ ჭირჭიმელს ეწოდა იმიტომ, რომ იგი ატარებდა პატრიცის ტიტულს, როგორც იხმარებოდა ტიტულები კუროპალატი, სევესტოსი და სხვ. მე-XI საუკუნე-ხელნაწერებში იოანე მოხსენებულია მწერალთა შორის იოანე პატრიკად, რომელსაც ერქვა პეტრიკ ბერად აღკვეცამდე.

მეორე მწერალი, რომელმაც შეიტანა თავისი წვლილი ქართულს სამეცნიერო ლიტერატურაში, იყო იოანე ტაიკის ძე, რომელიც სცხოვრობდა აგრეთვე დავით აღმაშენებლის დროს. ჭირჭიმელის მსგავსად ესეც განთქმული ფილოსოფოზი, ღვთის-მეტყველი და მთარგმნელია. ბერძნულიდგან მან გადმოიღო შესანიშნი თხზულებანი არისტოტელისა და ამ გვარად განაგრძო პეტრიწის შრომა. მას ეკუთვნის გადმოთარგმნა არისტოტელის „დიალექტიკისა“ და „კატეგორიათა“, თხზულებანი ლოგიკური შინაარსისა. არისტოტელის კატე-

გორიების განმარტება დასწერა ფილოსოფოზმა პორფირემ. ეს განმარტება (მე-III საუკ. ქრისტეს შემდეგ) სახელად „ეისაგოგე“ გადმოსთარგმნა ტაიქისძემ. ამასვე მიაწერენ ბერძნულიდან ნათარგმნს ეპიფანე კვიპრელის თხზულებას „ათორმეტთა ქვათათვის“.

სასულიერო მწერალთა შორის, გარდა უკვე მოხსენებულთა, ღირს არს საცოდნელად ეფრემ მცირე, რომელმაც დავით აღმაშენებლის დროს სთარგმნა ბერძნულით თეოდორიტის ისტორიიდან საქართველოს გაქრისტიანების შესახებ. მას დაუწერია ან გადუწერია „ასკეტიკონ“, რომელიც დაცულია ქუთაისის საკრებულო ტაძარში. ამავე დროს მოღვაწეობს არსენი ნინო-წმინდელი, მთარგმნელი იოანე დამასკელისა, იოანე ხახულელი, წოდებული ოქროპირად და იოანე ბოლნელი, ცნობილი მქადაგებელი. ამ უკანასკნელის ნაწერები დაცულია ტფილისის საეკლესიო მუზეუმში. აი ერთი მისი გადაგებიდან *) ნაწყვეტი: „ვინმეცა არ იხარებდა დღეს სახსენებელსა წათა მღვდელთ-მოძღვართასა, ანუ ვისმემცა არა სუროდა აღსრულებად სახსენებელი წათა მღვდელთ მოძღუართაჲ ანუ ვინმემცა იყო და არა გული უთქუმიდა წადიერებით სმენად გალობათა მათ, რომელნი აღსრულებიან მორწმუნეთა მიერ სახსენებელსა წათა მღვდელთ-მოძღუართასა. ესე წადანი მღვდელთ-მოძღუარნი შემდგომად წათა მოციქულთა და წინასწარმეტყველთა ნათლად სოფელსა გამოუჩნდეს და განანათლეს სოფელი, ნუგეშინის მცემელ და მასწავლელ ექმნეს მორწმუნეთა. საფუძველნი წმიდათა ეკლესიათანი, სუეტნი შეურყვევლნი, კელნი მათნი მოკიდებულ და ფერკნი მათნი დამტკიცებულ იყუნეს ხარისხსა მას ზედა სარწმუნოებისასა, რომელსაცა აღუთქუმიდა პეტრს ოფალი და ეტყოდა: შენ ხარ კლდე და მაგას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი და

*) „თქმული იოვანს ბოლნელ ეპისკოპოსისაჲ მღვდელ-მოძღუართათჳს, ოდესცა გინდეს“.

ბჭენი ჯოჯოხეთისანი არა ერეოდნან მას. და შენ მიგცნე კლიტნი სასუფეველისანი ცათაჲსანი, რათა რომელი შეჰყრა ქვეყანისა ზედა კსნილ იყოს ცათა შინა. ამას კლდესა ზედა შეუძრველსა და შეურყვეველსა დადგრომილ და დამტკიცებულ იყვნეს წ'დანი მლდელოთ-მოძღუარნი და იქმნნეს სიმტკიცე სარწმუნოებისათვის... ექმენ წინამძღუარ შეცდომილთა, ზღუდე და შემწე ქირვეულთა, მწყსიდეს სამწყსოთა ქრისტიანეთა ცხოვართა მსგავსად თქმულისა უფლისა, რომელსა იგი ეტყოდა პეტრს: უკეთუ გიყუარდე მე, დამწყსენ და აძოენ ცხოვარნი ჩემნი. ამას უოველსა იქმოდეს წ'დანი იგი მლდელოთ-მოძღუარნი, განაძენეს პურითა და ასუეს წყალი წყურვიელთა და შიშუელნი შემოსნეს სამოსლითა, იქმნეს მკურნალ სნეულთა და მნახველ მყოფთა მათ საპყრობილესა შინა, იქმნეს მამა ობოლთა და მსაჯულ ქურიეთა, მოწყალე გლახაკთა, შემწყნარებელ დევნილთა. იტყოდეს იგინი სიმართლესა და ქეშპარიტებასა, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი, ვითარმედ პირი მართლისაჲ იტყოდის სიბრძნესა და ენამან მისმან თქუას სამართალი... დაუტევეს ამას სოფლისა საშუებელი და მისცნეს კორცნი შრომასა და მარხვასა, იქმნნეს მხნე და განკრძალულ ლოცვასა... რომელნიმე წარსდგეს წინაშე მძლავრთასა და იტყოდეს: ჩუენ ქრისტეს ვართ მონანი და მისთვისცა მოეწყდებით... რომელნიმე მათგანნი უდაბნოთა, შეცდომილნი მათა, ქუაბთა და ნაპრალთა ქირვეულნი და ძვირ-ხილულნი იქმნენ. ამისთვისცა აღუთქუა ღმერთმან მისაგებელი მოთმინებისათვის: მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი. აწ გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი დიდ არს ცათა შინა, რამეთუ უფალსა უყუარს სამართალი და არა დასთხინეს ღირსნი მისნი უკუნისამდე ესე წმიდანი მლდელოთ-მოძღუარნი იყუნეს განმანათლებელ სოფლისა... აწ, საყუარელნო, მოვედით გულს-მოდგინედ და სიხარულით აღვასრულებდეთ საკსენებელსა წ'თა მლდელოთ-მოძღვართასა და ერთობით ვადიდებდეთ მამასა

და ძესა და წდასა სულსა აწ და მარადის და ოკონითი ოკონისამდე ამინ“. ამავე სტილის ქადაგებანი მიეწერება წმ. ნინოს: „თქმული წმ. დედისა ჩუენისა ნინოჲსა, რომელმან ქადაგა ქრისტე ქართლსა შინა“, მისივე „ნათლის-ღებისათვის უფლისა იესო ქრისტესა“. თქმა არ უნდა, რომ ეს ქადაგებანი შემდეგ უნდა შეეკმნათ და წმ. ნინოს არ ეკუთვნიან.

მე-XI—XII საუკუნოებს ეკუთვნიან იურიდიულის ხასიათის ნაწერები—სიგელ-გუჯრები, საეკლესიო კრებების დადგენილებანი, ნათარგმნი და ორიგინალური, სავანის წესდება, ესრედ წოდებული ძეგლი ანუ განგება ვაჰანის ქუაბთა მონასტრისა. ვაჰანის (ვანის) წმ. გიორგის მონასტერი მდებარეობს ტაო-კლარჯეთს. ამ მონასტერს ძეგლი ანუ განგება მისცა სარგისის შეილმან მხარგრძელმა და დამტკიცებულ იქმნა კათოლიკოზ გიორგისაგან. რა დროს არის დაწერილი ეს ძეგლი, არ სჩანს, რადგან ხელ-ნაწერს *) ქორონიკონი არ უზის. მოხსენებულნი პირნი—მხარგრძელი, შეილი მისი სარგის, დედა ამისი ხათუთა და კათალიკოზი გიორგი ისტორიაში უცნობნი არიან: მხარგრძელი „ძეგლში“ სახელწოდებაა და არა გვარი. „ძეგლიდან“ სჩანს, რომ მხარგრძელი დიდებული და მრავალი მამულის პატრონია; იგი უნიშნავს დიდს ჯამაგირს ვანის ბერებს—ფულად და ხორაგად. მხარგრძელები ისტორიის ასპარეზზედ გამოდიან გიორგი მეფის დროს, მართლ-მადიდებლობა მიიღო ივანემ თამარის მეფობაში 1190 წლებში, ამიტომ „ძეგლში“ აღნიშნული მხარგრძელი უნდა ყოფილიყო არა უადრეს 1191 წ. და არა უგვიანეს 1250 წ., როცა გადაიკვალა ივანე ათაბაგის ძე ავაგი. აქედგან შეიძლება, დავასკვნათ, რომ „ძეგლი“ დაწერილია 1191—1250 წლებს შუა და დაახლოებით უფრო 1191—1233 წ., რადგან კათოლიკოზი გიორგი იხსენიება შემდეგ კათოლიკოზი

*) ხელნაწერი ეკუთვნის საეკლესიო მუზეუმს. ხელი მე-XII—XIII საუკ. „ძეგლს“ ნახევრამდე აკლია, დასაწყისში დაზიანებულია.

არსენისა, რომელიც 1233 წ. კათოლიკოზობის დამტოვებელი უბრალო ბერად მოღვაწეობდა შიო მღვიმეში. შეიძლება „ძეგლში“ მოხსენებული სარგისის შვილი იყოს ივანე მხარგრძელი, „ერისთავთ-ერისთავი“, რომელმაც საიდუმლოდ ბერობა მიიღო. „ძეგლში“ ვკითხულობთ, რომ იგი ასწერა „დიდისა გულსმოდგინებითა“ და დააწესა რიგი სამონასტრო ცხოვრებისა. თავდაპირველად არავენ იტყოდის მონაგები მისი თვისად, არამედ ყოველივე აქუნდა საზოგადოდ, რამეთუ წერილ არს შეუძლებელ არს ორთა უფალთა მონებაი, ესე იგი არს ღვთისა და მამონისა. მეორე თავი განაგებს მღვდელთა, დიაკონთა და მწირთა სულიერს სამწყსოს. არავის ძმათაგანსა ხელეწიფების მოწაფე ყოფად სხვისა მოძღვრისა, არც მოგებად მოწაფეთა არცა შინაგან მონასტრისა და არცა გარეთ. მონასტერში უნდა იყოს 24 მღვდელი, 7 დიაკონი და 20 მწირნი მორჩილნი და 10 მსახურნი სამზარეულოსა და სახაბაზოსა. მღვდელთაგან გამოირჩევა სიტყვით და საქმით უაღრესი სხვათა ყოველთა, და ამას დანარჩენნი ემორჩილებოდნენ („ეწამებოდნენ“). იგი უნდა იყოს წარჩინებული უბიწოის ცხოვრებით და ასწავებდეს სხვას კეთილად მოქალაქობას. მას მიენებოდეს სული ყოველთა მონასტერსა შინა მყოფთა ძმათა. ძეგლი აწესებს ტრაპეზობის განწყობასაც. ტრაპეზობათა წიგნი იკითხვოდის დღეთა ჟამსა ძმათა საზრდელისა მიღებისა. ამ დროს არა იყოს საუბარი; თუ ვინმე არ სდუმდეს, ორგზის შეჰნიშნონ და შემდეგ განიყვანონ ტრაპეზით. ტრაპეზზედ პური და ღვინო სწორად დაეგებოდეს ყოველთა ძმათა. სტუმართ-მოყვარეობისა მიზეზითა შეიძლება მომატება საქმელთა ბრძანებითა მოძღვრისათა. მონასტერში სტუმარს მოასვენებდნენ, თუ მასთან დედაკაცი არ იყო. სტუმარმა დაჰყოს ერთი-ორი დღე და მესამესა წარვიდეს გზასა თვისსა. ერთი მონაზონი მესნეულთათვის განიჩინებოდის და უძღურთ ძმათა ემსახურებოდის. ჯამაგირიდგან მოძღვარსა, ვითარცა მწყემსსა სულიერსა, მიეცემოდის 6 ღუკატი, დეკანოზსა და იკონო-

მოსსა ოთხ-ოთხი დუკატი, მონასტრის ძმათა სამ სამი, მეჭურ-
კლესა, მეტრაპეზესა, კანდელასა და იპიტრიტისსა აგრეთვე
სამ-სამი დუკატი, მსახურთა ბოტინატი და დუკატი. მოძ-
ღვარს მიეცემა პური რვაი გრივი და ღვინო სამი სა-
პალნე, იკონომოსს ექვსი გრივი პური და ორი საპალნე ღვინო.
გამოუთხოვლად მოძღვრისა არავის ხელეწიფების წარსვლად
გარეკან მონასტრისა. არავის ძმათაგანსა ხელეწიფების მონას-
ტერსა შინა ვაჭრობად, ვახშად გაცემადი სახმართა მსოფლიოთა,
გინა დაჭირებულთაზედა. რომელსაცა ძმათაგანსა ემხილოს
ღვინის მოფარდულობა გინა შევახშეობა მყის განიდევნოს...
რომელმაც ძმათაგანმა იკადროს გინებად ანუ შეურაცხყოფად
უპკირესთაგანისა ვისმე, მყის განიდევნოს. ნუცა ვისსა სენაკ-
სა შევალს დედაკაცი, დედაილა თუ იყოს მისი... ნუცა ვინ
იკადრებს თვისსა ნათესავსა, გინა ძმასა, ანუ შვილსა უჭასა-
კოსა დი უწუპრულსა შემოყვანებად მონასტერსა შინა.

როგორც ეს ჩამოთვლილი მუხლები მონასტრის წესდებ-
ბისა, აგრეთვე შემდეგნი ამოწერილნი არიან იმ კრებულიდ-
გან, რომელსაც ეწოდება კანონნი შეცოდებულთანი იოანე
მმარხველისა და რჯულის წიგნი მეექვსე მსოფლიო კრებისა.
საკმარისია, გადაათვალიეროთ ეს ორი ჩემ მიერ გამოცემული
ჩვენი საეკლესიო სჯულდების ნაშთნი, რომ დარწმუნდეთ, რა
წყარო აქვს მხარგრძელს, როცა ვაჰანის მონასტერს „ძეგლს“
უწერავდა. გარდა ამ ორი წყაროსა, შესაძლოა კიდევ სხვა
წესდებითაც ესარგებლა, მაგრამ უმთავრესი მუხლები ამ დასა-
ხელებული წიგნებიდგან ამოუღია. შესამოკლებლად ჩვენ არ
მოგვყავს ამონაწერი მხარგრძელის ძეგლიდგან შედარებით
იოანე მმარხველის და რჯულის წიგნის მუხლებთან. საკმარი-
სია დავასახელო მხარგრძელის ძეგლში აღვლილი პირდაპირ ამო-
ღებული იოანე მმარხველის შეცოდებულთა კანონებიდგან:
იტყვის საღმრთოი მოციქული განცხადებულად, ვითარმედ
არცა მეძავთა, არცა კერპთ-მსახურთა, არცა მემრუშეთა, არცა
ჩუკენთა, არცა მამათ-მავალთა, არცა ანგაპართა, არცა მოძ-

თვრალეთა, არცა მაგინებელთა, არცა მტაცებელთა სასუფეველი ღეთისაი ვერ დაიმკვიდრონ.

„ძეგლის“ ორიგინალურს ნაწილს უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ სიტყვები მხარგრძელისა, რომელიც გვაუწყებს, რომ მან ღიღითა გულსმოდგინებითა განგება ესე ასწერა თავის მონასტრისთვის. განმეორებით აღსარება, როგორ უნდა გაიყონ შემოსაწირავი და აკრძალვა ძმათათვის მონასტრით განღება თვის ნაქონებისა, მოხმარება მიცვალებულის ძმის ქონებისა თანასწორად საეკლესიოდ და მისი სულის მოსახსენებლად ეს მუხლები საერთოა ჩვენს და ბერძენთა მონასტრის წესწყობილებაში. ექვი არ არის „ძეგლის“ დამწერს თვალწინ აქვს ბერძნული ღედანი ანუ მისი თარგმანი. იურიდიულ ნაშთებს ეკუთვნიან აგრეთვე ზემოხსენებულნი და აწ უკვე ჩემ მიერ გამოცემულნი „კანონნი შვეკოდებულთანი“ და „რჯულის კანონნი მეექვსისა კრებისა“ — ორივე ნათარგმნი მე-XI საუკ. წმ. ექვთიმეს მიერ. ადგილობრივ კრებების დადგენილებასაც მოუღწევია ჩვენამდე. ბაგრატ მესამის დროს არტანუჯში მოხდა კრება, რომელზედაც ექვთიმე გრძელი შეეკამათა სომეხთა მოძღვარს სოსტენს. კრებას ჰქონდა მიზნად დაეცვა მართლ-მადიდებლობა მონოფიზიტთა (ქრისტეს ერთბუნების აღმსარებელთა) წინააღმდეგ. ბაგრატ მეოთხემ მოიწვია კრება გიორგი მთაწმინდელის წინადადებით რათა გამოარკვეულ ყოფილიყო წესი მღვდელთ-კურთხევისა და ზნეობითი მათი დამოკიდებულებისა სამწყსოსთან.

ღავით აღმაშენებლის დროს მოხდა კრება რუის-ურბნისისა. თამარ დედოფალმა 1184—5 წ. გახსნა საეკლესიო კრება, რომელზედაც დაესწრო ნიკოლოზ გულაბრიძე, რომელიც მოიწვიეს იერუსალიმიდგან.

უძველესთ სიგელ-გუჯართ ეკუთვნის აქტი 1040 წ. მეფე ბაგრატ კუროპალატისა, რომელმაც გამოსთხოვა ბერძენთა იმპერატორს ბასილს სატერიალური დახმარება მცხეთის ტაძრის აღსაშენებლად. 1020 წ. ეკუთვნის კათოლიკოზ მელქი-

სედეკის გუჯარი შესაწირავით სვეტიცხოვლისათვის. საყურად-
ღებონი არიან გუჯრები, სვანეთში ნაპოვნნი და ჩემ მიერ
აღწერილნი. ეკუთვნიან იგინი მე-X—XII საუკ.

ლიბირატურა მე-XIII—XVI საუკ.

მეთერთმეტე საუკუნე და განსაკუთრებით თამარ მეფის
დრო საუკეთესო ხანაა საქართველოს ისტორიაში. პოლიტი-
კურად, ნივთიერად და გონებრივად საქართველომ ამ საუკუ-
ნის განმავლობაში მიაღწია უმაღლესს წერტილამდე. ეს დრო
ისტორიაში წოდებულია „ოქროს საუკუნედ“, ხანად საქარ-
თველოს აღორძინებისა და აყვავებისა. განუწყვეტელმა ლაშ-
ქრობამ საქართველოს მოუპოვა ჯერ ძღვევა-მოსილების დი-
დება, მაგრამ შემდეგ ეს ნიადაგ სისხლის ღვრა გახდა მიზე-
ზად დაცემისა და დაქვეითებისა. აუარებელ მტერთან ბრძო-
ლაში დაიხოცა მამაცი თაობა, უცხო ტომთა ზნე-ჩვეულების
გავრცელებამ შეარყია ზნეობა, ნივთიერმა გამდიდრებამ დაჰბადა
ფუფუნება. თამარ მეფის შემდეგ სახელმწიფოს გამგედ იყვნენ
მისი შვილები გიორგი ლაშა (1213—1223) და რუსუდანი
(1223—1247), რომელთაც ვერ გამოიჩინეს ვერც ზნეობითი
სიფაქიზე და ვერც სამეფოს მართვის ნიჭი. მსგავსად ლაშას
და რუსუდანისა, მაღალი წოდება ჩაიფლო ბიწიერების მო-
რევში და დაიხშო გრძობა მამულის სამსახურისა. ამ შინაგან
გახრწნას დაერთო გარეგანი უბედურებაც: საქართველოს შე-
მოესევა მონგოლთა ბრბო ჩინგის-ხანის წინამძღოლობით და
სასტიკად გაანადგურებს ქართველთა ჯარს, რომლის გამგედ
არის უზნეო და უშევრის ცხოვრებით გატაცებული გიორგი
ლაშა. საქართველოს მზე ამას შემდეგ დიდი ხნობით ჩაესვენ-
და. განსაცდელი ერთი-მეორეზედ საშიში და აუცილებელი
დაატყდა თავს ჩვენს ხალხს. ჩინგის-ხანს მოკლე დროს შემდეგ
მოჰყვა ჯელალ-ედდინ ხვარაზმელი, რომელმაც ისე გაანადგუ-
რა საქართველო, რომ მხოლოდ ციხე-სიმაგრენი გადარჩნენ

დაუნგრეველნი. ეს აოხრება ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ, როცა 1236 წ. ჩინგის-ხანის შვილმა, დაიპყრო რა სომხეთი, შირვანი და აღირბეიჯანი, შემოესია ტფილისს და აიკლო მცხოვრებლები. სამი წელიწადი გავიდა და მთელი საქართველო მონგოლებს ფეხ-ქვეშ ჰქონდათ გათელილი. რუსუდან დედოფალი ამაოდ ელოდა ნიეთიერს დახმარებას პაპისაგან (გიორგი მე-XI და ჰონორი მე-III) და იძულებული გახდა თავის შვილი გაეგზავნა ყარაყორუმში, შუა აზიაში, და იქ მონგოლთაგან ეთხოვნა დავითის მეფედ დამტკიცება. ამას მოსდევს მონგოლთა თვით-ნებობა-სურვილისამებრ ქართველთა მეფეთა ტახტზედ აყვანა და ჩამოხდომა, დიდებულთა გაპატიოსნება და დამცირება. ასეთი დროც იყო, როცა საქართველო უმეფოდ დარჩა. მონგოლთა ნოინნი თავიანთ ხელქვეითს ნიშნავენ. მთავრების ადგილობრივი უსიამოვნება მონგოლებს ხელს უმართავს. გიორგი ლაშას ტახტს ეცილებიან რუსუდანის შვილები. საქართველო გაიყოფა ორ ნაწილად— ამერად და იმერად, თვითოეული ნაწილი დაქუცმაცდა სამთავროებად. აქ ფეოდალებს ერთმანეთში გაუთავებელი ქიშპობა და მძულვარება უფრო ასუსტებს. მონგოლები მძიმე ხარკს დაადებენ ჩვენს მხარეს და ააღელვებენ ქვეყანას. საქართველოდგან გაპყავთ ჯარის-კაცები—ათს სულზედ ერთი და ამ გვარად შეადგენენ 90.000 ჯარს. მეფე დავით მეხუთე (1243—1269) თავის ჯარით მონგოლთა მიწვევით ამხედრდება ბაღდადის და ეგვიპტის წინააღმდეგ, აგრეთვე დიმიტრი თავდადებული (1273—1289) მიიღებს მონაწილეობას მონგოლთა ამხედრებაში ეგვიპტეზედ. საქართველოს მეფენი ემსახურებიან მონგოლთა განდიდების ინტერესებს და წარმოადგენენ იმათ ხელში სათამაშო თოჯებს. დავით მ-VI დროს (1292—1310) ხუტლუბულა მრავალ ნოინებით შემოესევს საქართველოს და დავით მეფის შვილს გიორგის ყაენი ტახტზედ აიყვანს, როცა იგი მხოლოდ ორი წლისაა (1308—1318). ამ გვარს გარემოებაში იყო საქართველო მთელი საუკუნის გან-

მავლობაში თამარ მეფის შემდეგ. აღარც პოლიტიკური და აღარც ზნეობითი ძალა არ შესწევდა სახელმწიფოს გასამაგრებლად. ყოფაქცევის დაცემა, გარყვნა დიდებულს წოდებაში, მრავალ-ცოლობა (დიმიტრი მეფე მაგალითია), გათხოვება მონგოლთა ნონინებზედ, — ყველა ამან ერთად აღებულმა და შეწყობილმა ძირს დასცა ბაგრატიონთა სამეფო.

გიორგი V ბრწყინვალის მეფობა (1318—1346) ხან-მოკლე და მშვიდობის დროა საქართველოს ისტორიაში. გიორგი, ძე დიმიტრი თავდადებულისა და მისი მესამე ცოლის ნათელასი, დაუბრუნებს ჩვენს ქვეყანას დიდებას და სახელს. იგი შემოუერთებს საქართველოს სომხეთს, ჰერ-კახეთს, სამცხეს, ტაოს, შავშ-კლარჯეთს ვიდრე სპერამდე და ზღვამდე, ათავისუფლებს ქართლს ოსთაგან, სარგებლობს თათართა (მონგოლთა) შორის შფოთით და განდევნის მათ საქართველოდგან. ურჩ ერისთავებს დასჯის, სარგის ჯაყელს მიუბოძებს ათაბაგობას და ამირ-სპასალარობას. იმორჩილებს რანს და იმერეთს. მას ემორჩილებიან დადიანი მამია, გურიელი, ერისთავი სვანეთისა და შარვაშიძე აფხაზეთისა. საქართველოს პოლიტიკურად გაერთიანებას მოჰყვა ზნეობითი აღორძინება. გიორგი უწერს „ძეგლის დებას“ მთელს ხალხს, აშენებს დანგრეულს ციხე-მონასტრებს, ამშვიდებს მცხოვრებლებს.

ორმოცი წელიწადი გავიდა გიორგის შემდეგ და ბაგრატ მე-V დროს საქართველო კვლავ განადგურდა შემოსულთ მტერთაგან. ლანგთემური 1387 წ. აიღებს ტფილისს და მიანგრ-მოანგრევს. 1393 წ. თემურლანგი კიდევ ეწვია საქართველოს ცეცხლითა და მახვილით და რამდენიე წლის შემდეგ განმეორდა ჩვენი ქვეყნის გაოხრება. სამეფო კვლავ დაქუცმაცდა. ხალხი გულ-დაწყვეტილი შეჭყურებს დარღვეულს მტერთაგან რუისის, მცხეთის, და ქვაბთახევის ტაძრებს. ფეოდალები თავს აიღებენ, აღვირს აიწყვეტენ და ერთმანეთის გაწყვეტით ასუსტებენ საერთო ძალას. მცხოვრებთა რიცხვი საშინლად კლებულობს: ზოგნი დაიხოცნენ

ომში, ზოგთ (60.000 თომა არწმუნის სიტყვით) გადაასახლებს თემური სამარყანდში. იმერეთში მეფესა და მთავართა შორის შუღლი არ შეჩერებულა. მე-XV საუკ. მოჰკვლენ კონსტანტინეს და გაამეფებენ გიორგის. განცალკევების სურვილმა დათრგუნა გაერთიანების ლტოლვილება.

არა-ერთხელ გაიღვიძა მისწრაფებამ ერთობის დამყარებისა, ხან-მოკლედ კიდევ განხორციელდებოდა, მაგრამ დაყოფა სამთავროებად, დაუძინებელი შუღლი, არევ-დარევა სცვლიდა ამ იშვიათს წამებს. უცხოელთა შემოსევა შინაურს აწეწილს საქმეებს მეტად ამწვავებს. მე-XVI საუკ. სპარსნი და თურქნი სხვა-და-სხვა დროს მუსრს ავლებენ საქართველოს. მისუსტებული შინ და გარედ ქართველთა ერი არ ივიწყებს თავისს დანიშნულებას აღმოსავლეთის საქრისტიანო ქვეყნებში. 1460 წ. მეფენი და მთავარნი პაპის მოწოდებით ჯვაროსნების ომში გარეგანს აპირობენ მუსულმანთა წინააღმდეგ, მაგრამ ვენეტიკში მომხდარი უთანხმოება ევროპელთ ელჩთა შორის ამ საქმეს დასაწყისშივე ჰფუშავს. კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ 1453 წ. თურქთა მიერ აღმოსავლეთი საქართველო ოსმალეთის მხრის ხანების მსხვერპლად ხდება. სამცხე-საათაბაგოს მოსწყვეტენ და გაამუსულმანებენ, შუაგულს სამეფოში შემოესევნიან და ეკიშვებიან სპარსთა საქართველოზედ ბატონობაში. სპარსნი და თურქნი სთესვენ მტრობას ჩვენი ქვეყნის სხვა-და-სხვა ნაწილის მმართველთა შორის და ერთმანეთს უსევენ მათივე დასაქვეითებლად. მეფენი გადულ-გებნიან ქრისტეს და მიიღებენ ისლამს, ზოგი თვალთ-მაქცურად და ზოგი გულ-წრფელად. XVII საუკ. ქართლში ტახტზედ რამდენიმე გამუსულმანებული მეფე აღის და სდევნიან ქრისტიანულს ჩვეულებებს და ძველებურს კულტურას. მეფეთა წახედვით ქვეშევრდომნიც გადადიან მაჰმადის რჯულზედ, ითვისებენ თათართა ზნეს, სთელავენ მამა-პაპათა ანდერძს. ეს ის დროა, როცა საქართველოში სპარსულ-ოსმალური გემოვნება ჰმეფობს სამზარეულოში და ასპარეზობაში, იქაური

სიძლერა და საკრავი, ჩაცმა-დახურვა, ადმინისტრაციული წეს-წყობილება მაგრა იღვავს ფესვებს ქართულს საზოგადოებაშიაც. აღვირ-ახსნილი ვნებათა ღელვა, მხეცური ინსტინქტები, სისხლით ამღვრეული ცოლ-ქმრობა და ძალ-დატანებითი გაყრა გადიქვა ჩვეულებრივ მოვლენად. ამ საერთო გახრწნას იშვიათად ჰფარავდა თავგამოდებული მამულის სიყვარული და სარწმუნოებრივი ერთგულება. დიადს მაგალითს ზნეობითი სიმტკიცისას გვიჩვენებს დედოფალი ქეთევან, რომელმაც ტანჯვით დალია სული სპარსთა ხელში 1624 წ. შირაზს. საჯაროდ მოედანზედ გასცარცვეს დედოფალს ტანსაცმელი, გახურებული მახვილით აგლეჯდნენ ხორცებს და ზედ ნალვერდალს აყრიდნენ; თავზედ დაადგეს გახურებული თუჯის ქვაბი და ამ წამებით დაგვირგვინებულმა მაინც არ უარპყო ქრისტე და სამშობლო. ნაწილები წმ. ქეთევანისა წაიღეს ბელგიაში კათოლიკეთა მისსიონერებმა და დაკრძალეს ქალაქს ნემურს. შინაური უთანხმოება და გარეგან მტერთა სიმძლავრე ისე გამუდმებით უთხრიდნენ ძირს საქართველოს ხალხს, რომ მაღალი პიროვნობის ბეჭედით აღნიშნული მოღვაწენი თავიანთ სიცოცხლეს ტანჯვით და ვაებით ათავებდნენ. სურათი ამ უგემური და უნდო მდგომარეობისა დაგვიტოვეს, როგორც ქართული მატრიანის დამწერთ, აგრეთვე უცხო მოგზაურთ, მეტადრე პაპის მისსიონერებმა, რომელთა მეცადინეობით საქართველოში კათოლიკობამ ფეხი მოიკიდა უკვე მე-XIII საუკ. მოგზაურნი და მისსიონერნი აღნიშნავენ საქართველოს პოლიტიკურს დაქუცმაცებას და ზნეობითს დაცემას. სარწმუნოების მხრით იგინი გაკვირვებულნი არიან სამგვარი ელემენტის ერთმანეთში არევით ქართველთა რელიგიაში: ქრისტიანობრივი, წარმართული და მაჰმადიანური ელემენტები შესისხლ-ხორცებულნი და უწყსრიგოდ აღრეულნი შეადგენდნენ საკვირველს „სამს სარწმუნოებრივს“ მოვლენას. ამ პოლიტიკურს და კულტურულს დაცემას მოჰყვა ლიტერატურის სიდატაკეც.

მე-XIII—XVII საუკ. ქართული ლიტერატურის
მიმართულება.

მე-XIII—XVII საუკ. ნაწერთა რიცხვი მრავალია, მაგრამ რაოდენობით სიმრავლეს არ შესწევს თვისებითი ღირსება. ამ დროის ნაწერები არ არიან შესანიშნავი არც ხელოვნობის და არც თვით შემოქმედების მხრით. ნომეტებული ნაწილი ამათგანი შეიძლება ორს ჯგუფად გავყოთ: ერთი შეიცავს სახნეო-დიდაქტიურს თხზულებებს და მეორე საარაკო-სიუჟეტის ნაწერებს. შემოქმედებითი ძალა ჩაფერვლილია, სხივი პოეტური აღმაფრენისა იშვიათად ბრწყინავს თითქმის ხუთი საუკუნის განმავლობაში. მე-XI—XII საუკ. მოფიქრებით შექმნილი ნაწერების მაგივრად ამ დროს სალიტერატურო განძს ავსებენ საარაკო მოთხრობებით, რომელნიც შემოსილნი არიან ძალ-დატანებითი მოძღვრებით. გამომეტყველი ენა „ოქროს საუკუნისა“ უთმობს ადგილს შემუშავებულს უბრალო კილოს, ზე-შთაგონებითი ხელოვნური პოემების მაგივრად მკითხველს აწოდებენ სპარსულით ნათარგმნს შესაზარის სასწაულებით თხზულებებს ან უფერულს ლექსათ-შეწყობილს მოთხრობებს. შემოქმედებით სიღარიბესთან ქართველი მწერალნი ამ დროს იჩენენ განსაცვიფრებელს ლტოლვილებას წარსულის შესასწავლად, გულმოდგინედ ჰკრფენ საქართველოს ისტორიულს ცნობებს და იურიდიულს ჩვეულებებს. ჩვენი ისტორიის წყარონი განმდიდრდნენ რჯულებითი დოკუმენტებით. ეს ნაწერები და „ძეგლნი“, აგრეთვე სასულიერო და საარაკო თხზულებანი გვიხატავენ ცოცხალს სურათს საქართველოს ლიტერატურის მდგომარეობისას მე-XVIII საუკ. დასაწყისამდე. ხოლო მეჩვირამეტე საუკუნეში საქართველო კვლავ მოკლე ხნით აღორძინდება პოლიტიკურად და კულტურულად და მწერლობაში დამყარდება ბრწყინვალე ხანა, რომელსაც ეწოდება „ვერცხლის ხანა“. შემოსხენებულ ძეგლთა და ნაშთთა განმასხვავებელი ხასიათი გვაძლევს სა-

ფუძველს გაეყოთ და განვიხილოთ იგინი ოთხს ჯგუფ პირველ ჯგუფში მოვაქცევთ ლიტერატურულს ნაწერებს, ორიგინალურს და ნათარგმნს, მეორეს დავეთმობთ ისტორიული შინაარსის თხზულებებს, მესამეს შეიცავს იურიდიული ნაწერები და მეოთხეში მოვათავსებთ სასულიერო მიმართულების წიგნებს.

განვიხილოთ ჯერ პირველი ჯგუფი. ამ ჯგუფის სათაურში ხრონოლოგიური ძაფის მიხედვით უნდა მოვაქციოთ ის თხზულება, რომელიც აქამდის გამოცემული არ არის, და შეიცავს შორეულს ისტორიულს ჟამის კვალს. ეს თხზულება არის „რუსულდანიანი“.

რ უ ს უ დ ა ნ ი ა ნ ი.

რუსულდანიანი წარმოადგენს კრებულს თორმეტი არაკისას, რომელიც გადაბმული არის ერთმანეთზედ ძალდატანებით, მოძღვრებითი აზრით, დიდაქტიური მიზნით. დ. ჩუბინაშვილმა ორი ნაწყვეტი დაბეჭდა ამ კრებულიდგან თავისს „ქართულს ქრისტომათიაში“: 1ხ4ს წ. გამოცემულს ქრისტომათიაში ჯიმშედ ხელმწიფის ამბავი (მეორე თავი) და 1ხ6პ წ. მეცხრე თავი „რუსულდანიანიდგან“ — ნაწყვეტი გოსტამ მეფის მოთხრობიდგან. განსვენებული პროფესორი „რომანს ენის მხრივ“ მიაწერს მე-XIII საუკ.; ენა მარტივი და უბრალოა და ეს თვისებაა მეცამეტე საუკუნის ნაწერებისაო. ეს მოსაზრება შესაწყნარებელი იქნებოდა, რომ ჩვენი ენა ისტორიულად შესწავლილი ყოფილიყო და ამიტომ „სიმარტივე“ ენისა საკმარისი არ არის რომელიმე ნაწერი ამა თუ იმ ეპოქას მიეწეროთ. მეორე მეძიებელი საქართველოს სიძველეთა აკად. ბროსსე ასწევს ამ თხზულებას მე-XV საუკუნემდე და საბუთად მოჰყავს შინაგანი თვისებანი მოთხრობისა. არც ამ მოსაზრებას აქვს დამამტკიცებელი საფუძველი.

სიუჟეტი „რუსულდანიანისა“ შეიძლება რამდენიმე სიტ-

ყვით გამოვსთქვათ. სათნოიანს კაცს აფთვიმიანეს ჰყავს 12
ქკვიანი ვაჟიშვილი და ერთი ლამაზი ქალი რუსუდანი. მეფეთა
ჩამომავალი იემენიდგან, მანუჩარ, შეირთავს რუსუდანს. მა-
ნუჩარ, რომელიც საიდუმლოთ ქრისტიანობრივს სარწმუნოე-
ბაშია აღზდილი, მიწვეულ იქმნა სპარსეთის უღმრთო მეფის
სასახლეში. მეფე ჰპირდება მანუჩარს სახელმწიფოს დაბრუ-
ნებას, რომელიც ოდესმე მისმა წინაპრებმა დაჰკარგეს. მანუ-
ჩარის წასვლა დიდს ჰირს მიაყენებს რუსუდანს. მაგრამ უღმრთო
მეფე არ აკმარებს რუსუდანს ქმრის მოშორებას,—იგი მოითხოვს
მანუჩარის ასულს როადამს და შემდეგ ვაჟსაც—ფრიდონს.
გამწარებული რუსუდანის დასამშვიდებლად მოდიან მისი დედ-
მამა და შემდეგ 12 ძმა, რომელნიც მოძღვრებითი ამბებით
დროს ატარებინებენ რუსუდანს, ცდილობენ მწუხარება შე-
უმცირონ და გაართონ. მეთორმეტე ამბის დასასრულს ბრუნ-
დება სახლში ფრიდონ, რომელიც განკარგულებას მოახდენს,
რომ მისი ბიძების ნაამბობი მოთხრობები ჩაწერილ იქმნენ.
მათ მოთხრობას ასულდგმულებს ერთი დედა აზრი, ის იღვია,
რომ მწუხარება და განსაცდელი წარმავალი არიან და ბოლოს
მწუხარება ღვთის განგებით სიხარულად და მოსვენებად შეი-
ცვლება. პროფ. ჩუბინაშვილის აზრით „რუსუდანიანი“ ახა-
სიათებს მდგომარეობას, ზნეს, ჩვეულებას და მცნებას მაშინ-
დელი საქართველოსას. ეს აზრი ქეშმარიტია იმდენად მაინც,
რამდენადაც იგი შეეხება სარწმუნოებრივ იდეას, რომლითაც
განცხოველებულია ეს არაკთა კრებული.

„რუსუდანიანის“ ხელნაწერებს ბევრს არ მოუღწევია ჩვე-
ნამდე. უფრო ხშირად გვხვდება ჯიმშედის ამბავი, ამოღებუ-
ლი ამ კრებულიდგან. დამწერი „რუსუდანიანისა“ არ სჩანს,
თუმცა იგი უნდა იყოს ქართველი და მასთანავე ქრისტიანის
რჯულისა. ქრისტეს სწავლას კრებულში რამდენჯერმე შე-
ხვდება მკითხველი (თავი I, III და სხვ.). კრებულის შემ-
დგენელს თავის თხუზულება ქრისტიანობრივს გემოზედ აუშე-
ნებია. მთავარს გმირს კრებულისას უწოდებს იგი რუსუდანს,

რომლის თავ-გადასავალი შორეულად გვაგონებს რუსუდან დედოფლის, თამარ მეფის ასულს. გარდა ერთნაირი სახელისა, კრებულში მოთხრობილია ისეთი ფაქტები, რომელნიც გვაგონებენ ისტორიულს ამბებს მე-XIII საუკ. მსგავსად მანუჩარ იეუნელისა, ქართველთ მეფეთ მონგოლთა მფლობელობის დროს სჭირდებოდათ და უხდებოდათ წასვლა წარშართ, უღმრთო ბატონებთან თავიანთ სახელმწიფოში მემკვიდრეობითი უფლების დასამტკიცებლად: რუსუდან დედოფლის შვილი დავით ნარინი მიდის ყარაყორუმში დიდს მოღოლთან, რათა დაიმტკიცოს სამეფო ტახტი საქართველოში, ხოლო ასული რუსუდანისა, თამარ, მისთხოვდება სელჯუკს. როგორც შოთა რუსთველმა ისარგებლა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტად სახალხო ზღაპრით და დროთა ვითარების გარემოება ჩააქსოვა პოემას, აგრეთვე „რუსუდანისა“. დამწერიც მიჰმართავს ზეპირ-სიტყვაობას, და თუ სუყველა მოყვანილი კრებულში მოთხრობები ხალხის ნათქვამად არ აღიარება, ზოგიერთთა არაკთა შესახებ შეიძლება დაქვემდებარებით ვსთქვათ, რომ მათ წყაროდ იყო ხალხური ნაწარმოები. (საყურადღებოა ხშირად განმეორებული სახელი ტარიელ და ავთანდილისა). მაგალითად არაკი ხელმწიფის სამის ვაჟიშვილის შესახებ. კარი მეორე „რუსუდანისა“ შეიცავს მოთხრობას ორ გმირზედ — ბედუკუღმართი და ბედშავი, მეთორმეტე კარში სასაცილო ამბავია მოყვანილი ორი ქალის შესახებ, სახელად იტიტინე და ილაპარაკე. თუ ეს მოთხრობანი ჩვენ მიგვაჩნია სახალხო სიტყვიერებიდგან ნასესხად, წინააღმდეგ, ამბავს იბრეიმ ხელმწიფეზედ (მეექვსე კარი) ვსთვლით გადაკეთებულად წმიდათა ცხოვრებიდგან ევსტრატესი და შვილთა და ცოლისა ევსტრატესი, რომელიც სთარგმნა ქართულად მე-X—XI საუკ. წმ. ექვთიმემ. კრებულში შეტანილია აგრეთვე განსაკუთრებითი კარი „კაისრიანი“, ამბავი კეისარზედ; აქ შეხვდებით ზღაპარს ბანაროსზედ, რომელიც წააგავს „ამაყს აგვის“; ნათარგმნი არაკი მაგალითს გვიჩვენებს მეოთხე ძმის მოთხრობა

„ყარამან, ურუმის მეფეზედ“. მოხრობელი გვაუწყებს, რომ იგი მოახსენებს რუსუდანს არაბულით ნათარგმნს ამბავს. ამ გვარად „რუსუდანიანი“ შესდგება სხვა-და-სხვა ნაწილები-დგან: აქ თავმოყრილია სახალხო ზღაპრები, სასულიერო მოთხრობა წმიდათა ცხოვრებიდან გადმოკეთებული, ნათარგმნი უცხო ენიდან ამბავი. დაკავშირებულნი არიან იგინი ზნეობითი და მოძღვრებითი აზრით. შესაძლოა, რომ „რუსუდანიანის“ ტექსტი გადაწერის დროს გაირყვნა და ხელნაწერში შეიტანეს ისეთი სიტყვები, რომელიც უძველეს დედანს არ ეკუთვნოდა. ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერები ეკუთვნიან მე-XV—XIX საუკ.; აქ შევხვდებით არქაიზმებს — ძველს სიტყვებს („დაბურვა“ დახურვის მაგიერ, „რასხ“ — რაშის მაგიერ, „კვირიაკე“ „კვირის“ მაგიერ, „ბედხალი“ და სხვ.) და ძველს ფორმებს — ზმნებს დაბოლოებით ის: დაბანის გაიხადის. ამ არქაიზმებთან მოყვანილია სიტყვები, რომელნიც ეკუთვნიან ჩვენამდე მოახლოებულს დროებას: საათი, აბაზი, თოფი. აბაზი — ფული საქართველოში გავრცელდა შაჰაბაზის დროს (1585—1628) და მაშასადამე იგი უნდა იყოს ნახმარი რომელიღაც ძველი ფულის მაგიერად, რომლის სახელი მკითხველისთვის გაუგებარი იყო და თხოულობდა ახალი სახელწოდებით შეცვლას. „რუსუდანიანს“ გაუვლია იმერლის რედაქციის ქვეშ, რაიცა სჩანს ენის შესწორების მაგალითები-დგან: ამ გვარია სიტყვები — კოსტა (=კოსტანტინე), დარონინება და სხვა.

„რუსუდანიანის“ შინაარსის გადაცემას არ შევუდგებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ მოქმედება სწარმოებს ხატავთს, მისრეთს (ეგვიპტეს), ბუხარას, ურუმს (რომს), იამანეთს. გმირები დასურათებულნი არიან იმ თვისებით, — სილამაზით, მხნეობით და მოუდრეკელი ხასიათით, რომელიც უკვე გავიცანით „ამირან-დარეჯანიანის“ მოთხრობაში. „ბაყბაყ-დევი“ და სხვაგვარი მანენ სულნი აგრეთვე ხშირია, როგორც სახალხო ზღაპრებში. გველეშაპი, რომელიც მდინარეს იჭერს და წყლის

მიცემაში მეფისაგან თხოულობს თითო კაცს შესაქმელად, გვაგონებს ზეპირ-სიტყვაობის და წმიდა გიორგის ცხოვრების ამბავს. გაქვავება ჯიმშედისა, ხატათის მეფის შვილისა, და ცრემლით მისი გაცოცხლება ჩვეულებრივი საარაკო სიუჟეტია. ორბის ფრთა, რომლის მოწვა საკმარისია, რომ ორბი მეფის შვილს გამოეცხადოს მისაშველებლად, ამოღებულია ჩვენი ზღაპრიდგან. „რუსუდანიანში“ ჩაწერილია არაკი დილამელს სამს ძმაზედ, რომელიც ახლაც გვესმის ქართლში. სამი მეფის შვილის შესახებ ზოგიერთი არაკი გადაქცეულია ლეგენდად, მაგალითად მერვე კარში — გაქრობა მთის, ცხვრის ფარის მეცხვართურთ და ორი ხელმწიფის შვილისა. ბრძოლის ველის აღწერა და საკრავთა სახელები გვაგონებენ უკვე ცნობილს საგმირო მოთხრობებს. ტარიელის სახელის გარევა უჩვენებს ავტორის მწერლობაში გაწვრთნილს გონებას. მიცვალებულთა დამარხვა ფლოურის ჩატანებით ძველი ჩვეულებაა ქართველთა ტომისა, რომელსაც აგვიწერს მეფე თეიმურაზი. ჩამოთვლილი „რუსუდანიანის“ დამახასიათებელი თვისებანი მოწმობენ, რომ კრებულის შემდგენელი ნაკითხი კაცია საღმთო წერილში, კარგად იცნობს სახალხო ზღაპრებს, წაკითხული აქვს ძველი ჩვენი კლასიკური თხზულებანი, გამსჭვალულია აზრით მკითხველს ნუგეში სცეს აწმყო შავი მდგომარეობის გამო და იმედი გაუღვიძოს ბრწყინვალე მომავალისადმი ქრისტეს სასოებით და რწმენით.

რათა გავაცნოთ მკითხველს ენა და ხასიათი „რუსუდანიანის“ მოთხრობისა, შევჩერდებით ჯირშედ ხელმწიფის ამბაზედ.

„დაიბადა ვაჟი ცისკრის უნათლესი, ღომის მონაკვეთი, საფაღავენოდ შექმნილი, რომელ კაცისა თვალსა ეგეთი არა ენახა რა. შეიქნა ნადარის ცემა, სტეირის კვრა, უოჟელი საღხინო ხმა და სიხარულის გამრავლება. მათი საკადრისი ძეობა გადაიხადეს, მათად საკადრისად დაუწიეს ვაჟსა ზღა. გასცა ბრძანება ხელმწიფემან, რომელ ვინც კვერცხი გამოაჩინოს სრულსა ხათაელთა ქვეყანასაშინა და

ანუ მისი სახელი ახსენოს მწარის სატანჯველითა გაისაჯოს, ქვეყნი-
საგან აღიხტოს მახსენებელი მისიო. დაგარდა ხელმწიფისა უაღლის
ხმა მისსა სანრძანებელსა შინა და ვერცა ვინ სჯამდა კვერცხსა, ვერც
ვინ ახსენებდა, ვერცა ნახვდა, ვერცა ვინ სახელს იტყოდა. იზდებო-
და უმაწვილი სათუთად და ნებიერად. გვახლეს ახალ-გაზდა უმაწვი-
ლები ორსიოდ, უველასაგან ცოტად დღითაც უფროსი ვიყავ, ნამსა-
ხურის ვეზირის შვილი. შევაქცევდით და ვითამაშებდით და ასრე
იზრდებოდა, რომე სიკეთითა თვალი მის უამეს ვერას ნახვდა. ერ-
თის წლისა სამის წლისას გვანდა და, სამის წლისა რომ შეიქნა,
ქვეითად ასეთას სათამაშოს არ ვითამაშებდით, რომ ის არ ითამაშებ-
და. ხუთის წლისა რომ გათავდა, ძალზედ ცხენს არბევდა და ებახს
ესროდა. ნადირს თამამად მოჰკლავდა და ფრინველი არ მოურჩებო-
და... გათავდა ამ ცხოვრებითა ათი წლისა და კვერცხის სახელი არ
გაეგონა. გაუწერა ღმერთი ჩემს უბედურებას და ნარდის თამაშობაში
მე და ხელმწიფის შვილი შეეხირდით, მე უმართლე ვიყავ, მაწინა,
წამოვხტი და უგუ-უგუფლე, „გასკდი კვერცხივითა“. წამოხტა
ისიცა: „როგორ კვერცხიო!“ გამომეკილა უკან. რას ჰქვიან, ძამიან
ჭირიძე, მარაალი მითხარო. გარდაუფიცე: არ ვიცე მუთქი, ისე
ცულად ვოქი მუთქი. არ იქნა, არ გადავლო გულიდამ. ვისც ჰკითხა
ვევლა შეფიცის. რომ აღარავინ უთხრა, შევიდა ტირილით დედასთან:
„კვერცხი რასა ჰქვიანო, მითხარო“. იმან იმას დაუწყო კითხვა:
„შვილო, რას ამბობ, კვერცხი რასა ჰქვიანო“. შექნა ტირილი.
შევიდა ხელმწიფე... და იწინა: ვის გაუჯავრებიაო. მიუჯდა და ზირს
აკაცა, თავს შემოევლო—ვინ გაგაჯავრაო. ჯიმუელ ასე მოახსენა:
როგორ არ ვიტრო, ქვეყანაზედ რამე იყოს, სახელი მე იმისი არ
ვიცოდო, ამ ქვეყანაზედ ვანმა იცოდეს და მე არაო. რა კვერცხის
სახელი ხელმწიფემ გაიგონა, გაჯავრდა: ვინ გამომჭრა ეელი, ვინ
ახსენა კვერცხიო, შეშიტყევითო. შვილმა არ უთხრა შიშით, რომ
გუჟარდი მწედ და იცოდა ხელმწიფე გამიწერებოდა... რა ხელმწი-
ფისაგან ასე თავს შედობა ნახა, ჯიმუელ უფრო თავს შეიღვა და შეჭ-
ფიცა მამას: თუ არ მეტყუვი კვერცხი რასა ჰქვიან, თავს მოვიკლავო.
შეწახდა მეფე და დედოფალი. გამდელმა მოახსენა: „მან დიაცმან

რომ მოგვაბარა, რატომ იმას არ უჩვენებთო... მოუტანა, აჩვენა. რა ნახა, გამხიარულდა და თქვა: რას ვაქნევდი ამაწო, მაგრამ თქვენ რათ მიმაღავდითო. წამოხტა და კარში გამოვიდა, ვითამ ჩემთან მოჰქონდა... ხელში რომ იგორებდა, დავარდა და გაუგორდა. მიგორავს კვერცხი და მისდევს უმაწვილი. რომ მიეწვივს, დასწვდის ასაღებად, უფრო შორს გაუგორდის. რომ აღარ იქმნა და ვეღარ მიეწია, მობრუნდა გაჯავრებული, შევიდა საჯინიბოში, შეიკაზმა ბედშავი ერქვა ცხენსა, შეჯდა და გამოუდგა.

დავღონდი მე. წაველ მამის ჩემისაკენ. მაშინ უსინათლო იყო, და ტირილით შევიჩვილე: ასე მოვიდა ჩემი საქმე მეთქი. მან აკრე მიბრძანა: ვიცოდით რომ მისთანა დედაკაცის მოტანილი გრძნებით შექმნილი კვერცხი იქნებოდა, რატომ მართალი კვერცხი არ მიეცითო... ვიცი ის უმაწვილი ბევრს ძნელს საქმეში და გრძნეულებასში ჩავარდების. ამის მეტი აღარა გაეწეობა რაო: მანდ რკინის შეილდი და ბოძალი ძვესო, ის წაიღეო. ერთი თვალი ამოიღო ჯიბიდან: ესეც წაიღეო. ის ბედშავს შეივადრა, შენ ბედგუდმართის შეჯგეო და გაუდეგ უკანაო, მიაშურე სანამდი ზღვაში შევიდოდეს; სადაც საქმე გაგვიტირდესთ, ამ თვალს ჰირში ჩაუღებდე და ამ შეილდისარს ასროლინებდეო. გამოვესალმე მამას და წაველ... მე იმას მივდევი, ვერ მივეწიე. შეცურდა ზღვაში კვერცხი და შეჰყვა თანა. რა მისი ზღვაში შესვლა დაინახე, ცხენისაკან გადავიტერ და ვიეც თავში. დავბნდი და დავეცი უსულო. როდესაც ჰკუას მოველ, დავღონდი და ასე ვთქვი: ჩემს ქვეყანას არ მიმესვლება, მეც ზღვას უნდა შევიდე, რაც უნდა დამემართოს მეთქი. ვილოცე და შევჯე ბედ-უკუდმართსა, შეველ ზღვაში და ვიარე, როგორც ხმელეთზე, სანამდინ ნაპირს გავიდოდდი. რა გაველ ზღვის კიდესა, ბედშავის ხვივილი გავიგონე, გამიკვირდა,—აქეთ ბედგუდმართმა დაინვივლა. მივიხედე, ერთი დიდი მინდორი იყო და ისეთი ხე იდგა, რომ სატლებელი ძლივს შემოსწვდებოდა. ბედშავი იმ მინდორში სძოვდის. რა ბედშავი დაინახე, დია მიამა, დახვდე—დაკოდილი ხელმწიფის შეილი გულ-აღმა გდია, სისხლისაკან შესუსტებული, ვარდისფერი ღოყები ზაფრანის ფრად შექნია და გიბრი ტანი და ალჯისა მსგავსი ხელ-ფეხი უძრავად უქ-

რია. ცხენი ტოტით მიწას სცემს და დასტირის. რა მისი ასრე
გახდობა ვნახე, გულში შედგა, რომ ჩემის ენით დაემართა ესე და
დღეის უკან რაღა ვიცოცხლო. ხმალი ამოვიღე და ტარი ხელმწი-
ფის შვილს დავადგი და პირზე მე მანდა დავგებულიყავ, რომ 'სუდ
დავკდომოდი. მერმე ასე ვთქვი: მე რომ თავი მოვიკლა, რა სამსა-
ხური იქნება, ჯერ ვეცდები, თუ ღმერთმა ინება და მობრუნდა,
ამანვე გარდამხდევინოს ამის შეცოდება შეთქი. მამისა ჩემისაგან
გამოტანებული დაკოდილის წაძალი მქონდა; მოკბანე დაკოდილი, წა-
ძალი დავაყარე და შევუხეიე. სასურებელით მოვაბრუნე. თვალი აახა-
ლა და ცრემლები გადმოყარა: ვაი ჩემო თავო, რა ცუდად მოკვდილი.
ჯერ ჩემი უოფნა არ შეეტუო, მაგდენი ცნობა არა ჰქონდა. წყალი
მოითხროფა. დავალეუინე. მოთხრა: ვინ ხარ, ძმაო, რომ ამისთანა
დროს მომეშველე. მე არა ვთქვი რა. პატარა მიწვა, წამოჯდა, მიი-
ხელა და რომ დამინხა, გაიცინა: დიდება ღმერთსა, რომ უხატრო-
ნოდ არ მოგვკდიო. ფეხზედ კი ვერ ადგა. მიველ, წინ დავეცი და
ხმალი დავუდე: შემცოდე ვარ და სიკვდილის მეტი არა გამეწყობა
რა მეთქი. იტირა და აგრე მიბრძანა: რა შენი ბრადია, მე შენ არ
გემდურეო. მე ვეთაყვანე და მოვახსენე—დავბრუნდეთ, ან ჩემგან შე-
ნი გაურა არც მოხდება, ვისთანაც მივალ, რას მეტყვის. თუ კაცი
იყავ, შენს ხელმწიფის შვილს არ გაეურებოდიო. აწ ესე მიბრძანე,
რა მტერი დაგხვდა, რომ შენ ასე გაგხდა მეთქი. მან მიბრძანა:
'ღვიდან რომ გამოველ, შესვენება მოვინდომე, ცხენს ღაცამი წავ-
ყარე და საძოვარზე მივეშვი, მე ამ ჩრდილს ჰქვამ მოვისვენე. ბედ-
შავი მიჰყვა საძოვარსა, ზღვის პირს წავიდა. ცხენის უგონიერესი
არა არის-რა: იმან შეიტუო, რომ ზღვიდამ დრუბელივით ვეშაპი აი-
მართა. შექმნა სვივილი. მეკონა დაება რაზედმე, შეგშინდი არ და-
მერჩოს მეთქი. ახალუხზე ხმალი შემოვირტეი, შვილდ-ისარი ავიღე,
მივმართე, შევხედე საკვირველი შავი ვეშაპი გამოწოლილა ზღვის
პირსა, თვალებს ცეცხლებერ ანთებდა, ცხენისაკენ იმზურდა, შეტეკე-
ბას უღამის. მეუცხოვა, იმისთვის რომ კვლავ არ მენახა. მაგრამ ნა-
ხატი რომ მენახა, იმაზედ მივხვდი. ვახსენე ღმერთი, გარდავაცვი
შვილდს ისარი, ვესროლე და ტვინში გავავლე. ასეთი დაწივლა, რომ

ვთქვა ცა ქუხს და მიწა იქცევა მეთქი. გარდაიქცა. მე შეიღდი გარდაცაგდე, ხმალი მოვიწვადე, მივვარდი, ვკარ და თავის კეინიხი ავადებინე, გაიშალა, გამოშვარა ტოტი და ასე გამხდა, რომ ამ ცაღის ფუნით აქამდი ძლივს მოვაწიე. წადი, ნახე, როგორი ვეშაზი უოფილა. წამოველ: სისხლის კვალი მისდევდა. სისხლი რომ გამშრალიყო, სიწივით შექმნილიყო. მიველ, სადაც ვეშაზი მოკვდა. მის უსაკვირველესი და უდიდესი ვეშაზი მას აქეთ აღარ მინახავს. თავი სპილთს ოდენა ჰქონდა, ფაფარი მის ტანს ჰფარავდა, ტანი შავს მთას ჰგავდა, ჯაგარი თითო შტკაველი ესხა. ერთი ფეხი მოკვეთი და წამოვიღე. დაღამდა. დავიძინეთ ხის ქვეშ. შუადამისას ასეთი სინათლე მოვიდა, რომ შინდორი და ხე განათლდა, თითქო ცეცხლი ანთო მეთქი. გამოვიდა ერთი შეგნიერი ქალი ხიდაშ, თავს დამადკა და მიბრძანა: შენზედ ბარობაზედ დაიკარგა ეკ უმაწვილი, კიდეც მოკვდება, რატომ არას ინაღვლიო. შეუშინდი და თრთოლება მაივიდა. მერმე მიბრძანა: ნუ გეშინიან, აქვენთა მშობელთა დაუმართათ ავი საქმე, რომ აქვენ გაგუარნენო, თვარემ მე კარგი მიუო, ამ ვეშაზის ტუვე ვიყავ, რადგან ამისგან დავიხსენ, მეც მაგიერს ვიქო. ამ ხის ძირს მიწა მოთხარე, წმიდად გასცერ და იმ ნაკლში ჩაყარეო, ასე რომ სულ აავსო, მერმე მოზიღე, შემოსდეგ და შეუხვიე. სამს დღეს აგრე იუოს, ნუ დასძრავო და მასუკან სადაც გინდათ წადითო. ამ სამი დღის სამეოფს ჰურს და ღვინოს მოგცემთ და მერმე თქვენ იცითო. ნამეტნავის შიშით ვერ ვკითხე, ვინ იუო. გავერთი და გამომეღვიძა. ხელმწიფის შვილს ამდენი სისხლი სდენოდა, რომ სახვევს ვერ დაეჭირა, შესუსტებული ხმას ძლივსდა იღებდა. მოვთხარე მიწა, მანდილის წვერში გავცერ, მოვბანე ნაკლდი, მიწით გაუუტენე, შემოვადე, შევუხვიე და მოვასხენე. უთუოთ სადამოძიის გამოთლდები მეთქი. მიბძანა: ამანაც არ მაშკლას, შინშილი მაშკლავსო. მოვასხენე: ღმერთი საჭმელსაც მოგვცემს მეთქი. ავიხედე და ხის სტოში ერთი ასეთი ჰური იდგა, რომ ჩემს აფაღს არც იმ სითეთრე არც იმ სიბრიღე ჰური არ უნახავს. ერთი ჰაწაწა მინა ღვინო იდგა სტოს და სტოს შუა. ჩამოვიღე და მივართვი. ნახევარი მე მიბოძა, ნახევარი თვითონ დაიჭირა. გემოდ უსაკვირველესი იუო. ღუკმა რომ შევჭამეთ,

გვეგონა, სულ ნადიმად ვმსხდარვართო, წვეთი ღვინო დავლიეთ და დავიძინეთ მოსვენებით. გათენდა, ღმერთის მადლობა შევწირეთ, ხელმწიფის შვილი ჯდა, ვითომ არა სჭირდებოდა-რა. ნუ დაიძვრი სმის დღეს, წყლული არ გასარჯო მეთქი. ვიყავით ასე სამი დღე. თვითო ღუკმს და თვითო ცვარი კმარობდა. მეოთხე დღეს გათენდა, შევსხედით და აღმოსავლეთით კერძო ვიარეთ 15 დღე და ღამე. არც კაცი, არც ფრინველი, არც ხადირი არ გვინახავს. გაველით ერთს თვალწვდომულს მინდორსა, არსად კლდე, არსად ბაღახის კასკატი იპოებოდა. შევწუხდით წყურვილით, ღმერთს ცრემლით ვადიდებდით. ერთი ტყვრი გამოჩნდა. უწინ ხელმწიფის შვილმა დანახა. მე შეუცხოვია და გულში ვთქვი: თუ ფარსაკი რამ იყო, უაღაგო-აღაგას არ იქნება მეთქი. მოვახსენე: გზა ავუქცითო მეთქი. ბრძანა, რომე იმავე წამს მოვკვდებოდე, მაშინაც ვნახავო. მივანლოვდით. ტყვრი ათრმე ბადი იყო ერთი ქვეყნის ოდენი, კალაგანი მწვანისა და წითლის ქვით აგებული იყო. რაც ქვეყანაზედ მოქმედებს არის კაცისა, ზირუტყვისა, ნადირისა, ბაღახისა, მოძრაგისა და უძრაგისა,—უოკელიფერი, მათ ქვათაგან გამოყვანილი და შეწოთილი ნაკები იყო. კარი ება ეკალმუხისა, ოქროთა და ლაჯვარდითა ნაჭრელები. ხე მისმოიარე უოკელითა ხილითა, ბადის შუაგულს ტბა იყო და ტბის შუა თალარი დიდი ოქროსი. იამა ხელმწიფის შვილსა. კარი გაღებული დავგვხვდა. კარს იქით და აქეთ ღამაზი ბროლის ტახტები იდგა და ერთი ბერიკაცი იჯდა. რომ დავგინახა, ტახტით ჩამოვიდა, საღამო მოგვცა და ბაღში შეგვიბატოვა: ნუ ჩამოხდებითა, თალარში ცხენებსაც მოაძიებთ და თქვენც განისვენებთო. ეს ბადი ჩემია, ბერიკაცი ვარო, იმისთვის გამოიკეთებია, რომ შორის გზით მაშვრალთა გამოისვენონო და მე შენდობა მითხრანო. მე მოვახსენე: ბაღში ცხენებს ვერ შემოვასხამ, ბაღს წახადენენ, ხელმწიფის შვილი მიბრძანდეს, მე აქ ცხენებს მოვუდებო-მეთქი, დამიყინა შემოდო. რა აღარ შევეკვ, ხელმწიფის შვილი შეიყვანა, დაწყებინა სიარული, უცხოთა ხილთ ნახვა და მირთმევა. შებაღებიც იყვნენ და ის ბერი-კაცი წინა უძღოდა. გამოაწარა ერთი კაცი და გაგზავნა საღამე. რომ გამოვიდა ის კაცი კარსა, ვეფხვად გარდაიქცა; გუღმა მიკბინა—შევსტეორცე საგდებელი: გა-

რდავაცვი თავსა და მოვითრიე. შევკარ და დავიდე წინა. ამოვიდე ხანჯალი და უელზე დავაბჯინე. ასე ვუთხარ: მითხარ, რანი ხარო, რად აგრე გრძნეულობო, რომ ხან კაცი ხარო, ხან მხეცი, სად მიხვალ, თორემ აქვე მოგკლავ მეთქი. მან მითხრა: ნუ მაძკლავ, თვარე უფრო დაგიზიანდების ჩემი სიყვდილიო. აბა მართალი მითხარ. მითხრა: ჩვენ აღმაზის გველისანი ვართო, ეს ბალი მისია, ჩვენ შებადენი ვართო. ასე ბალი მისთვის არის, რომ ვინც გაივლის ჩვენს ბადეს ამ ბალის და ხილის ხადისით შემოვიგდეთ. ამისთვის მოგკეება ჩვენი უფროსი, რომ თუ საიმისო კაცი უოფალიყავით, ბაღში შესვლასაც აღარ უცდელიდათ. რახან დია კარგნი და ფიცხნი იყავით, შეიტყო თითონ ვერ დაკაკლებდათ, ბაღში შეგიწვიათ. მე გამგზავნა აღმასის გველთან, ვიდრე ეცდება ტბილის ქართულით დააყენოს, თუ აღარ იქნების, ომს აჰკიდებს, მანამდე გველიც მოასწრებს. რა ის წამოვა, ასეთი კლდე შეიქმნის, რომ არსად კარი გამოსვლის და შესვლის ჰქონდეს.

მე ვკითხე, გველს რა მაგდენი შეუძლია, რომ ეტეები ჰქმნას მეთქი. მან მითხრა. არა გველია, კანის დიდების ჰატრონია, სახლისა და მამულის მქონებელი, რომ ნახო იტყვი: ამას რომელი სახელმწიფო სჯობია? კაი ხელმწიფის შვილი ცოლად ჰყავს. მაგრამ გრძნეულთაგან გაზრდილია და ასეთი გრძნების მცოდნეა, რათაც უნდა იმათ იტყვა და მას ომით არა დაეგვარება რა. მისთვის ჰქვიან აღმასის გველი, თორემ გველი არ არის. ამ ბერიკაცს ომი არ შეუძლია; როს დაიწეებს სტვინვას, თვითო ხის ძირიდან, ჯარად ათასი გველი გამოვიდოდეს, რამდენსაც ჰხობთ, არ დაილევა, უფრო მოგებვავთ. რა უველა მიაბობ, შევკარ და იქ დავდე. დავუძახე ხელმწიფის შვილს: დაღამდა, გამოდი მეთქი. ბერმა კაცმა დაუწყო ლაპარაკი ტბილად და არ გამოუშვა. გაგვავრდი და შეველ: ასე გინდა, მაგ გრძნეულის ხელით თავიც წაისდინო და სხელმწიფოც დაამხო მეთქი. რა ბერმან კაცმან ნახა, რომ დია გაგვავრებული ვიყავ, ერთი ასეთი დაიწივლა, რომ ვთქვი ამ უურში იქით თოფი გამაგდებინეს მეთქი. შეიძრა ბალი, და რაც ხის ძირი იყო, გუნდი-და-გუნდი გველი მოვიდა, შემოგვეხვია გარე. წავიკარით ხრმლებს ხელი, დავუწ-

ევეთ ხოცა, მაგრამ ბერი-კაცი სტვენდა და გველი უფრო მოდიოდა. გაჯვარებულმა შემოვკარ ბერი-კაცსა ხრმალი და შუა გაკვეთე. რა ის კაცი მოვკალ, მკვდარი გველიც გაქრა, არამც თუ ცოცხალი გამოჩენილიყო. მოვასსენე ხელმწიფის შვილსა: გავიდეთ გარეთ, ფათურაგის არ შევესწრათ-მეთქი. გამოვედით იქით, კიდევ კაცსა ვკითხეთ: თუ შენის თავის მშვიდობა გინდა, მართალი მითხარ, რა გვარად მოვა აღმასის გველი, რით იბრძვის, ან რით მოერევის იმას კაცი. მან მითხრა: მორევა მისი კაცთაგან მოუვალა, აჭვარი არა მოეკიდება-რა და ნურც ეცდებით ამის მეტსა, რომ ღუთისაგან საფარველი გაცთ და მით მოერევით. მოსვლით ასე მოვა: რა გინდ მოწმენდილი დღე იყოს, ქუხილი და ელვა შეიქნება და ასეთი ტარციალი და წვიმა, რომ კაცთა ჭკუა აეშლებაო. რა მოვა, უწინ ცეცხლის ფრად ეჩვენება კაცსა და მერმე აღმასის მზგავსად და ფერად სერტილს დაიწეებსო. ამის ამბავში რომ ვიყავით, დაიწყო გრგვინვა და ცოტა წვიმა. თქვა იმ კაცმა: ეს არის ნიშანი იმის მოსვლისა და რაც გინდა ჰქენითო. რაღას ვიქმოდით: თავი და სული დმერთს შეკავედრეთ, ცრემლით შევსტირეთ და გამარჯვება ვითხოვეთ. ჩემი ჯუბანი ხელმწიფის შვილს ჩავაცვი, რკინის მშვილდი და ბოძალი ხელთ მივიც, თვალი ჰირში ჩავუდე, ასე შევებვეწე: არამც და არამც ასე აჩქარებელი ხარ, რომ ან სასულეს არ გეტეს, ან ზირიღამ არ გამოგიგორდეს-მეთქი. მოუმეტა წვიმამა და ქუხილმა, შევსხელით ცხენსა და ბადის კარს უგუ ვენალენით. ის კაცი შეგრული თან წავიტანეთ და მისავალი გზა დაუუცალეთ. მოვიდა საკვირველი ქუხილი და გრგვინვა, ღვარი ალაგ და ულაგოს მოდიოდა, რომ მოახლოვდა, გრძლად რომ ცეცხლი ანთო, ისრე გამოჩნდა და მერმე ცეცხლის ფერი გადავიდა, აღმასის მსგავსი რამ გამოჩნდა უცხო და გრძელი. წინ არავინ მიეკება და თავისი ნიშანი ვერა ნახარა. ეწეინა და უცხოდ გაჯვარებული წამოვიდა, თავისთა ემათა-ზედ სწრუებოდა: ასეთი რაიქნა, რომ ჩემი მოსვლა ვერ შეიტყესო, თუ შევიდა ვინმე, რატო არ შემატობინეს, თვარა და კელავ როდის დამმართებიას ესეთ.

შემდეგ აწერილია ჯიმშედის და აღმასის ომი და ბრძა-

ნებითა ლჷთისათა ჯიმშედისაგან მორევა. ამას მოსდევს ჯიმშედისაგან შაის ვეშაის მოკელა და მის უღრუბლოს მზის მეფარის გამოყვანა. დასასრულ აწერილია „ჯიმშედისაგან“ აღმასის ქალაქში მისვლა. როგორც ზემო მოყვანილი თვალსაჩინოდ ამტკიცებს, ჯიმშედის ამბავი მოთხრობილია იმავე გეგმით და კილოთი, როგორც უკვე ვიცით „ამირან-დარეჯანიანიდგან“. ენა ზღაპრულია, სასაუბრო. აქა-იქა შევხვდებით გაუშალაშინებელს სტილს: მეტად ხშირად არის ჩართული სიტყვა „მეთქი“ და ნაწევარი „ო“ ორივე ნათქვამის გადასაცემად. მართლ-წერა არ შეეფერება არც მე-XIII—და არც მე-XVII საუკ. მოთხრობაში შევხვდებით კ (კელმწიფე, კრმალი), ვ, მაგრამ ამის გვერდით შეგდევ დროებში შემოკლებული უ (ლჷთის, ქეჷ). ეს არეგ-დარევა ორთოგრაფიისა მიეწერება შეგდევ „რუსუდანინის“ გადამწერთ, როგორც მათუნა შეეცვალათ ძველი სიტყვებიც ახლად: წალკოტი — „ბალად“.

ნუჷლა საჷდრის ლეჷსი.

მეცამეტე საუკუნის მწერლობიდან შეგვჩა რამდენიმე სიგელ-გუჷარი, რომელნიც ჰმოწმობენ საქართველოს დარღვევას უცხო ტომთა შემოსევის წყალობით. სიგელ-გუჷარებით მონასტერ-ეკლესიებს უბრუნებენ და უმტკიცებენ მეფენი და ფეოდალნი აოხრებულს და წარტაცებულს მამულებს. ამ შინა-არსისაა, მაგალითად, რკონის სიგელი 1259 წ., შიომღვიმისა 1250—1260 წ. წ. მეფენი ცდილობდნენ მალამო დაედოთ ხალხის გამწვავებული იარისთვის, ეკლესია კვლავ იხვეჭავდა დაცემულს გავლენას და ემზადებოდა საზოგადო სამსახურისთვის. შეერთებული ძალით სამღვდელთა თხოულობდა მეფეთაგან დაბრუნებას წარტაცებული მამულებისას. ამ გვარია 1280 წ. კრების ძველი, შედგენილი ტფილისში. ქართველთა ფისკოპოსნი სწერენ მეფეს: სანამღი ჩვენს თხოვნას არ

აღგვისრულებ, არ მოეშლით კრებას, რაც უნდა ძალა და-
გვატანო, ეკლესიებს დავეცეთ. მირონს არ მივცემთ და სხვ.
მტერთა შემოსევამ გამოიწვია შეტაკება საეკლესიო და სამო-
ქალაქო მმართველობისა.

გამწვავებული შინაური მდგომარეობა გაგრძელდა მე-XIV
საუკ. ამ გარემოებას ხელს უწყობდა მახლობელ და მეზობელ
ხალხთა აშლა და საქართველოზედ მოსევა. ამ დროს გაძლი-
ერდნენ ოსები და დასუსტებულს მონგოლთაგან საქართვე-
ლოს თავს დაატყდნენ. ნუზლა საყდარზედ დაწერილი ლექსი
1324 წ. გვისურათებს ოს-ქართველთა შეტაკებას და მის შე-
დეგს. აი ეს ლექსიც სოფ. ნარიდან.

ჩვენ ვიუავით ცხრანი ძმანი,
ჩარჯინიძე ჭარხილანი,
ოს-ბაღათარ, დავით სოსლან,
ოთხ-სამეფოდ მებრძოლანი,
ფიდაროს, ჯადაროს, საყურ და გიორგი,
მტერთა რისხვით შემხედვარნი;
ჩვენნი ძმანი სამნი ბენი, — ისაკ, რომანოზ და ბასილ, —
იქმნენ ქრისტეს კარგნი უმანი.
ჩვენ გვიჭირავს მიმავალთა-მომავალთა
ოთხის კუთხის ვიწრო გზანი,
კასარზედ სიმაგრე მაქვს და საბაყო
აქ (—სოფ. ნარს) მიჭირავს კიდის კარი,
საიქითს მთიმედე,
სააქოს კარგა მდგარი.
ოქროსა და ვერცხლის მიწა
ამდონი მაქვს ვითა წყალი,
კავკასიონი დავიბუარ,
ოთხს სამეფოს გაუუმკლავდი;
ქართველს ბატონს დაჲ მოვსტაცე,
არ დავაგდე ჩემი გვარი,
მამწვდა, ფიცით მილალატა,

მან დაიდგა ჩემი ბრადი.
ბაყათარ წყაღსა მიეცა,
ადიკოცა ოსთა ჟარი,
ვინცა ეს ლექსი იხილათ,
მცირედ ბრძანეთ შენდობანი.

ეს ლექსი აღმოჩნდა არქიმანდრიტ ტარასი მესხიშვილის ხელნაწერში და თ. დ. მაყაშვილის ვახუშტის ისტორიის ხელნაწერში. ამ ლექსიდგან სჩანს, რომ ოსთა მთავრებს, ოსბაყათარს და დავით სოსლანს ძმებითურთ კავკასიონი დაუქერიათ, „ოთხს სამეფოს გამკლავებთან“. მართლაც გიორგი ბრწყინვალის უწინ საქართველო ოთხად იყო გაყოფილი: იმერეთი, მესხეთი, ქართლი და კახეთი. „ქართველ ბატონისთვის“ და მხოუტაცნიათ, ყველა კავკასიონის გზები დაუქერიათ და გაუმაგრებიათ. „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, რომ ოსები ამ რიგად გაძლიერდნენ გიორგი ბრწყინვალის წინა დროებს. ფარეჯან, ოსთა მეფის ძემ, ქართლი ააოხრა და გორი დაიპირა 1301 წ. ქართველთა და ოსთა მტრობა მოსპო გიორგი ბრწყინვალემ. ოსი ბაყათარ დავით მეფის მოწინააღმდეგედ არის მოხსენებული მე-XIV საუკ. დასაწყისს. ოსთაგან მეფის დის მოტაცება ისტორიიდან არ ვიცით. ლაღატით ოსთა მთავრების ხელში ჩაგდება და ამოხოცა მოხდა უთუოდ გიორგი ბრწყინვალის დროს. იმან, მატიანის სიტყვით, „მოიყვანნა ყოველნი ამის ქვეყნისა ერისთავნი და წარჩინებულნი, რეცა დარბაზობად ცივსა ჰერეთისასა და მოსწყვიდნა ურჩნი თავისნი და დაიპყრნა ამით უმეტეს ყოველნი“.

1344—1346 წ. ეკუთვნის „ძეგლის დება“ გიორგი ბრწყინვალისა, შედგენილი მთიულთ თემთათვის.

ა ლ ლ უ ზ ი ა ნ ი.

მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე საუკუნის ნაწერებიც შინაარსით სალიტერატურო განძს არას შეჭმატებენ. იგინი ნა-

თელს ჰფენენ საქართველოს შევიწროებულს მდგომარეობას შორეულ და მეზობელ ხალხთა მოსევით, შინაური საქმეების აწეწის გამო და მტკიცე — შეგნებული მმართველობის დაცვის წყალობით. ძალას და გამჭრიახობას იმას ანდობებენ, რომ განუახლონ ძველი გუჯართა მიხედვით პატრონობის უფლება მამაპაპეულთა მამულზედ თავადთა-ფეოდალთა და მონასტერ-ვასსალთა. საჭიროა განსაზღვრულ იქმნას ვის რა ეკუთვნის, აღსდგეს უფლება წარტაცებულს სამკვიდრო მამულზედ. აშენებენ დანგრეულ ტაძრებს და გაუჩინებენ სისხლის ფასს. სიგელ-გუჯარნი იმ ორი საკუნისა იძლევა ძვირფასს მასალას საქართველოს მდგომარეობის შესასწავლად.

ლიტერატურა მიტოვებულია. ხალხს თავისუფალი დრო არ რჩება სამწერლო საქმეს ხელი მოჰკიდოს. დღიური ვარამი, ლუკმის მოპოება და საზღოს უზრუნველყოფა მსხვერპლად იწირავს მწერლობას იმ დარგისას, რომელიც მხოლოდ მაშინ ჰყვავის, როცა ერი პოლიტიკურად ძლიერი და მოსვენებულია. ერთად-ერთი თხზულება, რომელიც მეთოთხმეტე საუკუნის დასასრულს და მეთხუთმეტე საუკუნის დამდეგს დაწერილი არის „აღლღუზიანი“. ეს ლექსად დაწერილი პოემა არ უნდა ეკუთვნოდეს ქართველს ავტორს. ენა მეტად მოუხეშელია, ლექსი მძიმე და უგემური. შესაძლოა, რომ „აღლღუზიანის“ დამწერი უცხო ტომის ჩამომავალი იყოს, რომელმაც კარგად იცის ქართული პოემები და მეტადრე შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“. რადგანაც „აღლღუზიანის“ შინაარსის მიზანია განდიდება ოსების მეფეებისა, ადვილად მოსასაზრისებელია, რომ დამწერიც ოსი უნდა იყოს, „პირმშო შვილი ბაყათარისა“. „აღლღუზიანი“ წინააღებული აზრით არის შებოქილი. ავტორი გვაუწყებს, რომ ოსებს ჰყავდათ გამოჩენილი მეფე და ამის დიდების მოწმად მოჰყავს ხაზარნი, ფრანგნი და ელახნი. წაბაძვა რუსთველისადმი მოსჩანს როგორც ღეთის დიდებაში, აგრეთვე თვით პოემის მოქარგვაში.

დასაწყისი „აღლუზიანისა“ ქრისტიანობრივის კილოთი არის შექმნილი.

ღმერთო დიდო და მდალო,
გონებით მიუწდომელო,
ერთო სამპირთვნებითა,
კაცთაგან გამოუთქმელო,
მამაო ძით, სულის წმიდით,
არსებით ქვეყნისა მქნელო,
ყოვლის დიდებით შეგუელო
და სიბრძნით გამოუთქმელო.

ეპიტეტები ღვთისა სამღვთო წერილიდგან არის ამოღებული: საუკუნეთა მქონელი, გულ-მეცნიერი, მართალი, მრავალ-მოწყალე და სხვ. ამ შესავალის შემდეგ ავტორი გვაუწყებს რათ „ჰყო ხელი წიგნების აღწერად“. მას განუზრახავს გვართა შთამომავლობა გამოიძიოს: „ვინ ვისგან არს მომავალი და ვითარი გასწია მხნეობა ხმელეთს მავალი“. გვიპირდება, რომ ყველას ასწერს „მართლად და გონივრად“. შემდეგ გადადის თავის საგანზედ.

ოვსთ შეფეს ძლიერს იტუოდნენ
ფრანგნი, ხაზარნი, ვლახელებნი,
სახელს უღებენ ბაჟათრად, —
გერ ვპოვეთ მგზავსის მნახელებნი.
მშვენებით, ძლით, მხნეობით
ყოველთ აკვირვა მნახელებნი,
ეს სწერა ზირმშო მის ძემან,
სოსლან — აცდუნა სხვა მთქმელებნი.

ეს ბაჟათარ მოსწყდა „ხისაგან დავით მეფისა“. აღმო-სცენდა მშვენად ერთს და იმავე დროს გმირი პოემისა, აღლუზონ, ჩამომავალი ამ დავით მეფის წინასწარმეტყველისა და ავლუსტ კეისარ ბერძნისაგან! ეს აღლუზონი გაილაშქრებს ჩერქეზების, ჩაჩანთა, კავკასიის მთიულთა და თვით მონგოლთა ქვეყანაშიაც. არაკი პოემისა იმაში მდგონა-

რეობს, რომ ალღუზონი, უფროსი შვილი ავლუსტ კეისრისა შეიყვარებს კესარ ხანის ასულს—ესთერს და მოისურვებს მის შერთვას. მამა წინააღმდეგება ამ განზრახვას და ამიტომ ალღუზონ მოიტაცებს ესთერს. რადგან ალღუზონი შერთავს კერპთმსახურის ასულს, იგი დაისაჯება მამის განკარგულებით და ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადებს უმცროსს ვაჟს. ალღუზონ ვანრისხდა. თავის მომხრეთა დახმარებით მიდის ზღვით ჩერქეზებში, აიღებს მათ ქვეყანას, აგრეთვე დაიმორჩილებს ჩაჩნებს, ამოსარის (აბხაზეთს?) სამთავროს, მილანქარს, სამეფოს ნონების—კალმუხების, რომელნიც დააგვირგვინებენ მას და ესთერს მონგოლთა ოქროს გვირგვინით და მოისმენს ლექსებს „რიტორთა ათინიღგან“. ამის შემდეგ ოსები აღიარებენ მას თავიანთ მეფედ, რადგან იგია შთამომავალი შტოდგან იესეს, დავითის და სოლომონისა. ალღუზონ ვერ გამაგრდა ჩერქეზეთის და ოსეთის ტახტზედ. მის წინააღმდეგ ამხედრდნენ მეფენი: ალისკანტრ ამოსრის ქალაქისა და ყაირან ჯაჯევა ჩაჩანი. ალღუზონმა დაამარცხა იგინი თავის ჯარებით, რომელთა შორის სახელი გაითქვეს ხეტაჯმა (ამათგან ჩამომავლობენო ხეთაგურები, რომელთა წინაპარნი იყვნენ ყაბარდოელნი). ალღუზონმა დაჰხოცა მეფენი—ნონების ამახუნი და ჩენჩებისა ყაირან. ყაირანის მეუღლე მარიამ-ხატუნა მოთქმით დასტირის ქმრის გვამს.

მეორე ლექსის სათაური „გამართვა ამოსარზედ და დაპყრობა მისი“ გვაუწყებს მისს შინაარსსაც. შემდეგი აღნიშნულია „აქ ამოსარის სამთავროს თავის დაკერა ალღუზონისა“. მესამე ლექსში აღწერილია „გამთავრება გამრეკელისა ალღუზისაგან გორანდსა-ზედა“. ასლან გამრეკელმა თავი იჩინა, როგორც უებარმა მეთმარმა მტერთან ბრძოლაში და ამიტომ ალღუზონი ასაჩუქრებს იმას. შესაძლოა, რომ სავარეულო სიამაყით იხელმძღვანელა ნ. გამრეკელმა, რომელმაც პირველად დაჰბეჭდა „ალღუზიანი“ (ტფილისს, 1888 წ.). მეხუთე ლექსი ასწერს ამბავს ალღუზონ მეფის სიკვდილისას. ასლან გამრეკელი მოსთხოვს ალღუ-

ზონს შემწეობას ალისკანტარის (ალექსანდრე?) წინააღმდეგ. ალლუზონ თავის ხელით მოჰკლავს ალისკანტარს. დამარხვებზედ ესწრება ალისკანტარის და და მეფე მილანქრისა ჯანყალა: ალლუზონთან იჩივლეს გამრეკელზედ, რომ იგი არის „მთავარი ქებული, მაგრამ კელობს მეტად“. ალლუზონმა ბრძანა მისი დაჩხობა „ზღვიადის დაქადებულმა, როგორ? გამრეკელ ჰბედავს, ამაყოფს ჩემზედა მოყვინებული?“ გამრეკელმა „გველმა-ეშმაკმან“ გაიგო ეს განზრახვა ალლუზონისა და მეგობრების დახმარებით მოჰკლეს ალლუზონ „დაძინებული“. ალლუზონს დარჩა 14 წლის მემკვიდრე—შვილი, ქარხილ სახელად. უკანასკნელს ტაეპში მოყვანილია მოთქმით ტირილი ესთერისა ალლუზის სიკვდილის გამო და მისი უეცრივ მიცვლადედოფალი სტირის:

„აწ განიღვიძე, ბატონო,
რისთვის ცურავ შავსა ზღვასა?
მიბრძანე, კიდევ ვისმინო
თქვენი ხმა, უბრძანო სხვასა.
რა გენებებათ, მოგართმევთ,
მიბრძანეთ ნუ მიმცემთ სხვასა,
თუ ხმას არ გამცემთ, მოვეკვდები.
მეც გუფს დავიდე დიდს ქვასა.

უმისოდ ვერ გაძლო, ვერ დასთმო „უტკბესი ხელმწიფე“ და განუტევა სული და ააწარწოლა გული მნახველთა. ალლუზონი ოქროს კუბოში ჩაასვენეს და საფლავს ძეგლი დაადგეს ზედ-წარწერით: „თუ მიკითხავთ, მოგახსენებთ: მეფე ვარ ამოსარის, მპყრობელი დიდთა ქვეყანათ, ძირით დავით მეფის გვარის, ალლუზონ დიდი ხელმწიფე, თვით მპყრობელი მილანქარის, ბატონი დიდი ოვსთ, ჩერქეზთ, ჩეჩენთ, ქისტთა, ნონთა კარის“. პოემა „ალლუზიანი“ შედგენილია სახალხო ზეპირ-სიტყვაობის და ავტორის გამოგონილი ამბების შეთანხმებით. იგი წარმოადგენს ძალდატანებით შექმნილს ნაწარმოებს წაბაძვით არუსთველის რომანტიული სიუჟეტისა

(აღლუზიანი მოიტაცებს ესთერს) და ნაციონალური ტენდე-
ციური—წინაღებული მოსახრებით. შედგენა უნდა ეკუთვნო-
დეს არა უადრეს 1400 წ. და არა უგვიანეს 1453 წ. რადგან
ავტორი არას გვაუწყებს თურქთა დამკვიდრებისას ბოსფორის
ნაპირზედ და კონსტანტინოპოლის აღების შესახებ. თუ მო-
ხსენებულნი „კალმუხი“ კალმიკები არიან, მაშინ ავტორი
აღლუზიანისა უნდა ყოფილიყო ქვეყნად მე-XV^{II} საუკ.

მწერლობა მე-XV^I—XV^{II} საუკ.

მ ე უ ე თ ე ი მ უ რ ა ზ I ნ ა წ ე რ ე ბ ი .

მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულს და მეჩვიდმეტე საუ-
კუნის განმავლობაში საქართველო სპარსეთის გავლენას სრუ-
ლიად დაემორჩილა. საბერძნეთის ზედ-მოქმედება შესუსტდა
კონსტანტინოპოლის თურქთა მიერ აღების შემდეგ 1453 წ.
მისვლა-მოსვლა ათონს, პალესტინას და საქართველოს შუა
გაძნელდა. შესწყდა დასავლეთის გავლენა, ვიდრე კვლავ იგი
არ გააცოცხლეს კათოლიკეთა მისიონერებმა. საქართველოს
მეფენი იწვრთნებიან შაჰის კარს. სპარსეთიდგან მათ და წარ-
ჩინებულ ქართველთ შემოაქვთ ჩვენს ქვეყანაში სპარსული
ზნე-ჩვეულებანი, ადმინისტრატიული წყობილება, ლიტერა-
ტურული ნაწარმოებნი. ამ დროს ითარგმნება ქართულად
მრავალი სპარსული პოემა-მოთხრობანი და მათ შორის ისეთი
შესანიშნი თხზულებანიც, როგორც „როსტომიანი“, „ქი-
ლილა და მანა“, „ლეილა და მეჯნუნ“: შემდეგ „სირი-
ნოზიანი“, „თისმარიანი“, „ბარამიანი“, „ფრიდონიანი“ და
სხვა.

სპარსული მწერლობის გადმოღებას ქართულად წინ პოუ-
ძლოდნენ გვირგვინოსანნი გვამნი, მეფენი და მმართველნი
საქართველოსი, რომელნიც ბავშობიდან ითვისებდნენ სპარ-
სულს ენას, როგორც ჩვენ რუსულს. თეიმურაზ მეფეს, ქე-

თევან დედოფლის შვილს მიუძღვის დიდი ღვაწლი სპარსულთ თხზულებათა გადმოქართულებაში. თეიმურაზი I, ძე დავითისა და ქეთევანისა, რომელიც იწამა შაჰაბაზის მიერ 1624 წ., დაიბადა მეთექვსმეტე საუკუნის გასულს და აღიზარდა კახეთს. მეფედ გახდა 1605 წ. და გარდაიცვალა 1663 წ. სპარსეთს, ქალ. ასტარაბადს. შაჰის ნებართვით გვამი მისი გადმოასვენეს საქართველოს და მიაბარეს მიწას ალავერდის ტაძარში. თეიმურაზის მეფობა საუბედურო ხანაა საქართველოს ისტორიაში. ამ დროს ჩვენს ქვეყანას ეწვია შაჰაბაზი, რომელმაც შეუბრალებლივ მუსრი გააგლო ხალხს, დაანგრია ციხენი, ამოსწყვიტა ბერ-მონაზონნი (მაგ. დავით გარეჯას) და გადაასახლა 100.000 სული ქართველი სპარსეთს და მათ მაგიერ ჩაათესლა კახეთში სპარსნი საქართველოს ერის შესასუსტებლად და თავის გავლენის გასაძლიერებლად. მეფე თეიმურაზს წილად ხვდა მამულის გარეშე ცხოვრება, ბედის თვალის მოსაბრუნებლად წასვლა სპარსეთს და რუსეთს, უნაყოფოდ თავის დამცირება და მხოლოდ ფუქის იმედების მოხვეჭა. სიკოცხლე განვლო უცხოეთში და სასოება-მიხდილი ბერათ შეიმოსა. ამ დაუშრეტელი ვაების და მწუხარების ზღვას მიცემული მეფე სულის დასამშვიდებლად ხელს ჰკიდებდა კალამს და სთარგმნიდა სპარსულს ნაწარმოებს ქართულად. ცხოვრება მისი აღწერილია არჩილ მეფის მიერ „არჩილიანში“. მისი ნათარგმნი მოთხრობანი: „ვარდ-ბულბულიანი“, „შამიფარვანიანი“, „ზილიხანიანი“, „ლეილ-მეჯნუნიანი“, — ზოგი გამოცემულია, ზოგი ჯერ დაუბეჭდავია. „ლეილ და მეჯნუნის“ განხილვით დავიწყათ მეფე თეიმურაზ I-ის მოღვაწეობის დაფასება, რადგან ეს მოთხრობა ერთს დროს მიჩნეულ იქნა შოთა რუსთველის პოემის წასაბაძავ ნაწარმოებად.

„ლეილ და მეჯნუნ“ ნათარგმნია *) რუსთველისებური ლექსით — შაირით. შინაარსი ამ პოემისა შემდეგია.

*) ზოგიერთის აზრით „ლეილ-მეჯნუნიანის“ გადმოთარგმნა ეკუთვნის ზაალ თუმანიშვილს ამის სპარსეთში ცხოვრების დროს

არაბეთში ქ. ლაზოს სცხოვრობდნენ ახლო ნათესავნი, მეფის ჩამომავალნი, დაბადებულნი ერთს და იმავე ღამეს, ესენი იყვნენ ვაჟი და ქალი. აღსაზრდელად იგინი მიაბარეს ძიძას. ვაჟს გამოაჩნდა საკვირველი თვისება; იგი არ ეკარებოდა ძუძუს, თუ ძიძა ღამაზი არ იყო. ასტროლოგებმა (ვარსკვლავთ მრიცხველებმა) იწინასწარმეტყველეს, რომ ამ ვაჟს მოქალის ისეთი სიყვარული, რომელიც არავის მომავლადგს არ გამოუყვდა. ეს სიყვარული იქნება უბედური და ვაჟი გაკარდება უღაბოდ და იქ იცხოვრებს მხეცთა შორის. ვაჟის დედამაჰმად შეწუხდნენ და ეტადინენ სათუთად აზარდათ საყვისი შვილი იმ იმედით, რომ ღმერთი აცდენდა უბედურებას. ამ ღამაზს ვაჟს ერქვა უაის და ღამაზს ქალს, მის ნათესავს, ლეილა. როცა ვაჟი შვიდის წლისა შესრულდა, იგი მიაბარეს მოლას, ლეილაც იმ სკოლაში გაგზავნეს მისმა დედამაჰმად. ამ ორი ბავშვის სიღამაზით ყველანი სტკბებოდნენ. არ გავიდა დიდი ხანი, მასწავლებელმა შენიშნა, რომ ვაჟი გაუგონარი და შეუსაბამელი გახდა. დაიწყო მიზეზის ძებნა და აღმოაჩინა სატროიადლო კავშირი ვაჟს და ლეილას შორის. მოლა გაუწერა უაისს და უწოდა „მეჯნუნ“, ე. ი. გაგიჟებული სიყვარულისაგან. უაისი მოლამ დაითხოვა სკოლიდგან, ლეილა დედამაჰმად გაიყვანა და შვიი დღე დააყენეს გამოკითხვით, ხომ არ გადავიდა სამზღვარს უაისთან ტრფიალებში. უაის-მეჯნუნი სიყვარულისგან გიჟდებოდა, ტიროდა, მირბოდა სკოლაში და ჩუმად ჰკონცნიდა იმ ადგილს, სადაც ოდესმე ფეხი დაედგა ლეილას. ერთს დღეს მეჯნუნს დიდი მწუხარებისაგან გაუსკდა ძარღვი და დაუწყო სისხლმა დენა. დედამაჰმად გონება დაეფანტათ. მეჯნუნმა მისუსტებულის ხმით წარმოთქვა: მოიტანეთ ერთი მუჭა მიწა, რომელზედაც ფეხი დაუკრავს ლეილას, დამყარეთ ჭრილობაზე და სისხლი შემწყდებაო. მართლაც ამ წამალმა არგო, მორჩა მეჯნუნი, მაგრამ უფრო ხშირად დაიწყო უღაბოდ გასვლა. ნათესავების რჩევით დედამაჰმად განიზრახეს მეჯნუნის დაქორწილება ლეილაზე, რომ ამით მიეტყობა მის ადამოთებული გულისთვის. ლეილას დედამაჰმად დასთანმდნენ მის გათხოვებაზე, რათა მოესპოთ ცუდი ხმები, ქალის შესახებ გავრცელებული. ქორწილის დროს თავი იჩინა ერთმა ბოროტის მომასწავებელმა

ნიშნისა. როცა მოლა ლოცვას უკითხავდა, მეჯნუნს გიჟსავით თვალები გაუბრწყინდნენ, მეჯლისში მეჯნუნმა ვერ მოითმინა და აკოცა ჩადრ ჩამოფარებულს ლეილას და ეს საქციელიც ჩარიცხულ იქმნა სიკიჟის ნიშანად. ამიტომ შეუდგება მათი უარევეს ლეილას დედ-მამამ და მეჯნუნი, როგორც ჭკუაზედ შემცდარი, გამოდევნეს. იგი განიზარა უდაბნოდ. მამა მოუკვდა ჯავრისაგან და სარჩო-ქონება მათი გადავიდა ლეილას სახლში. დედა მეჯნუნისა გამოუთქმელს მწუხარებაში ადაშებდა დეკებს. ერთხელ მეჯნუნი მთხვარის ძონძებით მოვიდა ლეილას სახლში. ქალმა იცნო და თითონ გამოუტანა მოწველება. შეეგარებულნი ჩაკეცნენ ერთმანერთს. ამ შეხვედრას თვალი შეასწრო ლეილას დედამ, რომელმაც ამ საქციელისთვის ქალი თმებით ათრია. ლეილამ მეჯნუნის განშორება ინაღვლა, დღე-დღეზედ დნებოდა. საფხული დადგა და ქალი დედ-მამამ წაიყვანეს მთაში ჰუერის გამოსაცვლელად. ტახტრევანი შეუკრეს აქლემის ზურგზედ და შიგ ჩასვეს. თან-მსლებელნი მისდევდნენ უკან, დედა წინ მიუძღოდა. დამით აქლემს ჭამა მოუნდა, მოსწევიტა თოკი, რომელითაც იგი მიბმული იყო ქარავანთან, გადავიდა გზიდგან და შევიდა უდაბნოდ. მხეტთა შორის ლეილა წააწყდა მეჯნუნს, რომელმაც ვერ იცნო ქალი. როცა კაცი-გონა ლეილას ხმა, მეჯნუნს გული შემოეყარა. ლეილა ჩამოვიდა აქლემის ზურგიდგან და მეჯნუნს ცრემლები მოსწმინდა თავის ხელით. მეჯნუნი მოსულიერდა და განაწეულია ლეილა, მაგრამ ვაჟი სრულიად უღონოა ისარკებლად შეხვედრით. თანმსლებელნი ლეილასი გაეშურნენ მის საძებნელად. ჰუოვეს იგი მეჯნუნთან და გაჰკიცხეს ჭკუაზედ შემცდარ კაცთან ტრფიალობისთვის. ლეილა ვერ დამშვიდდა. ამას შემდეგ უფრო ჩამოხმა და მწუხარება გაუორკვედა. დაბრუნდნენ ისევ ქალაქს. აქ ეწვიათ ბაღდადის ხალიფის შვილი. როცა უდაბნოზედ გამოიარა დიდებულმა ემირმა, ნახა ჭკუაზედ შემცდარი გამხდარი კაცი. ვეზირებმა აუხსნეს, რომ მიზეზი მის უბედურებისა სიყვარული არისო. ემირი თან წამოიყვანს მეჯნუნს, რადგან ჰუსურს კეთილი გულით უშეგლდოს რამე. მამა ლეილისა მიიღებს ემირს დიდის პატივით. აი ეს არის მიზეზი ჩემი ტანჯვისაო, — უხვებებს მეჯნუნი ლეილაზედ. მაგრამ ემირი თვით კატაცბული ლეილას სილამაზით განიზარაზავს მის შერთვას და მეჯნუნის მოწამლვას. იგი დაარჩიებს

მოსამსახურეებს მართვან ფიალებით სსსმელი იმ ანგარიშით, რომ მეჯნუნს შეხვდეს მოწამლული ფიალა. შეცდომით საწამლაფით ფიალა შეხვდა ემირს. ღეილა მეჯნუნისთვის თვალ-მეუშრობელი სტირის. იგი უარს ეტყვის შვიდი სახელმწიფოდგან მოსულს საქრმეებს. ძალ-მიხდილი ღეილა განუტეგებს სულს. მეჯნუნმა, შეიტყო-რა ღეილას სიკვდილი, დაჰკარგა გონება. როცა მოაბრუნეს, მოისურვა მიცვალებული სატრფოს გვამის ნახვა, — მოეხვია მის კუბოს, მდუღარე ცრემლები დააყარა და იქვე განუტევა სული. სატრფონი ერთად დასაფლავეს. ჰოეტებმა მათი სიყვარული ღექსად შეაქეს და მთელს სხარსეთს იგი მოჰფინეს.

ლეილ და მეჯნუნის ამბავი ღექსად აღწერა გამოჩენილმა პოეტმა ნიზამმა და სპარსულით ქართულად გადმოიღო მეფე თეიმურაზმა. შევადაროთ იგი „ვეფხისტყაოსანს“. თავდაპირველს განსხვავებას ნიზამის და რუსთველის ნაწარმოებთა შორის შეადგენს მეჯნუნის კჳუაზედ შეშლა, — ტარიელი ხელობს, მაგრამ გონება არ დაუკარგავს. სიყვარულის ფსიხოლოგია ნიზამის პოემაში არ შეიძლება გამორკვეულ იქმნას, რადგან გმირის საქციელი აღტაცების, აფუტკების შედეგია. ღეილა ჰარამხანას გაზდილი ქალია, რომელსაც აკლია მხეობა დაიცვას გრძნობის თავისუფლება, წინააღმდეგეს მახლობელთა მემძლავრეობას. იგი ჯერ შეუმწიკვლელი ყვავილია, სიყვარული გაეღვიძა მოულოდნელად, თავისთავად და ამ გრძნობას ბოლომდის არ უღალატა. როგორც ჰარამხანის ნაცოფი, იგი ვერ ებრძვის გარემოებას და ემორჩილება მას ყმასავით, როგორც ყოველი მაჰმადიანი ქალი, აღზდილი ზნეობით დამამკირებელ პირობებში. როცა შემთხვევით აწყვეტილმა აქლემმა მეჯნუნთან შეჰყარა, მაშინაც ვერ დაიცვა თავის უფლება, მოთმინებით დაემორჩილა მშიშარა ზანგებს, რომელნიც მას ნივთივით შესდებენ აქლემზედ და გააშორებენ მეჯნუნს. ეს გმირიც თავმოხრილი შეჰყურებს თავის სატრფოს და არც ერთს ღონისძიებას არ ხმარობს საყვარელი დაიფაროს, საგანი აღზნებული გრძნობისა არ განუტე-

ვოს. ასე ადვილად რუსთველი ტარიელს არ დაატოვებინებს დარეჯანს, ზედ-შეაკლავს გმირის გამჭრიახობას, რათა სატრფო გამოსტაცოს განსაცდელს. ჩვენს პოეტს თვალ-წინ უდგა ღიღინებული დედაკაცი—თამარ მეფე, თავისუფლად მომქმედი, და არ საჭიროებდა ჰარამხანაში აღმოცენებული ტიპი გაეხადა გმირად თავის პოემისა.

შევადართ ორი მსგავსი ადგილი „მეჯუნ და ლეილის“ მოთხრობაში და „ვეფხისტყაოსანში“: პირველი შეეხება სიყვარულის აღძვრის მომენტს, წამს და მეორე სისხლის გამოშვებას. მეჯუნს და ლეილს სიყვარული ჩაესახათ გულში, როცა იგინი შეიღის წლისანი შეხვდნენ ერთმანეთს სკოლაში და თავიანთ უებრო სილამაზით მიიპყრეს ყველას განცვიფრებული ყურადღება. ლეილისაგან გამომავალი სხივი ნათელს ჰფენდა გარემოს, ცის მანათობელმა დაჰკარგა თავის ბრწყინვალეობა ლეილას სიტურფესთან შედარებით. მეჯუნს გულში წვდა ისარი ვნებისა. იგი გაქვავებული შეჰყურებდა ლეილას და ქალი მას უღიმოდა ვარდის ფერი ტუჩებით, როცა ერთად ჩაჰყურებდნენ წიგნს. ვერ შეძლო გულში დაეტოვებინა აღზნებული ცეცხლი,—შეატყო მოლამ ეს და გალახა ვაჟი, ქალი კი დაუბრუნა დედ-მამას. მეჯუნნი სატრფოს მოშორებული გახდა ავად; ლეილას დედ-მამა სირცხვილით იწვიან. „ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ, რომ უშვილო მეფე ფარსადანმა ტარიელი აღზარდა თავის სასახლეში, დედოფალი თავს ევლებოდა, რადგან მისი შვილად აყვანა ჰქონდათ განზრახული. ექვსის წლის იყო ტარიელი, როცა დაეზადათ მეფე-დედოფალს ქალი, ნესტან-დარეჯანი. ბავშვები ერთად იზღებოდნენ და ცელქობდნენ. შეიქნა რა ნესტანი 7 წლისა და ტარიელი 13, იგინი განაშორეს; ქალს „სახლი აუგეს“ და სიბრძნის სასწავლებლად მიუჩინეს ქვრივი მამიდა დაეარ და მოახლე ასმათი. ნესტანი მზეზედ ულამაზესი იყო, კკუით და სიწყნარით ღირსი სამეფო ტახტისა. მის სახლს, სადაც „ეკმეოდის აღვა თლილი“, ვერ ვინ ხედიდა.

ტარიელი გაიზარდა, ძალად ლომსა, თვალად მზეს“ ჰგავდა.
ერთხელ მეფე და ტარიელი ნადირობიდან დაბრუნდნენ. მე-
ფემ ქალის ნახვა მოინდომა. მოიგონებს რა ამ ეპოს.

„ტარიელს თვალნი სისხლნისა,
ცრემლითა დაფლებიან,
თქვა: ჩახვისცა უღირსსა,
გისგან სახმილნი მსდებიან,
უშისოდ, ძმანი რად მსმობენ,
ანუ რად დანი მღებიან.
ბაღჩა ვნახე უტურფესი
ყოვლისავე საღსინოსა,
მფრინველთაგან ხმა ისმოდა
უამესი სირინოსა,
მრავლად იყო სარაჯები
ვარდის წყლისა აბანოსა,
კარსა ზედა მოჭფარუოდა
ფარდაკები ოქსინოსა.
ზღუდედ მოვლიდა ზურმუხტი,
ხე აღფა დარიგებითა;
მეფე გარდახდა მუნ, სადა
კოშკია ბაზარკებითა,
შინა შეკუდიით, სრა დაკვხვდა,
მოცუელი ფარდაკებითა,
მაშინ სასობთა ღახვართა,
სულო, ვით დაუდკებითა.
მეფემან ახმა დურაჯთა
მითხრა მიტანად ქაჯისა;
გამოფეხვენ და წაუედით
ჩემად საღებლად აღაქა,
მაშინ დაფიწვე გარდახდა
მე საწუთროსა ვაღისა,
აღმასისა ხამს ღახვარი

ღახვრად გულისა საღისა.
მე გარეთ ვსდგე და მეფემან
შეელო ფარდაგი კარისა,
ვერას ვხედვიდი, ოდენ ხმა
მესმოდა სუბარისა;
ასმათს უბრძანა გამოხმა
დურაჯთა ამირბარისა.
ასმათ ფარდაგსა აზიდნა,
გარეთ ვსდგე მოფარდაგუელსა,
ქალსა შევხედე, ღახვარი
მეტა ცნობასა და გუელსა... დავეცი, დავბნდი“...

შევიდაროთ ახლა მეორე ადგილი. მეჯნუნ ღლე-ღა-ღამ სტირის, ცრემლები შეუწყვეტილად ჩამოსდის. საბრალო დედ-მამაც მწუხარებით აღსავსენი არიან. ვნების ღელვა მეჯნუნის გულში აღშფოთებას ახდენს. ძარღვიც გაეხსნა, მახლობელთ არ იციან როგორ უშველონ. ხედავენ რა მათ შეწუხებას, ეტყვის კრუსუნით: არ მოვეკვდები, ნუ იხოცავთ თავებს. წადით, სადაც ჩემი სატრფო ზის, აიღეთ იმ ადგილიდგან ერთი მუკა მიწა და დამაყარეთ ჭრილობაზედ, — სისხლი მაშინვე შესდგება. ასეც მოხდა, მაგრამ მეჯნუნს სიცოცხლე აღარა სურს. „ვეფხისტყაოსანში“ შესაფერი ტაეპები გვაუწყებს შემდეგს:

„ღდენი გამოხდეს და გული
უფრორე დამწვეს მე ალთა,
ვეღარ ვუჭვრეტდი ღაშქართა,
მინდორს თამაშად მავადთა.
დარბაზს ვერ მიველ, მეკურნადთა
დამიწვეს მოსლვა მრავადთა.
მაშინ დავიწიე გარდახდა
სოფლისა ღხინთა მრავადთა.
სხვამან ვერავინ შემატეო
დება ცეცხლისა ცხელისა;
სისხლი დამწამეს, მეფემან

ჰბრძანა გახსნევა ხელისა.
გავისხენ ფარვად ჰატიუთა
არვისგან საეჭველისა.
ხელ-გახსნილი, სევდიანი
საწოლს ვიყავ თავის წინა.
კაცი მოვიდა მეფისა,
სწადსო ამბისა სმინება.
მე ვკადრე: დამიწყო მოჯობინება,
წინაშე მოვალ, ამისთვის
კვლავ უფრო მმართებს ღხინება.
დარბაზს მივე, — მეფე ბრძანებს:
ამის შეტსა ნუ იქმ აბა.
ცხენსა შემსვა უკაპარკო,
შესიდა, ქორნი მოუტკვნა“.

ამ შედარე... იალსაჩინოდ უნდა ჰყოს რუსთველის ხელოვნების უპირატესობა წინაშე ნიზამისა. ქართველს ოეტს არ დასჭირებია ესეხნა რამე ნიზამისგან, მეტადრე სპარსული სიუჟეტის შეთვისება შოთას მიერ დაუჯერებელია, თუ დავუკვირდებით „ვეფხისტყაოსნის“ და „ლეილ-მეჯნუნიანის“ მოთხრობას. ნიზამის პოემის შინაარსს შეადგენს სიყვარულის ანალიზი ორს მოქიშვე გვარის წარმომადგენელთა შორის, ამბობს ცნობილი მეცნიერი ეტე. ამ პოემის გადმოქართულებით მეფე თეიმურაზმა გააცნო ქართველს მკითხველს საზოგადოებას საუკეთესო სპარსული რომანტიული ნაწარმოები. მისს კალამს ეკუთვნიან კიდევ რამდენიმე ნათარგმნი თხზულება. მან გადმოიღო „ვარდ-ბულბულიანი“, რომელშიც სპარსულად „მოლა აჯამ ბრძეთა-ბრძენთან გააუბნა ბუჯბუღს ვარდი, ვარდს ბუჯბუღი, სიტყვა ტკბილი ესა გრძელმან“. შინაარსი ამ პოემისა შემდეგია: დადგა გაზაფხული. გაიშალნენ ყვავილნი. სუყველას უსწრო სურნელმა და პირად თეთრმა იამ. მას მოჰყვა ზამბახი, სუმბული, ნარგიზი, ყაყაჩო. აყვავდა ვარდიც, რომელმაც წალკოტი „შეამკო და დააშვენა“. ბულბულმა მრავალ-გვარად

დაჰყეფა გახელებულმა. მისი ძახილი და ცრემლთა დენა ითაკილა ვარდმან. იგი ეკითხება მებაღეს, ვინ არის ეს ჩიტი, რომელიც „კედების, იწვის და იძახის, არვის უნახავს მძინარე“. მებაღე გაუმეღავენებს, რომ ბუღბული მისთვის იწვის, თავს ევლება და დასჭიკჭიკებს და სთხოვს მის შებრალებას. ბუღბულს შეუთვალა ვარდმა, რომ იგინი შორი-შორს არიან ერთმანეთზედ, რომ საქმე აულია „ერთობ ძნელი, არ აღვილი“. ბუღბული უპასუხებს:

„თუ გაგეურები ცოცხალი,
მე სული ამომხდებოა“.

ვარდმა ამაზედ უთხრა:

მე ვარ ხელმწიფე უკაულითა,
ვის ხედავ ჩემისთანადო,
ღვთის მადლსა, დამეხსენ, მომეცაღე,
ადგილი გარდაიცვალეა.

ბუღბული სულთქმას მოუხშირებს და ეტყვის ვარდს, რომ არ გაეყრება და მის ეკალზედ აეცმება. ვარდი სიამაყით „უბრძანებს“, რომ იგი ბუღბულს თავის შესაფერად ვერ ჰპოვებს. მეო „მეფენი და ხელმწიფენი ნატვრით თავსა გარდმიერიან, ხელნი ხელმქეღსა მადრიან, მიჯნურნი სმიჯნუროსა, რიტორნი შეთხზვენ სიტყვასა მათებუროსა, კეკლეცნი დაწვთა ზედა მიდებენ, ჩემთვის წაღკოტად კარბიან, დამკრეფენ ბრალის თითითა, ეკალსა მომამრებენ“. ბუღბული თანახმაა, რომ ვარდი ღირსია საერთო ქება-მკობისა, „მაგრამ წესთა კეკლეცთა მიჯნურზედ სმიყოფიანი; უმობაცა აღარ მადირსე, არ თუმც ამხანაგობანი“. ინდოეთიღგან მოვალ დამწვარი შენის სიყვარულითა და შენ კი გაგდებას მიქადი მე უცხოს, შეუღარებელს ჩიტს, მომხიბლავი ხმის პატრონსო. ბუღბულსაც მოჰყავს საბუთები თავის ღირსების დასაცველად. შენ, ვარდო, „გიხმეს ყოველთა უტურფესად“, მაგრამ ჩემთვისაც „ბრძენთა და ფილოსოფოსთა, რიტორთა მოშიარეთა — სპარსთა, ჰინდოთა, ქართველთა“ — ბევრი ქება სთქვეს და „შენად მიჯნურად დამწერესო“. მე წამკიდე

სიყვარული და შენ კი ისწრაფი ჩემს სიკვდილს, ნაცვლად ცეცხლისა შრეტადო“. ვარდს შეებრალო ბუღბული ამ სიტყვების შემდეგ, „მაგრამ არ გმართებს შენ სხვათა მიჯნურთა თავის მიგება... დაგწერეს ჩემად მიჯნურად არ მიმჩნია ჩინადო, შენ ვერას ირგებ, შემრჩება მე ცუდი მოყივნებაო“. ბუღბულს ცრემლი მოერია და დაბნდა უსულოდ. ვარდი სწუხს, რომ მისი „სისხლის მზევველი“ გახდა, ამიტომ ჩაძახის; „ნება დამირთავს, აწ იუჟ ბადისა ამ მიდამოს“. ამ ხმაზედ ბუღბული გაცოცხლდა, სისხლის ცრემლი შეაშრა და მადლობას უხდის, რომ „სიცოცხლე უბოძა“ მას. ტყვე-ქმნილი, თავს დასტრი-ალებს, მრავალჯერ ხმა-ცვლილი მის სიტურფეს ჩამოსთვლის. გული მის გაყრას ვერ შესძლებს. ვარდი ერთს მწარე სიტყვას მაინც კიდევ მიართყამს ბუღბულს: „ვერ გხედავ თყაღფურად ჩემსა დარესა“. პასუხად ბუღბულმა ველარა თქვა-რა, ენა დაება და „ამა სიტყვაჲდ გარდაწედა მათი ბრძოლა და ვაება“. ამ ტაეპს პოეტი ათავებს სიტყვებით: „შეც მომეწეინა ტეუილი, ეს ცუდი გადაებაება“.

რასაკვირველია, ეს 97 ტაეპიანი პოემა ალლეგორიულად, გარდათქმით უნდა აიხსნას: ბუღბული მიჯნური მამაკაცია და ვარდი მისი სატრფო. პოემა დაწერილია 16 მარცლოვანი ლექსით, ამავე ლექს-წყობას ხმარობს მეფე თეიმურაზ სხვა თავის ნათარგმნს და ორიგინალურს ნაწერებში. „ვარდ-ბუღბულიანი“ წარმოადგენს საერთო სქემას, გეგმას, როგორ აზროვნობენ და მოსთქვამენ აღმოსავლეთის ლირიკოსი პოეტები. მათ ჩვეულებად აქვთ მოწინააღმდეგე საგანთა დაპირდაპირებით, კონტრასტით გამოარკვიონ სადავო საგანი. „ვარდის და ბუღბულის“ შექება სპარსულად რამდენსამე პოეტს ეკუთვნის (მე-XV, მე-XIX საუკ. და სხვ.). სპარსულითვე გადმოღებულია თეიმურაზ I-გან „სანთელი და პეპელა“ („შამი ფარვანიანი“), შედგენილი, მსგავსად ვარდის და ბუღბულის გაბაასებისა, კონტრასტიული სქემით, მოპირდაპირეთა შეტაკებით და შედარებით. ეს პოემაც მწუხარე გრძნობით არის

აკვანძული. სიუჟეტი გამოგონილია, „ზღაპრულია, თქმული სარგებლად კაცთათვის“. მაშასადამე ესეც ჭარბათქმით, ალ-ლეკორიული მოთხრობაა.. „მოდით მკითხველნო, რომელთა ცრემლი გსდით ნაკადულები, იგი მოყვრისათვის საკვდავად, ვის შეგიწირავს სულები, ვისცა გწევავთ ცეცხლი უშრეტი, გაქვსთ გული დანაწყლულები, ნახეთ ფარვანა დამწვარი, მკვდარი სულ ამოსულები. მისგან ისწავლეთ ყოველთა ხელობა მიჯნურობისა“. ფარვანა სანთელს ევლება, მიჯნურსა მისის ბრალითა გული დასწვია სადალად. ფარვანა ეტყვის: „სანთელო, მანათებელო დამისა, შენისა სიყვარულითა სული ამოსვლას დამისა ნუმცა შექნების უშენოდ სიცოცხლე ერთის წამისა“. ქვეყნათ შენ დარეს ვერ ვხედავ, მთვარეს და მზეს ჰგეხნარ, ბრწყინვალე კამკამებით ლახვარი გამივლე გულში და ფრთას მომწვავ ალით; ღვთის ბძანებით მე შენი ტყვე ვარ. სანთელმა „აღირსა პასუხი გვიანად“: შე შენი რაც გავიგონე, არც ერთი მესმა ჭკვიანად. მე დმერთმან შექმნა სამადლოდ, ხატთან და ჯვართან წინა ვარ, სულისა სიმედობით, -- შენ რომ შემედრობითა დაიწვა, სისხლი შე რად უნდა დამედოსო. ფარვანა ატირდა და შემდეგ დაუწყო ქება და ხეწნა ცრემლით: შენთვის მკვდარი ვარ, როგორც ბუღბუღი ვარდისთვის; უშენოდ არ ვარცა ღვინი, სმა-ჭამა, კვლეუცთა ურილობა. ჭამასა განდა ბრწყინვალედ, ტურფად გამომჩენვალად, სიგონჯის მიფარავად; შემობრალე მიჯნურიო. სანთელი მაინც თხოულობს, რომ დაეხსნას, რადგან მისი სიბრალულით ღვინი დაუძვირდა. ფარვანამ ვერ აიტანა ეს მწარე სიტყვები, გაშალა მხარი, მომართა, სად სანთლის შუქი კრთებოდა და დამწვარი დაეცა ძირს. პოეტი ურჩევს მიჯნურთ ასე თავგანწირულად მოექცნენ მათ, ვისთვისაც „სული ხდებათ“.

დასასრულ მეფე თეიმურაზ გვაუწყებს ცნობას, რომელსაც მნიშვნელობა აქვს მისი ბიოგრაფიის შესასწავლად: „ცუდათ წოდითა, გდებითა, ეს მომაცონა რაჭამან, ორმოს ჩამაცდო სოფელმან და ცრემლთა დენამან ზედ გადახეთქა რაჭამან დმერთო, ნუ მიწვენ ამ ცუდსა ლაყაბას, ცუდ მიდებასა, ველარ გაუქელ შეიდ ზაფხულ მოწ-

ეენათ ცუდათ გდებას, შეჭირვებას ცეცხლსა მოკველი ღვთისგან დახსნას. მაშასადამე, „შამი ფარავანიანი“ მეფემ სთარგმნა იმერეთში, როცა ტახტი დაჰკარგა და იქ გულის გადასაყოლად არჩილ მეფის სიტყვისაებრ „იობის“ შექირვებაში კალამს მოჰკიდა ხელი *). „კუდ ლაყებანს“, რომლისთვისაც მეფე ბოდიშს იხდის „შამ-ფარავანიანი“ში“, გაიმეორებს ლექსში „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“. თითქოს, მწერალი სულის მოსაბრუნებლად, „მოსაღებნად“, მოგვითხრობდეს ამბავს, რომელიც მას უმნიშვნელოდ მიაჩნია. „შეჭირვება“ და „უსაქმობა“ ალაყებებს მეფეს, „სევდის გაფანტვა“ ჰსურს ლექსის წერის დროს. „უსაქმოს მოწყენილს მტურობის ცუდ ღაყებანი, სევდისა შეჭირვებასა არ დაჟეჟანტა მცნებანი“. „შედარება გაზაფხულის და შემოდგომისა“ (74 ტაეპოვანი პოემა) შეიცავს ისტორიულს ცნობასაც შესახებ მაჰმადის რჯულის შემოტანისა საქართველოში და ქრისტიანობის შესუსტებისა. მეფე ამ ლექსსაც „უსარგებლო თქმულებად“ სთვლის, მაგრამ სწერს „უნდოს განქარებებსა“, რადგან ხედავს, რომ „არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა, ყველა სოფელს დაემონა“. ქებას შეასხავს რა მას, ვინც სიბრძნით ოთხი ნიეთი შეაზავა, მეფე გვეკითხება, „რომელი სჯობს—გაზაფხული თუ შემოდგომა“. ამათ კამათობას სთხუზავს „ეგებ ამით მოვილხინო“, ვარამის გადასაყრელად. ამ გვარად ლექსთ-წყობითს ნაწერში შეაქვს მეფეს ისტორიული მომენტის მკრთალი სურათი, გვიხატავს თავის და მთელი საზოგადოების განსაცდელს სპარსთა გაძლიერების დროს საქართველოში. როგორც წინა მისს ლექსებში, აქაც დაპირდაპირებით, კონტრასტით ორის საგნისა, მოხაზავს მათს ღირსება-ნაკლებივანებას. „გაზაფხული იტყვის: სამოახე ვარ ამ სოფლის, ვითამც ვიყო ამხანაგი შემოდგომის ანუ სოფლის?“ სიტურფესა და

*) ნახე შემდეგ, მეფე არჩილ რას ათქმევინებს თეიმურაზს ამ მწუხარების გამო.

სიკეკლუცეს მისას კაცი ვერ მოსთვლის: ზაფხულს მდელიანი ზურმუხტად გადაიქცევიან, ხეხილნი ტურფად გაიშლებიან, წალკოტს ლხინობენ ქალ-ყრმანი, ყვავილებით შემოსილნი, ფრინველნი აქიკიკლებიან და მხეცნი მალლა ხმაურობენ. შემოდგომა შენიშნავს, რომ გაზაფხული „ერთობ თავს იკებს: ჩემგან უკეთ რითა შვენი, ბართა, თუ ანუ მითა. აგვისტო რა დაიღვეა, ჩემი დრო მაშინ მოვა; ჩემს დროს ასხია ხეზედ ნარინჯ-თურინჯი, ბროწეული, ყურძენი, ჰკრეფენ და სკამენ სავსე აქვსთ კალთა და უბეებიო, იმისი ფასი შენ რა გქირს, გვითხარი და მიანბეო. ზაფხულს ეწყინა, რომ შემოდგომამ დაიკვება სილამაზითაც მე გჯობივარ: „ეგ არი ჩმახები, გაყვითლებული ფოთოლით ვის ემსგავსები? ვარდს და ბულბულს განა შეედრება შემოდგომის ხაშხაში? შემოდგომა მოაგონებს, რომ იმის დროს საუკეთესო დღეებია; არც ცხელა, არც ცივა, სიკეთით ყველა სავსე და მადლარია. გაზაფხულში კი „არათუ ღარიბნი, მეფენიც ვერა ძლებიან“. შემოდგომას ყველა ლხინობს და თამაშობს. წითელს ღვინოს ასხავენ და თასებით სვამენ, ქორებით სანადიროდ მიდიან. გაზაფხულობით „დაარსდება ყოველი სარჩო-მოსავალი; ამ დროს შეიძლება მგზავრობა, ხომალდები მიეშურებიან ზღვად, შემოდგომას კი ვერ მორჩნენ დაუნთქვეველად“. გაზაფხულის ქარი უკვდავების ნიაფია, შემოდგომის ქარი დააშიშვლებს ტყეს და სიცივეს უქადის ქვეყანას, გიორგობისთვე თოვლს წამოგაყრის და წაგიხდენს დაკვეხილს პურადობას. შემოდგომა უპასუხებს, რომ მას თუ ზამთარი წაახდენს, გაზაფხულს შთანთქავს ზაფხული, „ქრიკინის დრო“.

ჩვეულებრივი სქემით დამონებული, მეფე თეიმურაზი ერთს განსაცვიფრებელს შედარებას სწერს, „შედარებას ციების და მღვდლისა“. ამ 24 ტაეპოვანს ლექსს „შედარების“ მაგიერ უფრო შეეფერებოდა სახელი „გაბაასება ციების და მღვდლისა“. მღვდელი იწვევს საჩხუბრად ციებას და თავიდგანვე სამების ძალით წყევლას უთვლის. ციება უპასუხებს,

რომ „წყევლა დედა-კაცის წესია“, — იგი დაუდნობს ძვალს და რბილს. მღვდელი სწუხს, რომ ციებამ მუცელი შემოასია, ველარ სკამს ნესვს და მოჰკლა იგი „ემბაზში მონათლული“. ემუქრება, თუ ფეხზედ წამოდგა, საკადრისად შეაქციოს ციება. ეს მუქარა სიცილად არ ჰყოფნის ციებას და საფლავს უმზადებს „ყმაწვილს კაცს მღვდელს იოსებს, რომელსაც ოხრად დარჩება ცოლ-შვილი, დედა, მამა დროული და პატარა შვილი სვიმონ. ციება იმათი სიბრალულით თავს ანებებს, მაგრამ ისევ მოუბრუნდება, თუმცა პირობა მისცა, რომ „საუკუნოდ აიღო ხელი“. მღვდელი „ორპირობას“ სწამებს, ციება კი უქადის აკვნესოს მთელი ზამთარი, ექიმებთან ატაროს უბე „თეთრით“ (ფულით) გატენილი. მღვდელი სთხოვს აკმაროს ქალიშვილების წართმევა და ის ვაგლახი, რომელიც მან გამოიარა ქინაქინის უზომო სმით. წმ. ნინოს სახელის ხსენებით და ხვეწნით მოიშორა ციება თავიდან.

ერთი იმ ლექსთაგანი, რომელიც დაწერილია რუსთაველის წაბაძვით, არის „მაჯამა“. იგი შესდგება 111 ტაეპისაგან და, როგორც დანარჩენი თეიმურაზის თხუზულებანი, დაწერილია 16 მარცვლოვანი ლექსით. სათაურის თარგმანს პოეტი იძლევა მესამე ტაეპში: „ქართულად მაჯამა შეკრილად ითარგმანეიის, წიგნები გამოკრებული ივ ერთად მოიყარების“. მაჯამაში ხშირად ტაეპის ოთხივე სტრიქონი თავდება ერთი და იმავე სიტყვით, რომელსაც სხვა-და-სხვა მნიშვნელობა აქვს. მაჯამა შეაქებს ვილაც პირს, შესაძლოა, მეფის მეუღლეს. მისი სილამაზე აღწერილია შოთას მიმსგავსებული ენით „ტურფა ხარ შკეჩიერებით, ტანი მიგიგავს საროს; ვაჟ შენისთანს მიჯნურსა ვერ-ვინ ედირსოს საროსა“: კაცი ხამს შენთვის გაიქრას და ღბინი გაიმწაროსა, ტარიელ ქვაბსა ესტუმროს, მეჯუნთა დაემყაროსა. რუსთაველის სახელი და მისი ნათქვამი ხშირად არის მოყვანილი: „შოთამ სთქვა სწორედ მოდგომა მზისგან ვარდთა-ნეხვისა“, ანუ „ვის სიცოცხლე მწარე ჰქონდეს, სიკვდილი სთქვა შოთამ ტკბილად“. „ვეფხისტყაოსნის“ გმირების სახელიც შეგვხვდება ამ პოემა-

ში: „ცუდად მაქებენ თინათინ, ჩესტარ-დარეჯან და ვისო“. პოეტი იგონებს „ხოსროვის *) ცრემლსა ნადენსა“, ქრისტეს ბრძანებას „ოთხს თავში“, ე. ი. ოთხს სახარებაში და ეს მაგალითები ამტკიცებენ, რომ მეფე გაწვრთნილია სპარსულს და ქართულს ლიტერატურაში, — როგორც საერო, აკრეთვე სასულიერო ნაწარმოებში. პოეტი შეასხავს ხოტბას სატრფოს საამო ტანადობას, პირ-სხვის, ლაწვ—ლალისფერს, ბაგე-ტკბილს, გიშრის წამწამს, თმის ტევრს და წარბთა სისქეს, მუშკამბრიანს სულს, — ეს უებრო სილამაზე ჰკლავს პოეტს, სასიკვდილო ლახავრს უტარებს გულში. თან-და-თან მეფე უკმაყოფილების ზეწარს ისხავს, აღშოთებული გულის მისწრაფებას გამოაქვეყნებს. სოფელს მწარედ ემდურის და ეტყვის: „დამიკარგე ძე, ასული, თვალთა ჩენა“. გრძნობს, რომ სვე ბოლო ჟამს მოეშალა; იცის, რომ სოფელი ან „ადრე დაგვხოცს“ ან თუ გრძლად გეაცოცხლებს, ჩვენ გვიზამს საქმესა უარესებს: „რაც გვიყვარს, ჩვენს წინ დაგვიხოცს“, თვალთა დააკლებს ნათელთა, პირსა დაუქნობს, ბაგეთა მოშლის. კბილსა წაახდენს „და ბოლო ჟამს ისეკ სიკვდილი, გულზე მიწა და ლოდები“. ეს პესსიმიისტური შეხედულება მეფეს ჩააგონა საკუთარმა სვემ და მრისხანე ბედის წერამ. მაინც სასოება არ დახშა გულში, ქრისტიანობრივი შეხედულობა დაიცვა: „ამას არ ვიტყვი — არ გვინდეს სოფელისა ნივთაიერები, ესრედ ვინმართ კეთილად ბოლოს არ გასამწარები, არ გვიდგეს სული მოკვდავი პირუტყვეებრ გასაქარება, როდის ეს ხელთა გაგვარდეს, მუნ არ დაგვეხმას კარები“. საყურადღებოა, რომ მეფე სოლომონის სიტყვებით აღწერილს „ამაღება ამაოებათას“ ათავებს ამ შესარიგებელი სოფელთან დარიგებით. სამგლოვიარო ლექსი, ელეგია, გულ-ამღვრეულობა და დათუ-თქულობა პოეტმა უძღვნა დედოფლის ანნას ხსოვნას, თავის

*) „ხოსროვ და შირინი“ ქართულად ნათარგმნი, აკრეთვე „ბარამ და გულანდამ“, სპარსულით გადმოღებული მეფე ვახტანგის ბძანებით, დაკულია ს-პეტერბურგის საჯარო წიგნთ-საცავში.

მეუღლეს, დადიანის ასულს. თეიმურაზმა შეირთო ცოლი 16 წლისამ და ოთხი წლის შემდეგ უკვე დაქვრივდა (1610 წ.) დედოფალმა დაუტოვა ორი ვაჟი—ლევან და ალექსანდრე. ადვილად მისახვედრია მწუხარება გვირგვინოსანი მგოსნისა ამ გრიგალის მოსვენის გამო: „ჭაში გარდახდა შუებისა, მოვიდა გლოვა წუხილი, ღხინმან მიმრიდა, შეშეკმნა გულს ურჯა, თვალოა წუხილი, ღვარი სდიოდა სისხლისა, ცრემლთა ისმოდა ქუხილი“. *) ასე იწყებს მეფე თავის ელეგიას, გარდამეტებული ჰიპერბოლიზმით საესე გოდებას. „მოვსთქვამდი: „მზუო, დამაგდე ცეცხლი მომიდე წამალი, მე გლახ უშენოდ ოხერმა, მუნ გერ ჰპოვო წამალი“. ასწერს შემდეგ დაფერფლილს დედოფლის სილამაზეს—გაყვითლებულს ბავეს, ოდესმე ვით ვარდის ფურცელს, დახუკულს წამწამთა რაზმს, ტკბილს ენას დაღუნებულს და მიჰმართავს განსვენებულს ამ გულ-მოსაკლავი სიტყვებით: „რად დააგდე ეს სოფელი, სახელმწიფო, ქმარი, შვილი?... მე გამწირე, საყვარელო, ღუგან, რად ჰყავ საბრალთბლად, ალექსანდრე ნებიერი, ვით დამიგდე მე ეს ობლად!“ მოაგონებს-რა დაობლებულს შეილებს, მეფე თავისთავსაც იწყევლის: „გვირგვინთ ნაცვლად ჩაჩსა მზურაჲ, სეიპტრად მძღვე შავს ჯოხსა, ჰორფირად მცმვე ძასას, ტახტად დამიდგამ შავს ქონსა“. ჩვეულებრივ მგლოვიარე მეფე ორმოცამდის ბნელსა იჯდა, სინათლესა ძვირად ჰხედავდა, თავს იცემდა, სტიროდა და ცრემლთა აფრქვევდა უზომოდ.

ამ სამგლოვიარო ლექსთა გარდა მეფე თეიმურაზ პირველს ეკუთვნის ლექსი ბალის სასახლეზე წარწერილი თალარის ქება. ეს ლექსი ქებაა გრემის სასახლისა და დაუწერინებია ბალის კარზედ. მეფე შეაქებს ბაღას, სადაც ათას-ფერნი ყვავილნი გაშლილან და ზედ დამღერიან ბუღბულნი. ათავებს ამ ხუთ-ტაეპოვან ლექსს ამ სიტყვებით:

*) ეს ლექსი მოქცეულია „არჩილიანშიაც“. ნახე „არჩილიანის“ გარჩევა.

სახლი შევმზადე საღვინოდ,
მე მეფემ თეიმურაზო,
შევამე კელე-ურენი,
ვეჭვ თავსაც კარგად ბურავსო;
დავხატე ფერად-ფერადად,
ჭკავს, რომ იყოს მურასო,
ტაღახანის ფეხითა,
ნურავინ გამიმურავსო.

მოვიყვანთ ერთს მისს „ანბათქებასასაც“, ჩვეულებრივ ფორმას ძველს ჩვენს მწერლობაში სხვა-და-სხვა აზრთა გამო-სათქმელად.

ადმეძრა ბაბე, გულის დადებით
ეუწუა ვის-ზედ ცესრეთ თქმულება.
იუნთსე კეთილ ღმობა მონისა,
ნაცხებთ ორ ზირად ჟამ რის სხმულება.
ტრფილ უფრო ფერთვან ქმნილი,
ღირს უფლად შენგან ჩანს ცემულება
ძველად წელულება, ჭვრეტად ხელობა,
კამს ჯავრისგან ჭია ზება.

„ცისკარში“ (1852 წ.) დაბეჭდილი იყო „გაბაასება დღისა და ღამისა“, ანუ „სარკე თქმულთა“. კონტრასტი არიან დახასიათებული დღე და ღამე. დღისით სამართალი სწარმოებს, ღამით ქურდობა. ღამე ამაზედ უპასუხებს, რომ მხოლოდ წყვილია სიბოროტე სდუმს და ხალხი ისვენებს. დღისით მეჯლიში იმართება; ღამით ქორწილი და ამ ჯვრის-წერის ჩვეულებებს პოეტი დაწვრილებით აგვიწერს.

თეიმურაზს მიაწერენ ლექსს თუმცა საეჭვოა:

„ზირველ თქმულთა ბრძენთაგან
სიღარბისლე მესხისა,
ომი და შებმა კახისა
მოსწონია კაცისა,
ჩუქება, ჰურად გაცემა

ქართლელთა არ ეზრახვისა,
და ზრდილნი არიან იმურნი,
მტერთა მიმცემნი რისხვისა“.

ამ დახასიათებაში მოსჩანს ნაძალადეუობა. უკეთესია აზ-
რით შემდეგი ლექსი:

„კაცმა უნდა თავის საქმე
უველა ღვთითა მოიფარგოს,
ამ სოფელსა ხელი ჰკაროს,
იქაც ბარგი დაიბარგოს,
მოუვარეთ და ამხანაგთა
თავის რიგით რამე არგოს,
და სახელის ხე საჩრდილობლად
წულისა ჰირსა რამე დარგოს“.

სხვა-და-სხვა თვისება ენისა აღწერილია ერთს ტაევში:

ენა ტკბილი, ენა მწარე,
ენა მოკლე, ენა გრძელი,
ენა სეგდის უკუ მურელი,
ენა ქვეყნის შეტამფრელი,
ენა მკურნალ სნეულთათვის,
ენა მთელთა ღახვრის მკვრელი,
ენა სული სულთ მობრძავთა,
ენა ზოგჯერ სისხლის მღვრელი.



საქროვნო კილოს შეტანა მწერლობაში.

მე-XVI საუკუნის გასულს უკვე აღინიშნა ქართულს მწერლობაში საეროვნო კილო, ნაციონალური ტენდენცია. სპარსული ნაწარმოების გადმოღებას აღარ ჰკმარობენ, ზოგიერთი საკუთარს და სპარსულს გაელენასთან დამოუკიდებელს თხზულებებსაც ადგენენ. ამ დროს ეკუთვნის პოემა „გოჩიანი“, რომლის დამწერი იყო ერთი ბატონიშვილთაგანი მეტ სახელად გოჩა. შინაარსი ამ პოემისა აღებულია ხალხის ცხოვრებიდან და ენის სიმარტივის წყალობით ჩქარა მოედო მოელს იმერეთს. ზ. ქიქინაძეს უნახავს რამდენიმე ფურცელი „გოჩიანისა“. მე-XVI საუკ. სცხოვრობდა აგრეთვე გარსევან ჩოლაყაშვილი, ავტორი „ხილთა-ქებისა“. ერთი ხელნაწერიდან სჩანს, რომ ჩოლაყაშვილს შეუთხზავს „ხილთა-ქება“ აღექსანდრე მეფის დროს და გადაუწერია 1574 წ. დიმიტრი ორბელიანს, შესადარებლად თავის ნაწერთან ამავე თემაზედ.

ნაციონალური ტენდენცია ისმის თეიმურაზ მეფის ნაწერებში, როგორც ზემორე უკვე აღვნიშნეთ. დროთა ვითარების დასურათება შესაძინევად განმტკიცდა არჩილ მეფის დროს მე-XVII საუკ., რომლის წინა-მორბედად ამავე საუკუნეში გამოვიდა ფაშვი-ბერტყაძე. ამან დასწერა პოემა, რომლის გმირად დასახა ქართლის მეფე გიორგი XI (1675—1688, 1691—1693, +1709). მეფე შაჰ ჰუსეინმა დანიშნა გიორგი სპასალარად ავღანთა წინააღმდეგ. გიორგი გამარჯვებით შევიდა ყანდაარს, შეიპყრო ადგილობრივი მმართველი მირ-ვეისი, მაგრამ შემდეგ გიორგი დაასმინეს შაჰს, დასწამეს ორგულობა, მირ-ვეისს დაუბრუნეს ტახტი და ამ ცბიერი კაცის მხედართ ბორბტად მოჰკლეს გიორგი მეჯლისის დროს და მას-

თან ამოსწყვიტეს ქართველთა მხედარნიც. პოემა ამ გვარად წარმოადგენს შესხმას გიორგი მეფის ღვაწლის და გმირულის საქციელისა.

„არჩილიანი“ ნამღვილი ნაციონალური ნაწარმოებია. ამ პოემაში ავტორი შთაგონებულია ისტორიული გარემოებით და აღფრთოვანებული ეროვნული გრძნობით. „არჩილიანი“ წარმოადგენს ეპოსს ლირიკასთან დაკავშირებულს, ისტორიულს მოთხრობას გულ-დამწვარი პირისაგან აღწერილს. საქართველოს უნუგეშო მდგომარეობა და „შავი-ყორანი“, რომელიც დასჩხაოდა მეფის-პოეტის სვეს, აწერინებს მას სამგლოვიარო თხოვულებას, მწარე ელეგიას. თვით ჭეფე, ბეღისაგან დევნილი, გვაუწყებს ცნობებს საკუთარი აღელვებული ცხოვრებიდან. იგი იყო უფროსი ძე ვახტანგ მეხუთისა (შაჰნავაზისა), დაიბადა 1647 წ. და, განგებითა ცისათა, დრო-გამოშვებით მეფობდა იმერეთში და კახეთში და რა დაჰკარგა ორივე ტახტი, გადასახლდა რუსეთს, სადაც მისი საყვარელი შვილი, ალექსანდრე, ტყვედ წაიყვანეს შვედებმა ამათთან პეტრე დიდის ნარვის ომის დროს. არჩილ მეფე შვილის განთავისუფლებისთვის გზავნის ელჩებს და მოწოდებას დასაელეთ ვეროპის მეფეებთან. ალექსანდრე გარდაიცვალა რიგაში 1711 წ. გარდა რუსეთისა არჩილმა ძალა-უნებურად ნახა სპარსეთიც და აქ მიიღო მაჰმადიანობა შაჰნავაზ-ხანის სახელწოდებით. ცოლად შერთეს მშვენიერი ქეთევანი; თეიმურაზის შვილის-შვილი, საწინდრად წაყვანილი ახალციხის ფაშის მიერ, იმის მამიდის იმერეთის დედოფლის დარეჯანის ვალში. კახეთში გამეფდა 15 წლისა, გამოიჩინა ბრძნული ნიჭი მართვისა, მაგრამ ერეკლე I წაართვა სამეფო და გამეფდა იმერეთში ბაგრატის მაგიერ. კახეთში არჩილმა ტახტი დაჰკარგა სპარსეთის შაჰის ბრძანებით, იმერეთიდან განდევნეს ხონთქრის სურვილით და ხელ-ახლა გამეფებულ იქნა ხონთქრისავე მფარველობით ალექსანდრეს ტახტზედ. ალექსანდრემ მოიშველა ახალციხის ფაშა და არჩილი ჩამოაგდო ტახტიდან. იგი გაი-

ქცა რაქას და იქიდგან რუსეთს. აი ამ არეულს დროს, წვასა და დაგვაში ოსმალ-სპარსთა მფლობელობის ქვეშ, სცხოვრებდა არჩილ, კაცი გონიერი და რაინდის ხასიათისა, ნიჭიერი და განათლებული, გამსჭვალული სურვილით შეეზღუდა ლექთა ფარფაშობა კახეთს და ტყვეთა გაყიდვა იმერეთში. ბედმა წაართვა სკიპტრა სამეფო და მიუსაჯა კალამი, სახელმწიფოს აღორძინებისათვის არ ამუშავა და შექქმნა მისგან უნებურად პოეტ-ფილოსოფოზი. არჩილი გარდაიცვალა მოსკოვში 1712 წ.

„არჩილიანი“ და სხვა ნაწერები ქეფე არჩილისა.

„არჩილიანი“ საუკეთესო ნაწარაოებია მეფე არჩილისა. ამ 16 მაისცლოვანი ლექსით დაწერილს პოემას უძღვნის იგი ცხოვრებას და სალიტერატურო მოღვაწეობას მეფის თეიმურაზისას. არჩილმა ჩვეულებრივი სქემით გამოიყვანა მეფე თეიმურაზი და რუსთაველი, გააბაასა იგინი, რათა თვით მკითხველმა დააფასოს, ვინ უფრო მეტის პატივისცემის ღირსია. „რუსთაველი და ბატონი გავაბაასე და ორისავ ვსთქი, რომელს უფრო მართებდა მელექსობის გამოჩენა და აქვენ გაარჩიეთ უმჯობესი აწ ამაშილ“. თვით ავტორი ჩრდილში სდგას, თავის აზრს ბუნდად გვაუწყებს, თუმცა ბოლოს „ბატონის“ მხარეს დაიქერს. რუსთაველი მეფეს „ტკბილად, კრძალვით“ ეკამათება. მეფის და „ვეფხის-ტყაოსნის“ მგონსიხ. შორის კითხვა-მიგებითი ბაასია, დრამატიული დიალოგად პირველი პასუხი მეფისა ჰმოწმობს, რომ თეიმურაზი თამარ მეფის პოეტს თამამად ედარება:

„რუსთველო, უური მომაჰყარ,
გვადრიან მე და შენაო,
ზოგი შენ გაქებს, მე შეტყვის:
შოთამ გაჯობა შენაო“.

შოთა თავდაბლად უპასუხებს:

„მე რას ღირსყარ თქვენს ღარებს,
ამხანაგნი შემადარონ...“

ცუდად ღაყბობენ, შენმა მზემ,
ვინ შეადარა ბატონს ემა?“

მეფე იძულებულია გაებაასოს, რადგან მათ შედარებაზედ გაუთავებელი კამათია და თვით დარწმუნებულია თავის ჯობნაში, რადგან რუსთველმა ერთი ამბავი აუწყა და „ბოლოც სხვათ შეუთავესა“, ესე იგი გაგძლეება პოემისა სხვებმა დასწერესო. მეფე არ სთვლის მას თავისოდნადა, რადგან შოთამ სთქვა „იძულებით“, თამარ მეფის ბრძანებით, მან-კი საკუთარის „ნდომით“. რუსთველი ახლა კი ჰბედავს მკვახე სიტყვა მოახსენოს „შეუპოვარს“ ბატონს:

„ვთქვი ჩემგან უწინ არ თქმული,
არც შემდგომთ მოსაპოვარი,
თქვენ რა იშოვნეთ თქვენის თქმით?...
მე ვარ ძირი ღექსის თქმისა,
მელექსენი ჩემზე შენობს...
საქართველო სავსე არის,
ჩემი წიგნი ეგელგან გაჭქუნს?“

მეფე არ ეთანხმება შოთას, რომ იგი „ძირია ღექსის თქმისა“, შენ კი არა, „ჩახრუხაძეს უნდა დარჩეს პირველობა, ამას „ქორონიკონიცი“ გვაუწყებსო. მართალია, რუსთველიც ბევრს სჯობს, „ბატონსაც“ უყვარს, მაგრამ თვით ბატონი კი მას სჯობს, თუ შოთა გატყდება და გულს დააჯერებს. შოთას დიდებას მეფე აწერს შემთხვევითს გარემოებას და მოაგონებს საერო თქმულებას: „ერთს ქვეყანას არ იყო, ვირს დაარქვეს ვარდისხარ“. რუსთველი ნანობს რომ მეფეს „ჩაპყვა ბაასში“, ეტყვის მხოლოდ, რომ უწინ ყველამ იგი არჩია და ახლა როგორ გადაადგებენ. ბატონი უპასუხებს: „თუცა უწინ შენ გაჭებდენ, აწა ჩემგან დაკარგულავ“. არჩილი უმატებს აქ ისტორიულს ცნობას, რომელიც განმარტავს მეფის გაჭირვებულს მდგომარეობას მტერთა თავდასხმის წყალობით.

სად მეცალა ლექსისთავინ,
ჭირსა შინა გული იობს.
სხვას ჩემდენი განსაცდელი
ვის გადახდა არ თუ იობს?
ის მოიცლის საშიროდ,
ვინ არ ჭმუნავს, ვინ არ იობს.
ჩემსა ჯობნას, ვეჭვ, რუსთველი
გულს აჯერებს, განა გიობს.

რუსთველი თანახმაა იცნოს თეიმურაზის გამარჯვება „ხელმწიფობით“, მაგრამ ლექსის თქმით, განათლებით იგი თავს არ მოიხრის ბატონის წინაშე: „ათინას“ გაზდილია, სადაც იძენენ „სიბრძნეს“ და აზრის სიმახვილეს. თეიმურაზს „ერთის ამბის გადალექსვა“ რუსთველის მიერ დიდ საქმედ არ მიაჩნია, არც მისი ცოდნა აკვირვებს. მეო „ქართულს ენას მარილად ურთე სწარსული, თათრულიც გამირევი“ და ამ სამი ენის შეგებება მეფეს დიდად ამაყებს. რუსთველი უსამართლოდ სთვლის მეფის შეცილებას და უკვირს, ბატონის სურვილი „დამმონდეს და დამმორჩილდეს“, რადგან „ვეფხისტყაოსნის“ დამწერი მას „ველარ მიჰყვა“. გათამამებული მეფე ენაძლევა: თუ შენ მჯობხარ, გრემს მოგცემ და ზედაგადებ შერმე ბაზარს, თავს ვილით ავიმადლებ, წამოგასხამ განა მაზარს, პერი ხარ და ღიტრით მოგცემ სიჭაბუკის შესაფაზარს.

რუსთველი ახლა კი უარყოფს მეფის საჩუქარს და თამამად ეუბნება რომ მეფეს არა დაუწერია-რა, რაც მას ეთქვას „უკეთესად“. მეფე ამაზედ ჯერ გაჰკიცხავს დიდებულს პოეტს, რომ მან „ჯავახური მძიმე ენა“ შემოიღო და მერმე ბძანებს:

„მართალია შენი წიგნი.

კარგი იყო აქამდისა,

ახლა ჩემმა დააჭარბა,

ამოდ ცრემლი ჩამოგდის“.

რუსთველს არ სჯერა, რომ „ძველი“ წიგნები წახდებიან და მისი ნაწერის ღირსება მტკიცდება თამარ მეფის და-

ჯილდოვებით. ვინ ამბობს წიგნები წახდებიანო, შეეკამათება მეფე და ჩამოსთვლის ძველი და ახალი აღთქმის ნაწილებს, დაასახელებს მოსეს შესაქმეს, გამოსვლას, რიცხვთა, ლევიტელთა, მეორე რჯულს, აღნიშნავს სხვა წიგნებსაც—რუთისა, მეფეთა, ნეშთს, წინასწარმეტყველთ და დასკვნის: „ძველი წიგნი ოც-და-ოთხს, ვით ეპირაქთ ანბანია“. განიხილავს ოთხ-თავის დამწერს, საქმეთა მოციქულთასა, ათს მცნებას და სხვათა, რათა დაუმტკიცოს შოთას თავისი გაწვრთნა სამღვთო წერილში. რუსთველი შენიშნავს, რომ მეფის ნაწერებში ბევრი უსწორ-მასწორობაა და ჰსჯის გადასწყდეს ბაასი მით, რომ საღვთო მეფემ „დაიკიროს“ და საერო მას „უბოძოს“ და ათავეს შეეკამათებას სიტყვებით:

„თქვი, რაც გინდა სპირძანებლად
გარდაიწყდეს ერთხელ რიხმე,
ისიც აუღ ჩაჴმართვეს,
თუ აქამდე არ დაგიომე“,

თხუთმეტი პასუხ-მიგებით დაავთავრა არჩილმა ბაასი „ბატონის და რუსთაველისა“ და თითქმის თავი მოახრევენა შოთას მეფის წინაშე. კამათი მით არის საყურადღებო, რომ ავტორმა თეიურაზს მიუსაჯა იქდენად მაღალი პოეტური ნიჭი, მოჰფინა იმგვარი ღირსება გვირგვინოსანს მგოსანს, რომ შესაძლო გახდა მისი დაპირდაპირება შეუღარებელს პოეტთან თამარის მეფის დროისას. სჩანს, თეიმურაზი არჩილის თანამედროვე მკითხველთათვის სახელ-განთქმული მწერალი იყო.

მეორე კარი „ამბავი მეფის თეიმურაზისა. რომელი სიყმაწვილით სიკვდილამდის გარდაჰხდეს“ მოჰწმობს, რომ არჩილი რუსთველის ენის გავლენას დაუმონებია: ეპიტეტები, განმარტებანი რუსთაველისებურია და გვაგონებს როსტევეანის აღწერას. არჩილი თეიმურაზს ათქმევინებს, რომ მისი პაპა (ალექსანდრე II) კახეთს იყო ხელმწიფედ „მშვიდი, მოწყალები, მდაბალი. ევლავ მშვიდდოსანი უსახო, მტერთა მძლეველი ძლიერა“ ალექსანდრეს ჰყვანდა ოთხი ვაჟი: დავით, მამა თეიმურაზისა,

ირაკლი, გიორგი და კონსტანტინე. პირველნი სამნი გათქმულნი იყვნენ თავიანთ სიჭველით, მეოთხემ მოჰკლა მამა და ძმა დავით და მოისურვა ამ უკანასკნელის ქვრივის ქეთევანის შერთვა. კონსტანტინე გაიზარდა სპარსეთს და იქ გაირყვნა. ქეთევანმა, დედამ თეიმურაზისამ, უარჰყო „მონდომა“ კონსტანტინესი, რომელსაც მფარველობას უწევს შაჰი. კონსტანტინე მოჰკლეს და კახეთის ტახტზედ ავიდა თეიმურაზ სპარსეთის ნება-რთვით. თავადნი და ღიდებულნი მიეგებებიან ბატონს, გრემს სუყველანი მიესალმნენ, დედა ცრემლ-მორეული გადაეხვია შვილს, დიდის ამბით ეკურთხა მცხეთას მეფედ. „გვირგვინოსანი, პორფირცმული, ხელსკიპტრიანი 13 წლოვანი მეფე ნადირობდა და ბურთაობდა, ხოლო „საპატრონოსა საქმესა“, სამეფოს განაგებდა დედოფალი. საცოლოც მოუძებნა დედამ—გურიელის ასული, ორმოცი დღე ქორწილში ილხინა და ამ გვარ სიამოვნებაში მეფე ატარებს უზრუნველად დაბრუნების შემდეგაც. ნადიმობა და ნადირობა „ქორთა სიმრავლით“ აესებდნენ მეფის ახალგაზდობის ხანას. დაწვრილებით ასწერს არჩილი ნადირობას გაზაფხულს, ზაფხულს, შემოდგომას და ზამთარს ტყე-მინდვრად, თითქოს მაშინდელი ქვეყნის ბატონისთვის ქორ-მეძებრების გარდა სხვა სამზრუნველო საქმე არა იყო რა. როცა ერთი შვილი ხუთის წლისა გაუხდა და მეორე ოთხისა, მეფეს ლხინი შეეცვალა გლოვად: მან დაჰკარგა ლამაზი და სათნოიანი მეუღლე.

ჟამი გარდახდა შუებისა,
მთვიდა გლოვა-წუხილი,
ღხინმა მიმრია, შემეკმნა
გულს ურვა, თვალთა წუხილი,
ღვარად მდიოდა სისხლისა
ცრემლი. ისმოდა ქუხილი,
ნადიმი აღკრბა, სერობა,
ოდენ მაჭამეს წუხილი... და სხვა.

ეს გლოვა მოყვანილია მეფე თეიმურაზის ნაწერთა კრე-

ბულშიც (გამოც. ზ. ჭიჭინაძისა, ტფ. 1886, გვ. 59—60).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს „ამბავი მეფე თეიმურაზის მგლოვიარობისა დედოფალზე“ ეკუთვნის არჩილს და არა თეიმურაზს. „გლოვა“ შეტანილია თეიმურაზის ნაწერებში მხოლოდ იმიტომ, რომ მას შეეხება. „არჩილიანის“ ლოგიკური მსვლელობის მიხედვით და შინაარსისადმი დაკვირვებით ეს გლოვა „კარი მეცამეტე“, მოქცეული „არჩილიანში“ კონტრასტიულად მოწინავე კართან, საცა აღწერილია მეფის უზრუნველი ნადირობა — ნადიმობა და დაკავშირებული მოთხრობის მსვლელობით მეთოთხმეტე კართან „მეორედ მეფის თეიმურაზის მგლოვიარის ყვენისაგან დაპატიჟება“ უეჭვოდ ხდის იმ მოსაზრებას, რომ „გლოვა“ შეცდომით მიაწერეს თეიმურაზის კალმის ნაწარმოებს.

თეიმურაზი მგლოვიარე მიიხზო ყვენმა, უბრძანა შავის ახდა დაუყოვნებლივ და მეორედ ნახვის დროს შაჰმაო „მითხრა: ლუარსაბ მეფესა გამოყურებ, ორნივ მეფენი გაერთდით, ჩემიც ქვისდი იქნები“. თეიმურაზმა მოახსენა, რომ რჯული ნებას არ აძლევს ლუარსაბის დაი შეირთოს, რადგან ახლო ნათესავნი არიან. ყვენმა თავისი დაიჟინა და თეიმურაზი დაუმოყვრდა ლუარსაბს. „არჩილიანის“ ეს ნაწილი მოგვითხრობს შავს ისტორიულს ამბავს, როგორ გადაჰკიდა შაჰმა ქართლი და კახეთი, მიუსია მათ ჯერ ყაზახის ხანი და შემდეგ თვით დაატყდა თავს შემმუსვრელი ბრბოთი. შაჰაბაზის მრისხანების დასაწყნარებლად დედოფალი ქეთევანი გაეშურა სპარსეთს და თან წაიყვანა თეიმურაზის უმცროსი შვილი ალექსანდრე. შაჰმა მოინდომა უფროსი ვაჟი ლევანი, რადგან ალექსანდრეს „ძიძობა“ არ მოისურვა. მეფე მეორე ვაჟსაც უგზავნის, თუმცა დარწმუნებულია, რომ შაჰი წინააღმდეგ დაპირებისა, ორივე შვილს დაუღუპავს. ამ დროიდან იწყება საქართველოს აოხრება სპარსეთის მიერ იმ წერტილამდის ასული, სადამდისაც არ მიულწევია არც ერთს მტერთა შემოსევას. მეფე თეიმურაზმა შიშით ვერ გაბედა შაჰის ბძანება შეესრუ-

ლებინა და ხლებოდა მას სპარსეთს. განრისხებული ყენი დაესხა საქართველოს თავს. ქალეთს თეიმურაზმა გაიმარჯვა სპარსეთის ჯარზედ, შეუერთდა მუხრანში ლუარსაბს და ერთად გადასწყვიტეს, თუმცა არაგვის და ქსნის ერისთავნი მათ მხარეზედ იყვნენ, გარდაქცეულიყვნენ ლიხს იქით—იმერეთს. შაჰბაზი გამაგრდა გორს. გამოიტყუა ლუარსაბი იმერეთიდან, და დააჯერა, რომ იგი ეომება თეიმურაზს, პირადს მოძღლეს, და ლუარსაბს იგი გაუწევს მფარველობას. ამ ვერაგობით თვალ-ახვეული ლუარსაბი გაჰყვა შაჰს ყარაიას სანადიროდ, იქიდგან ყარაბაღს და მაზანდარანს, საცა სიკვდილით დასჯილ იქმნა. ამოად ურჩევდნენ ლუარსაბს მეფენი თეიმურაზ და გიორგი, აფრთხილებდნენ ყენის მუხთლობისაგან.

მეფე თეიმურაზი ნოდარ ჯორჯაძემ და დავით ასლანი-შვილმა ჩაიყვანეს ისევ კახეთს, როცა შაჰი დაბრუნდა სპარსეთს. გაიგო. რა ეს ამბავი ყენმა, გაგზავნა ჯარი ალიყულიხანის წინამძღოლობით, რომელიც საშინლად დამარცხებულ იქმნა არაგვის პირას. მეფეს დიდი დავლა დარჩა. ყოველი მხრიდგან გამარჯვებას ულოცავდნენ. ყენი სისხლის აღებას ემუქრებოდა. ამიტომ თეიმურაზი მეორედ ცოლ-შვილით გაიქცა იმერეთს და იქიდგან საათაბაგოთი წავიდა ხონთქართან, ხოლო ცოლ-შვილი დასტოვა ოლთისს სახლთხუცესის ნოდარ ჯორჯაძის იმედით. ყენმა უბრძანა ერეკნის ხანს ამირგუნს დედოფლის შეპყრობა, მაგრამ ჯორჯაძემ გაჰკვეთა მტერთა ბრბო და ჩამოვიდნენ რა გონიას, მოემზადნენ რუსეთისკენ წასასვლელად. ამ დროს შაჰბაზი საქართველოს ასაოხრებლად გამოგზავნის მოურავს გიორგი სააკაძეს და ზურაბ ერისთავს. ამათ თან გამოატანს სვიმონ მეფეს, ბაგრატიონ შვილს, ქართლის ტახტზედ ასაყვანად. მოურავმა უღალატა შაჰს, გადავიდა ქართველთა მხარეს, მოჰკლა ყარჩიხანი, სპარსთა ჯარი გაჰფანტა. მოურავი გასწევს კახეთისკენ, რომელსაც აჩქარებით თავს დაანებებს ფეიქარხანი და

თეიმურაზს კვლავ მოიწვევენ მეფედ. საყურადღებოა, რომ არჩირი ომის დაწყებამდე წამოაყენებს სხვადასხვა დიდებულს (ერისთავნი, ბარათაშვილი, ათაბაგი მანუჩარ, ვაჟაკანი ქართველთა და კახთა) და ალაპარაკებს მათ, პატრიოტული კრძნობით გამსჭვალულთ და შებრძოლების მოსწრაფეთ. მარალაც, შეერთებული ძალით გაიმარჯვებს მტერზედ, მოურაღი ძლიერა-მოსილი გამოვიდა განსაცდელისგან, თეიმურაზს მსხტაში შეპფიციეს ერთგულება. შაჰმა ყორჩიბაშს მიანდო ქაითველებზედ გალაშქრება. ქართველნი დამარცხდნენ ალგეის წყალზედ, ტაბახმელასთან. სხვათა შორის მაშინ დაიხოცნენ ცხრა ძმანი მაჩაბელნი. ქართველებს თავიანთ შორის ჰკავთ მოწინააღმდეგე — გამაჰმადიანებული ანდუყაფარ ამილახარი, რომლის ცოლი ყორჩიხანის ასულია, სვიმონ მეფის ცოლის დაი. ამიტომაც ანდუყაფარ და ცოლი მისი შეიპყოეს საფურცლეს და არშას ციხეს (მთიულეთს) დამალეს. გაჰარჯვებულმა ყორჩიბაშის ჯარმა როსტომ მეფის (ხოსრომირზის) მოთავეობით გადაეღეს მთიულეთი და გაათავისუფლეს ამილახორი ცოლითურთ. ქსანზედ კი მოურავემა აჯობა ყორჩიბაშს და თეიმურაზი კვლავ გამეფდა. ამ ხანებში მოკვდა შაჰაბაზი, მოურავეი გაამაჰდა თავის „ბასრი ხმლით“ და უსიამოვნება ჩათესლა დიდებულთა შორის თავის საქციელით. აუჯანყდნენ მას შეურაცყოფილნი, შეეტაკნენ ბაზალეთს და განმარტოებული იმიერ-ამერთა მიერ მოურავეი გაიქცა ხონთქართან. მოურავეის მოქმედებას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით, როცა „დიდმოურავეიანის“ გარჩევას შევეუდგებით და მაშინ ვნახავთ, რითი გაათავა ამ შესანიშნავმა კაცმა თავისი მრავალჯერ ცვლილი და აღელვებული ცხოვრება.

გავიცანით რა მოკლედ „არჩილიანის“ ისტორიული ნაწილი, უნდა აღვნიშნოთ, რაში მდგომარეობს ამ თხზულების ღირსება. რა თქმა უნდა, ისტორიული ამბები სინამდვილით არიან აკინძულნი, და მხოლოდ ამ მატრიანებურის მოთხრობით რომ ისამზღვრებოდეს „არჩილიანის“ ღირსება, მაშინ მას

არ შევეცებოდით ლიტერატურის ისტორიაში. ამ ჰენაში ჩვენს ყურადღებას იქცევს ის პატრიოტული გრძნობა, რომელიც მას აძლევს სალიტერატურო ელფერს, გარეშე ჰატიანისებური ამბავთა აღნუსხვისა. ეს გრძნობა ისე მტკიცედ და მძლავრად არის ჩაკინძული პოემაში, როგორც გუაში-შვილის „დავითიანში“, მაგრამ ხასიათი და შემოქმედებით სქემა კი ერთი და იგივეა. მოტივი აღმაფრენის მსგავს და შინაარსი ერთნაირი საისტორიო მომენტია. შინაურული განხეთქილება და მტერთა ამ განხეთქილებით სარგებლობა საქართველოს დასასუსტებლად—აი დედა აზრი ამ ორივე პოემისა. მაშასადამე, ჩვენთვის ამ ნაწარმოებში ის გრძნობა და შეხედულებაა დასაფასებელი, რომლის მიხედვით ავტორები განიხილავენ საქართველოს მოუწყობლობის მიზეზს. უმთავრესი ძალა, რომელიც ჩვენს ქვეყანას ძირს უთხრიდა,—იყო შეუთანხმებლობა, დიდებულთა სიამაყე და მათი სურვილი პირველობისა და დაჩაგვრა მამულის სამსახურის აზრისა, თუ ეს პირველობა სხვას შერჩა.

ასე სჭირს საქართველოს,
დიდებულთ გისა მცირეთა.
აზვავდებიან, იტყვიან:
უჩემოდ, ვინ იმღერითა...

ამბობს მეფე არჩილი და ამით უჩვენებს ფეოდალთა განცალკევების მიზეზს მამულის სავნებლად. მეორე საქართველოს დამარღვეველმა ძალამ ფეხი მოიკიდა ენატანიობაში, შაჰთან დაბეზლებაში და მტრობის ჩათესლებაში.

ენას აქვს გესლი ბორბტი,
უმწარე ასპიტისაგან,
თვით დამიცდია აგრეთვე,
ვითა მასშია სხვისაგან.

ამას დაერთო რენეგატობა, ქრისტეს უარყოფა ერთის მხრით და მოუღრგეკელი აღსარება ახლისა ალთქმისა. საქართველო და მისი მეფენი განსაცვიფრებელი სიადვილით უარ-

ჰყოფდნენ სახარებას და მუსულმანობას ეამბოროებოდნენ. ამავე დროს მტკიცედ დამცველნი მამაპაპატა რჯულისა, როგორც ქეთევანი და თეიმურაზი, შაჰის ძალდატანებას არ ემორჩილებოდნენ, თავი მალლა, ღირსებით ეჭირათ და მარხვაში ხორცის ჭამასაც კი არ კადრულობდნენ. აი ორი ადგილი „არჩილიანიდგან“ ამ აზრის დასასურათებლად: „მე (თეიმურაზი) ქრისტიანი მეფე ვარ, ის (როსტომი) არის თათრის რჯულზედა“. ანუ თეიმურაზის შეურაცყოფა ყვენის მიერ ამისივე სასახლეში იმის გამო, რომ ოთხშაფათს, „ჯვარცმულთა რჩევის“ დღეს, ხორცი არ სჭამა და განრისხებულმა შაჰმა მოხუცს მეფეს „თასი სავსე ღვინით პირსა“ შეაქცია. სარწმუნოებითი გრძნობის დაკავშირება მამულის სიყვარულთან და მამადის რჯულის შეთვისება ხშირად სამშობლოს დასარბევად, აი ის ბოძი, რომელმაც შეჰქმნა ქართველთა გაერთიანება და შემდეგ გახდა ერთი მიზნთაგანი ქვეყნის დაღუპვისა.

„არჩილიანის“ დამწერი, როგორც მოწამე ამ გამწვავებული გარემოებისა და ქრისტიანობის კერის დაფერფლვის დროსა მებატიანის მსგავსად აწერს სასოწარკვეთილს მდგომარეობას მეფის თეიმურაზისა და მაშინდელი საქართველოსი. ტახტს დაშორებული მეფე ეძებს შველას იმერეთს, სპარსეთს და რუსეთს, მაგრამ ყველგან ამაოდ. მოსკოვის ხელმწიფემ ალექსი მიხაილოვიჩმა პატივისცემით მიიღო, მაგრამ მატერიალური დახმარება კი ვერ აღმოუჩინა. დევნილი და დამცირებული მოხუცი მეფე სულს აბარებს ღმერთს ასტარაბადს, სათათრეთში, მოასვენეს და ალავერდს დაასაფლავეს სახელოვანი, ტკბილ სიტყვა-პასუხიანი კაცი. დადუმდა მისი „ენა რიტორი“, რომლის წინაშე თვით თათარნიც კი სანთელს ანთებდნენ.

საკვირველი არ არის, რომ ამ მწუხარე ეპოპეას და მეფის შხამიანს თავგადასავალს, არჩილი ელფეგიური კილოთი ათავენს: „დიდება ყოვლი სოფლისა განქარდეს ვითარცა ავლი“.

ასეთივე ტრაგიკული სვე ხვდა თვით არჩილსაც, მან ბევრი მწუხარება გამოიარა, როგორც უკვე ზემოთ ვსთქვით, „არჩილიანის“ დასასრულში ავტორი მეფე შემკრები „მართლისა და გაგონილის მართლის ამბავისა მეფეთა საქართველოთა“, იგონებს, როგორ მთა-ღრე იარა ორი წელიწადი, ეძია საფარველი იმერეთს, შემდეგ ოსეთს, სადაც დასწერა მომეტებული ნაწილი თავის პოემისა, დასასრულს შეეკედლა რუსეთს და „აქ აშთარხანს გაათავა“ „არჩილიანი“. დამწერი მხოლოდ „შენდობის ბრძანებას“ ითხოვს და გამქვალული აზრით, რომ „სოფელი უნაყოფოდ“ არ დააგდოს, სამეფოს მოშორებულმა, გვირგვინახდილმა „კუდათ ყოფნით ამის მეტი სხვა ვერა-რა იმუშავა“.

არჩილ მეფეს ეკუთვნის „საქართველოს ზნეობა“, ენციკლოპედიური შემოკრება ცნობათა ძველ ქართველ ნწერალთა შესახებ, „ანბანთ-ქება“, პოემა „ნარგიზოვანი“, „ბროლის სვეტი“, „ვისრამიანის“ ლექსად გარდათქმა და ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრების გარდმოთარგმნა სერბიულ, „ალექსანდრიდგან“.

საქართველოს ზნეობა წარმოადგენს დარიგებას და აღნუსხვას რა-და-რა საგანი და ვარჯიშობაა საჭირო განათლებული და კეთილად აღზრდილი კაცისთვის. ამითი აიხსნება ამ ნაწერის გრძელი სათაური, რომელიც დაუცვავს ერთს ხელნაწერს: საქართველოს ზნეობა, რომელი ჯერ არს ასე ვითარად წვრთილება კაცთა, რომელთა ჰნებას, რათა სრულიყოს საწუთოსა ამის ზნე-კეთილობათა მიერ, ესე ყურადიხვენ და გულად მიიხვენ“. მეფე ორ დასად ჰყოფს შესასწავლ საგნებს: გონების და ტანის გასავეითარებლად. გონებით გასაწვრთნელად საჭიროა: ხუცური და მხედრული წიგნების კითხვა, წერა „მრგვალოვანი, ყვავ-ფრჩხილოვანი და ასომთავრული“, „ლექსთ-მთარგმნელობა“, ესე იგი პოეზიის განმარტება, „მელექსობა“, ანგარიში, მესტროლაბობა, სამართალი, საურთიერთშორისო უფლება — ელჩობა — მოციქულობა, მხა-

ტერობა, გალობა, ზდილობიანი ქცევა, „კარგა ჩამორთმა სიტყვისა“, ზმა. სამღვთო წერილი სათავე უნდა იყოს გონებითი განვითარებისა. ფიზიკურად აღზრდისათვის დანიშნულია: ბურთაობა, მხედრობა, სროლა, ქვის-გდება, ყაბახი, ცხენოსნობა, ჩალიჩი, ლახტი, ნადირობა, მკურაობა, ხტომა, ქადრაკი, ნარდი. გარდა ამისა ზნეობითი თვისებებიც უნდა აღიზარდოს: პურადობა, მამაცობა, სიფრთხილე, ხუმრობის ატანა. თავდაქერა, მოქალაქობა. ასეთ დარიგებას შეხედებით არჩილის „ზნე-ობაში“.

უდროდ და უაღაგოდ,
ნუ იმღერი, ნუ ისამე,
ჯდომასი ფერხი გარეაი
ზეით არ უნდა დაიდო.

„ბატონთან და უფროს კაცთან მჯდომი არას გარედ ეყუდო“... „მეფესა თუ რასმე ზრახვიდღე, ნუ ათამაშებ ხელფეხსა“... რამდენიმე დარიგება შეეხება მეფესთან და ბატონთან დამოკიდებულებას: „ბატონი თუ ჯდეს მოწყენით, უთქმელად დასულებული, ნურც შენ იცინი მასთან, დუმენინ სუღადღებული“; ანუ: „თუ რამ ბატონმა გიბოძოს, ორის ხელით ჩამოართვი“, „ოდეს ბატონი ჰბრძანებდეს, ... ნუ ჯანჯანობ, დაწუმი“.

„არჩილიანს“ წინ უძღვის მოკლე განხილვა საქართველოს ძველ მწერალთა. იგი ასახელებს შემდეგს მწერლებს, გარდა რუსთველისა: „ჯაგლაგი“ ქაიხოსრო ფაველენიშვილი (თუ მუხრან ბატონი?) მთქმელი ლექსად „ომანიანისა“, ნოდარ ფარსადანიძე, შემქმელი „ბარამ გურიისა“, ბარძიმ ვაჩნაძე სამის წიგნის (საამისა) გამლექსავი ოდიშს, ბრძენი იაკობ სამებელი, ფეშანგი, ფაშვი ბერტყაძე—ფირმანიანის ავტორი, თანამედროვე არჩილისა, სულხან თანიაშვილი, გარსევან ჩოლაყაშვილი, რომლის შესახებ ზემოთ იყო ნათქვამი; გაკვირვით ახსენებს ბააკა დვალიძეს და დაფინა ქვარინს, რომელთაც „მელექსეთ“ არ სთვლის. ამ მოკლე ბიბლიოგრაფი-

ულს ცნობებს აქვს თავისი ღირსება და გვიჩვენებს მეფის კრიტიკულს ნიქს და გონებით განვითარებას.

არჩილ მეფეს ერთი დიდი ღვაწლი კიდევ სხვა მიუძღვის სამშობლოს წინაშე. გადასახლდა რა იგი მოსკოვს, გახსნა აქ სტამბა, აღბეჭდა ქართული წიგნები, რომელთაგან პირველი იყო დავითნი, გამოცემული 1705 წ. ამ გვარად არჩილი ვახტანგ მეფეზედ აღრე შეუდგა ქართული წიგნების ბეჭედვას.

მოსკოვს მისი ბრძანებით ბერძნულიდგან სთარგმნა ხრონოლრაფი ბაგრატ სოლოლაშვილმა მთაწმინდელმა. მეორე ნაწილი თითონ სთარგმნა.*) არჩილის პოემა „ნარგიზოვანი“ არ არის აქამდის აღბეჭდილი. პოემა ვი ფურცელი იქნებაო, სწერს ზ. კიკინაძე და მოჰყავს ერთი ნაწყვეტი:

ქართლის სამოთხე, ვითა სამოთხე
აგნი არ სჭირან, ვიცი სამოთხე,
მდინარეს ჰირსა, სდგანან სამოთხე
მას ჰქვიან სახელ—ქართლ მშვენიერი.

„დგანან ხელ-ხელნი, ქვე სხედან ერნი, ვარდნი მწვანე, ზურმუხტის ფერნი, მათნი მნახველნი, გაყმდების ერნი, ჰქვიან მას სახელ—ქართლ-მშვენიერი. ქართველნი ლომნი, უყვარან ომნი, ბრძენი სამოთხნი, საეროდ მდგომნი, ნადირთა მმუსრნი, მოედანს მხლომნი, ჰქვიან მას სახელ—ქართლ-მშვენიერი. ქართველნი ქალნი, მათ ბროლ-ფიქალნი, თეთრი ყირმიზი, პირზედ აქვს ხალნი, მათთა მნახველთა მოედვას აღი, მას ჰქვიან სახელ—ქართლ მშვენიერი“. ეს ნაწყვეტიც ჰმოწმობს, რომ მეფე „ნარგიზოვანში“ შეაქვებს ქალთა სილა-

*) აი სათაური ამ წიგნისა: ხრონოლრაფი დასაბამიდან სოფლისა კონსტანტინე პალეოლოღის მეფემდე. პირველს გვერდზე ვკითხულობთ: ხრონოლრაფი ესე არს თარგმნილი ბერძნულისა ენისაგან ბაგრატ სოლოლაშვილის მთა წმინდელისაგან ბრძანებითა მეფის არჩილისა მოსკოვს 1692 წ. ტომი მეორე. ხოლო შემდგომი რუსულისაგან ენისა თვით „არჩილ მეფისა მოსკოვსვე“. არჩილის თარგმანში რუსისციზმებია, მაგალითად „პამიათნიკი“.

მაზეს და საქართველოს ბუნებას დამღერის. არჩილს ეკუთვნის რამდენიმე მხატვრობითი ენით დაწერილი ლირიკული ლექსი, იამბიკონი, შაირნი, „გაბაასება კაცისა სოფელთან“*. მოვიყვანთ მხოლოდ ლექსს „ბროლის სვეტი“.

აღმართნა ბრძოლნი სვეტისა.

რა მზემან ნახა, იამა,
უფრჩქენელსა ვარდსა კოკობსა,
ჯარით შეეღვა, შეესხმა.
ორთავე დენა დაიწეეს,
ბრძოლმა, ლაღმა და იამა
და იტვირთა ცუარი თბოლი,
სადაფის კარმა დიამა.

მეორე ტაეპს „ორსა ბროლისა ბურთს შუა შიგან უფასო თვალთა“ და სხვ. გარდათქმით განმარტავენ, ბიწიერს მნიშვნელობას აწერენ და ამიტომ მას გამოვეტოვებთ, აგრეთვე მესამე ტაეპსაც და აღვნიშნავთ მეოთხე ტაეპს:

მოლოდინი ვირემ ვშინჯო,
კედელნი, თუ ანუ კარნი,
ადეს იქმნას მთვარე ვნახო,
ამისრულდეს სანუკარნი,
თუ არ ვნახო, როგორ გაუსილო,
თვალთა ცრემლი ვაწანწკარი
და ეგრე შექმნას სატრფოს ნაცვლად,
კარს ნახადი მოსაფარნი.

ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრების გადმოთარგმნაც არჩილ მეფის განკარგულებით და დახმარებით მოხდა.

ისტორია აღმქსანდრე მეფისა მაკედონისა *).

ალექსანდრე მაკედონის მეფის ცხოვრებამ შიიქტია მეცნიერთა

*) სრული სათაური: „ისტორია აღმქსანდრე მეფისა მაკედონისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა, ჩრდილოეთისა და ყოვლისა სამხრეთისა

უკრადლება. ამ გასაცარი მხედართ-მთაფრის მოქმედებამ დაჰბადა აღწერა მისი ცხოვრების ისტორიკოსთა და რომანისტთა მიერ. ამ უკანასკნელთ გადააკეთეს ის, რაც შემატანეს მიერ მოთხრობილი იყო და გამოგონილი ფანტაზიით ცნობანი და მოქმედებანი დაურთეს. ასე წარმოსდგა ცნობილი ცრუ-კალისტენის მოთხრობა, სხვადა-სხვა რედაქცია ცრუ-კალისტენის მოთხრობისა გარჩიეს ევროპულთ და რუსთა მეცნიერებმა და სხვათა შორის აღნიშნეს სერბიული გარდაქმნა, რომელიც მომდინარეობს ბერძნული რედაქციიდან. როგორც სხვა ჩვენი შწერლობის ნაწარმოებნი, დასაფლეთთან დაკავშირებულნი, „ცხოვრება ალექსანდრესი“, საფიქრებელი იყო, უნდა ცადმოეღოთ ბერძნული ენიდან და არა სერბიულად გადაკეთებული რედაქციიდან. შედარებამ ქართული მოთხრობისა ალექსანდრე მაკედონელის შესახებ ცრუ-კალისტენთან, ე. ი. ბერძნულ უძველეს დედანთან, დაგვარწმუნა, რომ ჩვენი „ისტორია ალექსანდრესი“ გადმოუთარგმნიათ ცრუ-კალისტენის ნაწერიდან კი არა, — არამედ სერბიული რედაქციიდან. დასაწყისი ქართული მოთხრობისა უკვე ამოვრებს მას ცრუ-კალისტენის ისტორიას: „იტყვიან ძედ უოფად მის მაკედონიის მეფისა ფილიპესად, არამედ არა არს ესრედ და ცრუ არს ესე უოფელივე. არს იგი ძედ მკგვიპტის მეფისა ნეკტანფისა და ფილიპეს ცოლისა დედოფლისა თლიმზიადესი“. სწორედ ამ სიტყვებით იწყება სერბიული რედაქცია. ხოლო ცრუ-კალისტენი, რომელიც ჩვენ ყანით ბერძნულად, ლათინურად, სომხურად და სხვ. შეუდგება ალექსანდრეს ისტორიას სხვაგვარი დასაწყისით. შესაძარებლად მოვიყვანთ სერბიული რედაქციიდან: „Глаголюштии бо іего быти сына царіа Филиппа, льжоуть, нь сы сынъ іестъ царя егупетскаго Анехтанова и царице Олимпіади“. თუ დაუბირდაპირებთ ქართულს თარგმანს, მაშინ ექვს გარეშე იქნება

და თვით მპყრობელისა მეფეთ-მეფისა“. ლექსად დაწერილს ალექსანდრიას: „ამბავი ძველ მოსახსენებელი დიდისა და პატროსნისა კეთილის მოქმედისა კაცისა და ცათ-ქვეყანათ მპყრობელისა და მეფისა მაკედონელისა ალექსანდრესი—შობისა და ცხოვრებისა და სიზნისა მისისათვის“.

თქვენთვისაც, რომ იგი გადმოღებულია ამ სერბიული რედაქციიდან და არა პირდაპირ ცრუ-კალისტენიდან, რომლის დასაწყისს მოკიუვანთ ბერძნულ-ლათინურად: *Oi sophotatoi Aigyptioi theon apogonoi, ges meta cotalaboeno* და სხვ., ლათინურად: *Aegypti sapientes sati genere divino primo ferunter...* გარდა ამ დასაწყისისა, მარშრუტი, ანუ ალექსანდრე მაკედონელის მოგზავრობას კეკმა ქართულში წააკვს სერბიული რედაქციის და არა ცრუ-კალისტენის მოთხრობას. რომ ქართული მოთხრობა გადმოღებულია სერბიული რედაქციიდან, ამას მოწმობს ერთი განმარტება, გლოსისა, დარჩენილი ქართულს თარგმანში: „მაკრინი სერბიულისა ენითა მხლობელად იწოდების“. შესაფერი ადგილი სერბიულს რედაქციაში იკისება: „макароны во сьрьбскомъ ѳзыку блажени на ричоутьсе“. ქართული შკითხველისთვის სრულიად საჭირო არ იყო სცოდნოდა, რას ნიშნავს სერბიულად „მაკრინი“ („მაკარონი“), თუ რომ გადმოძღვებს თვალ-წინ არა ჰქონოდა სერბიული დედანი. გარდა ამისა ეს განმარტება სერბიულთათვის საჭირო და ქართულთათვის მეტხორცად თარგმანში შერჩენილი, გადმოძღვებს რიგინად ვერ გაუგია, რადგან სერბიულს ენაში ვერ უოფილა გაწვრთნილი. მის აურეგია ერთმანეთში ორი სიტყვა სხვა-და-სხვა მნიშვნელობიანი, თუმცა წერით დახლოებული. სერბიული „блажени“ მას წაუკითხავს და გაუგია იმ მნიშვნელობით, რომელიც მიეთვისება სიტყვას „блжени“ და ამიტომ ბлажени („მაკრინი-მაკარონი“) გადმოუღია „ნეტარის“ მაკიურად „მხლობელად“, ვლი წაუკითხავს злато-დ და უთარგმნია „ოქროდ“. გარდა ამ თვალსაჩინო დამტკიცებისა, ჩვენს თარგმანში სხვა საბუთებიც მოიპოვება, რომ იგი სერბიული რედაქციიდან მომდინარეობს. ის დედანი, რომლიდანაც გადმოღებულია ქართული მოთხრობა ალექსანდრეზედ, გადმოკეთებულია ცრუ-კალისტენის მესამე რედაქციიდან და ეკუთვნის იმ ჯგუფს, რომელსაც შეადგენენ ახალ-ბერძნული სახალხო წიგნი ალექსანდრეს მოღვაწეობის შესახებ, ვენის ხელნაწერი და სერბიული ალექსანდრე. დაწვრილებითი შედარება მათი და აღნიშვნა ქართული თარგმანის მათთან ნათესაობისა მოყვანილია ჩემს რუსულად დაწერილს „ქართული ლიტე-

რატურის ისტორიაში“. აღენიშნავთ აქ მხოლოდ ბერძნული სახე-
ლების სერბიულად გადაკეთებას „ალექსანდრიაში“ და ამ შეცვლილი
სახით მათ შეტანას ქართულს თარგმანში, რაიც ამტკიცებს ქართუ-
ლი მოთხრობის დამოკიდებულებას სერბიულს „ალექსანდრიაზედ“.
ამ გვარს სახელებს ეკუთვნიან: აცაღუ, ვერანუშ, ლევკადუშ, აგამუშ
და სხვ., რომელშიც ბერძნული ს შეცვლილია შ-ად, როგორც სერ-
ბიულს, აგრეთვე ქართულს მოთხრობაშია. ამ ფონეტიკურს შეცვლას
თხოვლობდა სერბიული ენა და არა ქართული: უკანასკნელში თავი-
სუფლად იხმარება: აგამუს (ანუ აგამუზ), ლევკადუს (ანუ ლევკადუზ)
და სხვ., როგორც შერჩენილია ჩვენს თარგმანში დარიოზ, რომლის
სახელსაც ქართველი მთარგმნელი კარგათ იცნობს და თანახმად ქარ-
თული მართლ-წერისა ხმარობს. სერბიული ენიდგან გადმოითარგმნე-
ლი დასტავა ქართულს მოთხრობაში სიტყვები: კურჩმა, კლიკიზმა
და სხვ. ეს საბუთები უჭეოდ ხდიან ჩვენს მოსაზრებას, რომ ალექ-
სანდრე მაკედონიის მეფის ცხოვრება ქართულად გადმოცემულია
სერბიული რედაქციიდან, თუმცა დაახლოებითა განხილვამ დაკარ-
წმუნა, რომ ქართული თარგმანი ცოტად შეკვეცილია (გამოკლებულია
სიტყვები და წინადადებანი) შედარებით სერბიულს ალექსანდრიასთან.
თავდაპირველად ქართულს მოთხრობას უფრო მარტივი სათაური აქვს:
„ისტორია ალექსანდრეს მეფის მაკედონიის და ყოფლის აღმო-
საუღეთისა, ჩრდილოეთისა და ყოფლის სამხრეთისა და თვით-მშვერ-
ბელისა მეფეთ-მეფისა“. სათაური სერბიული რედაქციისა გაზვიადე-
ბულია: „Житіе и послѣдованіе достоынѣмъ члвѣкомъ
и воиномъ оустрѣмнающимъ се на брани, ниже оубо
чѣтити и разоумѣти и слышати, блаженнаго моужа
царіа Александра“ და სხვ.; სათაურის შეკვეცის გარდა ტექ-
სტშიაც შეუმოკლებია მთარგმნელს ზოგიერთი ადგილები (ცხენი
ბუტყუალი სრულიად გამოუტოვებია) და ხშირად დაუმახინჯებია გაუ-
გებრობამდის. ზოგი სიტყვები რიგიანად ვერ გაურჩევია, მაგალითად
Истанія ს მაგივრად „ჩტიმნია“ წაუკითხავს. შეკვეცასთან ცოტა-
დენი შევსებაც მოუხდენია: ალექსანდრეს ლიტოვისასც დააპრობინებს,
თუმცა ამაზედ სერბიულს ტექსტში ცნობას მთარგმნელი ვერ ნახავ-

და. მთარგმნელის დედანი უკეთესი იქნებოდა, ვიდრე ის ასლი, რომელიც გადმოღებულია მისი ნაწერიდან. სჩანს, ჩვენს გადმომწერს ბევრი ადგილი ვერ გაურჩევია. ეს მტკიცდება ამ გვარი მაგალითიდან, როგორც სახელი „ლანდანიუმის“ მაგიერ „ლანდანიუმის“ ხმარება; ე. ი. აურევია წერაში მიმსგავსებული ასოები: ლ და დ; „კიდემდე“ წაუკითხავს „ვიდრემდე“-დ; ანუ ვერ გაურჩევია ვ და კ. ამ ასოების არევა მოწმობს, რომ ძველი ხელნაწერიც მხედრულად და არა ხუცურად ეთყობა დაწერილი; წინააღმდეგს შემთხვევაში არ მოხდებოდა არევა „ლ“ და „დ“-ისა და „ვ“ და „კ“-ისა, რადგან იგინი მხოლოდ მხედრულში და არა ხუცურში წააკვანან ერთმანეთს. ავიტ ჩვენი ხელნაწერი უნდა იყოს მე-XIX საუკ. დასაწყისისა.

„ისტორია ალექსანდრე მაკედონიის მეფისა“ ნათარგმნია არჩილ მეფისაგან მოსკოვს მე-XVII საუკ., როცა იგი აქ დამკვიდრდა და სლავიანურს ენებს გაეცნო. შროზად ნათარგმნი „ალექსანდრიის“ ლექსად გარდაქმნა უბრძანა მეფემ ვინმე ჰეტრეს, რომლის შრომასაც მოუღწევია ჩვენამდის. ამ ჰომის დასაწყისი გვაუწყებს, რომ ეკლესიის ცნობილი „ალექსანდრია“ სთარგმნა არჩილმა „ჩრდილოეთის“, რუსთა ქვეყანას, და უბრძანეს ჰეტრეს მისი ლექსად გარდაქმნა. „ესე ამაჟი ძველ-ქმნილი, რუსთა-ქვეყნად იყო დებული, ჟამთა სიგრძითა ძველ ქმნილთა, ყოველს ქვეყნად დაჰიწიკებული გადმოეთარგმნა ქართულად არჩილს, ვინ იყო ქებული და მიბრძანეს—ლექსად გამოეთქვი, მსმენლო, იუავ შეგებული... ვინებე ჰეტრე გალექსად ამა ალექსანდრიანისა“. ეს გამლექსავი ჰეტრე უნდა იყოს—ჰეტრე ლარაქე.

რ მ ს ტ ო მ ი ა ნ ი.

მეჩვიდმეტე საუკუნეს ეკუთვნის „როსტომიანი“, გადმოკეთებული სპარსული „შაჰნამედგან“ ფირდოუსისა. მეჩვიდმეტე საუკუნეში კვლავ დაეჯახნენ საქართველოში აღმოსავლეთის და დასავლეთის ლიტერატურის და კულტურის ზედ-გავლენა. ევროპიელთა გავლენა მომდინარეობს რომიდგან და კონსტანტინეპოლიდგან, ახალი კულტურის შემომტანელნი არიან

კათოლიკობის მისიონერები და იტალიელნი მოგზაურნი. ამათ ჭადაგებას და საქართველოზედ მოგზაურობას დაერთო რუსეთში გადასახლებულის ბატონიშვილების მოღვაწეობა, რომელნიც თავიანთი მხრით ებრძვიან განსაკუთრებითი სპარსეთის გავლენას და სთარგმნიან ისეთს თხუზულეებებს, როგორც „ხრონოლრაფი“, „ალექსანდრია“ და სხვა.

სპარსეთის გავლენა ქართულს მწერლობაში კიდევ არ შეწყვეტილია. თუმცა სპარსული პოეზია ამ დროს დაჩაგრულს მცენარეს წააგავს, მაინც ქართველი საზოგადოება მას მიჰმართავს სხვა-და-სხვა თხუზულების გადმოსაღებად, მეტადრე ისეთი ნაწერებისას, რომელნიც წინათაც ყოფილან გადმოქართულდებულნი, მაგრამ დროთა ვითარების გამო დაკარგულან. ამ გვარ თხუზულებას ეკუთვნის „როსტომიანიც“, „შაჰნამედგან“ აღებული, რომლის დამწერი ფირდოუსი სცხოვრობდა 435—1020 წ.წ. „როსტომიანი“, რომლის გმირია როსტომი, აქამდის ხალხის ლექსებში დარჩენილი, უთარგმია ხოსრო თურმანიძეს, როგორც ჰფიქრობდა არჩილ მეფე: „როსტომიანი „უთქვამს თურმანიძესა ხეასროს“. მაგრამ თურმანიძეს არ ეკუთვნის მთლად „როსტომიანის“ გადმოღება, როგორც ამას მოწმობენ სხვა-და-სხვა ხელნაწერების მინაწერები. პეტერბურგის ხელნაწერი გვაუწყებს, რომ სოგრატის ძემ საბაშიღლმა, გრემელთ თავმა, ხევის ბერმა, ხელმწიფეთა თანა ზრდილმა გალექსა ზაალის შობით ლორასპამდის. ხოსრო თურმანიძე თვით გვაუწყებს, რომ მან „სრულიად“ გადმოიღო სპანდიერ ბარზუს ამბავი, — 472 ლექსი უნდა გვაგონებდეს მისს სახელს და ლოცვას მისთვის გვათქმევინებდეს. გარდა იმისა, რომ მან სრულიად გადმოიღო ისფენდიარის (სპანდიერის) ამბავი, მან შეასწორა და შეავსო წინანდელი თარგმანი. „სხვადა ბევრი აკლდა ამ წიგნსა პირველად თარგმანულთაგან“, ამბობს იგი და იხსენებს „თავის პატრონს სვიმონს“, ე. ი. სვიმონ მეფეს (+1629). თურმანიძის შემდეგ „როსტომიანის“,

თარგმნა გააგრძელა ისტორიკოსმა ფარსადან გორგიჯანიძემ*) მე-XVII საუკუნეშივე. იგი გვაუწყებს, რომ მუშტარს ტყვედ იყო, მომხრე და გულის გადასაყოლელი არა ჰქონდა რა და აქ ორ თვეს დასწერა „მანუჩარით ბაჰამანამდის“. ამ გორგიჯანიძის შრომა იმით განისაზღვრებოდა, რომ მან ან გადაწერა უკვე ნათარგმნი, ან შეასწორა და შეავსო „როსტომიანი“, რადგან ორი თვის განმავლობაში გადმოსთარგმნა მანუჩარიდგან ბაჰამანამდის, ე. ი. ის, რაც საბაშვილმა და თურმანიძემ და ამ გვარად მათი ნაშრომი სრულიად დაჰყარა.

„როსტომიანი“, რა სახითაც ჩვენამდის მოუხწევია, უთარგმნიათ მე-XVIII საუკ., მაგრამ ჯერ თამარ მეფის დროსვე იცნობდნენ ფირდოუსის პოემას, როგორც ამას გვიმტკიცებენ ჩახრუხაძის, შავთელის და რუსთაველის თხზულებანი. შავთელი თავის შესხმაში იგონებს ზაალს, როსტომს და საამს, რომელიც შეიდეგ ლექსად სთქვა ბარძიმ ვაჩნაძემ, როგორც უკვე აღვნიშნეთ „არჩილიანის“ გარჩევის გამო. რუსთაველი მე-რუსულ ენაში ამბობს:

ისრითა მოკლის ნადირი

როსტომის მკლავ-უგრძესითა.

ჩახრუხაძე ამბობს:

„უარუუმს და არამს, მთაზკელა არანს,

როსტომ ებრძოლა თვით შექცებულად“

უთრუთ (თხზ. „უთრუთიანი“), საამ, ზაალ, როსტომ გმირნი არიან შაჰნამესი და საქართველოში იმდენად ცნობილნი იყვნენ, რომ ქართველი მწერალნი ხმარობენ მათ განუმარტებელად.

„როსტომიანის“ გმირების ქება ხალხში დიდხანია გავრცელებული. თვით როსტომი გადაიქცა საერო გმირად. ამიტომ ძნელად დასაჯერებელია, რომ როსტომიანი“ მხოლოდ მე-XVIII საუკ. ყოფილიყოს პირველად გადმოქართულებული. როსტომ-

*) გორგიჯანიძის შესახებ ნახე შემდეგი გვერდები.

მის ლექსებს გაიგონებთ სხვა-და-სხვა მხარეს საქართველოს მიდამოებისას. ყიზლარში გადასახლებულნი მე-XVIII საუკ. ქართველები დამღერიან როგორც როსტომის მოქმედებას, აგრეთვე ბეჟან და მანიყას სიყვარულს, რომელიც შეადგენს ნაწილს „როსტომიანისას“. ზეპირ-თქმულება ბეჟანზედ და „როსტომიანში“ აღწერილი მისი ცხოვრება დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან იმ გვარად, რომ სალიტერატურო ქმნილების გავლენა „ბეჟანიანზედ“ უეჭველად მიგვაჩნია. ხალხმა აქაიქა შესცვალა, შეამოკლა და შეავსო ფირდოუსის ნაწარმოებიდგან ამოღებული „ბეჟანიანი“. აგრეთვე თვით „როსტომიანი“ არ წარმოადგენს სრულს თარგმანს ფირდოუსის პოემისას: ქართულად არსებობს მხოლოდ ნაწყვეტი მანუჩარიდგან მოყოლებული ვიდრე ბაჰამანამდე. ამ შემოკლებული ლექსად ნათქვამი „როსტომიანიდგან“ ამოღებული „ბეჟანიანი“ გავრცელდა ზეპირ-თქმულებით და შექმნა სახალხო პოემა, რომელიც შინაარსით და ფორმით წარმოშობილია ნაწერი პოემიდგან. გარდა „ბეჟანიანისა“ სხვა-და-სხვა ნაწილნი ფირდოუსის პოემისა, გადმოღებული ქართულად, გავრცელდნენ სახელწოდებით: საამიანი, ზააქიანი, ფრიდონიანი.

„ფრიდონიანის“ გმირი არის უთრუთი, რომელიც ებრძვის დევებს. ამავე პოემაში აღწერილია ბრძოლა ჯიმშედის და ზააქისა, ამ უკანასკნელის ანდერძი ფრიდონის შიშით, დაბადება მანუჩარისა, საამის შეტაკება დევებთან და სხვ. აი რამდენიმე სახელი ამ პოემიდგან, რომელნიც აკავშირებენ მას „შაჰნამესთან“. რადგან „ფრიდონიანის“ დასაწყისში გმირად დასახელებულია უთრუთი, ამიტომ ეს პოემა „უთრუთიანადაც“ იყო ძველად ცნობილი და ზოგი ხელნაწერები ამას მოწმობენ. „ფრიდონიანი“ ხელნაწერი პეტერბურგის საჯარო წიგნ-საცავშია. ფირდოუსის ნაწარმოებთან დაკავშირებულია „სირინოზიანიც“, რომელიც ზემორე უკვე განვიხილეთ. ამ გვარად „როსტომიანი“ შეადგენს მხოლოდ ნაწილს ფირდოუსის ნაწარმოებისას. სხვა-და-სხვა დროს და სხვა-და-სხვა

პირთა მიერ გადმოქართულებული იყო ნაწილ-ნაწილად ეს პოემა და გავრცელდა ხალხში, რომელმაც მრავალი ლექსი „შაჰმანისა“ ან მთლად დაისწავლა და ან ცოტად შეცვლილად გარდაქმნა. „როსტომიანის“ ამბავი, შესაძლოა, უკვე მე-XII საუკუნემდე გავრცელდა ხალხში ზეპირ-თქმულებით, თუმცა შემდეგ გადმოთარგმნისა ნაწერმა პოემამაც ლიტერატურული ზედ-გავლენა იქონია. ფშავში ჩაწერილი ლექსები გვიჩვენებენ ამის მაგალითს. „როსტომიანში“ ვკითხულობთ აი რა ლექსს:

აწ სხვა საქმესა აპირებ,
შენ როსტომ დაგვიწეებია,
ტუსი, გივი და გოდერძი
ერანის თავადებია.

ორი ნაწილი დახოცეს,
ჩვენ გვიუყეს რა ნუნებია
და თუ ბეჟანს მოჰკლავ, იცოდე,
აწ სრულა ახხრდებია.

„ფშავურს ლექსებში“, რომელიც შეპკრიბა დავით ბიზანაშვილმა, შესაფერს ადგილს ჩაწერილია:

ბეჟან, გივი და გოდერძი
ერევან თავადებია,
ბეჟანს ნუ მოჰკლავ, ბატონო,
თორემ შეც გაგვარდებია:
ან კლდეზედ გადაგვარდები,
ან წყალში ჩავგარდებია.

მეორე შესადარებელი ადგილი „როსტომიანში“ იწყება სიტყვებით: „ატირდეს და მოახსენეს: შენ მაღალ სელმწიფეო“ და თითქმის ამ გვარადვე მიჰმართავენ „ფშავურს ლექსებში“ ზეპირ-თქმულებით; „ატირდა და მოახსენა: ბედნიერო სელმწიფეო“. ხალხური „ბეჟანიანი“:

„სარჩოდ ერთი ჭაღა გვქონდა,
სანადირო იგი ტეო,

იგი ღორით გატენილა,
არ ილევა სიმრავლეთ.

ლიტერატურულს „ბეჟანიანი“ ეს ადგილი ასეა მოყვანილი:

ჩვენი სარჩო ჭალა იყო
და საზამთრო იგი ტყეო;
იგი ღორით სულ ავსილა,
არ ეგების სიმრავლეთ.

ლიტერატურული „ბეჟანიანი“:

„სმა ვერუნი კასტა მის მეტმა,

ბეჟან წამოდგა სვიანი“.

სახალხო „ბეჟანიანი“:

„ვერუნი სიტყვა ვერ ჰკადრა,

ბეჟან წამოდგა სვიანი“.

მე-XVIII საუკ.

მეჩვიდმეტე საუკუნის ლიტერატურაში უკვე აღინიშნა ნაციონალური მიდრეკილება, საერო ტენდენცია არჩილ და თეიმურაზ მეფეთა ნაწერებში. თუმცა ამ დროს ლიტერატურა სპარსეთის გავლენას ემორჩილება და განმეორებით სთარგმნიან „შაჰნამეს“ სხვა-და-სხვა ნაწილს, მაინც ეროვნული გრძნობის და აზროვნობის გამოღვიძება მოსჩანს, ახალი სიოც დაჰქრის საქართველოს კულტურას, დასავლეთს ევროპას შემოაქვს ახალი მისწრაფებანი, რუსეთი ხდება მეორე კერად მწერლობის აყვავებისა. მწერალთ კალაში ასურათებს თანამედროვე გარემოებას, ემსახურება სულის მოძრაობის და გულის ცემის ანალიზს. ეს ისტორიული და ინდივიდუალური მე-XVII საუკუნეში დაბადებული მოძრაობა გაიზარდა და ფრთა-შესხმულმა მე-XVIII საუკ. თავი იჩინა ვახტანგ მეფის, ბატონიშვილების ბაქარ და ვახუშტის, ანტონ კათოლიკოზის, დავით გურამიშვილის, საბა ორბელიანის ნაწერებში. მე-XVIII საუკ. რუ-

სების და ევროპიელთა გავლენით დაარსდა ჩვენში ახალი სქოლასტიური მიმართულების სკოლა, გადმოითარგმნა ფრანგული და გერმანული ლიტერატურიდან ვოლტერის, მონტესკიეს, ვოლფის, რასინის თხზულებანი, სამართალი კოდიფიკაციურად გამოიცა, ადმინისტრაციულს წეს-წყობილებას ეძლევა განსაზღვრული საფუძველი, დაწესდა ხარჯთ-ალრიცხვის სისტემა, შეიცვალა ჯარში სამსახური მუდმივი ლაშქრის წამოყენებით, გაიხსნა სტამბა და გაძლიერდა მეზობელ ხალხთა მისვლამოსვლა. ამ მრავალფეროვანმა მოძრაობამ გამოიწვია მწერლობაში დიდი ცვლა და აღორძინება. ლიტერატურა გამდიდრდა იმ გვარი ნაწერებით, რომელნიც ძველად ან სრულიად არ იყვნენ ცნობილნი, ან მეტად უგემურად იყვნენ შედგენილნი. მწერლობაში თავი იჩინა ახალმა ქადაგებამ, დღის ვარამის გამოსარკვევად მიმართულმა, ლიტერატურის განძს შესძინეს უცხო ქვეყნების აღწერა და იქ მოგზაურობის შთაბეჭდილებათა მიმოხილვა, ისტორიული შეხედულება გაფართოვდა მოგონებათა და მატრიანეთა შედგენის წყალობით.

საქართველომ მე-XVIII საუკ. მოგვაგონებს საუკეთესო ხანს მის ცხოვრებისას. ერის გული სცემს თამამად, შეგნება ისტორიული მომენტისა თვალსაჩინო ხდება, კულტურული აღორძინება ქვეყანას ცოტა ხნით მაინც ფეხზედ აყენებს, ვიდრე ალა-მაჰმად-ხანის შემოსევა 1795 წ. არ დასცემს საქართველოს კულტურულად და პოლიტიკურად. მე-XVIII საუკ. ლიტერატურა, ესრედ წოდებული „ვერცხლის ეპოქა“ ქართულს მწერლობაში, დაეცა ამ საუკუნის დასასრულს პოლიტიკურად განადგურებასთან იმ მეფის დროს, რომელმაც საქართველოს დაუბრუნა წარსული დიდება და გაუღვიძა ძალა თვითმცნობელობისა: ეს მეფე იყო ერეკლე მეორე, პატარა კახი, გმირი სარდალი, შეუდარებელი მეომარი, მაგრამ სუსტი პოლიტიკოსი და სახელმწიფო ტაქტს მოკლებული. იფეთქა საქართველომ მე-XVIII საუკ. ახალი ცხოვრებით აღტაცებულმა და ჩაჰქრა მტერთაგან ძლეული და შინაური განხეთქილებით

დაუძღვრებულნი. მე-XVIII საუკ. უკანასკნელი ბრძოლაა თვით-არსებობისათვის. ვახტანგ მეფემ შეჰქმნა ახალი მოძრაობა ლიტერატურაში, მაგრამ მასვე ეკუთვნის მძლავრი ტალღის შემოსევა საქართველოს პოლიტიკაშიაც. თავის გადასახლებით მოსკოვს შეიღებით და ამათი შუღლით ერეკლე მეფესთან ვახტანგმა დაჰბადა შინაური არეულობა. ამ გვარად ორი მეფე—ვახტანგი და ერეკლე საუკუნის დასაწყისს და დასასრულს ასურათებენ საქართველოს კულტურულს მდგომარეობას, ნათელს ჰყენენ მათს ღვაწლს და ვიწრო შეხედულებას საქვეყნო საქმეზედ.

მეფე ვახტანგ მე-VI და მისი ნაწარმოები.

(საისტორიო, იურიდიული, ქილილა და მანა და სსივ.)

მეფე ვახტანგის *) ცხოვრება მაჩვენებელია იმ სავალალო მდგომარეობისა, რომელშიაც ჩააყენეს ქართველი მმართველნი სპარსეთის მფლობელობამ და გაბატონებულმა გავლენამ. სიყრმიდგან საფლავის კარამდის ვახტანგს სდევნის „შავი ყორანი“, ატრიალებს მას სამშობლოს, ოსმალეთის, სპარსეთის და რუსეთის შორის. ჯერ ისევ 15 წლისა იყო, როცა ვახტანგი მძევლად იყო გაგზავნილი ქართლის მეფის გიორგი მე-XI მიერ, რომელიც მას ბიძად მოხვდებოდა. საქართველოში დაბრუნდა თუ არა, აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა ირაკლი პირველის, ანუ ნაზარალიხანის წინააღმდეგ, რათა ტახტი დაებრუნებინა ბიძა-გიორგისთვის. რადგან აჯანყებამ უნაყოფოდ ჩაიარა, ამიტომ იგი გაიქცა იმერეთს, სადაც შეერთო ცოლად რუსუდან, ჩერქეზთა ბატონის შვილი. გიორგის (გურგენ-ხანს) ქართლის ტახტი დაუბრუნეს ჯილდოდ ყანდა-

*) ვახტანგი იყო ძე ლევან მეფისა. ლევანიც ცნობილია, როგორც დამწერი „ვედრებისა“ იოვანე წინამორბედის, პეტრე-პავლესადმი და სხვ.

არის დამშვიდების შემდეგ და დროებით მმართველად ქართლისა დაინიშნა ვახტანგი ლევანის ძე (1703 წ.). ამ დროს იგი უკვე 28 წლის ვაჟაკი იყო. სახელწოდებად მიეცა ჰუსეინ-ყული-ხან და რვა წლის განმავლობაში თამამად ცდილობს საქართველოს ფეხზედ წამოსაყენებლად. გახსნა სტამბა ტფილისში სასულიერო და საერო წიგნების აღსაბეჭდად. თვით შეუდგა თარგმნას და შედგენას სხვა-და-სხვა შინაარსის წიგნებისას. შეჰკრიბა „ქართლის ცხოვრების“ წყაროები, დასწერა „დასტულამა“ სახელმწიფო ხარჯის და ადმინისტრაციული წყობილების განსასაზღვრელად. შეუდგა დანგრეულთ ეკლესიათა აღდგენას და ღარიბ-ღატაკთა თავშესაფარის აღშენებას. დაამყარა შინაურს საქმეებში წესი და აღვირი ამოსდო თავგასულს ლეკებს და ოსებს. საქართველომ წამოიწია, მავრამ სპარსეთს ეს არ ესიამოვნებოდა. ამიტომ შაჰმა მეფედ აღსარებული ვახტანგი 1712 წ. სპარსეთს გაიწვია. რადგან მან აღარ გაბედა ქრისტეს უარყოფა, შაჰმა ტახტი წაართვა და გადასცა გამაჰმადიანებულს იესეს (ალი-ყული-ხანს). ვახტანგის სახლობა იესეს შიშით გადავიდა იმერეთს, ხოლო ვახტანგი გაიგზავნა ქირმანს. მხოლოდ შეიდი წლის შემდეგ ტახტი ისევ დაუბრუნა ჰუსეინმა, რადგან იესემ ვერ შესძლო ლეკებისაგან ქართლის დაცვა. ქართლის გამგე და ამავე დროს სპასალარი ერანისა და თავრიზისა, მეფე ვახტანგი დროებით რჩება სპარსეთს და ქართლს განაგებს იმის შვილი ბაქარი, რომელმაც ლეკებთან ვერა გააწყურა და შაჰი იძულებული იყო ვახტანგი წარმოეგზავნა სამშობლოში. აქ ვახტანგმა თავის ნიჭი და გამგეობა საქმით უკვე დაამტკიცა, საქართველოს მოელოდა აღორძინება, რომ ხელი არ შეეშალა ერთს გარემოებას—ვახტანგის გარეგან სპარსეთის და რუსეთის შეტაკებაში.

1722 წ. შამახია, სადაც რუსის ვაჟრები იყვნენ, აიკლეს სპარსებმა. პეტრე დიდმა განიზრახა სპარსეთის დასჯა და ვახტანგს ზავით შეეკრა. ვახტანგი გაიტაცა კავშირმა ქრისტიანე მეფესთან და გადუდგა თავის სიუზერენს—შაჰს. ჩვენი მეფე

დაჰპირდა რუსთა ხელმწიფეს დახმარებას და 40,000 ჯარის-
კაცით სპარსეთს ისპაანამდის გადალახვას. პეტრე დიდმა მოაღ-
წია დარუბანდამდის და უცებ გატრიალდა უკან, რადგან სურ-
სათი შემოაკლდა. ვახტანგი, მოლალატე შაჰის და უარ-მყოფე-
ლი ოსმალეთთან კავშირისა, შერჩა სპარსეთის განძვინებულს
ყაენს და გააფთრებულს ხონთქარს, რომელიცა აზრუმის ფაშის
იბრაიმის პირით თხოულობდა საქართველოს დამორჩილებას.
შაჰმა ტახტი წაართვა 1723 წ. და გადასცა კახეთის ბატონს.
ვახტანგი შეებრძოლა თავის მოქიშპეს, მაგრამ დამარცხებულ
იქმნა ტფილისთან და თანამოზიარეთა მიერ დატოვებულ.
ვახტანგი წავიდა მთაში, ქართლს შემოესივნენ ოსმალონი.

1724 წ. წავიდა ვახტანგ რუსეთს პეტრე დიდის მიწვე-
ვის თანახმად; როცა მოსკოვს 1725 წ. მოაღწია შვილით ბა-
ქარიუ და ძმით სიმონით, პეტრე მეფე გადაიცვალა. პეტერ-
ბურგში იგი წარუდგა პეტრეს მეუღლეს ეკატერინე I, რომელ-
მაც ჯილდოდ ორდენი ანდრია პირველ-წოდებულისა უბოძა,
მაგრამ დახმარება ტახტის დასაბრუნებლად ვერ აღმოუჩინა.
რადგან რუსეთმა 1726 წ. განიძრახა თავის ჯარის გამოყვანა მაზან-
დარანიდგან და ასტრაბადიდგან, ამიტომ ვახტანგს მიანდეს შაჰ-
თამაზთან მოლაპარაკება. ვახტანგმა მოახერხა დარუბანდის და
ასტრაბადის რუსეთის კუთვნილებად დადებინება. 1728 წ. ვახ-
ტანგი დაბრუნდა პეტერბურგს და კვლავ ითხოვდა ოსმალთა
წინააღმდეგ დახმარებას. 1734 წ. ვახტანგი და ბაქარი წამო-
ვიდნენ საქართველოსკენ. მაგრამ 1735 წ. რუსეთმა დაუთმო
ბაქო და დარუბანდი სპარსეთს და თვით ჯვარის ციხეში თერგ-
ზედ გადაასხა ჯარი. ამ გვარად ვახტანგმა დაჰკარგა იმედი სა-
ქართველოს ტახტის დაბრუნებისა. საცხოვრებლად დარჩა ასტ-
რახანს. აქ გადაიცვალა 1737 წ. 25 - 27 მარტს და დასაფლავ-
ებულა საკრებულო ტაძარში, სადაც იმის გვერდით 1762 წ.
გაუთხარეს სამარე კიდევ ერთს ჩვენს მეფეს თეიმურაზ II, ვახ-
ტანგის სიძეს. ამავე ტაძარში დაკრძალულია ორი ქართველთა
არქიეპისკოპოზთა გვამი — იოსების და რომანოზისა.

ვახტანგ მეფის მწარე თავსგადასაყალი აღწერა დავით გურამიშვილმა, რომელიც თან ახლდა მეფეს და თანამოზიარე იყო იმის მწუხარებისა. თვით ვახტანგის ნაწერებიც იძლევიან საკმარისს მასალას მისი ცხოვრების და მოღვაწეობის დასათასებლად. თავდაპირველად ვახტანგის ღვაწლი დაკავშირებულია „ქართლის ცხოვრების“, ჩვენი მატეანის სახელთან. „ქართლის ცხოვრების“ პირველს გვერდზედ წაიკითხავთ: „პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, ჟამთა ვითარებისაგან ქართლის ცხოვრება განრყენილ იყო, ხოლო ვახტანგ ძემან ლეონისამან და ძმისწულმან სახელოვნის გიორგისამან, შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიკვნა, საც რამ ქართლის ცხოვრებაები პოვნა და კულადად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი და შეამოწმეს და რომელი განრყენილ იყო, გამართეს და სხუაცა წერილნი მოიხუნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოხვნეს და ესრეთ აღაწერინეს“. „ქართლის ცხოვრების“ შინაარსის განცობამ დაგვარწმუნა, რომ გიორგი ბრწყინვალემდის (+1348) ჩვენი მატეანე უკვე დაწერილი იყო და გაგრძელება შედგენილ იქმნა ვახტანგ მეფის ბრძანებით. „ქართლის ცხოვრებას“ ჩვენამდე მოუღწევია რამდენსამე ვარიანტად: ბატონიშვილის თეიმურაზისა, რუმეანცოვის მუზეუმისა, მარიამ დედოფლისა, სამეგრელოს თავადისა და სხვ. 1125 წ. იგი უკვე გადუთარგმნიათ სომხურად და სომხურიდგან ნათარგმნი დაჰბეჭდა ფრანგულს ენაზედ აკადემიკოსმა ბროსსემ. მარიამ დედოფლის ვარიანტი, რომელიც გადაწერილია 1636—1646 წ. წ., როცა ჯერ ვახტანგი ქვეყანაზედაც არ იყო, გვარწმუნებს, რომ მეფე ვახტანგს ეკუთვნის შევსება ძველი დედანისა აქა-იქა შეტანილი ამბებით და ფრაზებით. ამ გვარად ვახტანგის სახელს უსაფუძვლოდ აკუთვნებენ მთელს ჩვენს მატეანეს. ვახტანგის ღვაწლი იმაში მდგომარეობს, რომ მან აღუძრა ისტორიის სიყვარული თავის შვილებს, შემოჰკრიბა ძვირფასი მასალა, რომლითაც თვით ისარგებლა „დასტულამას“ და „სამართლის წი-

გნის“ შედგენაში და მისცა საშუალება ვახუშტის, თავის ვაჟს, დაეწერა საქართველოს ისტორია და მრავალმნიშვნელოვანი გეოგრაფია.

ქ ი ლ ი ლ ა დ ა მ ა ნ ა .

მეფე ვახტანგმა სთარგმნა შესანიშნი თხუზულება „ქილილა და მანა“ სპარსეთში, ქ. ქირმანს, შესაქცევად ტყვეობაში ყოფნის დროს. 1712 წ. ვახტანგი წავიდა შაჰთან ტახტის მისაღებად. რადგან „სული ამჯობინა“ და მაჰმადის რჯული უარპყო, ამიტომ შაჰი გაუწყრა და ტყვედ ქირმანს გაგზავნეს, სადაც დაპყო ხუთი წელი (1712—1717). აქ შეუდგა „ქილილა და მანას“ თარგმნას, რომელიც ვითარცა „ცხოვრებასა ქართლისასაც წერილ არს“. თამარ დედოფლის დროს უკვე ყოფილა გადმოღებული, მაგრამ დაკარგულა „ეამთა ვითარებით“. შემდეგ ბატონს დავითს (მე-XVI საუკ.), თეიმურაზ პირველის მამას, გადმოუთარგმნია „კუსა და მორიელის“ არაკამდის, მაგრამ არც ლექსი გადმოეღო, ზოგი სიტყვაც დაეკლო და არც გასრულება დასცალგებოდა! ამ ორჯელ გადმოქართულებულს თხუზულებას კვლად შეუდგა და შეასრულა მეფე ვახტანგმა. „დიდსა ქირსა შინა მყოფისა მეფის ვახტანგისა“ ანდერძში, რომელიც ჩართულია „ქილილა და მანაში“, ვკითხულობთ, რომ მეფემ, რა ნახა ეს „სარგო ზღაპრის წიგნი და საამო მსოფლიო სწავლანი“, მიანდო ერთს სპარსსა, რომელსა მცირედ ქართული ენა ესწავლა, „ამისა შესრულება“. იგი შეუდგა საქმეს, მაგრამ ენის უცოდინარობით ვერც კარგად გადმოიღო და დასრულებამდე თვით მეფეს მოუხდა ისპაანს წასვლა. ამგვარივე მინდობილობა მეფემ გადასცა ერთს სომეხს ისპაანს, რომ მას სპარსული ესწავლა და „ნაკლების შესრულება“, ე. ი. რაც წინანდელს სპარსელის თარგმანს აკლდა შეესრულებინა. მართლაც, „მან შეასრულა“. მაგრამ მეფეს არც ეს შრომა მოეწონა, რადგან

„ლექსი, სიტყვა და გაწყობა ბევრი დააკლდა“. ამიტომაც როცა მეფეს „ნაცვლად კეთილისა ბოროტი“ მიაგეს, ტყვედ ჰყვეს და ქირმანს გაგზავნეს,—აქ ცუდად ყოფნა სულის მაზიანებლად და ხორცის საწუხარად ნახა და, რაკი საქმე არა ჰქონდა რა, „ამის (ქილილა და მანას) შექცევას გამოვეციდე... ლექსი ლექსად გარდმოვსთქვი უკლებლად და ამბავი ამბავად. სპარსული ქართულს ენაში ლექსად არ ითარგმნება, ამბავად მოვა, და მე იმავე ამბის გალექსვა მოვინდომე. და ეგება ლექსი არ მოგეწონოსთ, გასინჯეთ, რომ სხვის კაცისაგან ნათქვამს ამბავს მეორე ისრე ველარ იტყვის“. დასასრულ მეფე „ჭირის ხელფასად ლოცვას და შენდობას“ ითხოვს და ოთხტაეპოვანს შაირს ათაეებს სიტყვებით:

ვსწერ შეფე ვახტანგ ქართველთა,
თქსლ-ტომად დავითიანი.

ვახტანგ მეფეს ხელში ჩაუვარდა წიგნი, რომელიც ეთარგმნა ბატონს დავითს, ღ მისი შევესება მიანდო ორს კაცს—სპარსს და სომეხს. შემდეგ მათი შრომა შეასწორა და შეავსო. „რა გაეთაეებინა, ვკითხულობთ ქიდილა და მანაში, ქართლში სულხან საბა ორბელიანისთვის გამოეგზავნა“ და ეთხოვნა: „ეს ჩემი ჭირნახული გაჩალხე გემუნად და სადაც ლექსები ჩართული იყოს, ეგრევე ქართულად ლექსები ჩაურთო“. ამ გვარად შალაშინი გაჰკრა ვახტანგის რედაქციას საბა-სულხან ორბელიანმა, „ვახტანგ მეფის ბიძად და გაზრდილად წოდებულმა და დიდად საყვარელმა“, რომელსაც სოფლის სიმუხთლემ მოაშორა და ჩხუბიანმა კაცებმა მათ შუა დიდი განხეთქილება ჩამოაგდო“. მეფე სპარსულის ზედმიწევნით მკოდნე არ იყო, მთარგმნელები კარგი ვერ იპოვნა და ამიტომ ორბელიანს მოუხდა საფუძელიანი შესწორება გადმოქართულებული „ქილილა და მანასი“, თუმცა იგი სთვლის სასაცილოდ, რომ ბერმონაზონი მოსეს წიგნის ნაცვლად „ქილილა და მანას“ აკეთებდეს.

„ქილილა და მანა“ წარმოსდგა ინდოეთში შემდგარი

„პანჩატანტრიდგან“, რომლის უძველესი სათაური იყო „ჰინტობადემა“. ინდოეთის მეფე სუდარსანი თავის სამი ვაჟის-შვილის აღზრდას მიანდობს ბრაჰმანს ვიშნუ სარმას, რომელიც ექვსი თვის განმავლობაში ბატონიშვილებს დილოგიური ფორმით აუწყებს ყველა ცოდნას, ქვეყნის გამგეთათვის საჭიროს. შემდეგ რედაქციებში სახელი სუდარსან შეიცვალა აშარსაკატად და ვიშნუ მასწავლებელი კი არ არის, იგი გადაიქცა მწერლად. ხოსრო ნუშერვანის დროს მე-VI საუკ. ინდოურით ეს კრებული გადათარგმნეს ფალაურს (ფეხლევურს) ენაზედ. ეს ტექსტი დაკარგულია, — ჩვენამდე მოუღწევია მხოლოდ წინასიტყვაობას ორს რედაქციად. ორშივე მოხსენებულია აქიმი ბარზუიე, რომელიც თავის სიბრძნის დასამტკიცებლად სთარგმნის „ქილილა და მანას“. ქართულს თარგმანს მიუძღვის სხვაგვარი წინასიტყვაობა, რომელიც გზას გვიხსნის განვსაზღვროთ, რა ენიდგან არის გადმოღებული ჩვენი ტექსტი. „წიგნი ესე ბრძენსა და გზიანს ფილოსოფოსს, ბარამად წოდებულსა, ინდოურითა ენითა უთქვამს. ნუშრევან მეფის დროს სპარსეთში მისი სურვილით, ბრძენმა ღაეიამ (მკურნალმა) მოიტანა ეს წიგნი ინდოეთიდგან, სადაც შან მრავალი ხანა დაჰყო, და ფალაურს ენაზედ გარდაიღო. ფალაურიდგან სთარგმნეს არაბულად მე-VIII საუკ. მაყანის ძემ აბდულამ და აბულასან, აბდულას ძემ. ამათი თარგმანი ლექსად გადააკეთეს ორმა პოეტმა; ერთის სახელი არ ვიცით, მეორე იყო აბდალმუნიმ ბენ-ჰასანი. მე-X საუკ. „აჰმად სულთნის ძემან ნასრი უბრძანა ნუსხა სპარსული ენით თარგმნა“ ამ წიგნისა არაბული ენიდგან. მოშაირე რუდექმა ეს თარგმანი ხელმწიფის ბრძანებით „ლექსით შეამკვერა“. აბულ მუზაფარ ბარამის დროს აბდულ ნასრულმა გადააკეთა „ქილილა და მანა“ სპარსულადვე. ეს იყო მე-XII საუკ. ბაჰრამ შაჰის გაზნეველის დროს, და არა ყაზანის შაჰის დროს და მონგოლთა ენაზედ, როგორც ქართული ტექსტის გამოცემელს ჰგონია. მე-XV საუკ. ნასრალაჰის რედაქცია გადააკეთა ყორანის კომენტატორმა ჰუსეინ ალის შვილმა ამირის

ანვარი სოპილის ბრძანებით, ამ რედაქციას ჰქვიან „ანვარი სოპილი“ და ჩვენი „ქილილა და მანა“ გადმოღებულია ამ ტექსტიდგან. „ანვარი მნათობად გამოითარგმნება და სოილი—ვარსკვლავად“.

ჩვენი ტექსტი ასე გვიხსნის „ქილილა და მანას“ წარმოშობის ისტორიას. ჩინეთს ბედსვიანი მეფე ყოფილა, სახელად უმაიუნფალ. მას ჰყვა ვეზირი ხანჯუსტარი, ბრძენი და დაახლოვებული, რომლის დაუკითხავად არა საქმეს არ იქმნოდა. ერთს დღეს მეფემ ნადირობა მოინდომა, ხანჯუსტარიც თან ახლდა. რა ნადირობით ხელმწიფემ გული აღისრულა, მინდორი ნადირთა და მფრინველთაგან დასცალა, მთის კალთას ჩამოხტნენ, წყლის პირას „ედემის“ მსგავსს ადგილს დასასვენებლად და გასაგრძელებლად. ვეზირმა შეჰნიშნა ხის გული, სადაც დაებუნდათ ფუტკართა და მათ მიზეზი მისცეს მეფისათვის გაეზიარებინა ბევრი საგულისხმო აზრი. „ესენი არიან დიდის სარგებლის და ცოტას ზიანის მოქმედნი. პატიოსნება, წესი მაგათ აქვთ, ქება მაგათი მრავალთა სამეცნიეროთა წიგნთა სწერია. მაგათაც ერთი ხელმწიფე ჰყავსთ, ტანად მათზედ მოდიდოა, მათ ყოველთა ერთობილად მისის უფროსობის და მორჩილებისა ბრძანებაზედ თავი დაუდებიათ. მას ხელმწიფესა სახლთხუცესი, ვეზირი, მეკარე, დარაჯა, ლაშქარი, გამგე, ყოველი რიგი მოხელე გაწყობილნი ჰყვანან. დარიგებულია ყოველთავე ცვილთაგან სახლი უნდა ააშენონ, რომე მათი ბანი და ერდო ერთმანერთზედ მაღალ-მდაბალი არ იყოს... თუ პირობის გარდამსვლელი ჰპოვეს და მათში ერთი სიმყარაღე, ან ბილწი შეამცნეს, მასვე წამს ორად განჰკვეთენ“... მეფემ ამაზედ უბძანა: „ეს საკვირველ არს — ძნელი გესლი აქვსთ და ერთმანერთს არ ავნებენ, შაშარი უპყრიათ და სიტკბოებას მისცემენ, საშიშრად მრისხანენი სიმშვიდით მოთავსდებიან და ჩვენ აღამიანნი და ჰკვისს მყოფონი, ესოდენტა უგვანთა ვიქმთ, მრავალნი თვისთა ნათესავთა უმიზეზოდ ავნებენ და აღმოფხვრასაც ცდილობენ“... მეფე ამისა გამო მოისურვებს

„სოფელი გაუშვას და ფერხნი მარტოობისა და მოსვენების კალოზედ დადგას და თავის ცოდვას ინანებდეს“. ხანჯუსტარი მოახსენებს ბრძენთა აზრს, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ „მარტო მყოფობას მეგობართან ყოფნა და ალერსი სჯობია, კრებულთა თანა ყოფნა დიდი პატიოსნების ხარისხია“. განშორებული ადამიანის საქმე წინ ვერ წადგება. შემოქმედს ადამის ტომნი ერთმანეთის ხელის მომმართავად დაუბადებია. ხელმწიფე არ ეთანხმება ვეზირს, რადგან იცის, რომ სოფელში შუღლი და ბრძოლაა, ზოგნი თავიანთ რიგს არ სჯერდებიან და მეტს ძალას ელტვიან. ვეზირი ამაზედ მოახსენებს: „მაგისი მასწავლებელნი ბრძენნი და სჯულის მეცნიერნი არიან, მათი ბრძანება ყოველივე მართებული არის“. ძლიერი მოსამართლე აუკრძალავს კაცს პირუტყველ წადილს. მეფეს გამორჩეული კაცები უნდა ახლდნენ და მან საქმე სიბრძნით უნდა განაგოს, „როგორადაც დიდმან ინდოთა ხელმწიფემან რაი, ინდოურად დაბშელიმად წოდებულმა ქმნა: თვისისა ხელმწიფობის საძირკველი ფიდ-ფაი-ბაშან ბრძნისა და ფილოსოფოსის სწავლის რიგზედ დაღვა“.

ვეზირი მეფის სურვილით მოუყვა რაიდაბშელიმის ამბავს. „რაიდაბშელიმი“, ინდოელთა ენისაგან ითარგმანების „მეფე ქვეყნის მპყრობელი“ განთქმული იყო ლაშქართ, სვიანობით და მოწყალებით: სიდიდისა და სიმაღლისა გარდამეტებითა სიუხვის საგდებელი ცის კამარას ერდოზედ შეეტყორცა“. ერთხელ ლხინი გამართა და „მგოსანთა დასრულებისა უკან“ ყური მიუპყრო ბრძენთა და მხცოვანთა კაცთა. ამათში ერთმან ქება შეასხა უხვების და გაცემის ზნეს. ყველანი დაეთანხმნენ, რომ „სიუხვე საქმეობარი ზნეობა არისო“. მეფემ მოისმინა რა ეს შესმინება, უბრძანა გაცემა მოწყალეებისა. სიზმარში იმ ღამეს გამოეცხადა „ბრწყინვალე ბერიკაცი და ჰრქვა: დღეს დიდი საუნჯე გააბნივე... აწ, ზვალ დილეულ დარბაზით აღმოსავლეთისაკენ წაბძანდი და მუნ შენთვის დიდი საუნჯე დამარხულია“. მართლაც სალაროს კარი წერაქვით

გაალო, ნახა აუარებელი ოქრო და თვალმარგალიტი. შემდეგ შეხვდა ერთს მეუღაბნოეს და მისი ჩვენებით გახსნეს ოქროს კლიტით დაკეტილი კიღობანი, სადაც აღმოჩნდა „ათინელთ (შეცდომაა—უნდა იყვეს ასურელთ) კალმით რამდენიღაც სტრიქონი“ დაწერილი თეთრის ლარის ნაქერზედ. ერთმა ბრძენმა კაცმა გაარჩია ეს ზედწარწერა, რომელიც ასე იკითხებოდა: „მე, უშანგ ხელმწიფემ, დასდევ საგანძური ესე დიდძალი რაიმისათვის... ეს ანდერძიც იხილოს და წაიკითხოს“. ანდერძში 14. დარიგება იყო მოყვანილი. ჰირველი: რომელსა ყმათაგანს თავი გამოეჩინოს, სხვის სიტყვით მისის სიდიდის სახელის დამკირებას ნუ დაუჯერებ. მეორე: ორპირსა და ჩხუბიანს კაცს წინ წაყენების გზა არ მისცე—ემშაურს საქმეს დაბადებს. მეოთხე: მტრის ტყბილს სიტყვას არ მიენდო. მეექვსე: საქმის ქმნაში არ აჩქარდე; მეშვიდე: სიბრძნის რჩევის აკუმრის თოკი ხელიდამ არ გაუშვა. მეცხრე; შემკოდეთ მიტევება იკოდე. მეათე: არა კაცის შეწუხება არ მოინდომო და სხვ. ამ სწავლის გასარკვევად ზედწარწერა ურჩევდა რაიღამ-შელიმს მიჰმართოს ბრძენს სარანდისის მთაზედ. თუმცა ორი დაახლოებულნი ვეზირნი მეფეს ურჩევენენ ამ მგზავრობისათვის თავი დაენებებინა და არაკიც მოახსენეს („ორი ტრედი“*) დასამტკიცებლათ, რა ქირი მოელის ვზაში განსვენებას მოკლებულს მეფეს, ამან მაიც არ დაიშალა, წავიდა ბარამანთან (ბიდფაი ანუ ფიდფაი) და ამის რჩევა და განმარტება იგავ-არაკებით თოთხმეტი წაკითხული დარიგებისა წარმოადგენს „ქილილა და მანას“ შინაარსს.

ქართულს ტექსტში თოთხმეტი კარია. ჩვენი თარგმანის წინასიტყვაობა ანვარი სოილისებურია. შედარება სპარსული ტექსტისა (გერმანულად ნათარგმნია) და ქართულისა გვარწმუნებს, რომ ლექსები, ჩართული „ქილილა და მანაში“ ეკუთვნიან დედანს და არ არიან ორბელიანის გამოგონილნი,

*) სახელად „ბახანდა“ და „ვახანდა“.

როგორც ჰფიქრობდნენ. აქა-იქა ქართულს თარგმანში მოს-
ჩანს ქრისტიანული შეხედულება. ენა მძიმეა და ვერ შეედრე-
ბა მე-XII საუკ. მწერლების სტილს.

„ქილილა და მანაში“ პროზასთან შეხვედებით ლექსს, ტაეპს
შიირს, შეწყობილს, ჩახრუხაულს. ამ ლექსად ნაწერს ნაწილ-
ში მოკლედ და მოკრით გამოთქმულია დედა-აზრი იგავისა,
დარიგებისა, რჩევისა. ამ ლექსთაგანი მომეტებული ეკუთვნის
საბა ორბელიანს და ნაკლები მეფე ვახტანგს. „მეფის თქმულს“
ხელნაწერები განსაკუთრებით აღნიშნავენ, მაგალითად: „როცა
კაცი ასს საქმეში არ გესინჯოს, არ გეცადოს, ხვაშიადსა ნუ
გაანდობ, რაგინდ მრავალს შეეცადოს“, აი კიდევ „მეფის
თქმული“.

ამ უამად კაცთა მინდობა
ამხანაგთაგან ძნელა,
საწადლის ჰირთა გამთავე
საქმით არა ჩანს მქნელა,
რომელიც მშვიდი გგონია,
იგ ხერხთა (ფერხთა) მომეყნელა
და მუცლის ღხინად და ნადიმად
უჩანს საქმენი ბნელა.

მეფე ვახტანგის ლექსები და სენტენციები—სახელად „ბა-
ტონის ნაბძანები“ შეადგენენ ცალკე კრებულს მის ნაწერებში-
სას. მის ლექსებსაც დარიგების, დიდაქტიური ხასიათი აქვს.

არ გამოდგეს უვაფი ქორად,

არც უგვარო გვარი სწორად.

საგულისხმოა თვით ვახტანგის შეხედულების გამოსარკვე-
ვად მისი ლექსნი, ბრძნული აზრით შემოსილნი: „მეფე თუ
გლეხთ განუსვენებს, მასტა მიხვდეს განსვენება“, ანუ: „მართლ
მსაჯულსა მეფესთანა უსამართლამ ვერ იხაროს“, აგრეთვე: „მეფე
თუ მიუვა სამუდამოდ სმასს, სიცილსა, მღერასა,— გაუცუდებენ ანაზ-
დად მასა ბედსა და წერასა“. ელეგიური კილოთია დაწერილი
ტაეპი:

დაქცნა სიურმისა უვავილი,
დრო არი შემოდგომისა,
ვარდსა ფურცელი დასცვივდა
სიკეთე უსაზომისა,
ვნატრი მას დღესა, როს ვიუაყ
დარი ვაჟთ თავმომწონისა
და ვაი მომსწრებია სიბერე —
სიკვდილის მოსაგონისა.

მეფე ვახტანგს ეკუთვნის აგრეთვე „ანბანთ-ქება“ და „მა-ჯამა“. პირველი წარმოადგენს მაცხოვრის ცხოვრების და საერთოდ საღვთო ისტორიის ამბების გალექსვას მაღალი, გამომეტყველი ენით. მეორე შეიცავს 42 ტაეპს და შეეხება გულის მოძრაობის ანალიზს და ლხინის ტრფიალს. ამ ლექსებში ხშირად უკმაყოფილება გამოსკვივის, რადგან „ბედმა“ უმტყუნა და გულის მოძრაობამ გონება დაუკარგა. მამუკა ბარათაშვილის „კაშნიკში“, ანუ ლექსთწყობის თეორიაში მოყვანილია რამდენიმე ლექსი „მეფის ნათქვამი“. ერთს მათგანს მოვიყვანთ:

„რად დავიბადე, სოფლით ვიბადე,
ვაი სიკვდილო, მწარე სიკვდილო,
მეგონა რამე, სოფელი რამე,
ვაი სიკვდილო, მწარე სიკვდილო...“

გამოვეტოვებთ ამ ნიადაგ განმეორებულს უკანასკნელს ოთხს სიტყვას და გავაგრძელებთ:

„მიგეეგ სოფელსა, ავის მეოფელსა,
განვცხერ, ვიშვებდი, ვერ გავიშვებდი,
მატებო-მაგება, არად სარგება,
შენ ვერ გიცნობდი, თუმცა მისმობდი;
მონველ ანაზღად, მიწას მეც დაფლად,
მოვშორდი ცოდეს, შვილსა თანამეოფსა,
მოვშორდი ძმასა, გამუარე დასა,
მიკობარს სულთა, საუვარედ ტკბილთა;

მომკალ, მომკვეთე, სოფლის მოკეთე,
სხვაგან გამგზავნე, დამხვდნენ მუნ შავნე,
მუნ გამიკითხეს, დამცეს, დამწინჯეს,
რად ენდჳე სოფელს, ანაზდის შეთფელს,
დამხვდნენ მტარგაღნი, მწარედ მტანჯვეღნი“...

ამ ელოგიას აქვს ავტობიოგრაფიული მნიშვნელობა ბედისაგან დევნილი მეფისა.

ვახტანგმა სთარგმნა სპარსულით წიგნები ასტრონომიული ვარსკვლავთ-მრიცხველობის შინაარსისა („ტალა-მასალა“) ულონბეგისა, გახსნა სტამბა ელახეთით გამოწერილთ ამწყობთა დახმარებით, აღბეჭდა მრავალი წიგნი, განსაკუთრებით სასულიერო, აგრეთვე „ვეფხისტყაოსანი“ თავისი განმარტებით. ვახტანგ მეფის ბრძანებით „ბარამიანი“ იქმნა გადმოქართულებული. ლექსად იგი გადასტკვა ვახტანგის მდივანმა ონანამ.

აი თვით ვახტანგი ერთს ლექსში როგორ ახასიათებს თავის მრავალგვარს მოღვაწეობას:

მე უმცირესმან ქმათაგან,
ვახტანგ სახელდებულად,
ვქქმენ ოთხწელ მცხეთა, ურბნისი,
სადგურ-კამარა-გებულად,
ტფილისს სიონი ხელახლა
შევეძერძე ქანდაკებულად,
ჩემთვისცა სახლი სარკისა,
შიგ ღხინი მოწონებულად. ..

სტამბა მოვიდე ვლახეთით,
ვამრავლე წიგნთა შეღანი,
ქციის რუ ხუნანს წავიდე,
გალმითად მოვრწეე ველანი,
მაშაერის რუ ხომ ტბას შევრთე,
შიგ თევზი ჩავჭსხი ვველანი,
ესე მთა მოვინადირე,
ვხოცე ირემი, მკელანი.

სამართლის წიგნი დავჯსწერე,
მსაჯულს არ უნდა ცილობა,
ვეფხის-ტყაოსნის თარგმნობა,
უქმნია კარგა—ზდილობა,
ბოლოს მიმიღო სოფელჟან
სიმიდირე, მეფეთ—შვილობა.

მეფე ვახტანგს ეკუთვნის რამდენიმე ღირიკული ლექსებიც
სატრფოსადმი მიძღვნილი *).

მეფე თეიმურაზ მეორე და მისი ნაწერები.

(ლ ე ქ ს ე ბ ი . თ ი მ ს ა რ ი ა ნ ი).

თეიმურაზ პირველის და თეიმურაზ მეორის ნაწერებს ხშირად ერთმანეთში ურევენ,—აგრეთვე არჩილ მეფის და მოხსენებული მეფეების ლექსებსაც ეპყრობიან განურჩევლად და ერთის მწერლის ლექსს მეორეს უთვისებენ. თეიმურაზ მეორე იყო ძე ერეკლე პირველისა (ნაზარალიხანისა), დაიბადა ტფილისს, განუტევა პირველი მეუღლე, ბაინდურ არაგვის ერისთავის ასული და შეირთო თამარ, ვახტანგ მეფის ასული. მესამე ცოლად ჰყავდა ანახანუმ, ქაიხოსრო ციციშვილის ქვრივი. ამასაც, როგორც ვახტანგს და თეიმურაზს, მოუხდა რუსეთში მოგზაურობა, წარსდგა ელისაბედ პეტრეს ასულის წინაშე, დაბრუნდა უკან იმედ-მიხდილი, რადგან მტერთა წინაშე დახმარება ვერ მოიპოვა, და გზად გადაიცვალა ასტრახანს (1761 წ.), სადაც დასაფლავებულ იქნა ვახტანგის გვერდით.

თეიმურაზ მეორესაც, როგორც პირველს „არჩილიანში“, ერთს ლექსში ბაასი აქვს რუსთველთან. ამ ლექსის სათა-

*) ერთი მათგანი იწყება სიტყვებით: „თუმცა მოკვდემ, ნეტარ, შენთვის რა სახელში ჩავგვდება, ცეცხლი მწველი გამომეგზნას, რად მეწყინოს მისი ღება“...

ური შემდეგია: „ყოველთა მელექსეთა უმჯობესსა დიდსა ფილოსოფოსსა, მცოდნესა ბრძენსა რუსთველსა ზედა ბაასი მეფის მეორის თეიმურაზისაგან პეტერბურღს“. თუ ეს სათაური სწორედ არის მოყვანილი „ივერიაში“, მაშინ ლექსი უნდა დაწერილიყოს მეფის პეტერბურღში ყოფნის დროს. „დიდადაც გამომადგა რუსეთსა მისი ლექსიო“, ამბობს ერთს ტაეპში პოეტი. საგანი ბაასისა იგივეა, რომელიც უკვე გავიცანით „არჩილიანიდგან“ და ეს გარემოება ცოტა ექვს ჰბადავს—ვის ეკუთვნის ეს ლექსი: არჩილს თუ თეიმურაზს. დასაწყისი ლექსისა გვაუწყებს, რომ მის დამწერს „ანბანთ ქებანიც“ უთქვამს, ხოლო თეიმურაზ მეორის „ანბანთ ქებას“ ჩვენამდის არ მოუღწევია. არჩილს და თეიმურაზს კი მიაწერენ „ანბანთ ქებას“. ბაასი იწყება სიტყვებით:

„მე უსწავლელსა ვით მეძღოს
ვისზე ვსთქვი ანბანთ ქებანი,
ბრძენს უნდა ექო იმისი
ცემცემი, ბრწეინვალებანი;
მინდა რუსთველსა შევჰკადრო
სიტყვითა ბასობანი:
ვკითხოთ, რაზედ თქვა ლექსები
ტკბილი ღრმად მეტყველებანი“.

შემდეგ მგოსანი გვაუწყებს, რომ შოთა დაშვრა „ტყუილზედ“. ნესტან-დარეჯან, თინათინ და ტარიელ, მისგან ცრემლით ქებულნი, „ტყუილი“ პირები, გამოგონილნი არიანო. ინდოეთში არ გაგონილან ტარიელ და ნესტან, ხოლო არაბეთს არ ყოფილან თინათინ და ავთინდილ. არც არავინ იცნობს „ფარსადანს ექვს სამეფოზედ მჯდომელს“ და სარიდანს—მეშვიდე მეფეს. ავტორს არ ესმის პოეტის ფანტაზიით გამოგონილთ გმირთა მოქმედება და ურჩევს, თუმცა დაგვიანებულად, თავისი ნიკი „სამღვთოდ და საეროდ“ მოიხმაროს და ლექსი მასზედ სთქვას, „ვის მზე არ შეეღარების, ვეროჰში რომელსა ბნელი არ მიეკარების, ვინც რომე ნათობს ნიადგ, შუქი არ

დაქმალუბის“. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მეფე ამ სიტყვებით ურჩევს შოთას თამარ მეფის შესხმას, თუმცა „ვეროპა“ აქ ამოდ ჩაჩხირულია. რუსთველი მიუგებს მეფეს, რომელიც „ექვსას წლის მკედარს“ დავას უტებს და საბაასოდ იწვევს. რადგან „მოდავედ ატეხილი დიდი კაცია—მეფე საქართველოსი“, რუსთველი ითხოვს გაიცნონ მისი ვინაობაც. „როდესაც საქართველონი იყო ხელმწიფის ერთისა, მაშინ მას ჟამსა მე ვიყავ შინა-ყმა თამარ მეფისა, იმისგან პატივცემული ვახლდი მდივანი სეფისა. ფილოსოფია მესწავლა, წიგნი მეკითხა ბევრიო, მოსწონდა ჩემი მდივნობა, ვის მორჩილობდა ერიო; მიბრძანა: რადგან ცოდნა გაქვს, ლექსები გამოსთქვენო“. ბრძანება შეასრულა:

„ვზოვე ამბავი ლექსად ვსთქვი,
ვექვე იუოს მოსაწონები,
სადრმთოდ, საერთად სრული
და რა ტკბილად გასგონები“.

თეიმურაზი ათქმევინებს შოთას დროთა შესაფერს სიტყვას და ასურათებინებს საქართველოს მე-XVIII საუკ. აწეწილს გარემოებას.

„როს ქვეუანაზედ ვსცხოფრობდი,
ხელმწიფე მევანდა მაღალი;
მას დროს ქართველნი არ იუვნენ
მტრისგან შეწუხებულნი,
მხიარულნი და შვებულნი
ლხინობდნენ გასარებულნი“

მეორე ისტორიული მოგონება შეეხება თეიმურაზის პაპას;

„პაპა შენს შენგანს უკეთესს
ჭქონდა მას სიბრძნე გულისა,
მასაცა უთქვამს შაირი
მიჯნურთა დადაგულისა,
ვინც წაიკითხავს ჩემს ნათქვამს,
მიგდება უნდა ყურისა,

ჩემან ლექსებმან ერთ ჟამსა
ჰაჰაჰა გაგიგულისა“.

ამით გვითითებს თეიმურაზ I-ის და რუსთველის გააბასე-
ბაზედ, რომელიც „არჩილიანშია“ მოყვანილი.

თეიმურაზ მეორის ლექსებს ის მნიშვნელობა აქვთ, რომ
იგი გვიჩვენებს რუსთველის პოეზიაზედ თანამედროვეთა შე-
ხედულებას. მის გენიოსობას ანგარიშს უწევენ მწერალნი—
მეფენი: თეიმურაზ I, არჩილი, ვახტანგ VI, თეიმურაზ მეორე.

თეიმურაზ მეორეს ეკუთვნის რამდენიმე „ზმა“, რომელიც
მოყვანილია ბატონიშვილის გრიგოლის „ლექსთა კრებულში“.
მეფე თეიმურაზი გომბორზედ შეხვდა ერთს ლამაზს გლეხის
გოგოს, რომელსაც ხელში კალათა ეჭირა. მეფეს ქალი მოე-
წონა და ეს ზმა უთხრა:

ა, ქალო, ვაშლი წითელი,
ხელთ რომ გიჭირავს კალათა,
შენმა წარბმა და წამწამა
მე გუელი მომიკალათა.

პასუხად ქალისა მეფემ თავის თავს ათქმევინა შემდეგი ზმა:

მეფეო, არაფის გეკვის,
რომ დამიჭირო ძალათა,
ადდგომას არ ვის უნახავს
ხელმწიფე მკანკალათა.

მეფე თეიმურაზმა II გადმოსთარკმნა სპარსულით „თიმ-
სარიანი“, ანუ „შვიდვეზირიანი“. იგი წოდებულია ლიტერა-
ტურაში „წიგნი სინდბად“. „თიმსარიანი“ შემდეგ გადაკე-
თებულ იქმნა დავით რექტორის მიერ და ჩამატებულია მის-
განვე გამოგონილი არაკები, რიცხვით თორმეტი. „სინდბად“
შესდგება ვეზირთა არაკებიდგან. იგი აღმოცენდა ინდოეთს
და გავრცელდა მთელს ევროპაში ბერძნული და ებრაული
თარგმანთა წყალობით. ბერძნული, ესპანიური, ებრაული, სპარ-
სული ვერსია და „ათას-ერთ ღამიანის“ არაკი წარმოშობილნი
არიან არაბული წყაროდგან. სპარსული პროზად დაწერილი

ვერსია, რომელთანაც დაკავშირებულია ქართული ტექსტიც, მომდინარეობს ფაჰლაურიდან. დასაწყისი „თიმსარანის“: „იყო ხელმწიფე ერთი ინდოეთის სამეფოსა შინა ნათესავად ჩინგთა ძველთა გვართა ხელმწიფეთა შვილი და სახელად თაყვარჩხან ერქვა“. ეს მეფე იყო განთქმული სიმდიდრით და მოსამართლეობით. მაგრამ შვილი არა ჰყვანდა. უშვილობისა გამო დიდს შექირავებაში იყო, გასცა მეფემ დიდი საბოძვარი, შეევედრა უფალს მხურვალე ლოცვით და ღვთის განგებით მიეცა ვაჟიშვილი, ჯიმშედ, ლამაზი და მშვენიერი. მეფის ბძანებით ჩახედეს „საეტლოსა სტროლაბასა“ და მოახსენეს, რომ მეფის ძე სვიანი და ბედნიერი იქმნება, მაგრამ განსაცდელი მოელისო: „სიშურითა ეშმაკისათა სიკვდილსა ძლივ მოჩჩებოსა“. მასწავლებლად მეფემ ყრმას მიუჩინა ბრძენი აქიმი, სახელად სუმბატ. ამან ასწავლა მეფის ძეს ყოველივე სიბრძნე და ზნენი სახელმწიფოანი. როცა დაამთავრა მისი აღზრდა, სუმბატმა საეტლოდგან შეატყო, რომ ყრმას განსაცდელი მოელის შვიდი დღის განმავლობაში და ამიტომ ურჩია ამ შვიდს დღეს ხმა არ ამოელო, რაც უნდა ეკითხნა მეფეს. შვილის მუნჯობა მეფემ ვერაფრით ახსნა და ამიტომ ძიძამ გამოითხოვა ყმაწვილი, მე ვათქმევინებ და მიზეზს შეგატყობინებთო. ძიძამ ყმაწვილის სილამაზით მოხიბლულმა არშიყობა დაუწყო და განუზიარა აზრი, მამამენს მოვწამლავე, ტახტს შენ დაეპატრონები, თუ ჩემს ნებას დასთანხმდითო. ვაჟმა უარპყო ეს სამარცხვინო წინადადება და სიტყვა დასდო, თუ შვიდი დღის განმავლობაში არ მოჰკვდა, სამაგიერო გადაეხადნა. ამისა გამო შეშინებულმა ძიძამ მოინდომა მეფის შვილის დალუპვა და მოახსენა ხელმწიფეს, რომ შენს ვაჟს შენი სიკვდილი უნდაო. მეფემ სარწმუნოდ მიიღო ეს დასმენა და შვილი დასასჯელათ ჯალათებს ჩააბარა. მეფის შვილის საშველად გამოჩნდნენ ვეზირები, რომელნიც თითო დღეს თიმსარებით ანუ არაკებით მეფეს განუმარტავენ დედაკაცის ვერაგობას, მაგრამ დიაცი შემოდის მათ შემდეგ და თვითულის ნათქვამს აქარწყლებს და საპასუხო არაკით მეფეს არწმუნებს

შვილის ბოროტს განძრახვაში. გავიდა რა ასრე შვიდი დღე, მოვა სუმბატ ექიმი, ყმაწვილს ენა დაუბრუნდება, თავს გაიზართლებს, დედაკაცი გამტყუნდება და დაისაჯება. გახარებული მეფე სუმბატს დაასაჩუქრებს და შვილს ტახტს. დაულოცავს.

შედარება ქართული „თიმსარიანისა“ სპარსულთან გვარწმუნებს, რომ ჩვენს თარგმანში არაკები დასაწყისიდან მეექვსემდის და ოცდამეხუთიდან ოცდამეათემდის იმავე რიგზედ არის, როგორც სპარსულს ვერსიაში. „დიდს სინდბადთან“ შედარებით ქართულს აკლია არაკი „მოზიზღარი კაცი და ჰურები“. „დიდს სინდბადის“ და ქართული „თიმსარიანის“ არაკების ჩამოთვლა მეთერთმეტემდის ერთი და იგივეა, შემდეგ კი ცოტა შეცვლილია. თითო ვეზირი „სინდბადში“ ორ-ოლს არაკს ამბობს, ქართულში კი მეოთხე ვეზირი თითო-თითოს. დავით რექტორს ჩაუმატებია ქართულს „თიმსარიანში“ თავისი გამოგონილი არაკები, რიცხვით თორმეტი, გარდა ამისა უკვე ნათარგმნი „თიმსარიანის“ ენა შეასწორა და „გაჩარხა“. ქართულს თარგმანს აკლია ზოგს ხელნაწერში ორი თიმსარი „ქურდი ახალგაზდა“ და „ოფოფი და განდეგილი“. ზოგს კი მხოლოდ უკანასკნელი არაკი.

„თიმსარიანი“ შედგენილია იმავე ქარგის ფერადებით, რომელიც უკვე ცნობილია „ქილილა და მანას“ წიგნში: ზნეობითი მოძღვრება და დიდაქტიური დარიგება არაკებით არის თვალსაჩინოდ და გასაგებად გამოთქმულნი.

„ათას-ერთ-ღამიანის“ ნაწყვეთები ქართულად. *)

„თიმსარიანი“ ანუ „დიდი სინდბადი“ შეადგენს იმ არაკთა კრებას, რომელიც ერთგვარი ვერსიით მოქცეულია ცნობილ არაბულს „ათას-ერთ-ღამიანში“. გარდა „თიმსარიანისა“ ამ გათქმულ არაკთა

*) ნახე ჩემს რუსულს წიგნში „ქართული მწერლობის ისტორია“, მესამე ნაწილი.

კრებულადგან ქართულად გადმოუღიათ ვერსიები „დავრიშინისა“, „მეფის აჯამისა“, „დარიგება ხიკარ მეცნიერისა“, „სპილენძის ქალაქი“, „შირიანი“ და სხვ.

„დავრიშინი“ რამდენჯერმე იყო ქართულად გამოცემული. ხელნაწერები მე-XVIII საუკუნისა და ერთხელ მინაწერია, რომ იგი დაწერილია თარსადანის მიერ 1783 წ. ეს შეიძლება იყოს თარსადან გორგიჯანიძე, რომელიც მიიტყვალა მე-XVIII საუკ. დამდეგს, ხოლო მისი ნათარგმნიდგან გადიღეს ასლი ამავე საუკუნის გასულს. „დავრიშინის“ შინაარსი შეადგენს ოთხი ღერვიშის თავგადასავალს და ამიტომ ამ წიგნს ჰქვიან აგრეთვე „ჩარდავრიშინი“ (ჩარ=ოთხი). აკრებულია აღმოსავლეთის არაკთა კრებულის მსგავსად. კონსტანტინოპოლის მეფე, დიდად განთქმული, სიბერის ჟამს, ვეზირის რჩევით, სიამოვნებას მხოლოდ საბოძვარის ტაცემაში, ლოცვაში და კითხვაში ჰქონდა. ერთს წიგნში ამოიკითხა, რომ „ვისაც დიდი მწუხარება ჰქონდეს და ვერას ღონეს ვერ ექმნას, წავიდეს საულავებზე—გამხარულდებაო“. მართლაც შეადამისას წავიდა მეფე სასაფლაოზე და აქ შეხვდა ოთხს დავრიშს, რომელთა ლაპარაკს შორიდგან ყური დაუგდო. თვითეული მათგანი უამბობს ამხანაგებს თავსგადასავალს, რომელიც მეფისთვის დიდად საკულისხმოა. მათი ნათქვამი არაკები ვერსიებად მოყვანილია „ათას-ერთ-ღამიანიში“, მაგალითად: „მეორე შეიხი და ორი შავი ძაღლი“, „პირველი სამი ბაღდადეგი დედაც-თავანი“, „მეოთხე მოგზაურობა სინდადისა“. ვერსიებად უამბობს მეორე დავრიში, აგრეთვე შესამე დავრიშის არაკი ნიმრუხედ, რომელიც ძროხაზე ზის, წააკავს არაბულს სამს ისტორიას.

უფრო ახლთა „ათას-ერთ-ღამიანთან“ ქართულად ნათარგმნი, შესაძლოა, სომხურიდგან, „მოთხრობა სპილენძის ქალაქისა“, სადაც აღწერილია ბაღდადეგის მეფის აბუშელიქის სურვილით სოლომონის მფლობელობა ეშმაკებზედ. „დარიგება ხიკარ მეცნიერისა“ სპილენძის ქალაქის მოთხრობისავით სომხურიდგან უნდა იყოს ნათარგმნი. ხელნაწერები არ არიან ძველი დროისანი. მანინ ამ წიგნის აღმოჩენა საინტერესთა, რადგან მხოფელით ლიტერატურაში იგი საყურადღებო თხუხუტლებად ცნობილია. ხიკარ იყო საღბუნესი ასურისტანის მე-

ფის სენეკერიმისა. ასე იწყება ქართული თარგმნი; ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი ხელნაწერები ხიკარს პირველი პირით აღაპარაკებენ. რადგან შვილი არა ჰყვანდა, მან ღმერთების ჩვენებით იშვილა დისწული — ნათან, რომელიც მან ნაზად აღზარდა და უოველი მეცნიერება ასწავლა. როცა მეფეს თავის მაგივრად წარუდგინა ვეზირობად ნათანი, ხიკარმა მას მისცა 108 დარიგება (ქართული ტექსტით). აი სხვათა შორის რა უთხრა: შვილო, ნუ ინატრებ კაცის სისხლსა (62), მშვიდობა დედა არის უოველი დამკვიდრებისა (64), მემრუშე ქალი მგზავსი არის მკვდარისა (81), თუმცა შენი შვილი მეცნიერი იუოს, უწინარეს გამოსცადე იგი და მერმე ჩაუგდე შენი საქონელი ხელში (27). ამ წიგნს ხიკარის სახელი აწერია, როგორც სომხურს თარგმანშიაც. სირიულად მას ჰქვია „ახიკარ“, სლავიანურად „აკირ“. ღმერთის სახელი „ბნელში“ სომხური „ბელშიმის“ გადმოქართულდება.

„მეფე აზბახტის“ ამბავი, რომელიც ბატონიშვილის იოანეს ხელნაწერებში გავშინჯუთ, წარმოადგენს ნაწვეეტს „ათას-ერთ-ღამიანიდან“ სახელდობრ იმ არაკს, რომელსაც ეწოდება „ათ-ვეზირიანი“, ანუ „ისტორია ათი ვეზირისა“. ამ არაკში ჩვენი თარგმანის მეფე აზდაბახტ იწოდება აზადაბხტად, მისს ვიზირს ჰქვია, მადუდ; — ქართულს თარგმანში მისი სახელია მოაბარ და ქვეყანა, სადაც მეფე სცხოვრობს, აჯამად არის სახელწოდებული. ამ მოთხრობაშიაც ვეზირები მეფეს მოახსენებენ საგულისხმიერო არაკებს.

„ათას-ერთ-ღამიანის“ გავლენის ქვეშ არიან ქართულად ნათარგმნი თხზულებანი: „მირიანი“, „უამარდიანი“ და სხვ. „მირიანი“ შექმნილია „დიდი სინდბადის“ ზედმოქმედებით. ეს წიგნი ქართულად გამოცემული, აკად. ბროსემ სთარგმნა ფრანგულად 1836 წ.; ხელნაწერი ეკუთვნის 1760 წ. მე-XVIII საუკ. საარაკო ნაწერთა შორის დიდი სახელი მოიპოვა „ყარამანიანმა“, რომელიც ახლაც გავრცელებულია ჩვენს სახლში. ყარამანი იყო სპარსეთის ხელმწიფის უშანგის ფლავიანი და განთქმული მეომარი. მისი ცხოვრება და მოქმედება რამდენსამე (12) კარგად აღწერილი სთარგმნა სპარსული ენიდან ერეკლე მეფის საღთსუტესებმა დავით ორბელიანმა, რომელმაც

სახელი მოიხვეჭა როგორც ღექსებით, აგრეთვე მამაცობით საქართველოს ლაშქარში. დავით ორბელიანი სიძე იყო ერეკლე მეფის. მას ჰქავდა ცოლად მეფის ასული თამარ. იცოდა საფუძვლიანად სომხური და სპარსული ენები, იმგზავრა დიპლომატიური მინდობილობით სპარსეთში, საიდგანაც წამოიღო „ეურთა სამო ყარამანიანი“. ყარამანიანის დამწერი გერმანელთა გამოკვლევით უოფილა ფირდოუსის მიმდევარი აბუ ტახირ მაჰმად ბინ ჰასაკ ბან-ალი ბინ მუსა ტარსუსი. „ყარამანიანი“ დასწერა მან სხვა-და-სხვა სპარსულთ თქმულეთა შემუშაუებით და შინაარსი თავისი წიგნისა დაუკავშირა ძველ ირანის მეფის გუშანგის სახელს. ავტორმა შესცვალა ზეპირთქმულეთა ალაგ-ალაგ და შედარებით შეჰწამეს მოთხრობასთან ცვლილება შეიტანა სპარსულს ენაში.

სპარსულიდან მე-XVIII საუკ. გადმოიღეს კიდევ „სეილანიანი“, მოთხრობა ფალავან სეილანზედ. იგი ეკუთვნის სპარსულს რედაქციას საღიბურანის ამავისას. „სეილან ჩამე“ გადათარგმნილია დავრიშ სეიდისაგან ინდოური ენიდან, ხოლო სპარსულიდან ქართულად გადმოუღია ბატონიშვილს იოანეს (1741 წ.). „სეილანიანი“ მოთხრობილია ამბები თურქებს, სპარსელებს, სინდებს, ჯინებს, ჩინელებს, იაპონელებს, არაბებს, იამაჩებს და სხვებზედ, მათ ომებზედ „სამოდ“, როგორც უკვე განხილულს ჩვენ მიერ საარაკო კრებულებში. პირველი კარი მოგვითხრობს თურქესტანის შაჰს სარაფრაზედ, რომელსაც ძეარა ჰქავდა და მის ომებზედ ინდოეთის მეფის სუდარაიშაჰის წინააღმდეგ. სარაფრას მიეცემა შვილი სეილან, რომელიც ბევრს განსაცვიფრებელ ვაჟკაცობას გამოიჩენს და სახელგანთქმულს ფალავანებს დაამარცხებს. სამრად იგი ბევრს ქვეყანას შეესევა და ყველგან გამარჯვებული რჩება.

უნდა მოვიხსენოთ აგრეთვე საარაკო შინაარსის წიგნები „ყარ-შაუანი“, „სულ-დავითიანი“, „სარიდონიანი“ და სხვ. „სარიდონიანი“ ღექსად არის დაწერილი და ბრმა წაბაძვას შოთა რუსთაველის ჰომეისა. გმირი სარიდონ მოგვაგონებს ავთანდილს; იგი მოუპოვებს მეფის ძეს ზურგანს სატრფოს, რომლისათვისაც იწვის იგი მსგავსად ტარიელისა. ზურგანიც იბნინდება იზაბურის სახვით და აბ-

რუნებენ მას, როგორც ტარიელს ასმათი. ჰოემა შედგენილი უნდა იყოს ჩრდილოეთს კავკასიაში, შესაძლოა მე-XIX საუკ. დასაწყისსაც. გამოცემულია ტფილისს (1879 წ.)

იოსებ ტფილელი.

ჩვენ განვიხილეთ პროზად დაწერილი ნათარგმნი წიგნები მე-XVIII საუკ. და მხოლოდ ორიოდე ორიგინალურს თხზულებას შევცხებთ. ნათარგმნს წიგნებში ნაციონალური სხივი იშვიათად შევნიშნეთ, ორიგინალურს ნაწერებში იგი მკაფიოდ გამოსჩანს. ნაციონალური და ისტორიული კვალი თვალსაჩინოდ დაემჩნევა იმ ნაწერებს — ლექსად და პროზად, — რომელნიც ეკუთვნიან იოსებ ტფილელს, დავით გურამიშვილს, ბესიკს და სხვ. იოსებ ტფილელი ეკუთვნის მე-XVIII საუკ. მწერლებს. იგი იყო ნათესავი მოურავის გაორგი სააკაძისა და ამ გმირის ცხოვრებას უძღვნა პოემა „დიდ-მოურავიანი“. ამ პოემის ავტორი თავის თავს უწოდებს მოურავის „ძის ძედ“. ვაიზარდა იგი ქვაბთახევის მონასტერში, აღიკვეცა მონაზონად და იმერეთში ნიკორწმინდის მღვდელ-მთავრად დაინიშნა. ცოტა ხანს მართავდა აწყურის ეპარქიას და 1662 წ. როსტომ მეფის დროს გადმოყვანილ იქმნა ტფილელ მიტროპოლიტად. იოსებ ტფილელმა გაამდიდრა სიონის წიგნთსაცავი, მოუპოვნა ყმანი და მამულნი. დასაფლავებულ იქმნა სიონისავე ტაძარში, რომლის აღორძინებისთვის იოსებ მიტროპოლიტმა ბევრი იღვაწა.

ჩვენთვის იოსებ ტფილელი დაუეიწყარია, როგორც „ავტორი „დიდ-მოურავიანისა“. ეს პოემა შეიცავს 482 ტაეპს და გამსჭვალულია აღტაცებითი გრძნობით მოურავისადმი. გიორგი სააკაძე, პოემის გმირი, მოჰქმედობს შაჰაბაზის დროს, როდესაც სპარსეთის გავლენა ლამობდა შთანთქვას საქართველოს ნაციონალური ცხოვრებისას. ამ სავალალო დროს მწარედ დასტრიალებს არჩილ მეფე თავის ნაწერებში და ამავე განსაცდელს ხანას უძღვნა ი. ტფილელმა მწუხარებით აღსავსე პოემა.

გიორგი სააკაძე ახლდა ქართლის მეფე ლუარსაბს ცხინვალს, როცა მას „სამმა კაცმა“ საიდუმლოდ შეატყობინა, რომ მისი „სიკვდილი“ გადაწყვეტილია. სააკაძე განცვიფრდა ამ განზრახვის გაგონებაზედ, რადგან თავდადებული სამსახური მიუძღვოდა ტახტის და მამულის წინაშე. ავალიშვილს, არქიებისკოპოზს დომენტი მროველს სთხოვა შეეტყო მეფესთან: „რა დავაშავე, ვიყავ ხმლით ბევრის მშოველი“. მეფემ თამამად უთხრა მროველს, რომ „ეგე საქმე არ გავლია გულსა“ მისსა,—ვით გასწირავს „ნამსახურს და ერთგულს“ პირსა? მოურავმა მეფეს არ დაუსახელა ის „სამნი“, რომელთაც „ფიცსა ქვეშ“ გაანდეს სააკაძე, რა დღე მოელოდა, თუმცა ლუარსაბი თხოულობდა გაეცა მთქმელი კაცები. ეს გამოგონილი შეთქმულება მოურავის წინააღმდეგ ნაყოფი იყო არისტოკრატის უკმაყოფილებისა. მეფე ლუარსაბმა მეტად დაიახლოვა სააკაძე და შეირთო ცოლად მისი ლამაზი დაი. არისტოკრატია დრტვინავდა, რადგან სააკაძეთა გვარი ახლად გამოსული იყო საისტორიო ასპარეზზედ. მეფე სიმონმა სააკაძეს მისცა „თარხანობა“ და გიორგი X-მ დანიშნა იგი მოურავად ქართლში. არისტოკრატებმა მოინდომა სააკაძის დაცემა ხრიკებით, თუმცა მოურავს მიუძღოდა თვალსაჩინო მოღვაწეობა საქართველოში. ამ თავის ნამსახურობას და ლაშქრობას მოურავი „ჩამოუთვლის“ მეფეს ლუარსაბს (კარი მეორე), მეტადრე იმ გამარჯვებას, რომელიც მას ხვდა წილად ოსმალთა შემოსევის დროს. მაშინ გაითქვა სახელი გმირმა მღვდელმა თევდორემ, იგი შეიპყრეს თათრებმა, სცემდნენ ლახტით და თხოულობდნენ, რომ წინ წასძლოლოდა მეფის ბინაზედ. მღვდელმა თევდორემ განიზრახა თავი შეეწირა მამულისთვის, გაიყოლია შორს მტრის ლაშქარი და ააცდინა ცხირეთს, სადაც მეფე ბრძანდებოდა. „მღვდელს თავი გააგდებინეს, წამებით სისხლთა ღვრისანი“: მაშინ მოურავმა მეფე ცხირეთს გაამაგრა, თითონ შეპყრიბა ოთხასი, „ვინც კპოვა, შეაგროვა“ და სხერტის ქალაში

ნუგზარ ერისთავის, ზაზა ციციშვილის და ბარათაანთ დახმარებით დაამარცხა ოსმალთა ჯარი.

ავტორი დაწვრილებით ასწერს მოურავის შებმას თათარხანთან და პირველის გამარჯვებას თოფის სროლით და ცხენთა იერიშით. თვით მოურავი ჩაერევა ბრძოლაში და ეფიციება მეფეს, რომ ომში სამი შუბი გასტეხა და ერთი ლახტი და მიჰყო ხელი ხმალს: „იბრძვიან ერთპირ ქართველნი, ხმა ისმის ჩახაჩუხისა, თათარხნის ჯარნი გასწყვიტეს, მებრძოლნი შეაწუხისა... დილას შებმულნი ცხრა ჟამდინ ჰქონდათ სისხლისა დენანი“. „ერთპირობა“ დიდხანს არ გაგრძელდა. მოურავმა გახარებული მეფე ლუარსაბი დაჰპატიჟა მეჯლისში თავის სოფელს ნოსტეს. აქ მეფემ ნახა მოურავის დაი, მოისურვა მისგან „ღვინის დასხმანი“ და გულში ჩაედო „მრუშება“. მოურავის დედამ „შეჰქმნა ვაი და უშება“, მოურავი შეწუხდა და ნატრობდა, ნეტავი და არ მყოლოდა: მეფე წყალობას დაპირებული „შერცხვენას“ უმზადებდა. მეფეს სთხოვა შუაკაცით „ცუდი გულის თქმანი“ დაუტევოს, ნუ წასცხვებს ჩირქს ოჯახს და მისს სახელს. ლუარსაბმა დაამშვიდა:

მეფემ ფიციი შეუთჳაღა:

მე შენ მაგას არ გაადრეპდი,
მაგრამ ცოლად იგ შევიართო,
მსიარული ვიხარებდი,
ქართლს დაგიჳდეს და დედოფლად,
გაიხარეთ, მით იშეგებდი.

მოურავი ამ პატივსაც უარყოფს. იცის, რომ „დიდნი კაცნი“ არ შეიწყენარებენ მეფის სიძობას მოურავთან; „ახლა მიჯობს, ჩამომეხსენ, ბოლოს ქირში ჩაგდებასა“. ამავვე მუდარებით მიჰმართა დედას—დედოფალს, რომ მან დაუშალოს შვილს სააკაძის დის შერთვა. დედოფალმაც ვერა გააწყო-რა:

ებრძანა, თუ არას მიჳერს,

თჳარ მოყვრობდი დადიანსა.

დაიჳინა მეფემ და იძულებულ იქმნა მოურავი დასთან-

ხმებულისხო. ქორწილი ქვათახევს გადაიხადეს, გვირგვინი იოსებ კანდელაკმა უკურთხა. მაგრამ გავიდა ხანი—ხუთი-ექვსი თვე და გაისმა დრტვინვა მეფის მეუღლის გამო, სააკაძის დაიდელოფლად—დასამცირებელ საქმედ მიიჩნიეს. მეფემ დაიბარა—მოურავი ყარაიას სანადიროდ მეწვიეო და თან „ლალატს უპირებენ“ მეგობრობის სახით მომღიმარნი. მეფეს ჩააგონეს, რომ თუ მოურავი არ მოიშორა, აღარავინ მიეკარება. ლუარსაბი ჯერ ვერ ახერხებს გადაეწოს კაცი, რომელმაც სიკვდილს მოაჩინა, მძღავრს ლაშქარსა“. შემდეგ ძალდატანებულმა დიდებულთაგან განიძრახა ცოლის „გაშვება“, მაგრამ არც ეს იკმარეს და პირდაპირ მოითხოვეს მოურავის სიკვდილი. ბაკა ხერხეულიძემ შეატყობინა მეფის გადაწყვეტილება: „ხეალ მოკვლას გიპირებს, აჩქარდი“, თავს უშველევო. მოურავი მოახტა ცხენს, მაისში წყალდიდობას არაგვზედ გაასხა ცოლ-შვილი დუშეთს თავის სიამართან, ნუგზარ ერისთავთან და იქიდან გაჰფრინდა სპარსეთს. ნოსტეში მოურავს სასახლე დაუწვეს და ქონება „აუფორიაქეს“.

შაჰაბაზმა „კეთილად“ მიიღო მოურავი, მასთან განისვენა სააკაძემ, თუმცა „სევდა სახლისა სწვავს და კრემლს აღვრევენებს“. როცა შაჰი ყანდაარს წაბძანდა, მოურავი თან გაჰყვა და იქიდგან გამარჯვებული დაბრუნდა. თავი ისახელა ბაღდადის ციხის აღების დროსაც, თუმცა ეს ომი თურქებთან სამწუხარო მოგონებად გადაექცა, რადგან იქ მოუკლეს „მამაცი ძმა“. ამას შემდეგ შაჰმა მოინდომა მოურავის გაგზავნა ქართლში, სამშობლოს ასაოხრებლად. მოურავს გული უკენესის, „ეტირება“, მაგრამ ვერ უბედავს წინააღმდეგობას. შაჰი უწინ კახეთს მობრძანდა, მეორედ ქართლსა მოვიდა და ჩენი მეფენი კი იმერეთს გაიქცნენ. შაჰის მოციქულებმა ლუარსაბი „ტკბილის სიტყვით“ მოიტყუეს, შაჰმა წაიყვანა იგი თან და „ქართლსა მოჰფინა ჩრდილობა“. მოურავს დიდი საჩუქარი უბოძა, ხოსრო მირზა, შემდეგ როსტომ ქართლის მეფედ წოდებული, წარუდგინა აბაზს და შეწყალება მისი გამოითხოვა.

შაჰი უსმენდა, გავლენა ჰქონდა მის სიტყვას, შემდეგ კი წაუხდა ქირნახული“.

ჩემთვის დარმან მოიღრუბლა,
აღარ არის მზინია.

ვისზედაც რომ კარგი ვჰქენი—
მე შეშეშენა ზინია.

შაჰმა მოინდომა ქართლის აოხრება და გამოგზავნის მოურავს და ყორჩიხანს დიდის ჯარით. მოურავმა ვერ გაიმეტა სამშობლოს წახდენა. ზურაბ ერისთავს გაეხლო, რომ ეკალს არ მოაგლეჯინებს თავის ხელით: ვირემ დაგვბოცდენ — მე დაგვბოც, ვოტვირთავ სისხლსა ქედავსა“. ამ განზრახვას ფრთები შეასხა შემდეგმა გარემოებამ: ლოქინის ბოლოს ნადირობის დროს მოურავმა შეიპყრო შათირი, რომელსაც უპოვნა უბეში შაჰის წიგნი, სადაც „ეწერა ქართლი აპყარეთ კაცთაგან, მოურავს თავი მოჰკვეთე, ველარა ჰქმნას რა შუბითა“. შათირი მოჰკლა, ქართველთ ჯარი დაიბარა, შეება ყორჩიხანს და მოჰკლა იგი სპარსთა ჯარით: და სიამაყით ამბობს: „ქვა არსად არის ქართლშია, რომ ჩემი სისხლი არ ეცხოს“. მოურავმა თავზარი დასცა ოსეთს, შეიპყრა ყაზახის ხანი, განდგომილნი დიდებულნი დაიმორჩილა. „ომთა ქირნახულის ჩამოთვლა“ არა ჰსურს, მაგრამ მეფეს მოაგონებს, რომ „ერთს აზნაურს“ მოურავის ოდენი საქმე „არავის ჩაუდენია“. რადგან ლუარსაბი სპარსეთში შაჰმა აწამა, მოურავმა ქართლის ტახტზედ აიყვანა ქაიხოსრო. ეს თავგამოდებული საქართველოს მცველი, „სჯულისათვის წამებული“ მეორედ კიდევ ჩავარდება განსაცდელში. მოურავი ჰგონობს, რომ „ეს სოფელი არვის დაინდობს“, კაცმა არ იცის მოჰკვდება, მოშორებული მოყვარეთა. მოურავს უკუღმართი ბედის წყალობით მოუხდება გაქცევა ხონთქართან. გული სევდით სავსე აქვს, ქართველს ზღუდებში ექცევა, უიმისობა სამშობლოს დააჩნდება. მწუხარებით აღსავსე ესალმება თვისთა და მოყვასთა. რადგან შაჰმა აწამა ქეთევანი, თეიმურაზის შვილები დალუპა და ქართლი კვლავ

ააოხრა მოურავის შურის საძიებლად, ამიტომ სააკაძე ხალხმა მოიძულა და დაჰკარგა ნდობა, როცა შაჰის ჯარს ველარ გაემკლავა. დატოვებული ყველასაგან და თვით ზურაბ ერისთავისაგანაც გაიქცა ოსმალეთს. აქაც გაითქვა მან სახელი თავის სიმამაცით, მაგრამ ეს სახელგანთქმულება შეიქმნა მიზეზი მის დაღუპვისა. ვეზირაზამი, მურად სულთანის სიძე, მისმა მოქმედებამ სრულიად ჩრდილში დააყენა. მოურავის ქება გაისმოდა სუყველგან და თვით ხელმწიფე მას „უკეთეს ყმად ჰსახავდა“. ცოლმა საყვედურის წერილი მისწერა ვეზირს და გულდაწყვეტილი ჰკითხავდა: „შენი სად არის სახელი?“ ვეზირმა თითზე დიკბინა: „სხვათ აქებდენ, მე სახელი განმიქარდეს, ჩემი საქმე არ გამოჩნდეს, სხვის სახელზედ შეფე ხარდეს?“ როცა მეორე წერილით კვლავ მოაგონა, რომ „ერთის ქართველის კაცისა სახელი დიდად არია, შენი ხსენება კი დადუმდა, მწვევ გაუქპირდა ვეზირსა“; მოურავეთან „მტრობა“ არა ჰქონდა რა, მაგრამ ლალატით და ვერაგობით მიიტყუა მოურავი და თავი მოაკვეთინა. ასე განვლო თავისი ცხოვრება ამ შესანიშნავმა კაცმა, რომლის შეილის-შეილმა ალაპარაკა მეფის და ერის წინაშე თავის მოღვაწეობაზედ და შევბედითს თავგადასავალზედ. პოემაში ბევრი მწარე განსჯაა ჩართული და ცოცხლად დასურათებული მოურავის სულისკვეთება. იოსებ ტფილეღმა ამ პოემით ჰქმნა „სოფლის საქმე“, თუმცა ჰგრძნობს, რომ მას უფრო შეეფერებოდა ლოცვა და სინანული, მაგრამ ამასთანავე დასძენს: „ზოგი რამ საღმრთოც დავწერე, სიტუვაც ვსთქვი წმიდად ქებანი“. „დიდ-მოურავიანი“ მაღალი ღირსების სალირიკო ჰანგებზედ აგებული ისტორიული პოემაა. მე-XVII საუკ. მას უქირავს თავის მოქნილი ენით და ცხოვრების დაკვირვებითი თვისებით პირველი ადგილი.

დავით გურამიშვილი და მისი „დავითიანი“.

„დიდ-მოურავიანი“ მე-XVIII საუკ. და „დავითიანი“ მე-XVIII საუკ. ავტებულნი არიან ერთს გეგმაზედ. ქართლ-

კახეთის ურთიერთი შეტაკება და განადგურება გარეშე მტერთა წაქეზებით, ერთმანეთის განადგურება და მოძულეთა გაძლიერება—აი დედა აზრი ზემოხსენებული ისტორიული პოემების იოსებ ტფილელის და დავით გურამიშვილისა. ამ დედააზრს ორივე ავტორი ასულდგმულებს გრძნობათა ანალიზით, მამულის სიყვარულის მოძრაობით და წრფელი გოდებით სამშობლოს გათელვის და შელახვის გამო.

დავით გურამიშვილს მხატვრობითი ნიჭით და ლირიკული აღმაფრენით ვერ შეედრება ვერვინ მ-XVII—XVIII საუკ. მწერალთა შორის. მისი პოემა „დავითიანი“ სრულია პოეტიური შემოქმედებით და აღბეჭდილია ისტორიული კემშარტებით. „დავითიანის“ დამწერი იყო დავით გურამიშვილი, აქედან წარმოსდგა მეორე სახელწოდება მისი ნაწერებისა „გურამიანი“. იგი ბატონიშვილის ვახუშტის აზრით ჩამომავალი იყო ზედგინიძეთა და ენათესავებოდა ქსნის ერისთავებს. დაიბადა დავითი გორისუბანს, საგურამოს ახლოს, ტფილისის მაზრაში 1705 წ. იგი ერთს ლექსში, რომელიც დაწერილია 1774 წ. თავის თავს უწოდებს 69 წლის მოხუცად. დავითი გაუზრდია უსწავლელს ძიძას და ამიტომ პოეტიც. დარჩენილა განათლება მოკლებული: „აქა-იქა წანწალით“ ანბანის მეტი ვერა ისწავლა-რა. თუმცა საქართველოს ლეკებმა წიგნებიც გაუქრეს, მაინც გურამიშვილს შემდეგ შეუსწავლია ქართული მწერლობა. 1723 წ. ქართლ-კახეთის ბრძოლის შემდეგ დავით შეხიზნულა ნათესავებთან ს. ლამისყანას. აქ, როცა იგი 19 წლისა იყო, ლეკები დასცემიან და ტყვედ წაუყვანიათ. ეს ის დრო იყო, როცა ლეკები და ოსმალონი საქართველოს დაეპატრონენ ვახტანგ მეფის რუსეთში გადასახლების შემდეგ. ტყვედ წაყვანა მისი მოხდა ზაფხულს, მკის დროს, როცა იგი თავს დასტრიალებდა მუშებს და იარაღ-აყრილი დილით, ტყეში წყალზედ მისულა პირის დასაბანად. თხუთმეტი ლეკი მიეპარა ამ დროს და დაიქირეს, ან, როგორც პოეტი ამბობს:

შემიპყრეს, წამომიყვანეს,

ხელ-ფეხს მომიღვეს გენია,
გარდმომატარეს ასი შთა,
მინდორი ცხრა იმდენია.

წამოიყვანეს ზემო დაღესტანს, სოფ. ოსოქოლოსკენ, აწ-
ვალეს გზაში ფეხით სიარულით, ღუმის და ხინკალის ქამით.
მიიყვანეს ბინაზედ და ორმოში დაამწყვდიეს, „არც ასვეს, არც
აქამეს, არც ჩააცვეს და არც დახურეს“. პოეტს ამასთანავე
გულს უკოდს სევდის ლაზვარი: „დედ-მამა, ძმანი დაჯვარგე, არ
ვიცი დანი სად არი“. არ აკმარეს მოსამსახურედ მისი დაყენება
„არა ღირსთა“, არ აკმარეს ის მწუხარება, რომელიც მან
გამოსთქვა ლექსად ლოცვაში „ოდეს დავითს ტყვეობასა ში-
ნა მოშივდა და ღმერთს პური სთხოვა“, ანუ „ოდეს დავითს
ტყვეობასა შინა სციოდა“: მისმა მტანჯველებმა მოინდომეს
მისი გაყიდვა. მომავალმა ტანჯვამ გააბედვინა პოეტს გულ-
ში ჩასახული განზრახვა განებორციელებინა და გაპარვა გა-
დაწყვიტა. გაქცეულს ტყვეს მოეწივნენ და უარესი ყოფა
მიაყენეს, სცემეს და „დაჰპალურეს“. ამ პირველმა ცდამ
არ მოუკლა გაბედულება, მხოლოდ უფრო მოფიქრებით შე-
უდგა გაქცევის საქმის მოწყობას. მეორედ პოეტმა იდროვა და
ჩრდილოეთისკენ დაეშვა, რადგან იქ თერგზედ რუსის ჯარი
ეგულებოდა. ძილში მოსმენილმა ხმამ ძალა მოუმატა და გან-
ზრახვა განებორციელებინა:

„ხმა შესმა ძილსა შინაო,
რას ხვრინავ, რასა ფშვინაო...
ადექ, იარე, წავიდეო,
მე წაგიძღვები წინაო“.

პოეტი მიენდო ღმერთს, „მზეს და შვილსა ვარსკვლავებს“:
მათი ჩვენებით გაიკვლია გზა, თუმცა ქარი და ქექა-ქუხილი
დაღისტნის ტიტველ მთებზედ ბევრს მწუხარებას მიაყენებენ
დაჩაგრულს პოეტს. შიშველი და მშიერი ელვის სინათლეზედ
თავს შეაფარებს სეტყვას გამოქვამულს ადგილს და შემდეგ
ლოცვით გამხნეებული მისდევს ისევ თავის ვარსკვლავს. ხუთი

დღე-ღამე შეიდის ტყემლით ისაზრდოვა, დღისით ჯაგნარში იმალებოდა და ღამით ბედავდა სიარულს. შემდეგ ტანისამოსიც შემოეფლითა, მუხლ ქვეით სრულიად შიშველი დარჩა, ბალახი-ლა იყო მისი საკმელი. სასოწარკვეთილი მიჰმართავს ღმერთს:

„ზური არ მაქვს, მიბოძე, მშინ, მაჭამე...“

კიდევ შემოსე, სიცივით სულ გერთი ამ ღამეო“.

ამ წვალებით იარა თოთხმეტი დღე და მიაღვა „წყლისპირს უკალოს“, უთუოთ ანდისის კოისუს და თუმცა ნახა ორი კაცი ნავით, მაგრამ მათ ყურადღება არ მიაქციეს: „ისევ გაბრუნდნენ, შეშინდნენ ჩემის უქონროს თავითო“. ღამე გაატარა კალაში და მეორე დღეს გზაში იპოვა ორი კიტრი და ნახევარი საზამთრო: კიტრები უბეში ჩაიწყო და საზამთროს გასარეცხად მდინარეზედ მივიდა. აქაც უბედურება არ ასცდა პოეტს:

„კიტრი უბიღამ გამცვივდა,
გულზედ მომედვა შე ცხლად,
რომ მომეყიდა, მიღირდა
ას ოქროდ, ათას ვერცხლად...
ღვთისაგან გულსა შემაკლდა,
ვაუვედრე, ასე ვიტირე:
თუ მომეც, რაღათ წამართვი,
აწ ასე რად გავიწირე“.

პოეტი წააწყდა ვენახს, გადახტა და ყურძნით შიშშილი მოიკლა. მოისმა სასურველი ხარის ხმაც:

მკრა სიხარული გულისა,
ანაზღად ჭკვაზედ შემცვალა,
ასე მიამა, პირიღამ
გავეარე ყურძნის მარცვალი.

ბალიდგან დავითმა დაინახა ეკლესია და ხალხის პირჯვრის წერა. შეშინებულს პოეტს ეკვი დაებადა, მოჩვენება ხომ არ არის ეს სასიხარულო მოვლენაო. ამ აზრით გარემოცულს

ხალხი დევებად მოეჩვენა და ქალების თავთ იალქანი — დევების რქებად. ჯერ გაქცევა დააპირა, შემდეგ გადაწყვიტა სალამონდინ დარჩენა ჩალაში. აქ არ ასცდა განსაცდელი:

წამოდგა კოდოს ლაშქარი,
რა შეესძარ ჩაღის ძირია,
მე დამარჩობდენ უტილოდ,
თუ არ დამეცო შირია“.

ამ გარემოებამ პოეტს გააბედვინა მოსვლა უცხო ხალხთან, რომელიც მისმა შეშინებულმა გონებამ დევებად დასახა. მივიღა, ჯვარს ემთხვია, პირჯვარი გამოიწერა და თავის სიშიშელით განცვიფრება და გულშემატკივრობა გამოიწვია: „ერთმა მიუთხრა მეორეს: დაი ხლებათ, ღაზარი!“ პოეტს უწინვე ჰქონდა გაგონილი, რომ „რუსულად ხლება პურს ერქვა“, და ამ სიტყვამ დაარწმუნა, რომ იგი რუსთა შორის არის. მოჰგვარეს თარჯიმანად „თხოველი იანვარა“ და გამოჰკითხეს ვინაობა: „ვინა ხარ, სად მიხვალ, რად იყავ ღამის ყანესო“. პოეტმა დააკმაყოფილა მათი ცნობის მოყვარეობა.

აქედგან გურამიშვილი წამოვიდა სოლალს, სადაც მაშინ ქართველი ჯარი იდგა, შემდგარი მეფე არჩილის თანამხლებელთაგან და აქ მოწვეული პეტრე დიდის მიერ. ამათი დახმარებით გურამიშვილი კასპიის ზღვით წავიდა აშტრახანს, სადაც 1728 წ. მეფე ვახტანგი შეჩერებული იყო კირიანობის შიშით გზად სპარსეთიდგან, შემდეგ აქ მოგზაურობისა დესპანის მინდობილობით. მეფე აშტრახანს აღარ დაუხვდა და გასწია მოსკოვისკენ და აქ ნახა იგი 1730 წ. „თერგიდამ მე სოლალს წაველ, სოლალიდამ აშტრახანსა; მუნით ზოსკოვს, მეფე ვახტანგს, ბაქარს შანაოზსა ხანსა, ვეახელ და თაყვანსა ვეც“, ვახტანგი შეწუხებული დახვდა, რადგან პეტრე დიდს ვეღარ მიუსწრო, ეკატერინე, მისი მეუღლეც მომკვდარიყო, მიცვლილიყო პეტრე II-ც. ამ მეფეების სიკვდილმა გაუძნელა ვახტანგს სამშობლოს საქმის მოგვარება და მთელი ექვსი წელიწადი უნაყოფოდ გაატარებინა სამშობლოს გარეთ. მე-

ფემ გურამიშვილი თავის კრებულში ჩარიცხა, უბოძა ჯაბ ბაშობა და დააყენა თავის სასახლეში. აქ მეჯლიშებში მან მოიჩინა შაირების და ზმების თქმის ნიჭი და მოსწრებულ ტყვეთ მოშაირე ჯავახიშვილი დასძლია. მეფემ დაიხსლოვა ეტი და თან დაჰყავს იგი ასტრახანში და დერბენტში. შემდეგ ახლდა ბაქარს. როცა რუსეთში ქართველთა გუსარის პოლკი დაარსდა, გურამიშვილი უბრალო ჯარის კაცად ჩაირიცხა ამ პოლკში. ხელმწიფის ანნა იოანოვნას ბძანებით ქართველთ წარჩინებულს პირებს დაურიგდათ მამულები მალოროსიაში. ჩვენს პოეტს ერგო 30 სული მირგოროდში. ქართველთა პოლკმა მიიღო მონაწილეობა ყირიმის, ოჩაკოვის და ხოტინთან ომში, აგრეთვე შვიდწლოვანს ომში (1756—1763), სადაც ჩვენი პოეტი ტყვედ წაყვანილ იქმნა და დამწყვდეულ მაგდებურგის ციხეში. თანამემამულეებმა გამოისყიდეს 1762 წ. და დააბრუნეს იგი მალოროსიაში. პოეტი აივსო კმუნვარებით და გოდებით შავბედის ქარიშხალის გამო. ამ დროს ეკუთვნის ლექსი: „ოდეს დავით გურამიშვილი ბრუსიაში დატყვევდა და თუ რამ აქვნდა თავისი საცხოვრებელი, ისიც დაეკარგა, იმისთვის ტირილი“.

გაეხდი გლახაკი და დაჯდომილი,
თუმცა საწუთროს მოვიანგარე,
ვარ სარეცელზედ მე დაჯდომილი,
საუნჯისაგან კარს გარეთ მდგარე.

პოეტი დასახლდა მალოროსიაში, მაგრამ მაინც სვეს ემდურის რაღაც უბედურების გამო. იგი ასე მოგვითხრობს აქაურს ცხოვრებას:

ფეტვი ბევრი მოვიუვანე,
მაგრამ ვერა ვსკამე მჭადი,
მე მომითხრეს, მანდუდამე
ახლა ადექ, სხვაგან წადი,
ძალუნებრივ წამიუვანეს,
სადაც არა ვიუავ მწადი,

ვამე, ტკბილი სიცოცხლეო,
რომ შენ ასე გამიმწარდი.

სტრბერის დროს გურამიშვილმა დასტოვა პოლკი და შე-
კრავალ ლექსების წერას. მაშინ არის დაწერილი „სი-
კვდილის და კაცის შელაპარაკება და ცილობა“, „კაცისა და
საწუთროსაგან ცილობა და ბჭობა“ და რამდენიმე წერილი
ლექსი: „ადამის საჩივარი“, „ამ წიგნის გამლექსავის გვარის
და სახელის გამოცხადება“, „ანდერძი დავით გურამიშვილისა“,
„სულის ამბავი“. ამ უკანასკნელს ლექსს შემდეგი შენიშვნა
აქვს ავტორისაგან ჩართული:

ვსთქვი წელსა ათას შვიდას სამოცდა თორმეტსა,
თვესა ნოემბერსა, ოცდა ცხრასა კასულსა.

აქედგან სჩანს, რომ 1774 წ. მას წერა შეუწყვეტია.
პოეტი არ ჰყოლია შვილი, ელოდა სიკვდილს უცხოთა შო-
რის, ობლად, ცხოველს გრძნობას მოკლებული, სამშობლოს
გარეთ. პოეტი არ მალავს ამ მწუხარებას და ასე მოსთქვამს
ჩივილს საწუთროზნედ:

ვამე ცოდვილსა, მე უმადურსა
დავრდომილობით უხუც-უმდგდღოსა,
მე ვინ მილოცავს, ან ვინ მიწირავს,
ან ვინ დამმართავს, ვინ დამიტირავს;
უმკვიდრო ვიქმენ, არ დამჩხა შვილი
რომ მას აღენტო სანთელი ცვილი,
ექნა აღაპი, დაედგა ტაბლას;
ასე მადაღმან მე დამამდაბლას.

მეორე ადგილს იგი მოიჩივლებს:

„არ მომცა ძე, არცა ასული,
არ ვინ მიძახის მამასო“.

პოეტი დაჰგმობს თავის სვეს:

„სულ მატირა ჩემი დღენი,
არაოდეს არ მამდერა,
თესლ აშრეტით გამახშო

და უნაყოფოდ დამაბერა, ...
გულს დამასვა სამჭედურად
დახვრად სვედის საგადაა“.

გურამიშვილი მოხუცდა, სიბერე არღვევდა მლილივით მისს მაგარს ტანთაგებულებას. თავს ხშირი თმა ჩამოაყალა და მელოტად გახადა; ტანი მოუუძლოურა, სიხარული მოუსპო, გული უკმაყოფილებით აუშდვრია. პოეტს ამ დროს ამ დროს აღარც ქნარი იზიდავს:

აღარა მსურს ქნარი, საკრავად სტვირი,
არც ზედ დამღერა, არც ამას ვსტირი.
ცრუმან საწუთრომ მარიდა პირი...
გამაურეგინა თავზე თმა ხშირი,
პირი დამიჭნო, ვიიარცა ჩირი,
დამაშვებინა დაღმა ჩიჩვირი...
მომიანხლოვდა მწარე სიკვდილი,
ცელ-გალესილი, ხრმაღ-ამოწვდილი.

პოეტს გულზედ აწევს სამშობლოს სევდაც. მისი მწუხარების წყარო, რომელიც მრავალს ლექსში სჩქეტს, მომდინარეობს სამშობლოს სევდისაგან. იგი ჰგოდებს, რომ მოშორებულია მამულს, ოჯახობას, ნათესაობას. ბედის მუხანათობის დასურათება პოეტს მეტად ემარჯვება, წრფელი გრძნობა გამოსჭვივის იქ, სადაც იგი საწუთროს უკუღმართობას შოლტავს:

„ამად ვემდური საწუთროს,
თორემ სხვა რა მქვს სადაო,
სად მამიუვანა სად მუიფი,
კიდევ მივეყვარ სადაო...
ფუ, შენ ცრუო საწუთროვო,
რად არ მსუღდი, რად მიუვარდი!“.

თვისი მძიმე მამულის სევდა პოეტმა გამოხატა იმ ქვაზედაც, რომელიც უნდა დაედოთ მისს საფლავზედ ზედ-წარწერით:

„წმინდა იოანე კახეთს ზედაფქის

სასწაულობით ქვეთავის ცრემლს ადენს,
ქართლს წმინდა შიო მღვდემს ძვლებს ავლენს --
თრნივ შერებიან სასწაულს ამდენს.
ამ თრს მონასტერს მაქენდა ალაგი,
სასაფლაო და ძვალთ შასაფაგი,
თრივ ქვეთავირით აღშენებული,
სახლ-გაღაჯნებით დამშვიდებული.
ახლა მობძანდი, მნახველო, მნახე,
მისად სანუფქოდ, სად დავიმარხე“.

ამ დრტვინამ საწუთროს უკუღმართობაზედ აღნიშნა მისი ნაწარმოები იმ უკმაყოფილებითი კილოთი, რომელსაც ეწოდება სახელად პესსიმიზმი. ამ გვარს გრძნობას, ჩაწნულს მთელს მისს დავითიანში, ორი საბუთი ჰქონდა: კერძო სულის ტანჯვა პოეტისა და მამულის შავბედითი სვე. სამარის პირზედ, უთვისტომოდ დაბერებულს და დევნილს გურამიშვილს ნუგეშად რჩებოდა თვისი „დავითიანი“. ამ წიგნს, მისი სიტყვით, ღვთისგან უშვილოდ დარჩენილი პოეტისათვის შვილობილობა უნდა გაეწია: იგი უნდა ყოფილიყო პოეტის სიკვდილის შემდეგ მისი სულის მომხსენებელი. „დავითიანის“ წამკითხველთ უნდა მოეხსენებინათ დამწერის სული. ამ მიზნით პოეტმა სიბერის დროს ერთ წიგნად შეჰკრიბა თავისი ლექსები და ჩაურთო ახალი ლექსებიც, სადაც მკითხველს სთხოვს მისი სულის მოხსენებას:

„ამ ლექსთ თავი მოგუყარე,
საცა შეთქვა თვითო ობლად,
გებების რომ ბრძანოს ვინმე
სიტყვა ჩემთვის შესანდობლად.

პოეტი სწუხს, რომ ბევრი დარჩა უთქმელი, სიბერემ წერაზედ ხელი ააღებინა, ან როგორც თვით ამბობს:

რაც დამჩა, ვერ ვსთქვი, მეწადა,
შეთქვა გრძლად, თავი შეცადა,
ვერა ვსთქვი, მოცლას ვუცდიდი,

ნეტამცა არა შეცადა!
შესწრაფა სევედის ჯახვარი,
საკედავად გულისა შეცადა,
აწ ამას ვღონობ, არ ვიცი,
ქვეყნად წავალ თუ შე ცადა?

1774 წ. პოეტმა შესწყვიტა წერა, მაგრამ სიკვდილი ჯერ შორს ყოფილა მასზედ. 1787 წ. მას ვხედავთ ცოცხალს და წისქვილის პროექტის საქმეში გაბმულს. მან დაამზადა ორი მოხაზულება სარწყავის და წისქვილის მანქანებისა, ზედ-მი-ნაწერებით:

ღმერთო მაჩვენე უანები,
ამ სარწყავ მონაუფანები,
ღმერთო, დამასწარ ზახეხულსა,
ფქვილს ამ წისქვილზედ დაფქულსა.

როდის გადაიცვალა ან სად არის დამარხული გურამიშვილი; ნამდვილად არ ვიცი. შესაძლოა დაკრძალული იყვეს მისი გვამი ახტუბის მონასტერში, რომელიც მდებარეობს ხარკოვის, ჩერნიგოვის და პოლტავის გუბერნიების საზღვარზე. ახტუბის ღვთისმშობლის ხატი გამოხატულია წისქვილის პროექტში. ამ პროექტში რუსიზმებიც შეხვდება: გრებლები, ლოტკები და სხვ. პოეტი ბოლო დროს ცალის თვალით დაბრმავდა და მეორით სუსტად ხედავდა. გადაიცვალა დიდს სიღარიბეში.

პირველი ნაწილი მისი უკვდავი „დავითიანისა“ ასურათებს საქართველოს მდგომარეობას მე-XVIII საუკ., როცა ქართლ-კახეთი ერთმანეთს წაეკიდნენ. ვახტანგ VI ქართლის და კონსტანტინე კახეთის მეფე მხურვალე მსურველნი არიან დაამყარონ მშვიდობა საქართველოში, მაგრამ გარემოება აიძულებს მათ ქვეყნის დამლუპველს ომში გაებნენ. კონსტანტინეს ესმის მნიშვნელობა ამ ბრძოლის, რომელსაც ძმათა მკვლელობის ხასიათი ექნება და ამიტომ ყვენის ბძანებას გასტეხს და ვახტანგს არ ჩამოართმევს ტახტს. კახელები კი შაჰის მოლორებას ყურადღებას არ აქცევენ და ურჩევენ მას ქართლის დაქე-

რას. ვახტანგს ქართლშიაც ჰყვანან მტრები, რომელთა მოთავეა ძმა მისი იესე. კოსტანტინე ვახტანგის სანახავად ქართლს მოდის და სამზღვარზედ მას ბარგს გაუცარცვენ. კოსტანტინე უკან დაბრუნდება და კახელები ახლა უფრო აქებებენ ქართლისკენ გასალაშქრებლად. სიყვარულის და ერთობის მოსურნე მეფენი ტრაგიკული მდგომარეობით ომში ჩაებმინან. ამ სამწუხარო გრძნობის გამომხატველია გურამი-შვილი; იგი დასტირის საქართველოს დაცემას გარეშე მტერთა წყალობით და მეტადრე შინაური თვალეზ-ახვეული პირთა გავლენით. ერთმანეთთან ბრძოლამ მოგვევარა ყველა უბედურება — აი დედა აზრი მისი „დავითიანისა“. დამარცხებული მხარე იწვევდა საშველად სპარსელებს, ოსმალებს და ლეკებს, რომელნიც ქვეყანას მტრულად ანადგურებდნენ. კახელებმა, როცა ქართლელთ დამარცხეს, მიჰმართეს ლეკებს და გააბატონეს იგინი კახეთს. ვახტანგმა სთხოვა შემწეობა ახალციხის ფაშას და ოსმალები შემოუსია ქართლს, რომ იმერეთის მეფის და მათი დახმარებით ტახტი დაებრუნებინა, მაგრამ მოსტყუვდა და პეტრე დიდს შეეფარა.

პოეტი ჰკიცხავს ვახტანგსაც: „ფარჯ სიავისა ქვეყანას არ მოუხდებისო“. ვახტანგის და კოსტანტინეს შეტაკებამ ის ნაყოფი მოიტანა, რომ ორივე დასუსტდნენ და მტრის დავლად გახდნენ. „როგორც მამალი მამალს წაეკიდოს და ერთმანეთის ბრძოლით მოქანცულებს ძაღლმა პირი ჰკიდოს, ესრეთ საქართველო დარჩათ თურქთა, სპარსთა და ლეკებსაო. მოგვითხარა ქვეყანა, მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად და აღარავინ დარჩა ფარსავი.

საქართველო გარეშე ომიანობის და შიგან უთანხმოების გამო განაწილდა რამდენსამე სამეფოდ (ქართლი, კახეთი, იმერეთი) და სამთავროდ (სამცხე-საათაბაგო, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი და სვანეთი). ეს ნაწილებიც კიდევ გაიყო: იმერეთს ჩამოეცალა რაჭა, გურიას ბათომი, ქართლს ქსნის ხეობა. ფეოდალები ეომებინან მეფეებს და ერთმანეთს, ოსმალეთი და

სპარსეთი ამ არეულობას ხელს უწყობს და ქვეყანას მიწასთან ასწორებენ. ერთობის აზრი დამარხეს, კერძო ინტერესები გაამეფეს. ფებქვეშ გათელილი გაერთიანების მქადაგებელი გახდა გურამიშვილი. იგი აღნიშნავს საქართველოს დაქუცმაცების მიზეზს და აღნიშნავს ერის ზნეობითს დაცემას. ღმერთი, მამული, მეფე არ იყვნენ მის დროს სათაყვანებელნი. გამეფდა ,,მტერობა და ძვირის თქმა ერთმანეთისა, ამპარტავნობა, შური, ურცხვად პირის გატეხა, ავაზაკობა, ქურდობა, ტყვეობა, ტაცება ქვრივისა, ობლისა და მგზავრისა. ყოველი სიცრუე მიეგოთ. ამისთანა გარემოებამ დასცა ქართველთა ერი. მტერს ვერ გაუმაგრდნენ ის მამაცნი, რომელნიც აღრე ძლიერ მებრძოლთ მრავალჯერა სძლევედნენ; დღეს ნება ჰყვეს თვისთა მერჩოლთა, გულმაგრობა ველარა ქნეს, ციხე განუღეს მტერსა, სამკვიდროს მომშლელსა და დამკცევსა. ერთი მტერი ათს ქართველს სძლევედა. ასე თავის თავსა ხმალი იცეს. რაკი ქართველები ასე ნახეს, ყველანი: თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზი, ლილივი, დიდო, ქისტი სრულ დაეცნენ მას, ყველამ წაჰკრა თვითო ქიშტი. ასე ჩაცვივდნენ ცოდვის მორევთა, გზა ვერა სცნეს მადლთა ფონისა; გაუორგულდნენ იესოსა და მაჰმადის მსახურნი შეიქნენ. ~~ქართლს ქრისტს~~ კურფინ მოსთუღის, ვაი იმ დღისა დამსწრებსა“. ამ სარწმუნოებითი გრძნობით მოსთქვამს გურამიშვილი გოდებას და მამულის სიყვარულით გამსჭვალული ცრემლებს აფრქევს, როგორც იტალიელი დანტე თავის ნაწარმოებში „ჯოჯოხეთი“.

ახალციხის და ბათუმის მხარის გამაჰმადიანებამ საქართველოს ძირი გამოუთხარა. ამისთვის აღვიღად მისახვედრია კილო პოეტისა, რომელიც ქრისტიანის მქადაგებლის მოძღვრისავით დასტირის სარწმუნოებიდგან გამდგარს ქართველებს. პოეტი მოსურნეა დამყარდეს სიყვარული, ქეშმარიტება და სიმართლე. გურამიშვილი კენესის ქვეყნის დაცემის გამო, მაგრამ მას სავალალო თავისი კერძო ბედისწერაც აქვს. მისი თავგადასავალი მთელი საქართველოს სურათს წარმოადგენს. პოეტის

ლოცვა ტყვეობაში საგრძნობელი იყო თვითოეული ქართველი-სათვის, რომელსაც ტყვეობა ენახა.

მზეკ! სიშორითა შენითა
ვსტირ გულზე კვსესითა, ქშენითა;
ეინვა მელაჟს და მარჩობს ბუქი:
განმათბე, მომფინე შუქი.

მისგან ტყვეობაში შიმშილი და ღეთისადმი ლოცვით პურის თხოვნა გულს მისახვედრი სიტყვები იყო. „მამაო ეოფლის მჭერბელო, ღმერთო მოწყალეო... ჰური არა მაქვს, მიბოძე, მშინ, მაჭამე“.

ამ ლექსში აკროსტიხად ჩართულია „მამაო ჩვენო“ თავიდან ბოლომდის. მეორე ამ გვარსავე ლექსში, რომელსაც პოეტი უწოდებს იამბიკოდ და სათაურად აქვს „სამების ვედრება: გზის წარმართვის თხოვნა დავითისაგან“, აკროსტიხად მიუძღვის „რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი“ და სხვ.

რამეთუ გცოდე, უფალო, ვიასოვ შემინდეო,
შენი ვარ მონა, წყალობა შენ მე დამმართეო,
არსდა მეავს მისამართი, მე შენ მოგმართეო,
სუფევა შენი მშვიდობით გამოავლინეო.
ძალი და ღონე მიბოძე, მტერთა ვეუო მრეო,
დიდება შენდა, ნათელა, ერთა სამსახეო!
მამისა აბრამისასა სტუმრად მსხდომარეო,
დაბერებულთა მათ ბერწთა შვილით ახარეო,
ძისა მათისა ისაკით ძე მოასწავეო:
დამმარხველს, დამტირებელს ვითხოვ, მიბოძეო!
წმინდისა სამებისაო მადლო, დამფარეო,
სულისა ჩემის საოხად რაც ვსთქვი, მაკმარეო
აწ დავით იტყვის: დიდება შენდა, მეუფეო,
მარადის და უკუნითი უკუნისამდეო.
ამინთუ მე ბნელს სანთელი და მომანათეო
და დავით მე შენ გვედრები, გზა წარმიმართეო.

იამბიკოში „ძის ვედრება“ პოეტს ჩართული აქვს თავის

სახელი და გვარი. პოეტმა ბევრჯერ იწვინა ბედის ვერაგობა და ცვალებადი სელა და ამიტომ მწარე გამოცდილებით მოსთქვამს „საწუთოს სოფლის სამღურავს“. ამ ლექსში გურამი-შვილის პესიმიზმი მსოფლიო პოეტთა უკმაყოფილებას უერთდება და სოლომონის ამაოებას მოგვავაგონებს.

ნუ შენდობი, საწუთო-
მტყუფანი არს და უწირო,
არ დაიჭირვის ხელშია,
რაგინდ რომ ბჭალი უჭირო,
დღეს რომე ღხინი მოგატოს,
ხვალ ვერ მოუჩე უჭირო.
ამად სჯობს ხორცი უარჰყო,
სუელსა უღოცო, უწირო.

საწუთო — ქცევადი, მობრუნავია; მოკლეა ესე სოფელი — კაცს არ შერჩება წამ-ერთი. სად კაცს არ უნდა — წარიყვანს, ყელზე საბელი უბია. მიდის-მოდის ეს სოფელი, ქარ-ტეხილთა ზვისებრ ღელავს. ნუ ენდობი, მოგატყუებს, ისარს ისერის, მშვილდს კი მალავს. ამ მწარე სიტყვებს ათქმევენებს ის ქარიშხალი, რომელიც დაატყდა ჩვენს პოეტს თავზედ. სხვა ნაწერებში პოეტი უფრო ქვეყნის საქმეებს დასტრიალებს. იგი აგონებს ყრმათა „ათთა სახმართა საქმეთა“. ამ ლექსს იწყებს ცნობილი სიტყვებით:

„ისმინე, სწავლის მძებნელო,
მიჰქუევი დავითის მცნებასა,
ჟერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი,
თუ ექებ გემოვნებასა“.

პოეტი, თვით ნაკლებად განათლებული ბავშობაში, ურჩევს ყრმას ბეჯითად სწავლას და მის ღირსებას.

„სწავლა სიკვდიდმდე შენია,
მუდამ შენთანა მეოფელი,
მას ეცილების ვერაფინ,
არ არის გასაყოფელი“.

სოფლად სწავლა-მცნებისთანა ვერა რა ვპოვე-რაო და ამასთან ჩამოსთვლის სხვა-და-სხვა მოხელეობას, რომელსაც სწავლით აღკუთრვილი იქს.

მიჯნური, მწყემსი, ხელმწიფე,

გლახაკი გინა მხენელი,

მოლაშქრე, ვაჭარ, ხუცესი,

ოსტატი, ბრძენ-მსიტყველი,

აიისავე თვითო მოგითხრა,

რომელი რისაც მქნელი,

რომელიც გინდა იქონე,

ერთ-ერთს მოჰკვიდე ხელის!

მიჯნური უნდა ტრფიალი, მწყემსობა უნდა სიფრთხილით, ხელმწიფე უნდა მართალი, გლახაკი უნდა მდაბალი, მხენელ-მთესველი ცხელის ოფლით მუშაკი, მელაშქრე უნდა თამამი, ვაჭარი სამთვრალოს არ სვამდეს, ხუცესი უნდა მამაცი, ოსტატი—უფლის მოშიში, ბრძენი წმინდა, ვით ბერია.

„ბრძენმან არ უნდა იკადროს ურიგო რაც რამ ფერია, ბრძენით ურიგოდ ქცევითა ბაძით წახდების ერია“.

დარიგების ხასიათი აქვს აგრეთვე ლექსს „სწავლა თავის გაფრთხილების და შორს წასვლაზე მზად ყოფნისა“. ავტორი გამოცდილებით გვაუწყებს:

„სჯარგონია, მგონია,

ეს სიტყვა გასაგონია,

ბაღ-წაღკოტისა მოქმედთა

ვარდი დათესონ, რგონ ია;

თუ სნეულებას უფთხოდე,

ჭამე, სვი, შესარგონია,

თავს გაუფრთხილდი, არ უყო

საქმენი ურიგონია.

მრავალი ლექსი დაუწერია სასულიერო შინაარსისა: „აღდგომის დღეს ყრმათაგან სამღერელი“, „ხარებობის დღის შესხმა“, „ღვთის მშობლის მიცვალების დღის შესხმა“, „ჯვარ-

ცმის ამბავი“ „ტირილი ღვთის მშობლისა“, „მოთქმა ხმითა თაებოლო ერთი“ და მრავალი სხვა.

„ვაი რა კარგი საჩინო,
რა ავად მიგიჩნისო!
ბოროტისაგან კეთილი
შურით ვერ განარჩიესო.
შეგიპურეს თვისი დამხსნელა,
საბელი მოგახვეესო,
ავაზაკ ზედა გაგვცვალეს,
ბარაბა მათ ირჩიესო და სხვ.

მთელს პოემას შეადგენს „სიკვდილის და კაცის შელაპარაკება და ცილობა“, დიალოგად დაწერილი. მეორე წიგნი „დავითიანისა“ შეიცავს ლექსს „ქაცვია მწყემსი“. თვით წიგნს იგი უწოდებს „მხიარულ ზაფხულს“ და რუსულად „ვესელა ვენასა“. ქაცვია თავდაპირველი მწყემსია, რომელიც შეყვარებულს და საყვარელს გოგოს კეთილ-გონიერს რჩევას აძლევს ვნებათა ღელვას არ აჰყვეს. აქა იქა ამ ლექსში მოსჩანს მე-XVIII საუკ. გავრცელებული ზნეობათა გახრწნის (მაგალითად იქ სადაც პოეტი ამბობს: „არ დაიხედა მან ნდაბით წინა საჩქაროდ გოგო წამთაწინა..“) ხმა, რომელსაც რუსის მწერალნიც დამლერდნენ, მათი გავლენა დაეტყო დავით გურამიშვილს, რომელმაც გადმოიღო რამდენიმე რუსული რომანსები და თვით აღნიშნა რუსული სათაურით: „ნე დამო პოკოუ, პოიდლუ სტობოუ“, „ჩტო ზა პრიჩინა, ვსეგდა კრუჩინა“, „ახ კაკ სკუჩნო“, „ულეტელა ზაზულკა ჩრებ ღუბინუ, პოლნო, პოლნო ნე პრელშაისია“, „ვესნა, ვესნა“ და სხვ. „ქაცვია მწყემსში“ პოეტმა შეიტანა სახალხო კილო და დაუახლოვა სალიტერატურო ენა სასაუბროს. ეს დაახლოება მწერლობის და სალაპარაკო ენისა შეჩერდა შემდეგ ანტონ კატოლიკოზის ნაწერების გავლენით. ლექსთ-წყობასაც „დავითიანში“ დიდი წარმატება დაეტყო, — იგი ხმარობს მრავალგვარს ვერსიფიკაციას, მეტადრე სამღერების შეწყობაში.

მამუკა ბარათაშვილი და მისი „სწავლა ლემის თქმისა“.

დავით გურამიშვილის დროს მოსკოვს ვახტანგ შეჭვის კარზედ მოჰქმედობს მამუკა ბარათაშვილი, რომლის მოღვაწეობა შესანიშნავა ერთი ნაწარმოებით „ჭაშნიკით“ ანუ „სწავლით ლექსთა თქმისა“, რომელიც მან აღადგინა ანუ უკეთ შეადგინა „ძველთა ნათქვამთა“ მიხედვით. „ჭაშნიკი“ ზირველი თეორიული მოსაძვრებია ჰოეტურნიკური კმნილებების განკანონების შესახებ. იგი ასურათებს საერთო მიმართულებას მე-XVIII საუკ. ჩვენი მწერლობისას, როდესაც ვრცელდება სურვილი დაუმარდეს ეოველს სამართალს, საიდიოოსოთი, საინტორი, საჰედაგოგიო და სალიტერატურო მოვლენას საუფუკედი, ადენიშნოს დასაურდომა კვერთხი, განიკანონოს კაცის გონების ნაწარმოები. ჯგუფი მწერალთა: ვახტანგი I, ვახუშტი, ანტონ კათალიკოზი, გაიოზი, მამუკა ბარათაშვილი თვითაუულ განსაგუთრების კანონმდებლობის დარკს ემსახურებიან.

მამუკა ბარათაშვილი „ჭაშნიკში“ განიხილავს, რა მნიშვნელობა აქვს ჰოეზიას, რა შინაარსს უნდა ემსახურებოდეს მგოსანი, რა აზრით უნდა ამდერდეს იგი თავისს ჩანგს. მამუკა ბარათაშვილი იმ შესყდულებისას, რომ მწერლობა და კერძოდ ჰოეზია საზოგადო კეთილდღეობას უნდა ემსახუროს; ჰოეზიამ უნდა დაჰგომოს ავი და განადიდოს კეთილი. ჰოეზიას მხოლოდ დიდაქტიურს, სასწავლო დირსებას დაუსაკუთრებს და აღიარებს მას ავის და კარგის წარმომშობელ წყაროდ. ამით აიხსნება, რომ მამუკა ბარათაშვილი ერთგვარად აფასებს ნაძალადევს მგოსანსაც, რომელიც სხვის წაბაძვით და სხვათა აზრთა შეცვლით მოქმედებს და იმ მწერალსაც, რომელიც ზესთა შიბურით აჟღერებს სიმებს. შ. ბარათაშვილი, რაკი ასეთს სასამსახურო როდს უთმობს ჰოეზიას, ჰქმნის განსაზღვრულს ფორმას ლექსთ-წყობისას, რომლის გარეგანი სახის შეცვლით შესაძლოა ლექსთა წერა. იგი გაგვიმარტავს სხვა-და-სხვა გვარის ლექსთა წყობის მოთხროვნილებას, გვიხსნის მათ სახელწოდების მნიშვნელობას და ასაბუთებს თავისს აზრს მოყვანილი მაგალითებით. ბარათაშვილი ჩამოსთვლის, რამდენ-

ნაირია ქართულს მწერლობაში ლექსთა-წყობა, რამდენ მარცვლოვანია თვითეული მათგანი, რა არის ლექსი, ტაეპი და სხვ.

მამუკა ბარათაშვილის მოძღვრება მოგვაგონებს რომაელთა პოეტის ჰორაციუსის „პოეტურს ხელოვნებას (ars poetica) და საფრანგეთის მწერლობის კანონმდებელს მე-XVII საუკ. პულოს (l'art poétique). ჩვენს ბუალს ერთი ნაკლი აქვს: იგი მხოლოდ ლექსთა-წყობაზედ ლაპარაკობს, ესე იგი ვერსიფიკაციაზედ, იმ დროს, როდესაც რომის და საფრანგეთის ლიტერატურის სათეორიო მუხლები დაძმვარებულნი განსზღვრავენ სხვა-და-სხვა გვარ სალიტერატურო ნაღვანთა—ეპოსს, ლირიკას და დრამას. მამუკა ბარათაშვილის საქციელი ჩვენ კარგად გვესმის; დრამაზედ არ ჩამოაგდო ბასი ამ ფაქტანგ მეფის თანამედროვემ იმიტომ, რომ საქართველოში იმ დროს ჯერ არ იყო გავრცელებული დრამატული ნაწარმოები; რაც შეეხება ეპოსს, იქნება იმან განკებ სიჩუმიტ გაიარა, რადგან არ ჰსურდა „თათრული“ გაუღენის განმტკიცება, როგორც ზნეობის დამარღვევლი ნაწერებისა. თავის მოძღვრებას მამუკა აშკობს ძველი და ახალი პოეტების ნაწერებით, ამასთანავე არ იფიწებს თავის თავსაც და ჩაურთავს რამდენსამე საკუთარს ლექსს.

მამუკას „ქაშნიკი“ პირველი საეურადღებო ცდაა პოეზიის განკანონებაში, თუმცა ეს მცნება მას გარეკნობითი ფორმით და ზნეობითი შინაარსით აქვს განმარტული. ენა ცოტა მძიმეა და ადგილადგილ გაუტეპარც. ლექსი, ამბობს ბარათაშვილი, ერთი რამ არის ამ სოფლის საქმეში, რომლის წყალობით კაცნი სიკვდილს უკან მოიგონებინს. სიმარჯვით და ცოდნის ძალიტ მთქმელი მოიგონება და მსმენი ისწავლის. საგალობელი და იამბიკო—ღვთის საქები და სულის სარკებელი თქმაა. ამ გვარად ბარათაშვილი ლექსს სასწავლო და სასუდიერო მნიშვნელობას მიაწერს. ამიტომ ურიტო ლექსის მთქმელი სძრახავი და საგმობელია. სამაგალიტო მწერადად მოჭყავს რუსთველი, რომელსაც „ცოდ-ქმნობის სიუვარულზე უთქვამს და სხვა მრავალი სამღთო და საერო სწავლება მოუყვანია“. ზოგეირტს მისი წიგნი „სააშიუოდ“ მიუღია და წაბაძვით „დედაკაცტ ტრფიალებისატვის თათრის ზღაპრები გაუღექსავს მსმენთ საზიანოდ და მთქმელტ

საურიგოდ“. ამისათვის, ამბობს ბარათაშვილი, „ეს სწავლა დავსწერე, რომ ლექსი ურიგოდ არავის მოუვიდეს, რადგან ამდენი კარგიც და ავიც გამოვა“. რაზედ შეიძლება წერა? როგორც ჰვალე მოციქული და რუსთველი გვასწავლიან, ცოლქმრობის სიყვარულზედ დასაცმობად მრუშებისა, კარგია იგავების გალექსვა, ფალავნების ომის ქება, რადგან ამ გვარი ლექსი რჯულის, მამულის და მეთვის სიყვარულს აღძრავს. მამუკა აღნიშნავს, რაგვარი ხმა (ზომა) რომელი შინაარსის ლექსს შეეფერება. „გრძელი შერეული გინა მდინარი კაის სწავლის იგავებისთვინ არის“. შეწუბილი მრავალ-რიგია: მას ჰქვიაან წუბილიც, შერეულიც, მრჩობლედიც. გარდა ამისა ლექსი შეიძლება იყოს: შაირი, რეული, ძაგნაკორული, ჩახრუხული (ფესტიკაური), ტაქაი. ტაქაი ერთს მუხლს ჰქვიაან. უოველი ლექსი ტაქაილ იგავიანი უნდა იყოს, რომ ორ ხმოვანად გაისინჯებოდეს. „მას უშმაგო ვინ მიღნდოს, ვინ მოყვარე გაამელაფნოს“. ეს ლექსით. ამბობს ჩუენი ბუალო, საიდუმლოს შენახვასაც ასწავლის, მოძღვარ მოწაფეთბასაც და აშიუთბაშიაც მოიხმარება“.

მაგალითი „შაირის“:

„მე რუსთველი ხელობითა
ვიქ საქმესა ამაღარი“.

ჩახრუხული:

თამარ წყნარი, ხმა-ნარნარი, პირ-მცინარი, და სხვ.)

ლექსი შეიძლება იყოს გრძელი და მოკლე: გრძელი ჩახრუხული:

მო, ფილოსოფოსნო, სიტყვითა არსნო,
თამარს ვაქებდეთ გულის ხმიერსა:

შეწუბილი ძველი:

ვანეო, ვანეო, ცოლი მოიყვანეო.

მდინარი ძველი:

პატარა ქალო თინაო,
რას გადამიღებ წინაო.

მამუკას მოჰყავს აგრეთვე თავის ლექსიც მდინარის მაგალითად:

ჩემ საყვარელო ვინაო,
მიწყვიე მიღგებარ წინაო.

წუობილი მრავალ-მუხლი მამუკასი:

თუმცა შენია, შენია
ვარდს არ წარტყვევნა ჰშენია.

ჩახრუხაული — ძაგნაკორული:

კაცსა ვისმე ბკობს, მსჯავრისა ბკობს,
აძლევდენ იყო ცრემლისა მღვრელად.

ჩახრუხაული შერეული:

მოველის ენად, მოველის ენად,
თუმცა შევიქნა სისხლთა მჯდომელად.

ჩახრუხაული მრჩობლელი:

ლალის ბაგენი, გულთა სადგენი,
ჯიმშედის ბეჭდის თვალთა სადარი.

მრჩობლელი ფისტიკაური:

სიკეთით ბალი სამოთხეს გვანდა,
თუარ იმასა, რას შევადარო.

მრჩობლელი:

ხელ სწრაფი უცხო ოსტატი
ქკვიანი, გონიერია.

იაშბიკოს მაგალითი ორი მოჭყავს 1) მრავალთა ეამთა მო-
გებად თემთა იარეო და 2) თუცა ღრუბელსა ცვარი ენამა და სხვ.

ამ მაგალითებიდგან თვალსაჩინოდ ხდება, რომ მამუკა ბარათა-
შვალი ლექსს არჩევს როგორც მარცვალთა რაოდენობით, აკრთევე
მახვილით. ქართული ვერსიფიკაცია სილლაბიურ-ტონურია, ესე იგი
ემორჩილება მარცვალთა რაოდენობას და მახვილის მიმხვნას.

გმსიკი (გმსარიმონ) გაბაშვილი (1749—1791).

დავით გურამიშვილის სალირიკო ლექსებმა და სულის მო-
ძრაობის, კმუნვარების და გოდების ლექსად აღწერამ გამოიწ-
ვია საქართველოში წამბაძველნი და მიმდევარნი. სპარსეთის
სააშვიკო პოეზია ქართველს მწერლებს ძველადგანვე გაცნობი-
ლი ჰქონდათ. გურამიშვილის რუსულიდგან გადმოღებული რო-
მანსები და სპარსული სატრფიალო ლექსები დატრიალდნენ
ქართველს საზოგადოებაში. ამ ორი გავლენის ქვეშ სთხუზავს

ეროტიულს ლექსებს ბესარიონ გაბაშვილი, რომელიც ცნობილია შემოკლებული სახელით—ბესიკად.

ბესიკი იყო შვილი იობის თუ მღვდლის ზაქარია გაბაშვილისა, რომლის მოქმედებას მიეწერება კათოლიკოზის ანტონის განდევნა საქართველოდგან და მისი გაკათოლიკების გამომჟღავნება. ბესიკი გაიზარდა ამ კათოლიკოზის მიერ ახალს გეგმაზედ გახსნილს სასულიერო სკოლაში. ბავშობისასვე დაიწყო ლექსების წერა და მათში ბერებსაც გადაჰკრავდა ხოლმე. ამიტომაც ბერებს ბესარიონზედ ერთი ლექსი ვამოუთქვამთ, რომელიც აქამდე დარჩენილია:

გაზანთგან აღმობრწუნინდა,
ახლად უამად ანტეჟრისტე;
დაგვისსენი ამისგან,
უფალო იესო ქრისტე!

მოხდენილი, ლამაზი, თარის და ჩონგურის დამკვრელი, მომღერალი და მოქეიფე—ბესიკი გათქმული იყო ერეკლე მეფის დროს. მეფესთან დაახლოებული ყოფილა, მის მინდობილებით სპარსეთშიაც წასულა და ეს მოგზაურობა ხელს გაუმართავდა იქაურს ლექსებს უკეთ დაჰკვირვებოდა. სპარსეთიდან დაბრუნდა და მეფის სასახლეში იმდენად შინაური გახდა, რომ თვით ანნა ბატონის ქალსაც დაახლოვებია, რომლისთვისაც რამდენიმე ლექსი უძღვნია. ამ „ხათუნისთვის“ მიძღვნილი ლექსები გავრცელებულა ტფილისის მოქეიფე ყმაწვილთა შორის. ბატონის ქალის ანნას და ბესიკის დაახლოვება გამოქვეყნდა და ამიტომ პოეტი დაატუსაღეს. ანნა (ერეკლეს და) მიათხოვეს დიმიტრი ორბელიანს და ბესიკმა კი ცოლის შერთვა არ მოინდომა. ბესიკს ქეიფობა კვლავ დაუწყვია და თავისუფალი სატრფიალო ლექსები იმდენად გაუვრცელებია, რომ წარჩინებულ პირთა ჩივილის გამო მეფე დაემუქრა, თუ არ დაწყნარდები საქართველოდგან გაგაძევებო. დროებით მიჩუმებული ბესიკი ისევ შეუდგება სატრფიალო ლექსების წერას, როცა მეფის სახლის აივანზედ დაინახავს რამდენსამე მო-

ლოზანს და მათ შორის თვისს მზეთა ხათუნს. ამ დანახვაზედ დაუწერია ლექსი:

შენი შაშენი შავს გალას შემსხდარნი,
სუფთად მხობნი, ხმა-ყარბად მსტვინავნი.

მეფეს მიუტანეს ამბავი, რომ ეს ლექსი მის ქალზედ დასწერა და ქვეყანას მოჰფინაო. განრისხებულს მეფეს მისი მეტეხის კლდიდან ჩამოგდება მოუნდომებია. მაგრამ ბესიკი იმერეთში გაქცეულა. ამ დროს ეკუთვნის ლექსი:

სევდის ბაღს შეველ შენადონები,
მტკრეფად მსურდა ვარდის კონები.

სოლომონ მეფეს კარგად მიუღია, უჩუქებია მამული რაკაში და თავადობა უბოძებია. პოლიტიკური მინდობილობით გაუგზავნია სპარსეთს და შემდეგ რუსეთს. გზაში ყირიმში ტყვედ ჩავარდნია თათრებს. ამ დროს ბესიკს დაუწერია ლექსი:

„ცრემლთა ისარნი მოსისხარნი ჩვენდა არებით,
იღმენით გუღნი ჭირ-ნახუნნი, შეგვიწყნარენით,
უცხონი თემით, სოფელის ცემით გავიგარენით..
დღე ვნატრი მზესა სიაშესა, დილა თქვენ გარებს,
ღამე მთავარეს, ქველმოარეს“.

ტყვეობიდან განთავისუფლებული ბესიკი — „მესაიდუმლე მდივანი“ სოლომონ მეფისა მოვიდა მოსკოვს, ნახა პეტერბურგი და ქალაქ იასით ბრუნდებოდა სამშობლოში. იასში მას უნდა ენახა გენერალი პოტემკინი. ამ ქალაქში გადაიცივალა 1791 წ. და აქვე დაიბარხა, რასაც მოწმობს მის საფლავზედ ზედწარწერა: „საფლავს ამასა შინა მდებარე არის თავადი იობიან გაბაშვილი, რომელიც წარმოგზავნილ იყო იმერთა მეფისაგან დესპანათ რუსეთის დიდებულების სიამპერატორო კარისადმი და მიიცივალა აქა იასსა წელსა ჩღუა იანვრის კდ. მხილველნო, შენდობის მთხოველი“ (ვარ). საფლავს ბულგარულს ენაზედაც აქვს წარწერა.

ბესიკის ლექსები მთლად მისი სულის მოძრაობის სარკეა. გამომეტყველი ენით დამღერს იგი გრძნობათა მეფობას და

მათ ძალას კაცის არსებაზედ. მისი პოეტური სურათები აღმოსავლეთის ალლეგორიულს მწერლობას ეკუთვნიან. ვარდი აღნიშნავს სატრფოს—ქალს, ბულბული—შეყვარებულს ვაჟს. ამ გვარს ალლეგორიას წარმოადგენს მისი ლექსი, პირველ გვერდზედ მოქცეული:

სევდის ბაღს შეველ შენადონები,
მაკრეთად მსურდა ვარდის კონები,
ვარდმა შემრისხა თავ-მომწონები,
ისარი მტეორცნა დასამონები.

პოეტი ვერ მიხვდა, რად ეპყრობა ასე ამჟამად ვარდი და ჰკითხავს იას: „ვარდს რა უქმენ კართა სარაზი?“ იაც გაუწყრა, რადგან მასაც ამჩნევია „მისგან გულს ხაზი“. ია უქმყოფილოა, რომ იგი პოეტმა დასთმო და სხვას ემონება. ცრემლიანი ნარგიზს მიჰმართავს, ემუდაროს მისთვის ვარდს და გააგებინოს „რა უკულმართია“. ნარგიზმა შეიბრალა და ნაზად გაუმელავენა პოეტს:

„ვარდი მით არის გულ დაკლებითა,
რომ შენი იუო თავდალებითა,
შენ რისთვის დასთმე სხვისა ხლებითა“.

პოეტი დაბრუნდა ყოვლგნით შეუბრალები და ცრემლიანი, მიხვდა მას სოფლის მკვლელი ბრქალები.

ბესიკი სიკვდილს არ გემალები,
თავი მაქვს მისთვის შენაწონები“.

ავტობიოგრაფიული მნიშვნელობა აქვს ლექსს: „გამტყორცნა სოფელმან, მოვშორდი მზესა“, სადაც ამბობს:

მე მონად შევექნიდვარ ერთისა მზისა,
იგი ჩემთვის კვდება და მე მისთვისა.

ამ გვარივე შინაარსისაა ლექსი:

„ბუნდოვანს გულსა შენ აღმიჩნდი დარადა,
ადარ უწუი რად გამწირე დარადა...
თავი ჩემი თვით მოგანდე შენდა მე,
ნაღვლად მისსა გულს მახვილი შენ დამე“...

ბესიკი „მიჯნურთ“ მოუთხრობს თავის „კირს“; ეშხით დამწვარი შეაქებს თავის სატროფოს:

შირსა მთვარესა მცინარესა შეენიან ხაღნი,
ვარდნი გაშლილან, ვისგან შლილან, არის მრავაღნი,
მათ-თანა ქმნილნი, მოედების ტრფიალსა აღნი,
ვსწიკვე ბედსა ჩემსა, მისგნითა ვარ ესრეთ ბედკრული.

ბესიკი თავისუფლად ეკიდება რითმას. უკანასკნელს ლექსს ტაეპში ხშირად ურითმოდ სტოვებს. ლექსი სხვა და სხვა ზომისა აქვს. შინაარსს საუცხოვოდ ეხამება გარეგანი ფორმა.

ბესიკს დაუწერია აგრეთვე „ხილთა ქება“, „ანბანთ ქება“ და საისტორიო პოემა ასპინძის ომზედ. სახელი და დიდება ბესიკმა *) მოიპოვა სალირიკო ლექსებით, რომლის გავლენით სწერდა მე-XIX საუკ. თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე.

სავათნავა, ორბელიანები, ბაგრატიონები, თუძანის-
შვილები, ბატონიშვილები და სხვ.

ერეკლე მეფის დროს ბესიკის გარდა სასიმღერო ლექსებით სახელი გაითქვა ერთმა ღარიბმა სომეხმა, ხელობით ფეიქარმა სავათნავამ. ასაკობა გაატარა ქეიფს და სიმღერაში და სიბერის დროს ბერად შესდგა. 1745 წ., როცა აღმაჰმადხანმა ტფილისი აიღო, სავათნავა შეეფარა ციხის ეკლესიის გაღაფანს და აქ 80 წლოვანი მთხუცი სპარსელებმა მოჰკლეს, რადგან არ გადუდგა ქრისტეს და არ გამოვიდა ეკლესიიდან. სავათნავა სწერდა ლექსებს ქართულად, სომხურად და თათრულად. მისი ლექსები სატრფიალო შინაარსისანი არიან. როგორც ბესიკი, სავათნავა თავის სახელს თვით ლექსში ხშირად ჩაურთავს ხოლმე. ერთს ლექსში ემღერის ბედს, რომ იგი გახდა ბედოფლათი და შემდეგ გახდა მწირი. თვითოეულს ტაეპს დაცინვით ათავებს სიტყვებით: „ეს საქმე ჩემი ჭკუისაგან არი“.

*) შესხმა ღვთისმშობლისა ბესარიონ გაბაშვილისა ნახე ჯანაშვილის წიგნი „უკვდავთა ლაღაღებანი“, გვ. 170.

„შე საწყალო ჩემო თავო, რა იქენ,
ქვეყანაში სასაცილო შეიქენ...
ბრინჯი ვიყავ, ქერობა რად მინდოდა,
ტრედი ვიყავ, მწყერობა რად მინდოდა,
მოდრი მითხარ მწირობა რად მინდოდა..
სავათნავა შეინახე შენთანა,
საჯინიბოს დააყენე ცხენთანა,
ველარ წავა ხონთქართან, ყვენთანა,
ნაქებია სუფრაშია ჩვენთანა“.

სატრფოს შესახავს ხოტბას, ასწერს მის თვადებს და წარბებს,
და დასძენს: „შენის ქების საწერელი ზღვა უნდა“.

შეორე ლექსში დაუმატებს:

გული არა მშურს და სული შენთვინა,
ქვეყნის საქონელი, ფული შენთვინა“.

აი მისი ერთი მუხამბაზიდგან შეორე ტაუბი:

შენი წიგნი მომივიდა,
ჩემი რად არ წაიკითხე?
ვითომ ტყვე ვარ და გლახა ვარ,
ღვთის გულისთვის გამიკითხე,
აგრე მალე ვით მოგძულდი.
ერთხელ აღარ მომიკითხე.
ავათ ვიყავ, დასაბურად
შენი საბანი მინდოდა.

ლექსებს სწერენ მ-XVIII საუკ. თავადის და ბატონის შეიდე-
ბი. სახელი გაითქვეს ორბელიანებში დიმიტრიმ (+1727) და
მზეკვაბუკმა. ამ უკანასკნელს ეკუთვნის ლექსი „თქმულა ბატონის
შვილის ქეთევანის ძეობაში, გიორგი რომ დაეხადა“. ეს ლექსი მით
არის შესანიშნი, რომ ავტორი სარკებლობს სახალხო ლექსით და
თვითთვეულს სტრიქონს ათავებს სიტყვებით: „მზევ, შინ შემოდო“.
ლექსი იწყება ასე:

აღმკულ სრასა, უცხო მზასა,
მზევ, შინ შემოდო,
ვხედავ ლომსა, მზის ნაშობსა,
მზევ, შინ შემოდო...
სტვენს ბულბული ამოდ ხმასა...
უხმეთ ხმასა დასაწყნარასა...

ვაჟის მამა შინ დაესწრო,
ძზევე, შინ შემოდოი,
ჰკვირობს დიდად, ეს რა მესწრა,
ძზევე, შინ შემოდოი და სხე.

ბარათაშვილებში მწერლები იყვნენ ბრამ და ზაალ (მისი ლექსია „ბუღბუღი მწუხარების“...), რომელთა ლექსებში ვარდი, ბუღბუღი და ნარგიზი მოტრფიალეთა მაგივრად მოჰქმედობენ. დიმიტრი ბაგრატიონმა დასწერა ელეგია „სოფლის მდურვა სიბერიისათვის თქმული“ და „ადამ და ევას გამოდევნა სამოთხიდან“:

ოღეს რა დაჰხსნა ადამ მცნებანი,
ხელჰყო მალლისა შემართებანი,
ვისგან მიეცა ყოფა-გებანი,
მას უწყო ხდომა-კამათებანი.
ჰსწადდა უფლება, გაღმერთებანი,
სამებისა მის შემარგებანი,
გამიტყდა ქნარი-წინწილ-ებანი,
ველარ დავმღერე სოფლის ქებანი.

დიმიტრი ბაგრატიონმა უძღვნა ლექსი თავის ქალს:

ჩემ ქალს მიემართავ გულ-სევდიანი,
მას აქვს საშველად კარი ღიანი,
შეველ, დამხვდება ვარდი-იანი“.

ამ გვარზე ნაზი გრძნობით სავსეა ლექსი:

სულის ყვავილო, გულისა ვარდო,
შეების წალკატო, მოსანავარდო“...

ქაინოსრო ანდრონიკაშვილი სწერს „მიჯნურთა ბადეს“, სარიღონ ჩოლაყაშვილი სთარკმნის „თელემას“ ფენელონისას. თუმანიშვილებიც მოჰქმედობდნენ სადიტერატურო ასპარეზზე. ამათგან ეგნატე თუმანაშვილი, მდიუნ-ბეგი ერეკლესი და გიორგი XII-ისა; სწერდა ელეგიურს ლექსებს. ერთი ლექსი სავსეა მწარე სევდით:

ჰოი ვითარ დამწველად კმარად ცეცხლნი მდებიან,
ტრფიალით აღნი, დაუმცხრალნი განახლდებიან.

დიმიტრი თუმანიშვილი გადასახლდა ბატონიშვილებთან რუსეთს და აქ სწერდა ლექსებს. მას ეკუთვნის:

„ახალ აღნაგო სულადო,
ედემში აღმოსულადო“...

სოლომონ ალექსი-მესხიშვილმა უძღვნა ქება ერეკლე მეფეს აგარიანთა-ზედა გამარჯვებისგამო. მეXVIII საუკ. დაიწიეს და მე-XIX განაგრძელეს წერა ჰეტრე ლარაქემ, იონა მროველმა, სოლომონ მდივანბეგმა. დავით ჩოლაყაშვილმა გალექსა ფსალმუნის და იობის წიგნიდგან რამდენიმე თავი. უკანასკნელს ამჩნევია გავლენა ლომონოსოვის ამავე შინაარსის ლექსისა. ჩოლაყაშვილმა დასწერა რომანსი: „საყვარელო, ძალსა შენსა ვინ არს, რომელ არ ჰმონებდეს!“... ამავე დროს ეკუთვნიან ლექსთა მწერალნი სტეფანე ფეშანგიშვილი, იოანე იაღდუზიძე და სხვ. საუერადღებოა, რომ საღირიკო ლექსებს სთხუზავენ აგრეთვე სამეფო ოჯახის წევრნი—ქალნი და კანნი, ქალებში სახელი გაითქვეს ერეკლეს ასულებმა—მარიაშმა, თეკლემ და ქეთევანმა. თეკლე ბატონიშვილის ლექსები პატრიოტულად მიმართულებისანი არიან; - ერთგან ამბობს იგი:

იგლოვ მაღალს ტახტს, ვაი წახლომილს,
დიდებულს პალატს მსწრაფლად დამხობილს...
ეგოდებ სიმწარით მრავლად კირებსა...
ყოვლთა მტერთაგან დასატრებსა.

ქეთევან ბატონიშვილის ლექსიც ელგეიას წარმოადგენს. მისი ჩანგის დამახასიათებელია:

ჰოი ვითა სთქვა განსაკრთომელი,
ჩემი სიკოცხლის დამამტრობელი,
ჩრდილოთ ვიხილე მცირე ღრუბელი,
აზიის მთები-დამბნელებელი“.

ლექსში ჩაწნულია მწარე მოგონება:

..არ დამაჯერა აქ პატიმრობას,
კვლავცა ჩრდილოეთს მოგზაურობას,
უცხოს მწირს ადგილს გრძლად სადგურობას“...

მეორე ქალი ერეკლე მეფისა მარიამ (+1810 წ.) ეროტიულს ლექსებსაც სწერდა. იგი ამბობს:

მეყნოსა ოდეს სურნელება თმისა შენისა,
მყისვე გატუდდეს მრავლადობა ჩემის სენისა.

მარიამ ბატონიშვილს ეკუთვნიან ერთი სასტიკი ეპიგრამა და ვით რექტორზედ. ბატონიშვილებში ლექსებსაც სწერდნენ ოქროპირი, ილია, დავით, გრიგოლ და სხვ. დავით, გიორგი მეფის ძემ, სარ-

დღის ქალს უძღვნა ლექსი: გამიფრინდა სიხარულის ფრინველი
შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა, დავთომომილვარ ასე აწ
უნუგეშოდ უბედობის გამო სხვისა და სხვისა. ბატონიშვილი
იღია გიორგის ძე დასტიროდა თავის ბელს:

სეედამ მომხვია გულსა ბრჳყალები,
ზედ დამრთო კირნი მალის პალები,
მარად მიოხავს გულსა ძალები,
ამაოდ მდინდეს ცრემლთა თვალეზი.
არსად ვინა ჩანს ჩემი მბრალეზი,
დამშრიტეს გულსა ცეცხლის ალები“...

გრიგოლ ბატონიშვილს უწერია „ოდეს ჰეტრეზოდს იჳდა
ტუსადათ“. ლექსებში იგი სევდის ნადველს ჩაწვეთებს და სასოწა-
რკვეთილებით ოხრავს:

ცამან ჩრდილოთ დაცაგეფარნა შვიისა ღრუბლით,
ივერთა მზენი ველარ ბრწყინვენ ივერად ხმულით.
ჰეჰა მოყმენო, ჰეჰა ძმანო, თჳვენ რად ხართ ლული,
რად არ იქნებით განღვიძებით გონებით სრული“...

იმერეთში სოლომონ I-ის ძე გიორგი სწერს „ხუბმარდიანს“
პროზად ბედის უკუღმართობაზედ.

საბა-სულხან ორბელიანი.

მე-XV^{II} საუკ. გასულს და მე-XV^{III} საუკ. განმავლობა-
ში აყვავდა როგორც ლექსწყობითი მწერლობა, აგრეთვე პრო-
ზად ნაწერი ორიგინალური თხზულებანი. ეს ხანა მით არის
შესანიშნავი, რომ ამ დროს ევროპის გავლენა საქართველოს
განათლებლებზედ უფრო თვალ-საჩინოდ დაეტყო. კათოლიკობის
მქადაგებელთ და იტალიელთა აღებ-მიცემობის წარმომადგე-
ნელებმა საქართველოში საფუძველი ჩაუყარეს აქ ევროპიულს
კულტურას. მათი გავლენით რომში დაარსდა ქართული წი-
გნების საბეჭდავი და კათედრა ქართული ენის შესასწავლად;
საქართველოში გაავრცელეს ევროპიული მცნებანი და კულტუ-
რა. საუკეთესო შვილნი საქართველოსნი ითვისებდნენ ამ ახალს
მიმართულებას, გადადიოდნენ კათოლიკედ, რადგან „ფრან-

გობა“ და გაევროპიელება მათთვის სინონიმები, ერთი და იგივე ცნება იყო. მეფენი (ვახტანგ VI), კათოლიკოზნი (ბესარიონი), თავადნი (რაჭის ერისთავი), აზნაურნი და გლეხნი მიემხრნენ მისსიონერთა ქადაგებას. ამავე სწავლამ მიიქცია საუკეთესო პროზის მწერალი „ვერცხლის ხანისა“ საბა სულხან ორბელიანი.

საბა სულხან ორბელიანი იყო ძე ვახტანგ მსაჯულისა, დისწული არჩილ მეფისა. დაიბადა 24 ოქტომბერს 1659 წ., კვირა საღამოს. ბავშობასვე შეისწავლა სამღვთო წერილი და ენები. როცა მოუკვდა ცოლი თამარი, ასული ათაბაგ ხალიფაშისა, შესდგა ბერად და აღიკვეცა დავით-გარეჯას საბას სახელით. 1710 წ. იყო ხოროსანში, შემდეგ 1712 წ. ისპაანს გაჰყვა ვახტანგს VI. მეფე შაჰმა ქირმანს გაგზავნა, რადგან გამუსულმანებაზედ უარი სთქვა, ხოლო ორბელიანი დაბრუნდა ქართლს და აქედგან წავიდა საფრანგეთს ვახტანგის საპასუხო წერილით მეფე ლუი მე-XIV. ამ მოგზაურობაში ორბელიანი უფრო დაუახლოვდა მისსიონერებს, რომელთაც გაეცნო ტფილისშივე, და მათ ზედ-მოქმედებით გადავიდა კათოლიკედ. ორბელიანმა გაიარა სტამბოლზედ, მიაღწია პარისს. აქ მიაართა ლუი მე-XIV წერილი ვახტანგისა, რომელიც სთხოვდა შაჰთან დახმარებას, ამასთანავე ორბელიანი აცნობებდა, რომ ვახტანგი მოწადინებულია კათოლიკობა მიიღოს, კათოლიკებად მოაქციოს კავკასიის მთის ხალხები, მიიღოს მისსიონერები თავის მფარველობის ქვეშ და დაუთმოს საფრანგეთის კონსულს სახლი ტფილისს. ვერსალში ორბელიანი წარსდგა ლუი მე-XIV წინაშე და დაიმედებულმა მისგან დასტოვა საფრანგეთი, საიდგანაც წავიდა რომს და რომიდგან სიკილიაზე გავლით დაბრუნდა ისევ კოსტანტინოპოლს. აქ დარჩა 17 თვე (1716 წ.) საფრანგეთის კონსულის დეზალერის მფარველობის ქვეშ. სტამბოლიდგან საქართველოში წამოვიდა. გზად ტრაპეზონდს, ლაზისტანს და არტანუჯს შუა ბევრი უბედურება შეემთხვია. ხოპთან ლაზებმა გაცარკვეს. საქართველოში მოიყვანა ორი

კაპუცინის მისიონერი და ერთი იეზუიტი. მეფე იესემ დაუწყო დევნა გაკათოლიკების გამო. ამიტომ 1714 წ. წავიდა რუსეთს და აქ არჩილ მეფესთან ოცხოვრა მოსკოვის ახლოს, სოფ. ვსესვიატსკში, სადაც გადაიკვალა 1726 წ. 26 იანვარს.

საბა ორბელიანმა შეადგინა მეფე გიორგის ბრძანებით ლექსიკონი. სიტყვები, რომელნიც მან ახსნა და შეიტანა ლექსიკონში, შემოტანილია სამღვთო წერილიდგან და აგრეთვე პროკლის, პლატონის, არისტოტელის და სხვ. ნაწერებიდგან, შეაქვს სიტყვები ბერძნული, ლათინური, სომხური, რუსული და არაბული წიგნებიდგან. ლექსიკონს დაურთო გრამატიკული და საბუნების-მეტყველო ესკიზები.

გარდა ლექსიკონისა (დაიბეჭდა ტფილისს, 1851 წ.) ორბელიანმა დაგვიტოვა აღწერა თავის მოგზაურობისა სამზღვარ გარეთ („ცისკარი“, 1852 წ.) ეს წერილები პირველი ნიმუშია ევრობის აღწერისა ქართულს ენაზედ. იგი მოგვითხრობს თავის შთაბეჭდილებას რომიდგან მოყოლებული. დასაწყისი მოგზაურობისა, სამწუხაროდ, დაკარგულია. რომში მან დაათვა-რიელა ყველა შესანიშნავი ნაშთები ძველი და საქრისტიანო დროისანი: ტაძრები, მონასტრები და პაპი კლიმენტი XI სასახლე. პაპმა პატივისცემით მიიღო და ნაწილი წმ. ჯვრისა უბოძა. დაესწრო იმ სადილს, რომელზედაც პაპი თვით უმა-სპინძლდება 12 მათხოვარს. პაპმა დიდი იმედი მისცა ვახტანგის თხოვნის შესახებ და გახარებული ორბელიანი სიამოვნებით შეუდგა რომის შესწავლას. იოანე ღვთის მეტყველის მონასტერში ნახა 800 ლარიბი ქალი, რომელთაც შემდეგ ათხოვებდნენ. ნახა ბევრი საკვირველი. ადგილები, სადაც სასწაულ-მოქმედება ხდებოდა. ორბელიანი დიდის ყურადღებით ათვარიე-ლებს ამ ადგილებს და ადარებს სამშობლოს სიძველეებს და თანამედროვე ცხოვრებას. ფლორენციის მიდამოები აგონებენ ოდიშს, იტალიანურს ღვინოს ამჯობინებს ატენის ღვინოს. სიმდიდრეს ბუნების და ნაშტებისას აღტაცებით და საარაკო

ელფერით ასწირს. მალტას, მესსინას, ცეცხლით შქშინავი მთის ეტნის სურათებს ცოცხლად დაგვიხატავს. მადლობით იხსენიებს მალტიის გრანმაგისტრს, მმართველს, პატივისცემისთვის. მიტილენით და ბიტლისით მოაღწევს სტამბოლს და გზასაც ასწერს უბრალო, გამომეტყველი ენით, ხან აღტაცებით და ხან გულდადებით.

ორბელიანს ეკუთვნის ვახტანგის „ქილილა და დამანას“ შესწორება და ლექსებით შევსება. აი მაგალითი მისი ლექსისა:

სულგრძელობა სჯობს მოიგე,
სიჩქარეს მოერიდე,
სიწუნარით ჭკუას იპოვე,
მთმენით შემოჰყრიდე“.

პროზად მეტი აქვს ნაწერები. ორბელიანს ეკუთვნის: სა-მოთხის კარი, საქრისტიანო დარიგება, წამება წინასწარმეტყველთა და სწავლანი სამღვთო წერილიდგან გამოღებულნი. ეს წიგნები ჯერ დიბექდილნი არ არიან.

ს. ორბელიანმა სახელი გაითქვა „სიბრძნე-სიცრუის წიგნით“. ეს წიგნი დაწერილი უნდა იყოს ევროპიდან დაბრუნების შემდეგ: ამას მოწმობენ ზოგიერთი ევროპიელი სახელწოდებანი, არაკები დუკას, მაგისტროსის, გრანდუკას, რომის, ფლორენციის, სტამბოლის, ოქროს რქის და სხვათა შესახებ. წიგნი დაწერილი უნდა იყოს იმ დროს, როცა ავტორი გამოცდილებით და დაკვირვებით დაბრძენდა. „სიბრძნე-სიცრუის წიგნი“ სამ ნაწილად იყოფა: 1) არაკები, იგავ-არაკები, ანდაზები; 2) დარიგება მეფის, ვეზირთა, ამხანაგთა მოვალეობაზედ; 3) ამათი შემაერთებელი გარეგნობით მოთხრობის ძაფი, ჩვეულებრივი გეგმა აღმოსავლეთის და დასავლეთის იგავ-არაკთა კრებულში. ორბელიანმა თავის წიგნი ზღაპრების კილოთი დასწერა და ბევრი სახალხო არაკი ჩაურთო. ავტორს გამოჰყავს ხუთი კაცი: მეფე, იმისი შვილი და სამი ვეზირი. ესენი ერთმანეთთან ლაპარაკობენ და აზრის დასამტკიცებლად არაკები მოჰყავთ, როგორც „ქილილა და მანაში“ და „თიმსარიანში“. შინაარ-

სი წიგნისა ასეა აგებული: მეფე ფინეზი, კეთილი გამგე, სწუხს, რომ უშვილოა. მოწყალების გაცემის შემდეგ მიეცემა შვილი ჯუმბერ. ნადირობის დროს შეხვდება ერთს ქაბუკს, ლეონს, და ამას აბარებს შვილს სასწავლებლად. ლეონი ჯუმბერს ასწავლის ყველას, სიმშობს და წყურვილებას ასწავლის, ფეხშიშველა ატარებს. ლეონს სასახლეში მტრები გამოუჩნდებიან. მეფის საქურისი რუქა აბეზღებს მეფეს, შვილს გიკლავსო. ლეონ თავს გაიმართლებს: მეფის შვილმა ყველა უნდა გამოსცადოს, რომ ხალხის გაჭირვება და მწუხარება იგრძნოს.

ლეონს ამ დღიდგან პატივისცემა ემატება. რუქა ლეონს და იმის მომხრეს სედრაქ ვეზირს ეკამათება. რუქას აზრით, ქვეყანაზე შური და მტრობა მეფობს, სიკეთისთვის სიკეთე არავის უქნია. ლეონს კი ქვეყნად ბევრი კეთილი ეგულება და ჰკიცხავს რუქას, რომ ამ ავს კაცს, გრძობა-დახშულს, ყველა თავისთანა ჰგონია. ბაასში ჯუმბერიც ჩაერევა და რუქას საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს. ეს პირნი არიან ამ ქვეყნის სიბრძნის და სიცრუის წარმომადგენელნი. მეფე გამოსცდის შვილს და დარწმუნდება-რა მის გონიერებაში და სახელმწიფო ნიჭში, დაუთმობს სამეფოს და ტახტს. დასასრულს ლეონ მოუთხრობს მეფეს თავის თავგადასავალს და ეს არწმუნებს რუქას, რომ ლეონი საქირთა დარჩეს მეფის კარს, რადგან თავის ცოდნით და გამოცდილებით სასარგებლო კაცია. თავდება „სიბრძნე სიცრუის წიგნი“ მეფის ფინეზის სიტყვებით, რომელსაც ეშინიან, რომ სამეფო კარს უსიამოვნება არ მოხდეს ვეზირთა შორის და ამ გარემოებამ არ იმოქმედოს ცუდად სახელმწიფო საქმეებზედ.

ეს გარეგანი ქარგა მოთხრობისა ამოკერილია არაკებით და ანდაზებით, დარიგებით და სენტენციებით, შედარებით და კონტრასტით. დედა აზრი წიგნისა დიდაქტიურია, ესე იგი შეიცავს დარიგებას, რა გვარი აღზდა ეჭირება მეფის შვილს, მომავალს ქვეყნის გამგეს. ამ სახითვე აგებულნი არიან „პანჩა ტანტრა“ „ანვარი სოხაილი“ და „თიმსარიანი“. ორბელიანის წიგნში მოსჩანს კვალი მოსიარულე არაკებისა, — ეს გარემოება

აიხსნება როგორც „ქილილა და მანას“ შესწავლით, აგრეთვე საფრანგეთის მწერლის ლაფონტენის გაცნობით. შესაძლოა, რომ ორბელიანმა, რადგან „ქილილა და მანას“ გადმოქართულებაში მიიღო დაახლოებული მონაწილეობა და გაიცნო ფრანგული იგავ-არაკთა მწერალი, განიზრახა შეედგინა საკუთარი კრებული არაკთა და ანდაზათა. ამით აიხსნება, რომ „სიბრძნე-სიცრუის წიგნში“ ბევრი ჩვეულებრივი აზრია გამოთქმული, ცნობილი აღმოსავლეთ-დასავლეთში მოსიარულე სიუჟეტია შემუშავებული. „ანვარი სოხაილის“ გავლენით დაწერილია „კუ და მორიელი“, აგრეთვე „გველი, კაცი, ხე, ხარი და მელია“. რამდენიმე იგავ-არაკი აღებულია სახალხო ზღაპრებიდან. საერთო გეგმა და დედა აზრი ხელუხლებლივ ეკუთვნის თვით საბა-სულხან ორბელიანს.

ენა ორბელიანისა ძველია ადგილ-ადგილ, მაგრამ უფრო ხშირად მარტივი და სასაუბროა. აზრს ცხოველად გამოხატავს, ოხუნჯური კილო წრფელს სიცილს იწვევს. შეხედულება კეთილს და ბოროტზედ სახალხო წარმოდგენით არის დასურათებული. ამისთვის ხალხს „სიბრძნე-სიცრუის წიგნი“ თავის სხარტული ენით გასაგონ და სასიამოვნო წიგნად მიაჩნია. „მელის წიგნში“, რომელიც სომხურით არის ნათარგმნი (ვარდანის კრებულიდან), შეგვხვდება რამდენიმე არაკი, რომელიც ორბელიანის იგავ-არაკს მოგვაგონებს. მაგალითად ორბელიანის „მთიელი და კაკლის ხე“ და ვარდანის წიგნის „კაკალი და საზამთრო“, ორივე კრებულში არაკი საერთო სათაურით: „გველი და ვირი“. „მელის წიგნში“ მოყვანილი არაკი „ბავში და წიწილები“ გვაგონებს ზღაპარს, რომელიც ჩაიწერა ოკრიბას და დაიბეჭდა აკაკის კრებულში (1897, VII). ოკრიბა იმერეთში, მოხისი ქართლში და ქიზიყი გათქმულნი არიან ტუტუცების შესახებ საოხუნჯო ანდაზებით და არაკებით. ამ გვარად „სიბრძნე სიცრუის“ წიგნი და აგრეთვე ვარდანის იგავ-არაკთა კრებული საზღოებენ სახალხო პოეზიის, ერის შექმნილი ნაწარმოებით.

ანტონ I, საქართველოს კათოლიკოსი.

ანტონ I კათოლიკოსი ეკუთვნის შესანიშნავთ მოღვაწეთა პირთა წრეს. მან განაგრძელა სამეცნიერო მოღვაწეობა ვახტანგ VI და ს. ს. ორბელიანისა და თავის მრავალგვარი მოქმედებით დაამტკიცა, რა შეუძლიან შეჰქმნას ერთმა კაცმა, როცა მას უღვივის წრფელი სიყვარული და შრომის უნარი. მქადაგებელი და დიპლომატი, ფილოსოფოზი და საქმის კაცი, დამწერი ფალოლოგიური და საღვთისმეტყველო თხზულებათა, პართლმადიდებლობისათვის თავდადებული და კათოლიკობისადმი მიდრეკილი, ბურჯი საქართველოს საზოგადოების ცხოვრებისა და განდევნილი სამშობლოდგან—ანტონ კათოლიკოსი განსაკუთრებითი ადგილის და ყურადღების ღირსია ჩვენს ისტორიაში.

მე-XVIII საუკ., რომელსაც ეკუთვნის ანტონის ცხოვრება და მოღვაწეობა, ირყეოდა და ველარ იღვა მტკიცედ იმ საფუძველზედ, რომელზედაც საქართველო დაყრდნობილ იყო ძველად, ტრადიციით. მტერმა, შინაურმა და გარეულმა, ნელ-ნელა გამოუთხარა ძირი საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებას და სარწმუნოებას. ქრისტეს უარყოფა და გათათრება კერძო ინტერესების დასაცველად გადიქცა ჩვეულებრივ მოვლენად; შაჰის და ხონთქრის შემოსევა აუცრლებელ სახსრად გახდა შინაური ფეოდალების და მეფეთა ბრძოლის დასაწყნარებლად. დარბევა და ცარცვა ლეკების ბრბოთი მოსვენებას უსპობდა მშვიდობიანს მცხოვრებელს. მწყემს-მთავარი და ქვეყნის გამგე—მეფე,—ორივე ერთგვარად შემთხვევის მსხვერპლნი ხდებოდნენ, ადვილად აღიოდნენ ტახტზედ, მაგრამ უფრო მოულოდნელად სტაცებდნენ სამწყემსო კვერთხს და სამეფო სკიპტრას.

ასეთი იყო საზოგადოებრივი ტალღები იმ დროს, როდესაც სცხოვრობს და მოქმედობს ანტონ I. ანტონ I, ბერობამდის თეიმურაზად სახელდებული, იყო ძე იესესი, ქართლის მეფისა, რომელიც შაჰის წყალობის მისაღებად გამაჰმადიანდა,

და ძმისწული ვახტანგ VI. სამეფო ჩამომავლობა თეიმურაზს უმზადებდა მსოფლიო—საპოლიტიკო სარბიელს და არა საბერო ასპარეზს. მაგრამ ერთმა უბედურებამ შეაცვლევინა მას მოღვაწეობის მიმართულება. თეიმურაზი დაიბადა 1721 წ.; შვიდი წლისა იყო, როცა მამა მოუკვდა. დედა ელისაბედმა აღმზღელად მიუჩინა საუკეთესო პირნი და მათ შორის საბასულხან ორბელიანიც, „სიბრძნე-სიცრუის წიგნის“ დამწერი. 15 წლისა შეიქმნა და დაინიშნა იგი გივი ამილახვრის ქალზედ, მაგრამ ვიდრე ქორწილს გადაიხდიდნენ, ნადირ შაჰმა მოითხოვა თეიმურაზის საცოლო და ქალის მამამ თვით მიჰგვარა იგი ირანის მბძანებელს. ამ გარემოებამ მოუკლა გული თეიმურაზს. დაუტევა სოფელი, შეეფარა ჯერ დავით-გარეჯას და 1739 წ. ალიკვეცა გელათში ბერად და მიიღო სახელად ანტონ. ამ დროს იგი 18 წლისა იყო.

ბუნებითა კკუამ და დიდებულმა ჩამომავლობამ გზა გაუხსნა ანტონს წარმატებისკენ სამონაზნო სარბიელზედ. იმავე წელს დაინიშნა ილუმენად გელათში და ორი წლის შემდეგ ქუთაისის მიტროპოლიტობა მიიღო. 1742 წ. გადმოსახლდა თელავს სხვა-და-სხვა მიზეზების გამო. საქართველოს კათოლიკოზი დომენტი მიიცვალა ამ დროს და მისს კათედრაზედ სამღვდელო კრებულმა ამოირჩია ანტონი, მაგრამ უარჰყო ეს დიდება სიმდაბლით და კვალად დაბრუნდა იმერეთში. ერთი წლის შემდეგ 1743 წ. ანტონმა დაუტევა კათედრა და გადმოვიდა იოანე ნათლის-მცემლის მონასტერში უბრალო ბერად. 1744 წ. ანტონმა მიიღო მონაწილეობა სახალხო ღღესასწაულში იმ სიხარულის გამო, რომელიც გამოიწვია თეიმურაზ II ქართლში და ერეკლე I კახეთში გამეფებამ.

ქართლი და კახეთი პოლიტიკურად შეერთდა მამის და შვილის სკიპტრის ქვეშ. ამ სასიამოვნო ღღესასწაულს დაერთო ერთი უბედურება. 11 აგვისტოს 1744 წ. მოჰკლეს კათოლიკოსი ნიკოლოზ (ხერხეულიძე). ამის კათედრა კვალად მიუსაჯეს ანტონს I და ახლა კი დასთანხმდა იგი. ამ გვარად 24

წლის ანტონი გახდა უმაღლესს მწყემს მთავრად ივერიის ეკლესიისა. ანტონი შეუდგა თამამად ეკლესიის განახლების საქმეს. თავდაპირველად კათოლიკოზმა დაუმორჩილა საეკლესიო რეფორმა სახელმწიფო ინტერესებს და ამ სახით მოსპო მიზეზი სასულიერო და საერო მეფეების შეტაკებისა. ვახტანგ მეფემ თავის „სამართალში“ განმარტა, რომ მეფე ხორცის ხელმწიფეა და კათოლიკოზი სულისა (§ 25). ანტონ I ყველა თავის განკარგულებას მეფის სახელით და თანხმობით აწარმოებს. დანგრეული ტაძრების აღშენება და საეკლესიო სასამართლოს განახლებაც გახდა საზრუნავ საგნად ახალგაზდა მწყემს-მთავრისა. გახსნა სამონასტრო სკოლები, აღბეჭდა სასულიერო წიგნები, მოჰკიდა თვით ხელი კალამს მწერლობაში მონაწილეობის მისაღებად. ასე ნაყოფიერად დაწყობილი მოღვაწეობა შესწყდა ღროებით, რადგან ანტონი გაიტაცა კათოლიკობის მოძღვრებამ—ფლორენციის უნიამ და ამისა გამო კათოლიკოზს ჩამოართვეს ტახტი და გაისტუმრეს რუსეთს.

ანტონი დაუახლოვდა კათოლიკეთა მისსიონერებს, რადგან იგი საჭიროებდა მათ დახმარებას ქართული გრამმატიკის და მზამეტყველების წერის დროს. პაპის ნუნცებთან მეცადინეობით ანტონმა შეითვისა გაკათოლიკების სურვილი. საეკლესიო კრებამ მცხეთაში, თეიმურაზ და ერეკლე მეფეთა თანადასწრებით, სცნო ანტონი დამნაშავედ და მართლმადიდებლობისაგან განდგომილად. ამიტომ ანტონს აპყარეს კათოლიკოზობის ღირსება. რუსეთში სინოდის წინაშე ანტონმა წარადგინა „სიმბოლო სარწმუნოებისა“, თანხმად მართლმადიდებელი ეკლესიისა, გაიმართლა თავი წამიერს გატაცებაში და მიიღო საარქიეპისკოპოზო კათედრა ვლადიმირისა და იეროპოლისა. ამ ეპარქიას მართავდა ანტონი 1757—1762 წ.¹⁾ მეფე თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ, ერეკლემ ქართლი და კახეთი შეაერთა, გამოიწვია ანტონი რუსეთიდან და საპატრიარქო ტახტი უბოძა. რუსეთიდან ანტონმა მოიტანა დამზადე-

ბული სახელმძღვანელოები სკოლაში სახმარებლად და რამდენიმე სამეცნიერო თხზულების გამორკვეული გეგმა.

ტფილისში ანტონმა განაგრძელა შეწყვეტილი თავის მოღვაწეობა. მწერლობაში მან მოიპოვა დიდი სახელი საფილოსოფიო თხზულებათა გადმოღებით. ანტონმა სთარგმნა თავის შენიშვნებით ბაუმეისტერის ფილოსოფია, ლოლიკა და მეტაფიზიკა, გამოჩენილი მეცნიერის ვოლფის ფიზიკა, კურციუსის ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა, კატელორია არისტოტელისა, რიტორიკა მხითარისა, ისტორია ეფესის კრებისა, სტეფან იავორსკის თხზულება სარწმუნოების შესახებ და სხვ. ტფილისში და თელავში მისგან გახსნილი სკოლებისთვის მსგავსად სლავ-ბერძნულ-ლათინური აკადემიისა მოსკოვში, თვით დაამზადა სახელმძღვანელოები გრამმატიკის, რიტორიკის, კატეხიზმოსი, ისტორიის, ფილოსოფიის და ღვთის მეტყველების შესასწავლად. ამ გვარად მთელი სასკოლო სწავლა სწარმოებდა ანტონის წიგნებზედ. გრამმატიკა ანტონმა სამჯერ შეადგინა. პირველი 1753 წ. სომხური გრამმატიკის (მხითარის) მიხედვით. მეორეს 1767 წ. და მესამე „სიმეტრე“ შედგენილია კითხვა-მიგებით, — ეს უნდა ყოფილიყო სასკოლო წიგნი. ენა გაჰყო მან სამს სტილად: პირველი გასაგებია ყველასთვის, მეორე ესმით მხოლოდ განათლებულებს, მესამე — უმაღლესი დანიშნულია მეცნიერთათვის. „ღრამმატიკა არს შემძლებელობა მართლუბნობად და წესიერად წერად“, ამბობს ანტონი და ამ თვალთისარით იგი ჰქმნის ასოთა და ბგერათა სიტყვათა გამოთქმის გასაადვილებლად, შემოიტანა შემასმენელობითი ბრუნვა და აღნიშნა ხაზით, თანდებული წინდებულად გადააკეთა: მაგალითად, იგი სიტყვას „სახელისთვის“ სწუნობს და მის მაგივრად ხმარობს „თვის სახელისა“. გრამმატიკის პირველს ნაწილში განიხილავს ბრუნვებს სახელთა, ზმნას და სხვა სიტყვათა ნაწილებს, მეორეში განიხილავს ასოებს და სიტყვას („თვს განსაზღვრებათა განწუალავათა და მდევართა სიტყვს ნაწილთასა“), მესამე ნაწილი შეიცავს სინტაქსისს ანუ „შეთხზუნას ნაწილთა

სიტყუსათა და მოქმედებისა მათისა“. ანტონი ქართულს ენაში სამს კანკლედობას ჰპოულობს და 8 ბრუნვას. თუ შევადარებთ ამ გრამმატიკის გეგმას, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ლომონოსოვის გრამმატიკას არ ჰქონია ანტონზედ არავითარი გავლენა.

აგრეთვე ლომონოსოვის ნაწერიდგან დამოუკიდებელი შრომაა რიტორიკა ანტონისა. „რიტორიკა არს ხელოვნება განკარგვად და საამოვნოდ განცხადებად ჰაზრთა თვისთა“. რიტორიკა ანტონისა რამდენსამე ნაწილიდ იყოფა: პირველი შეიცავს სწავლას პერიოდზედ, მეორე პერიოდების განხილვას, მესამე ტროპების განხილვას, და მეოთხე ნაკვთათვის სწავლას. შემდეგი განმარტავს ეპისტოლიებს, ხრიებს, პოეზიას, განსაკუთრებით დრამას და გამოხატვას „ჰაზრთა ანუ გრძნობათა ცხოველთა ხმით“, ესე ავი ცნებათა წარმოშობას. ანტონის რიტორიკა შეიცავს იმ სწავლას, რომელსაც ახლა სიტყვიერების თეორია ეწოდება. ეს ორი წიგნი—გრამმატიკა და რიტორიკა იყვნენ სქოლასტიურ სკოლის დაბალს კლასებში სწავლის საფუძველნი. ამავე ფუძეზედ ამყარებს ანტონი ქართველი საზოგადოების განათლებას.

ღრმა განათლება და შრომის უნარი ანტონმა დაგვიმტკიცა ორი დიდის თხზულების შექმნით: „მზა-მეტყველება“ და „წყობილსიტყვაობა“. პირველი თხზულება შეიცავს 600 გვერდს დიდი ფორმატისას, და გამოიცა ალექსანდრე ეპისკოპოზის საფასით (ტფილისი, 1892). იგი წარმოადგენს მოფიქრებულს და მამათა ნაწერებზედ დამყარებულს მოძღვრებას მართლმადიდებელი ეკლესიისა და დარღვევას სხვა-და-სხვა მწვალებელთა სწავლისა (მონოფიზიტთა). მეორე თხზულება დაწერილია იამბიკოებად, გამოცემულია 1853 წ. პლ. იოსელიანის მიერ. იგი შეიცავს ძვირფასს ცნობებს ძველის ქართული მწერლობის შესახებ. წყობილსიტყვაობა რამდენსამე ნაწილიდ იყოფა. პირველი ოთხი ნაწილი განიხილავს ქებას სამების, ღეთისმშობლის, ცხოველს-მყოფელისა ჯვრისა და

ყოველთა წმიდათა. მეხუთე ნაწილში განიხილავს „ქართველთა წმიდათა (წმ. ქეთევან, დავით და კონსტანტინე, ნინო), მეექვსე, — „ქართველთა რომელთამე ჩინებულთა მეფეთა“ (მირიან, ვახტანგ, ბაგრატ I, თამარ, გიორგი), მეშვიდე ნაწილი უძღვნა „ქართველთა სიბრძნის მოყვარეთა კაცთა მწიგნობართა“. აქ ჩამოთვლილნი არიან სხვათა შორის იოანე ბოლნელი, არსენი ნინოწმინდელი, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელი, პეტრიწი, შავთელი, ჩახრუხა, შოთა რუსთაველი, არჩილ მეფე, ს. ს. ორბელიანი და სხვ. ანტონი აფასებს ამათ ნაწარმოებს და მოკლედ და ხშირად სასტიკად აღნიშნავს მათ ნაკლულევიანებას-

საფილოსოფიო მისი ნაწერებიდგან ნაწყვეტები მოვიყვანე მე ჩემს რუსულ წიგნაკში ანტონ კათოლიკოზის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ. მისი მეტაფიზიკა, ჩვენის განხილვით, აღმოჩნდა ბაუმეისტერის თხუზულების თარგმანად, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ანტონი არ სარგებლობს ბაუმეისტერის ლათინური ორიგინალით, არამედ ხელმძღვანელობს გადმორუსულებული დედანით (მოსკოვი, 1789 წ.). ენა საფილოსოფიო ნაწერებისა მეტად მძიმეა. ღირსება მათი იმაშია, სხვათა შორის, რომ ანტონმა რამდენიმე ტერმინი შექქმნა: არსი, არა არსი, არსება უზიარებელი, ყოველადი და კერძო, არსი შეზავებული, გამოხატვა (იდეა), სრულება. აი ერთი ნაწყვეტი მისი „საეთიკო ფილოსოფიიდან“: „საპრაქტიკოსა ამის ფილოსოფიისა განსაზღვრებისა პირველ დამდებელნი ადვილისა და მე გულის ხმა ვყოფთ წინადადებათა მათ, რომელნიცა განსაზღვრებასა ამას შინა იმჭირვიან და რომელნიცა განვმარტნეთ უშესაბამესითა კარგითა“.

ზ ა ძ ა რ ი ა ბ ა ბ ა შ ვ ი ლ ი .

ანტონ კათოლიკოზის სახელთან დაკავშირებულაა ზაქარია გაბაშვილის მოღვაწეობა. იგი იყო მეფის მოძღვარი და მეტეხის სტამ-

ბის ზედამხედველი. ზაქარია გაბაშვილმა თავისი სახელი უკვდავი ჰქმნა იმ ბრძოლით, რომელიც მან გაუწია კათოლიკოზს ანტონს და საპატრიარქო ტახტი ჩამოართმევინა, გაბაშვილი ეკუთვნოდა იმ წრეს, რომელიც უკმაყოფილო იყო ანტონ I კათოლიკობისადმი მიდრეკილებით და უფრო მეტად იმ განკარგულებით, რომლის ძალით მონასტრის წინამძღვრებს ჩამოერთვათ უფლება დამოუკიდებელი განგებლობისა საეკლესიო ქონებათა. ზაქარია გაბაშვილმა არ იკმარა ანტონის გადაგვნა საქართველოდგან, — მან უძღვნა დამარცხებულს პატრიარქს სატირა „კატის ომი“.

ამ სატირაში ანტონი კატის სახელწოდებით არის დასურათებული, რადგან ავტორს ჰურეს აღნიშნოს კათოლიკოზის სამეფო ჩამოშლლობა, — იგულისხმება კატის მოდგმა ღმრთა გვარიდგან. ამით აიხსნება სატირის დასაწყისი: „ყოველს მგრძნობელს ცნოველს შუა წინ წამოდგა ნაზად კატა, მას მიუგავს ღმრთა ბეწვი, სინჯავს გარდამატა“, კატამ, გოლიათ-ბუნებრაზმა“, აისხა ტანს აბჯარი, მოსწყურდა „სისხლში ცურვანი“ და თავებს გამოუცხადა ომი. გამარჯვებაც მას დარჩა.

თავნი შეფქვა და შელენა,

ვით ლომმან მხეცნი მოსრისა...

სად დაჰკრის ფეხი, თავს დასციის მებნი,

ტვინი გაუბის დაუთვალები.

ამ სიტყვებით განმარტავს გაბაშვილი კათოლიკოზის ჰირველს გამარჯვებას მშვიდობიანად მცხოვრებს — მონასტრებზედ, რომელთაც შეუბოჭა ქონებათა გამგებლობა. თავგებმა ძალა მოიკრიბეს და მიესივნენ კატას, დასცეს და „კუდი ძირში მოაკვნიტეს“. ამით აღნიშნავს ანტონის საპატრიარქო ტახტიდგან გადაუენებას. კატას დაესივნენ თავგები სხვა-და-სხვა მხრიდგან: გუდამაყრიდგან, დადისტინით, ბუხარელი, „ფრანციელი“, ხორასნით და სხვ. ყველამ გაჰკრა კლანჭი, ჰკიცხავენ და ლაფს ასხავენ კატას:

ციცავ, ველარ დალიღინდი,

დამიღონდი, გამიფრინდი...

თავში სცემდის, ქვას დასცემდის

ერთი თავგი წუწკი მერალი.

გადახული, გათრეული, გათახსირებული კატა მზის ჩასვლისას უკვე სამწუხარო რასმე წარმოადგენდა:

როს მიდრკა მზეცა, დაბნელდა ზეცა,
კატისა ბეწვი ალვიდეს მტვერად.
ჰკრეკდენ სიმარჯვით, ათრევდენ ტანჯვით,
კრელს თვალს უქცევდნენ ნახშირის ფერად,
ეყრება გულსა, წყლულ-დადაგულსა,
ტირს, სით მოვშავი ამათში მე რად.

კატა დასტირის თავის კუდს და ეთხოვება შელას, უარუემს, სამურს. ესენი მუხლის თავებზედ დაეცემიან და თავიანთ მწუხარებას უცხადებენ, რომ კატამ დაჰკარგა კუდი, რომელიც ღირდა მთელს საფრანგეთად. დაცინვას კათოლიკეთა მისსიონერებზედ. კატამ გადასწევიტა წავიდეს უახას (მოსკოვს) და სუადღრემლიანი ესხვევა გარშემოხვეულს ცხოველებს.

ამ სასტიკი სატირის დაწყური ზაქარია „ნამოძღვრალი“ ერეკლე მეფის დროს თვით იქმნა განდევნილი საქართველოდგან. გაბაშვილი გადასახლდა იმერეთს, სადაც ცოტა ხნის შემდეგ თავი შეაფარა მისმა შვილმა პოეტმა ბესიკმა.

„კატის ომის“ მსგავსი ნაწერები ცნობილია რუსულს და სხარსულს მწერლობაშიც.

ბაიოზ ნაცვლიწვილი და დავით ალექსიძე.

ანტონ კათოლიკოზის გაუღენის ქვეშ მოჰქმედებს ორი ჰატიც-ცემული პირი—გაიოზ ნაცვლიწვილი და დავით ალექსიძე, თელავის სემინარიის რექტორები. ანტონ კათოლიკოზის მეცადინეობით საქართველოში დაარსდა სწავლა-განათლება ახალს ევროპულს სისტემაზედ დამყარებული. ტფილისში და თელავში გახსნა სემინარიები, სადაც საგნების შესწავლა წარმოებდა სქოლასტიურს სისტემაზედ. ეს სისტემა ევროპისათვის უკვე დაძველებული იყო, მაგრამ საქართველოში იგი გახდა აუცილებელ საფეხურად ახალი განათლების მისაღებად. თელავის სემინარიის შესახებ ჩვენ გვაქვს საკმარისი ცნობანი, ტფილისის შესახებ კი მეტად ღარიბნი ვართ. თელავის სემინარიის

პირველი რექტორი იყო გაიოზ ნაცვლიშვილი (1746—1819). იგი იყო ს. შალაროვთან და აღიზარდა ანტონის ხელმძღვანელობით, შეტადრე როცა ანტონი დაბრუნდა რუსეთიდან საქართველოში. 1765 წ. გაიოზი 19 წლისა შეიქმნა და ანტონმა მთავარ-დიაკვნადაც აკურთხა. ამას შემდეგ გაიოზი ანტონს არ მოშორებია: 1772 წ. გაჰყვა მას, ჰეტერობურგს ერეკლე მეუფის მიხედობით გაგზავნილს, როგორც მცოდნე რუსულის ენისა. მოსკოვში გაიოზი შევიდა სწავლის დასამთავრებლად სლავ-ბერძნულ-ლათინურს აკადემიაში. აქ დაჰყო ოთხი წელი (1774—1778) და დაბრუნდა საქართველოში. ანტონმა აკურთხა არქიმანდრიტად და დანიშნა თელავის სემინარიის რექტორად. ამ სემინარიის გახსნის დღესასწაული აღწერილია თვით გაიოზის მიერ. წირვის შემდეგ რექტორმა წაუკითხა სემინარიელების კათოლიკოზის „ინსტრუქცია“ და წესი, რომელიც უნდა დამყარებულყო სემინარიაში. ქება შეასხა ერეკლე მეფესაც, როგორც სწავლაცანათლების შფარველს, და აღნიშნა, რა განსხვავებაა ცოდნის და უცოდინარობის შორის. სწავლა უნერგავს კაცს სიუვარულს მოძმეთადმი და განუმარტავს შემოქმედის სიბრძნეს. დასასრულს გაიოზი ღონევა-კურთხევას მოიღებს ერეკლე მეფეზედ, რომელმაც განაგრცვლა მეცნიერება და თავის სამშობლო „ახალ ათინად“ გარდაქმნა. პირველს დღესეუ გაიოზმა მისცა სემინარიელებს გაკვეთილი გრამმატიკიდან. გარდა ამისა, სემინარიაში ასწავლიდნენ რიტორიკას, ღვთის-მეტყველებას, ისტორიას და ფილოსოფიას.

გაიოზი რექტორად მხოლოდ ერთი წელიწადი დარჩა. 1784 წ. მისი ადგილი უკვე უჭირავს დავით ალექსიშვილს (ალექსიძეს). გაიოზი კი დაადგება დიპლომატიურს მოღვაწეობას: მას ვხედავთ 1783 წ. გიორგიევსკში, სადაც ერეკლე II შეეკრა ტრაქტატით ეკატერინე II. 1785 წ. იგი ინიშნება ოსეთის კომისიის წევრად და ემსახურება მთიელთა შორის ქრისტიანობის აღდგენის მიზანს. დაუახლოვდა რა გენერალ ჰოტემკინს, გაიოზი გადასახლდა კრემენჩუგს, სადაც გადასწერა მრავალი წიგნი. 1790 წ. იგი შეხვდება მიტროპოლიტს იონას ქალაქს იასში და მასთან ერთად ქართულად სწირავს ჰოტემკინის თანდასწრებით. 1793 წ. იგი აკურთხეს ჰეტერობურგს ეპისკოპოსად

და დანიშნეს მოზღოვის არქიელად. ამავე დროს მიიღვა ასტრახანის ეპისკოპოზი და ამიტომ გაიოზს მიანდევს ამ ეპარქიის მართვაც. გაიოზმა გამოიჩინა დიდი ენერჯია და უნარი ოსების მდგომარეობის გაუმჯობესების სახსრების გამოძიებაში: განაახლა ეკლესიები, დაარსა მონასტერი, გახსნა სკოლები და თვით შეადგინა ოსთათვის ანბანი. 16 ოქტომბერს 1799 წ. გაიოზი დაინიშნა სარატოვის და ჰენზის არქიეპისკოპოზად. გადაიღვა ასტრახანს 1819 წ.

გაიოზმა დაწერა: 1) „მცირე ქართული გრამმატიკა“, დაბეჭდილი 1789 წ. კრემენჩუგს ხუცური და მხედრული ანბანით. გრამმატიკა შეიცავს ბგერათა, ეტიმოლოგიის და სინტაქსის განხილვას; 2) საქართველოს ისტორია; 3, წინა-სიტუვაობა ანტონ I „წიობილ-სიტუვაობისა“ ხუთტაეპოვანი ლექსებით და 4) ქადაგებანი (თელავის სემინარიის გახსნის დღეს, რუსეთის იმპერატორთა საქართველოს მეფეების მთარგელობაზედ, შესხმა ერეკლე მეუფის). გაიოზმა სთარგმნა: 1) მიმოსვლა ბარონ დე ჰოლნიცის (რუსულით), რომელიც მიუძღვნა 1776 წ. მეუფის ვახტანგის ძეს გიორგის; 2) ამბროსი მედიოლანელ ეპისკოპოსისა „მიცვალებისათვის ძმისა მისისა სტირი-სა (1789 წ. კრემენჩუგს) და თეოდოსი დიდისა“; 3) სამღეთო ისტორია (დაწიებ. მოზღოკს, 1799 წ.); 4) სამღვდელო რედამენტა; 5) ჰეტრე დიდის ისტორია შობიდაგან სიკვდილამდე; 6) კვიროსის ისტორია; 7) ძველთა სამეფოთა ისტორია; 8) სამხედრო არტიკული ჰეტრე დიდისა; 9) ჯეროზის ქალაქთა ლექსიკონი; 10) სამგზავრო გეოგრაფია; 11) ღვთის-მეტეველება, მოსკოვის არქიელის ჰლატონისა; 12) მარკ ავრელია; 13) გელიზარი მარმონეტელისა; 14) სამეფო ტომარი; 15) კიტანის სიბრძნე; 16) განმარტება იგაფთა სოლომონისათა; 17) ვასილ დიდის ეპისტოლენი; 18) სარწმუნოების კითხვა-მიგება, და კიდევ რამდენიმე სხვა წიგნიც გადმოუღია. ეს სია ამტკიცებს გაიოზის არამც თუ შრომის მოუყარეობას, განსაკუთრებით მიმართულებასაც. იგი სთარგმნის ორ-გვარი დარგის წიგნებს. ერთი შეეხება ღვთისმეტეველებას, მეორე საზრატეო სქემეს, დანიშნულია სკოლაში სახმარებელ სახელმძღვანელოებად.

დავით ალექსიძე (მესხიშვილი) დაინიშნა თელავის სემინარიის

რეკტორად გაიზის შემდეგ. დავითიც ანტონის მოწაფე იყო. მასწავლებლებთან ერთად ახალმა რეკტორმა შეადგინა სახელმძღვანელოები ღვთისმეტყველების, გრამმატიკის, რიტორიკის, ფილოსოფიის და ფიზიკისა. განსაკუთრებით მას ეკუთვნის გეოგრაფიის სახელმძღვანელოს შედგენა. ალექსიძე დანიშნა ბატონიშვილის დავით გიორგის ძის აღმზღველად. თელავიდან გადმოსახლდა ტფილისს ანჩხატის უბანში და აქ სახელწოდებით „ფილოსოფოზი ცუკია“ გადაიწვალა 1830 წ. დიდს სიღარიბეში.

დავითს დაუწერია მრავალი ლექსები და შესხმა-ქებაანი. ჰეროცა „გრამმატიკას“ სწავლობდა, კათოლიკოზის ბრძანებით ალექსიძემ ერეკლე მეფეს მოახსენა ქება-იაშობიკანი. „რიტორების“ სწავლის დროს მეორედ მოახსენა მეფეს შესხმა სახელწოდების დღეს: „ვი-სურვოთ სულით, ვიმეხსიეროთ გულით, შევასხათ ქებით შუწნიერ შეთხუზულებით, ორ სკიპტრანპურობით, ერთუფთმონარხობით, სიბრძნისა ტრფობით მებრ სოფლომონითობით შესხმისა სურვით კუთილ-დასაბამობით“. დიდი ქება შეასხა მან გიორგი მეფეს 1798 წ. (თებერვ. 22), ტანტზედ ასვლის დღეს. ორატორი იმით იწეებს თავის სიტყვას, რომ იგი შეპურობილია „ორთა სხვათა ვნებისათა მწუხარებისა და სიხარულისათა“. ჰირველი გამოწვეულია ერეკლე მეფის სიკვდილის მოგონებით, მეორე აღუძრა გიორგის გამეფებამ. „მძაფრმა ცეცხლმა“ მოსტაცა საქართველოს ხელმწიფე მამაშენიო, რომლის მახვილითა მოიწვევიდეს უღმრთონი იგი აგარიანნი, მტერნი ხორც-ქმნილის ძის ღვთისა. მწუხარებით გოდებს ივერია, დედოფალი, ძენი მეფისანი (დუონ და ვახტანგ) და ეკლესია. ამ გოდებან მოჰყვა სიხარული, რომელიც გამოიწვია გიორგის ტანტზედ აღსვლამ. ოთხმა მიზეზმა მოგანიჭა სკიპტრა და გვირგვინი: განგებამ, ჰირ-მშობებამ, მამამ (სწორე მსაჯულმა) და კურთხევითა დედოფლის და კათოლიკოზის ანტონისა. წარმართე გონიერად სამეფო შენიო, „ვინაიდგან გარეშე გონიერებისა არა არს ცხოვრება კეთილად და სამართლად. რამეთუ სადაცა არს ესე, მუნ შუებით ცხოვრება არს ბრძნისამებრ ჰელატონისა“. ამ სიტყვას მოვიღებ, ვითარცა შესწირა ქვირვიმა წგლიდი თვისიო. ამ გვარად ეს სიტყვა აშენებულა სქოლასტიურ

სისტემაზე და განიუთუება რამდენსავე ნაწილად: შესავალი, თემა, თხრობა და დასკვნა. შესხმითი სიტყვები და ლექსები ალექსიძის მიუძღვნია სხვა პირთათვისაც. მისი ხელმძღვანელობით მისმა მოწაფეებმა (ანდრონიკაშვილმა, ქობულაშვილმა) შესხმა მოახსენეს ვახტანგ ბატონიშვილს.

ანტონ I კათოლიკოზის შობის დღეს „სიბრძნის მოყვარემ“ დავით ალექსიძემ იამბიკო ხუთ-მუნჯლოვანი მოახსენა, რომლის კიდურ-წერილობა არს: „ვინ დასცა ქნარი, განაკეთო ცუხარი“. აი დასაწეისი ამ ლექსისა, რომელიც ამტკიცებს, რომ ლექსწეობა დავითს არ ეხერხებოდა,

ველმან კახმილმან განიკრთო მოელვარედ
ირგუღლივა მორთხმით, სრულება კეთილობით...

დავითს ეკუთვნის შესხმა „სრულიად გიორგიისა და ივერიისა ამერ-იშერთა თვითმშურობელისა დიდისა შეფაჲსა თამარისა დავითიან ჰანკრატოვანისა მეფისა გიორგიისა ასულისათვის თქმული იამბიკონი“. ეს შესხმა მრავალ-სიტყვოვანი ოდაა.

დავითს უწერია მრავალი ლექსი სახუმარო, სატრფიალო და ხშირად უწმაწურიც. აი მაგალითები მისი რუჯის, ფისტიკაურის და შაირისა: აქიმებო, ოლოლოლი, ამას ჰვივის ოლოლოლი, რას მიკითხავ ქურდობასა, კარგად მომდის ეს როლი“. ანუ:

საქებია, ვინც ქვეყანას
ასე მოსთიბს, როგორც ყანას,
ამით ვეცხლსა შეიგროვებს,
რა მგამა იწყებს ყაყანას.

უწმაწური ლექსი მიუწერია დავითს ევსევი ბერისათვის. საღმ-ლომატიო მიწერ-მოწერის ქაღალდებში, რომელნიც დავითისაგან ერეკლეს სახელით იუვენენ დაწერილნი, აღმოჩნდნენ ბევრი შეუთუერებელი და სასირცხვო ლექსები. მოსკოვის არქივში ჩვენ გვინახავს ამგვარი რამდენიმე ლექსი. ამით აიხსნება მეფის ირაკლის ასულის მარიამის უკმაუთიღება დავითისადმი და სატირა მის ადრესით დაწერილი ან-ჩისსატის ღეკანოზის სოლომონ ალექსიძის სახელზე:

დაბრძანდი მიწის სკამზედა
გვერდით მოისვი ცუკია,
უსჯულა, უღთა, წარმართი,

პლუტი, გაქნილი ცრუ კია,
აყვია, ლაშებ-განრობხული
ვირზედა შესაკუკია...

პროზად დავითს დაუწერია „სიზმრის ახსნა“ და შეფის ირაკლის მეორის ძის ლეონისათვის თქმულნი ათნი სიტყვანი (1781 წ.). პირველს ნაწერში სიზმარს ახსნის იგი სამნაირად: 1) სიზმარში იგივე წარმოდგება კაცს, რაც უხილავს; 2) ან იგი წარმოდგება ეშმაკის მოჩვენებით; 3) ანუ „ღვთისა მიერ იქმნების“. მეორე ნაწილში განხილულია ლეონის დაბადება, აღზდა, რუსეთში წასვლა ირაკლის ელჩად, მისი მოღვაწეობა, სიკვდილი, მშობელთა მწუნარება და მოთქმითი მისი გლოვა. დავითი გათქმული იყო როგორც კალიგრაფი და მრავალ თხუზულებათა გადამწერი.

საისტორიო თხზულებანი 16-XV—XVIII საუკ.

(ვახუშტი, გორგიჯანიძე, ჩხეიძე, ორბელიანი და სხვ.)

ისტორიის შემუშავებას და მისე წყაროების შეკრებას დიდი ღვაწლი დასდეს მეფე ვახტანგმა VI და მისმა შეილმა ვახუშტმა. ამათ გვერდით მუშაობდნენ რამდენიმე წარჩინებულნი პირნი, მათ შორის ბატონიშვილებიც. ჩვენ უკვე განვიხილეთ ვახტანგის მიერ მიღებული შრომა „ქართლის ცხოვრების“ შესავსებლად, ამიტომ პირდაპირ მივმართავთ ვახუშტს, რომელმაც განაგრძელა მამის სამეცნიერო მოღვაწეობა.

ვახუშტი შესანიშნი გეოგრაფი და ისტორიკოსია. იგი დაიბადა 1696 წ., შეირთო 1716 წ. გიორგი აბაშიძის ქალი მარიამ. ბავშობიდანვე გამოიჩინა დიდი ცნობის მოყვარეობა და სამეცნიერო მეცადინეობისადმი მიდრეკილება. 16—17 წლისა იქნებოდა, როცა კათოლიკეთა მისიონერებს დაუახლოვდა და მათ დახმარებით შეითვისა ლათინური ენა. სახელმწიფო საქმეებშიც აღრე გაერია და მამის მაგივრად სამეფოსაც მართავდა, როცა ვახტანგი პეტრე დიდთან დადესტანში გაეშურა შესაერთებლად სპარსეთის წინააღმდეგ. როცა

ვახტანგმა დაჰკარგა ქართლის ტახტი და გადასახლდა მოსკოვს, ვახუშტიც თან გაჰყვა, დასახლდა იმ ქუჩაზედ, რომელიც ახლაც „გრუზინსკაიად“ არის წოდებული და შეუდგა სამეცნიერო შრომას. გადიცვალა 1772 წ. და დასაფლავებულია დონის მონასტერში. შვილები ივანე, ნიკოლოზ, ალექსანდრე და ანა ადრე დაეხოცნენ. მისს. ასულს მარიამ ბაგრატიონისას 1789 წ. დაენიშნა ჰენცია 1550 მან. ვახუშტს მამამ გადასცა მრავალი საისტორიო მასალა, რომელიც საქართველოდგან მოსკოვს წაიღეს. ამ წყაროების მიხედვით ვახუშტმა დასწერა საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-XXIII საუკუნახევრამდე, რომელიც ავსებს „ქართლის ცხოვრების“ მოთხრობას. ამ ისტორიით ვახუშტმა გამოიწვია უსიამოვნობა რამდენიმე გვარეულობისა, რადგან ფაქტებით თავისებურად სარგებლობდა. ვახუშტმა იხელმძღვანელა ისეთი წყაროებით, რომელნიც ამ ბოლო დროს აღმოჩნდნენ: მესხური დავითნი, სიგელი ბარათაშვილისა და სხვ. ვახუშტმა თავის ისტორიაში შეიტანა აგრეთვე აღწერა ოსეთისა. მოთხრობა მიუყვანია 1744 წლამდე და 20 ოქტ. 1745 წ. შრომა დაუმთავრებია.

გარდა ისტორიისა ვახუშტმა დასწერა შესანიშნი თხზულება „ლეოლრაფიული აღწერა საქართველოჲსა“, რომელსაც მიუძღვის შესავალი; „ზენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“. ამ წიგნში აღწერილია სამცხე-საათაბაგო, ქართლი, კახეთი, კუხეთი, თუშეთი, დიდოეთი, იმერეთი (სამეგრელო და აბხაზეთი) და ოსეთი. ვახუშტი აღწერს გეოგრაფიულს მდებარეობას ისტორიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ცნობებით. შრომას დართული აქვს 22 რუკა. ამით ისარგებლა 1738 წ. პეტერბურგში ფრანკუზმა—ასტრონომმა იოსებ დელილმა ამიერ-კავკასიის რუკის შედგენაში. ვახუშტის შრომას ემატება მნიშვნელობა იმ მოსაზრებითაც, რომ მან თავის აღწერა დაამყარა სახელმწიფო დოკუმენტებზედ. სიგელ-გუჯარებზედ.

ვახუშტმა სთარგმნა ქართულად რუსულიდგან გეოგრა-

ფიის სახელმძღვანელო სკოლაში სახმარებლად. ეს თარგმანი შედარებით დედანთან შემოკლებულია ბევრგან და შევსებულია იქ, სადაც ცნობებია მოყვანილი შესახებ სპარსეთის, ოსმალეთის და საქართველოსი. ეს გეოგრაფია მეტად მძიმე და მახინჯი ენით არის გადმოღებული. მთარგმნელი სიტყვა-სიტყვით მისდევს დედანს და იცავს რუსულს კონსტრუქციას. საყურადღებოა, რომ ვახუშტმა 17±0 წ. რუსული წერა ჯერ კიდევ არ იცოდა. ეს სჩანს იმის ქართულად ხელმოწერილი თხოვნიდგან, რომელიც ელისავეტა პეტროვნას მიართვა. 17±3 წ. ვახუშტმა აღბეჭდილს მოსკოვს ქართულს დაბადებას პასხალია დაურთო. იმანვე გალექსა „ვისრამიანი“ და რუსულით გადმოიღო ანტიქრისტეს მოსვლა.

მოკლე ისტორია საქართველოსი შეადგინა კათოლიკოზმა ანტონ I-მა სათაურით: „საქართველო—იმერთა მეფეებთა შთამომავლობანი და გვართა ცვლილებანი“ და მიძღვნილია ყიზლარის კამენდენტს ლენერალ ივანე ლვოვიჩს რუნდოროვსადმი. ეს წიგნი დაწერილია ამ კომენდანტის თხოვნით და შეიცავს საქართველოს ისტორიის მიმოხილვას ძველი დროიდგან ვიდრე ვახტანგ VI მოკლედ, სხარტულად. მოთხრობა განაწილებულია თექვსმეტ კარად ანუ „სიტყვად“.

ისტორიული ნაწერები უკანასკნელი ორი საუკუნისა (XVII—XVIII) შეტანილია „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილში. აქ არიან მოქცეულნი: 1) ქორონიკონები ვახუშტისა 1201—1755 წ-დგ; 2) საქართველოს ცხოვრება 1659—1639 წლამდე სეხნია ჩხეიძისა. ჩხეიძე თანამგზავრი იყო გიორგი XI ყანდაარის ლაშქრობაში და ამით აიხსნება, რომ სპარსეთის ამ დროის ამბები დაწვრილებით აქვს მას აღწერილი. 3) საქართველოს ცხოვრება 1739—1757 ჰაპუნა ორბელიანისა გაგრძელებაა ჩეიძის მოთხრობისა. იგიც ყოფილა სპარსეთს და მონაწილე იყო ომებისა, რომელიც აღწერილი აქვს. ეს ორივე ნაწერი ხასიათით და აღწერილობის კილოთი წააგვანან შემკურებს ანუ საისტორიო მოგონებას. 4) ისტორია საქარ-

თველოსი ფარსადან გიორგიჯანიძისა. გიორგიჯანიძე (=გორ-გიჯანიძე) დაიბადა გორში 1626 წ. და გაიზარდა როსტომ მეფის კარზედ. იყო რამდენჯერმე სპარსეთს დიპლომატიური მინდობილობით. მტერი და მოყვარე ბევრი ჰყოლია, რწმენა კეთილისა არ დაუკარგავს და თავის ანდერძში ყველას ურჩევს მოყვასს მიაგოს კეთილი. შვილს ურჩევს ხელმოკერით ცხოვროს და საიდუმლოება არვის გაუზიაროს. ეს ორიოდე აზრი ისტორიკოსისა გვიჩვენებს მის შეხედულებას და ცხოვრების დაკვირვებას იმ აწეწილს გარემოებაში, რომელშიაც საქართველო ჩავარდა. გიორგიჯანიძემ შეადგინა აგრეთვე ქართულ-სპარსული ლექსიკონი, მოკლე ისტორია ოსმალეთის ხონთქრებისა და მუსულმანთა კანონები ლოცვა-მოწყალების შესახებ. ამ ნაწერების დასახელებაც საქმარისია აღვიაროთ, რომ გიორგიჯანიძე მცოდნე იყო საქართველოს და აღმოსავლეთის ისტორიის და ენებისა. ისტორია, ამ განათლებული კაცისაგან დაწერილი, უნაკლოა არ არის. ძველი დროება საარაკო ელფერით არის მოთხრობილი და მხოლოდ როსტომის, ვახტანგ V, შაჰნავაზის, გიორგის მეფობა დასაბუთებულია დაწვრილებითი აღწერით.

ისტორია 1722—1795 წ. აღწერა ომან მდივანბეგმა. ბატონიშვილმა თეიმურაზმა დასწერა სრული ისტორია საქართველოსი და მოკლედ ისტორია 1789—1801 წ., სადაც მეტი ყურადღებით მოეპყრო ალა-მაჰმად ხანის მიერ ტფილისის აღების ამბავს. ბატონიშვილებმა დავითმა და ბაგრატმა დასწერეს ისტორია 1744—1835 წ. ეს შრომა გაგრძელებაა ვახუშტის ისტორიასა.

საისტორიო ნაწერები ეკუთვნის კათოლიკოსს ზაქარიას (მე-XVII საუკ. სცხოვრებდა), და უცნობს ავტორს, რომელმაც აღწერა მესხეთის თათართაგან 1625 წ. დაქერა. ამავე დროიდგან მოუღწევია რამდენსამე ხრონოლოგიურს ცხრილს, ისტორიული ცნობებით შევსებულს. გვაქვს გაღეჟსილი ისტორიაც უძველესი დროიდგან ვიდრე მე-XVIII საუკ. ნაწყვეტი ამ გვა-

რი ისტორიისა გამოიცა 1897 წ. დეკ. ლაშვაშიძის მიერ: სა- ისტორიო ნაწერები მე-XIX საუკ. ეკუთვნის ნიკოლოზ და- დიანს, პლ. იოსელიანს და სხვ. „კალამასობა“ ბატონიშვილის იოანესი შეიცავს აგრეთვე საისტორიო მოთხრობასაც. ჩვენ არ ვაგვითავებია ისტორიული ნაწერების სია, მაგრამ ესეც მოწმობს, რომ საისტორიო თხუზულებით ჩვენი მწერლობა ღარიბი არ არის.

მოგზაურობანი, მამუარაზი და ავტობიოგრაფია.

ქართველები უცხო ქვეყნებში მოგზაურობდნენ ძველი დროიდანვე. მოგზაურობის მიზანს შეადგენდნენ: წმინდა ადგილთა მილოცვა, აღებ-მიცემობის გაძლიერება, ან პოლიტიკური საქმეების მოწეობა. მოგზაურობის დაწვრილებითი აღწერა ჩვენებს ჩვეულებად არ ჰქონიათ. ცნობებს ქართველთა მოგზაურობაზედ აქა-იქა ვპოულობთ. მე-IX საუკ. ჰალესტინაში იმგზავრა მეფე მირიანმა, ვახტანგ გორგასლანმა მესუთაე საუკუნეში, ოთხი საუკუნის შემდეგ ილარიონ დონაურმა, მე-XI საუკ. მარიამ, ბაგრატ მესამის დედამ. მხოლოდ ახალდროის მოგზაურები აგვიწერენ იმ ადგილებს, რომელნიც შემოიარეს და შეავსებენ თავგადასავალის მოგონებით, რომელიც გზაში შეემთხვათ. ამ გვარი ხასიათისაა მოგზაურობა ს. ს. ორბელიანისა, ზემორე მოხსენებული. მე-XVI საუკ. იერუსალიმი მოილოცა აბნა-ზეთის კათოლიკოსმა მაქსიმემ. მე-XVIII საუკ. გახშირდა უცხო ქვეყნებში მოგზაურობა და ჩვეულება ნახულ-გაკონიღის აღწერისა. მოგზაურთა შორის შესანიშნი არიან: არქიეპისკოპოსი ტიმოთე, მიტროპოლიტი იონა, რაფ. დანიბეგიშვილი, თაფ. გ. ავალიშვილი და სხვ. ტიმოთე არქიეპისკოპოზი, გვარად გაბაშვილი, განათლებულთ მღვდელმთავართა რიცხვს ეკუთვნის. როდის აღიკვეცა იგი ბერად, — არ სჩანს. ვიცითა მხოლოდ, რომ 1738 წ. გაგზავნილ იქმნა რუსეთს ხარისხით ქუთათელ მიტროპოლიტისა დესპანად იმერეთის მეფის აღექვანდრე გიორგის ძისა წინაშე იმპერატრიცა ანა ოთანოვნისა. მობრუნდა რა რუსეთიდან, მიიღო სამთავროს ეპარქია

და ბოლოს ქართლის არქიეპისკოპოსობა. ანტონ კათოლიკოსის სა-
ქართველოდგან განდევნის გამო ტიმოთეც, როგორც თანაღბდილი
მისი, იძულებულ იქმნა დაეტოვებინა კათედრა და წასულიყო სანერ-
ძნეთს და ჰალესტინას. 1757 წ. იგი ისევ საქართველოში სცხოვ-
რობს, მაგრამ უპარქიოდ, დაუით გარეჯის მონასტერში და ცოტა
ხნის შემდეგ გადასახლდა რუსეთს და მიიცვალა 1764 წ. ქ. ასტ-
რახანში.

ტიმოთე კარგი მცოდნე იყო ენებისა, ფილოსოფიისა (პროკლე
დიოდორის), ღვთის-მეტყველების და საერო ლიტერატურისაც. იმას
მოწმობს მისი თხზულება „მოხილვა წმინდათა ადგილთა და სხვათა
ადმოსავლეთისა ადგილთა“. ამ წიგნის დამწერი თავის თავს უწოდებს
ქართლის მთავარ-ეპისკოპოსად. სარწმუნოებრივი აღტაცებით და ნი-
ჭით ტიმოთე ღირს ჰატავსცემი წევრია ანტონი კათოლიკოსის
თანამოაზრეთა და მიმდევართა შორის. შესავალში ტიმოთე განმარ-
ტავს მიზანს თავის მოგზაურობისას და მოასზრებას, რომელითაც
ხელმძღვანელობს „მოხილვის“ შედგენას დროს. მან განიხილავს დაე-
თვარიელებისა ქართუელთა მონასტრები წმიდა ადგილებში: „ვიხილე-
ნით და აღმოვიკითხენით ჭირმრავლობით ნაღვაწი მამათა ჩუკნთა
ქართველთანი და ფრიად განკვირვებულ ვიყავ მათთვის, რამეთუ იგა-
ვადცა არა მსმენილეს ესენი, რადენიცა მე აქა მათთვის აღუწე-
რენ... ავტორი ითხოვს შენდობას, თუ შეცდომა რამე მოუვიდა
იერუსალიმის, მთაწმიდის და სხვა მონასტერთა აღწერის დროს,
„რამეთუ არავინ არს უცდომელ და მე მას ჟამად ეოველთა უგნანესი
ვიყავ“. მოგზაურობა ტიმოთესი განწილებულია 23 თავად. პირვე-
ლად აღწერს მიმოხილვას ტფილისით ათონის მთადმდე. მთაწმიდას
იგი დათვალეიერებს მონასტრებს: ივერიისს, ათანასისს, ვატოპედი-
სს, ქალანდარს, ეუთულამიშს, ფილოთეოსისს, დიონისიოსისს,
სვიმონპეტრესს, ქსიროპოტამოსისს, უზოდრაფისს, სტავრონიკი-
ტისს და სხვ. შემდეგ კონსტანტინოპოლით მიდის იგი იერუსალიმს
და ეგვიპტეს. დაბრუნდა ათინით საქართველოში და თან მოიტანა
დაწვრილებითი აღწერა თავის მოგზაურობისა. საქართველოდგან წა-
ვიდა 1755 წ. თეიმურაზ II დროს. გზად ახალციხიდან ტრანპეზო-

ნამდევ და სუეველგან იგი ბეჯითად ათვლიერებს და რაც შესანიშნავი ადგილია, აღწერს და აფასებს. სმირნა, ხიოსი, მიტილენი, ტრიპოლისი არ დარჩნენ მოუხსენებელნი. დაწვრილებით შინჯავს ტაძრებს და მათ აღწერილობას ისტორიული საბუთებით ავსებს. საცა კი შემთხვევა ეძლევა, არ იფიწყებს სახალხო გადმონაცემებსაც, ხშირად აპოკრიფულს ცნობებსაც თავის „მოხილვის“ დასასაბუთებლად. ათონის მთაზედ უველაზედ მეტი უურადლება მიაქცია ივერიის მონასტერს, რომელსაც იგი მოჰყავს აღტაცებაში სიმდიდრით და სილამაზით. კარის ღვთისმშობლის მობძახება ზღვით ათონზედ და გაბრიელის მიერ ხატის მიბძახება ივერიის მონასტერში ავტორს დაწვრილებით მოუყვანია. აქაურს მოღვაწეებს წმ. ექვთიმეს და გიორგის, თორნიკეს, ბაკრატ კურაძასაც მოწიწებით იხსენიებს.

ტიმოთე დაჰვირკვებია ათონის ბუნებას და აქაურ სამონასტრო ცხოვრების წეს-წყობილებას. იგი აღნიშნავს ბუნების სიმდიდრეს და მტკიცე ბერულს მუედრობას, რომელიც აქ მეფობს. მთაწმიდას მღედრობითი სქესის პირუტყვი და ფრინველიც კი არ მოიპოვება. განხუენებული ცნოვრება მონაზონთა სამაგალითთა. სამონასტრო განათლება ჯერ კიდევ ჰყვოდა: ვატოზედში ნახა მან სკოლა, სადაც ასწავლიდნენ საბერო მოსწავლეებს ღვთისმეტყველებას, მეტაფიზიკას, რიტორიკას. ცნობებს ჰკრებავს შესახებ მონათესაობისა ქართველთა -- ივერთა და ლიშხანელ ბერთა შორის; ისტორიულს ფაქტებს საქართველთს გაქრისტიანების დროებისას; დავაწლს ქართველთა მეფეთა ათონის მონასტრების აღშენებაში, როგორც ფილოთეოსის დამთავრება ლეონ მეფის შეწირულებით.

ტიმოთე უველგან პატრივისცემით იუო მიღებული, ჯვარით და ზარის რკით მიეგებებოდნენ წინ ძმანი, როგორც ახლაც ჩვეულებად აქვსთ. ათონიდან წავიდა კონსტანტინოპოლს და იქიდან იერუსალიმს. გზად დაათვალიერა ულუმბოს მონასტერი. ბოსფორს და სტამბოლს უძღვნა პოეტური აღწერა, რომელსაც ჩვეულებრივ სასოებით გრძნობით შეამკობს. იერუსალიმში ტიმოთემ ნახა უველა წმიდა ადგილები: სადაც კი მაცხოვარმა თავისი უკვდავი სახელი დასტოვა: ნაზარეთი, კანა, თაბორი, კლდე, საიდგანაც ებრაელებს უნდოდათ

იესოს გადმოგდება, ადგილი, სადაც ქრისტე შეიპყრეს, დაადგეს ძო-
წის ბვირგინი, განსაჯეს და ჟვარს აცვეს. ტიმოთეს მოჭყავს „რა-
ოდენი სატანჯველი შიპყრეს უფალს“, რომელიც თვით უფალმა
აუწვა ელისაბედს: „მტილთა მას ზეთის ხილასა იდეს შეიპყრეს,
მცეს მე ზირსა მჯიდი 122; ყურილისცემა მომაპყრეს 30, მცეს
თავს და მკურდს კვერთხი 205 და სხვ“. ტიმოთეს მოჭყავს ცნო-
ბები ქართველთა დამუარების შესახებ იერუსალიმში მირიან და ყახ-
ტანგ გორგასლანის დროიდან. ჟვარის მონასტერში მან ნახა სხვა-
თა შორის სურათი შოთა რუსთველისა, მეჭურჭლეთ-უხუცესისა. იგი ჩამოსთვლის ვის და როდის, რომელი ქართველთა მონასტერი
აღუშენებია და რა შესწირავი უბოძებია. ავტორს უკვირს, რომ ქარ-
თველებმა ნაკლებად იციან თავიანთი ღვაწლი ზაღესტინაში.

მეორე მღვდელ-მთავარი რუისის მიტროპოლიტი იონა გე-
დევიანიშვილი მოგზაურობს აღმოსავლეთის ქაქუხებში მე-XVIII
სუკ. დასასრულს. იგი იყო ძე სარდლის გაბრიელისა. დაიბადა
1837 წ. და ეწოდა სახელად იონაე. აღიზარდა ეს ემაწვილი კათო-
ლიკოზის კარზედ და 16 წლისა ხელდასხმულ იქმნა ანტონ I-ის
იეროდიაკვნად და ერთის წლის შემდეგ იგი გაჭკვა კატოლიკოზს
რუსეთს, სადაც დაჭყო მასთან ვლადიმირის ეპარქიის გამგეობის დროს.
როცა ანტონ I დაბრუნდა საქართველოს, იონა არქიმანდრიტად იქმნა
აუჰანილი და 1757 წ. დაინიშნა რუისის მიტროპოლიტად. „სიფ-
ლის ღელვამან“, როგორც თვით სწერს, მისცა იონა ეკლესიის სა-
მსჯავროს. ერეკლე II განჩინებით ჩამოერთვა მას ეპარქია და მღველ-
მოქმედება და წარგზავნილ იქმნა დავით-გარეჯაში. აქედამ იღუმალ
წავიდა იმერეთს, მკრამ არ იქმნა აქ შეწყნარებულ და მოვიდა ტფი-
ლისს. კვლად იღუმალეუ წავიდა ახალციხის ფაშასთან, რომელმაც გა-
ნამგზავრა იგი კონსტანტინოპოლს, რათა ანტიოქიის პატრიარქისა-
გან მიეღო ჟავახეთის ეპარქია. პატრიარქებმა კონსტანტინოპოლის,
იერუსალიმის და ალექსანდრიისამ იმუშადგომლეს ანტონ I და ერე-
კლე II წინაშე და ესრედ აღდგენილ იქმნა მღვდელმთავრად. ამ მო-
გზაურობაში მოიხილა მრავალი წმინდა ადგილნი და მივიდა მოლ-
დავის გენერალ პოტემკინთან. 1792 წ. ერთგულებისთვის რუსე-

თის ებოძა ჰენსია 600 მან. და საცხოვრებლად ამოიწმია ქ. კიევი, სადაც დაჰყო სამი წელი. შემდეგ ითხოვა სინოდში, რომ დაებრუნოს მიტროპოლიტის ხარისხი, რომელიც მას ანტონ პირველისგან ებოძა. არ სჩანს, მიაღწია თუ არა ამ მიზანს, მხოლოდ 1799 წ. თხოვნისამებრ გადასახლდა მოსკოვს ჩუდოვის მონასტერში და აქ გადაიცვალა 1821 წ.

იონას მიმოსვლა ანუ მგზავრობა შეიცავს აღწერას უკრაინის ადგილებისა ტფილისიდან კონსტანტინოპოლამდე, ათონის მთას, ჰალესტინას, ვენეტიკს, ეგვიპტეს და სინას. განსაკუთრებით აღწერილი აქვს კიევის მონასტერი. ენა მისი სასყუარო რუსიციზმებით: ლოდა, კარეტა, რუნკა, ჰეჩერსკი და სხვ. დაწვრილებითი ცნობები აქვს შემოკრებილი ათონის ივერიის მონასტრის შესახებ. გარდა ისტორიულის აღწერილობისა იონას უკაქვს თავის წიგნში ლეგენდარული მოთხრობაც: გაშეთის ციხეზედ, ტუის კაცზედ და სხვ. სინას მთაზედ დათვადიერა ის ადგილი, სადაც უფალმა მოსეს ათი მცნება მისცა, აგარის წყარო და სხვ. ათონის გარშემო ნახა ჰლატონის და არისტოტელის სკოლის ნანგრევები. ნეპოლთან განცვიფრებულ იქმნა ცეცხლის მქმინავი მთის აზოპის (ვეზუვის) ნახვით; ვენეტიკში ღოჯების სასახლის სიმიდრით აღტაცებაში მოდის. ეგვიპტეში უკვირს ფელახის შრომის მოუვარება და მებატონეების ძაღვმომრეობა. ავტორი, როგორც ჰხედავთ, სასულიერო და საერო საგნებს ერთნაირ ეურადღებას აქცევს. მის დაკვირვებას არა გამოჰარგია—რა. სამწუხაროდ საკმარისს ცნობებს არ იძლევა ისეთს საგნებზედ, რომელნიც ქართველი მკითხველისათვის მეტს ინტერესს წარმოადგენს: ათონის ღაგრისზედ და ვენეტიკის მხითარისტთა სტამბაზე მეტად გავრით ღაგრისაკობს. დაბრუნების შემდეგ იასში ნახა არქიმანდრიტი გაიოზი, რომელიც დესპანად იყო მეფე ერეკლესი თავად პოტემკინთან. პოტემკინის სიკვდილმა მწუხარებაში ჩააგდო იონა და იასიდან გამოეშურა საცხოვრებლად კიევს.

სხვა მიზნით, არა სასულიერო პირმა—აზნაურმა რაფიელ დანიბეგიშვილმა იმოგზაურა ინდოეთს ერეკლე მეფის მინდობილობით 1795 წ. გაგზავნა იგი მეფემ ინდოეთს შემდეგი გარემოების

მთხოვნილებით: მადრასში სცხოვრობდა მდიდარი სომეხი, რომელიც უოგელ წელს ერეკლეს უგზავნიდა ფეშქაშს. მეფემ საჩუქრად უბოძა მას სოფ. ლორი და სიგელის გადასაცემად წარგზავნა დანიბეგიშვილი. მადრასში სომეხი ცოცხალი არ დახვდა და სიგელი მის შვილს გადასცა. ასე გვიხსნის თვით დანიბეგიშვილი მოგზაურობის მიზეზს წიგნში, რომელიც მანვე სთარგმნა ქართულიდან რუსულად და მიუძღვნა ხელმწიფეს ალექსანდრე პირველს. დანიბეგიშვილმა გაიარა ახალციხეზედ, იქიდან წავიდა არზრუმს, დიარბეკირს, ბაღდადს, ბასრას და მიადწია ბომბეის. ინდოეთში მრავალი ქალაქები ნახა. აღტაცებით ასწერა ქიშმირი და მადრასი. ბევრი თავგადასავალიც გამოიარა ზღვაზედ და ხმელეთზედ; შენიშნა ადგილობრივი ჩუკულუბანი და საწმენოქობა, დააკვირდა ჰოლიტიკურს და ეკონომიურს მდგომარეობას. ინდოეთში ორს-სამს ძმას ერთი ცოლი ჰყავთ, მამად შვილს მხოლოდ უფროსი ძმა მიაჩნია. ავაზაკთა შესახებ მიღებულია შემდეგი ჩუკულუბა: პირველად ავაზაკს მარჯვენა ხელს მოსჭრიან და მეორედ, თუ კიდევ შეემთხვა ცუდი საქმე, მუცელს გაუჭრიან, შესდებენ აქლემზე და ბაზარში წაიღებენ ხალხისთვის საჩვენებლად. ქალაქს მასკატს მფლობელობს იმამი, რომელიც ტიტველა დადის. მის წინაშე ქვეშევრდომნი თავუანისსაცემლად მიწაზედ ეცემიან. მადრასიდან სამს ვერსზედ დანიბეგიშვილმა ნახა მოციქულის თომას საფლავი. ბომბეიში მას მოეწონა ნავთ-სადგური, პორტუგალებთან აშენებული. მანარში თავუანს სტემენ ძროხას და წყალს, ხორც არ სჭამენ. დაბრუნდა უკან სემიპალატინსკს, კოხანს და ბუხარაზედ. მისი აღწერა სავსეა ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული საინტერესო ფაქტებით. ავტორის შესახებ საკმარისი ცნობები არა გვაქვს.

„მოგონებანი“, მემარუბი დაგვიტოვა გაბრიელ გელოვანმა ვახტანგ მეფეზედ (VI). გელოვანი გაჭევა მეფეს რუსეთს და აქ ასწერა თავის ბატონის მოგზაურობა. ავტორი იქიდან იწყებს თავის „მოგონებას“, რომ შეეხება პეტრე დიდის მიერ დარუბანდის დაჭერას. შემდეგ იხსენებს ტალსტოის მოსვლას ვახტანგთან და ამ უკანასკნელის წასვლას მრავალრიცხოვანი თანამსვლელებით იმერეთით რუსეთს. რუსეთში ზარბაზნოს სროლით მიიღეს სუვევლგან ქართველთა

მეფე, მაგრამ ეს სიხარული ჩქარა მწუხარებად შეეცვალათ, რადგან ჰეტრე I მიიცვალა. ეკატერინე I დიდის ჰატრეისცემით მიიღო ვახტანგ მეფე, რომელსაც მოელოდა სამწუხარო სვე. ეს მოგონებანი გელაფანმა დაურთო თავის რუსულიდგან ქართულად ნათარგმნს გეოგრაფიას *).

ავტობიოგრაფია ბატონიშვილის გიორგი ალექსანდრეს ძისა, ნათელს ჰეტენს მეფურამეტე საუკუნის იმერეთის ისტორიას. ამ ავტობიოგრაფიას ეწოდება: თავგადასავალი სოლომონის შვილის-შვილის გიორგი ალექსანდრეს ძისა. ავტორი დაიბადა 1778 წ.; ეჭვსი წლისამ დაჰქარგა ჰაჰა სოლომონი და წლინხეურისა იყო, როცა მამა მოუკვდა. სოლომონმა იგი თავის მემკვიდრედ აღიარა, მაგრამ ტახტი წაართვა დავით გიორგისძემ. შემდეგ ამის მოქიშვემ არჩილისძემ სოლომონ II მიიღო მონაწილეობა ობლის სვეში. მაგრამ მტრებმა მეფე სოლომონ II გადაჰკიდეს გიორგის.

მეფემ მუხურის ციხეში („მომბე“, 1900, № 5) დაამწვედია. აქ ტანჯვამ ისე შეაწუხა, რომ რამდენჯერმე თავის მოკვლა განიზრახა. შევიწროებულმა გარემოებამ გაბედვინა დამით გამოპარულიყო ციხიდან. მოვიდა მეფესთან და ხსნის იმედი. უღვივოდა გულში, მაგრამ „დაუძინებელმა მტერმა“ კვლავ შეაძულა იგი მეფეს და მუხურის ციხეშივე გამოაგზავნინა. ბოლოს მაინც მოახერხა გამოპარვა ციხიდან და გენერალ რიკხოვის შუამავლობით ქუთაისით მოსკოვს წავიდა 1807 წ., სადაც დასწერა თავის ავტობიოგრაფია. ეს ჰატარა მფთხრობა საყურადღებოა მაშინდელი ზღვასავით ადელგებული ცხოვრების დასასურათებლად.

დამახსიათებელი მე-XVIII საუკ. შინაური წესწობილების არის „ანდერძი იესე ოსეშვილისა“, რომელიც დღიურის სახით არის დაწერილი (დაბეჭდილია „ცისკარში“ 1871—1872 წ.წ.). ანდერძი ნაკლებად შეეხება ჰოლიტიკურს მხარეს; ერთი-ორი სიტყვით მოხსენებულნი არიან ღუკები, ნადირშაჰი და გენერალი ჰოტემკინი. უმთავრესი უურადღებოა მიქცეულია ავტორის ქონების გაძლიერებას და

*) მემუარები ღუკანოზი იოანე ქართველიშვილისა შეეხება ალამაჰმადხანის მიერ ტფილისის აოხრებას.

დარიგებაზედ, რომელსაც შვილებს უძღვნის. „ანდერძის“ დამწერი მართლ-მადიდებელი ქრისტიანი, 40 წლისა, შვილის-შვილთა სიონის ღკანობისა. დაიბადა 1729 წ. ჭავჭავაძეში, სადაც მისი დედ-მამა განიხსნულიყვნენ ღკვიანობის დროს. მის ნათლიად იყო ვახტანგ უაფლანბიშვილი, შემდეგ კათოლიკობისადმი მიქცეული. ნადირ-შაჰის შემოსევის დროს იესე ორი წლის იყო და იმალებოდა მშობლითურთ სოფ. წვერში. შვიდი წლისა მიაბარეს იოთამ შათბერაშვილს, რომელმაც ასწავლა წერა, კითხვა და გალობა. მამამ დაღუპა თავის ქონება იმისა გამო, რომ თავლებად დაუდგა ერთს თავადიშვილს. რადგან ვერ გაუწვდა ამ თავადის ვალებს, კადიხვეწა იპერეთს, რომ დარჩენილი 600 მან. ვალი თავიდან მოეშორებინა. ოჯახი 12 წლის იესეს დაწვა თავზედ. წელიწად-ნახევარს მან ბევრი ვაი-ვაგლახი გამოიარა. ამ დროს ნადირშაჰის მაგივრად სპარსეთში გამოეულა ადილი, ირანის საქმეები აიწიწნენ და საქართველომ თავისუფლად ამოიხსნა. საქართველოს განაკება თეიმურაზი, რომელმაც დაიხსლოვა იესე, რადგან კარგი წერა იცოდა. იესე დაინიშნა მდივნად ანახანუმ დედოფალთან. 24 წლის იყო, როცა მოუკვდა ცოლი, ჩაჩიკაშვილის ასული. იესემ გული მანც არ გაიტყუა და არ შესცვალა ცხოვრების ჩვეულება: არ სვამდა, არ თამაშობდა უომარბაზობას, არავის თავლებად არ უდებოდა. ამ დიხსების ჯილდოდ მეფემ დაინიშნა საგანძეულოს მეთვალყურედ, გამდიდრდა, იყიდა მიწა და სახლები. 1755 წ. შეირთო მეორე ცოლი ქიზიყის მოურავის ახახიშვილის ქალი. მეფის წაალობაც მოემატა: თან დასდევდა გორს და თელავს, დაინიშნა მის სუფრაჟად. 1758 წ. ბედი უკუღმა დაუტრიალდა. მამა მოუკვდა, რომელმაც მხოლოდ ცოტა რამ უანდერძა იესეს, რომელიც სახლს უკვე მოშორებულიყო. ამასთანავე გაუწერა დედოფალი ანახანუმ. დედოფალს კათოლიკეთა მისიონერებმა ახალციხიდან შუამდგომლობა სთხოვეს, რათა ტფილისში დაებრუნებინათ მათთვის ეკლესია. მეფეს სურდა ამ საგნის გადასწვევად მოეწვია საეკლესიო კრება. სამღვდელთება ამას წინააღუდგა და საქმე ჩამადა. დედოფალმა ამ საგნის უდროოდ გამოქვეყნება იესეს მიაწერა და შური იძია. ბრალი დასდეს, რომ სამეფო ხაზინიდან იპარავდა, და ამიტომ

შეიპერეს. მეფე ერეკლემ ეჭვი აიღო, რომ ოქროს ხანჯალიც მან მიიტვისა. მამული ჩამოართვეს და გლახაკის მდგომარეობაში ჩააგდეს. სიკვდილის ჟამს მოძღვარს გამოუცხადა, რომ ცილი საიდუმლოს გაცემაში უმიზეზოდ დასწამეს. მორჩა-რა, ერეკლემ დუშეთს დაიხარა, მოიწონა და რუსეთში გასაგზავნი ქაღალდების გადაწერად დააყენა. მხოლოდ თეიმურაზის სიკვდილის შემდეგ ერეკლემ დაუბრუნა მდივნობა და ჯამაგირი. იესეს ბედი გამოტრიალდა. შეიძინა მრავალი მამული სოფლადაშვილების და ბართაშვილებისა. შვილებს უანდერძებს საფუაზუნად ძეგლი დაუდგან ზედ-წარწერით, რომელმაც გააცნოს მკითხველს მისი სიღარიბით გამდიდრება. ენა ანდერძისა მარტივი, სასუბროა. დამწერის ჰიროგნება გამოიხატება გამდიდრების ზრუნვაში და უაირათში.

სასულიერო მწერლობა.

მ ქ ა დ ა გ ე ბ ლ ე ბ ი .

სასულიერო წოდება საქართველოში წინამძღვარი იყო ერის განათლების საქმეში. მონასტრები იცავდნენ კერას მწიგნობრობისას, მწერალთა კრებაში სამღვდელოებას ეჭირება საპატოო ადგილი. დროთა მიხედვით სამღვდელო პირნი მასწავლებლობდნენ და ქადაგებდნენ, მოგზაურობდნენ სულის ცხოვნების მიზნით და საპოლიტიკო მოსახრებით. მე-XVI—XVII საუკ. როდესაც მაჰმადიანობამ დასჩაგრა საქართველო, გახშირდა პალესტინას და ათონისაკენ გამგზავრება, სადაც სთარგმნიდნენ და სწერდნენ წიგნებს, ზიდავდნენ ხელნაწერებს და ხელოვნების ნაშთებს, სამშობლოში განსაცდელს მიცემულლებს. გაჩნდა-რა სტამბა, სასულიერო პირთა აქაც თავიანთი ღვაწლი დასდეს: იოსებ სამებელი, გრიგორი ხარკაშნელი, ზაქარია მოძღვარი, ვარლამ მიტროპოლიტი იღვწოდნენ წიგნების შესწორების და ბეჭედის საქმეში. დანგრეული ტაძრები და სკოლები მე-XVII—XVIII საუკ. კვლავ აყვავდა ანტონ კა-

თოლიკოზის და გაიოზის მეცადინეობით. მოგზაურობა აღმოსავლეთისაკენ განახლდა ტიმოთეს და იონას მაგალითით. სასულიერო მწერლობას ახალმა სიომ დაჰბერა. ჯერ მ-XIII საუკ. არსენ ბულმაისიძემ, ნაყოფიერმა მწერალმა, გაითქვა სახელი. მას შემდეგ ნიკოლოზმა შეადგინა ლოცვები ტაროსის შესაცვლელად. მე-XVI საუკ. იღვწის კათოლიკოზი ევდემონი, მოთავე საეკლესიო კრებისა; მისი მოადგილე ექვთიმე საყვარელიძე ამრავლებს და კრებაეს საღვთისმეტყველო წიგნებს. მე-XVII საუკ. მაჰმადიანობის გავრცელების ჟამს ბაგრატ ბატონიშვილი სწერს მოთხრობას ისმაიტელთა სარწმუნოებაზედ და იაკობ შემოქმედელ — ღუმბაძემ დასწერა ლექსად „მაჰმადიანთა დარღვევა“, რომელიც იწყება სიტყვებით: დასაწყისი უსჯულოს მაჰმადისა და ქრისტიანების გაბაასებისა, ნათქვამი შემოქმედელის იაკობისაგან, ბრძანებითა მეფის გიორგის ძის მეფის შაჰნაოზისათა (1674—1709). ავტორი ყოიანს არღვეს. მე-XVIII საუკ. კათოლიკოზი ბესარიონი სწერს „გრდემლს“ ლათინთა წინააღმდეგ და ქუთათელი იოსებ (1769—1776) „მარწუხს“ მწვალებლებთან საბრძოლველად, ქეთევან დედოფლის წამება ლექსად ასწერა ბერმონაზონმა კოსმამ (+1735). ნიკოლოზ ტფილელმა დასწერა „შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა“, იამბიკონები წმ. ნინოს, ისე წილკნელს, ქეთევანს და სხვ., შეადგინა საქრისტიანო დარიგება, სახელმძღვანელოდ სკოლაში. მიტროპოლიტმა რომანოზმა (ერისთავმა) შეადგინა „წინწილა ღალადებისანი“. ამავე დროს სთარგმნიან ბერძნული და რუსული ენებიდგან საღვთისმეტყველო წიგნებს. სიმეონ პოლოცკის „გვირგვინი“, პროკოპოვიჩის „რელლამენტი“ გადმოქართულებულ იქმნენ. კათოლიკოზის დომენტის მეცადინეობით გამრავლდა საქრისტიანო მოძღვრებათა და წიგნთა სია ქართულს ენაზედ.

ამ ჩამოთვლილ სასულიერო მწერალთა რიცხეს ავსებს ორი მქადაგებელი — ანტონ ჭყონდიდელი და ამბროსი ნეკრე-

სელი *). ანტონი ჯყონდიდელი იყო ძე ოტია დადიანისა (1728—1744). ანტონი გაიზარდა ბიძის კაცია დადიანის სახლში. სარწმუნოების სიყვარული ჩაუნერგა დედამ გულქანმა, რაქის ერისთავის შოშიტას ასულმა. სწავლა დაასრულა ტფილისის სემინარიაში, რომელიც ერეკლე მეფის დროს გაიხსნა. აქ გატაცებით კითხულობდა საღვთისმეტყველო და საფილოსოფიო თხზულებებს ზაქარია გაბაშვილის ზედ-მოქმედებით და კათოლიკე მისსიონერთა გავლენით. დაბრუნდა რა სამეგრელოში, დაინიშნა ცაგერის მიტროპოლიტად და სახელი გაითქვა თავის მქვერმეტყველებით.

1777 წ. გრიგოლ ჯყონდიდელის სიკვდილის შემდეგ ანტონი დაინიშნა მის ადგილას. ანტონმა თავისი სიცოცხლე შესწირა ხალხის სამსახურს, ობლებთა და დევნულთა მფარველობას. მის სახლში ყოველ დღე მზადდებოდა სადილი ღარიბთათვის. იგი გამოვიდა ტყვეთა გასყიდვის მოწინააღმდეგედ და ამით მოვაჭრეთ ეკლესიის წყევლა-კრულვას უგზავნიდა. ბევრზედ კეთილად იმოქმედა ანტონ ჯყონდიდელმა და თავის ქადაგებებით მოაქცია გასაკიცხი საქციელისაგან. 1789 წ. ჯყონდიდელობას თავი დაანება და სიკვდილის ქამამდე (1815 წ.) იცხოვრა ნახარების მონასტერში. მისი ქადაგებანი, გამოცემულნი ბესარიონ ეპისკოპოზის მიერ (ქუთაისი, 1898), შესანიშნი არიან მარტივი ენით. იგი განმარტავს საჭირბოროტო საგნებს და არა განყენებულს ღოგმატიურს თემას.

მეორე გამოჩენილი მქადაგებელი მე-XI^{III} საუკ. ამბროსი ნეკრესელი ცნობილია ამასთანავე როგორც განთქმული მისსიონერი. ამბროსის ცოტა ადრე ნეკრესი სამიტროპოლიტო კათედრად აქციეს. მას განაგებდა განათლებული პირი დოსითეოზ ჩერქეზიშვილი, რომელსაც ნეკრესში სკოლაც ჰქონია. ამ სკოლის ამბავს 1762 წ. იკითხავს მეფე ერეკლე: მე მე-

*) მქვერმეტყველობის მაგალითი სხვათა შორის მოიპოება ათონის მე-XI საუკ. კრებულში, სადაც ძლიერი და გამომეტყველი ენით აღწერილია მიცვალება გიორგი მთაწმინდელისა (გვ. 341 და შემდეგი).

სიამოვნება, თუ ბეჯითი მზრუნველობა მექნება სკოლაზედო. ნეკრესელი ვალდებული იყო ამოეფხვრა ხალხში ცრუ მორწმუნოებაც. ამიტომ მან ჩამოართვა მღვდლებს ხელწერილი, რომ ისინი სდევნიან ჯადოქრებს, მკითხავეებს, ქადაგებს და დეკანოზებს. დიდებისთვის უნდა ესწავლებინათ ეკლესიაში რიგიანად დგომა და პირჯერის წერა, ხოლო მოზარდ თაობისათვის სკოლაში წერა-კითხვა. ამ მოვალეობის აღსრულებას ნეკრესელებს ხშირად უშლიდნენ ლეკები, რომელნიც კახეთს აოხრებდნენ და ერთს ჟამს ანტონ I დროს იძულებულ შეიქნენ ნეკრესის საკათედრო ეკლესია დაეხურათ და სასკოლო ნივთები თელავის სემინარიის რექტორის დავეითისთვის გადაეცათ. მაინც ეს მხარე უეპისკოპოზოდ არ დასტოვეს და 1781 წ. ამბროსი დანიშნეს ნეკრესელად. ამან ეკლესია აიშენა შილდისის თავში, რადგან ნეკრესი ლეკებთაგან განსაცდელში იყო. ამბროსმა, რომელმაც ორი კათედრა უკვე გამოიცვალა (იყო წილქელად და მანგლელად), ნეკრესის ეპარქიის საქიროებას გამოცდილი ყურადღება მიაქცია: ეკლესიები განაახლა, სკოლაში სწავლა აღადგინა, ქადაგებით ცდილობდა დაცემული მდგომარეობის ამალღებას და აღორძინებას. 1806 წ. რუსთა მფლობელობის დროს ამბროსის დაენიშნა პენსიით 1000 მანეთი და მის სკოლას შესანახად 200 მან. ამ წელს მოხუცებული ყოფილა და ერთს ქადაგებას ათავებს სიტყვებით: „ვაი ჩემდა, რამეთუ აღარა არს პირველი იგი შემძღებელი ხელი ჩემი მოხუცებისა და უძლურებისა გამო“. რა გვარია ამბროსი, სად და როდის დაიბადა, — ჩვენ ნამდვილად არ ვიცით. სჩანს მხოლოდ, რომ სწავლა მიუღია ტფილისში ფილოსოფოზის კათოლიკოზის ბესარიონ ორბელიანის ხელმძღვანელობით. ზოგიერთა მოსაზრების მიხედვით იგი დაბადებულ უნდა იყოს 1726 წ. ნეკრესის ეპარქიას ჰმართავდა 1781—1808 წლამდე და გარდაიცვალა 1808 წ.

ამბროსის ქადაგებას და მოღვაწეობას ის მნიშვნელობა აქვს, რომ თავგამოდებით ცდილობდა დაეცვა თავისი სამ-

წყსო გაღეკებისა და გათათრებისაგან. მხურვალე სიყვარულით განსკვალული იგი იბრძვის სამშობლოს კეთილდღეობის და უვნებლობისათვის. ერთს ქადაგებას ათავეს იმ სიტყვებით, რომელიც აჩრდილივით მთელს მის მოქმედებას თან სდევნიდა. „შევიყვაროთ ჩვენი ქართველობა და დავიცვათ იგი“. იგი იღვწის კრუმორწმუნოების ამოფხვრისათვის. ნუცა თილისმა, ნუცა მხარი, ნუცა ბეჭი და სიზმარი და ყოველივე ამისებრი საეშმაკო ნუ გჯერათო, — ეუბნება იგი ხალხს. აიღეთ ხელი ახლავ, განაგდეთ თქვენგან და ნულარა იქმთ ამისთანებსო“. ამბროსი გაღმამხრელ კახელებს, რომელნიც ხშირად ლეკდებოდნენ, ამხილებს და უწყურება: ქვეყნის მოძულება და ლაღი დიდი კოდვა არისო. ამ მხილების შემდეგ იგი ეხვეწება, კვენისს, მოიწვევს ქართველ წმიდათა და ითხოვს ქვეყნისათვის მეოხებას და მფარველობას. ამ პატიოსანი პატრიოტის სიტყვები იერემიას გოდებას მოგვაგონებს. მისი გული სავსეა მწუხარებით, ხედავს რა სამშობლოს შავს ბედს. ნუ შვრებით ღვთის საწყენ საქმესო, იმეორებს იგი სხვა-და-სხვა ადგილას, სადაც კი მოუხდება მას ყოფნა და ქადაგების წარმოთქმა. შთააგონებს ერთობას, სიყვარულს მტერთან ბრძოლისას, გულის სიმტკიცისას. ის დაჯერებულია, რომ რუსეთი იხსნის საქართველოს ყიზილბაშთაგან და დაიცავს ჩვენს ენას, ეროვნებას და სარწმუნოებას. შემდეგ იგი სხვანაირად იქცევა. იმედი გაუცრუვდება და დროთა მოთხოვნილების შესაფერად ქადაგების კილოსაც სცვლის. მისი ენა მდაბიური და მარტივია; მსურს, ყველამ შეიტყოს და შეიგნოს, რას ვამბობო. ერთს თავის ქადაგების ბოლოს ამბობს, რომ მან დასწერა 16 სიტყვა და გაგზავნა ეკლესიებში წასაკითხად. ამით აიხსნება, რომ მისი ქადაგების ხელნაწერი მრავალია, თუმცა ეჭვი არ არის, რომ ყველა მის ქადაგებას ჩვენამდე არ მოუღწევია. ამბროსის ქადაგებანი, რიცხვით 38, გამოსცა ალექსანდრე ეპისკოპოზმა (ტფილისი, 1881). ქადაგებანი ამბროსისა შეიძლება ორს ჯგუფად გავყოთ: პირველი (33) შეიცავს დოგმა-

ტიურს, მეორე (5) ისტორიული შინაარსის სიტყვას. პირველს ეკუთვნის სიტყვანი განცხადებასა ნათლისღებისასა, ყოვლად წმიდის შობასა, წმ. გიორგის დღესასწაულსა და სხვ., მეორენი შეეხებიან ღრობის მოთხოვნილებას. თავის ქადაგებას სქოლასტიურად ხშირად ლექსითაც ამბობს, დოგმატიურს სიტყვას ჩაურთავს საქართველოს მდგომარეობის სურათს. აღამაჰმადხანის ჩვენი ქვეყნის დარბევის გამო, ამბროსი სამღვთო წერილიდგან იღებს ადამის სამოთხილდგან გამოდევნის ისტორიას და ადარებს მის მდგომარეობას საქართველოს გარემოებას და განმარტავს მიზეზს პირველის და მეორის მოვლენისას. მის ქადაგებას აზის დალი სქოლასტიური ფილოსოფიისა; იოანე ოქროპირის სწავლას გრამმატიკულად არჩევს და ბაუმეისტრის მოსაზრებით ამტკიცებს იდეების და კატელორიის აზრს.

ამბროსის ქადაგებანი, სქოლასტიური შინაარსით აღგებულნი, მაჩვენებელნი არიან იმ ღრობის საღვთისმეტყველო მიმართულებისა. მეტი ყურადღების ღირსნი არიან ის ქადაგებანი, სადაც შეეხება საისტორიო მოვლენას, საჭირბოროტო საგნებს. ამბროსი ხმას იმაღლებს, როცა იგი შეეხება საქართველოს ერის დაცვის საგანს და მტერთა წინააღმდეგ აგულადებს მსმენელებს. მის ქადაგებას აღნიშნული აქვს როდის და რა გარემოებით იყო გამოწვეული მისი სწავლა: „წელსა 1796-სა, იანვარს ვ, კნინმცირე გლახაკი გონებისაგან თქმული ქადაგება განცხადებასა ნათლისღებისასა, ამბროსის მიერ ნეკრესელისა“. ქადაგებას ხშირად ტექსტის სიტყვებით იწყებს. 1795 წ. „ქადაგებას ერისა მიმართ ამ ჟამად ცოდვათა ჩვენთაგან მტერთა უსჯულოთა მიერ შეჭირვებისა“ შეუდგება ხიტყვებით: „აღმოგუხვრნე თქვენ ქვეყნისაგან, რომელი მიგეც თქვენ“ და სხვ. შემდეგ იტყვის „სახელითა მამისათა“ და სხვ. და აღწერს საქართველოს მდგომარეობას აღამაჰმადხანის შემოსევის გამო. „ღვთის მოყვარებით შემოკრებულნო ქრისტე ერნო და ცოდვათა ჩვენთაგან ქართლსა და კახეთში ესოდენ ჟამსა და ახლა უფრო კიდევ ნამეტანად უსჯრ აღუოთ დიაქ-

სტეს მემობელთა მტერთაგან დამდაბლებულნო, და მუდამ აოხრებისა და წარტყვენისათვის შეშინებულნო, რაც დღეს ესოდენი დაწვა, აოხრება და დატყვევება მოგვევლინა, ხომ ჩვენისავ თვალთ მოვინახეთ ეგოდენი საცოდაობა... ასე ასწერს თვალთ მხილველი საქართველოს აოხრებისა სპარსეთის შაჰის მიერ.

დავით ბატონიშვილი, იოანე ბატონიშვილი და მისი „კალმასობა“.

მე-XV სუკ. მწერლობა დამთავრდა რამდენიმე ბატონიშვილის მოღვაწეობით. მათ შორით განსაკუთრებით ადგილი უჭირავთ დავითს და ივანეს. დავით ბატონიშვილი, ძე გიორგი მეფისა, დაიბადა 1767 წ. განათლება მიიღო განათლებული ავსტრიელის გეტინგის ხელმძღვანელობით. ეს მეცნიერი პირი მოვიდა ტფილისს ჰეტერბურგიდგან, საიდანც გამოიწვია მეფე ერეკლემ. დავითზე გავლენა იქონია იაკობ რეინეგსმაც, რომელიც პოლიტიკურ აკენტად იყო საქართველოში თავად ჰეტემეინის მხრივ. რეინეგსმა შეადგინა ახალგაზთა პირთა ჰოლცი, რომლის ლეიტენანტად დანიშნა დავითის ძმა—ბატონიშვილი ალექსანდრე. სამხედრო ვარჯიშობაში მონაწილეობას იღებდა დავით ბატონიშვილიც. 1797 წ. დავითი ჰავლე I მეშვეიდრედ აღსარებული წავიდა ჰეტერბურგს თავის ერთგულების რუსეთისადმი გამოსაცხადებლად და თან გაიუღლა გეტინგი თარჯიმანად. გენ. პოტემეინმა ჯერ 1784 წ. ტფილისში ნახვის დროს მოიწონა ბატონიშვილი დავითი და ასეთი აზრი წარმოსთქვა: დავითი 17 წლისაა, ემჩნევა გონების სიმევირცხლე, გამბედაობა და დაშქრობისადმი მიდრეკილება. ბურნაშევი, „საქართველოს სურათის“ დამწერი ამას უმატებს: „ბატონიშვილი დავითი დიდს სურვილს იჩენს შეითვისოს ევროპიული სამხედრო მეცნიერება“. დოქტორ რეინეგსი და კატოლიკეთა მისსიონერები ამ ცნობის-მოყვარეობას უკმაყოფილებდნენ და უღვიძებდნენ ინტერესს საფრანგეთის რევოლუციის და ნახო-უონისადმი. დავითმა სიერმიდგან გამოიჩინა სამხედრო ნიჭი. რამ-

დენჯერზე გაიმარჯვა შემოსეულს ლეკებზედ. ძლევა-მოსილმა გაილაშქრა უარსისკენ, ერეკლის ხანს ხარკი გამოადებინა, აღა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს ჯარში ტრიალებდა. 1800 წ. გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ დავითი დროებითი გამგე იყო საქართველოს სამეფოსი, 1803 წ. გადასახლეს რუსეთს და გენერალ-ლეიტენანტის ხარისხით გადაიწვალა ჰეტერბურგს ეს ტახტის შემგვიდრე—ბატონიშვილი, ცნობილი ვოლტერის მიმდევარად.

ბატონიშვილმა დავითმა ჰოლიტიკურს მოქმედებას მოკლებულმა. თავისი სიცოცხლე შესწირა მწერლობას. 1800 წ. ტფილისში განახლებულს ტფილისის ახრების შემდეგ სტამბაში აღბეჭდა შემოკლებული მსოფლიო ისტორია, რომელიც მან შეადგინა 1798 წ. ეს წიგნი შეიცავს მოთხრობას ასურეთის, სპარსეთის, საბერძნეთის, რომის და საქართველოს ისტორიისას რუსული და ქართული წყაროების მიხედვით. წინასიტყვაობას უძღვნის განათლების მნიშვნელობის და სარკებლობის გამოკვლევას. შემდეგ 1805 წ. დაბეჭდა მოკლე საქართველოს ისტორია და შეუდგა სხვა-და-სხვა თხზულებათა გამოქართულებას. დავით ბატონიშვილმა გამოხატარგმნა ანსილიონის ესტეტიკური განსჯანი, არტილერიის სახელმძღვანელო, მიძღვნილი ბატონიშვილის იოანესადმი, გულის ხმის უაფისათვის ჰუსარისა მონტესკიოსი, ისტორია ნადირ-შაჰისა ვეზირის მირზა მესდისკან დაწერილი. შეადგინა გრამატიკა კითხვა-მიგებით და იგი მიუძღვნა მეფე ერეკლეს. ამ ჩამოთვლილ წიგნთა კარდა დავითმა დასწერა და სთარგმნა აგრეთვე გეოგრაფიული, მითოლოგიური და რომანიული წერილები, სწავლა შუშუნების დამზადებისა და სხვ. ორგინალურ თხზულებათა შორის მას ეკუთვნის „ახალი შიხა“, სანტიმენტალური მიწერ-მოწერა ქაღს და კაცს შორის. ეს თხზულება, რუსულადაც ნათარგმნი, ნაყოფია რიჩარდსონის და კარამზინის სანტიმენტალური მოთხრობის გავლენისა. იმათ წაბარებით დავით ბატონიშვილი სწერს შიხ-სანანის რომანს. შიხი მაჰმადიანთა სასულიერო თავია. ამ სპარსელმა შეიყვარა უბრალო ქართველი გლეხის ქალი სახელად ფერია. ფერია თანახმა იყო ცოლად გაჰყოლოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში. თუ შიხი ღვინოს დალევადა. რადგან რჯული შიხს ნებას არ აძლევდა

ღვინის დაღვევისას, იძულებული იქმნა ფერიას განშორებოდა: მაგრამ ჩქარა ინანა განშორება და დაუწყო წერილებით სიუვარულის გამოცხადება. ფერიაც მოღბა ამ სატრფიალო წერილების კითხვით და მზად არის სიუვარული გაუყოს. საუურადღებოა, რომ გმირად ამ მიწერ-მოწერისა ბატონიშვილმა სპარსული გახადა. შესაძლოა ამ შემთხვევაში მასზედ მოქმედობს მონტესკიეს „სპარსული წერილები“, ფორმა კი მიწერ-მოწერით რომანის მოთხრობისა ალებული უნდა იყოს ჟან-ჟაკ რუსოს თხუზულებიდან „ახალი ელოიზა“.

ამ მოთხრობით ჩვენს მწერლობას დაჰბურა სანტიმენტალურმა, გაზვიადებულმა გრძნობიერობითმა მიმართულებამ, მაგრამ თანამოზიარენი დავით ბატონიშვილს არ აღმოუჩნდნენ, უთუოდ იმიტომ, რომ ბატონიშვილი საქართველოდგან შორს იყო და მის თხუზულებას შეითხველებიც არ ჰყავდა. აგრეთვე ფეხი ვერ მოიკიდა ცრუ-კლასიციზმს, თუმცა ლომონოსოვის და ღერჟავინის ოდები ითარგმნა მეXVIII საუკ. დასასრულს ქართულად და მკრთალი წაბძვაც გამოიწვია. ამ მიმართულებამ ვერ შესძლო ჩვენს მწერლობაში განმტკიცება, რადგან აწ დროს, როცა ქართველებმა იგი გაიცნეს, ფსევდო ანუ ცრუკლასიციზმი ძლივს-და ჰსუნთქავდა, ძალა და გავლენა მოკლებული ჰქონდა. მის ადგილას რომანტიზმი იყო გამეფებული. საუურადღებო დაფითის მოღვაწეობაში ის მხარკა, რომელიც თვალსაჩინოდ ჰყოფს ჩვენთვის მსწრაფელ გამოღვიძებას ქართული მწერლობისას, სურვილს ევროპიული მეცნიერება და ლიტერატურა გაიცნონ და გააცნონ შეითხველ საზოგადოებას. ერთს დონეზედ აღარ დგას ქართველი მწერალი, — სპარსული ჰოეტების გარდა მას წასაბაძად გაუხდნენ საუკეთესო წარმომადგენელნი მაშინდელი ევროპიული ლიტერატურისა და მეცნიერებისა. დავით ბატონიშვილი სთარკმნის მონტესკიეს თხუზულებას, რომელზედაც დამუარდა დასავლეთ ევროპის საპოლიტიკო კონსტიტუცია. დავითზედ აღრე ბაქარმა გაღმოღო ქართულად კანონმდებლობა ალექსი მიხაილოვიჩისა. ბატონიშვილმა იოანემ შეადგინა ჰროექტი — წინადადება გიორგი XII-მღი მირთმეული 1799 წ. საქართველოს წეს-წებობების შეცვლის შესახებ. რეფორმები საჭიროა მოხდეს ევროპიულს გეგმაზედაო, უნდა შეიცვალოს პოლიტიკური,

ეკონომიური, საფინანსო და სამხედრო გამგეობა. ეს პროექტი საუკეთესო წყაროა იმის გამოსადიებლად, რას ელტოდა განათლებული წრე სამეფო სახელუფლებისა და რა გზით ცდილობდნენ დაეცვათ საქართველო მომავალი უბედურებისაგან.

იოანე ბატონიშვილი სახელოვანი სარდალი და მეცნიერი კაცი იყო. იგი იყო გიორგი XII და მის მეუღლის ქეთევან ანდრონიკაშვილის ძე. დაიბადა 1772 წ. და რვა წლისას მოუკვდა დედა. მისი ცხოვრება შეიძლება ორ ხანად კავიეთ: პირველი მან გაატარა სამშობლოში, მეორე რუსეთში. საქართველოს უკიდურესმა მდგომარეობამ ლეკ-სპარს-ოსმალთა შემოსევის დროს იოანე ბატონიშვილი აღზარდა მამულის დარაჯად და თავკადმოღებულ სარდალად. 1795 წ. იგი შეებრძოლა აღა-მამად-ხანს ტფილისის აბანოებთან და ამით გზა გაუხსნა ჰაზას—ერეკლეს ტფილისიდან უკნებლად გასულიყო. 1801 წ. საქართველო რუსეთს შეუერთდა და ბატონიშვილი იოანე გადასახლდა ჰეტერბურგს თავის მეუღლით ქეთევან წერეთლის ასულით. გადაიცვალა 1839 წ. შვილი მისი გრიგორი მწერლობას მისდევდა და მისმა მემკვიდრემ იოანემ ჰეტერბურგის საჯარო წიგნთ-საცავს გადასცა ძვირფასი ხელნაწერები, რომელნიც წინაპართაგან მას დარჩა. იოანე ბატონიშვილს ეკუთვნის რამდენიმე სამეცნიერო შრომა და მათ შორის „რუსულ-ქართული ლექსიკონი“, „ისტორიული უბნობა სხვადა-სხვა ხალხისა (ევროპისა)“ და „კალმასობა“. ეს უკანასკნელი შრომა ორ ნაწილად იყოფა. თვით სიტყვა „კალმასობა“ ნიშნავს ჰურის და ღვინის მოთხოვნას მონასტრისთვის კალოობას და რთველში. ბატონიშვილის წიგნი „კალმასობის“ სათაურით შეიცავს მე-XV სუკ. ქართულს ენციკლოპედიას. ავტორს გამოჰყავს საკალმასოდ ქვაბთა-ხევის მონასტრის იზოდაიკონი იოანე ხელაშვილი. იგი იყო განათლებული და თელავის სემინარიაში სწავლა მიღებული პირი, სოფ. ვაჭირით, ქიზიუიდან, და მცოდნე რუსული ენისა, რომელიც მან შეითვისა რთვით. მონასტრის წინამძღვრის დოსითეოს ფიცხელაურის ბრძანებით ხელაშვილი მიდის საკალმასოდ და დოქსის მინდლორში შეხვდება გორელს სომეხს ზურაბ დამბარაშვილს, სასიამოვნო მოუბარს და საკვირველს ოხუნჯს. ხელაშვილი და დამბარაშვილი ერ-

თად შემოივლიან ქართლს, კახეთს, ქიზიუს, სომხეთს და დაბრუნდებიან ტფილისს. წაგნში ჩამოთვლილია ის სოფლები, სადაც შეკლმასენი უოფილან: ხიდისთავი, სურამი, მცხეთა, მარტყოფი, ხაშში, შილდა, ყვარელი, ახტალა, ყარაბულახი და სხვ. ხელაშვილი ამ მოგზაურობაში ასწერს მღებარეობას, მცენარეების თვისებათა, შენობათა, ჩვეულებათა და ხასიათსა იმ ადგილთა, რომელზედაც გაივლიან. მცხორებთა ბასით ის ასურათებს ადგილობრივს გამოთქმას და ზნეობითს შეხედულებას. შესანიშნავი მოღვაწენი—ციციშვილები, მამაცაშვილები, ორბელიანები, ამილახვარნი, ერისთავნი, ხერხეულიძენი, მიტროპოლიტი მროველი, დავით რექტორი, ექიმნი ურახვილი და ხასიათებულნი არიან მკაფიოდ და ცოცხლად. ხელაშვილის მოთხრობა გაგვაცნობს მონასტრების და ბატონუმობის მდგომარეობას, წარმოსთქვამს თავისს აზრს აღზდა-განათლების შესახებ, გაგვიზიარებს ისტორიულს ცნობებს წარსულიდგან. მეფე ერეკლეს სხლობა და მისი ლაშქრობა, რუსეთთან მიწერ-მოწერა, საქართველოს მწუხარება გიორგი მეუის სიკვდილის შემდეგ, ბატონიშვილთა არეულობა და ლეკების შემოსევა იმავე სიმასვილით არიან აღწერილნი, როგორც ცნებანი სხვა-და-სხვა სამეცნიერო დარკიდგან. ღვთისმეტყველების საფუძველს განჭმარტავს ბასში ციციშვილთან, რომელიც ვოლტერის მოძღვრებას დაემონა. აქვე შემთხვევას ეძლევა ფსიხოლოგიური და საეთიკო ცნობებიც გაგვიზიაროს. ამილახვართან ბასობს სამართალს, ფილოსოფიას, რიტორიკას, ჰოეზიას, ფიზიკას, მატემატიკას და სტრატეგიაზედ. ღოლიკა (ხრიები), დიალექტიკა, კატელორია, სილლოგიზმები, გრამმატიკა, ჰროსოდია განმარტებული აქვს საკმარისი მაკალითებით და საბუთებით. შემდეგ განიხილავს მეტეოროლოგიას—(ქარი, წვიმა და სეტყვა), კოსმოგრაფიას (მთვარე, მზე და ვარსკვლავნი), არქიტექტურას და საბუნებისმეტყველო მეცნიერებას.

ამ მდიდარი შინაარსით წიგნის დამწერი თვით უნდა უოფილიუო განათლებული კაცი, რომ მარტივი ენით გაუზიარებინა მკითხველისთვის სხვა-და-სხვა დარკის სამეცნიერო ცნებანი. აზრი „კალმასობაში“ გამოთქმული შესახებ სამართლის და ადმინისტრაციის მოწეობისა გვაგონებს ბატონიშვილის იოანეს მეორე შრომას „წინადა-

დებსა გიორგი XII-დმი“. თავისი მოსაზრებანი და საფუძვლიანი დოკუმენტებიანი წარმოათქმევინა ხელაშვილს, მეკალმასედ გამოეყვანილს. იოანე ბატონიშვილი საუცხოო მჩვენებელია, რა წერტილადის ავიდა ქართული განათლება მე-XVIII საუკ. საღვთის ლეონიძე, მსაჯულად წოდებული, თავის მეხვიით შესაზარი გამომეტყველი სიტყვით, რომელიც მან წარმოსთქვა ერეკლე მეფის ცხედრის წინაშე, მოწმობს რა სიმადლეშის აიწია ქართულმა მჭერმეტყველებამ და ნატრიოტული გრძნობის აღფრთოვანებამ.

ნათარგმნი ლიტერატურა. სახელმძღვანელოები. დრამები.

მე-XVII—XVIII საუკ. მწერლობა აუვადა როგორც ორიგინალური, აგრეავე ნათარგმნი თხუზულებათა შერჩევით. ჩვენს ლიტერატურას ამ დროს ორი წყარო აქვს, საიდგანც ეზიდება იდეებს და მასაღას ხალხის გონებითი განათლებისთვის. სპარსეთს მივმართავენ აღმოსავლეთის კლასიკურ თხუზულებათა გადმოსაღებად და ევროპას — რუსეთს ახალი მოძრაობის გასამტკიცებლად. რომის მისიონერები ავრცელებენ ევროპულს განათლებას, — რუსეთიდგან კი თვისა ქართველებს გადმოაქვთ სქალასტიური სისტემა, სამეცნიერო და სატექნიკო მცნებანი. ეს მოძრაობა დაიწყო მოსკოვს არჩილ და ვახტანგ მეფეთა დროიდგან. აქ დასახლებული თავად-აზნაურნი, მეფეთა მიერ წაქეზებულნი, შეუდგნენ ქართულად გადმოღებას სამატემათიკო, საარტილერიო, საისტორიო და საბელეტრისტიკო ნაწერებისას. მიხეილ ელიაშვილმა, რომელიც სწავლობდა ჯერ ტფილისის კათოლიკეთა სკოლაში და შემდეგ მოსკოვის საზღვაო კორპუსში, 1724 წ. ვახტანგ მეფის ბრძანებით და დახმარებით გადმოიღო გეომეტრია, რომელიც დაამთავრა მელქისედექ კავკასიძემ. გაბრიელ გელოვანმა გადმოქართულა გეოგრაფიული ლექსიკონი, ჯათინურად დაწერილი და რუსულად გადმოკეთებული. სვიმონ მაკაცარიძემ გადმოსთარგმნა „საშინაო ეკონომია“. გადაიდეს ქართულს ენაზედ ტრიგონომეტრია, ლოგარითმები, არითმეტიკა, ფორტიფიკაცია, სამხედრო ხელოვნება,

კარბადინები და სხვ. იმ გვარ თხუზულებათა მიბაძვით ზაალ ენრო-ნიკაშვილმა, რუსეთში განათლებულმა, შეადგინა სახელმძღვანელო მათემატიკის და გეოგრაფიის შესასწავლად. ივანე ორბელიანმა სთარგმნა მითოლოგია. თურქესტანიშივილმა ნაწივეტები არისტოტელიდგან. ამავე დროს საბელეტრისტიკო ნაწერებიც გადმოქართულდებულ იქმნენ: რევაზ უორჩიბაშიშვილი ერეკლე მეფის დროს სთარგმნის „პანთეონს“, არქიმანდრიტი ჰორთერიე „იერუსალიმის დარღვევას“, სარიდონ ჩოლაყაშვალაი ფენელონის „ტელემახს“, იოანე ქართველიშვილი დელაპორტის მოგზაურობას, ბატონიშვილი იოანე დერჟავინის ოდას „ღმერთი“, ბატონიშვილი ფარნაოზი კარამზინის სასტიკენტაღურს მოთხრობებს („რასია“). სასულიერო შინაარსის წიგნებს სთარგმნიან იოსებ სამებული და იერონიმე ალექსიძე.

ქართულს ხელაწვებს ემატებიან გამოჩენილნი მსატვარნი — ისაია ჯანჭულაშვილი, რომელმაც ~~გადმოიტარა~~ მეფის და ალექსანდრე ბატონიშვილის სურათები დაგვიტოვა. შესდგა რამდენიმე სახელმძღვანელო რუსული და ქართული ენების შესასწავლად. სასწავლო წიგნები ისტორიისა, რჯულისა, ანგარიშისა სკოლებში სახმარებლად გამრავლდა და სისტემატიური ხასიათი დაეტყო. კაიოზის მდაბიოდ განმარტებული საგრამმატიკო ცხებანი შეიქმნენ საფუძვლად ქართული ენის შესასწავლად. თელავის სემინარიის კურთხევის დღესასწაულს მან წარმოხატვა სიტყვა და განმარტა ფონეტიკა, ეტიმოლოგია და სინტაქსისი ქართული ენისა,

მე-XVIII საუკ. პირველად გადმოიღეს ქართულად დრამები. ერეკლე მეფის დრომდე ქართული საზოგადოება ებახიით და ჭამბაზის „თამაშათი“ სტებებოდა. პირველად 1791 წ. წარმოდგენილ იქმნა დრამა „მეფე თეიმურაზ“. შინაარსი პიესისა იმაში მდგომარეობის, რომ მეფე თეიმურაზი წამოდგება საფლავიდან და დანახავს მოქალაქე მიღუაშვილს ევროპულად ჩაცმულს და საერთოდ საქართველოს ზნე-ჩვეულების შეცვლას. „უბედურო საქართველო“, იტუვის მეფე და მიჭმართავს ერეკლეს თხოვნით, რომ მან განაგოს ქვეყანა სიმართლით. ამავე დროს 1792 წ. გიორგი ავალიშვილმა გადმოიღო რუსულით სუმარაკოვის პიესები „რქის მატარებელი“ და სხვ., ხო-

ლო დავით ჩოლაყაშვილმა 1795 წ. ერეკლეს მდივან-ბეგმა, შვიის გასართობად სთარგმნა „იფიგენია“ რასინისა.

ი უ რ ი დ ი უ ლ ი ნ ა უ თ ი ნ ი .

მე-XV^{III} საუკუნეში გონებითი მოძრაობა გამოიხატა სხვათა შორის იმაშიაც, რომ იურიდიული წეს-წყობილების განმტკიცება კანონმდებლობით მოხდება. ვახტანგ მეფემ, რომელმაც საქართველოს ისტორიული წარსული გაითვალისწინა „ქართლის ცხოვრების“ შემუშავებით, შეჰკრიბა ერთ წიგნად სამართალი, რომელიც საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში სწარმოებდა. ამ გვარად შესდგა ვახტანგ მეფის კოდექსი, რომელიც შეიცავს: „ძეგლის დებას“ გიორგი ბრწყინვალისას, ბექას და ალბუღას კანონებს, კათოლიკოზთა რჯულდებას, მოსეს რჯულს, ბერძნულს კანონებს, სომხურს კანონებს და თვით ვახტანგის კანონებს. ამას დაერთვის ჩვეულებანი, რომელნიც დაკანონებულნი იქმნენ ქართველ მეფეთაგან. „ძეგლის დება“ დაწერილი იყო მთიულთათვის მე-XIV^{საუკ.}, როდესაც მეფე გიორგი ბრწყინვალემ (1318—1346) ვანდევნა საქართველოდგან მონგოლები და შეუდგა სამშობლოს ცხოვრების გაწესრიგებას. იგი შეიცავს 46 მუხლს და განსაკუთრებითს ყურადღებას აქცევს სისხლის ფასს. ამ კანონმდებლობას მოსდევს ჯაყელის და ციხისჯვარელის ბექას (1361—1391) და მისი შვილის-შვილის ალბუღას (1444—1451) კანონები, დანიშნულნი სამცხე-საათაბაგოსათვის. მათი კანონმდებლობა შეიცავს 176 მუხლს და განმარტავს სხვა-და-სხვა პოლიტიკურს და სამოქალაქო საგანს. მე-XVI^{საუკ.} შესდგა კათოლიკოზთა კანონები (23 მუხლი), მიმართულნი იმერეთში ტყვეთა ყიდვა-გაყიდვის და სარწმუნოების შერყევის წინააღმდეგ. „სომხური კანონები“ (431 მუხლი) გადმოღებულნი არიან მხითარ გოშის კოდექსიდან, რომელიც შესდგა მე-XII—XIII^{საუკ.} განმავლობაში. სომხური კანონებით ხელმძღვანელობდნენ ალებ-

მიცემის საქმეთა გარჩევის დროს. მოსეს კანონები ეწოდება იმ დებულებას, რომელიც გადმოწერილია მოსეს „შეორე სჯულიდან“. ხოლო ბერძნული კანონების შესახებ სამი აზრი იყო გამოთქმული. აკადემიკოსი ბროსესე მათ მიაწერდა ბიზანტიის იმპერატორებს ლეონ-ბრძენს და მის შვილს კონსტანტინე მეექვსეს. ბარონ როზენკამპფი სთვლიდა ბერძნულს კანონებს ვახტანგის სამართალში პროხირონად, რომელიც შედგენილი იყო ვასილ მაკედონელის, ლეონის და მისი შვილების დროს. პროფ. ჩუბინაშვილმა „ბერძნული კანონების“ წყაროდ აღიარა ექვსთა წიგნი არმენოპულოსი და სინტაგმა მათე ვლასტარისა. პროფ. ჩუბინაშვილის აზრს ამ ბოლო დროს მიემხრო ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი სოკოლსკი და სადავო საგანი დასაბუთებული მოაზრებით გადასწყვიტა. ბ-ნი სოკოლსკის აზრით ქართულს სამართალში მოყვანილი ბერძნული კანონები წარმოადგენენ შემოკლებულს ვლასტარის სინტაგმას, არმენოპულოს და სხვა წყაროებზედ დამყარებულს. ეს შემოკლებული სინტაგმა შესდგა საბერძნეთში და იქიდგან შემოტანილ იქმნა საქართველოში და რუსეთში.

თვით ბატონიშვილის ვახტანგის სამართალი დამყარებულია როგორც წერიტის სიგელ-გუჯარებზედ, აგრეთვე ჩვეულებრივ უფლებაზედ. ვახტანგმა დააკანონა ის, რაც ჩვეულებად იყო მიღებული. ამის სამართალს ნათელს ჰყენენ მეფე ალექსანდრესაგან მიცემული ტლაშაძიანთ გუჯარი სისხლის ფასზედ და მრავალი სიგელ-გუჯარი, დაცული ტფილისის და ქუთაისის სადეპუტატო საკრებულოში. ხოლო კათოლიკოზთა კანონებს ავსებს ბიჭვინტის გუჯარი, ჩემ მიერ გამოცემული (ქუთაისი, 1891). ეს გუჯარი შემდგარია მე-XIV - XV საუკუნოების განმავლობაში. იგი საბერძნეთის საეკლესიო რჯულებების გარეშეა და არის ნაყოფი ნაციონალური ადგილობრივი კანონმდებლობისა. საერთოდ ვახტანგის მიერ შედგენილი კოდექსი საღურადღებო ნაშთია შედარებითის სამართლის შესასწავლად.

ქართული წიგნების გეგმვის დასაწყისი.

მე-XVII საუკუნემდე ქართული მწერლობა მხოლოდ წერითი საშუალებით ვრცელდებოდა. 1625 წ. პირველად გაიხსნა ქართული სტამბა, ისიც საქართველოს გარე, რომში, კათოლიკეთა მისსიონერების მეცადინეობით. 1625 წ. რომში პირველად დაიბეჭდა ქართული ლოცვანი სტამბაში, რომელიც ეკუთვნოდა „საწმუნებების გამავრცელებელს ძმობას“. 1629 წ. აქვე დაიბეჭდა ქართული ანბანი და ქართული-იტალიანური ლექსიკონი ჰაულინისა, ნიკიფორე ირბახის დახმარებით შედგენილი. ამს მოჰყვა მაჯიოს მიერ დაწერილი ქართული გრამატიკა, ორჯულ გამოცემული 1643 და 1670 წ. წ. 1733 წ. ტლუკანთ დავითამ დაბეჭდა „დოქტრინა ქრისტიანა“ (საქრისტიანო მოძღვრება). მე-XVIII საუკ. ქართული სტამბა გაიხსნა მისკოვში არჩილ მეფის დავალებით და დახმარებით. არჩილ მეფემ გამოიხატა რუსეთის მთავრობისაგან გოლოვინის შუამდგომლობით ნებართვა საეკლესიო წიგნების ბეჭდვისა. არჩილის სტამბაში 1705 წ. დაიბეჭდა „დავითნი“ და შემდეგ სრული „დაბადებაჲ“. მესამე ქართული სტამბა გაიხსნა ვლახეთში, სადაც ამ დროს მოღვაწეობდა ქართველი მღვდელ-მთავარი ანთიმოზ იგერიელი. 1705 წ. იგი დაინიშნა რიზნიკის არქიელად და 1709 წ. ვლახეთის ეპისკოპოზად. შემდეგ გადაეყენებულ იქმნა და გზად სინას მთისაკენ დაახრჩეს თუ დაიხრჩო მდინარე მორიციზედ გადასვლის დროს. ამ ანთიმოზმა საფუძვლიანად იცოდა რუმინული, ბერძნული, სლავური, თურქული და არაბული ენები. მან გახსნა სტამბა რიზნიკში, შემდეგ ტარგოვინში და სვეაგოვში, ბუხარესტის ახლოს. 1707 წ. ანტიოქიის პატრიარქის თხოვნით მან დაბეჭდა ბერძნულ არაბული კონდაკი. ანთიმოზმა ჩამოასხა არაბული ასოები და გაუგზავნა პატრიარქს ალექსოში. აგრეთვე ჩამოასხა ქართული ასოები, ადბეჭდა კონდაკი და გაუგზავნა საქართველოში ასოთამწებობითურთ. აი ამ გარემოებით აიხსნება ის ფაქტი, რომ ვახტანგ მეფემ ვლახეთიდან მოიწვია ასოთამწებობის ანთიმოზმა დაუმზადა მეფეს ასოები, დაზგა და გაწვრთნა ამწებობის სტამბის საწარმოებლად საქართველოში. ანთიმოზის წინადადებით

ისარგებლეს და გახსნეს ქართული სტამბები ტფილისს და ქუთაისს. პირველი წიგნი, რომელიც ტფილისის სტამბაში 1709 წ. დაიბეჭდა, იყო სახარება; 1710 წ. აქვე გამოიცა ყაზნი და კონდაკი. ტფილისის სტამბა გამართა ვლასკელმა მიხეილ სტეფანის შვილმა. ზედამხედველად წიგნების ბეჭვდის იყო ნიკოლოზ ორბელიანი. ამის დროს გარდა საეკლესიო წიგნებისა დაიბეჭდა 1712 წ. რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“. სტამბა გამართული იყო შეტკების ეკლესიასთან და მოქმედობდა 1724 წლამდე, ესე იგი ვახტანგ მეფის რუსეთში გადასახლების დრომდე. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს სტამბა განაახლეს მეფე თეიმურაზმა და ერეკლემ. ამ დროს სტამბას უერს უბეჭდებდა ქრისტეფორე კეკელიძე. აღა-შაჰმად-ხანმა დაანგრია ტფილისის სტამბა და შემდეგ ამ აოხრების სტამბა შინც ისევ სამოქმედოდ მოაწიეს. 1785 წ. იმერეთის მეფემ სოლომონ II რომანოვ ზუბაშვილის დახმარებით გახსნა სტამბა ქუთაისს. ამ ზუბაშვილმა სტამბის გაძღოლა შეისწავლა მიხეილ ვლახელთან და აღბეჭდა საეკლესიო წიგნები. არქიმანდრიტი ზაქარია დანიშნული იყო კორექტორად. 1787 წ. ამ სტამბიდან გამოვიდა პირველი აღბეჭდილი წიგნი. სტამბის ზედამხედველი იყო სასლთხუცესი ზურაბ წერეთელი. მცხრამეტე საუკუნის დამდეგს ჭირიანობის გამო სტამბა ქუთაისიდან გადაიტანეს ჯერ საჩხერეს და შემდეგ წესს (რაჭაში). ქუთაისში დაწეობილი წიგნები დამთავრდნენ წესში. წიგნები სუფთად და ლამაზად იბეჭდებოდნენ. რუსეთში ქართული სტამბა მოქმედობდა მთსკლეს, ვლადიმირს, კრემლენურს, ს.-პეტერბურგს, ნოვგოროდს და მოზდოკს. მთავრებად იყვნენ არქიეპისკოპოზი იოსებ სამეპელი, ბატონიშვილები არჩილ, ბაქარ და ვახუშტი, კათალიკოზი ანტონი, მიტროპოლიტი ათანასე ამილახვარი, ეპისკოპოზი გრიგოლ ხარჭაშენელი, ექსარხოსი ვარლამი და ეპისკოპოზი გაიოზი. პირველი ადგილი ამ ჩამოთვლილ პირთა შორის უჭირავს იოსებ სამეპელს.

იოსებ სამეპელი ეკუთვნის ვახტანგ VI დროის მოღვაწეთა რიცხვს. იგი იყო ქობულაშვილი გვარად და სამების მონასტრის ს. ხაშში არქიეპისკოპოზად. მეჩვიდმეტე საუკ. დასასრულს იოსებს წყაროები ასახელებენ შიომღვიმის იღუმენად. 1705 წ. იგი პატ-

რიაჩქმა დომენტიმ აკურთხა ეპისკოპოსად და 1709 წ. იგი დაინიშნა სამეპელად, ე. ი. მიიღო სამეპის ეპარქია. 1723 წ. სამეპის ეპარქია აიქცა ლეკებმა და იოსებ გადაუყანილ იქმნა წილენის კათედრაზედ. როცა ვახტანგ XI გადასახლდა მოსკოვს, მას თან დაეკვინა იოსებ სამეპელიც და გაემგზავრა რუსეის ფელეების მოსაკრებად დარღვეული ტაძრების სასარკებლოდ. დარიალის ხეობაში ლეკებმა სამეპელი გაცრტვეს და ტუვედ წაიუფანეს. ჯვარის ციხის კომენდანტს ბრძანება მისცა რუსის მთავრობამ, რათა სამეპელი ტუვეკობიდან დაეხსნათ. მართლაც 1732 წ. სამეპელი უკვე მოსკოვშია და დაენიშნება 500 მან. ჯამაგირი. იმპერატრიცა ანნა იოანოვნამ სამეპელს უბოძა ნოვგოროდის არქიეპისკოპოსის თეოფანე ჰროკოპოვიჩის მთადგილეობა. გადაიგვალა გზად ეიზლარისკენ ასტრახანში 1750 წ.

ნოვგოროდში სამეპელი შეუდგა ქართული სტამბის მოწყობას და 1739 წ. უკვე აღიბეჭდა ზადიკი ქრისტეფორე გურამიშვილის და რამდენიმე სხვა ჰირსა დახმარებით. ამავე სტამბაში დაიბეჭდა: ჟამნი, მარხვანი, ჰარავლიტონი და სხარება, 1740 წლამდე, როდესაც ბაქარის, ვახტანგის შვილის აზრით, სტამბა გაიხსნა მოსკოვს ქართული დაბადების გამოსაცემად.

ქართული დაბადება ძველი დროიდან იყო ნათარგმნი. ათონის მთაზედ ივერიის მონასტერში დაცულია 978 წ. გადაწერილი დაბადება. რამდენიმე წიგნი ძველად ნათარგმნი დაბადებიდან დროთა განმავლობით დაიკარგა და შეჩვიდმეტე საუკ. არჩილ მეფე მოსკოვში შეუდგა ამ ნაკლის შესრულებას. იგი შეუდგა სლაგური ენიდან დაკარგული ნაწილების ქართულად თარგმნას და ამ აზრის განხორციელება თავს იღვა ბაქარ ვახტანგ XI ძემ. ბაქარმა გამოიწერა მოსკოვის ნოვგოროდიდან იოსებ სამეპელი და სინოდის ნებარებით შეუდგინა ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭდავას. ხარჯი გამოცემისთვის მიიღო ბაქარმა, სტამბის ზედამხედველობა იოსებ სამეპელმა, რომელიც გადმოიუფანეს მოსკოვის მონასტერში წინამძღვრად. სტამბა გაიშრთა მოსკოვის ახლო, სოფ. ვსესვიატსკში, სადაც ჩვენი ბატონიშვილები სცხოვრობდნენ. ამ სტამბაში ჰირველად დაიბეჭდა ქართული დაბადება, რომელიც დამზადებულ იქმნა არჩილის და ვახტან-

ნგის დროსვე. ქართულს ძველათ ბერძნულით გადმოღებულს დაბადებას დაუმატეს ახლად ნათარგმნი წიგნები ზირაქის და მაკაბელთა იმ სლავური ტექსტიდან, რომელიც მოსკოვს დაიბეჭდა 1633 წ.; ამასთანავე სინოდის ძოთხფინისმებრ შეადარეს და შეასწორეს მთლად ქართული დაბადება სლავური ტექსტის მიხედვით. მაგრამ რადგან სლავური ბიბლია შეცდომებით სავსე იყო, ამიტომ მიანდეს ბატონიშვილს ვახუშტს ქართული დაბადება, არჩილის მიერ შესწორებული, დაუყო თავებად და სტიქებად და შეედარებინა ბერძნულ, ლათინურ, ებრაულ, სომხურ და სირიულ ტექსტთანაც. ვახუშტის შესწორებით აქ იყვნენ კმაყოფილნი, რაიცა სჩანს მოსკოვში დაბეჭდილი ქართული დაბადების უკანასიტიყვაობიდან.

ვახუშტმა შეასწორა ხუთი მოსკეს წიგნი, ისუსი ძასა ნავესა, მსაჯულთა, ნეშტთა, იობისა, ეკლესიასტე და სხვ; წიგნი ტობიასი და ივლითისა გადმოიღო ვუელგატიდან. ქართულს დაბადებას მიუძღვის ბაქარის წინასიტყვაობა, სდაც განხაზულთა ისტორია ქართული ბიბლიისა. დაბადება შესწორდა 1742 და 1743 წ. უკვე დაიბეჭდა. 1750 წ. გადაიტვალნენ ბატონიშვილი ბაქარ და იოსებ სამეპელი. სტამბის მოქმედება შეჩერდა მოსკოვს. 1756 წ. განახლდა ქართული წიგნების ბეჭდვა ქ. ვლადიმირს ანტონ I კათოლიკოზის ხელმძღვანელობით. აქ დაიბეჭდა საეკლესიო წიგნები, ქართული ანბანი და ვახუშტის მიერ ნათარგმნი სტეფან იავოროვსკის „კვლეუ საწმუნოებისა“. მოსკოვში განახლდა ქართული სტამბა 1761 წ. ათანასე (ამილახვარის) მიტროპოლიტის შეცადინებობით. კორეიტორის შედექისედეკ კავკასიის ზედამხედველობით ამ დროს მოსკოვში 1765 წ. დაიბეჭდა შემდეგი წიგნები: სამოციქულო, დავითნი, ჟამნი და სხვ.

კრემენჩუგში სტამბა მოქმედებდა არქიმანდრიტის გაიოზის ღვაწლით. აქ დაბეჭდა ამ დაუდალავმა მწერალმა ქართული გრამატიკა და რამდენიმე კიდევ სხვა წიგნი. ამისივე შრომით განახლდა მოზდოკში ქართული სტამბა, რომელიც დრო-გამოშვებით მოქმედებდა 1729—1799 წ. ჰეტერბურგში სტამბა გახსნა 1768 წ. გრიგოლ ხარჭაშენელმა და დაბეჭდა ქართული სახარება. ეს სტამბა მე-XIX საუკ. დამდეგს განახლდა ვარლამ მიტროპოლიტის დროს. მე-XIX

საუკ. დამდეგს ქართული ასოებით იბეჭდებოდნენ წიგნები ლეიპციგს, ვენას, მონთობანს კონსტანტინოპოლს, ვენეციას და ჰარიზს.

ქართული ფესალმუნი ჰირველად დაიბეჭდა მოსკოვს 1705 წ. არჩილ მეფის მოღვაწეობით. ჰირველად ქართული სახარება დაიბეჭდა ტფილისს 1709 წ. ვახტანგ მეფის დროს. ჰირველად დაბადება გამოიცა 1743 წ. და ეწოდება ბაქარის დაბადება. ეს დაბადება შუასწორეს (ვახუშტმა და სხვებმა) სლავური ტექსტის მიხედვით და ნაკლებად გაწვრთნის გამო სლავურს ენაში რედაქტორებს შეეპარათ მრავალი შეცდომები, რომელიც შეიძლება შესწორდეს ათონის 978 წლის დაბადების ხელნაწერის დახმარებით. ამ ხელნაწერიდან 1848 — 1849 წ. ექსარხოსის ისიდორეს დროს გადმოიღეს პირი, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ მხედრული ასოებით დაბადების გამოცემის დროს (ტფილისი, 1884). მაგრამ შეცდომები მოსკოვის დაბადებისა არამც თუ გაიდევნა, არამედ ტფილისის გამოცემაში უფრო გამრავლდა კორექტორის დაუდევრობის გამო. ამისა გამო დიდად საჭიროა დაიბეჭდოს „დაბადება“ ახლად შესწორებული და ათონის ხელნაწერზე დაყრდნობით. სახეში უნდა იქონიონ გამოცემლებმა სხვა-და-სხვა დაბადების წიგნების ხელნაწერებიც და ბევრთი უურადლებით შეადარონ ვველა ვარიანტები, რათა უმწიკველი ტექსტი აღდგენილ იქმნას.

წ ე ა რ ო ე ბ ი

I. სახალხო სიტყვიერება:

- 1) ლექსები და ლექსები, გამოც. ზ. ჭიჭინაძის. ტფილისი, 1897.
- 2) ფშური ლექსები, შეკრებილი დავით ხიზანაშვილის მიერ. ტფილისი, 1887.
- 3) სახალხო ლექსები მოხვეუთა. ტფილისი, 1886.
- 4) ნიმუში ქართველთა ერის ჰოეზიისა, დაწერილი სხაბაშიძის სმს. ღონდაძის. ტფილისი, 1892.
- 5) სახალხო ლექსები, არაკები და ლექსები სხვა-და-სხვა ქართულს გამოცემაში დაბეჭდილი.
- 6) ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. ტფილისი, 1891; ზღაპრები 1902 წ. გამოცემულნი.
- 7) სვანური ზღაპრები, შეკრებილი თავისუფალი სვანის მიერ. ქუთაისი, 1893 წ.
- 8) არაკები და ზღაპრები, შეკრებილი კ. ოცხანელის მიერ. ახალ-სენაკი, 1895.
- 9) ქართული გამოცანები, შეკრებილი თ. რაფ. ერისთავის მიერ. ტფილისი, 1879.
- 10) ქართული ანდაზები, შედგენილი ა. ბაღუევისაგან. ტფილისი, 1873.
- 11) ქართული ანდაზები, გამოცემული ჰეტრე უმიკაშვილის მიერ. ტფილისი, 1876.
- 12) არაკები, ლექსები, ლექსები, გამოცანები, შელოცვანი დ. ჩუბინაშვილის ქრისტომატიაში, ი. გოგებაშვილის

ბუნებას კარში და დედა-ენაში, კაკასიის სოლქო მზრუნველის გამოცემაში *).

13) სახალხო ჰოეზია მეფ. კელენჯეროძისა 1895.

II. წერილი სიტყვიერება.

- 14) ა. ა. ცაგარელის Свѣдѣнія о памятникахъ груз. письменности, სამი წიგნი. 1886—1894. Спб.
- 15) Мпнгрельскіе этюды, ორი წიგნი. Спб. 1880.
- 16) О грамматической литературѣ. Спб. 1873.
- 17) ბაქრადის Археологическое путешествіе по Гуріи и Аджаріи Спб. 1878.
- 18) გ. წერეთლის Полное собраніе надписей Гелатскаго монастыря.
- 19) ი. თქრამჭედელიშვილისა, „ვინ მოიგონა ქართული ანბანი“ შურ. „ივერია“ 1881, X.
- 20) ჰალეოგრაფიული მოსაზრებანი და გამოცემანი დ. ბაქრადისა, დ. ფურცელაძისა და მ. ჯანაშვილის.
- 21) აზოკრითები „მწყემსში“ და „მოგზაურში“ გამოცემულნი ა. ხახანაშვილის მიერ.
- 22) „საქართველოს სამოთხე“ მ. საბინინისა. პეტერბურდი, 1882.
- 23) ცხოვრება წმ. ნინოსი, არსენი კათოლიკოზისა მე-XI—XII საუკ. ხელნაწერიდგან. ტფილისი, 1903.
- 24) აბო ტფილელი. გამოც. საეკლესიო მუზეუმისა. ტფილისი, 1899.
- 25) მ. ჯანაშვილის Драгоцѣнные камни, „უცვდავთა და დადებანი“, „აღვადგინე“.

*) პატარ-პატარა წიგნაკები: კლდე მალალა პ. ჰალელისა, არსენას ლექსი, მეფე ირაკლის გმირები, სოლომონ დიდი, შოთა რუსთველი, აბრამის და იობის ლექსები, ბაგრატოვანთ გვირგვინი, ასული ლევან მეფისა, ს. მერკვილაძის ზღაპრები და სხვ.

- 26) თ. თაყაიშვილის სამი ისტორიული ქრონიკა. ტფილისი, 1890.
- 27) თ. ჟორდანიას „ქრონიკები“ I და II ნაწ. ტფილისი, 1892 და 1897.
- 28) თ. ჟორდანიას ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა.
- 29) ჰლ. იოსელიანის Душетъ. Древности Тифлиса. Исторія грузинской церкви.
- 30) „ქართლის ცხოვრება“. ისტორია საქართველოსი ვახუშტისა და თეიმურაზისა.
- 31) აკ. ბრასეს Histoire de la Géorgie.
- 32) შუხარდტის წერილები Ueber das georgische, über den passiven Charakter des transitivs და სხვ.
- 33) ფრ. მიულერის, ჰომელის, გლეიას, გულაკის, ლეისტის სეისის, ლენორმანის და გიუარის ნაწერები.
- 34) ეპ. კირიონის Двѣнадцативѣковая борьба Грузіи съ исламомъ. Заслуги груз. монашества. Назрѣвшій вопросъ და სხვ.
- 25) ბ. მარის Житъе Петра Ивера, Агіографическіе матеріалы და სხვ.
- 36) მღვ. ცინცაძის, გამრეკელის, ფერაძის, ნატროშვილის, ჰ. და ვ. კარბელაშვილის წერილები.
- 37) სიბრძნე ბალაფარისა, გამოცემ. ტფილისის 1895 წ. და ბალჭვარ და იოდასაუ, გამოც. მოსკოვის 1902 წ.
- 38) შავთელი, ფ. ჭიჭინაძის გამოცემა, ტფ. 1883 და ჩუბინაშვილის ქრისტომატიასი.
- 39) ჩახრუხაძე, ფ. ჭიჭინაძის გამოცემა. ტფ. 1882 და ჩუბინაშვილის ქრისტომატიასი.
- 40) ვისრამიანი, ილ. ჭავჭავაძის, აღ. სარაჯიშვილის და ჰეტ. უმიკაშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1884.
- 41) ამირანდარეჯანიანი მოსე ხონელისა, გამოც. ფ. ჭიჭინაძის მიერ. ტფილისი, 1897.

- 42) დილარინი ჰეტრე ლარაძის, გამოც. მ. შალიკაშვილის. ტფილისი, 1903.
- 43) გუფსინ-ტუასანი შ. რუსთველის, დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით. ტფილისი, 1903.
- 44) ბუჟინანი, გამოც. ს. მ—გან. ტფილისი 1890. შემდეგ იყო რამდენიმე გამოცემა.
- 45) ქაღვჯიანი, გამოც. ს. მ. ტფილისი, 1893. შემდეგ იყო რამდენიმე გამოცემა.
- 46) ქილილა და მანა ილ. ჭყონიას რედაქტორობით. ტფილისი, 1886 და ხახანაშვილის. მოსკოვი, 1899.
- 47) დიდმოურავიანი იოსებ ტფილელის. ტფილისი, 1897 და ტფილისი, 1851 (იოსელიანის გამოცემა).
- 48) არჩილიანი, ქუთაისი 1888 და ტფილისი 1853 (იოსელიანის გამოცემა).
- 49) ლექსნი თქმულნი მეფის თეიმურაზ ჰირველისაგან. ტფილისი, 1886.
- 50) ლექსნი თეიმურაზ მეორისა შურნ. „ივერიაში“.
- 51) წუობილ-სიტყვაობა კათოლიკოს ანტონ I-ისა. ტფილისი, 1853.
- 52) მზამეტველებს ანტონ I-ისა, ალექსანდრე კუპსკოვსის გამოცემა. ტფილისი, 1892.
- 53) ნაწვეეტები ფილოსოფიური ნაწერებიდან ანტონ I-ისა. ა. ხახანაშვილის მიერ 1902.
- 54) ანტონ I ქართული დრამმატიკა. ტფ. 1885.
- 55) ს. ს. ორბელიანის ლექსიკონი. ტფილისი, 1884.
- 56) იგავ-არაკნი ს. ს. ორბელიანისა, გამოც. ქართველთა ამხ—ის წიგნების გამოც.
- 57) მოხილვა მთავარკუპისკოპოსის ტიმოთესი. ტფ. 1852.
- 58) მიმოსვლა იონა რუისის მიტროპოლიტისა. ტფ. 1852.
- 59) ლექსნი, თქმულნი ბესარიონ გაბაშვილისაგან. ტფილისი, 1885.

- 60) ვარდბუღბუღიანის და ქალკაყიანის განმარტება ქაიხოსრო ანდრონიკაშვილისაგან. ტფილისი, 1885.
- 61) ალღუზიანი, გამოც. ნ. გამრკეკელის და მეორე მ. ჟანაშვილის მიერ.
- 62) შირიანი. ტფილისი, 1876. ფრანგულს ენაზედ 1836 წ.
- 63) დავით გურამიშვილის ნაწერები. ვ. უშიკაშვილის რედაქტორობით, გ. 'ხალიკანიანის სთფასით. ტფილისი, 1881.
- 64) მამუკა ბარათაშვილის ჭაშნიკი, გამოც. „მოამბეში“ ა. ხახანაშვილის მიერ.
- 65) ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის მ. თამარაშვილისა. ტფილისი, 1902.
- 66) ანტონ კათოლიკობის ცხოვრება თ. ჟორდანიასი „სასულიერო მასალებში“ და ა. ხახანაშვილის დაბეჭდ. მოსკოვში.
- 67) გაიოზ ნაცვლიშვილი და თელავის სემინარია ნ. შავარულიშვილისა ჟურნ. „ივერიაში“.
- 68) Грузинская повесть объ Александрѣ Македонскомъ и сербская Александрия ა. ხახანაშვილისა.
- 69) კალმასობა იოანე ბატონიშვილისა. ტფილისი, 1896.
- 70) სარაკო მოთხრობანი: დავრიშინი, თიმსარიანი, უარამანიანი, სარიდონიანი, შუმანიკიანი და სხვ.
- 71) ხელნაწერები: ხიკარ ბრძენი, სვილენძის ქალაქის ამაჯი, რუსუდანისი, სირინოზიანი, ბარამიანი, ბატონიშვილების ლექსები, შუკრებილი გრიგოლ ბატონიშვილის მიერ.
- 72) ანტონ ჭყონდიდელის და ამბროსი ნეკრესელის ქადაგებანი.
- 73) დაწვრილებითი აღნუსხუა წყაროებისა ხახე ა. ხახანაშვილის „Очерки по исторіи грузинской словесности, სამი წიგნი, (მოსკოვი, 1895, 1897, 1901).

ს ა რ ჩ ე ვ ი :

	გვერდი
წინასიტყვაობა.	I—IV
სახალხო სიტყვიერება. პერიოდები, ახსნა და შექმნა სახალხო ჰოეზიისა	1—7
მითოლოგიური სახალხო ლექსები, ჩვეულებებთან დაკავშირებული.	7—12
გმირული ლექსები. 1. ამირანი მთაში და ბარში	12—33
2. როსტომი (სვანური, ფშაური და იმერული ვარიანტი).	33—42
3. აბესალომ და ეთერი	43—50
4. ზეზვა, არსენა, ზვიადა	50—52
ისტორიული ლექსები. (თამარი, ერეკლე II, ლაქიო ადმაშენებელი)	52—56
სალირიკო ლექსები	57—64
ყოფა-ცხოვრებითი ლექსები	64—69
არაკები (მითიური, საყოფაქცევო, პირუტყვთა ეპოსი) ანდაზები	69—85
გამოცანები	85—86
გამოცანები	86—87
შელოცვანი	87—89
ძველი სასულიერო მწერლობა და ქრისტიანობის გავლენით შექმნილი ხალხის ნაწარმოები	89—94
ძველი საქართველოს განათლების კერა	95—100
აპოკრიფები: სიერმე ქრისტესი, ღვთის მშობლისაგან ცოდვილთა სატანჯველთა ხილვა, ბასი გრიგოლ განმანათლებელისა ანგელოსთან, ეპისტოლე აგბაროზისა იესო ქრისტესაზედა მიწერალი, ვნებისათვის მაცხოვრისა, განჩინება ჰილატესი	100—115

ძველი აღთქმის აპოკრიფები: „ქალ-ვაჟიანიდგან“. კენ და ახელ. აღამ და ევა. წარღვნა. სოლომონ და მებადური. „თვალთა თვის“ ეპიტფანე კვიპრე- ლისა, „სახის მტეველი“.	115—125
სასულიერო ლექსები: იობის და აბრამის. ლექსი. ქრისტე ღმერთზედ. ელია და გიორგი (იმერეთში და ქართლში დარჩენილი ვარსკვლავები). „შავეთზედ“	125—145
ლეგენდები რელიგიური: ქვეუნიშნის შექმნა. აღამ და ევას შექმნა. აღამის ხელწერილის მიტემა. წინასწარმე- ტეველი ილია-ხარაზი. გოჩი. ღმერთი, წმ. გიორგი და მთავარ-ანგელოზი. რაისთვის კაცი დაიბადა უგანასკნელ. ევავის საუდარი. „ქრისტეს ვეძებ“. ზაღუოსტომი, ახტალა. ლეგენდები საისტო- რიონი: თამარ მეფე, ალექსანდრე მაკედონელი, ალექსანდრეს ექიმი, ბაგრატოვანთ გვირგვინი. ძმა და და. შოთა რუსთველი. ერეკლე მეფე .	145—168
კრუმორწმუნებრივი და სამკითხაო წიგნები: კალან- დაი. ასოთ-სამღერადი. სამთვარიო. კარაბადინი .	168—172
წმინდის სიტყვიანობა. ქართული ენა და მისი კილო-კავები	173—182
ქართული ანბანი	182—186
განხილვა ქართული მწიგნობრობის ნაშთთა მეთორ- მეტე საუკუნემდე	186—192
ავიოგრაფიული ნაწერები: 1. ცხოვრება წმ. მურვა- ნოსისა, რაყდენისა და აბოსი	192—196
2. ცხოვრება წმ. ნინოსი.	196—204
3. ცხოვრება წმ. იოანესი და ეფთვიმესი.	204—214
4. ცხოვრება გიორგი მთა- წმინდელისა	215—239
სასულიერო მწერლობის აყვავება და მნიშვნელობა	239—241

ბალჭვარ და იოდასაფ	241—242
საგალობელნი. მიქელ მოდრეკილი	243—246
საქართველოს მდგომარეობა მე-X—XII საუკ.	246—250
მეფე დავით აღმაშენებლის სალიტერატურო მო- ლვაწეობა (გალობანი, ანდრძი)	250—254
ძეგლის წერა	254—258
არსენი იყალთოელი	258—260
საისტორიო ნაწერები. ქრონიკები. კვალი საერო პოეზიისა	260—266
თამარ მეფის ეპოქა.	266—268
პოემები და მოთხრობები მე-XII საუკ.	
1. ამირან-დარეჯანიანი	268—281
2. ვისრამიანი	281—299
3. დილარიანი	299—317
4. შავთელი	318—328
5. შოთა რუსთველი	329—385
6. ჩაბრუხა	385—394
7. ძაგნაკორი, დავით საათაბაგოელი. იამბიკონი	394—396
ღვთის მეტყველება, ფილოსოფია, იურისპრუდენცია ლიტერატურა მე-XIII—XVI საუკ.	396—404
მე-XIII საუკ. ლიტერატურის მიმართულება.	404—408
მე-XIII საუკ. ლიტერატურის მიმართულება.	409—410
რუსულდანიანი	410—422
ნუზლა საყდრის ლექსი	422—424
აღლუზიანი	424—429
მწერლობა მე-XVI—XVII საუკ. მეფე თეიმურაზ I ნაწერები. ნათარგმნი: ვარდ-ბულბულაინი, შამი ფა- რჯანისანი, ზიღისიანი, ლეილ-მეჯნუნისანი. მჯავმა, ელეგია, სარკე თქმულთა და სხვ.	429—447
საეროვნო კილოს შეტანა მწერლობაში	448—450
არჩილიანი და სხვა ნაწერები მეფე არჩილისა	450—463
ისტორია აღექსანდრე მაკედონელისა.	463—467

როსტომიანი	467—472
მე-XVII საუკუნე	472—474
მეფე ვახტანგ მე-VI და მისი ნაწერები (საისტორიო, იურიდიული, ქილიჯა და მზა და სხვ.)	474—478
თეიმურაზ მეორის ნაწერები (ლექსები, თიმოსირანი).	478—492
ათას-ერთ-ლამიანის ნაწყვეტები ქართულად	492—496
იოსებ ტფილელი	496—501
დავით გურამიშვილი და მისი „დავითიანი“.	501—516
მამუკა ბარათაშვილის „სწავლა ლექსის თქმისა“	517—520
ბესარიონ გაბაშვილი	520—524
პოეტები: სავათნავა, ორბელიანები, ბაგრატიონები, თუმანიშვილები, ბატონიშვილები და სხვ.	524—528
საბა სულხან ორბელიანი.	528—533
ანტონ I საქართველოს კათოლიკოზი.	534—539
ზაქარია გაბაშვილი	539—541
გაიოზ ნაცვლიშვილი და დავით ალექსიძე	541—546
საისტორიო თხზულებანი მე-XVII-XVIII საუკ. (ვასუშტი, გორგიჯანიძე, ჩხეიძე, ორბელიანი და სხ.)	546—550
მოგზაურობანი, მემუარები და ავტობიოგრაფია (ტი- მოთე მთავარეპისკოპოსი, იონა მიტროპოლიტი, რაფ. დანიბეგიშვილი, გაბ. კელაფანი, ბატონიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე; „ანდერძი“ ოსეშვილისა	550—558
სასულიერო მწერლობა. შქადაკებლები (იაკობ შუმოქ- შედელი, კათოლიკოზი ბესარიონ, ნიკოლოზ ტფი- ლელი და სხ. ჭკონდიდელი და ამბროსი ნეკრესელი).	558—564
დავით ბატონიშვილი, იოანე ბატონიშვილი და მისი „კალმასობა“	564—569
ნათარგმნი ლიტერატურა. სახელმძღვანელოები. ღრამები.	569—571
იურიდიული ნაშთნი	571—572
ქართული წიგნების ბეჭდვის დასაწყისი	573—577
წყაროები	I—V